



სუბნილმობელი საპროტესტო

მიშედ
უედბევი

ელემენტული
ნაწილაკები



1750



ელემენტარული ნაწილაკები

რომანი

ფრანგულიდან თარგმნა
გიორგი ეკიზაშვილმა

15971



არაბი
2006

მსახურე უცხოე

მიშელ უელბეკი
ელემენტარული ნაწილაკები

ფრანგულიდან თარგმნა
გიორგი ეკიზაშვილმა

რედაქტორი
მალხაზ ხარბეღია

ტექნიკური მომსახურება
თამაზ ჩხაიძე

მხატვარი
ნანა ჭილაძე

Michel Houellebecq
LES PARTICULES ÉLÉMENTAIRES

მეორე გამოცემა. 2009

© გამომცემლობა "ფლამარიონი", 1998
© გიორგი ეკიზაშვილი, 2005
© "არეტე", 2005

© Flammarion, 1998
© George Ekizashvili, 2005
© "Arete" 2005

ISBN 99940-810-4-7



წიგნი გამოიცა საფრანგეთის საგარეო საქმეთა
სამინისტროს, საქართველოში საფრანგეთის
საელჩოსა და თბილისის ალექსანდრე დიუმას
სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის
ხელშეწყობით მერაბ მამარდაშვილის სახელობის
საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში.

Ouvrage réalisé dans le cadre du
programme d'aide à la publication Mérab
Mamardachvili avec le soutien du
Ministère français des Affaires Étrangères,
de l'Ambassade de France en Géorgie et
du Centre culturel français
Alexandre Dumas de Tbilissi

ეს წიგნი, უპირველეს ყოვლისა, თავგადასავალია ადამიანისა, რომელმაც ცხოვრების მეტი წილი, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი, დასავლეთ ევროპაში გაატარა და ჩვეულებრივ მარტოხელა, დროდადრო, სხვა ადამიანებთან ურთიერთობასაც არ გაუზრბოდა. ცხოვრება შფოთითა და უბედურებით სავსე დროს მოუწია. ქვეყანა, სადაც პირველად დღის ნათელი იხილა, ნელ-ნელა, მაგრამ მიზანმიმართულად, ღარიბი ქვეყნების ეკონომიკურ ზონას უახლოვდებოდა. გამუდმებით სილატაკის მუქარის ქვეშ მყოფ მისი თაობის ადამიანებს სიმარტოვესა და სიდუხჭირეში უხდებოდათ ცხოვრება. სიყვარული, სინაზე და ძმობა, არსებითად, გაუჩინარდა. ადამიანთა ურთიერთობებში გულგრილობამ, უფრო მეტიც, სისასტიკემ იჩინა თავი.

აღსასრული რომ დაუდგა, მიშელ ჯერზინსკი საყოველთაოდ აღიარებული ბიოლოგი გახლდათ. ის კი არა და, ნობელის პრემიაზე უპირებდნენ წარდგენას. მიუხედავად ამისა, მისი ჭეშმარიტი ღირსება და მნიშვნელობა მოგვიანებით წარმოჩნდა.

ჯერზინსკის სიცოცხლეში ფილოსოფიას ხშირად პრაქტიკულ ღირებულებას მოკლებულ, უშინაარსო და უსაგნო მეცნიერებად მიიჩნევდნენ. სინამდვილეში, გარკვეულ მომენტში, სწორედაც რომ საზოგადოების წევრთა მიერ საყოველთაოდ შეთვისებული მსოფლმხედველობა განსაზღვრავს ამ საზოგადოების ეკონომიკას, პოლიტიკას, თუ ზნე-ჩვეულებებს.

მეტაფიზიკური მუტაციები, - ესე იგი, ადამიანთა უმრავლესობის მიერ აღიარებული მსოფლმხედველობის ძირფესვიანი და

სრული სახეცვლა - კაცობრიობის ისტორიაში არცთუ ისე ხშირია. ამის მაგალითად ქრისტიანობის წარმოშობაც გამოდგება.

განხორციელება თუ არა მეტაფიზიკური მუტაცია, მის სვლას, თვით უკიდურეს გამოვლინებამდე, წინ ვერაფერი დაუდგება. ის წარბეჭეუხრელად, ხელის ერთი მოსმით სანაგვეზე მოისვრის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემებს, ესთეტიკურ ღირებულებებს, სოციალურ იერარქიას. ვერარა ძალა ვერ შეაჩერებს მის მსვლელობას, თუ არა ახალი მუტაცია.

არც იმის მტკიცება შეიძლება, რომ მეტაფიზიკური მუტაცია, მაინცდამაინც ძაბუნ და გახრწნილ საზოგადოებას ერჩის. ქრისტიანობის გარიჟრაჟზე რომის იმპერია ძლიერების მწვერვალზე იდგა; ზედმინენით ორგანიზებულს და მოწესრიგებულს, მთელი სამყარო ხელთ ეყრა. მის ტექნიკურ და სამხედრო უპირატესობას ბადალი არ მოეძებნებოდა. მიუხედავად ამისა, რომს გადარჩენა არ ენერა. როდესაც ასპარეზზე თანამედროვე მეცნიერება გამოჩნდა, შუასაუკუნეობრივი ქრისტიანობა ადამიანისა და სამყაროს შესახებ ყოვლისმომცველ ცოდნას ფლობდა, ხალხის მართვის ხელოვნებაც მას ეფუძნებოდა, ის იყო შემეცნებისა და მოღვაწეობის პირველწყარო, ომისა და მშვიდობის გამრიგე, სიმდიდრის მწარმოებელი და ქონების გამწანოებელი. მაგრამ ეს ყოველივე ქრისტიანობას ვერაფერში წაადგა, მარცხს ვერც ის გადაურჩა.

მიშელ ჯერზინსკი არც პირველი და არც მთავარი შემოქმედი არ გახლდათ ამ მესამე, მრავალი თვალსაზრისით ყველაზე რადიკალური მეტაფიზიკური მუტაციისა, რომელმაც დასაბამი დაუდო მსოფლიო ისტორიის ახალ ეპოქას, მაგრამ საკუთარი ცხოვრების სრულიად გამორჩეულ გარემოებათა წყალობით, იგი მის ერთ-ერთ ყველაზე გაცნობიერებულ და ნათელმჭვრეტ ალმშენებლად მოგვევლინა.

ჯერ არნახული ეპოქა დგება,
ახალი სიცოცხლე
ახალ ძალებს შეგვეძენს
და ჩვენს სხეულს
დაუოკებელი სიხარულის სამოსში ახვევს.
იმას, რასაც წარსული დროის ადამიანები ბუნდოვნად თუ
ჭკრეტდნენ

საკუთარ მუსიკაში,
ჩვენ ყოველდღიურ სინამდვილედ ვაქცევთ.
ის, რაც მათთვის მიუწევდომელი იდეალი იყო,
ჩვენთვის ადვილად მისაწვდომი გახდა.
და მაინც, ჩვენ არ გვძულს ისინი,
რადგან კარგად გვესმის, რაოდენ დავალებული ვართ მათი
ოცნებებისგან,
კარგად ვუწყით, რომ არარაობანი ვიქნებოდით, მათი ისტორიის
ვარამი და სიხარული ერთურთს რომ არ გადაჯაჭვოდა.
კარგად ვიცით, რომ საკუთარ არსებაში ჩვენს ხატებას
ატარებდნენ, როს

განიცდიდნენ სიძულვილსა და შიშს, როს ერთურთს ეხლებოდნენ
სიბნელეში და რუდუნებით ქმნიდნენ საკუთარ ისტორიას.
კარგად გვესმის, რომ ისინი ვერ იარსებებდნენ, არსებობაზე
ოცნებასაც ვერ შეძლებდნენ, რომ არა ის იმედი, რომელსაც
გულის

სიღრმეში ატარებდნენ.
მათი არსებობა ოცნების გარეშე წარმოუდგენელია.

ამჟამად, როს ნათელში გვიხდება ცხოვრება,
და შუქი ხელის ერთ გაწვდენაზეა
როს სინათლე ეღვრება სხეულს,
რათა შესუდროს ეღვარე ნათებით,
ახლა, ასე ახლოს რომ მივედით მდინარესთან
დაუსრულებელ შუადღისას,
და ესოდენ ათრთოლდა ჩვენი სხეულის ირგვლივ
შემოკრებილი ნათელი,
ახლა, როდესაც გზის ბოლოში გავედით
და უკან მოვიტოვეთ დაშორიშორებულ ადამიანთა სამყარო,
გაცნობიერებული სამყარო განშორებისა,
რათა განვიბანოთ უძრავ და ნოყიერ სიხარულში
ახალი კანონისა
დღეს,
პირველად,
ჩვენ ძალგვიძს აღვეწეროთ გარდასული მეფობის სულთაბრძოლა.

ნანი პირველი

დაკარგული სამეფო

1998 წლის 1 ივლისი ოთხშაბათს დაემთხვა. ასე რომ, ჯერზინსკიმ, სავსებით ლოგიკურად, თუმცა კი ცოტაოდენ უჩვეულოდ, გამოსამშვიდობებელი სალამო სამშაბათს მოაწყო. ემბრიონების გასაყინი კოლებით გაჯეჯგილი ბრანდტის ფირმის მაცივრის დარჩენილ სივინროვეში შამპანურის ბოთლები მოაყუჩეს. მაცივარში, ჩვეულებრივ, ცდებისთვის აუცილებელ ქიმიურ ნივთიერებებს ინახავდნენ.

ოთხი ბოთლი შამპანური თხუთმეტ კაცს ძლივს თუ განვდებოდა. სხვა დანარჩენიც მთლად წესრიგში ვერ იყო: თავშეყრის მიზეზი საკმაოდ ზერელე გახლდათ: ერთი ცუდად დაცდენილი სიტყვა, ერთი აღმაცერი გამოხედვა შეკრებას წირვას გამოუყვანდა და ყველა თავ-თავისი მანქანისკენ გაუტყვდა.

სტუმრებმა სარდაფში, კონდიციონერით გაგრილებულ ოთახში მოიყარეს თავი. თეთრი ქაშანურით განწყობილ კედლებს გერმანული ტბების პოსტერები ამშვენებდა. სურათის გადაღება აზრადაც არავის მოსვლია. ერთმა ახალგაზრდა წვეროსანმა მკვლევარმა, რომელიც აქ წლის დასაწყისიდან მუშაობდა, მანქანა უადგილო ადგილას დავაყენეო, მოიმიზეზა და რამდენიმე წუთში კიდევ დაითესა. უხერხულობის გრძნობა სულ უფრო და უფრო საცნაური ხდებოდა. შვებულება კარს იყო მომდგარი: ვილაც მამისეულ სახლს ჩააკითხავდა, ვილაც კი ბუნების წიაღში გალაღებას აპირებდა. კბილებიდან გამოცრილი სიტყვები ზანტად ტკაცუნობდა ჰაერში, ცოტაც და ყველა თავ-თავის გზას გაუყვა.

ცხრამეტ საათსა და ოცდაათ წუთზე ყველაფერი დასრულდა. ჯერზინსკიმ, კოლეგა ქალთან ერთად, მანქანების სადგომი გადა-

კვეთა. ქალს გრძელი შავი თმები, გამტკიცული ფქვილივით ქათ-
ქათა სახის კანი და უზარმაზარი ძუძუები ჰქონდა. ჯერზინსკიზე
ხნიერი ჩანდა. მოსალოდნელი იყო, რომ ჯერზინსკის შემდეგ,
მკვლევართა ჯგუფს სწორედ ის ჩაუდგებოდა სათავეში. მისი მე-
ცნიერული ნაშრომების უმრავლესობა დროზოფილის DAF3 გენს
ეხებოდა. შინაბერა იყო.

ტოიოტას რომ მიუახლოვდნენ, ჯერზინსკიმ ღიმილით გაუნო-
და ხელი ქალს (რამდენიმე წუთის წინ გონებაში ყველაფერი აწონ-
დაწონა, ივარაუდა, რომ ხელის მოძრაობას ღიმილსაც მიაყოლებ-
და და წინდანინვე შეემზადა). ხელისგულები მსუბუქად გადაეჭლო
ერთმანეთს. მოგვიანებით, ჯერზინსკიმ იაზრა, რომ ხელის ჩამო-
რთმევას სითბო აკლდა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე,
შეიძლებოდა ერთმანეთი გადაეკოცნათ კიდეც, ესტრადის ზოგ-
ზოგი ვარსკვლავის, ან თუნდაც მინისტრების მსგავსად.

სალამ-ქალამს რომ მორჩა, ხუთი წუთი, რომელიც დაუსრულე-
ბლად განელილი მოეჩვენა, გახვევებული იჯდა მანქანაში. ქალის
მანქანაც ადგილიდან არ იძროდა. ნეტავ, რატომ? იქნებ, ბრამსს
უსმენდა და თან მასტურბირებდა? ან იქნებ, საკუთარ კარიერაზე
და მომავალ მოვალეობებზე ფიქრობდა? უხაროდა კია? ბოლოს,
როგორც იქნა, გენეტიკოსი ქალის "გოლფმა" სადგომი დატოვა.
ჯერზინსკი ისევ მარტო დარჩა. გადასარევი დღე იდგა, სიცხე ჯე-
რაც არ განელებულიყო. გაზაფხულის ამ პირველ დღეებში ყოვე-
ლივე, თითქოს, ბედნიერ და უზრუნველ უძრაობაში ჩაიძირა. და
მაინც, ჯერზინსკი გრძნობდა, რომ დღეების ხანგრძლივობამ თა-
ნდათან კლება იწყო.

გამორჩეულ უბანში მომიხდა მუშაობა, გაიფიქრა და მანქანა
ადგილიდან დაძრა. კითხვაზე: "ფიქრობთ თუ არა, რომ პალეოზოში
ცხოვრება პრივილეგიურ გარემოში ცხოვრებას ნიშნავს?", მაცხო-
ვრებელთა 60% პასუხობდა: "დიახ". ამაში გასაკვირი არაფერი
იყო. დაბალ შენობებს ერთმანეთისგან გაზონები ყოფდა; რამდე-
ნიმე ბაზრობა უბანს სურსათით ამარაგებდა, ასე რომ, პალეოზო-
სთან დაკავშირებით, "ცხოვრების ხარისხის" ცნება ზედმეტად არ
უნდა მოგჩვენებოდათ.

პარიზისკენ მიმავალ სამხრეთის გზატკეცილზე მანქანის ჭა-
ჭანება არ იყო. ჯერზინსკის ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა, თით-

ქოს სტუდენტობაში ნანახ ახალზელანდიურ სამეცნიერო-ფანტასტიკურ ფილმში მონაწილეობდა: ცხოვრება გაქრა და დედამიწას უკანასკნელი ადამიანი შემორჩა. ჰაერში აპოკალიფსის სუნი ტრიალებდა.

აგერ უკვე ათი წელია, ჯერზინსკი ფრემიკურის ქუჩაზე ცხოვრობდა, შეეჩვია კიდეც. წყნარი უბანი იყო. 1993 წელს გვერდით ვილაცის ყოფნის აუცილებლობა იგრძნო. სურდა, სალამოობით შინ დაბრუნებულს, ვინმე შეგებებოდა. არჩევანი კანარის თეთრ ჩიტზე შეაჩერა. მშიშარა ფრინველი იყო; მღეროდა, განსაკუთრებით დილაობით, მაგრამ სიხარულისა არაფერი ეტყობოდა. თუმცა კი, გინახავთ მხიარული კანარის ჩიტი? სიხარული ღრმა და ყოვლისმომცველი განცდაა, ცნობიერებით განცდილი აღმაფრთოვანებელი სისასის შეგრძნებაა... სიმთვრალე, მონუსხვა ან კიდეც, ექსტაზია. ერთხელ, ჩიტი გალიიდან გამოიყვანა. თავზარდაცემულმა ფრინველმა ტახტს დაასკინტლა, მერე კი, კარების ძიებაში, გალიის ხარიხებს მიაწყდა. ერთი თვის შემდეგ ცდა გაიმეორა. ამჯერად, საბრალო ფრინველი ფანჯრიდან გადავარდა, რალაც ბედად ვარდნა შეარბილა და ხუთი სართულით ქვემოთ, მოპირდაპირე შენობის აივანზე დაეშვა. მიშელი იძულებული გახდა, ბინის პატრონ ქალს დალოდებოდა, თან ნატრობდა, ნეტავ შინ კატა არ ყავდესო. აღმოჩნდა, რომ ქალიშვილი ჟურნალში "20 წელი" მუშაობდა, მარტო ცხოვრობდა და სახლში გვიან ბრუნდებოდა, კატა არ ჰყავდა.

ღამე ჩამოწვა; მიშელმა სიცივისგან და შიშისგან აკანკალებული ფრინველი ბეტონის კედელთან მიყუჟული ნახა. რამდენჯერმე, უმეტესად ნავის გატანისას, ჟურნალისტ ქალს გადაეყარა. ქალი თავს უხრიდა, აქაოდა, გიცანითო. ისიც სალამს უბრუნებდა. ასე იყო თუ ისე, ამ შემთხვევამ მეზობლური ურთიერთობის დამყარებაში შეუწყო ხელი; ესეც ერთ რამედ ღირდა.

მისი ფანჯრებიდან თორმეტიოდე შენობა, ესე იგი, დაახლოებით, სამასი ბინა მოჩანდა. ჩვეულებრივ, სახლში რომ ბრუნდებოდა, კანარის ჩიტი სტვენა-სიმღერით ხვდებოდა. ჭყიბინი ხუთი ან ათი წუთი გრძელდებოდა. მერე საკენკს, საფენს და წყალს უცვლიდა. იმ სალამოს, ბინაში სიჩუმე დახვდა. გალიასთან მივიდა: ჩიტი მომკვდარიყო. გაცივებული პატარა თეთრი სხეული გვერდულად ეგდო წვრილი ქვიშის საწოლზე.

"მონოპრი გურმეში" ნაყიდი ერთი ქილა დარიჩინიანი თევზით ივახშმა და უგემური "ვალდეპენიასი" დააყოლა. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ, ჩიტის ცხედარი ცელოფანის პარკში გაახვია, სამძიმად ლუდის ბოთლი ჩააყოლა და სანაგვე მილში გადაუძახა. სხვა რა ექნა? სულის მოსახსენებელ წირვას ხომ არ აღასრულებდა?

აზრზეც არ იყო, სად თავდებოდა ეს სანაგვე მილი, არცთუ ისე ფართო, მაგრამ ჩიტის სხეულისთვის სავსებით საკმარისი. ეს კია, რომ იმ ღამით ყავის საცრებით, სანებლიანი რავიოლებით და მოკვეთილი სასქესო ორგანოებით სავსე უზარმაზარი ნაგვის ყუთები ესიზმრა. თვითონაც ჩიტისოდენა ნისკარტიანი სქელი ჭიები ცხედარს შესეოდნენ, ფეხებს აგლეჯდნენ, შიგნეულს უძიძნიდნენ და თვალის გუგებს უთხრიდნენ. აკანკალებული, სიბნელეში სანოლზე წამოჯდა. ორის ნახევარი იქნებოდა. სამი აბი "ქსანაქსი" გადაყლაპა. აი, ასე დასრულდა თავისუფლების პირველი საღამო.

1900 წლის 14 დეკემბერს, ბერლინის აკადემიისთვის წარდგენილ მოხსენებაში "ნორმალურ სპექტრში ენერგიის განაწილების კანონის შესახებ", მაქს პლანკმა პირველად ახსენა "ენერგიის კვანტი", რომელსაც გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა ფიზიკის შემდგომ განვითარებაში. 1900-სა და 1920 წლებს შორის, უმეტესწილად ეინშტეინისა და ბორის გავლენითა და მეტ-ნაკლებად დახვეწილი გათვლებით, მეცნიერები შეეცადნენ, ახალი კონცეფცია ძველი თეორიებისთვის მოერგოთ და 20-იანი წლების დასაწყისში საბოლოო განაჩენი გამოუტანეს ძველ შეხედულებებს.

თუკი ნილს ბორი აღიარებულია კვანტური მექანიკის ჭეშმარიტ ფუძემდებლად, ეს არა მხოლოდ მისი საკუთარი აღმოჩენის დამსახურებაა, არამედ, პირველ ყოვლისა, იმ არაჩვეულებრივი შემოქმედებითი აქტიურობის, ინტელექტუალური აღმაფრენის, გონების თავისუფლებისა და მეგობრული ატმოსფეროსი, რომელიც მან თავის გარშემო შექმნა. ბორის მიერ 1919 წელს დაარსებულმა კოპენჰაგენის ფიზიკის ინსტიტუტმა თავი მოუყარა ახალგაზრდა ევროპელ მკვლევარებს. ჰაიზენბერგმა, პაულიმ და ბორნმა პირველი წრთობა იქ გაიარეს. მათზე ცოტა უფროსი ბორი დროს არ იშურებდა ახალგაზრდების ჰიპოთეზების უმცირეს წვრილმანებზე კამათისას. მის მსჯელობას თან ახლდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფილოსოფიური გამჭრიახობა, კეთილმოსურნეობა და სიმკაცრე. სიზუსტის მანიაკალურად მოყვარული ბორი, ექსპერიმენტების შედეგებზე საუბრისას, ვერ იტანდა ზედაპირულ ახსნას, ამასთან ერთად, არც ერთი ახალი იდეა გიჟურად არ მიაჩნდა და არც რომელიმე კლასიკური კონცეფცია ესახებოდა



ურყევად. ის ხშირად ინვევდა სტუდენტებს თავის აგარაკზე, ტის-ვილდში, სადაც სხვა დარგების მეცნიერებს, პოლიტიკოსებსა და ხელოვან ადამიანებსაც მასპინძლობდა. საუბარი ძალდაუტანებლად გადადიოდა ფიზიკიდან ფილოსოფიაზე, ისტორიიდან ხელოვნებაზე, რელიგიიდან ყოველდღიურობაზე. ანტიკური აზროვნების პირველი ნაბიჯებიდან მოყოლებული, მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა. აი, ასეთ გარემოებებში იშვა კოპენჰაგენის მოძღვრების უმთავრესი ცნებები, რომლებმაც ძირი გამოუთხარა სივრცის, მიზებობრიობისა და დროის ძველ კატეგორიებს.

ჯერზინსკიმ ამ თანამეგობრობის მსგავსი ვერაფერი შექმნა. მეცნიერთა წრეში, რომელსაც ის ედგა სათავეში, დანესებულების სული სუფევდა. მოლეკულური ბიოლოგიის მკვლევრები მიკროსკოპის რემბოები სულაც არ გახლავან, როგორც ეს ერთობ მგრძნობიარე და უვიც საზოგადოებას წარმოუდგენია. უმეტეს შემთხვევაში, ისინი პატიოსანი ტექნიკური მუშაკები არიან, რომელთაც გენიოსობის ნიშანწყალიც არ ეტყობათ, "ნუველ ობსერვატორს" კითხულობენ და იმაზე ოცნებობენ, როგორ გაუტევენ, შვებულებისას, გრენლანდიაში. მოლეკულური ბიოლოგიის მკვლევრისთვის არც შემოქმედებითი გზნებაა აუცილებელი და არც გამოგონებლური ნიჭი. ეს, შეიძლება ითქვას, ერთი, სხვებისგან არაფრით გამორჩეული საქმიანობაა, სადაც სამშუალო გონებრივი შესაძლებლობებითაც იოლად გახვალ ფონს. ადამიანები დოქტორები ხდებიან, იცავენ ხარისხს, აქ კი, კომპიუტერთან მუშაობას, უბრალო ბაკალავრიც გაართმევს თავს. "გენეტიკური კოდის აზრზე რომ მოხვიდე, - უყვარდა თქმა დეპლეშენს, მეცნიერულ კვლევათა ეროვნული საბჭოს ბიოლოგიური განყოფილების უფროსს, - ან პროტეინების სინთეზის პრინციპი აღმოაჩინო, რა თქმა უნდა, ცოტა უნდა გაიჭიროვო და ოფლი ღვარო. სხვათა შორის, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ამ საქმეში, პირველად, ფიზიკოსმა გამოვმა ჩაყო ცხვირი. ღნმ-ს ახსნას რაც შეეხება, ჰმ!.. ხსნი, ხსნი და... ჯერ ერთი მოლეკულა, მერე მეორე... მონაცემები კომპიუტერში შეგყავს, ის კი ჯაჭვის ყველა რგოლს გაიანგარიშებს. მერე კოლორადოში ფაქსს გააგზავნი და იქაურები B27 და C33 გენებს შექმნიან. აქაც ყველაფერი იგივეა. ერთხელაც, ვითომ რაღაცას გააუმჯობესებ, ისე, დიდი არაფერი, მაგრამ ესეც საკმა-

რისია, ნობელის პრემია რომ დაირტყა. ერთი სიტყვით, ჩალიჩობ, ღობე-ყორეს ედები. ბავშვური ცელქობაა, სხვა არაფერი."

პირველი ივლისის ნაშუადღევს გაგანია სიცხე ჩამონვა. ასეთი ნაშუადღევი, ჩვეულებრივ, ცუდად მთავრდება, უეჭველად ქარა-შოტი ამოვარდება და შილიფად ჩაცმულ ადამიანებს აქეთ-იქით მიმოფანტავს. დეპლემენის სამუშაო ოთახის ფანჯრები ანატოლ ფრანსის სანაპიროს გადაყურებდა. სენის გადაღმა, ტიუილრის გასწვრივ ჰომოსექსუალისტები მზის გულზე მიმოდიოდნენ, დანყვილებულ-დაჯგუფებული საუბრობდნენ და ერთმანეთს პირსახოცებს უცვლიდნენ. თითქმის ყველას დუნდულებში გაჩხერილი საბანაო ტრუსები ეცვა. გასარუჯი კრემით გაზეთილი კუნთები მზის სხივებზე უპრიალებდათ, ამობურცულ დუნდულებს ლაპლაპი გაჰქონდათ. საუბრისას ზოგიერთი ნეილონის ტრუსებში გამოკვართულ სასქესო ორგანოებს იხელდა, მერე თითს ჩააცურებდა და საზარდულის ღინღლს ან ფალოსის თავს ეფერებოდა. ფანჯრის წინ დეპლემენს ჭოგრიტი მოეყუჩებინა. ამბობდნენ, თვითონაც პედერასტი იყო; სინამდვილეში, აი უკვე რამდენიმე წელია, კარგად აღზრდილი ლოთი უფრო ეთქმოდა. ერთ, ზუსტად ასეთ ნაშუადღევს, ორგზის შეეცადა დანძრევას. თვალი ჭოგრიტს მიაბჯინა და ვილაც ყმანვილს მიაშტერდა. ტრუსებჩახდილ ტიპს ასო ნელ-ნელა, მაგრამ ჯიუტად და ამაღლევებლად ებრიქებოდა ატმოსფეროში. დეპლემენის დაჩამიჩბებული, ჩაჩუტული, დანაოჭებული და გამომშრალი ასო კი, ნურას უკაცრავად, მცირედაც არ შეჩხეულა. რაღა ჩარა იყო... ასოს წვალებას უნდა მოშვებოდა.

ჯერზინსკი ზუსტად თექვსმეტ საათზე გამოცხადდა. დეპლემენმა მისი ნახვა ინება, ეტყობა დაინტერესდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მკვლევარს არვინ უშლის, ერთწლიანი შვებულება აიღოს და მუშაობა მეცნიერთა სხვა ჯგუფთან გააგრძელოს, ვთქვათ, ნორვეგიაში ან იაპონიაში, გინდაც რომელიმე იმ საშინელ ქვეყანაში, სადაც ორმოცს მიტანებული ადამიანები ჯგროდ იკლავენ თავს. ზოგიერთი - ეს განსაკუთრებით "მიტერანის წლებზე" ითქმის, როდესაც სულ უფრო და უფრო მეტის მოხვეჭის სურვილმა განუზომელ სიმაღლეს მიაღწია, - ფულის დაგროვების ერთობ სახიფათო გზას დაადგა და ამა თუ იმ მოლეკულის კომე-

რციალიზაციის მიზნით, სხვადასხვა საზოგადოების შექმნას მიჰყო ხელი. ისეთებიც იყვნენ, ვინც ხელის ერთი მოსმით, კარგა ბლომად ჩაიჯობა და წლების განმავლობაში უანგარო ოფლის ღვრით მოპოვებული ცოდნა საკმაოდ უხამსი ხერხებით მაყუთში გაცვალა. მაგრამ ჯერზინსკის ვერაფრით გამართლებული უსაქმურობა, - არც რაიმე გეგმა, არც რაიმე მიზანი, ძნელად ასახსნელი გახლდათ: ორმოცი წლისა, მეცნიერ-მკვლევართა თხუთმეტკაციან ჯგუფს ედგა სათავეში და დეპლეშენის გარდა სხვა ზემდგომი, ისიც ისე, წმინდა თეორიულად, არ ჰყავდა. ჯგუფი წარმატებას წარმატებაზე აღწევდა და მალე ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის სახელი დაიგდო. მაშ, სად არის დამარხული ძალღის თავი? დეპლეშენმა ხმა დაიბოხა: "რას აპირებთ?" დუმილმა ოცდაათ წამს გასტანა, შემდეგ ჯერზინსკის მშვიდმა პასუხმა გაიჟღერა: "ფიქრს". აბა, ეს რა სათქმელი იყო! ჯერზინსკიმ, აქაოდა, წავიშაყირო, ისევ ისე გააგრძელა: "პირადი ცხოვრება გაინტერესებთ?", მერე თანამოსაუბრის სერიოზულ, გამოკვეთილნაკვთებიან სახეს და სევდაჩამდგარ თვალებს შეეფეთა და სირცხვილმა დაწვა. აჰა, ესე იგი, პირადი ცხოვრება, არა? განა დეპლეშენი საკუთარი ფეხით არ ეახლა ამ თხუთმეტი წლის წინ, ორსეს უნივერსიტეტში? არჩევანმაც გაუმართლა: ჯერზინსკი სიზუსტის მოყვარული, მომთხოვნი, ცინცხალი გონების მეცნიერი გამოდგა და შედეგმაც არ დააყოვნა: ახალ-ახალ წარმატებებს თვლა არ ჰქონდა. მეცნიერული კვლევის ეროვნული ცენტრი, რა დასამალია და, თავის ევროპულ რეპუტაციას სწორედ ჯერზინსკის უნდა უმადლოდეს. კონტრაქტის პირობები გადაჭარბებით შესრულდა.

"საბაზო მონაცემებზე, რალა თქმა უნდა, ხელი მუდამ მიგიწვდებათ. კომპიუტერსა და ინტერნეტში თავმოყრილი კვლევის შედეგებიც ყოველწამს თქვენს განკარგულებაშია, თანაც, უვადოდ. კიდევ რაიმე თუ გჭირდებათ, ნუ მომერიდებით," - დაასრულა დეპლეშენმა.

ჯერზინსკი გაისტუმრა თუ არა, დეპლეშენი ისევ ღია ფანჯარასთან მიდგა. ცოტა არ იყოს, აფორიაქდა და ოფლმაც დაასხა. იქითა სანაპიროზე, ახალგაზრდა შავგვრემანი ჩრდილოაფრიკელი შორტს იხდიდა. ფუნდამენტურ ბიოლოგიაში ჯერ კიდევ ბევრი

რამ არის გასარკვევი! ბიოლოგები ისე აზროვნებენ და მოქმედებენ, თითქოსდა მოლეკულები განცალკევებული მატერიალური ელემენტები იყვნენ, ერთმანეთს მხოლოდ ელექტრომაგნიტური მიზიდულობითა და განზიდვით დაკავშირებული. დეპლეშენი დარწმუნებული იყო, რომ არც ერთ მათგანს წარმოედგინა არ ჰქონდა EPR-ის პარადოქსზე, ან ასპექტის ცდებზე. არც ერთ მათგანს თავი არ შეუწუხებია გასცნობოდა ფიზიკის მიღწევებს, საუკუნის დასაბამიდან დღემდე. მათი შეხედულება ატომზე დემოკრიტეს დონეზე რჩებოდა. ისინი ახალ-ახალ მონაცემებს ახვავებდნენ, იმ მიზნით, რომ მათთვის ამწუთიერი საწარმოო გამოყენება მოექცნათ და აზრზეც ვერ მოდიოდნენ, რომ ასეთ მცდელობათა კონცეპტუალური საფუძველი იმთავითვე დანადგმული იყო. ამას, მეცნიერული კვლევის ცენტრში, მხოლოდ ის და ჯერზინსკი, განათლებით ფიზიკოსები, თუ ხვდებოდნენ: რანამს მეცნიერები სიცოცხლის ატომური ბაზისით დაინტერესდებიან, ნაღმი იფეთქებს და თანამედროვე ბიოლოგიისგან ნამსხვრევებიდა დარჩება. ფიქრებში წასულმა დეპლეშენმა ვერც შეამჩნია, როგორ ჩამონვა საღამოსენის სანაპიროებზე. ვერაფრით წარმოედგინა, თუ რა მიმართულებას აირჩევდა ჯერზინსკის აზრი; ის კი იცოდა, რომ მასთან კამათი არაფერს მოუტანდა - სადაცაა სამოცს მიუკაკუნებს და ჭკუაც ისე აღარ უჭრის. ჰომოსექსუალისტები ერთმანეთის მიყოლებით გაიკრიფნენ და სანაპირო დაცარიელდა. აღარც ახსოვდა, ბოლოს როდის ჰქონდა ერექცია. ქარიშხალს ელოდებოდა.

ქარიშხალი საღამოს ცხრა საათზე ამოვარდა. ჯერზინსკი მდარე არმანიაკს წრუპავდა და წვიმას უსმენდა. მალე ორმოცის გახდება: ნუთუ ორმოცწლიანთა კრიზისი მასაც მოწვება? ცხოვრების პირობების გაუმჯობესების წყალობით, ორმოცს მიღწეული ადამიანები, დღესდღეობით, თავს ყოჩაღად გრძნობენ და ფიზიკური მდგომარეობაც შესაშური აქვთ. პირველი ნიშნები - გინდ გარეგნული, გინდ სხეულის ორგანოების რეაქცია სხვადასხვა დატვირთვაზე - მაცნე იმისა, რომ გადაილახა რაღაც საზღვარი, რომ დაიწყო გრძელი, დამრეცი გზა სიკვდილისკენ, ორმოცდახუთის, უფრორე, ორმოცდაათი წლის ასაკში მულავნდება. მერე კიდევ, ის ყბადაღებული "ორმოცწლიანთა კრიზისი", ხშირად სექსუალურ მოვლენებს უკავშირდება და ჯერ კიდევ უმნიფარი გოგონების სხეულისკენ დაუოკებელ სწრაფვაში იჩენს თავს. ჯერზინსკიზე ამას ვერ იტყოდი, ასოს მოსაშარდად ხმარობდა, მორჩა და გათავდა.

მეორე დღეს შვიდ საათზე ადგა, თაროდან ვერნერ ჰაიზენბერგის სამეცნიერო-ავტობიოგრაფიული ნიგნი "ნაწილი და მთელი" გადმოიღო და ფეხით გაუყვა მარსის ველისკენ მიმავალ გზას. გრილი, მჭვირვალე განთიადი იდგა. ჩვიდმეტი წლის იყო, ეს ნიგნი რომ იყიდა. ვიქტორ კუზენის ხეივანში ჭადრის ქვეშ ჩამომჯდარმა, პირველი თავის ის ნაწყვეტი გადაიკითხა, სადაც ჰაიზენბერგი სწავლის წლებს აღწერს და ატომის თეორიასთან პირველ შეხვედრას იხსენებს:

"თუ არ ვცდები, ეს ამბავი 1920 წელს უნდა მომხდარიყო. პი-

რველი მსოფლიო ომის შედეგებმა თავგზა აურია და სულიერი შფოთი მოჰგვარა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობას. მარცხით გაწბილებულმა ძველმა თაობამ მართვის სადავეები ხელიდან გაუშვა. ახალგაზრდები ჯგუფ-ჯგუფად, მცირე თუ მრავალრიცხოვან საძმობად იკრიბებოდნენ და ახალ გზას თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ახალ კომპასს მაინც ეძებდნენ გზის გასაკვალად, რადგან ძველი მათ თვალწინ ნამსხვრევებად იქცა. და აი, გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, მე, ოც თუ ოცდაათ ამხანაგთან ერთად, გზას გავუყევი. თუ მეხსიერება არ მლალატობს, შტარნბერგის ტბის შემოგარენ ბორცვებზე დავებეტიებოდით. მწვანედ ხასხასა წიფლები დროდადრო მეჩხერდებოდა და ლიობებში, ჩვენს ხელმარცხნივ, ქვემოთ, პეიზაჟის კიდეზე აზიდულ მთებამდე გადაჭიმული ტბა ალივლივდებოდა. რაც უნდა უცნაური გეჩვენოთ, სწორედ ამ სეირნობისას წამოვიწყე პირველად ატომური ფიზიკის შესახებ კამათი, რომელმაც ბიძგი მისცა ჩემს მომავალ სამეცნიერო მოღვაწეობას."

თერთმეტი საათისთვის სიცხემ იმატა. შინ მიბრუნებული მიშელი გაშიშვლდა და სანოლზე გაიშობა. მომდევნო სამი კვირა უკიდურესად შენელებული ტემპით მოძრაობდა, გეგონებოდა, თევზი ჰაერის ჩასასუნთქად დროდადრო წყლიდან თავს წევს და წამით მაინც, სრულიად უცხო, სამოთხისებრ ჰაეროვან სამყაროს შეაგლებს თვალსო. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ისევ ლექიან ფსკერზე ეშვება, სადაც თევზები ერთმანეთს დაუნდობლად ნთქავენ. მაგრამ თევზისთვის ის რამდენიმე წამიც კმარა, რათა ინტუიციით იგრძნოს, რომ განსხვავებული და სრულქმნილი სამყარო წარმოუდგა თვალწინ - ჩვენი სამყარო.

15 ივლისის საღამოს ბრუნოს დაურეკა. ავტომობასუხის jazz club-ის ფონზე, მისი ნახევარძმის ჩანანერს ძნელად შესამჩნევი მაღალფარდოვნების კვალი აჩნდა. წყალი არ გაუვა, ბრუნო ორმოცწლიანთა კრიზისის მსხვერპლი იყო. ტყავის ლაბადას იცვამდა, თან წვერი მოუშვა; აქაოდა, ცხოვრებაში არაფერი მეშლებო, მეორეხარისხოვანი დეტექტიური ფილმის გმირივით თომარობდა; ვინრო სიგარებს ახრჩოლებდა და კუნთებს იმაგრებდა. თუმცა, მიშელისთვის რომ გეკითხათ, მხოლოდ "ორმოცწლიანთა კრიზისი" ყოველივე ამის ასახსნელად ვერ გამოდგებოდა. კრიზისის

მსხვერპლი სიცოცხლის, თუნდაც სულ ცოტა ხნით გახანგრძლივების გარდა, სხვას არაფერს ითხოვს. ბრუნოს რაც შეეხება, მას ყველაფერი ყელში ამოუვიდა, უბრალოდ, სიცოცხლის გაგრძელებაში ვერავითარ აზრს ვერ ხედავდა.

იმავე საღამოს, ჯერზინსკი, შარნის დანყებით სკოლაში გადაღებულ ფოტოსურათს გადააწყდა. დახედა და ტირილი აუვარდა: ბიჭუნა მერხს უზის, ხელში გადაშლილი სახელმძღვანელო უკავია. სიცოცხლითა და მხნეობით სავსე ღიმილით შემოგცქერით. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ეს ბავშვი თვითონაა. ბიჭი მთელი გულისყურით აკეთებს დავალებებს და გაკვეთილებს იზეპირებს. მერე ცხოვრებაში შეაბიჯებს და სამყაროს აღმოაჩენს, ისე, რომ წარბსაც არ შეირხევს. ცხოვრებას არ უფრთხის და მზადაა, საკადრისი ადგილი დაიმკვიდროს საზოგადოებაში. ყოველივე ეს ბავშვის თვალეებში იკითხება. ბიჭუნას მოკლესაყელოიანი პერანგი აცვია.

რამდენიმე დღე ფოტო ხელის განვდენაზე, სასთუმლის ნათურასთან ეკიდა. ცდილობდა საკუთარი თავისთვის დაემტკიცებინა, დრო სხვა არაფერია, თუ არა ერთი საკმაოდ ჩვეულებრივი საიდუმლო და ამიტომაც, ყველაფერი რიგზეაო: თვალეების სხივი ინავლება, სიხარული უჩინარდება, ნდობა იწურება. Bultex-ის ფირმის ლეიბზე იწვა და ამაოდ ცდილობდა საკუთარ წარმავლობას შეგუებოდა. ბავშვს შუბლზე ნაყვავილარის მრგვალი მომცრო ღრმული ემჩნეოდა; რამდენი წელია ეს ნაჭდევი მოყვება! სად არის ჭეშმარიტება? შუადღის ხვატი ოთახს ავსებს.

მარტენ სეკალდი 1882 წელს დაიბადა კორსიკის ერთ ჩაკარგულ სოფელში; წერა-კითხვის უცოდინარი გლეხების შვილს, ბუნებაში, მსგავსად მისი უთვალავი წინაპრებისა, მიწის მუშის და მენახირეს არცთუ ისე მრავალფეროვანი ცხოვრება დააბედა. ჩვენს მხარეში ცხოვრების ასეთი ყაიდა დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა, ამიტომ, მასზე სიტყვაუხვი საუბრით თავს აღარ შეგანყენო, თუმცა, მავანი ეკოლოგისტის ჩემთვის გაუგებარი ნოსტალგიის გათვალისწინებით, თავს ნებას მივცემ, რამდენიმე სიტყვით მაინც აღვწერო ყველასგან მივიწყებული სოფლური ყოფა: ბუნების ნიაღში სუფთა ჰაერით სუნთქავ, მიწის პატარა ნაკვეთს ამუშავებ (მემკვიდრეობის მკაცრი სისტემა ზუსტად განსაზღვრავს ნაკვეთის სიდიდეს), ხანდახან, შეიძლება, ტახიც მოინადირო; მარჯვნივ და მარცხნივ ჟიმაობ, განსაკუთრებით ცოლთან, რომელიც შვილიკოებს გჩუქნის; ბავშვებს ზრდი, რათა, დრო რომ მოაწევს, მათაც თავისი ადგილი დაიმკვიდრონ იმავე ეკოსისტემაში, მერე რაღაც ავადმყოფობას აიკიდებ და გეყო!.. მორჩა!..

მარტენ სეკალდის უცნაური ბედი, სინამდვილეში, ნათლად მტყველებს იმ ღვანლზე, რომელიც საერო სკოლამ მიაგო მესამე რესპუბლიკის დროინდელი ფრანგული საზოგადოების გამთლიანებასა და ტექნოლოგიური პროგრესის განვითარებას. მასწავლებელმა მყისვე ამოიცნო მოსწავლის გამორჩეული უნარი, აბსტრაქტული აზროვნებისა და გამომგონებლობის ნიჭი და იმასაც მიხვდა, რომ საკუთარ ბუნებრივ გარემოში ყმანვილს წარმატება არ ელოდა. მასწავლებელი კარგად აცნობიერებდა, რომ მისი მოვალეობა მხოლოდ ელემენტარულ ცოდნასთან მომავალ მოქალაქე-

თა ზიარება არ იყო; მას ნიჭით აღმატებული მოსწავლეების გამო-
რჩევაც ვვალებოდა, რომლებიც, დრო მოვიდოდა და რესპუბლიკ-
ის სამსახურში ჩადგებოდნენ. ამიტომაც, ძალ-ღონე არ დაიშურა,
რათა მარტენის მშობლებისთვის დაემტკიცებინა, რომ მათ შვილს
კორსიკის გარეთ უნდა ეძია ბედი. 1894 წელს ყმანვილმა სტეპენ-
დია მოიპოვა და ინტერნად შევიდა მარსელის ტიერის ლიცეუმში
(მარსელ პანიოლმა შესანიშნავად აღწერა ეს სასწავლებელი "ბავ-
შვობის მოგონებებში", რომელიც მარტენ სეკალდის სამაგიდო წი-
გნად იქცა სიცოცხლის ბოლომდე, უპირველეს ყოვლისა იმიტომ,
რომ ღარიბთა ფენიდან გამოსული ნიჭიერი ახალგაზრდა კაცის
თავგადასავლის თხრობისას, ეპოქის ქვაკუთხედ იდეალებს ქეშმა-
რიტი სახით წარმოაჩენდა). მარტენმა ყოფილი მასწავლებლის იმ-
ედი გაამართლა და 1902 წელს უმაღლესი პოლიტექნიკური სკო-
ლის სტუდენტი გახდა.

1911 წელს ის სამსახურში განამწესეს, რამაც მისი მომავალი
ბედი ერთხელ და სამუდამოდ განაპირობა. საქმე ეხებოდა ალჟი-
რში ქმედითუნარიანი სარწყავი ქსელის შექმნას. აკვედუკების სი-
მრუდისა და წყალსადენის მილების დიამეტრის გამოთვლას მარ-
ტენმა ლამის ორმოცდახუთი წელი შეაღია. 1923 წელს მან უნე-
ვიევი ვიულიზე, თამბაქოს მალაზიის გამყიდველზე იქორწინა. ახა-
ლგაზრდა ქალი წარმოშობით ლანგედოკიდან იყო, მაგრამ, აი, უკ-
ვე ორი თაობაა, მისი წინაპრები ალჟირში სახლობდნენ. 1928
წელს ქალიშვილი შეეძინათ. ჩვილს ფანინი დაარქვეს.

ადამიანის ცხოვრება შეგიძლია გრძლად მოყვე ან ორ სიტყვა-
ში ჩაატიო, ნება შენია! მეტაფიზიკური ანუ ტრაგიკული არჩევანი,
რომელიც, საბოლოო ჯამში, დაბადებისა და გარდაცვალების თა-
რილებით შემოიფარგლება, ბუნებრივია, სიმარტივისა და უკიდუ-
რესი სიმოკლის გამო სხვებზე მეტად ფასობს. მარტენ სეკალდის
რაც შეეხება, უპრიანია ისტორიული და სოციალური განზომილე-
ბანი მოვიხმოთ და თვით პიროვნებას ნაკლები დრო დავუთმოთ,
რათა უფრო თვალსაჩინოდ წარმოვადგინოთ იმ საზოგადოების
განვითარება, რომლის ნიშანდობლივი შემადგენელი ნაწილი მარ-
ტენ სეკალდია. ერთი მხრივ, ეს ბევრისმანიშნებელი ინდივიდები
საკუთარი ნებით უწყობენ ფეხს ეპოქის ისტორიულ განვითარებ-
ას, მეორე მხრივ, მათი ცხოვრება მარტივი და დალხინებულია,

ასე რომ, ამ ადამიანების მიწიერი არსებობის კლასიკური სტილით აღწერა შეიძლება ორმა თუ სამმა გვერდმა დაიტიოს. ჟანინ სეკალდი, თავის წილ, წინამორბედთა მწუხარე კატეგორიას მიეკუთვნება. ისინი თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებებს ემორჩილებიან, თუმც კი მათზე "მაღლა დგომას" ესწრაფვიან, ქადაგებენ რა ქცევის ახალ ნორმებს და საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ მიუღებელი წესების დამკვიდრებისთვის ძალისხმევას არ იშურებენ. ამიტომ, წინამორბედი ცოტა უფრო სიტყვაუხვ წერილობით აღწერას იმსახურებენ, მით უმეტეს, რომ მათი ცხოვრების გზა, ხშირ შემთხვევაში, გაცილებით დახლართული და ძნელად განსაჭვრეტია. მიუხედავად ამისა, ისინი ისტორიული დამჩქარებლის როლს ასრულებენ, თანაც, მეტწილად, საზოგადოებრივი პროცესების დამანგრეველბად გვევლინებიან, რადგან არ ძალუძთ მოვლენებს ახალი მიმართულება შესძინონ. ეს მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციონერებს და წინასწარმეტყველებს ხელენიფებათ.

მარტენ და ჟენევიევ სეკალდების ქალიშვილმა ადრე გამოავლინა უზადო ნიჭი და უნარი, ყოველ შემთხვევაში, მამის თანაბარი მაინც, რასაც მტკიცე და დამოუკიდებელი ხასიათიც ერთვოდა. ქალწულობა ცამეტი წლისამ დაკარგა (ეს კი, იმ ხანობასა და მის გარემოცვაში, იშვიათობა გახლდათ), ომის წლები კი (ალჟირში ომის სისასტიკე არცთუ ისე იგრძნობოდა) მეჯლისებზე სიარულს შეაღია, რომლებიც, შაბათ-კვირას, ჯერ კონსტანტინში იმართებოდა, მოგვიანებით კი დედაქალაქში გადაინაცვლა. ყოველივე ამის მიუხედავად, სკოლაში, მეოთხედიდან მეოთხედამდე, ერთ წარმატებას მეორე, უფრო შთამბეჭდავ წარმატებას უმატებდა. ჰოდა, ბაკალავრის ნითელი დიპლომით და საკმაოდ მდიდარი სექსუალური გამოცდილებით აღჭურვილმა, 1945 წელს მშობლებს ხელი დაუქნია და მედიცინის შესასწავლად პარიზს მიაშურა.

ომის მომდევნო წლები მძიმე და ბოხოქარი გამოდგა; წარმოების სიმძლავრე ბოლო ზღვრამდე დაეშვა, კვების საბარათო სისტემა კი მხოლოდ 1948 წელს გაუქმდა. და მაინც, შეძლებულ მოქალაქეთა ვიწრო წრეში თავი იჩინა ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოჭრილმა, მასიური მომხმარებლობისკენ სწრაფვამ, რომელმაც, მომდევნო ათწლეულებში მთელი საზოგადოება მოიცვა. ასე რომ, ჟანინ სეკალდიმ, სამედიცინო ფაკულტეტის სტუ-

დენტმა, "ეგზისტენციალისტური წლები" პარიზში გაატარა და ერთხელ იმდენი ქნა, რომ "ტაბუ"-ში ჟან-პოლ სარტრთან ერთად be-bop იცეკვა. თავად ფილოსოფოსის მოძღვრებას დიდ პატივს არ სცემდა, სამაგიეროდ, მისმა პათოლოგიურმა სიმახინჯემ მართლაც რომ თავზარი დასცა და მათი იმწუთიერი ურთიერთობა ერთი ცეკვის იქით აღარც წასულა. ხმელთაშუა ზღვის ლამაზმანს საყვარლებს რა დაუღევდა! ასეც იყო, სანამ 1952 წელს, ბედმა ქირურგიული ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტს, ვინმე სერჟ კლემანს არ შეყარა.

"მამაჩემი ავინეროთ? - ხშირად იმეორებდა ბრუნო მრავალი წლის შემდეგ, - წარმოიდგინეთ მაიმუნი, ხელში მობილური ჩაუდეთ, ჰოდა, სულ ეგ არის, ზედგამოჭრილი მამაჩემია." იმ დროს, რა თქმა უნდა, სერჟ კლემანს მობილური ძილშიც არ დაესიზმრებოდა, აი, ტანზე კი ბალანი უხვად უბიბინებდა. ერთი სიტყვით, სილამაზისა არაფერი ეცხო, სამაგიეროდ, მთელი მისი პიროვნება ისეთ აშკარა ვაჟკაცურ ძალას ასხივებდა, რომ ახალგაზრდა ქალმა ცდუნებას ვერ გაუძლო. გარდა ამისა, სერჟს მომავალიც დაგეგმილი ჰქონდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობამ ნათლად დაანახა, რომ პატივმოყვარე ექიმი, სამომავლოდ, პლასტიკურ ქირურგიაზე სარფიან საქმეს ვერც ინატრებდა. მაცდუნებელი სილამაზით ვაჭრობის მეტი და მეტი განვრცობა, ტრადიციული ოჯახების გახშირებული ნგრევა, დასავლეთ ევროპის ეკონომიკის მოსალოდნელი აღზევება, - ყოველივე ეს ბრწყინვალე მომავალს უქადდა არჩეულ ხელობას. მთელს ევროპასა და რაღა თქმა უნდა, საფრანგეთშიც, სერჟ კლემანი პირველი მიხვდა ამას. მაგრამ თავი და თავი ის იყო, რომ საქმის ადგილიდან დაძვრას ფული სჭირდებოდა, კლემანი კი იმ ხანობაში მშრალზე იჯდა. სასიძოს მარიფათიანობით მოხიბლულმა მარტენ სეკალდიმ ჯიბეზე ხელი გაიკრა და 1953 წელს ნეიიში კლინიკა გახსნა. პირველი წარმატება, რომელსაც იმ დროისთვის ესოდენ მომეტებულმა ქალებისთვის განკუთვნილმა ჟურნალებმაც აუწყვეს ხმა, მართლაც რომ თავბრუდამხვევი გამოდგა; ამას კი, 1955 წელს, კანის მალობებზე, მეორე კლინიკის დაარსება მოყვა.

მეუღლეები, გვიანდელ ტერმინს თუ ვიხმართ, "თანამედროვე წყვილის" ყაიდაზე ცხოვრობდნენ და ჟანინის დაფენძიმება მხო-

ლოდ და მხოლოდ გაუფრთხილებლობას უნდა დაბრალდეს, თუმცა ნაყოფის მოცილება ქალს წამითაც არ უფიქრია. დედობა ნებისმიერმა ქალმა უნდა გამოსცადოსო, ამბობდა. ფეხმძიმობა თავის წესით და რიგით მიდიოდა და 1956 წელს ბრუნომ დღის ნათელი იხილა. ჩვილმა უამრავი თავსატეხი გაუჩინა ახალგაზრდებს, მალე გამუდმებული ზრუნვა ყელში ამოუვიდათ და საერთო თანხმობით, 1958 წელს, ბავშვი ჟანიჩის მშობლებთან გაამწესეს ალჟირში. ამ დროისთვის ჟანიჩი კვლავ დაორსულდა, მაგრამ ამჯერად მარკ ჯერზინსკისგან.

გაუსაძლისი სიდუხჭირით შეჭირვებულმა და ლამის შიმშილობის უკიდურეს ზღვართან მისულმა ოცი წლის ლუსიენ ჯერზინსკიმ 1919 წელს მიატოვა კატოვიცეს ქვანახშირის აუზი და ბედის საძებრად საფრანგეთს მიაშურა. თავდაპირველად, რკინიგზაზე დაიწყო მუშაობა, ჯერ მიწის მუშად, შემდეგ ლიანდაგების მეთვალყურედ; ცოლად ბურგუნდიიდან გადმოხვეწილი დღიური მუშების ქალიშვილი, რკინიგზის მოსამსახურე მარი ლე რუ შეერთო და ოთხი შვილის გაჩენა მოასწრო, სანამ 1944-ში მოკავშირეთა ყუმბარებს არ ემსხვერპლა.

იმ წელს, მესამე ვაჟიშვილს, მარკს, თოთხმეტი წელი შეუსრულდა. ჭკვიანი, დინჯი, მაგრამ ცოტაოდენ სევდიანი ბიჭი იყო. 1946 წელს, მეზობლის წყალობით, ჟუანვილში, პატეს კინოსტუდიაში მოეწყო ელექტრიკოსის შეგირდად. ნიჭიერმა ყმანვილმა საქმეში სწრაფად გაიწაფა ხელი: ერთი-ორი მოკლე გაკვეთილი და მთავარი ოპერატორის მოსვლამდე განათებაც მზად იყო. მერე თვით ანრი ალექანმა გამოარჩია და თანაშემწედ აყვანა მოისურვა, მაგრამ 1951 წელს მარკი ტელევიზიაში გადავიდა, რომელმაც ის-ის იყო პირველი გადაცემები გაუშვა ეთერში.

1957 წლის მაისის დასაწყისში, სენ-ტროპეში, სადაც გადაცემის მოსამზადებლად ჩავიდა, ჟანიჩს შეხვდა. სატელევიზიო გადაცემა, მეტწილად, ბრიჟიტ ბარდოს ეძღვნებოდა ("და ღმერთმა შექმნა ქალი" 1956 წელს გამოვიდა ეკრანებზე, სწორედ მან დაუდო სათავე ბარდოს მითს), თუმცა, მარკის ყურადღებას ხელოვანთა და ლიტერატორთა წრეების საქმიანობაც იზიდავდა, განსაკუთრებით იმათი, ვისაც, მოგვიანებით, "საგანის ბანდა" უწოდეს. ჟა-

ნინს ხიბლავდა ეს სამყაროც, რომელშიც, მიუხედავად ფულისა და სიმდიდრისა, ფეხი არ შეედგომებოდა და მარკიც, რომელიც მთელი არსებით შეიყვარა. თავი დაარწმუნა, მარკი დიდი კინორეჟისორი დადგებოდა და შეიძლება არც ცდებოდა. გადაცემაზე მუშაობისას მარკი მსუბუქ განათებას ხმარობდა და, ედვარდ ჰოპერის მსგავსად, ისე ოსტატურად მიუჩენდა საგნებს ადგილს, რომ ამალელებელი სცენები ერთდროულად უტყუარობის, სიმშვიდისა და სრული უიმედობის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ცნობილ ადამიანებს არ უფრთხობდა და ბარდოს თუ საგანს იმდენსავე პატივს მიაგებდა, რამდენსაც კალმარს ან კიბორჩხალას. სიტყვაძუნნი, სხვებთან სიახლოვეს გაურბოდა. ასეთი კაცის ხიბლს, აბა, ნინ რა დაუდგებოდა!

1958 წელს, ბრუნოს ალჟირში გამგზავრებიდან ცოტა ხნის შემდეგ, ჟანინი ქმარს გაშორდა. მშვიდად გაიყარნენ და ცოდვები თანაბრად გაიზიარეს. გულმონყალე სერჟმა კლინიკის საკუთარი წილი დათმო, რათა ყოფილ მეუღლეს სარჩო-საბადებელზე არ ეზრუნა. ახალი წყვილი სენტ-მაქსიმში დასახლდა, მაგრამ მარკს მარტოხელა კაცის ჩვევებისთვის არ უღალატია. ჟანინი გამუდმებით ეჩინებოდა, საკუთარ კარიერას მიხედუო; მარკი თავს უქნევდა, მაგრამ თითს თითზე არ აკარებდა და ახალ შეკვეთას ელოდებოდა. როდესაც ჟანინი წვეულებას მართავდა, მარკი, სადილობამდე, სამზარეულოში წაიხემსებდა და სანაპიროზე სასეირნოდ ეშურებოდა. შინ სტუმრების წასვლისას ბრუნდებოდა და ბოდიშობდა, ფილმის მონტაჟმა შემაგვიანაო. 1958 წლის ივნისში შვილის დაბადებამ დავთრები დაუბნია. სანოლთან დაყუდებული, დიდხანს აცქერდებოდა ბავშვს, რომელიც მამის ზუსტი ასლი იყო: სწორნაკვეთიანი სახე, გამოკვეთილი ღანვები, ფართე მწვანე თვალები. ცოტა ხანში ჟანიმმა მრუშობას მიჰყო ხელი. მარკი იტანჯებოდა, თუმც კი არვის უმხელდა, რადგან სულ უფრო და უფრო უკლო ლაპარაკს. კენჭების, ფიჩხისა და კიბოსნაირთა ბაკნებისგან პანანინა საკურთხევლებს აჩირთიფირებდა და მჭახე შუქზე სურათს უღებდა.

სენ-ტროპეში გაკეთებულმა გადაცემამ წარმატება მოუტანა, მაგრამ "კაიე დუ სინემას" ინტერვიუზე არა და არ დათანხმდა. მოკლემეტრაჟიანმა დოკუმენტურმა ფილმმა კიდევ უფრო გაუთქ-

ვა სახელი. 1959 წელს გადაღებული ერთობ მძაფრი ფილმი ჯგუფს "გაუ, ბიჭებს!" და "იე-იეს" მუსიკალური სტილის დაბადებას ეხებოდა. მხატვრული ფილმის გადაღება აზრად არასდროს მოსვლია და გოდარს ორჯერ შეუთვალა უარი. იმავე ხანებში, ჟანინი ლაჟვარდოვან სანაპიროზე ჩამოსული ამერიკელი ტურისტების გამოჭერით ირთობდა თავს. ამასობაში, ამერიკაში, კალიფორნიის შტატში, აქამდე გაუგონარმა მოვლენამ იჩინა თავი. იზალენში, ბიგ სურის სიახლოვეს, კომუნები ყალიბდებოდა; გაერთიანების საფუძველი სექსუალური თავისუფლება და არაცნობიერის მოსახილველად გამიზნული ნარკოტიკები იყო. ჟანინი ფრანჩესკო დი მეოლას საყვარელი გახდა. იტალიური წარმოშობის ამერიკელი გინზბერგსა და ოლდოს ჰაქსლის იცნობდა და ამასთან ერთად, იზალენის ერთ-ერთი კომუნის დამაარსებელიც გახლდათ.

1960 წელს მარკი, ახალი ყაიდის კომუნისტურ წყობაზე ფილმის გადასაღებად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გაემგზავრა. სენტ-მაქსიმში 23 ივნისის ნაშუადღევს დაბრუნდა. სახლი დაცარიელებული ეჩვენა, მაგრამ სასტუმრო ოთახში, ხალიჩაზე ფეხმორთხმულ თხუთმეტიოდე წლის დედიშობილა გოგონას წაადგა თავს. "Gone to the beach", - ძლივს ამოღერლა გოგომ მარკის კითხვების პასუხად და ისევ მიიბნინდა. ჟანინის ოთახში, საწოლზე გარდიგარდმო გამხლართული გაღეშილი წვეროსანი ხვრინავდა. მარკმა ყური ცქვიტა: საიდანღაც გმინვა თუ ხვნეშა ისმოდა.

ზემო სართულის საწოლი ოთახი საშინლად ყარდა. ფანჯრიდან შემოჭრილი შუქი იატაკის შავ-თეთრ ფილებს აელვარებდა. იატაკზე, შარდის გუბეებსა და განავლის გროვებს შორის მისი შვილი დაფოფხავდა, ბავშვი თვალებს აცეცებდა და გაბმით მოთქვამდა. ვილაცის სიახლოვე რომ იგრძნო, გაქცევა დააპირა. მარკმა ხელში აიყვანა; დაფეთებული პატარა მამის მკლავებში კანკალებდა.

მარკი სახლიდან გამოვიდა და იქვე, ჯიხურში, ჩვილის სამგზავრო სკამი იყდა. მერე ჟანინს მოკლე ბარათი დაუტოვა, მანქანაში ჩაჯდა, სკამი საზურგეს მოარგო და ჩრდილოეთისკენ აიღო გეზი. ვალანსის მაღლობებთან ცენტრალური მასივისკენ გაუხვია. ლამდებოდა, დროდადრო, მოსახვევებს შორის, უკანა საჯდომზე მთვლემარე შვილისკენ აპარებდა მზერას და რაღაც უცნაური გრძნობა ეძალებოდა.

იმ დღიდან მოყოლებული, მიშელის აღზრდა ბებიამ იკისრა, რომელიც პენსიაში გასვლის შემდეგ მშობლიური იონის დეპარტამენტში დაბრუნდა. უანინი კალიფორნიაში, დი მეოლას კომუნაში გადასახლდა. მიშელს დედა თხუთმეტ წლამდე თვალითაც არ უნახავს. სტუმრობით არც მამამისი ანებივრებდა. 1964 წელს მარკი, რეპორტაჟის მოსამზადებლად, ტიბეტში გაემგზავრა, სადაც იმ დროისთვის ჩინელები ბატონობდნენ. დედას წერილით შეატყობინა, არაფერი მიჭირს, აღფრთოვანებული ვარ ტიბეტელი ბუდისტების გამოსვლებით, რომლებსაც ჩინელები უმოწყალოდ სდევნიანო. ეს იყო და ეს, ამიერიდან მისი ასავალ-დასავალი ვერაფერს გაიგო. საფრანგეთმა საპროტესტო ნოტა გაუგზავნა ჩინეთს, მაგრამ ამაოდ დაშვრა, მისი სხეულიც კი ვერ იპოვეს და ერთწლიანი უშედეგო ძებნის შემდეგ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად დაიგულებს.

1968 წელი დადგა, მიშელი ათი წლისაა. ორი წლის ასაკიდან ბებიასთან ცხოვრობს შარნიში, ლუარეს საზღვართან. დილით ადრე იღვიძებს და ბებიას საუზმეს უმზადებს. პატარა სამახსოვრო რვეულში ჩანერილი აქვს, რა დრო უნდა ჩაის დაყენებას, რამდენი ბუტერბროდია საჭირო და სხვა მისთანანი.

ხშირად, სადილობამდე, ოთახში იკეტება და ჟიულ ვერნს, "ძალი პიფის თავგადასავლებს" ან "ხუთთა კლუბს" კითხულობს, მაგრამ უფრო მეტი სიამოვნებით "მთელი სამყაროს" ტომებს ეტანება. რა გინდა სულო და გულო: მასალათა გამძლეობა თუ ტაჯ მაჰალი, სასახლე, რომელიც უხსოვარ დროს ერთმა მეფემ გარდაცვლილი დედოფლის სამახსოვროდ ააგო; სოკრატეს სიკვდილის ამბავი თუ სამი ათასი წლის წინ ევკლიდეს მიერ გამოგონებული გეომეტრია.

ნაშუადღევს ბაღში ატარებს. მოკლე შარვალში გამოწყობილი, ალუბლის ხეს ზურგმიყრდნობილი, ბალახის სილბილეს გრძნობს. მზის მცხუნვარება სახეზე ეღვრება. სალათის ფოთლები სიმხურვალეს ისრუტავენ. საღამოს, მორწყვის დრო რომ დაუდგებათ, წყლის წვეთებსაც ასე დაეწაფებიან. ის კი ისევ თავის "მთელ სამყაროს" ჩაკირკიტებს, ან "ას კითხვას" ფურცლავს. სალათის არ იყოს, ბიჭი ცოდნას ენაფება.

ზოგჯერ ველოსიპედს შემოაჯდება და მინდვრებში დაქრის; სატერფულებს გამეტებით აწვება და ღრმად ისუნთქავს მარადისობის სიტკბოებას. ხანმოკლეა ბავშვობის მარადისობა, ის კი ბაიბურშიც არ არის. პეიზაჟები ერთმანეთს ენაცვლება.

შარნიში ერთი საბაყლოს მეტი არც არაფერი შემორჩა. ყასაბის მანქანა ოთხშაბათობით შემოივლის, თევზით მოვაჭრისა კი პარასკეობით. შაბათს ბებია სანებლიან ვირთევზას ამზადებს. მიშელისთვის ეს უკანასკნელი წელია შარნიში, ის კი აზრზეც არ არის. წლის დასაწყისში ბებიას გულმა უმტყუნა. მისი ორი პარიზელი ქალიშვილი მისთვის ბინას ეძებს საკუთარი სახლების სიახლოვეს. ბებიას მთელი წელი მარტო ცხოვრება გაუჭირდება, ბალსაც ვერავინ მიხედავს.

მიშელი ტოლებთან თამაშს ერიდება, მაგრამ არვინ ემდურის, თუმცა კი უკარებს სახელი აქვს დაგდებული. სკოლაშიც პირველია, ყველაფერს ადვილად უღებს ალღოს. ყველა საგანში მაგარია და გაამაყებულ ბებიას საქებარი სიტყვები არ ელევა. თანატოლები არ იბოლმებიან და არც ეკინკლავებიან. საკუთარი რვეულიდან გადანერას არვის უშლის, ის კი არა და, სანამ მეზობელი საქმეს არ მორჩება, ფურცელს არ გადაშლის. პირველი კია, მაგრამ ბოლო მერხზე ზის. მისი ციხე-დარბაზი ქვიშაზეა აგებული, სამეფოს კეთილდღეობა კი მოჩვენებითია.

6

ზაფხულის ერთ ნაშუადღევს, ჯერ კიდევ იონში ყოფნისას, მიშელმა და მისმა ბიძაშვილმა ბრიუიტმა მინდვრებისკენ გაინავარდეს. ბრიუიტი, თექვსმეტი წლის ლამაზი, სანდომიანი გოგო, მოგვიანებით ვილაც ყეყეჩს გაჰყვა ცოლად. 1967 წლის ზაფხული იდგა. ქალიშვილმა ხელი ჩასჭიდა მიშელს და თავის გარშემო ატრიალებდა; მერე ახალმოთიბულ ბალახებზე დაეცნენ. ბიჭი გოგოს ცხელ მკერდს ეკვროდა. გოგოს მოკლე ქვედაბოლო ეცვა. მეორე დღეს, ორთავეს ტანზე წითელმა ბუშტულებმა დააყარა და საშინელი ქავილი აუტყდა. ზაფხულში, *Trombidium holosericum* - სხვანაირად, წითელკანიანი ტკიპა - მინდვრებსაა მოდებული. დიამეტრი - ორი მილიმეტრი, სხეული - მკვრივი, ხორციანი, გაზნექილი და ხასხასა წითელი. ხორთუმს ძუძუმწოვართა კანში არჭობს და ნაკბენი აუტანელ ტკივილს იწვევს. *Linguatulia rhinaria*, ანუ, ხუთპირა, ძალღების, ზოგჯერ კი ადამიანების ნესტოებში, შუბლისა და ღანვების ფოსოებში იდებს ბინას. კვერცხისებური ემბრიონი და პატარა კუდი აქვს. პირი სახჩვლეთ იარაღს მიუგავს. გამოშვერილ ორ ნაზარდს ბრჭყალები უმშვენებს. 18-დან 25 მილიმეტრამდე სიგრძის ზრდასრული არსება თეთრია და ლანცეტივით თხელი. ბრტყელ, რგოლისებრ და გამჭვირვალე ტანს ეკლები უფარავს.

1968 წლის დეკემბერში ბებია ქალიშვილების ახლოს, სენ-ე-მარნის დეპარტამენტში გადასახლდა. პირველ ხანებში მიშელის ცხოვრება ბევრად არ შეცვლილა. პარიზს ორმოცდაათიოდე კილომეტრით დაშორებული კრენი-ან-ბრი იმ დროისთვის ჯერ კიდევ სოფლური დასახლება იყო. ლამაზი, ძველი სახლები ავ თვალს

არ ენახებოდა. კამილ კორომ იქ რამდენიმე სურათი დახატა. არ-
ხების საშუალებით, გრან-მორენის წყლები სოფელში შემოედინე-
ბა. ამიტომაც, ზოგიერთ ტურისტულ წიგნაკში კრესის, რა თქმა
უნდა, არცთუ მართებულად, "ბრის ვენეციად" მოიხსენიებენ. პა-
რიზში სამუშაოდ თითო-ოროლა კაცი თუ ჩადის; უმრავლესობა
ადგილობრივ წვრილ სანარმოებშია დასაქმებული, ან, კიდევ უფ-
რო ხშირად, სამუშაოს საძებნელად მოში მიდის.

ორ თვეში ბებია მ ტელევიზორი იყიდა. ის-ის იყო პირველ არხ-
ზე სარეკლამო განცხადებები გამოჩნდა. 1969 წლის 21 ივნისს, მი-
შელმა საკუთარი თვალთ იხილა ადამიანის პირველი ნაბიჯი
მთვარეზე. მასთან ერთად ამ დიდებულ სანახაობას დედამინაზე
გაბნეული ექვსასი ათასი მილიონი ტელემყურებელიც ადევნებდა
თვალს. იმ ტელეგადაცემის რამდენიმე საათმა დასავლეთის ტექ-
ნოლოგიური ოცნება აახდინა. და ეს მხოლოდ დასაწყისი იყო ამ
ოცნებისა, მისი ზემი.

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო წელი დიდი ხნის დაწყებუ-
ლი იყო, მიშელმა სწრაფად აულო ალლო კრესი-ან-ბრის ზოგადსა-
განმანათლებლო სკოლის სისტემას და ადვილად გადავიდა მეხუ-
თე კლასში. ყოველ ხუთშაბათს, ახლა უკვე სახეცვლილ "პიფს"
ყიდულობდა; სხვა მკითხველებისგან განსხვავებით, პოლიგრაფი-
ული სიახლე კი არა, უბრალოდ, მოულოდნელობებით სავსე თავ-
გადასავლები იზიდავდა. ეპოქებისა და დეკორაციების გასაოცარი
მრავალგვაროვნება კიდევ მეტი სიცხადით წარმოაჩენდა რამდე-
ნიმე მარტივ და ერთდროულად ღრმა მარადიულ ღირებულებას.
ვიკინგ რანიარს, ტედი ტედს, აპაჩების ბელადს, "სასტიკი ეპოქის
შვილს" რაანს და ხოჯა ნასრედინს, რომელიც თავის ნებაზე ათა-
მაშებდა ხალიფას თუ ვეზირს, ერთი და იგივე ზნეობა აერთიანე-
ბდა. თანდათანობით, მიშელმა ტვინში ჩაიჭედა შეგონება, რომელ-
მაც ღრმა კვალი დაამჩნია მის შემდგომ ცხოვრებას. ნიცშემ მხო-
ლოდ გააღიზიანა, კანტთან კი ის იპოვა, რაც მანამდეც კარგად
იცოდა. წმინდა ზნეობა ერთადერთი და საყოველთაოა. დროის
დინებას მასზე ხელი არ მიუწვდება, ვერც ვერას აკლებს და ვერც
ვერას მატებს. ის არავითარ ისტორიულ, ეკონომიკურ, სოციოლო-
გიურ თუ კულტურულ ფაქტორს არ ემორჩილება; ის არაფერზე
არ არის დამოკიდებული; არაფრით განსაზღვრული, თვით არის

განმსაზღვრელი ყოვლისა; სრულიად უპირობო, თვით არის ყოველ პირობათა დამდგენი. სხვა სიტყვებით, ის აბსოლუტია.

პრაქტიკული ზნეობა, ცვალებადი პროპორციით, წმინდა ზნეობის და სხვა, მეტ-ნაკლებად ბნელით მოცული, უფრო რელიგიური წარმომავლობის ელემენტების ნაზავია. რაც უფრო მეტი იქნება წმინდა ზნეობის წილი, მით უფრო ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრება ელის ამ ზნეობის მიმდევარ საზოგადოებას. დაბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსალური ზნეობის წმინდა პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოება სამყაროს დასასრულამდე იარსებებს.

მიშელს "პიფის" ყველა გმირი უყვარდა, განსაკუთრებით "შავი მგელი", მარტოხელა ინდიელი, ვის პიროვნებაშიც აპაჩის, სიუსა და სეიენის ტომების უკლებლივ ყველა კეთილი თვისება იყო თავმოყრილი. შავი მგელი სიგრძე-სიგანეზე სერავდა პრერიებს. ცხენი შინუკი და მგელი ტუპი ყველგან თან ახლდნენ. საქმეს ხომ აკეთებდა და აკეთებდა, ამასთან ერთად, თითოეულ ნაბიჯს ახსნა-განმარტებასაც უძებნიდა და საკუთარ კომენტარებს ტრანსცენდენტული ეთიკის კრიტიკრიუმებზე აფუძნებდა; პოეტურად მეტყველებდა და საუბარს დაკოტასა თუ კრის ტომების ანდაზებით, ხანდახან კი უფრო პროზაული "პრერიების კანონის" მინიშნებებით აჩუქურთმებდა. დიდი ხნის შემდეგ მიშელს "შავი მგელი" კანტიანელი გმირის სრულყოფილ განსახიერებად მიაჩნდა, რომლის შემყურე იფიქრებდი, ისე იქცევა, თითქოს ამ თავისი მაქსიმიებით, "მიზნების უნივერსალური სამეფოს" სჯულმდებელიაო. ზოგიერთი ამბავი, აი, თუნდაც "ტყავის სამაჯური", რომლის მთავარი გმირი ვარსკვლავების მაძიებელი შეიენების ტომის მოხუცი ბელადი იყო, სათავგადასავლო მოთხრობის ვიწრო ჩარჩოებს სცილდებოდა და მკითხველს წმინდა პოეტურ და ეთიკურ სამყაროს აზიარებდა.

ტელევიზორს თუ იკითხავთ, მიშელი მას არცთუ ისე დიდ პატივს სცემდა, თუმც კი გულაჩქროლებული ადევნებდა თვალს "ნადირთა სამყაროს" ყოველკვირეულ გადაცემას. თვალწარმტაცი ჯეირნის თუ შვლის ნუკრის ცხოვრება გამუდმებული შიში და ხიფათია. ლომებისა და ავაზების თვლემას, ჟამი-ჟამ, უეცარი და ულმობელი აფეთქება მოყვება: კლავენ, გლეჯენ და ხარბად ნთქა-

ვენ მათზე სუსტ, სიბერით დაუძღურებულ ან ავადმყოფ ცხოველებს, და მერე ისევ მოდუნდებიან, მათ უაზრო ძილს კი მხოლოდ პარაზიტი მწერების შემოტევა არღვევს, რომლებიც შიგნულს უზრავენ მიძინარე მხეცებს. ზოგ პარაზიტს უფრო მცირე პარაზიტები უტევენ, რომლებიც, თავის მხრივ, ვირუსების განაყოფიერებას და კვლავნარმოებას უწყობენ ხელს. ქვენარმავალნი ხეებს შორის დასრიალებენ და შხამიანი კბილებით ჩიტებსა და ძუძუმწოვართ კბენენ, თუკი, რა თქმა უნდა, იმ წამს თვით არ იქცევიან მტაცებელი ფრინველის ლუკმად. ამ საშინელ სურათებს თან ახლდა კლოდ დარჟეს ბრიყვულად მოზეიმე ხმა და სრულიად აზრს მოკლებული, გაუმართლებლად აღფრთოვანებული ახსნა-განმარტებები. მიშელი, რომელსაც ბოლმა ახრჩობდა, კარგად გრძნობდა, როგორ იზრდებოდა მასში ურყევი რწმენა: მთლიანად ველური ბუნება ერთი დიდი გულისამრევი სისაძაგლეა, განადგურების, სამყაროს ერთხელ და სამუდამოდ მოშთენის გამართლებაა, ადამიანს კი, სწორედ ამ ჰოლოკოსტის ბოლომდე მიყვანა აწევს ვალად.

1970 წელს "პიფში" გამოჩნდა სიახლე, რომელსაც ხანგრძლივი წარმატება ელოდა: ეს იყო ე.წ. "სიცოცხლის ფხვნილი". ყოველნომერს თან ახლდა მომცრო კონვერტი, რომელშიც ზღვის კიბორჩხალას, *Artemia salina*-ს ხიზილალა იდო. საუკუნეების განმავლობაში ამ ორგანიზმებს საღათას ძილით ეძინათ. მათი გაღვიძება გარკვეულ ძალისხმევას ითხოვდა: სამი დღის განმავლობაში დანდომილ თბილ წყალში ხიზილალას ყრიან და მსუბუქად შეანჯღრევენ. ჭურჭელს რამდენიმე დღე სინათლესა და სითბოში ტოვებენ და დროდადრო, აორთქლებისგან დასაცავად, შემთბარ წყალს უმატებენ. უანგბადი რომ არ მოაკლდეს, ნაზავს ფრთხილად ურევენ. რამდენიმე კვირაც და ჭურჭელში გამჭვირვალე კიბორჩხალების ჯარი აფუსფუსდება. მართალი თუ გნებავთ, ამაზრზენი შესახედაობა აქვთ, სამაგიეროდ ცოცხლები არიან. მიშელს ისინი არაფერში სჭირდებოდა, ამიტომაც, ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ, ჭურჭელს გრან მორენში გადაუძახა.

იმავე ნომერში, ოც გვერდზე მოთხრობილი თავგადასავლები მკითხველს აცნობდა რაჰანის ახალგაზრდობას და იმას, თუ როგორ გახდა იგი წინარეისტორიული მარტოსული გმირი. რაჰანი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როდესაც მთელი მისი ტომი ვულკანის

ლავაში დაინთქა. მამამისმა, "ბრძენმა კრაომ", შვილს მხოლოდ ყელსაბამი დაუტოვა, რომელზედაც სამი ბრჭყალი იყო აცმული. თითოეული მათგანი "წელგამართულად მოსიარულეთა", ანუ ადამიანთა ერთ რომელიმე თვისებას განასახიერებდა. ასე და ამრიგად, ერთი პატიოსნებისა იყო, მეორე სიმამაცისა; ყველაზე მნიშვნელოვანი კი სიკეთისა. იმ დღიდან მოყოლებული, რაჰანი ამ ყელსაბამს წამითაც არ იშორებდა, და მუდამ ცდილობდა ამ თვისებების ღირსეული მატარებელი ყოფილიყო.

კრესის სახლს, მთელ გაყოლებაზე, ბალი ერტყა. ბაღში ალუბლის ხეები ხარობდა, გაცილებით ტანმომცრო, ვინემ იონში. მიშელი ისევ და ისევ "მთელ სამყაროს" და "ას კითხვას" ჩაკირკიტებდა. დაბადების დღეზე ბებია "პატარა ქიმიკოსის" ყუთი აჩუქა. ქიმიკა მექანიკასა და ელექტრობაზე საინტერესო ეჩვენა, უფრო იდუმალი და უფრო მრავალმხრივი. ქიმიური ნივთიერებები სხვადასხვა ფერის, სიდიდისა და მოყვანილობის უჯრებში იდო, იმგვარად, რომ ერთხელ და სამუდამოდ ერთმანეთისაგან გამიჯნული ესენციები გეგონებოდა. მაგრამ რანამს ერთმანეთს შეეხლებოდნენ, ძლიერი ურთიერთზემოქმედებით, თვალის ერთ დახამხამებაში, სრულიად ახალ ნაერთს ქმნიდნენ.

ივლისის ერთ მშვენიერ შუადღეს, ბაღში წიგნის კითხვისას, მიშელს თავში გაუელვა, რომ სიცოცხლის ქიმიური საფუძვლები, შეიძლება, ძირფესვიანად სხვაგვარი ყოფილიყო. ის როლი, რომელსაც ცოცხალ არსებებში ნახშირბადის, ჟანგბადისა და აზოტის მოლეკულები ასრულებდნენ, შეიძლებოდა, იმავე ვალენტობის, მაგრამ უფრო მეტი ატომური წონის მქონე სხვა მოლეკულებს ეკისრათ. სხვა პლანეტაზე, განსხვავებული ტემპერატურისა და წნევის პირობებში, სიცოცხლის მოლეკულები, ადვილი დასაშვებია, კრემნიუმი, გოგირდი და ფოსფორი ყოფილიყო; ან თუნდაც, გერმანიუმი, სელენიუმი და დარიშხანი; თუთიას, ტელურსა და ტიბიუმსაც ვერ გამორიცხავდი. მიშელს აზრის გამზიარებელი არვინ ეგულებოდა და ბებიას სთხოვა, ბიოქიმიის რამდენიმე სახელმძღვანელო ეყიდა.

ბრუნოს ოთხი წლის ასაკიდან ახსოვდა თავი და პირველი გახსენება დამცირებას უკავშირდებოდა. იმხანად ალჟირში, ლაპერლიეს პარკის საბავშვო ბაღში დადიოდა. შემოდგომის ერთ დღეს აღმზრდელმა ბიჭებს აუხსნა, როგორ დაემზადებინათ ფოთლებისაგან ყელსაბამები. გოგონები იქვე გორაკზე იხდნენ და მათთვის ჯერ კიდევ ნაადრევი ბრიყვული დედაკაცური მორჩილებით ელოდებოდნენ ძღვენს. უმრავლესობას თეთრი კაბა ეცვა. მიწას ნაბლისა და ჭადრის ხეების ოქროსფერი ფოთლები ფარავდა. ბრუნოს ამხანაგებმა ერთიმეორის მიყოლებით მოიმთავრეს საქმე და ყელსაბამები თანატოლ გულისწორებს ჩამოკიდეს. ბრუნოს არაფერი გამოსდიოდა, ფოთლები იფშვნიტებოდა, ხელში ვერაფერს იმაგრებდა. როგორ აუხსნას სხვებს, რომ მასაც სჭირდება სიყვარული? ამას მხოლოდ ყელსაბამით თუ შეძლებდა. სიბრაზისგან ცრემლები წასკდა. აღმზრდელი ზედაც არ უყურებდა. ყველაფერი დასრულდა... ბავშვები წამოდგნენ და ბილიკს გასასვლელისკენ გაუყვნენ. საბავშვო ბაღი იკეტებოდა.

ბაბუა და ბებია ედგარ-კინეს ბულვარზე, ლამაზ ბინაში ცხოვრობდნენ. ალჟირელი ბურჟუების სახლები ბარონ ოსმანის გეგმით აშენებულ პარიზულ სახლებს წააგავდა. ოცი მეტრი სიგრძის დერეფანი მთელ ბინას კვეთდა და აივნის გავლით, საიდანაც თეთრი ქალაქის ხედი იშლებოდა, სასტუმრო ოთახში გადიოდა. წლები გამოხდებდა და ორმოც წელს მიღწეულ, ცხოვრებაზე გულაყრილ, ბუზღუნა ბრუნოს კვლავ და კვლავ თვალწინ დაუდგება ერთი და იგივე სურათი: სამბორბლიან ველოსიპედზე გადამჯდარი ოთხი წლის ბიჭი ბნელი დერეფნით მზიანი აივნისკენ მიგრიალებს.

ეტყობა, მიწიერი ბედნიერების მთელი ხიბლი სწორედ იმ წუთებში შეიგრძნო.

1961 წელს ბაბუა გარდაიცვალა. ჩვენს კლიმატში, ძუძუმწოვრას ან ჩიტის გვამი თავდაპირველად ბუზების გარკვეულ სახეობას იზიდავს (*Musca, Curtonevra*), მცირედად გაიხრწნება თუ არა, არც სხვები აკლებენ ხელს, კერძოდ *Calliphora* და *Lucilic*. ერთი მხრივ ბაქტერიების, მეორე მხრივ ჭიების მიერ გამოყოფილი საჭმლის მომნელებელი წვენის ზემოქმედების შედეგად გვამი მეტნაკლებად გათხევადდება და ზეთოვანი და ამიაკალური ფერმენტაციის ბუდედ იქცევა. სამ თვეში ბუზები თავისას მორჩებიან და ადგილს *Dermestes* ჯიშის მწერებსა და *Aglossa pinguinalis*, ქერცლფრთიან პეპლებს უთმობენ, რომლებიც, უმეტესად, ცხიმებით იკვებებიან. აფუებულ ცილოვან მასას *Piophilha petasiomis* მატლები და *Corynetes* ფრთახეშეშა მწერები აცხრებიან. ჯერ კიდევ ნოტიო მძორი ტკიპების არჩივი ხდება, რომელიც ბოლო წვეთამდე გამოწუნნიან ჩირქოვან სისხლს. მზეზე გამომშრალ, მუმიადქცეულ გვამს ახალი მდგმურები, ტყავისჭამია ჭია-ლები და *Aglossa cuprealis* ან *Tineola biselelia*-ს პეპლების მუხლუხები ეპატრონებიან. სწორედ ისინი უსვამენ ციკლს ბოლო წერტილს.

ბრუნოს ხშირად თვალწინ უდგება ბაბუას ღრმა, ლამაზი, შავი კუბო, რომელსაც ვერცხლის ჯვარი ამშვენებს და ამ ზმანების მხილველს, მშვიდი ბედნიერების განცდა ეუფლება. ასეთ დიდებული კუბოში ჩასვენებული ბაბუა თავს კარგად უნდა გრძნობდეს. მხოლოდ მოგვიანებით შეიტყობს ბრუნო ყველა იმ ჭია-მატლებსა და სხვადასხვა ჯურის ტკიპების არსებობას, იტალიელ კინოვარსკვლავებს რომ მიუგავთ სახელები. და მაინც, ბაბუას კუბო ნეტარ ხილვად შემორჩა მის მეხსიერებას.

მარსელში ჩასვლის დღე და ფილებით განწყობილი სამზარეულოს შუაგულში სკივრზე წამოსკუპებული ბებიაც კარგად ახსოვს... იატაკზე ტარაკანები დაფუსფუსებდნენ. იმ დღეს იყო სწორედ, ბებია რომ აურია. რამდენიმე კვირა ჯერ სიკვდილს ებრძოდა, მერე ალჟირის ნაჩქარევად დატოვება და მარსელში, რის ვაი-ვაგლახით ნაშოვნ ბინაში გადასახლება მოუხდა. ჭუჭყიანი უბანი ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა. აქამდე საფრანგეთ-

ში ფეხიც არ დაუდგამს. ქალიშვილმაც ვერ უპატრონა, ეს კი არა და, მამის დაკრძალვაზეც არ მოვიდა. შეცდომა თუ იყო... ეტყობა, ოდესღაც, ვილაცას რაღაც შეეშალა.

ბებია მ ბოლო ღონეს მოუხმო და კიდევ ხუთი წელი გაძლო. ავეჯი შეიძინა, სასადილო ოთახში ბრუნოს საწოლი დადგა და ბიჭი უბნის დაწყებით სკოლაში მიაბარა. საღამოობით სკოლიდან მოჰყავდა. როდესაც ეს ჩია, გამხდარი და წელში მოხრილი დედაბერი სკოლის წინ ხელზე წაეტანებოდა, ბიჭს სირცხვილი წვავდა. სხვებს მშობლები აკითხავდნენ; დედ-მამა გაყრილი ბავშვები იმ დროს ჯერ კიდევ იშვიათობა იყო.

ღამდამობით ბებია განვლილ ცხოვრებას იხსენებდა და ნანობდა, რომ ესოდენ სავალალო დასასრული ერგო. ოთახს დაბალი ქერი ჰქონდა და ზაფხულში სიცხის ბული დგებოდა. ბებია განთიადისას თუ ახერხებდა ჩაძინებას. მთელი დღე ფლოსტებით ბინაში დაფრატუნებდა, ვერც ატყობდა, რომ ხმამაღლა ფიქრობდა და გამუდმებით ერთსა და იმავეს ჩურჩუტებდა. ქალიშვილის საქციელი ვერა და ვერ გადახარშა. "მამამისის დასაფლავებაზეც კი არ მოვიდა...". ოთახებს წრეს უვლიდა, ხელში იატაკის ჩვარი ან ქვაბი ეკავა, თუმცა აღარც კი ახსოვდა, რა რისთვის უნდა ეხმარა. "მამის დასაფლავება... მამის დასაფლავება..." ნამდაუნუმ იმეორებდა და ფლოსტებს იატაკზე მიაფლატუნებდა. დამფრთხალი ბრუნო საწოლში იკუნტებოდა. კარგად ესმოდა, რომ საქმეს ცუდი პირი უჩანდა. ზოგჯერ, ბებია, ჯერ კიდევ საშინაო ხალათში, თმებში ბიგუდებით, დილიდანვე გაუტევდა. "ალჟირი საფრანგეთია..." - იტყოდა და ფლოსტებს ააფრატუნებდა. ოთახებში ბოლთას სცემდა, უხილავ წერტილს მიჩერებოდა და მიკნავებული ხმით იმეორებდა: "საფრანგეთი... საფრანგეთი...".

კარგი მზარეული იყო და ამით მუდამ თავი მოჰქონდა. ბრუნოს ათი კაცის სამყოფ მსუყე კერძებს უმზადებდა. წინაკა ზეთში, ანჩოუსები, კარტოფილის სალათი; მთავარ კერძს, ხშირად, ხუთნაირი ხემსი უსწრებდა - ფარშირებული ყაბაყი, ბოცვერი ზეთისხილით, ზოგჯერ კუსკუსსაც გამოურევდა. ერთადერთი, ტკბილეულის გაკეთება არ ეხერხებოდა, მაგრამ პენსიის დღეს, სახლში ნუგის, ნაბლის კრემისა და ექსში დამზადებული ნუშის ორცხობილას ყუთებით ბრუნდებოდა. თანდათანობით ბრუნო ქონით დამ-

ძიმებულ ქალაჩუნად იქცა. ბებია საჭმელს პირს თითქმის არ აკარებდა. კვირა დილით ცოტა გვიან დგებოდა; ბრუნო სანოლში უწვევოდა და გაძვალტყავებულ სხეულს ეკვროდა. ზოგჯერ, წარმოსახვაში, დანას იღებდა, ბებიას ოთახში შედიოდა და შიგ გულში ჩასცემდა. მერე ცხედართან დამხობილი, მკლავებში თავჩარგული ცრემლად იღვრებოდა და მოთქვამდა; ცოტა ხანში თვითონაც სულს განუტყევებდა.

1966 წელს ბებიამ ქალიშვილის წერილი მიიღო. მისამართი ბრუნოს მამისგან შეიტყო, რომელსაც ბებია ყოველ წელს საშობაო მილოცვას უგზავნიდა. წარსულს სულაც რომ არ ნანობდა, ამ ერთი წინადადებიდანაც კარგად ჩანს: "მამის სიკვდილი და შენი ახალმოსახლეობის ამბავი შევიტყვე". ისიც აუწყა, კალიფორნიის დატოვებას და საფრანგეთში გადმოსახლებას ვაპირებო; აი, მისამართი კი დაუმალა.

1967 წლის მარტის ერთ დილით, ყაბაყის ღვეხელის სამზადისში რომ იყო, ბებიამ აღუღებული ზეთის ქვაბს ხელი წაკრა და ზედ გადმოიპირქვა. იმდენი კი მოახერხა, რომ დერეფანში გააღწია, თან განწირული ხმით კიოდა და მთელი სამეზობლო შეყარა. იმ საღამოს, სკოლის წინ, ბრუნოს ქალბატონი აუზი შეეგება, რომელიც მათ თავზემოდ ცხოვრობდა და პირდაპირ საავადმყოფოში წაიყვანა. ბებიასთან რამდენიმე წუთით მიუშვეს. ქრილობებს ზენარი უფარავდა. ეტყობა მორფით გაჭყიპეს, მაგრამ ბრუნო მაინც იცნო და ხელი ჩაავლო. მერე ბავშვი გაიყვანეს. ღამით ბებიას გულმა უმტყუნა.

ბრუნო მეორედ შეეჯახა სიკვდილს და ამჯერადაც ამ მოვლენას თავი და ბოლო ვერ გაუგო. წლების გავლის შემდეგაც, ფრანგულში თუ ისტორიაში მაღალი შეფასების მიღებისას, თავისთვის იტყოდა, ყველაფერს ბებიას მოვუყვებო, თუმც კი წამსვე ახსენებოდა, რომ ბებია ცოცხლების სიაში კარგა ხანია აღარ ეწერა. მიუხედავად ამისა, წამიერი ყოყმანის შემდეგ დიალოგი გრძელდებოდა. თანამედროვე ლიტერატურის სწავლების ნებართვის მისაღებად რომ ემზადებოდა, ბებიასთან ერთად დიდხანს ჩაჰკირკიტებდა ჩანაწერებს. უკვე იმ დროს, ბებიას უგუნებობის ფაშს თუ იხსენებდა. ახლა კი, ერთობლივი მეცადინეობის აღსანიშნად, ორი ყუთი ნაბლის კრემი იყიდა; ეს მათი უკანასკნელი ხანგრძლივი სა-

უბარი იყო. როდესაც სწავლა დაასრულა და მასწავლებლობას შეუდგა, შეამჩნია, რომ შეიცვალა და ბებიასთან დაკავშირება ძალზე უჭირდა. ბებიას აჩრდილი კედლის იქით უჩინარდებოდა.

დასაფლავების მეორე დღეს უცნაური რამ მოხდა. მამა და დედა, რომლებსაც პირველად ხედავდა, ნაკინკლავდნენ, შვილს რა მოვუხერხოთო. მარსელის ბინის დიდ ოთახში იყვნენ. სანოლზე ჩამომჯდარი ბრუნო ყურდაცქვეტილი უსმენდა. საინტერესოა, როდესაც სხვები შენზე ლაპარაკობენ, მით უმეტეს, თუ ისინი შენს იქ ყოფნას ვერც ამჩნევენ. ის კი არა და, შეიძლება საკუთარ არსებობაში დაეჭვდე. ამას კი თავისი ხიბლი აქვს. ასეა თუ ისე, ბრუნოს ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს მშობლები ვიღაც სხვაზე ლაპარაკობდნენ. არადა, ამ საუბარმა მისი ბედი განსაზღვრა. ბრუნო ხშირად იხსენებდა იმ დღეს, თუმც, უნდა ითქვას, განსაკუთრებულს ვერაფერს გრძნობდა. უფროსები უცხოებად რჩებოდნენ, ვერ იქნა და ვერ დაამყარა სისხლხორციელი ერთობა ამ ორ ადამიანთან. მეხსიერებას მხოლოდ მათი მაღალი ტანი და ახალგაზრდული იერი შემორჩა. სექტემბრიდან მეექვსე კლასში უნდა ევლო. გადანყდა, ინტერნატში მიებარებინათ, შაბათ-კვირას კი მამამისი თავისთან წაიყვანდა პარიზში. თავის მხრივ, დედამისიც შეეცდებოდა არდადეგები, ზოგჯერ მაინც, ერთად გაეტარებინათ. ბრუნო მშობლებს არ შეეკამათებია, დარწმუნებული იყო, რომ ერთიც და მეორეც მხოლოდ მის სიკეთეზე ზრუნავდნენ. ყველა ყველა და ნაღდი ცხოვრება მხოლოდ ბებიის გვერდით იგემა.

მხეცი ომება

ბრუნო პირსაბანზე იხრება. პიჟამის ზედატანი გაიხადა და პატარა, თეთრი მუცლის ნაკეცებით ნიჟარის მინანქარს მიეყრდნო. თერთმეტი წლისაა. როგორც ყოველ საღამოს, ახლაც კბილები უნდა გამოიხეხოს. იმედი აქვს, ყველაფერი წესით და რიგით ჩაივლის. მაგრამ, აი, ვიღმარი უახლოვდება, იგი ჯერ მარტოა და მხარზე ხელს წაართყამს. დაფეთებული აკანკალებული ბრუნო უკან-უკან იხევს, კარგად იცის, რაც მოხდება და სუსტი ხმით ამოლერღავს: "შემეშვი..."

მერე პელე გამოჩნდება. დაბალი, ჩასხმული, ღონიერი ბიჭია. პელე ბრუნოს გაულანუნებს. ბრუნოს ცრემლები წასკდება. მომხდურები იატაკზე დაანარცხებენ, ფეხებში წაეტანებიან და მიათრევენ. საპირფარეშოსთან შარვალს ჩახდიან. ბრუნოს პატარა, ჯერ კიდევ ბავშვურ ასოსთან ბალანი არ ამოსვლია. ის ორი თმებში ქაჩავს და აიძულებს პირი დააღოს. პელე სახეში საპირფარეშოს ცოცხს ჩრის. განავლის მყრალი სუნი ნესტოებს უვსებს და ღრიალს მოყვება.

მტანჯველებს ბრასერიც შემოუერთდა. თოთხმეტი წლისაა, მეექვსე კლასელებში ყველაზე უფროსია. ასოს დააძრობს, რომელიც ბრუნოს უზარმაზარი და მკვრივი ეჩვენება. ბრუნოს თავზე დაადგება და სახეზე აფსამს. გუშინ ასო მოაწუნნინა, მერე დუნდულები აალოკინა. ამ საღამოს ამის ხასიათზე არ არის. "კლემან, ეს რა მელლოტი კუტუნა გქონია, - ქირქილებს ბრასერი, - რამე უნდა ვუშველოთ, ბალანმა რომ იზარდოს..." მის ნიშანზე, ის ორი ბრუნოს ას-

ოს საპნით ქაფავს. ბრასერი სამართებელს ხსნის და ზედ ასოსთან მიუტანს. ბრუნო შიშისგან ჩაისვრის.

1968 წლის ერთ ღამეს ზედამხედველმა ბრუნო ეზოს განაპირა საპირფარეოში დაგდებული იპოვა, შიშველი, თავიდან ბოლომდე განავლით მოთხვრილი. პიუჟამა მოახურა და უფროს ზედამხედველს, კოენს მიჰგვარა. ბრუნოს ეშინოდა, ყველაფერს დამაფუძვეინებენო. არადა, ბრასერის ხსენება არაფრად ეპიტნავებოდა. მაგრამ, ძილგამფრთხალმა კოენმა ბიჭს დაუყვავა. უმცროსი ზედამხედველებისგან განსხვავებით, იგი თავის აღსაზრდელებს თქვენობით მიმართავდა. მესამე ინტერნატში უხდებოდა მუშაობა და ამაზე უარესსაც შესწრებია. ისიც კარგად უნყოდა, რომ მსხვერპლი არაფრის დიდებით არ დაასმენდა ჯალათს. ერთი ის იყო, რომ მეექვსე კლასელების სანოლ ოთახზე გამწესებულ ზედამხედველს საყვედურს გამოუცხადებდა. ამ ბავშვებისთვის, რომელთა უმრავლესობა მშობლებმა ბედის ანაბარა მიაგდეს, ერთადერთი ავტორიტეტი კოენი გახლდათ. ბავშვებისთვის თვალი და ყური არ უნდა მოეშორებინა და საქმისთვის მანამდე უნდა მიეხედა, სანამ რამე დაშავდებოდა, მაგრამ ხუთიოდე ზედამხედველი ორას მოსწავლეს, აბა, როგორ განვდებოდა?! ბრუნო რომ გაისტუმრა, ყავა დაისხა და მეექვსე კლასელების საქაღალდეებს ჩაუჯდა. ეჭვი პელესა და ბრასერზე მიიტანა, მაგრამ დამტკიცება გაუჭირდებოდა. თუკი ერთხელ მაინც გამოიჭირა, ორთავეს კინწის კვრით გაუძახებს სკოლიდან. საკმარისია, ვინმე რაიმე უმსგავსობა ჩაიდინოს და მყისვე დანარჩენებსაც აიყოლიებს. სისასტიკე გადამდებია და ბანდებად გაერთიანებულ ბიჭებს მეტი რალა უნდათ, თუ არა ის, რომ მათზე სუსტებს შავი დღე აყარონ. სიყმანვილეში ფეხის შედგმა და სისასტიკისა და სიმხეცის ამოფრქვევა ერთია. კოენმა კარგად იცოდა, რომ იმას, ვინც კანონს ზურგი აქცია, ველარაფერი დააკავენ. მოს ინტერნეტში მოსვლისას იმდენი მაინც მოახერხა, რომ მოსწავლეებს მისი შიში ძვალ-რბილში გაუჯდათ. კოენი გრძნობდა, რომ რადაც არ უნდა დაჯდომოდა, კანონს მხარში უნდა ამოდგომოდა, თუ არა და ბრუნოსთანა ბიჭებს ჯოჯოხეთი სანატრელი გაუხდებოდათ.

მეექვსე კლასში ჩარჩენილმა ბრუნომ შვებით ამოისუნთქა. მეხუთეში გადასული პელე, ბრასერი და ვილმარი ახალ საძინებელში

გადაბარგდნენ. საუბედუროდ, 68 წლის მოვლენების გათვალისწინებით, განათლების სამინისტრომ ინტერნატებს მასწავლებლების შემცირება და თვითდისციპლინის სისტემაზე გადასვლა დაავალა. დროის მოთხოვნა იყო, ამასთან ერთად სახელფასო ხარჯებიც დაიზოგებოდა. ახლა უკვე დაუბრკოლებლად შეიძლებოდა საძინებლიდან საძინებელში გადასვლა. მეხუთე კლასელებმა წესად იღეს, კვირაში ერთხელ მაინც აენიოკებინათ უმცროსები. მძევლად ორ ან სამ ბიჭს გამოიყოლიებდნენ და წარმოდგენაც იწყებოდა. დეკემბრის მინურულს, ჟან-მიშელ კემპფი, დაშინებული, ჩია ბიჭი, რომელიც წლის დასაწყისში მოვიდა სკოლაში, ტანჯვისგან თავის დასაღწევად, ფანჯრიდან გადახტა. წესით და რიგით სული ბოლომდე არ უნდა ჩაჰყოლოდა, მაგრამ ბედმა გაუღიმა და გადარჩა. მოტეხილობები კი, გიყვარდეს... სხეულზე ერთი მთელი ადგილიც აღარ შერჩა. კოჭი ისე გადაუტყცდა, რომ ძვლების ნატეხები ძლივს ამოუღეს. წესიერად ველარასდროს გაივლიდა. კოენმა ბავშვები დაკითხა და კიდევ ერთხელ დარწმუნდა საკუთარ სიმართლეში. პელე ვერა და ვერ გატეხა, მაგრამ სამი დღით მაინც დაითხოვა სკოლიდან. წესის მიხედვით, ცხოველთა ერთობა მორჩილების გარკვეულ სისტემას ემყარება, რომელსაც მის წევრთა განსხვავებული სიძლიერე განაპირობებს. ამ სისტემას მკაცრი იერარქია ახასიათებს: ხროვის ყველაზე ღონიერ მამრს "მხეცი ალფა" ეწოდება; მას ღონით მეორე "მხეცი ბეტა" მოყვება და ასე გრძელდება, სულ ბოლო, იერარქიაში ყველაზე უძლურ "მხეც ომეგამდე". იერარქიაში რიგობითობას ბრძოლის რიტუალი ადგენს; დაბალი ხარისხის ცხოველები, საკუთარი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათზე ძლიერ ცხოველებს ორთაბრძოლაში ინვევენ, რადგან იციან, გამარჯვების შემთხვევაში, დამარცხებულის ადგილს დაისაკუთრებენ. ერთი საფეხურით აღმასვლას გარკვეული პრივილეგიები ახლავს: პირველობა ჭამაში და ხროვის მდებრების დაუფლებებაში. მაგრამ ყველაზე სუსტ ცხოველს შეუძლია ბრძოლას თავი აარიდოს და საკუთარი ქცევით ძლიერს მორჩილება გამოუცხადოს (იჩოქებს და გავას მეტოქეს მიუშვერს). ბრუნოს უარესი დღე ადგა. ნებისმიერი ცხოველური საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ძალადობას და მასზე დაფუძნებულ მოძმეთა დამონებას, შიმპანზეს (Pan troglodytes) შემთხვევაში, სუსტების წინააღმდეგ მიმართული უმიზეზო სისასტიკეც ერთვის. ეს ტენდენცია კიდევ მეტად თვალსაჩინოა პირველყოფილ

ადამიანურ საზოგადოებებში. განვითარებულ საზოგადოებას რაც შეეხება, ის ბავშვებსა და ყმანვილებში იჩენს თავს. "სიბრალული", ანუ სხვისი ტანჯვის გათავისების ნიჭი, უფრო გვიან აღმოცენდება და მყისვე "ზნეობრივ კანონად" ყალიბდება. მოს ინტერნეტში ზნეობრივ კანონს უან კოენი განასახიერებდა და მისგან გადახვევას არვის პატიობდა. ამისთვის ნაცისტების მიერ ნიცშეს ნააზრევის გაყალბებასაც ამართლებდა: მისი აზრით, ნიცშეს მოძღვრებას, რომელიც უარყოფს თანაგრძნობას, არად დაგიდევს ზნეობრივ კანონს და პირადი ნების მეუფებას ქადაგებს, ბუნებრივად ნაციზმთან მივყავართ. ნამსახურობის ხანგრძლივობისა და მრავალნაირი დიპლომის სიუხვის წყალობით, კოენს შეეძლო ლიცეუმის დირექტორობისთვისაც გამოეკრა ხელი, მაგრამ, საკუთარი სურვილით, მთავარი ზედამხედველობა ირჩია. აკადემიის ინსპექციას რამდენჯერმე საჩივრითაც მიმართა, შტატების შემცირება საქმეს ვნებსო, მაგრამ ყური არვინ ათხოვა. ზოოპარკში, ხშირად, დარაჯის ვერტიკალურად დგომა, მამრ კენგურუს (macropodides) თავდასხმის საბაბს აძლევს. თუკი დარაჯი მშვიდობიანი კენგურუსავით წაიკუზება, საბრძოლველად აღესილი კენგურუ მყისვე დაშოშმინდება. კოენს არავითარი სურვილი არ ჰქონდა, თვინიერ კენგურუს დამსგავსებოდა. მიშელ ბრასერის ავგულობამ, რომელიც, ნაკლებად განვითარებულ არსებებში, თანდაყოლილი ეგოიზმის ბუნებრივი გამოვლენაა, ერთ-ერთი მისი ამხანაგი სამუდამო ხეიბრად აქცია. ეს სიმხეცე ბრუნოს მსგავს ბიჭებსაც გამოუხსნორებელ ფსიქიკურ ტრავმას მიაყენებდა. როდესაც ბრასერი სამუშაო ოთახში გამოიძახა, კოენს ზიზლის დამალვა არც უცდია, ის კი არა და, პირში მიახალა, ერთი სული მაქვს, სანამ სკოლიდან გაგაპანლურებო.

კვირა საღამოს, როდესაც მამის მერსედესით სკოლაში ბრუნდებოდა, ნანტი-ლე-მოსთან მიახლოებისას, ბრუნოს შიშის კანკალი აიტანდა. ლიცეუმის მისაღებს საქვეყნოდ ცნობილი ყოფილი მონაწილეების, კურტელინისა და მუასონის ბარელიეფები ამშვენებდა. ყორუ კურტელინი, ფრანგი მწერალია, ავტორი ნოველებისა, რომლებიც ირონიულად გვიხატავს ბურჟუაზიული და ადმინისტრაციული ცხოვრების აბსურდულობას. ანრი მუასონმა, ფრანგმა ქიმიკოსმა (ნობელის პრემია 1906 წელს), ელექტროლუმელს ახლებური გამოყენება გამოუძებნა და გამოყო კრემნიუმი და ფტორი. ბრუნო

მამამისს ზუსტად ვახშმის დროს მოჰყავდა. ჩვეულებრივ, ბრუნო შუადღისას, სახლებიდან მოსულ აღსაზრდელებთან ერთად თუ ახერხებდა ჭამას; საღამოობით კი ყველა ერთად ვახშმობდა. მაგიდას რვანი უსხდნენ; კარგ ადგილებს უფროსები იკავებდნენ, გემრიელად ილუკებოდნენ, მერე კი, ნარჩენები უმცროსებს რომ არ შეხვედროდათ, თეფშებში იფურთხებოდნენ.

ყოველ კვირადღე, ბრუნო აპირებდა კაცურად დალაპარაკებოდა მამას, თუმცა იმასაც ხვდებოდა, რომ ამაოდ გაირჯებოდა: მამა თვლიდა, რომ ბიჭს საკუთარი თავი თვითონ უნდა დაეცვა. მართლაცდა, ბევრი მისი კლასელი უფროსებს ტოლს არ უდებდა, დარტყმას დარტყმით პასუხობდა და საკუთარი ღირსების შელახვას არვის პატიებდა. ორმოცდაორი წლის სერჟ კლემანს, როგორც იტყვიან, "ანყობილი ცხოვრება" ჰქონდა. პტი-კლემარის პატარა საბაყლოს მეპატრონის შვილი ესთეტიკური ქირურგიის სამ კლინიკას განაგებდა: ერთს ნეიში, მეორეს ვეზინში, მესამეს კი შვეიცარიაში, ლოზანის ახლოს. ყოფილი მეუღლის კალიფორნიაში გადასახლების შემდეგ, სერჟს კანში მდებარე კლინიკის ხელმძღვანელობა და ყოველთვიური შემოსავლების ნახევარი შესთავაზეს. ოპერაციებს დიდი ხანია შეეშვა, მაგრამ, ჩვეულ გამოთქმას თუ ვინმართ, "საქმის გაძლოლაში" წუნს ვერავინ დადებდა. ვაჟიშვილთან ურთიერთობა კი ვერ იქნა და ვერ ააწყო. ვერც ის გაეგო, საიდან ან როგორ მიდგომოდა. რა თქმა უნდა, შვილისთვის მხოლოდ სიკეთე სურდა, მაგრამ იმ პირობით, თუკი მცდელობა დიდ დროს არ ნაართმევდა. ამიტომ იყო, რომ თავს ცოტაოდენ დამნაშავედ გრძნობდა. შაბათ-კვირას, ბრუნოს მოლოდინში, საყვარლებს სტუმრობას უკრძალავდა, რესტორნიდან კერძები მოჰქონდა და შვილთან ერთად სადილობდა. ნასადილევს ტელევიზორს მიუსხდებოდნენ. სერჟს ბავშვური თამაშებისა არაფერი გაეგებოდა. ზოგჯერ, ღამით, ბრუნო სანოლიდან დგებოდა, მაცივართან მიდიოდა, რძიან ჭიქაში "პოპკორნს" ყრიდა, ზემოდან შაქრის სქელ ფენას ახვავებდა და ჭამას იწყებდა. ჭიქას ჭიქაზე ცლიდა, მანამდე არ ეშვებოდა, სანამ საჭმელი ყელში არ მოანწებოდა და მუცელი არ გაებერებოდა. ისე, სასიამოვნო განცდა კი იყო.

საზოგადოებრივი ზნე-ჩვევების თვალსაზრისით, 1970 წელი, ჯერ კიდევ ფხიზელი ცენზურის მიუხედავად, ეროტიკულ ლიტერატურაზე მოთხოვნის სწრაფი ზრდით გამოირჩევა. მუსიკალური როკ-ოპერა "თმები", რომელმაც ათასობით ადამიანი აზიარა სამოციანი წლების "სექსუალურ თავისუფლებას", არნახული წარმატებით სარგებლობდა. სამხრეთის პლაჟები ძუძუმოშიშველებულმა გოგოებმა დაიპყრეს. სულ რამდენიმე თვეში "სექს-შოპების" რიცხვი პარიზში სამიდან ორმოცდახუთამდე გაიზარდა.

სექტემბერში მიშელი მეოთხე კლასში გადავიდა და მეორე ენად გერმანულის სწავლა დაიწყო. ანაბელის გაცნობის მიზეზიც ეს იყო.

იმ ხანობას მიშელს ბედნიერებაზე ერთობ მარტივი წარმოდგენა ჰქონდა. ნამდვილი თუ გნებავთ, ამაზე ფიქრით თავს დიდად არ ინუხებდა. რაც იცოდა, ისიც ბებიის წყალობით, რომელმაც საკუთარი აზრები შთამომავლებს გადაულოცა. ბებია კათოლიკე იყო და არჩევნებში მუდამ დე გოლს აძლევდა ხმას. ქალიშვილებს კომუნისტი ქმრები ჰყავდათ, თუმცა ეს დიდს არაფერს ნიშნავდა. ახლა კი, ორიოდ სიტყვა იმ თაობის შეხედულებებზე, რომელმაც ბავშვობაში ომის სიდუხჭირე ბოლომდე ინვნია, ოცი წლის ასაკში კი თავისუფლების სიხარული იგემა. აი, ის სამყარო, რომელიც მშობლებს სურდათ მემკვიდრეობით გადაეცათ შვილებისთვის: ქალი მუდამ სახლშია და ოჯახს უვლის (სამზარეულოს ელექტრომონცობილობების წყალობით, ოჯახის მისახედად ბევრი დრო რჩება); მამაკაცი, რა თქმა უნდა, სამსახურში დადის (რობოტიზაციის პირობებში მუშაობის სირთულე და ხანგრძლივობა საგრძნო-

ბლად იკლებს). ერთმანეთის ერთგული, შეხმატკბილებული წყვილები გარეუბნებში, კეთილმონყობილ ბინებში ცხოვრობენ. მოცალეობის უამს, სახლში ჩხირკედელაობენ, ბაღში ფუსფუსებენ ან ნატიფი ხელოვნებით ირთობენ თავს. ზოგიერთები, უცხო ქვეყნების ჩვევებისა და კულტურის გასაცნობად, სამოგზაუროდ მიდიან.

იაკობ ვილკენინგი დასავლეთ ფრისლანდიაში, ქალაქ ლეუვარდენში დაიბადა. საფრანგეთში ოთხი წლის ასაკში ჩამოიყვანეს და ჰოლანდიური ფესვები არც აღარასდროს გახსენებია. 1946 წელს საუკეთესო მეგობრის და შეირთო. 17 წლის ქალიშვილი იქამდე არც ერთ მამაკაცს სათოფეზე არ გაკარებია. იაკობმა მიკროსკოპების ქარხანაში დაიწყო მუშაობა. რამდენიმე წლის შემდეგ ზუსტი ოპტიკური ხელსაწყოების სანარმო გახსნა და ანჟენიოსა და პატეს ფირმების დაკვეთებს ასრულებდა. იმდროინდელ ევროპაში იაპონური კონკურენციის ხსენებაც არ იყო. საფრანგეთი საუკეთესო ფოტოობიექტივებს აწარმოებდა და შნიდერს და ცეისს ღირსეულ მეტოქეობას უწევდა. ასე რომ, საქმეს კარგი პირი უჩანდა და იაკობი ბედს არ ემდუროდა. 48-ში და 51-ში ორი ვაჟიშვილი შეეძინა, მოგვიანებით კი, 1958-ში, ანაბელი დაიბადა.

სვებდნიერ ოჯახში დაბადებულ ანაბელს (25 წლის განმავლობაში მშობლები ერთხელაც არ წაკიდებია ერთმანეთს), მომავალი არ ადარდებდა, დარწმუნებული იყო, რომ ბედი მასაც ასეთ ცხოვრებას უმზადებდა. იმ ზაფხულს, მიშელთან შეხვედრას წინ რომ უსწრებდა, ანაბელმა მომავალზე ფიქრი იწყო. სადაცაა ცამეტის გახდებოდა. სადღაც, ამქვეყნად, ნაღდად არსებობდა უცნობი ბიჭი, რომელსაც ერთ მშვენიერ დღეს საკუთარ ცხოვრებას დაუკავშირებდა. იმ ბიჭის ბედნიერებისთვის არაფერს დაიშურებდა. რა თქმა უნდა, ბიჭიც ასე მოიქცეოდა. ერთი ის აფიქრებდა, რომ ბიჭის გარეგნობა ვერაფრით ვერ წარმოედგინა. ერთხელ, "მიკის გაზეთში" თანატოლი გოგონას წერილი წაიკითხა. ნუ იტყვიტ და იმასაც იგივე საკითხი უღრღნიდა გულს. გაზეთის დინჯი, შვების-მომგვრელი პასუხი ამ სიტყვებით მთავრდებოდა: "ნუ დარდობ, პატარა კორალი: იმ ბიჭს ნახვისთანავე იცნობ!"

მიშელი და ანაბელი საშინაო დავალებებს გერმანულში ერთად აკეთებდნენ. მიშელი ქუჩის მეორე მხარის გაყოლებაზე, ორმოცდაათი მეტრის დაშორებით ცხოვრობდა. ხუთშაბათს და კვირა

დღეს ხშირად ერთად ატარებდნენ. მიშელი შუადღის საუზმის შემდეგ მოდიოდა. უმცროსი ძმა ბაღს გახედავდა და მოზიემე ხმით აცხადებდა: "ანაბელ, სასიძო გეახლა...". გოგონას სახეზე ალმური ასდიოდა. მშობლები თავს იკავებდნენ, ერთი გადაბრუნებული სიტყვაც არასოდეს დასცდენიათ. გოგონა გუმანით გრძნობდა, რომ ბიჭი ძალიან მოსწონდათ.

უცნაური ვინმე კი იყო: ფეხბურთის არაფერი გაეგებოდა და ესტრადის მომღერლებსაც ერთმანეთში ურევდა. კლასელები არაფერს ერჩოდნენ, ზოგიერთთან კარგი ურთიერთობაც ჰქონდა, მაგრამ მაინც განზე იდგა. ანაბელამდე არც ერთ კლასელს მის ბინაში ფეხი არ შეუდგამს. სიმარტოვეში ფიქრს და ოცნებას მიწებებული, ნელ-ნელა ანაბელის სტუმრობასაც შეეჩვია. ხშირად ველოსიპედით ვულანუის აღმართს შეუყვებოდნენ, მინდორსა და ტყეს ფეხით გადაივლიდნენ და მომცრო გორაკზე ადიოდნენ, რომელიც გრან მორენის დაბლობს გადმოჰყურებდა. ბალახებს ფეხით თელავდნენ და ერთმანეთის გაგებას სწავლობდნენ.

ყველაფერი კაროლინ იესეიანის ბრალია

1970 წელს, სწავლის დაწყებისთანავე, ბრუნომ ცოტაოდენი შვება იგრძნო. ახლა უკვე მეოთხეში იყო და უფროსკლასელად ითვლებოდა. მეოთხედან დამამთავრებელ კლასამდე, მოსწავლეები ინტერნატის მეორე ფრთაში მდებარე საძინებელ დარბაზში ათევდნენ ღამეს. თითოეულ შემოტიხრულში ოთხი საწოლი იდგა. მოძალადე ბიჭებს ყურმოჭრილ მონად და ჩვრად კარგა ხანია მონათლული ბრუნო ყელში ამოუვიდათ და ახლა სხვა მსხვერპლს ეძებდნენ. სწორედ იმ წელს ბრუნომ გოგონებს დაუნყო თვალთვალი. დროდადრო, თუმცა არცთუ ისე ხშირად, ქალთა და ვაჟთა ინტერნატები საერთო სეირნობას აწყობდნენ. ხუთშაბათს, ნაშუადღევს, მზიან ამინდში, გარეუბანში, მარნის ნაპირზე მოწყობილ პლაჟზე მიდიოდნენ. სანაპიროს კაფეში სათამაშო ავტომატები იდგა, მაგრამ მთავარი გასართობი მინის ვოლიერში გამომწყვდეული მახრჩობელა გველი იყო. გველის გასაბრაზებლად, ბიჭები მინის კედლებს უკაკუნებდნენ. ხმაურზე გველი ცოფდებოდა, გაშმაგებული კედლებს ეხლებოდა და ამო ბრძოლით დაღლილი, მისავათებული მიეგდებოდა კუთხეში. ოქტომბრის ერთ ნაშუადღევს ბრუნო პატრიცია ჰოპვეილერს გამოელაპარაკა. გოგონა ობოლი იყო და მხოლოდ არდადეგებზე თუ ახერხებდა ბიძასთან გამგზავრებას. გამხდარი და ქერა, სიტყვებს სხაპასხუპით ისროდა, მოულოდნელად გაინაბებოდა და მეტყველ სახეზე, ერთბაშად,

უცნაური ღიმილი დაეფინებოდა. მომდევნო კვირას ბრუნომ დაინახა, როგორ ეჯდა პატრიცია მუხლებზე ბრასერს და გოცებისგან ლამის გული შეუღონდა. გოგოს ფეხები გადაეხსნა; ბიჭი წელზე ეხვეოდა და ტუჩებს უწუნნიდა. ბრუნო ამ ამბავს ღრმად არ ჩაძიებია. ერთი კი გაიფიქრა, თუკი ჩემი მწვალელები მხეცები ახლა გოგონებს აეტორლიავენ, ეს იმას ნიშნავს, ამის უფლება მათ მეტს სხვას არავის აქვსო. ისიც შეამჩნია, რომ ახლომახლო გოგონების გამოჩენაზე, პელე, ვილმარი და ბრასერი პატარების წვალეებს და თავში ტყაპუნს მყისვე შეეშვებოდნენ ხოლმე.

მეოთხეკლასელებს კინოკლუბში ჩანერის უფლება ჰქონდათ. ვაჟთა ინტერნატის სადღესასწაულო დარბაზში ხუთშაბათ საღამოს გამართულ სეანსებს გოგონებიც ესწრებოდნენ. დეკემბრის ერთ საღამოს, "ვამპირ ნოსფერატუს" დაწყებამდე, ბრუნო კაროლინ იესეიანს მიუჯდა. ფილმის დასრულებას ბევრიც არ აკლდა, როდესაც, ერთსაათიანი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ, ბრუნომ ნაზად ჩამოადო ხელი მეზობელს ბარძაყზე. რამდენიმე ნეტარი წამის განმავლობაში (ხუთი, ექვსი, ჰა და ჰა, ათი წამი) არაფერი მომხდარა. გოგონა გაიტრუნა. ბრუნოს ისეთი სიმბურვალე შემოენთო, ლამის იყო, გული საგულედან ამოვარდა. მერე, სიტყვის უთქმელად, მსუბუქი მოძრაობით, გოგომ ბიჭის ხელი მოიშორა. წლების შემდეგ, ვინმე წაკლას რომ აწუნნიებდა, ბრუნო, ხშირად, სწორედ იმ გამაოგნებელი ბედნიერების წუთებს იხსენებდა. ისიც ახსოვდა, როგორ გადაადებინა ხელი კაროლინ იესეიანმა. იყო რაღაც წმინდა და სათუთი ამ პატარა ბიჭში, რაც წინ უსწრებდა ყოველგვარ სექსუალობას და ეროტიკულ სწრაფვებს; სურვილი, ნაზად შეხებოდა საყვარელი არსების სხეულს, მკლავები მოეხვია და მკერდზე მიეკრა. სინაზე მუდამ წინ უსწრებს ცდუნებას და თუკი ასეა, იმედსაც ნუ გადავიწურავთ.

იმ საღამოს რატომ მაინცდამაინც კაროლინ იესეიანის ფეხს წაეტანა და არა, თუნდაც, ხელს (საფიქრელია, ასე რომ მოქცეულიყო, გოგო არ იუარებდა და მათი სათნო სიახლოვე, ვინ იცის, შეიძლება იმ საღამოს დაწყებულიყო. აკი, თვითონ გოგო გამოვლავარაკა ფილმის დაწყებამდე, ბილეთების რიგში, თითქოს აგრძნობინა, შეგიძლია გვერდით მომიჯდეთ, მერე კი, ბნელ დარბაზში მკლავი სკამის სახელურს დააყრდნო; მართლაცდა, გოგომ დი-

დი ხანია თვალი დაადგა ბრუნოს, ძალიანაც მოსწონდა და იმედი ჰქონდა, რომ ბრუნო ხელს ხელზე დაადებდა)? იმიტომ, რომ კაროლინ იესეიანის შიშველი ბარძაყის დანახვაზე, ბრუნომ, გულუბრყვილობის ბრალი თუ იყო, იფიქრა, კაბა განზრახ აიწიაო. რაც უფრო ემატებოდა წლები, მით უფრო მეტი ზიზღით იხსენებდა ბავშვობის განცდებს, მით უფრო თვალსაჩინო ხდებოდა მისი ბედ-იღბლის ძირისძირი, რომლის შუქზე ყოველივე გამოუსწორებელ და გულცივ სიცხადედ ეჩვენებოდა. 1970 წლის დეკემბრის იმ საღამოს კაროლინ იესეიანს შეეძლო ბრუნოსთვის დავეინყებინა ბავშვობაში გადატანილი ყველა დამცირება და წუხილი. პირველი მარცხის შემდეგ (იმ საღამოდან მოყოლებული, როდესაც გოგომ ასე ნაზად მოიშორა ბიჭის ხელი, ბრუნოს კაროლინისთვის სიტყვაც არ შეუბედა), ყოველივე გართულდა, თუმცა კაროლინ იესეიანს, თავის ზოგადადამიანური არსით, ამაში ბრალი არ ედო. პირიქით, კაროლინ იესეიანს, პატარა, ნუკრისთვალემა, შავკულულებიან სომეხ გოგონას, რომელიც ოჯახურმა ქართველებმა მოსაზარელ ინტერნატში გადმოიხროლა, შეეძლო საკუთარი არსებობით ადამიანთა მოდგმა გაემართლებინა. და აი, ერთმა მცირე, სასაცილო წვრილმანმა ყველაფერი წყალს გაატანა. ბრუნოს ოცდაათი წლის შემდეგაც არ შეუცვლია აზრი: თუკი ანეკდოტურ შემთხვევითობას თავის ჭეშმარიტ აზრს შევძენთ, ვითარება, შეიძლება, ასე შევაფასოთ: ბოლოს და ბოლოს, ძაღლის თავი კაროლინ იესეიანის წამოწეულ ქვედაბოლოში იყო დამარხული.

ბარძაყზე ხელის დადებით, ბრუნო, სინამდვილეში, კაროლინ იესეიანს ცოლობას სთხოვდა. მისი სიყმაწვილეში შესვლა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდამავალ პერიოდს დაემთხვა. ზოგიერთ წინამორბედს თუ არ ჩავთვლით, - ბრუნოს მშობლები ამის სავალალო მაგალითია - წინა თაობამ მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს ქორწინება, სექსუალური სწრაფვა და სიყვარული. ხელფასის განუხრელმა ზრდამ და ორმოცდაათიანი წლების ეკონომიკის დაჩქარებულმა განვითარებამ საძირკველი გამოაცალა "ანგარებით ქორწინებას"; რა თქმა უნდა, თუ არ ჩავთვლით სულ უფრო და უფრო მცირერიცხოვან საზოგადოებრივ კლასებს, სადაც მემკვიდრეობითი ქონება ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავის მნიშვნელობას. კათოლიკური ეკლესია, რომელიც მუდამ აღმაცერად უცქერდა

ქორწინების გარეშე სექსს, ზარზეიმით მიესალმა "სიყვარულით ქორწინების" აღზევებას, რომელიც ზედმინეწვით ესადაგებოდა მის მოძღვრებას (და შექმნა მან მამრი და მდედრი) და პირველი ნაბიჯი იყო მშვიდობაზე, ერთგულებასა და სიყვარულზე დაფუძნებული ცივილიზაციისკენ, რომლის დამკვიდრებას ის აგრერიგად ესწრაფოდა. კომუნისტური პარტიაც, იმ წლების ერთადერთი სულიერი ძალა, რომელიც ეკლესიას უპირისპირდებოდა, მსგავსი მიზნისთვის იღვწოდა. ჰოდა, ორმოცდაათიანელ ყმანვილებსაც ერთი სული ჰქონდათ, სანამ "სიყვარულს იგემებდნენ", მით უფრო, რომ სოფლების დაცარიელებამ, რასაც სოფლის თემის თანდათანობითი ქრობა მოყვა, ახალგაზრდების არჩევანის არე უკიდურესად გააფართოვა და ამ არჩევანს, იმავდროულად, განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა (1955 წელს პირველად მარსელში ისროლეს "მჭიდრო თანაარსებობის" ლოზუნგი, რომელმაც საზოგადოებრივი კავშირები ოჯახურ ურთიერთობებამდე დაიყვანა). ასე და ამრიგად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ 50-იანი წლების დასასრული და 60-იანების დასაწყისი "სატრფიალო გრძნობათა ოქროს ხანა" იყო, რომელმაც უან ფერასა და ფრანსუაზ არდის პირველი პერიოდის სიმღერებში ჰპოვა ასახვა.

ამასობაში, ჩრდილოამერიკული წარმოშობის მასიური ხელოვნება, ვენებისალმძვრელი, ლიბიდალური (ელვის პრესლის სიმღერები, მერლინ მონროს ფილმები), მთელ დასავლეთ ევროპას მოედო. მაცივრებსა და სარეცხ მანქანებს, ცოლქმრული ბედნიერების ამ ნივთიერ საყრდენს, მალე, ტრანზისტორები და პიკაპები მოყვა, რომლებსაც გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშათ "ყმანვილური ფლირტის" განვითარებაში. 60-იანი წლების მანძილზე მიფუჩეჩებულიმა იდეოლოგიურმა კონფლიქტმა, 70-იანების დასაწყისის გამოცემებში "ქორფა ასაკის ქალიშვილი" და "20 წელი" იფეთქა, რომლებიც ერთადერთ კითხვას უტრიალებდნენ: "რა შეიძლება ქორწინებამდე?" ამავე წლებში, ჩრდილოამერიკულ ჰედონისტურ-ლიბიდალურ ტენდენციას ანარქისტულმა პრესამაც აუბა მხარი ("აქტუელი"-ს პირველი ნომერი 1970 წლის ოქტომბერში გამოვიდა, "ჩარლი-ებდო"-სი ნომებერს). თუმც კი ეს პერიოდული გამოცემები, პოლიტიკური თვალსაზრისით, კაპიტალიზმისთვის ძირის

გამოთხრას ისახავდნენ მიზნად, მათთვის გასაგები და მისაღები აღმოჩნდა გართობის ინდუსტრიის მთავარი მოთხოვნები: იუდეურ-ქრისტიანული ზნეობრივი ღირებულებების სრული ნგრევა, ახალგაზრდობისა და პირადი თავისუფლების ხოტბა-დიდება. ორ ცეცხლს შუა გაჩხირულმა, ახალგაზრდა ქალებისთვის განკუთვნილმა ჟურნალებმა მაინც მონახეს გამოსავალი და ცხოვრების ის ყაიდა, რომელიც მათ მკითხველებს შესთავაზეს, სწორედ ამ კომპრომისის დასტურია: პირველ ხანებში (ვთქვათ, თორმეტიდან თვრამეტ წლამდე), გოგონა ბევრ ბიჭთან "დადის" (ზმნა "სიარულის" სემანტიკური ორაზროვნება, სხვათა შორის, რეალური ქცევის ორაზროვნებას ეხმაურება: მართლაცდა, რას ნიშნავს "ბიჭთან სიარული"? ტუჩებში კოცნას, უფრო შორს წასვლას ("პეტიინგი" და "დიპ-პეტიინგი"), თუ უშუალოდ სექსუალურ ურთიერთობას? უნდა მიუშვა თუ არა ბიჭი ძუძუებთან? ტრუსები უნდა გაიხადოს? დაბოლოს, რა უნდა უყო მის სასქესო ორგანოებს?). პატრიცია ჰოპვეილერსა და კაროლინ იესეიანს პასუხის გაცემა გაუჭირდებოდათ. მათი საყვარელი გაზეთები ბუნდოვან და ხშირად ურთიერთგამომრიცხავ რჩევებს იძლეოდნენ. სიმნიფის ასაკში შესული ქალიშვილი (ახლადგამომცხვარი ბაკალავრი), "სერიოზულ თავგადასავალს" ეძებს (გერმანულმა გაზეთებმა ამას "big love" უწოდეს) და მთავარი კითხვაც ამას უკავშირდება: "საცხოვრებლად ჯერემისთან ხომ არ გადავიდე?"; ეს მეორე და, არსებითად, უკანასკნელი სტადიაა. გაზეთების მიერ შემოთავაზებული გარიგების უკიდურესმა სიმყიფემ - აშკარა იყო, რომ საქმე ეხებოდა ორი ურთიერთსაინანაღმდეგო ქცევითი მოდელის ერთმანეთთან მორგებას - მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ იჩინა თავი, როდესაც განქორწინებამ საყოველთაო ხასიათი შეიძინა. თუმცა, ერთი შეხედვით მიუღებელი და მცდარი სქემა, რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც, გულუბრყვილო და გარეშე მოვლენების სწრაფი ცვლით თავგზაარეული გოგონებისთვის, სამაგალითო და მისაბადი გახდა.

ანაბელისთვის საქმე სხვაგვარად შეტრიალდა. საღამოობით, მიშელზე ფიქრით და მასთან მომავალი შეხვედრის სიხარულით იძინებდა. როდესაც გაკვეთილზე რაღაც სასაცილო ან საინტერე-

სო ხდებოდა, ერთი სული ჰქონდა, სანამ მიშელს მოუყვებოდა. იმ დღეებში, როდესაც ამა თუ იმ მიზეზის გამო, ერთმანეთს ვერ ხვდებოდნენ, თავს მიტოვებულად გრძნობდა და გუნება ეშხამებოდა. ზაფხულის არდადეგებზე (მშობლებს ჟირონდში აგარაკი ჰქონდათ) ყოველდღე წერილს უგზავნიდა. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ თავს არ უმხელდა, მიუხედავად იმისა, რომ მის წერილებში გზნების ნატამალს ვერ იპოვიდი, ის კი არა, გეგონებოდა, ტყუბისცალ ძმას წერსო, მიუხედავად იმისა, რომ გრძნობა, რომელიც მის ცხოვრებას შარავანდედივით ადგა თავს, უფრორე სინაზით იყო გაჯერებული, ვინემ ყოვლისმომსვრელი ვნებით, სინამდვილე სულ სხვაგვარი გახლდათ: ერთბაშად, ისე, რომ ამაზე ფიქრი თავშიც არ გაუვლია და არც სურვილი ჰქონია, გოგონას "დიდი სიყვარული" დააცხრა თავს. პირველი და ყველაზე ძვირფასი სხვა არც არასოდეს ექნებოდა, ამაზე ფიქრიც არ ღირდა. ჟურნალს "ქორფა ასაკის ქალიშვილი" თუ დაეჯერებოდა, ასეთი რამ შესაძლებელი იყო: თავი არ უნდა გაიგიჟო, ასეთები ხშირად არ ხდება; მაგრამ ზოგჯერ, ერთობ იშვიათად, თითქმის სასწაულებრივად - თუმც კი სინამდვილეს სად გაექცევი - მაინც ხდება. ამ ქვეყნად ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს.

იმ დროიდან მიშელს 1971 წლის შობა დღეს ანაბელის მშობლების ბაღში გადაღებული სურათი შემორჩა. ანაბელის მამამ შოკოლადის კვერცხები ხეების ქვეშ, ყვავილების ბუჩქებში დამალა. ფოტოზე, ანაბელი ფორსიტიას ბუჩქებს შორის დგას; ტოტები გადაუნევია და ბავშვური სერიოზულობით რაღაცას დასცქერის. ეს-ეს არის დახვეწილი სახის ნაკვთები მომავალ არაჩვეულებრივ სილამაზეს გვამცნობს. მკერდი მსუბუქად იბურცება კაბის ქვეშ. იმ დღეს ანაბელმა და მიშელმა უკანასკნელად იგემეს შოკოლადის საშობაო კვერცხები; შემდეგ წელს ბავშვური თამაშებისთვის აღარ ეცალათ.

ცამეტი წლის ასაკიდან საკვერცხეებიდან გამოყოფილი პროგესტერონისა და ესტრადიოლის გავლენით, გოგოებს ძუძუებსა და დუნდულებზე ქონის ბალიშები ედებათ. უკეთეს შემთხვევაში, სხეულის ეს ნაწილები ივსება, მრგვალდება და ჰარმონიულ ფორმას იღებს. მათი ხილვა მამაკაცებს ვნებას აღუძრავს. ანაბელის ასაკში დედამისსაც ასეთი მომხიბვლელი ტანი ჰქონდა, სახე კი მხოლოდ სასიამოვნო და მიმზიდველი. არაფერი მოასწავებდა ანაბელის სულისშემძვრელი სილამაზის უეცარ ამოფრქვევას და დედა, ცოტა არ იყოს, შეშინდა. თვალების სილურჯე და ჩალისფერი თმა, ეტყობა, მამის ჰოლანდიელი წინაპრებისგან გამოყვა, სახის გამაოგნებელი სინატიფე კი ძნელად წარმოსადგენი მორფოგენეტიკური შემთხვევითობის ნყალობა იყო. ყმანვილ ქალს, რომლისთვისაც ღმერთმა სილამაზე დაიშურა, ბედი კარს არ მიადგება, მას ვერავინ შეიყვარებს. დაცივნით არვინ დასცინის, ვერც იმას იტყვი, რომ სასტიკად ეპყრობიან, მაგრამ გვერდით თუ ჩავი-

რა, თვალს არ გააყოლებ. მასთან თავს უხერხულად გრძნობ და მზერას არიდებ. უჩვეულო სილამაზე, რომელიც გაცილებით მეტია, ვინემ ესოდენ ნაჩვევი და თავისთავად მომხიბვლელი ყმანვილური სინორჩე, ზებუნებრივ ეფექტს იწვევს და უცილობელი ტრაგიკული ბედის მომასწავებელია. თხუთმეტი წლის ანაბელი ნებისმიერი ასაკისა და მდგომარეობის მამაკაცების ყურადღებით განებივრებული ქალიშვილების იშვიათ რიგს მიეკუთვნებოდა; საკმარისია, ერთმა ასეთმა გოგომ პატარა ქალაქის ქუჩაში სავაჭრო რიგებს ჩაუაროს და ახალგაზრდა თუ ასაკოვან მამაკაცს გული შეუტოკდება, მოხუცებს კი სინანულის ოხვრა აღმოხდებათ. ანაბელმა სწრაფად აულო ალლო სიჩუმეს, რომელიც თან ახლდა მის ყოველ გამოჩენას კაფეებსა თუ საკლასო ოთახებში, მაგრამ ამ უცაბედი დუმილის ფარული აზრი მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ ამოიცნო. კრესი-ან-ბრის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ყველა თვლიდა, რომ ანაბელი მიშელთან "დადიოდა"; ასეც რომ არ ყოფილიყო, ვერც ერთი ბიჭი ვერაფერს შეკადრებდა. ქალიშვილების არაჩვეულებრივი სილამაზის ერთი მთავარი უბედურება სწორედ ეს გახლავთ: მხოლოდ მრავლისმომსწრე, ნამუსგარეცხილი და თავხედი მუსუსი თუ შებედავს სიტყვას ლამაზმანს. სწორედ ასეთი ვარენრები ეუფლებიან, ჩვეულებრივ, ლამაზი ქალწულის განძს და ქალიშვილის უკურნებელი დაცემაც აქედან იწყება.

1972 წელს მიშელი მოს ლიცეუმის მეორე კლასში გადავიდა. ანაბელი მესამეში იყო და კოლეჯში კიდევ ერთი წელი დარჩებოდა. მიშელი ლიცეუმიდან მატარებლით ბრუნდებოდა, ესბლიში პატარა მატარებელში უნდა გადამჯდარიყო. კრესიში, ჩვეულებრივ, 18 საათსა და 33 წუთზე ჩამოდიოდა. ანაბელი სადგურში ელოდებოდა, მერე ერთად მიუყვებოდნენ ქალაქის პატარა არხებს. ზოგჯერ, ისიც იშვიათად, კაფეში შეივლიდნენ. ანაბელი გრძნობდა, რომ დღეს თუ არა, ხვალ, მიშელი მოინდომებდა მისთვის ეკოცნა და მიაღერებოდა მის სხეულს, რომელიც ესოდენ სწრაფად იცვლებოდა. წუთი, რომელსაც მოუთმენლად ელოდა, სრულიად არ აფრთხოდა, რადგან მიშელს ენდობოდა.

თუკი სექსუალური ქცევის ძირითადი ასპექტები თანდაყოლილია, ცხოვრების პირველ წლებს მაინც განსაკუთრებული ადგილი

უკავია მისი მექანიზმის ამოქმედებაში, კერძოდ, ჩიტებთან და ძუძუმწოვრებთან. წინასწარი ტაქტილური კონტაქტები ამა თუ იმ სახეობის წარმომადგენელთა შორის, ცხოვრებისეული აუცილებლობის ხასიათს იღებს ძაღლებთან, კატებთან, ვირთხებთან, ზღვის გოჭებთან და რეზუს მაკაკებთან (*Macaca mulatta*). ადრეულ ასაკში დედასთან სიახლოვეს მოკლებული მამალი ვირთხა გამოუსწორებელი სექსუალური გადახრების მსხვერპლი ხდება და დედალ ვირთხასთან ურთიერთობა უჭირს. სიკვდილ-სიცოცხლის საკითხიც რომ დამდგარიყო (და ასეც გახლდათ, მისი სიცოცხლე სწორედ ამაზე იყო დამოკიდებული), მიშელი მაინც ვერ გაბედავდა ანაბელის კოცნას. საღამოობით, მატარებლიდან გადმოსული, ზურგზე ჩანთამოგდებული მიშელის დანახვაზე, ანაბელს ისეთი სიხარული აიტაცებდა, რომ ბიჭს სულის მოთქმას არ აცლიდა და მკლავებში უფარდებოდა. რამდენიმე წამს დამბლადაცემულივით გაუნძრევლად იდგნენ და მხოლოდ ამის შემდეგ ამოიდგამდნენ ენას.

ბრუნოც მოს ლიცეუმის მეორე კლასში იყო, მიშელის განაყარ კლასში. გაგებული ჰქონდა, რომ დედამისს სხვა კაცისგან მეორე ბიჭიც ჰყავდა. სულ ეს იყო, რაც იცოდა. დედას კანტიკუნტად ხვდებოდა. მხოლოდ ორჯერ ესტუმრა, არდადეგებზე, კასისის ვილაში. სახლი მუდამ სტუმრებით იყო სავსე; ახალგაზრდები განუწყვეტლივ მიდი-მოდიოდნენ, მეტწილად ისინი, ვისაც ყველასთვის ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები "ჰიპებად" მოიხსენიებდნენ. ასეც იყო, მუშაობით თავს არც ერთი არ იკლავდა. ერთიანად კისერზე ასხდნენ ჟანინს, რომელმაც სახელი შეიცვალა და ახლა ჯეინად იწოდებოდა. ასე და ამრიგად, უკლებლივ ყველა მისი ყოფილი ქმრის ესთეტიკური ქირურგიის კლინიკის შემოსავლებზე ცხოვრობდა, ესე იგი, საბოლოო ჯამში, იმ ქალების კმაყოფაზე იყვნენ, რომლებიც, საკუთარი სახსრებით, ასაკს ებრძოდნენ, ან ბუნებრივი ნაკლის გამოსწორებას ცდილობდნენ. ჰიპები ყურეში დედიშობილა ბანაობდნენ. ბრუნო ჯიუტობდა და საბანაო ტრუსებს არა და არ იშორებდა. თვლიდა, რომ თეთრი კანი ჰქონდა და თანაც დაბალი, სქელი და შეუხედავი იყო. ზოგჯერ, დედამისი რომელიმე ბიჭს საწოლში ინვენდა. ქალი ორმოცდახუთ წელს უკაკუნებდა, მოფამფალეებული ძუძუები ჩვარივით ეკიდა, მაგრამ

სახე ისევ ისე ლამაზი შერჩა. ბრუნო დღეში სამჯერ მაინც ატო-
კებდა ასოს. არადა, გოგოები დათქვირულ ძუძუებს თვალწინ უტ-
რიალებდნენ, თუმცა ბრუნომ ისიც იცოდა, რომ მათზე ხელი არ
მიუწვდებოდა: სხვა ბიჭები უფრო მაღლები, უფრო გარუჯულები
იყვნენ და ღონეც მეტად ერჩოდათ. წლების შემდეგ ბრუნო მიხვ-
და, რომ წვრილფეხა ბურჟუების, სახელმწიფო მოხელეთა და სა-
შუალო მოსამსახურეთა სამყარო გაცილებით მიმტვევბელი, კე-
თილმოსურნე და გულღია იყო, ვინემ საზოგადოებისგან განკერ-
ძობული ახალგაზრდებისა, როგორებიც, იმ დროს, "ჰიპები" იყ-
ნენ. "ზნეკეთილ მოხელედ გამოვეწყობი და მარაქაში გავერევი -
ხშირად უთქვამს ბრუნოს - კოსტიუმი, ჰალსტუხი, პერანგი... და
ყველაფერი ეს, ჩამოფასებას თუ შევესწარი, 800 ფრანკად C&A-
სთან. მთავარია, ჰალსტუხის განასკვა ვისწავლო. მანქანაც არ მა-
წყენდა; ჩვენში დარჩეს და, საშუალო მოსამსახურეს სწორედ მან-
ქანის შეძენა უჭირს, თუმცა, გამოსავალი აქაცაა: სესხს ავიღებ
და რამდენიმე წელიწადში გავისტუმრებ. აი, მარგინალად გადაც-
მა კი არაფერს მარგებს: ახალგაზრდა არ მეთქმის, არც ისე ლა-
ზათიანი ვარ და არც ისე "მაგარი". თმები მცვივა, ქონი მედება;
რაც უფრო ვბერდები, მით უფრო მიფუჭდება ხასიათი, ვიბოლმე-
ბი, მგრძნობიარე ვხდები. საკმარისია, ვინმემ აღმაცერად ან ათ-
ვალწუნებით შემომხედოს, მეტიც არ მინდა, გული ყელში მებჯი-
ნება და ვიტანჯები. ერთი სიტყვით, არცთუ ისე ბუნებრივი ვარ,
ესე იგი, არცთუ ისე "ცხოველური", ეს კი უკურნებელი ზადია:
რაც არ უნდა ვთქვა, რაც არ უნდა მოვიმოქმედო, რაც არ უნდა
ვიყილო, ამ სიმახინჯეს ვერსად გავექცევი, რადგანაც ბუნებისგან
მონიჭებული მანკიერებაა." დედასთან პირველივე სტუმრობისას
ბრუნო მიხვდა, რომ "ჰიპები" თავის წრეში ცხვირსაც არ შეაყო-
ფინებდნენ; მაცდუნებელი მამრისა არაფერი ეცხო და ამას ერთხ-
ელ და სამუდამოდ უნდა შეგუებოდა. ლამლამობით შიშველი ძუ-
ძუები ესიზმრებოდა. იმ დროს იყო, კაფკა პირველად რომ წაიკი-
თხა. თავდაპირველად სიცივე, საიდანღაც შემოპარული ყინვა შე-
იგრძნო; "პროცესის" შემდეგ, რამდენიმე საათს გონს ვერ მოვიდა,
გულზე რაღაც შემოანვა, თითქოს ნაწილებად დაიშალა. მყისვე
იაზრა, რომ სირცხვილის გრძნობით დაღდასმული ეს შენელებუ-
ლი სამყარო, სადაც ადამიანები კოსმიურ სიცარიელეში ეხლებიან

ერთმანეთს, ისე, რომ საერთოს ვერაფერს პოულობენ, მისი საკუთარი ცნობიერების ზუსტი ანარაკლი იყო. ცივი, თითქმის გაქვავებული სამყარო... და მაინც, არის რაღაც, რაც ამ სამყაროშიც ინარჩუნებს სიტბოს, აი იქ, ქალის ბარძაყებს შორის; მაგრამ იმ რაღაცასთან მას არ მიესვლება.

სულ უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა, რომ ბრუნოს საქმე კარგად ვერ იყო: მეგობრები არ ჰყავდა, გოგოები შიშის ზარს სცემდნენ, სიყმანვილე კი ერთ დაუსრულებელ უბედურებად ექცა. ამას მამამისიც ამჩნევდა და სინდისის ქენჯნა ეძალებოდა. 1972 წლის შობაზე ყოფილ ცოლს შეუთვალა, აუცილებლად ჩამოდი, შვილზე უნდა გელაპარაკო. საუბრისას გაირკვა, რომ ბრუნოს ნახევარძმა იმავე კოლეჯში და იმავე კლასში (სხვა ჯგუფში) სწავლობდა, მაგრამ ძმები ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან. მშობლებმა ეს დამთხვევა ოჯახის ნგრევის ამაზრზენ სიმბოლოდ აღიქვეს, რაშიც ორთავეს თანაბრად ედო წილი. მამამ პირველად მოიშველია ნებისყოფა და ჟანინს მოსთხოვა, მეორე შვილისთვისაც მიეხვედა, რათა ის მაინც გადაერჩინათ, რის გადარჩენაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა.

ჟანინმა კარგად იცოდა, რომ მიშელის ბებია მონყალე თვალით არ უყურებდა, მაგრამ საქმე იმაზე უარესად აღმოჩნდა, ვინემ ეგონა. ის იყო "პორშე" კარებთან მიაყენა, რომ სახლიდან, კალათით ხელში, ბებია გამოვიდა. "ნახვას ვერ დაგიშლით, ბოლოს და ბოლოს, თქვენი შვილია, - უკმეხად მიახალა ჟანინს - საყიდლებს რომ მოვითავებ, თქვენი ფეხი არ ვნახო აქ." თქვა და ზურგი შეაქცია.

მიშელი თავის ოთახში იყო. ჟანინმა კარი შეაღო და შევიდა; სურდა, შვილს მოხვეოდა, მაგრამ მიშელმა თავი შორს დაიჭირა. რაც უფრო იზრდებოდა, მით უფრო ემგვანებოდა მამას: იგივე წვრილი, ქერა თმები, წაგრძელებული სახის გამოკვეთილი ნაკვეთები. ჟანინმა შვილს საჩუქრად ფირფიტების საკრავი და როლინგ სტოუნზების რამდენიმე ფირფიტა ჩამოუტანა. ბიჭს მადლობაც არ დასცდენია (საკრავი შეინახა, ფირფიტები კი რამდენიმე დღეში დაამტვრია). სადა ოთახის კედლებზე ერთი აფიშაც არ ეკიდა. სეკრეტერის დასაკეც დაფაზე მათემატიკის გადაშლილი წიგნი იდო. "ეს რა არის?" - იკითხა ჟანინმა. "დიფერენციული განტოლებებია",

- ცივად გაეპასუხა მიშელი. ჟანინს გადანყევტილი ჰქონდა, შვილისთვის საკუთარ ცხოვრებაზე რალაც-რალაცები მოეთხრო და არდადეგებზე დაეპატიჟებინა, მაგრამ მიხვდა, რომ მიშელს გულს ვერ შემოუბრუნებდა. სულ მალე შენი ძმა გესტუმრებაო, ესლაუთხრა. დუმილში ერთი საათი გავიდა და უცებ, ბალიდან ანაბელის ხმა მოისმა. მიშელი ფანჯარას მივარდა და შემოდიო, გადასძახა. ჟანინმა თვალი შეავლო ბალიდან გამოსულ გოგონას და ტუჩის ბოლოდან გამოსცრა: "ლამაზი დაქალი გყოლია..." თითქოს სილა გაანწესო, მიშელს სახე აელენა. "პორშესკენ" მიმავალი ჟანინი ანაბელს შეეფეთა, ნაბიჯი შეანელა და ქალიშვილს თვალი თვალში გაუყარა. სიძულვილით სახვე გამოხედვა ჰქონდა.

მიშელის ბებია ბრუნოს არაფერს ერჩოდა: ისიც ამ გარყვნილი ქალბატონის მსხვერპლიაო, - ცოტაოდენ ზოგადად, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ზუსტად დაასკვნა. ბრუნომ წესად ილო, ყოველ ხუთშაბათს, ნაშუადღევს, სტუმრად სწევოდა მიშელს. კრესი-ლაშაპელში პატარა მატარებელში ჯდებოდა. თუკი მოუხერხდებოდა (არადა, ყოველთვის უხერხდებოდა), მარტოხელა გოგოს დაიგულეებდა და წინ დაუსკუპდებოდა. უმრავლესობას ან ფეხი ფეხზე ჰქონდა გადადებული, ან გამჭვირვალე ზედატანი ეცვა, ან კიდევ, რალაც ეგეთები. არა, ცხვირწინ კი არ უჯდებოდა, ცოტა განზე, მაგრამ, უფრო ხშირად, იმავე სკამზე, ორი მეტრის დაშორებით. შავი თუ ქერა გრძელი თმების დანახვა და ასოს აბრიქინება ერთი იყო. ადგილს არჩევდა და სკამების რიგს მიუყვებოდა, ტრუსებში კი ტკივილი სულ უფრო ძლიერდებოდა. სკამზე ჯდებოდა და ჯიბიდან ცხვირსახოცს იღებდა. საკმარისი იყო საქალაქდე გადაეხსნა და მუხლებზე დაედო. ამას თვალის დახამხამებაში ახერხებდა. ზოგჯერ, გოგონა ფეხიდან ფეხს რომ ჩამოიღებდა, ბრუნოს ასო უკვე დაძრობილი ჰქონდა და ხელის ხლებაც აღარ სჭირდებოდა. პატარა ტრუსებს თვალს მოკრავდა თუ არა, წამსვე ათავებდა. ცხვირსახოცი ძალიან შველოდა, ისე კი, უფრო ხშირად, შხეფებს პირდაპირ საქალაქდეში, მეორე ხარისხის განტოლებებზე, მწერების კლასიფიკაციის სქემაზე, ან საბჭოთა კავშირში ქვანახშირის ამოღების მაჩვენებლებზე მიუშვებდა. ქალიშვილს კი ჟურნალში ჰქონდა თავი ჩარგული.

ნლები გავიდა, მაგრამ ბრუნოს ისევ ეჭვები ღრღნიდა. ყოველივე, რაც ოდესღაც მოხდა, უშუალოდ უკავშირდებოდა მძიმარა და სქელ პატარა ბიჭს, რომლის ფოტოსურათები დღემდე შემონახა და რომელსაც, თავის მხრივ, პირდაპირი კავშირი ჰქონდა სურვილებით გატანჯულ მოზრდილ ადამიანთან, რაღაც იგი დროის განმავლობაში იქცა. მძიმე ბავშვობა და სასტიკი სიყმანვილე გამოიარა. ახლა ორმოცდაორი წლისაა და ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, სიკვდილი ჯერ კიდევ შორსაა. რალა დარჩენია ამ ცხოვრებაში? ქალის საშოს წუწვნა? თანაც, თვითონაც კარგად იცის, რაც დრო გავა, მით უფრო მიეჩვევა ამაში ფულის გადახდას. როდესაც რალაც მიზნისკენ ისწრაფი, მოგონებებისთვის ცოტადრო გრჩება. ერექციები სულ უფრო იშვიათი და ხანმოკლე ხდებოდა და ბრუნოს მწუხარე უიმედობამ დარია ხელი. სექსი მისი ცხოვრების მიზნად იქცა და ახლა ამას აღარაფერი ეშველებოდა. ამ მხრივ ბრუნო თავისი დროის შვილი იყო. მის სიყმანვილეში, ფრანგული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი საუკუნეობრივი უღმობელი ეკონომიკური მეტოქეობის სიმძაფრე ცოტაოდენ დაცხრა. საზოგადოების წარმოდგენაში თანდათანობით ფეხს იკიდებდა ის აზრი, რომ ეკონომიკური პირობები ბუნებრივად ისწრაფიან შესაძლებლობათა გარკვეული თანასწორობისკენ. პოლიტიკოსები და მენარმენი ხშირად იხსენებდნენ სოციალურ-დემოკრატიის შვედურ მოდელს. ბრუნოს აზრად არასოდეს მოსვლია ეკონომიკური წარმატების წყალობით უკან ჩამოეტოვებინა თანამედროვენი. პროფესიონალურ სფეროში, მისი ერთადერთი და უნდა ითქვას გონიერი მიზანი იყო, როგორმე გათქვეფილიყო "ბუნდოვანი მოხაზულობის მქონე, ფართე საზოგადოებრივ კლასში", რომელიც, მოგვიანებით, ჟისკარ დ'ესტენმა აღწერა. მაგრამ ადამიანს იერარქიის გარეშე არსებობა ვერ წარმოუდგენია და, ნებისთ თუ უნებლიეთ, სხვებზე აღმატებულად მიიჩნევს თავს. დანია და შვედეთი არა მხოლოდ თანაბარ შესაძლებლობათა ეკონომიკით, არამედ, "სექსუალური თავისუფლებითაც" მისაბაძი გახდნენ დანარჩენი ევროპისთვის. ყველასთვის მოულოდნელად, იმ საშუალო კლასის წიაღში, რომელთან მიერთებას ესოდენ ესწრაფოდნენ მუშები და გარკვეული დონის მოხელეები, უფრო ზუსტად, ამ კლასის წევრთა შვილებში, ნარცისული მეტოქეობის ფართე ასპარეზი

გადიშალა. 1972 წელს, ავსტრიის საზღვართან მდებარე პატარა ბავარიულ ქალაქ ტრაუნშტიენში, ლინგვისტურ ბანაკში, ბრუნოს რაზმელმა ფრანგმა ბიჭმა, პატრიკ კასტელიმ, სამ კვირაში ოცდაჩვიდმეტი გოგო გადაჰყიდა, მაშინ, როცა ბრუნომ, მთელი ამ ხნის განმავლობაში, ერთიც ვერ მოინადირა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბრუნომ სუპერმარკეტის გამყიდველს დაუძრო ასო. ქალი სიცილით ჩაბუირდა, ჩივილით კი არსად უჩივლია. პატრიკ კასტელიც ბურჟუების შვილი იყო და სკოლაში კარგად სწავლობდა; ორთავეს ერთი და იგივე ეკონომიკური მომავალი ელოდა. ბრუნოს სხვა მოგონებებიც ამისგან არაფრით განსხვავდებოდა.

მოგვიანებით, ეკონომიკის მონდიალიზაციამ კონკურენციას ახალი სიმწვავე შესძინა და საშუალო ფენაში ინტეგრირებული მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის განუხრელ ზრდასთან დაკავშირებული ოცნებები ერთხელ და სამუდამოდ დაასამარა. უმუშევრობისა და გაჭირვების მორევი სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს ითრევდა. მაგრამ სოციალურ მეტოქეობას ამით სიმწვავე არ აკლდებოდა, შეიძლება ითქვას, პირიქითაც კი ხდებოდა.

ოცდახუთი წელი გამოხდა, რაც ბრუნომ მიშელი გაიცნო. ეჩვენებოდა, რომ ამ საშინელი დროის მანძილზე თითქმის არ შეცვლილა და ამიტომ ადამიანისთვის ერთხელ და სამუდამოდ ბოძებული პიროვნული არსის უცვლელობაში ეჭვიც არ ეპარებოდა. და მაინც, მისი ცხოვრების დიდი ნაწილი ბნელში დაინთქა. დავიწყების მდინარემ ბევრი თვე და წელი წარსტაცა, ისე, თითქოს არც კი უცხოვრია. მაგრამ მოგონებებით და ჭკუის სასწავლებელი გამოცდილებებით დახუნძლული ყმანვილკაცობის ორი უკანასკნელი წელი მეხსიერებას ცხოვლად შემორჩა. ადამიანის ცხოვრების გახსენება გრიფიტის "კონსისტენტურ ისტორიას" ჰგავს, აუხსნა დიდი ხნის შემდეგ ნახევარძმამ. მასის იმ სალამოს, მიშელთან "კამპარის" სვამდნენ. ერთად ყოფნისას წარსულს იშვიათად უბრუნდებოდნენ, უფრო პოლიტიკურ თუ სოციალურ საკითხებზე მსჯელობდნენ. მაგრამ იმ სალამოს, რატომღაც, წარსულ ამბებზე ალაპარაკდნენ. "შენ შენი ცხოვრების ესა თუ ის წუთი გახსოვს, - დაასკვნა მიშელმა - და ყოველი მათგანი სხვადასხვანაირად წარმოგიდგება. ფიქრებს, მიზეზებს და სახეებს იხსენებ. ზოგჯერ,

მხოლოდ სახელს. მაგალითად, პატრიცია ჰოპკინსი, რომელსაც ასე ხშირად ახსენებ და რომელსაც, დღეს რომ სადმე გადაეყარო, ვერც იცნობ. ზოგჯერ ვილაჯის სახე დაგიდგება თვალწინ. უყურებ, მაგრამ ვერაფერს იხსენებ. კაროლინ იესეიანის მხოლოდ ის გახსოვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბარძაყზე ხელი დაადე. შესაძლებელ მოვლენათა კვანთურ განზომილებებს შორის არსებული კავშირის დასადგენად, გრიფიტსმა, 1984 წელს, "კონსისტენტური ისტორიების" ცნება შემოიღო. გრიფიტსის "ისტორიის" აგება დროში განსხვავებული, მეტ-ნაკლებად შემთხვევითი განზომილებების საფუძველზე ხდება. ყოველი განზომილება გარკვეული ფიზიკური სიდიდის არსებობის ფაქტს ადასტურებს, რომელიც განზომილებათა მიხედვით იცვლება და ყოველ განსაზღვრულ მომენტში ღირებულებათა ამა თუ იმ სფეროს მიემართება. მაგალითად, t1 დროში ელექტრონის სიჩქარის მიახლოებითი გამოთვლა გაზომვის მეთოდზეა დამოკიდებული. t2 დროში ელექტრონი რომელიმე სივრცობრივ ზონაში არსებობს. t3 დროს ის ელემენტარული ნაწილაკების მოძრაობის (სპინი) ამა თუ იმ ფორმას იძენს. განზომილებათა ერთიანობის გათვალისწინებით, შეიძლება განისაზღვროს "ლოგიკურად დადასტურებული", ანუ კონსისტენტური "ისტორია", რომლის "სიმართლე" შეიძლება ეჭვს იწვევდეს. ჩვენი სამყაროს შესაძლებელი და ექსპერიმენტალურად დასაშვები "ისტორიებიდან" ზოგიერთი შეიძლება გრიფიტსის სქემით აღვწეროთ; ამ შემთხვევაში დასაშვებია, რომ მათ "გრიფიტსის კონსისტენტური ისტორიები" ვუნოდოთ, რადგან მათში ყველაფერი ისე ხდება, თითქოს სამყარო ერთმანეთთან დაუკავშირებელი საგნებისგან შედგება და თითოეულს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებები გააჩნია. განზომილებათა მწკრივიდან გამომდინარე, შეიძლება აღვწეროთ "გრიფიტსის კონსისტენტური ისტორიების" რიცხვი, რომელიც მუდამ ერთზე გაცილებით მეტია. იცნობიერებ საკუთარ მეს და ეს ცნობიერება ჰიპოთეზის ნამოყენების ნებას გაძლევს: ის ამბავი, რომელსაც საკუთარი მოგონებებიდან ქმნი, მხოლოდ იმ შემთხვევაშია "ლოგიკურად დასაბუთებული" (კონსისტენტური), თუკი "ერთხმიანია". როგორც საგნებისა და არსთა ონტოლოგიის მორჩილი ცალკე ინდივიდი, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე არსებობს ამქვეყნად. შეგიძლია და-

რწმუნებული იყო იმაში, რომ "გრიფიტის კონსისტენტური ისტორიების" ცნებები შენთვის ზედგამოჭრილია, თუმცა შენი ჰიპოთეზა სინამდვილეს უფრო მიესადაგება, ვინემ ოცნებების სამყაროს.

- მირჩევნია ვიფიქრო, რომ "მე" ილუზიაა, თუნდაც მტკივნეული, - წყნარად შეეპასუხა ბრუნო. მიშელმა, რომელსაც ბუდიზმის არაფერი გაეგებოდა, კამათს თავი აარიდა. წელიწადში დიდი-დიდი ორჯერ ხვდებოდნენ ერთმანეთს და საუბარი არ გამოსდიოდათ. ახალგაზრდობაში ხშირად მწვავედ კამათობდნენ, მაგრამ ის დრო წარსულს ჩაბარდა. 1973 წელს ორთავემ ბუნებისმეტყველება აირჩია და ორი წლის განმავლობაში ერთად ესწრებოდნენ მათემატიკისა და ფიზიკის ლექციებს. მიშელმა, რომელსაც სწავლაში ტოლი არ ჰყავდა, ის-ის იყო აღმოაჩინა, რომ ადამიანთა სამყარო სხვა არაფერია, თუ არა სიცრუე, წუხილი და კაეშანი. მშვიდ და ნათელ სიხარულს მხოლოდ მათემატიკურ განტოლებებში პოულობდა. ხელის ფათურით მიიკვლევდა გზას ბინდში და, ერთბაშად, გამოსავალს პოულობდა: რამდენიმე ფორმულა, რამდენიმე გაანგარიშება და, აი, იგი უკვე შუქფენილ მწვერვალზეა. ყველაზე ამაღლევებელი, მათემატიკური მტკიცებულების პირველი განტოლება ერჩენა - მხოლოდ შუაგზამდე მისული ჭეშმარიტების უტყუარობას ვერვინ ინამებს, უკანასკნელმა ჭეშმარიტებამ კი სიხარულით თავბრუ დაახვია. იმავე წელს, ანაბელი მოს ლიცეუმის მეორე კლასში გადავიდა. გაკვეთილების შემდეგ, სამივენი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. მერე ბრუნო ინტერნატში ბრუნდებოდა, ანაბელი და მიშელი კი სადგურის გზას გაუყვებოდნენ. სამწუხაროდ, საქმე უცნაურად დატრიალდა. 1974 წლის დასაწყისში მიშელი "ჰილბერტის სივრცეებმა" გაიტაცა. მერე განზომილებათა თეორიას ეზიარა და რეიმანის, ლებეგისა და სტილტესის ინტეგრალებიც აღმოაჩინა. ამ დროს ბრუნო კავკასი კითხულობდა და პატარა მატარებელში ხელცქვიტობდა. მაისის ერთ ნაშუადღევს ძალიან ისიამოვნა, როდესაც, შაპელ-სიურ-კრესის ახალგახსნილ აუზში პირსახოცის კიდეები გადაიხსნა და თორმეტიოდე წლის ორ გოგონას თავისი სამშვენისი წარუდგინა. უფრო იმან გაახარა, რომ გოგონები ერთმანეთს მუჯღლუგუნს კრავდნენ, ერთი ამას შეხედუო. მერე სათვალთან პატარა შავტუხას მიაჩერდა და დიდხანს არ მოუცილებია მზერა. გაუბედურებულ და გაბიაბრუებულ ბრუ-

ნოს სხვისი ფსიქოლოგიური პრობლემები სულაც ფეხებზე ეკიდა, მაგრამ იმას მაინც ხვდებოდა, რომ მიშელს მასზე უარესი დღე ადგა. ხშირად სამივენი კაფეში მიდიოდნენ. მიშელს სპორტული ქურთუკი ეცვა, თავზე სასაცილო ქუდი ეხურა; მაგიდის ფეხურთს ვერ თამაშობდა და საუბარიც არ ეხერხებოდა, ამიტომ მეტწილად ბრუნო ლაპარაკობდა. მიშელი გაუნძრევლად იჯდა, იშვიათად თუ ამოღერლავდა ერთ-ორ სიტყვას და არაფრისმთქმელი თვალებით ანაბელს მისჩერებოდა. ანაბელი არაფერს ამბობდა. მიშელი მისთვის სხვა, უკეთესი სამყაროდან მოვლენილი არსება იყო. სწორედ იმ დღეებში წაიკითხა "კრეიცერის სონატა" და ცოტა ხანი თავს ირწმუნებდა, წიგნი მიშელის გაგებაში დამეხმარებაო. ოცდახუთი წელი გავიდა და ბრუნოს ეჩვენებოდა, რომ მაშინ სამთავემ გამოუვალ, არაბუნებრივ და უიმედო მდგომარეობაში ამოყო თავი. წარსულს რომ გახედავ, იქნებ ცდები, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს ყველაფერი წინდანწინვე იყო განსაზღვრული.

სტანდარტულ რეჟიმში

"ისინი, ვინც, რევოლუციურ ეპოქებში, ესოდენ საოცარი ამპარტავნობით იჩემებენ თანამედროვე ანარქიული ვნებების გაღვივების იაფფასიან დამსახურებას, ვერც კი ამჩნევენ, რომ ამ სავალალო და მოჩვენებით წარმატებას საზოგადოებრივი მოვლენების მიერ სტიქიურად გამოწვეულ განწყობას უნდა უმაღლოდენ".

ოგიუსტ კონტი

"პოზიტიური ფილოსოფიის კურსი"

70-იანი წლები, საფრანგეთში, "სამოთხის მოჩვენების", "მექანიკური ფორთოხლისა" და "ვალსის მოცეკვავეების" სკანდალური წარმატებით აღინიშნა. საზოგადოების მიერ ამ სამი, ერთმანეთისგან განსხვავებული ფილმის ერთსულოვანმა აღიარებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა "ახალგაზრდული კულტურის" კომერციული ღირებულება. მომდევნო ათწლეულებში, სექსსა და ძალადობაზე დამყარებული კულტურის ნიაღში შექმნილმა ნაწარმოებებმა თითქმის მთელი ბაზარი მოიცვა. ოცდაათი წლის ასაკში გამდიდრებული 60-იანელთა თაობა, 1974 წელს ეკრანებზე გამოსულ "ემანუელში" პოულობდა კაიფს. იუდეურ-ქრისტიანული სულისკვეთების მატარებელი კულტურის ფონზე, დროსტარების, ეგზოტიკური ადგილებისა და ორგიების მეხოტბე ფილმი (რეჟისორი ჯასტ ჯეკინი) გართობის ცივილიზაციის პირველი მერცხალი იყო. ზოგადი აზრით, ზნე-ჩვევათა თავისუფლებისკენ მიმართულმა

მოძრაობამ, 1974 წელს არნახული წარმატება მოიპოვა. 20 მარტს პარიზში გაიხსნა "ვიტატოპის" პირველი კლუბი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ფიზიკური ფორმისა და ძლიერი სხეულის კულტის დამკვიდრებაში. 5 ივლისს სამოქალაქო სრულწლოვანების ასაკად 18 წელი დაკანონდა, 11 ივლისის კანონი კი, მეუღლეთა საერთო თანხმობის საფუძველზე, განქორწინების ნებას იძლეოდა და ამით, სისხლის სამართლის კოდექსში, ცოლქმრული ღალატის ცნებას ძალადაკარგულად ცნობდა. დაბოლოს, 28 ნოემბერს, დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ, მემარცხენეების მეცადინეობის წყალობით, მიღებულ იქნა აბორტის ე.წ. "ვეილის კანონი", რომელსაც კომენტატორთა უმრავლესობამ "ისტორიული" უწოდა. მართლაც, დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობის მიერ ერთხმად აღიარებული ქრისტიანული ანთროპოლოგია უზომო მნიშვნელობას ანიჭებდა ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლეს, ჩასახვიდან სიკვდილამდე, რადგან ქრისტიანებს სწამდათ ადამიანის სხეულში თავისი არსით მარად უკვდავი "სულის" არსებობა, რომელიც მომავალში ღვთიურ სამეუფოში უნდა დამკვიდრდეს. ბიოლოგიური მეცნიერების პროგრესის გავლენით, მე-19 და მე-20 საუკუნეებში სულ უფრო და უფრო მძლავრად იკიდებს ფეხს არსებითად განსხვავებული, გაცილებით მოკრძალებული ეთიკური მოთხოვნილებების მქონე მატერიალისტური ანთროპოლოგია. ერთი მხრივ, ჩანასახს, ანუ უწყვეტი სახეცვლის პროცესში მყოფი უჯრედების პატარა შენადედს, პირადი დამოუკიდებელი არსებობა მხოლოდ გარკვეული სოციალური შეთანხმების საფუძველზე ენიჭება (არასრულყოფილების მომასწავებელი გენეტიკური ნაკლის არარსებობა, მშობლების თანხმობა). მეორე მხრივ, მოზუცს, ანუ უწყვეტი გახრწნის პროცესში მყოფი ორგანოების გროვას, სიცოცხლის გაგრძელების უფლებას მხოლოდ მისი ორგანული ფუნქციების საკმარისი კოორდინაცია აძლევს. ამ შემთხვევაში, საყრდენი კრიტერიუმის ფუნქციას "ადამიანური ღირსების" ცნება ასრულებს. ამიერიდან, სიცოცხლის ორ ასაკობრივ ზღვართან დაკავშირებული ეთიკური პრობლემები (ჯერ აბორტი, რამდენიმე ათწლეულის შემდეგ - ევთანაზია), ორი მსოფლმხედველობის, ორი ძირფესვიანად განსხვავებული ანთროპოლოგიის დაუძლეველი დაპირისპირების მიზეზი ხდება.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრინციპების განმსაზღვრელმა გნოსტიციზმმა ხელი შეუწყო მატერიალისტური ანთროპოლოგიის თვალთმაქცურ, მარად აღმავალ და შეიძლება ითქვას, ცბიერ ზეობას. ადამიანური არსებობის თითქოსდა მიჩუმათებული, არასდროს გაცხადებული "ღირებულების" საკითხი განუხრელად იკვლევდა გზას ადამიანთა გონებაში და, ეჭვს გარეშეა, სწორედ ის გახდა დასავლურ ცივილიზაციაში ბოლო ათწლეულების მანძილზე ესოდენ ფეხმოკიდებული დეპრესიისა და თვით მათხოხიზმის პირველწყარო.

ბრუნოსთვის, რომელსაც ის-ის იყო თვრამეტი შეუსრულდა, 1974 წელი მეტად მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი გამოდგა. დიდი ხნის შემდეგ, ფსიქიატრთან სენანგებისას, ხშირად იხსენებდა ამ წელს, თუმცა ზოგიერთ წერილმანს სახეს უცვლიდა. ექიმი გულისყურით უსმენდა, ჩანდა, რომ დიდად აფასებდა ბრუნოს აღსარებას. აი, ის კანონიკური ვერსია, რომელიც სიტყვაუხვმა ბრუნომ ექიმს გაანდო:

"ეს ამბავი ივლისის ბოლოს მოხდა. ერთი კვირით დედასთან გავემგზავრე, ლაჟვარდოვან სანაპიროზე. ჩვეულებისამებრ, სახლი მიმსვლელ-მომსვლელებით იყო სავსე. იმ ზაფხულს დედა ერთ ახალგაზრდა კანადელს ესიყვარულებოდა. მაგარი ვინმე იყო, ნაღდი ხის მჭრელი გეგონებოდა. გამომგზავრებისას, ადრე გავიღვიძე. კარგა გვარიანად ცხელოდა. დედაჩემის საწოლ ოთახში შევედი, ორთავეს ეძინა. ცოტა შევყოყმანდი, მერე კი ზენარი დავითრიე. დედაჩემი შეინძრა. ვიფიქრე, თვალებს გაახელს-მეთქი, მან კი ფეხები გადაშალა. ბარძაყებს შორის ჩავიჩოქე, ხელი გავინვდინე, მაგრამ შეხება ვერ გავებდე. თესლის დასაფერთხად გარეთ გამოვედი. დედაჩემი კატების გიჟი იყო, უამრავი გაველურებული კატა შეიკედლა. თბილ ქვებზე მზეს მიფიცხებულ ახალგაზრდა შავ კატას მივუახლოვდი. სახლის გარშემო მიყრილ-მოყრილი რიყის ქვა თეთრად ელავდა. საქმით გართულს, კატამ ერთი-ორჯერ ირიბად გამომხედა, მაგრამ სანამ დავანთხევედი, თვალეები დახუჭა. დავიხარე და დიდ ქვას დავწვდი. კატას თავის ქალა გადაუსკდა და ტვინის ნაფლეთები აქეთ-იქით მიმოიფანტა. გვამს ქვეები მივყარე და სახლში შევბრუნდი. ყველას ეძინა. იმავე დილით დედამ

მანქანით მამას მიმგვარა. მამაჩემი ორმოცდაათი კილომეტრის დაშორებით ცხოვრობდა. მანქანაში პირველად ჩამომიგდო სიტყვა დი მეოლაზე. ოთხი წლის წინ მასაც დაუტოვებია კალიფორნია და ავინიონთან ახლოს, ვენტუს კალთებზე შეფენილი დიდი მამული უყიდა. ზაფხულობით, ევროპიდან და ჩრდილოეთ ამერიკიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს მასპინძლობდა. კარგი იქნება, ზაფხულში ესტუმრო, აქამდე უნახავს ნახავო, - მითხრა დედაჩემმა. მისი აზრით, დი მეოლას მოძღვრება, რომელიც, ძირითადად, ბრაჰმანულ ტრადიციებს ემყარებოდა, ფანატიზმისგან და შეუმწყნარებლობისგან შორს იდგა. დი მეოლა კიბერნეტიკის, "პნლ"-სა და იზალენში დამუშავებული "დეზომბირების" უახლეს მიღწევებსაც კარგად იცნობდა და სათვალავში იღებდა. უპირველეს ყოვლისა, საქმე ეხებოდა ინდივიდის და მისი სიღრმისეული შემოქმედებითი შესაძლებლობების სრულ გათავისუფლებას. "ჩვენ საკუთარი ნეირონების მხოლოდ 10% მოვიხმართ".

"მერე კიდევ, - დამატა ჯეინმა (მანქანა ფიჭვის ტყეში მიიკვლევდა გზას), - იქ შენს თანატოლებს შეხვდები. ჩემთან რომ იყავი, ყველამ შეამჩნია, რომ სექსთან დაკავშირებით რაღაც გართულებები გაქვს. სექსუალური ცხოვრების დასავლურმა ყაიდამ ყველაფერი შერყვნა და თავდაყირა დააყენა. ბევრ პირველყოფილ საზოგადოებაში, სექსთან ზიარება ტომის უზუცესთა მეთვალყურეობით ხდებოდა". "მე შენი დედა ვარ", - დასძინა ბოლოს, მაგრამ ის კი არ გაუმხილა, რომ 1963 წელს, დი მეოლას ვაჟიშვილმა, დავიდიმ, "პირველი ზიარება" სწორედ მისგან მიიღო. დავიდი მაშინ ცამეტი წლის იყო. ერთ ნაშუადღევს, სანამ ბიჭს მასტურბაციას დაწყებინებდა, ზედ მის თვალწინ გაშიშვლდა. მეორე ნაშუადღევს ასო მოუნუნა. დაბოლოს, მესამე დღეს, ბიჭს ნება დართო, ზემოდან დაწოლოდა. ის დღეები სასიამოვნო მოგონებად დარჩა. ზედიზედ რამდენიმე ეაკულაციის მიუხედავად, ბიჭის გაბრიქინებული ასო საოცრად მკვირცხლი ეჩვენა. იმ ნუთიდან მოყოლებული, ჯეინი ყმანვილკაცებზე გადაერთო. "მაგრამ, - დასძინა მან, - ზიარება ვინრო ოჯახური წრის გარეთ ხდებოდა და ახალგაზრდაც, თითქოს, სამყაროს ეხსნებოდა". ბრუნო შეკრთა. წამსვე ერთმა აზრმა გაუელვა: ამ დილით, ბარძაყებზე რომ დავამტერდი, ვაითუ, გაიღვიძა და თავი მოიკატუნაო, თუმცა დედამისს

ისეთი არც არაფერი უთქვამს. არადა, სისხლის აღრევა ნაცრისფერ ბატებს და აფრიკულ მაიმუნებსაც ეკრძალებათ. მანქანა სენტ-მაქსიმს უახლოვდებოდა.

"მამასთან რომ მივედით, - ყვებოდა ბრუნო, - წამსვე ვიგრძენი, რომ სულ მთლად ჯანზე ვერ იყო. იმ ზაფხულს მხოლოდ ორი კვირა დაისვენა. მე მაშინ ამის არაფერი ვიცოდი, მაგრამ, თურმე, ფულიც შემოაკლდა: ამ ბოლო ხანებში საქმე ძველებურად ველარ მიდიოდა. მოგვიანებით თავად გამენდო. სილიკონის მკერდზე სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებებს ფეხი ვერ აუწყო. ეგონა, მოდაა და გადაივლის, უბრალოდ, ამერიკელების მორიგი ოინიაო. რა თქმა უნდა, კარგა მაგრად ჭამა. როგორ ვერ იაზრა, რომ ყველაფერი ამერიკული, რამდენიმე წელიწადში ევროპასაც აუცილებლად გადმონვდებოდა. ამას ვინ სულელი უარყოფს. ერთმა მისმა ახალგაზრდა მენილემ სარფიანი საქმე წამსვე იცნოსა, მამაჩემს უგანა და სილიკონის მკერდის სატყუართი მუშტრების დიდი ნაწილიც გადაიბირა."

ამ აღსარების დროისთვის ბრუნოს მამა სამოცდაათი წლის იყო. ცოტაც და ციროზი ხელს მოუთავებდა. "ისტორია მეორდება, - პირქუშად ყვებოდა მამა და ჭიქაში ყინულის ნატეხებს ურევდა, - იმ დამპალმა პონსემ (ეს ის ახალგაზრდა ჩალიჩა ქირურგი იყო, რომელმაც, ოცი წლის წინ, მამა გააკოტრა), დიახ, იმ ნაბიჭვარმა პონსემ, მამაკაცის ასოს დაგრძელებაზე მუშაობა რომ შესთავაზეს, არც აცია, არც აცხელა და ფულის დაბანდებაზე უარი განაცხადა. ყასაბის საქმეა, თანაც ევროპულ ბაზარზე ვერ გავასალებთო, - ასე ბრძანა. ჩერჩეტი! თუმცა, არც მე ვიყავი დიდი ტვინის პატრონი. დღეს ოცდაათის რომ ვიყო, გიყვარდეს, მთელ ფულს ამ საქმეს მოვახმარდი!" მონოლოგს რომ მორჩებოდა, ბუნდოვან ოცნებებში გადაეშვებოდა და ცოტა ხანში წაუძინებდა. რას იზამ, ამ ასაკში ესეც ბევრია.

1974 წლის ივლისის თვე, ბრუნოს მამისთვის, ჯერ კიდევ დასასრულის დასაწყისი იყო. ნაშუადღევს, სან-ანტონიოს პატარ-პატარა რომანების დასტას, თან ერთ ბოთლ "ბურბონს" ამოიღლიავენბდა და ოთახში იკეტებოდა. შვიდი საათისთვის გამოვიდოდა და მოცახცახე ხელებით რაიმე სასუსნავს გააჩალიჩებდა. შვილთან

საუბარს არ გაუბოდა, ერთი ის იყო, რომ სიტყვებს ვერ პოულობდა, იმიტომ, რომ არც არაფერი ჰქონდა სათქმელი. ორი დღეც და მდგომარეობა საგრძნობლად დაიძაბა. ბრუნომ სახლიდან გასვლას უმატა და მთელ ნაშუადღევს, მიუსაფარივით პლაჟზე დაყი-
ალობდა.

მონოლოგის მეორე ნახევარმა ფსიქიატრი ნაკლებად დააინტე-
რესა, მაგრამ ბრუნო სათქმელს არ ეშვებოდა და სიტყვის განყვე-
ტა წამითაც არ უფიქრია. ბოლო-ბოლო, ამ ჩათლახის ხელობა ად-
ამიანების მოსმენაა, ფულსაც ამაში უხდინან.

"გოგონა მარტოხელა იყო, - თავისას მიუყვებოდა ბრუნო, -
მთელ დღეებს პლაჟზე მარტოობაში ატარებდა მდიდარი მშობლე-
ბის გაუბედურებული ქალიშვილი... ამაში მე მგავდა. ჩვიდმეტი
წლის იყო... მორცხვი და პუტკუნა, პატარა ზვინს მოგაგონებდა...
თეთრ სახეზე მუნუკები ასხდა. მეოთხე ნაშუადღევს, ზუსტად გა-
მგზავრების წინა დღით, ჩემი საქალაღე ავიღე და გვერდით მი-
ვუჯექი. პირდაღმა იწვა, ლიფი შეხსნილი ჰქონდა. მახსოვს, სათქ-
მელს ვეძებდი, მაგრამ მხოლოდ ეს ვკითხე: "არდადეგებზე ხარ?"
გოგონამ ამომხედა; აშკარა იყო, არც უფიქრია, აქამდე გაუგონარს
გავიგონებო, მაგრამ ასეთ სისულელეს ნამდვილად არ ელოდა. ერ-
თმანეთი გავიცანით, ანიკი ერქვა. ფეხზე წამოდგომა დააპირა, მე
კი გაფაციცებით ველოდი, შეიკრავდა თუ არა ლიფს. ან იქნებ, ძუ-
ძუების გადმოყრას აპირებს? რალაც შუალედური აირჩია: ლიფის
ბოლოებს ჩაეჭიდა და გულაღმა ამოტრიალდა. ყველაფერი იმით
დასრულდა, რომ ლიფის ბუდეები გვერდზე მოექცა და მკერდი სა-
ნახევროდ მოუღიავდა. დიდრონი, თუმცა უკვე მოფლამუნებული
ძუძუები ჰქონდა. დრო რომ გავა, ადვილი წარმოსადგენია, რას
დაემგვანება! სითამამე არ აკლია-მეთქი, გავიფიქრე, ხელი ლიფის
ქვეშ გავუტარე და ძუძუები კიდევ უფრო მოვუშინველე. არ გატო-
კებულა, ეს იყო, ცოტა დაიძაბა და თვალები მილულა. ხელს ვუს-
ვამდი და ვგრძნობდი, როგორ უმკვრივდებოდა ძუძუსთავეები... ჩე-
მი ცხოვრების ყველაზე ნეტარ წუთებს განვიცდიდი.

მერე და მერე საქმე გართულდა. ჩემთან ნავიყვანე და პირდა-
პირ სანოლ ოთახში ავედით. მეშინოდა, მამაჩემს არ დაენახა. მას
ხომ მუდამ ლამაზმანები ეხვია თავს! მამას ეძინა, შუადღისას გა-

ილემსა და სალამოს ათ საათამდე სული ვერ მოიბრუნა. უცნაური იყო, მაგრამ გოგომ თავი გაიგიჟა და ტრუსები არაფრის დიდებით არ გაიხადა. ამიხსნა, ასეთი რამ არასოდეს გამიკეთებიაო. მართალი თუ გნებავთ, ბიჭებთან ჯერ საქმე არ ჰქონია, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, წამითაც არ შეეყოყმანებულა, ასოს ეძგერა და მონდომებით შეეთამაშა. მახსოვს, ილიმებოდა. ასო ტურებთან მიეუტანე, ფრთხილად, სვენებ-სვენებით მონუნა; შევატყვე, დიდად არ სიამოვნებდა. მეც აღარ ჩავაჯინდი და ზემოდან გადავაჯექი. ძუძუებს ასოზე ვისრისავდი და მესმოდა, განცხრომისგან როგორ კრუტუნებდა. მეტის მოთმენა ველარ შევძელი, ვნებამ ხელი დამრია, წამოვინიე და ტრუსები ჩავხადე. ამჯერად გაყურდა, აღარ გამძალიანებია, პირიქით, საქმე რომ გაეადვილებინა, ფეხები გაშალა. უეჭველია, ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ აი, ფისუნა მართლაც მიმზიდველი ჰქონდა, თუმცა ყველა ქალისა ხომ ასეთია. როდესაც ხელები დუნდულების ქვეშ ამოვუდე, ფეხები კიდევ უფრო გაშალა. ამან ისე აღმაგზნო, რომ წამსვე გავათავე, ისე, რომ შეყოფაც ვერ მოვასწარი. ღინღლზე რამდენიმე წვეთი დაეღვარა. დავირცხვინე, მაგრამ დამამშვიდა, ეგ არაფერი, ისედაც ვისიამოვნეო.

ბევრი დრო არც გვქონდა, რვა საათი სრულდებოდა და სახლში ეჩქარებოდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ გამენდო, ჩემს მშობლებს ჩემს მეტი არვინ ჰყავთო. ისეთი ბედნიერი იყო, ისე ეამაყებოდა, სახლში გვიან მისვლის მიზეზი რომ გაუჩნდა, მის შემხედვარეს ლამის ცრემლები წამსკდა. მერე, სახლის წინ, ბაღში, დიდხანს ვკოცნაობდით. მეორე დილით პარიზში გამოვემგზავრე".

მინი-ამბავს დაასრულებდა და გაყურდებოდა. თერაპევტი რიდით ჩაიცინებდა: "ძალიანაც კარგი". იმისდა მიხედვით, თუ რა დრო გავიდა, ბრუნოს ან სიტყვის გაგრძელებას სთხოვდა, ან არა და მოკლედ მოჭრიდა: "დღეისთვის იქნებ ეს ვიკმაროთ?" კითხვა რომ გამოსვლოდა, ბოლო სიტყვაზე ხმას მსუბუქად უწევდა, თან თვალები ეშმაკურად უელავდა.

ამავე წლის ზაფხულს, სენ-პალეს დისკოთეკაზე, ანაბელმა პირველად აკოცინა ბიჭს. ის-ის იყო, ჟურნალში "სტეფანი" გოგობიჭების მეგობრობაზე კარგა მოზრდილი წერილი წაიკითხა. ბავშვობის მეგობარ ბიჭთან დაკავშირებით ავტორი ერთ, უკიდურესად გულისამრევ თეზისს ავითარებდა: იშვიათია, რომ ბავშვობის მეგობარი, მოგვიანებით, გულისსწორი გახდეს; მისი ბედი, თუ გნებავთ, ბუნებრივი დანიშნულება, ბოლომდე მეგობრობა, უფრო ზუსტად, ერთგული ძმაკაცობაა. ისიც ხდება, რომ პირველი ფლირტით გამონვეული ემოციური შფოთისა და ნუხილის დროს, ის ხშირად, მთავარი მესაიდუმლისა და საყრდენის მოვალეობას კისრულობს.

იმ პირველი კოცნისას, ანაბელს, ჟურნალისტის ტვინსაჭყლეტი მსჯელობის მიუხედავად, გაუსაძლისი სევდა შემოაწვა და აქამდე უცნობი მტკივნეული განცდა მოეძალა. გაცილება არ მინდაო, მიუგდო ბიჭს და "კატმანდუს" კარები გაიხურა. ველოსიპედს ჯაჭვს ხსნიდა და თავით-ფეხამდე კანკალებდა. ამ საღამოსთვის საუკეთესო კაბაში გამოენყო. ძმის სახლს ერთი კილომეტრი აშორებდა; თერთმეტს გადაცილებული იყო, სახლთან რომ მივიდა, სასტუმრო ოთახში სინათლე დაინახა და ატირდა. აი, ასე, 1974 წლის ივლისში, ანაბელმა, ერთხელ და სამუდამოდ, მტკივნეულად გააცნობიერა საკუთარი არსებობა. თუკი ცხოველს პირადი არსებობა ფიზიკური ტკივილის სახით წარმოუდგება, ადამიანურ საზოგადოებაში მისი შეცნობა სიცრუის მეშვეობით ხდება, რომელსაც, ხშირ შემთხვევაში პიროვნება მთლიანად შეერწყმის. თექვსმეტ წლამდე, ანაბელი მშობლებს არაფერს უმაღავდა. მიშელსაც ყვე-

ლა საიდუმლოს უმხელდა და ახლა, როდესაც ამაზე ფიქრობდა, ეს ნდობა ყველაზე ძვირფას და იშვიათ განძად მიაჩნდა. იმ ღამით კი, რამდენიმე საათში, ანაბელი მიხვდა, რომ ადამიანის ცხოვრება სიცრუის გაუთავებელი ჯაჭვია... საკუთარი სილამაზეც სწორედ იმ წუთებში გააცნობიერა.

ინდივიდუალური არსებობა და მისგან გამომდინარე თავისუფლების განცდა დემოკრატიის ქვაკუთხედი. დემოკრატიულ საზოგადოებაში, პიროვნებათა შორის ურთიერთობების მონესრიგება კონტრაქტის კლასიკური ფორმით ხდება. ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთ-ერთი ხელისმომწერის უფლებებს ლახავს, ან არ შეიცავს დამატებით მუხლებს კონტრაქტის შესაძლებელი დარღვევების პირობებზე, ძალადაკარგულად ითვლება.

ბრუნო ხალისით და ნვრილ-ნვრილად იხსენებდა 1974 წლის ზაფხულს, მაგრამ როგორც კი სიტყვა არდადეგების მომდევნო სასწავლო წელზე ჩამოვარდებოდა, ერთბაშად ლაპარაკის იშტას კარგავდა და სიტყვაძუნწი ხდებოდა. იმ წელიწადმა მზარდი უხერხულობის მოგონება დაუტოვა. გაურკვეველი, ერთფეროვანი და უსახო დროის მონაკვეთი იყო, სხვა არაფერი. ანაბელს და მიშელს ისევ ისე ხშირად ხვდებოდა, ძალიანაც დაახლოვდნენ, თუმცა საბაკალავრო გამოცდები და სასწავლო წლის ბოლოს ერთმანეთთან განშორება ცხვირთან ჰქონდათ მომდგარი. მიშელი შეიცვალა: ჯიმი ჰენდრიქსს უსმენდა და მუსიკით ავარდნილი, ხალიჩაზე სხმარტალებდა. *სიყმაწვილეში* ფეხის შედგმა სხვებზე მეტად უგვიანდებოდა. ისიც და ანაბელიც, ერთმანეთის პირისპირ, თავს უხერხულად გრძნობდნენ და უწინდებურად ხელჩაკიდებულნი აღარ დადიოდნენ. მოკლედ, როგორც ბრუნომ ერთ დღეს თავის ფსიქიატრს განუმარტა, "საქმე ტრაკისკენ მიდიოდა".

ანიკთან დაკავშირებული თავგადასავლის შემდეგ, რომელსაც შეძლებისდაგვარად ალამაზებდა (თუმცა, ამის გახსენება არცთუ ისე სიამოვნებდა), ბრუნო ცოტა უფრო თავდაჯერებული გახდა. ამ პირველ წარმატებას სხვა არ მოჰყოლია. ერთხელ, როდესაც ანაბელის კლასელს, სილვის, მიმზიდველ შავგვრემან ნაშას საკოცნელად წაეტანა, გოგომ უკმეხად მოიშორა თავიდან. არაფერია, ერთთან ხომ გამიმართლა, სხვებიც გამოჩნდებიან, დაიმშვიდა თა-

ვი. ბრუნომ მიშელის მოვლა-პატრონობა იკისრა, - ბოლოს და ბოლოს იმაზე ორი წლით უფროსი იყო. "ანაბელს რამე უნდა მოუხერხო, - უჩიჩინებდა მიშელს, - იმასაც სული ელევა, გაგიჟებით უყვარხარ. მერე კიდევ, მასავით ლამაზი ლიცეუმში მეორე არ დადის". მიშელი იშმუშნებოდა და პასუხობდა: "ჰო, კარგი..." დრო გადიოდა. მიშელი მოზრდილობის ზღურბლთან ფეხს ითრევდა. არადა, საკმარისი იყო ერთხელ მაინც ეკოცნა ანაბელისთვის და ორთავე ადვილად გადააბიჯებდა ზღვარს. მაგრამ მიშელს ამაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. მარადისობა წინ მიდევსო, ფიქრობდა. აპრილში, მოსამზადებელ კურსებზე ჩანერა დაიგვიანა და მასწავლებლების რისხვა დაიტეხა თავს, თუმცა, აშკარა იყო, უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრას სხვებზე მეტად იმსახურებდა. საბაკალავრო გამოცდებამდე თვენახევარი რჩებოდა, მას კი გადანყვეტილების მიღება უჭირდა. საკლასო ოთახის გისოსებიანი ფანჯრებიდან ღრუბლებს, ხეებსა და მოსწავლეებს ადევნებდა თვალს, სხვა ყველაფერი ფეხებზე ეკიდა.

ბრუნომ ფილოლოგიის ფაკულტეტზე შესვლა გადანყვიტა: ტელიორ-მაქლორენის განტოლებები ყელში ამოუვიდა, მთავარი კი ის იყო, რომ ფაკულტეტზე გოგოებს თვლა არ ჰქონდა. მამამისმა არჩევანი მოუწონა. როგორც ყველა სიბერეში შესული გარყვნილი ადამიანი, სიცოცხლის მიწურულს ისიც მეტისმეტად მგრძნობიარე გახდა და თავს უკიჟინებდა, რომ საკუთარი თავკერძობით შვილს სიცოცხლე გაუმწარა. არც ცდებოდა. მაისის დასაწყისში, უკანასკნელ საყვარელს, სასწაულად მომხიბვლელ ჟიულის დაშორდა. სინამდვილეში ჟიული ლამური ერქვა, მაგრამ სცენაზე ჯულია ლავის სახელით გამოდიოდა. ბერდ ტრანბერის და ფრანსის ლერუას ახლა უკვე მივიწყებულ, პირველ ფრანგულ პორნოფილმებში მონაწილეობდა. ცოტაოდენ უანინს ჩამოჰგავდა, მაგრამ მასზე გაცილებით ბრიყვი იყო. "ვილაცამ დამწყევლა" - გაიფიქრა ბრუნოს მამამ, რაწამს, შემთხვევით, ყოფილი ცოლის ქალიშვილობის დროინდელ სურათს გადააწყდა და ეს საოცარი მსგავსება აღმოაჩინა. ბენაზერაფთან სადილობისას, მისი საყვარელი დელეს შეხვდა და იმ დღიდან მოყოლებული, გამუდმებით, პორნოგრაფიის ინტელექტუალურ გამართლებას ცდილობდა. ეს უკვე მეტისმეტი იყო. მერე კიდევ, მისი შენახვა ძვირი ჯდება; გადალე-

ბებზე, ნაქირავებ როლს-როისებს, ბენვის ქურქებსა და ეროტიკულ ზიზილ-პიპილოებს მიეჩვია, რაც, ასაკში შესულ ბრუნოს მამას გულს ურევდა. 74-ში იძულებული გახდა სენტ-მაქსიმის სახლი გაეყიდა. რამდენიმე თვეში, ობსერვატორიის ბაღებთან, გაშლილ ადგილზე, ვაჟიშვილს ნათელი და წყნარი ერთოთახიანი ბინა უყიდა. ბრუნო ბინის სანახავად რომ მოიყვანა, ისეთი გრძნობა გაუჩნდა, რომ რაიმე განსაკუთრებულ საჩუქარს კი არ უკეთებდა, არამედ, ადრე დაშვებულ შეცდომას ასწორებდა. ასე თუ ისე, კეთილი საქმე იყო. ბინა მიათვალეერ-მოათვალეირა და გუნება გამოუსწორდა. "შეგიძლია გოგონები მოიყვანო!" - დაუფიქრებლად წამოაყრანტალა. მერე შვილს შეხედა და წამსვე ინანა.

მიშელი ორსეს უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაენერა. განსაკუთრებით, საერთო საცხოვრებლის სიახლოვემ აცდუნა. მაშინ სხვაზე არაფერზე ფიქრობდა. ძმებმა ბაკალავრის წოდება ადვილად მიიღეს. შედეგების გასაგებად რომ მიდიოდნენ, ანაბელიც თან წაიყვანეს. ქალიშვილს სერიოზული იერი ედო - ერთ წელიწადში თითქოს დაბრძენდა, ცოტა გახდა კიდევ, ღიმილი უფრო იდუმალი გაუხდა, მაგრამ, საუბედუროდ, კიდევ უფრო დამშვენდა. ბრუნომ ინიციატივა აიღო: მართალია, სენტ-მაქსიმის აგარაკი წარსულს ჩაბარდა, მაგრამ, დედის რჩევას თუ დაყვებოდა, შეეძლო, დასასვენებლად დი მეოლას მამულში წასულიყო. გეგმა დანარჩენ ორსაც გაანდო. ერთად დასვენება შესთავაზა. ერთი თვის შემდეგ, ივლისის ბოლოს, გაემგზავრნენ.

75 - გაზაფხული

"ჩადენილი საქმეები არ ანებებენ თავიანთი ღმერთისკენ მიქცევას, რადგან ბოზობის სულია მათ წიაღში და უფალს ვერ ცნობენ".

წიგნი ოსიასი, 5,4

კარპანტრას ავტოსადგურზე სუსტი აღნაგობის, ავადმყოფური შესახედაობის კაცი ელოდებოდათ. 20-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში გადახვენილი იტალიელი ანარქისტის შვილს, ფრანჩესკო დი მეოლას, ფინანსური თვალსაზრისით, ცხოვრებაში გაუმართლა. სერჟ კლემანის მსგავსად, მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, ახალგაზრდა იტალიელი მიხვდა, რომ ძირფესვიანად სახეცვლილ სამყაროში მოუხდებოდა ცხოვრება, რომელშიც, აქამდე ელიტარულად ან მარგინალურად მიჩნეული საქმიანობანი განსაკუთრებულ ეკონომიკურ წონას შეიძენდა. იმ დროს, როდესაც ბრუნოს მამა ფულს ესთეტიკურ ქირურგიაში აბანდებდა, დი მეოლამ ფირფიტების გამოშვებას მიჰყო ხელი. თქმა არ უნდა, ბევრმა მასზე გაცილებით მეტი იშოვა, მაგრამ ნამცხვრის კარგა მოზრდილი ნაჭერი მასაც ერგო. ორმოცს რომ მიაღწია, ბევრი კალიფორნიელის კვალობაზე, გუმანით იგრძნო ახალი ტალღის დაბადება, რომელიც, უბრალო მოდური მოძრაობისგან განსხვავებით, ნაცარტუტად აქცევდა ევროპულ ცივილიზაციას. სწორედ ამიტომ, ბიგ-სურის აგარაკზე, სასაუბროდ მიიწვია ალენ უოთსი, პაულ ტილიხი, კარლოს კასტანედა, აბრაჰამ მასლოუ და კარლ როჯერ-

სი. მოგვიანებით, ბედის წყალობით, მოძრაობის ჭეშმარიტად სულიერ მოძღვარს, ოლდოს ჰაქსლისაც შეხვდა. ბებერმა, თითქმის თვალისჩინდაკარგულმა ჰაქსლიმ ცალი ყურით მოუსმინა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ შეხვედრამ დი მეოლაზე გარდამტეხი გავლენა მოახდინა.

ვერაფრით აეხსნა, რამ აიძულა, 1970 წელს კალიფორნია დაეტოვებინა და ზემო პროვანსში მამული ეყიდა. მოგვიანებით, თითქმის ცხოვრების მიწურულს, საკუთარ თავს გამოუტყდა, რომ მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, *ვეროპაში სიკვდილი* სურდა. იმ დროს კი საკუთარ ხუშტურს ზერელე მოტივაციით ხსნიდა. 68 წლის მოვლენებმა მასზეც იმოქმედა და როდესაც კალიფორნიაში ჰიპების მოძრაობა მიინავლა, საკუთარ თავს უთხრა, რომ დრო დადგა, ევროპული ახალგაზრდობისთვის მიესხება. ჯეინმაც თავი გამოიღო, დე გოლის პატერნალისტური იდეოლოგიის მარწმუნები ფრანგ ახალგაზრდებს გასაქანს არ აძლევენ, სული ეხუთებათ, ნაპერწკალიც საკმარისია, რომ კოცონი აბრიალდესო. ბოლო რამდენიმე წელი, ფრანჩესკოს ყველაზე დიდი სიამოვნება ჰიპების ინტელექტუალური აურით ცდუნებულ გოგოშკებთან მარიხუანას ქაჩვა და უიმაობა იყო. ბიგ სურს, მეტწილად, ჭკუათხელი პროტესტანტი გოგოები სტუმრობდნენ. მეტი თუ არა, ნახევარი მაინც, ქალწული იყო. 60-იანი წლების დასასრულს მიქცევა დაიწყო და დი მეოლამ ევროპაში დაბრუნება გადაწყვიტა. თვითონაც უკვირდა, ეს სიტყვა საიდან გამოჩხრიკა: ხუთი წლისაც არ იქნებოდა, იტალიიდან რომ წამოიყვანეს. მამამისი არა მებრძოლი რევოლუციონერი, ნაკითხი, განათლებული ენამჭევრი და ესთეტი პიროვნება იყო. მამის წყალი შეილსაც გადაეხსა, გულის სიღრმეში, ამერიკელებს თავქარიანებად თვლიდა.

ძველი სილამაზე ჯერ კიდევ შერჩენოდა: ჩამოთლილ, ფერმიხდილ სახეს ტალღოვანი, ხშირი, გრძელი ჭალარა თმა უმშვენებდა. მაგრამ სხეულში უნესრიგოდ განვითარებული უჯრედები მეზობელი უჯრედების გენეტიკურ კოდს ანგრევდნენ და ტოქსინებს გამოჰყოფდნენ. ექიმები, რომლებსაც რჩევას დაეკითხა, ბევრ რამეში ვერ თანხმდებოდნენ, თუმცა, მთავარში ერთსულოვნები იყვნენ: ავადმყოფს დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა. ოპერაციაზე

ლაპარაკიც ზედმეტი იყო, მეტასტაზებს ვერაფერი შეაკავებდა. ექიმების უმრავლესობის აზრით, აგონია, ნამღლების დახმარებით, მშვიდი და შედარებით უმტკივნეულო იქნებოდა. მართლაც, აქამდე დი მეოლა მხოლოდ ძლიერ საერთო დაღლილობას გრძნობდა, მაგრამ სიკვდილის შესაძლებლობას ვერა და ვერ ეგუებოდა, საკუთარი დასასრული ვერაფრით წარმოედგინა. თანამედროვე, თუნდაც სრულიად ჯანმრთელ ევროპელს, სიკვდილის აზრი მუდამ თან სდევს, ხოლო როდესაც მომავლის გეგმებთან და სურვილებთან განშორების დრო დგება, შიში მთელ ტვინს იმონებს. ასაკის მატებასთან ერთად, ეს კულისებიდან მომდინარე ხმა სულ უფრო მკაფიო ხდება და თანდათანობით მთელს არსებას ავსებს. მოგუდულ ბუბუნს ჰგავს, რომელსაც, შიგადაშიგ, ხრჭიალი ერთვის. იყო დრო, როდესაც ეს ხმა ადამიანებს ზეციურ საუფლოს შეახსენებდა, დღეს კი, დასასრულის მომასწავებელია. აი, ასე...

ჰაქსლის (ამას დი მეოლა ვერასოდეს დაივინყებს) სიკვდილი არ ანალვლებდა. ვინ იცის, იქნებ გონების სისუსტის ან ნარკოტიკის ბრალი იყო?! დი მეოლას ნაკითხული ჰქონდა პლატონი, "ბჰაგავად-გიტა" და ვინ იცის, კიდევ რა, მაგრამ სულის სიმშვიდე ვერც ერთ წიგნში ვერ ჰპოვა. სამოცი წლისა იყო და კვდებოდა. ყველაფერი ამას მოწმობს და თავს ველარ მოიტყუებდა. ქალები და სექსი აღარ აინტერესებდა და ანაბელის სილამაზე არც კი შეუმჩნევია. ბიჭებს ხომ ზედაც არ უყურებდა. დიდი ხანია, ახალგაზრდების გვერდით ცხოვრობდა და ახლაც, ჯეინის ვაჟიშვილებთან შეხვედრას ჩვევისა და ცნობისმოყვარეობის გამო დათანხმდა. ისე კი, ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. სტუმრები ეზოში ჩამოსხა და უთხრა, კარავი, სადაც მოგეხასიათებათ, იქ გაშალეთო. ეძინებოდა და არავის ნახვა არ სურდა. გარეგნულად, გამჭრიახი და მგრძნობიარე კაცის იერს ინარჩუნებდა, თვალეში ირონიისა და, ასე განსაჯეთ, სიბრძნის ნათელი უთამაშებდა. ზოგიერთი გოგონა თვლიდა, რომ სხივმოსილი და სათნო სახე ჰქონდა, თვითონ მას კი სათნოების არაფერი გაეგებოდა, უფრო მეტიც, თავს საშუალო დონის მსახიობად თვლიდა. ერთი ის აოცებდა, რომ სხვები ამას, რატომღაც, ვერ ამჩნევდნენ და ხშირად სევდანარევი ფიქრი ეძალებოდა; გამოდის, ახალი სულიერი ღირებულებების მაძიებელ გოგო-ბიჭებს ჭკუას ვერ მოჰკითხავო.

ჯიბიდან ფეხის ჩამოდგმისთანავე ბრუნო მიხვდა, რომ ძალიან მიქარა. ხევეებით დასერილი, ჯუჯა ხეებით და ყვავილებით დაფარული მიწის ნაკვეთი სამხრეთისკენ ეშვებოდა. ჩანჩქერი ერთ ციცქნა მწვანე, მშვიდ ტბაში იღვრებოდა. იქვე, გვერდით, სიპ ლოდზე, ერთი დედიშობილა ქალი მზეს ეფიცებოდა, მეორე კი საბანაოდ ემზადებოდა და ტანს ისაპნიდა. მათგან ორ ნაბიჯზე, ფარდაგზე ჩამუხლული ვილაც შიშველი, გარუჯული, ახმახი წვეროსანი მედიტაციას მისცემოდა... ან იქნებ, ეძინა. გრძელი ქერა თმები შავ კანზე თეთრად ელავდა. რალაციით კრის კრისტოფერსონს ჩამოჰგავდა. ნირნამხდარ ბრუნოს გუნება გაუფუჭდა. აბა, სხვას რას ელოდა? ჯერ კიდევ დროა, აქედან დაახვიონ, დაყოვნება არცა ღირს. ბრუნომ თანამგზავრებს გახედა: ანაბელი აულელეგებლად ეჩალიჩებოდა კარავს, კუნძზე ჩამომჯდარი, ფიქრში წასული მიშელი ზურგჩანთის თასმებს ეთამაშებოდა.

ნებისმიერი დამრეცი ზედაპირიდან წყალი ქვემოთ იღვრება. ადამიანის ქცევა და თითოეული ქმედება წინასწარ განსაზღვრულია; მას არც ისე ბევრი არჩევანი ეძლევა და მაშინაც კი, როდესაც ამის შესაძლებლობა მიეცემა, ყოველნაირად ცდილობს, ნაჩვევ გზას არ გადაუხვიოს. 1950 წელს, ფრანჩესკო დი მეოლას იტალიელი მსახიობისგან შვილი ეყოლა. ქალი მეორეხარისხოვან როლებს ასრულებდა და ეგვიპტელი მხევალის მეტი არაფერი უთამაშია. მისი კარიერის მწვერვალი Quo vadis?-ში ორსიტყვიანი რეპლიკა იყო. ვაჟიშვილს დავიდი უწოდეს. თხუთმეტი წლის ასაკში დავიდი, ბევრი თანატოლის მსგავსად, როკ ვარსკვლავობაზე ოცნებობდა. გენერალურ დირექტორებზე და ბანკირებზე მდიდარ rock star-ებს ამბოხებული ხელოვანის ხიბლი მოსავდათ. ახალგაზრდა, ლამაზი, სახელოვანი, ქალებისგან ნალოლიავეები და მამაკაცების მიერ მოძულებული rock star-ები საზოგადოებრივი იერარქიის მწვერვალზე იდგნენ. ევროპელი და ამერიკელი ახალგაზრდები უფრო მეტ პატივს მიაგებდნენ თავიანთ კერპებს, ვიდრე, უძველეს დროში, ეგვიპტელი ქურუმები ფარაონებს. დავიდის გარეგნობით თუ ვიმსჯელებთ, წარმატების იმედი მართლაც უნდა ჰქონოდა: ცხოველური, რალაც სატანური სილამაზე, ვაჟკაცური,

მაგრამ ფაქიზად თლილი სახე, ძალიან ხშირი, ოდნავ შეხუჭუჭებული გრძელი შავი თმა და ღრმად ლურჯი თვალები...

მამის ნაცნობების წყალობით, დავიდმა პირველი ფირფიტა ჩვიდმეტი წლის ასაკში ჩაწერა; ეს ცდა მარცხით დასრულდა. ისიც სათქმელია, რომ დავიდის დებიუტი Sgt. Peppers და Days of Future Passed-ის პირველ გამოსვლებს დაემთხვა. ჯიმი ჰენდრიქსზე, "როლინგ სტოუნზე" და "დორსზე" ახალგაზრდებს ჭკუა ეკეტებოდათ. ნილ იანგი პირველი სიმღერების ჩაწერას იწყებდა, ბრაიან უილსონი კი ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა. არცთუ ისე ურიგო, მაგრამ შემოქმედებით ნიჭს მოკლებული კონტრაბასისტისთვის ადგილი აღარ რჩებოდა. დავიდი თავისას არ იშლიდა, ჯგუფიდან ჯგუფში გადადიოდა და შესრულების ყაიდას ცვლიდა. მამამისის გამგზავრებიდან სამი წლის შემდეგ დავიდმაც გადაწყვიტა, ბედი ევროპაში ეცადა და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, ლაჟვარდოვანი სანაპიროს ერთ კლუბში მოეწყო. ყოველ საღამოს, საპირფარეოში, როგორც წესი, ლამაზმანები ელოდებოდნენ, მაგრამ დასანანი ის იყო, რომ საკუთარი მუსიკალური ოინებით, ხმის ჩამწერი სტუდიების მესვეურთა გული ვერ იქნა და ვერ მოინადირა.

როდესაც დავიდი ანაბელს შეხვდა, სიაში უკვე ხუთასი ქალი ჰყავდა, მაგრამ ასეთი პლასტიკური სრულყოფილება ჯერ არ ენახა. თავის მხრივ, ანაბელიც, სხვა გოგონების მსგავსად, მყისვე მოიხიბლა მუსიკოსის სილამაზით, მაგრამ რამდენიმე დღე ცდუნებას უძალიანდებოდა და მხოლოდ ჩამოსვლიდან ერთი კვირის თავზე დანებდა. სახლის უკანა ეზოში, საცეკვაო მოედანზე, ოცდაათიოდე მოცეკვავემ მოიყარა თავი. წყნარი, ვარსკვლავიანი ღამე იდგა. ანაბელს თეთრი ქვედა ბოლო და მოკლე, მკერდზე მზეამოქარგული მაისური ეცვა. დავიდი გოგოს სხეულზე ეკროდა და როცა ენ როლის ჰანგებზე, ადგილზე ატრიალებდა. მთელი საათი შეუსვენებლივ ცეკვავდნენ. დოლი რიტმს ხან აჩქარებდა, ხან ანელებდა. ხეს მიყუდებული, უძრავად მდგარი ბრუნო მოცეკვავეებს თვალს არ აშორებდა. გულზე სიმძიმე აწვა და უგუნებოდ იყო. მიშელი, დროდადრო, განათებული წრის კიდეში გამოჩნდებოდა, მერე ისევ სიბნელეში იკარგებოდა. მოულოდნელად,

ბრუნოს გვერდით აღმოჩნდა. ბრუნომ დაინახა, როგორ გამოეყო მოცეკვავეებს ანაბელი, მიშელთან მივიდა და ჰკითხა: "არ იცეკვებ?" ძალზე სევდიანი ხმა ჰქონდა. მიშელმა, უარის ნიშნად, ახლახან გამოღვიძებული წინარეისტორიული ცხოველის მსგავსად, ნელა აიქნია ხელი. ანაბელმა რამდენიმე წუთი კიდევ უყურა, მერე ზურგი აქცია და მოედანზე დაბრუნდა. დავიდმა ნელზე ხელი მოხვია და მიიზიდა. ანაბელი მხარზე ჩამოეყრდნო. ბრუნომ მიშელისკენ გააპარა მზერა და შეამჩნია, რომ ძმას სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. ბრუნომ თავი ჩაქინდრა. როდესაც თვალები ასწია, მიშელი ველარსად დაინახა. ანაბელი დავიდის მკლავებში ირნეოდა, ტუჩები ვაჟის ტუჩებთან ჰქონდა მიტანილი.

კარავში წამოწოლილი მიშელი გათენებას ელოდებოდა. გარიჟრაჟზე ქარიშხალი ამოვარდა, მიშელს შიშმა დაუარა და ამან გააოცა. მერე ზეცა დამშვიდდა და ნელი, წვრილი წვიმა წამოვიდა. წვეთები კარვის სახურავზე, ზედ მიშელის თავზე ახმაურდა, თუმცა, საშიში არაფერი იყო, სქელი ტენტი წვიმას არ გაატარებდა. უცებ, წინათგრძნობა გაუჩნდა, რომ მთელი მისი დარჩენილი ცხოვრება ზუსტად ამ წუთს დაემსგავსებოდა. ბევრ ადამიანურ გრძნობას შეხვდება, ზოგი, შეიძლება, უშუალოდ შეეხოს კიდევ. სხვები ბედს ან უბედობას გადაეყრებიან, მისთვის კი ყველაფერი სულერთი იქნება. იმ საღამოს, ცეკვისას, ანაბელმა რამდენჯერმე მალული მზერა ესროლა. მიშელმა წამოწევა მოისურვა, მაგრამ ვერ შეძლო. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ყინულოვან წყალში იძირებოდა. არადა, სიმშვიდეს ჩქამიც არ არღვევდა. სამყაროს რამდენიმე სანტიმეტრი სიცარიელე აშორებდა და ეს სიცარიელე აბჯარივით იცავდა.

მეორე დღეს მიშელის კარავი დაცარიელდა; ნივთები გაუჩინარდა; მიშელმა მხოლოდ ბარათი დატოვა: "ნუ იღელვებთ!"

ბრუნო ერთი კვირის შემდეგ გაემგზავრა. მატარებელში რომ ადიოდა, გაახსენდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი გოგოს დაბმაც არ უცდია, ის კი არა და, ბოლო დღეებში არც არავის გამოლაპარაკებია.

თვის ბოლოს ანაბელმა შეამჩნია, რომ რიგმა დაუგვიანა და გაიფიქრა, იქნებ ასე სჯობდესო. საშიში არაფერი იყო: მარსელის კლინიკაში, დავიდის მამას ნაცნობი ექიმი ჰყავდა. ოცდაათი წლის იქნებოდა, ნითური უღვაშები ჰქონდა და ლორანი ერქვა. სახელით მომმართვეთო, ყველას ამას უმეორებდა. ანაბელს ცხვირწინ ნაირ-ნაირი ხელსაწყო დაუნყო და გამოფხეკვისა და გამონთვის შესახებ კარგა ხანს ეჩივინებოდა. ჩვევად ჰქონდა, კლიენტებთან ძმაცაცური დაეჭირა და დემოკრატიული დიალოგი გაემართა. მუდამ ქალეზის მხარეზე იდგა და სულ იმას ამბობდა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრიაო. ოპერაცია მეორე დღისთვის დანიშნა. ყველა ხარჯს მისი ორგანიზაცია "ოჯახის გონიერი დაგეგმვა" კისრულობდა.

როცა სასტუმროში დაბრუნდა, ანაბელი უკვე ნერვიული კრიზისის ზღვარზე იყო. ხვალ აბორტს გაიკეთებს, ღამეს აქ გაათევს და დილით სახლში დაბრუნდება. ასე გადაწყვიტა. მთელი სამი კვირა, ღამეს დავიდის კარავში ატარებდა. პირველად ეტკინა, მერე კი სიამოვნება იგრძნო და მოეწონა. ვერც კი წარმოედგინა, რომ სექსუალური ტკბობა ესოდენ მძაფრი შეიძლება ყოფილიყო, თუმცა იმ ტიპთან არავითარი გრძნობა არ აკავშირებდა. ისიც იცოდა, რომ შემცველელს სწრაფად მოუქებნიდა, ახლაც სწორედ ამაზე ფიქრობდა.

იმ საღამოს, მეგობრულ სუფრაზე, ლორანმა ანაბელის ამბავი გაიხსენა. გატაცებით ყვებოდა. სწორედ ასეთი გოგოების ბედზე ვზრუნავ, ვცდილობ, ჩვიდმეტი წლის გოგოს (მერე და რა ლამაზს) არდადეგების თავგადასავალმა ცხოვრება არ გაუმწაროსო.

ანაბელს აშინებდა კრესი-ან-ბრიში დაბრუნება, მაგრამ ყოველივემ მშვიდად ჩაიარა. 4 სექტემბერი იყო. მშობლებმა ქათინაურიც კი უთხრეს, კარგად გარუჯულებარო. ისიც აცნობეს, რომ მიშელი საცხოვრებლად ბიურ-სიურ-ივეტის სტუდენტულ ქალაქში გადავიდა. ამკარად ჩანდა, რომ მშობლებმა ვერაფერი იეჭვეს. ანაბელმა მიშელის ბებია მოინახულა. მოხუცი დაღლილი ჩანდა, მაგრამ სტუმარი გულთბილად მიიღო და შეილიშვილის მისამართი მისცა. ანაბელს უცნაურად ეჩვენებოდა, რომ მიშელი სხვებზე ადრე დაბრუნდა. იმანაც გააკვირვა, რომ სტუდენტულ ქალაქში სწავლის განახლებამდე დიდი ხნით ადრე შესახლდა. თუმცა, მიშელის უცნაურობის გათვალისწინებით საოცარი არც არაფერი იყო.

საყოველთაო ბარბაროსობის პირობებში ადამიანებს ზოგჯერ (იშვიათად) ძალუძთ, შექმნან სიყვარულით გამთბარი და გასხივოსნებული პატარა ნაკრძალი, შემოზღუდული არე, სადაც ურთიერთგაგება და სიყვარული იბატონებს.

შემდეგი ორი კვირა ანაბელმა მიშელისთვის გასაგზავნი წერილის წერას შეაღია. საქმეს თავს ძლივს ართმევდა, ვინ იცის, რამდენჯერ გადაშალა და გადაათეთრა?! ორმოცი გვერდი გამოუვიდა. მის ცხოვრებაში ეს პირველი სასიყვარულო წერილი იყო. ლიცეუმში დაბრუნების დღეს, 17 ნოემბერს გააგზავნა; მერე ლოდინს მოჰყვა.

ორსე-პარიზი XI უნივერსიტეტი, პარიზის რეგიონში, ამერიკული campus-ის თარგზე შექმნილი ერთადერთი უნივერსიტეტია. სტუდენტები პარკში გაბნეულ კორპუსებში ცხოვრობენ. ორსე არა მხოლოდ სასწავლო დაწესებულება, არამედ ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის კვლევის მეტად მნიშვნელოვანი ცენტრია.

მიშელს 233-ე კორპუსის ბოლო, მეოთხე სართულის კუთხის ოთახი ერგო. ოთახს მყისვე გაუშინაურდა. მთელი მისი ავლა-დიდება საწოლი, საწერი მაგიდა და წიგნების თაროები იყო. ფანჯრიდან მდინარისკენ დამრეცად ჩამავალი მდელი მოჩანდა. ცოტათი თუ გადაიხრებოდა, ხელმარჯვნივ, ელემენტარული ნაწილაკების

დამაჩქარებლის ბეტონის კედლებს მოჰკრავდა თვალს. ამ დროისთვის, სწავლის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, კორპუსი ცარიელი დაუხვდა. მხოლოდ რამდენიმე აფრიკელი სტუდენტი შემორჩა, რომლებსაც აგვისტოში, როდესაც კორპუსები იკეტებოდა, ბინის შოვნა უჭირდათ. მიშელი დარაჯ ქალს ერთ-ორ სიტყვას გადაუგდებდა და მერე, მთელი დღე, მდინარის პირას უმიზნოდ დაეხეტებოდა. აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ამ კორპუსში რვა წელიწადზე მეტ ხანს შერჩებოდა.

ერთ დილას, თერთმეტ საათზე, ხის ძირას, ბალახზე წამოწვა. თვითონაც უკვირდა, ასე რომ იტანჯებოდა. ცოდვის გამოსყიდვის, ზეციური მადლის, მიტევებისა და თავისუფლების ქრისტიანულ კატეგორიებს დაშორებული მისი მსოფლალქმა რალაც მექანისტურ და სასტიკ ძალას ემონა. "საწყისი პირობები იმთავითვე განსაზღვრულია, - ფიქრობდა მიშელი, - პირველქმნილი ურთიერთობების ქსელის პარამეტრებიც ცნობილია, მაშასადამე, მოვლენები ცარიელ, იმედის გარეშე შთენილ სივრცეში უნდა განვითარდეს. ისინი, ერთხელ და სამუდამოდ, დეტერმინირებულია. მოსახდენი აუცილებლად მოხდება, სხვაგვარად წარმოუდგენელია, ამიტომ, პასუხისმგებელიც არავინაა". ღამით მიშელს აბსტრაქტული, თოვლით დაფარული სივრცეები ესიზმრებოდა. ბანდებში გახვეული მისი სხეული, დაბალი ცის ქვეშ, მეტალურგიული ქარხნების თავზე მიცურავდა... დღისით, ზოგჯერ, ერთ ნაცრისფერკანიან პატარა ტანის მალიელს ხვდებოდა; ერთმანეთს თავის ქნევით ესალმებოდნენ. რადგან უნივერსიტეტის რესტორანი ჯერ კიდევ დაკეტილი იყო, კურსელ-სიურ-ივეტის მაღაზიაში თინუსის კონსერვებს ყიდულობდა და უკან ბრუნდებოდა. სალამო დგებოდა; ცარიელ დერეფნებში მხოლოდ მიშელის ნაბიჯების ხმა ისმოდა.

ოქტომბრის შუა რიცხვებში ანაბელმა კიდევ ერთი, წინაზე მოკლე წერილი მისწერა, მანამდე კი ბრუნოს დაურეკა, თუმცა ახალი ვერაფერი შეიტყო. ბრუნომ მხოლოდ ის იცოდა, რომ მიშელი ხშირად ურეკავდა ბებიას, მაგრამ მასთან საშობაოდ ჩასვლას არ აპირებდა.

ნოემბრის ერთ საღამოს, ანალიტიკური სემინარიდან შინ მობრუნებულ მიშელს საფოსტო ყუთში ტელეგრამა დახვდა: "დეიდა მარი-ტერეზს დაურეკე. სასწრაფოდ". ბოლო ორი წელი მარი-ტერეზს და მის ქალიშვილს, ბრიჟიტს, იშვიათად ხვდებოდა. მყისვე და-

ურეკა: ბებიას გულის შეტევა მოუვიდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს. მძიმე, უფრო მეტიც, უმძიმესი შემთხვევა იყო: აორტა დასუსტდა და შეიძლება, გულს ვეღარ გაეძლო.

ქალაქის ქუჩებს ფეხით გაუყვა. ლიცეუმს რომ ჩაუარა, ათი საათი ხდებოდა. სწორედ ამ დროს, საკლასო ოთახში, ანაბელი ნათელი და ზომიერი, თუმცა, ცოტა მომაბეზრებელი ბერძენი მოაზროვნის, ეპიკურეს ტექსტს ჩაკირკიტებდა. ცა მოიღრუბლა, მარნი მღვრიე, აქაფებულ ტალღებს მიაგორებდა. სენტ-ანტუანის საავადმყოფოს ადვილად მიაგნო. ულტრათანამედროვე, მინისა და ფოლადის შენობა შარშან გაეხსნათ. მარი-ტერეზი და ბრიჟიტი მეშვიდე სართულის ბაქანზე ელოდებოდნენ. ნაპტირალევი ჩანდნენ. "არ ვიცი, შენი შესვლა ღირს თუ არა", - უთხრა მარი-ტერეზმა. მიშელმა არაფერი უპასუხა. როგორმე გაუძლებს, გადასატანი უნდა გადაიტანოს.

ბებია ინტენსიური თერაპიის პალატაში იწვა. ტუციინა, თეთრი ზენარი ეფარა, მხრები და მკლავები მოშიშვლებული ჰქონდა. ყელში გაჩხერილი მილის მავთულებს, რომლებიც სასუნთქ აპარატთან იყო მიერთებული, ზენარი მალავდა. ღამის პერანგი არ ეცვა. ეტყობა, შინიონის გაკეთების ნებაც არ მისცეს, არადა, წლების განმავლობაში, დილას თმის ვარცხნით იწყებდა. ეს თმაანეწილი მოხუცი ქალი მის ბებიას სულ არ ჰგავდა. ერთი არაქათგაცილი, სიცოცხლისგან დაწრეტილი სხეული იყო, რომელიც ექიმებს მიუგდეს საჯიჯგნად. მიშელმა ხელზე ხელი დაადო, - შეიძლება, ასე მაინც ეცნო ბებია. მისთვის ხელი ხშირად ჩაუვლია, 17 წლის რომ იყო, მაშინაც კი. ბებიას თვალები არ გაუხელია, მაგრამ, იქნებ, მიუხედავად ყველაფრისა, მიშელის ხელი მაინც იცნო. მიშელი ფრთხილობდა, უბრალოდ, ბებიას ხელი ხელში აიღო. იმედი ჰქონდა, რომ ბებია შეხებას იგრძნობდა.

ბებიამ მძიმე ბავშვობა გამოიარა: შვიდი წლის იყო, როდესაც ფერმაში, ლოთობით გაველურებული მამაკაცების გვერდით დაინყო მუშაობა. სიყმანვილემ ისე სწრაფად ჩაიქროლა, რომ მესხიერებას არაფერი შემორჩა. ქმარი რომ მოუკვდა, ქარხანაში დაინყო მუშაობა, თან ოთხი შვილი კისერზე აწვა. შუა ზამთარში, ბავშვების დასაბანად, წყალს ეზოდან ეზიდებოდა. სამოცს რომ გადააბიჯა და პენსიაში გავიდა, ახალი საზრუნავი გაუჩნდა: ამჯერად, შვილი-

შვილის გაზრდა იკისრა. ბაემვს არაფერს აკლებდა, არც სუფთა ტანსაცმელს, არც ნოყიერ სადილს და არც სიყვარულს. ბიჭი ყველაფერს ბებიას უნდა უმადლოდეს. იმას, ვინც ოდესმე ადამიანურობის რაობას ჩაუკვირდება და მის საფუძვლიან კვლევას განიზრახავს, მსგავსი მოვლენები არ უნდა გამოირჩეს. ისტორიაში მართლაც არსებობდნენ ადამიანები, რომლებმაც მთელი ცხოვრება ჯაფაში გალიეს, ყოველდღე ოფლს ღვრიდნენ და მხოლოდ ერთგულებისა და სიყვარულის სახელით იღვწოდნენ, დიახ, ერთგულებისა და სიყვარულის გამო მიჰქონდათ სხვების საკურთხეველზე საკუთარი ცხოვრება და წამითაც არ გაუვლიათ გულში, რომ ვილაცას მსხვერპლად ეწირებოდნენ. არსებობა მათთვის ისევ და ისევ ერთგულებისა და სიყვარულის სახელით თავგანწირვა იყო. ჩვეულებრივ, ეს ადამიანური არსებანი ქალები გახლდათ.

მიშელმა თხუთმეტი წუთი დაჰყო ოთახში. ბებიასთვის ხელი არ გაუშვია; მერე ინტერნი შემოვიდა და უთხრა, ცოტა ხანში ავადმყოფს უნდა მივხედოთ, თქვენი აქ ყოფნა ხელს შეგვიშლისო. ეტყობა, რალაცის გაკეთებას აპირებდნენ; ოპერაციაზე ხმას არავინ იღებდა, მაინც ვედარაფერს უშველიდა; სხვა პროცედურას ჩაუტარებენ; იქნებ, ჯერ კიდევ ყველაფერი არ იყო დაკარგული.

უკანა გზაზე სიტყვა არავის დაუძრავს; მარი-ტერეზი მექანიკურად ატრიალებდა რენო 16-ის საჭეს. სადილმაც უბრად ჩაიარა, ყველა თავისას ფიქრობდა. მარი-ტერეზი ადგილზე ვერ ჩერდებოდა და კერძის შემოსატანად, წამდაუნუმ სამზარეულოში გარბოდა. დროდადრო ადგილზე გაქევაგდებოდა, ცოტას ნაიტირებდა და ისევ გახეჟურას უბრუნდებოდა.

ანაბელი სასწრაფო დახმარების მანქანის გამგზავრებას შეესწრო და რენო 16-ის უკან მობრუნებას დაელოდა. ლამის პირველ საათზე ადგა და ჩაიცვა. მშობლებს უკვე ეძინათ. გოგონა მიშელის ეზოს მესერს მიადგა. სახლში სინათლე ენთო, ეტყობა, ყველამ სასტუმრო ოთახში მოიყარა თავი, მაგრამ, ფარდებს მიღმა, კაცის თვალი ვერაფერს გაარჩევდა. ცრიდა. ათიოდე წუთი გავიდა. ანაბელს შეეძლო კარზე დაერეკა და მიშელს გამოლაპარაკებოდა. შეეძლო, არც არაფერი გაეკეთებინა. ანაბელს წამითაც არ უფიქრია, რომ იმ წუთებში თავისუფალი არჩევანის აუცილებლობის წინაშე იდგა. ასე თუ ისე, საშინელი გამოცდა გაიარა: იმ ათმა წუთმა ქა-

ლიშვილი მთლიანად შეცვალა და მისი მომავალი ცხოვრება სულ სხვა გზით წაიყვანა. წლების შემდეგ, მიშელმა, ზედენადი ჰელიუმის მოქმედების საფუძველზე, ადამიანის თავისუფლების მოკლე თეორია შეიმუშავა. ატომური მოვლენები, ანუ ადამიანის ტვინში ნეირონებსა და სინაპსებს შორის ელექტრონების გაცვლა, არსებითად, კვანტურ განუსაზღვრელობას ემორჩილება. მაგრამ, ზოგჯერ, ნეირონები ელემენტარულ წინააღმდეგობებს სძლევენ და ადამიანის ქცევას, ზოგად და კერძო შემთხვევებში, ნებისმიერი ბუნებრივი სისტემისთვის დამახასიათებელ მკაცრ დეტერმინიზმს უმორჩილებენ, თუმცა კი, გარკვეულ ვითარებებში, ისიც იშვიათად, - ქრისტიანები ამას მადლის მოფენას უწოდებენ, - იშვება სრულიად ახალი კავშირ-ურთიერთობების ტალღა, რომელიც მთლიანად იპყრობს ტვინს და, დროებით ან ერთხელ და სამუდამოდ, დასაბამს აძლევს ქცევის ახალ ყაიდას, რომელსაც ჰარმონიული რხევების სრულიად განსხვავებული სისტემა წარმართავს. ეს არის ის, რასაც ჩვენ თავისუფალ ქმედებას ვუწოდებთ.

იმ ღამით, ამის მსგავსი არაფერი მომხდარა და ანაბელიც სახლში დაბრუნდა. გრძნობდა, რომ ერთბაშად წლები მოემატა. მიშელს მხოლოდ ოცდახუთი წლის შემდეგ შეხვდა.

ტელეფონმა სამ საათზე დარეკა; ექთანი გულწრფელად დამნუხრებული ჩანდა: ექიმებმა ყოველივე იღონეს, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის. დაღლილმა გულმა ვეღარ გაუძლო. ეს იყო და ეს. ერთის თქმა კი შეიძლებოდა: ბებიას ძალიან არ უწვავია. თუმცა ეს ვერაფერი ნუგეში იყო, ყოველივე დასრულდა.

მიშელი სანოლი ოთახისკენ წავიდა, მოკლე-მოკლე, ასე, ოცსანტიმეტრიან ნაბიჯებს დგამდა. ბრიჟიტმა წამოდგომა მოინდომა, მაგრამ მარი-ტერეზმა ხელით შეაჩერა. ორი ნუთიც და მიშელის ოთახიდან წკმუტუნით თუ ღრენა მოისმა. ამჯერად, ბრიჟიტს ვერაფერი დააკავებდა. მიშელი სანოლთან იატაკზე მოკუნტულიყო, თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, გახვევებულ სახეზე არც მწუხარება ეხატა, არც სხვა რამ ადამიანური გრძნობა, შიშისგან ელდანაკრავ ცხოველს ჰგავდა.

ნანილი მეორე
უცნაური ნუთეზი

პუატიეს გასცდა თუ არა, ბრუნოს საჭე გაექცა. პეუო 305 მოსრიალდა, გზის მეორე ნახევარზე გადავიდა, დამცველ ბოძს გვერდი გაკრა, ჩიკორივით დატრიალდა და ადგილზე გაქვავდა. "შენი ჩათლახი დედაც..." - ყრუდ შეიგინა ბრუნომ. იაგუარმა, რომელიც 200 კილომეტრით მიქროდა, მკვეთრად დაამუხრუჭა, ბენვზე აუქცია გვერდი მეორე დამცველ ბოძს და გამაყრუებელი წივილით ჩაუქროლა. ბრუნო მანქანიდან გადმოვიდა, მძღოლს მუშტი მოუღერა და დამპალო პედერასტოო, შიდახა, მერე მანქანა მოატრიალა და გზა გააგრძელა.

"ცვლილებათა მხარე" ყოფილი სამოცდარვიანელების ერთმა ჯგუფმა 1975 წელს შექმნა (მართალი რომ ითქვას, 68-ში არც ერთ მათგანს მისხალი საქმე არ გაუკეთებია, იმ დღეების მხოლოდ სულიცკვეთება გამოჰყვათ); რუაიანის სამხრეთით გადაჭიმული დიდი ფიჭვნარი ერთ-ერთი მათგანის მშობლებს ეკუთვნოდა. 70-იანი წლების დასაწყისის ანარქისტული იდეალებით დაღდასმული გეგმა კონკრეტული უტოპიის ხორცშესხმას ისახავდა მიზნად. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ უნდა შეექმნათ "მხარე", სივრცე, სადაც, "აქ და ახლა" ადამიანები თვითმმართველობის, პირადი თავისუფლების პატივისცემისა და ჭეშმარიტი დემოკრატიის პირობებში იცხოვრებდნენ. თუმცა "მხარე" ჩვეულებრივ საქმოს არაფრით ჰგავდა, მისი მიზანიც ერთობ მოკრძალებული გახლდათ: ეს იყო დასასვენებელი ადგილი, სწორედ ისეთი, სადაც ამ იდეის მომხრე ადამიანებს შესაძლებლობა მიეცემოდათ, ზაფხულის თვეებში, საკუთარი ყოფა ზემოხსენებულ პრინციპებზე აეგოთ. გარდა ამისა, საქმე ეხებოდა ჰუმანურ და რესპუბლიკურ იდეებზე დაფუძნებულ ერთობ-

ლივ ქმედებებს, შემოქმედებით შეხვედრებს, დაბოლოს, როგორც ერთი დამფუძნებელი იტყოდა, "მაგარ წერაობას".

ბრუნომ რუაიან-სიუდი უკან მოიტოვა და სანაპიროს გასწვრივ კიდევ თხუთმეტი კილომეტრი გაიარა. აქაურობას არ იცნობდა, თანაც ძალიან ცხელოდა. შემთხვევით (ასე ეგონა) გზის მაჩვენებელს მოჰკრა თვალი. თეთრ დაფაზე ფერადი ასოებით ეწერა: "ცვლილებათა მხარე"; ქვემოთ, უფრო მომცრო დაფაზე, ნითელი ასოებით მიეწერათ: "სხვების თავისუფლება უკიდევანოდ განავრცობს ჩემს თავისუფლებას" (მიხაილ ბაკუნინი). ეტყობა, "მხარის" დევიზიც ეს იყო. ხელმარჯვნივ, ზღვისკენ მიმავალ ბილიკზე ორი გოგონა რეზინის გასაბურ იხვს მიათრევდა. მაისურის ქვეშ არაფერი ეცვათ. ბრუნომ თვალი გააყოლა და საზარდულში ქავილი იგრძნო, იგრძნო, სირი როგორ აექავა. "სველი მაისური მაგარი რალაცაა", - უნიათოდ გაიფიქრა. გოგოებმა გზიდან გადაუხვიეს, ეტყობა, იქვე ახლოს, სადმე კემპინგში ისვენებდნენ.

მანქანა გააჩერა და ფიცრული ჯიხურისკენ გაემართა, რომელსაც წარწერა ამშვენებდა: "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!" ჯიხურში ვიღაც სამოციოდე წლის ქალი ფეხმორთხმით იჯდა. ბლუზი ძლივს უფარავდა დამჭკნარ და დანაოჭებულ ძუძუებს. ბრუნოს ქალი შეებრაღა. დიასახლისმა ცალყბად გაუღიმა, როგორც იქნა ამოღერდა, კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო და პირი ლამის ყურებადმდე დააღო. ვინ იცის, იქნებ თავში ქარი უქრისო, გაიფიქრა ბრუნომ. "ჯავშანი ხომ გაქვს?" ბრუნომ ხელოვნური ტყავის ჩემოდანი გახსნა და საბუთები ამოიღო. "ძალიან კარგი", - ისევ ისე ბრიყვული ღიმილით ჩაიბურტყუნა ჭკუათხელმა.

ბანაკში მანქანების მოძრაობა აკრძალული იყო. ბრუნომ გადაწყვიტა, ორ ჯერზე მოეთავეებინა საქმე. პირველ ყოვლისა, კარვის გასაშლელი ადგილი უნდა შეერჩია, მერე ნივთებსაც მიხედავდა. ნამოსვლისას, "სამარიტენში" კარავი-იგლუ იყიდა (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნანარმი, ორ-სამ კაცზე გათვლილი, 499 ფრანკი).

პირველი, რაც მდელივზე გამოსულ ბრუნოს თვალში ეცა, პირამიდა იყო. ოცი მეტრი ფუძე, ამავე ზომის სიმაღლე, ერთი სიტყვით, უზადოდ ტოლგვერდა ძეგლი. მუქი ხის ჩარჩოში ჩასმული

მინის დიდი ოთხკუთხა კედლები ჩამავალი მზის სხივებს ირეკლავდა. ფანჯრებიდან შიდა ხედი მოჩანდა: კიბის ბაქნები და ტიხრები, ისინიც მუქი ხისგან ნაკეთი. ძეგლი, ჩანაფიქრით, ხეს უნდა მგვანებოდა და ასეც იყო - პირამიდის გადამკვეთი დიდი ცილინდრი, რომელსაც მთავარი კიბე მიუყვებოდა, ხის ტანს მოგაგონებდათ. ნაგებობიდან, ცალკე-ცალკე, ან მცირე ჯგუფებად, მნახველები გამოდიოდნენ. ზოგი ჩაცმული იყო, ზოგი შიშველი. ჩამავალი მზის შუქი ბალახს აციმციმებდა და ყოველივეს სამეცნიერო-ფანტასტიკური ფილმის იერს შესძენდა. ბრუნომ ერთი-ორი ნუთი თვალი მიადევნა უცნაურ სანახაობას, მერე კარავი ილღიაში ამოიღო და გორაკს შეუყვავა.

მამულში რამდენიმე ტყიანი გორაკი იდგა, მინას ფიჭვის წინკები ფარავდა, ალაგ-ალაგ მდელოებსაც გადააწყდებოდი. აქა-იქ ფეხსალაგები იყო მიმოფენილი. ბანაკში თავისუფალ ადგილს ძნელად თუ იპოვიდი. ბრუნო ოფლად იღვრებოდა; მუცელი გაებერა - გზისპირა რესტორნის სადილი ზედმეტად ნოყიერი გამოდგა. ტვინი ებინდებოდა, ფიქრის თავიც არ ჰქონდა. ერთს კი ხვდებოდა: ბანაკში სტუმრობა სასიამოვნო გართობად რომ ექცია, კარვისთვის კარგი ადგილი უნდა შეერჩია.

ფიქრში გართულმა ორ ხეს შორის გაბმულ თოქს მოკრა თვალი. გასაშრობად გაფენილ ქალის ტრუსებს საღამოს ნელი სიო არხევდა. "კარგი აზრია, - გაიფიქრა ბრუნომ, - ბანაკში მეზობლები ადვილად უახლოვდებიან ერთმანეთს; მაინცდამაინც სატყნავად არა, ჯერ უბრალო ნაცნობობა, მერე - ვნახოთ". კარავი მინაზე დააგდო და ინსტრუქციის კითხვას შეუდგა. ნაცოდვილარი თარგმანი იყო, არც ინგლისური გახლდათ დიდი ბედენა! სხვა ენებზეც ასე იქნებოდა. გამოქლიავებული ჩინელიკოები! "თალის დასამაგრებლად ამოაბრუნეთ ნახევრადმდგრადი სამაგრი?". - მიდი და გაიგე!

ბრუნო სქემას ჩაჩერებოდა, მაგრამ თავი და ბოლო ვერა და ვერ გაეგო. ის იყო ყოველგვარი იმედი გადაეწურა, რომ, მოულოდნელად, ვილაც squaw* აეტუზა გვერდით. ქალს ტყავის მინი-ქვედაბოლო ეცვა, გაფურჩქნული მკერდი საღამოს ბინდში თეთრად უელავდა. "ახლახან ჩამოხვედი? - იკითხა მოჩვენებამ, - გინდა კა-

* ინდიელი ქალი (ინგლ.)

რვის გამართვაში დაგეხმარო?" "არაფერია, თვითონ მოვუვლი, - ერთბაშად ჩახლეჩილი ხმით უპასუხა ბრუნომ, - ნუ ნუხდებით..." მერე სუნთქვაშეკრულმა დაამატა: "მადლობელი ვარ". ხაფანგი იყნოსა. მართლაც, რამდენიმე წამში მეზობელი ვიგვამიდან (ნეტავ, სად იყიდეს? ან იქნებ თვითონ გააკეთეს?) ღრიალი მოისმა. ქალი ვიგვამში შევარდა და ორი ბუთხუზა ბავშვი გამოიყვანა. თითო თედოზე თითო ჩვილი ჰყავდა აკრული. რხევა-რხევით მოდიოდა. ბავშვებმა ღრიალს უმატეს. ცოტა ხანში squaw-ის ქმარიც გამოჩნდა. ყლემოგდებული მორბოდა. ჩასხმული, ნვერიანი და გრძელთმიანი ჭალარა კაცი იყო. ორმოცდაათის იქნებოდა. ერთი ლანი-რაკი ხელში აიტაცა და ლიტინი დაუნყო. ამაზრზენი სანახაობა იყო. ბრუნომ რამდენიმე ნაბიჯით დაიხია. შეეშინდა: ასეთი ურჩხულების შემყურეს, ღამით თვალს რა მოგახუჭინებს?! ეს ძროხა, ეტყობა, ბავშვებს ძუძუთი კვებავს... ისე, ძუძუ, გიყვარდეს!..

ბრუნომ უკან-უკან სვლა იწყო და კარავს ფეხაკრეფით გაერიდა, ამასთან, უნაზესი მაქმანით განყობილ, გამჭვირვალე ტრუსებისგან შორს წასვლაც არ სურდა. იმის წარმოდგენაც კი უჭირდა, რომ ამ ტრუსებს squaw იცვამდა. ადგილი ორ კანადელ ქალს შორის შეარჩია (ბიძაშვილები არიან? დები? იქნებ, ლიცეუმის მეგობრები?) და საქმეს შეუდგა.

ღამდებოდა, როცა საქმეს მორჩა და ჩემოდნების მოსატანად წავიდა. გზაში რამდენიმე დამსვენებელს შეეყარა, წყვილად ან მარტო მოსეირნობდნენ. ორმოცს მიტანებული მარტოხელა ქალებიც შეამჩნია. თითქმის ყოველ ხეზე მილურსმული იყო წარწერა: "პატივი ეცით ერთმანეთს". ბრუნო ერთ ხეს მიუახლოვდა. განცხადების ქვეშ სამამულო წარმოების პრეზერვატივებით პირთამდე სავსე ჯამი, ხის ძირში კი თეთრი პლასტმასის ნაგვის ყუთი იდო. ბრუნომ სატერფულს ფეხი დააჭირა და თავლია ყუთი ხელის ფარნით გაანათა: ლუდის ბოთლებს შორის რამდენიმე ნახმარი პრეზერვატივი ეგდო. საქმეს კარგი პირი უჩანს, ეტყობა, ძალიან ყოჩაღობენო, გაიფიქრა ბრუნომ.

უკანა გზამ სიქა გააცალა. ჩემოდნებმა ლამის მკლავები მონყვიტა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა და სულს ველარ ითქვამდა. შუა აღმართზე შეისვენა. კემპინგში ლანდები დაბორიანდებდნენ; სიბ-

ნელეში, ფარნების შუქი ერთმანეთში იხლართებოდა. მოშორებით, ზღვისპირა გზაზე, მანქანების მოძრაობა არ წყდებოდა. "Dynasty"-ში, წმინდა გიორგის ქუჩაზე, მკერდშიშველა გოგოები ტლინკაობდნენ, მაგრამ არაქათგაცილილ ბრუნოს ამისთვის არ ეცალა: არსად წასვლის თავი არ ჰქონდა. ნახევარი საათი ასე უძრავად იდგა და ფიქრობდა: "აჰა, ვდგავარ და ხეებს შორის მანქანების ნათურებს შევცქერი; ჩემი ცხოვრებაც ეგ არის".

კარავში მიბრუნებულმა, ვისკი ჩამოისხა, Swing Magazine-ში "სიამოვნების უფლების" სვეტს ჩაეძია და აუჩქარებლად დაანძრია. ჟურნალი ანჟერის ახლოს, ავტოსადგომზე შეიძინა, მაგრამ განცხადებებზე გაპასუხება გულშიაც არ გაუვლია. კარგად იცოდა, მწარმოებელ მამრად ვერ გამოდგებოდა და თესლის ნიაღვარსაც ვერ დაანთხევდა. ქალები, რომლებიც მამაკაცებთან შეხვედრას თანხმდებიან, მეტწილად, შავკანიანებს არჩევენ და ისეთი ზომის პენისს ითხოვენ, რომელთან ბრუნოსი ახლოსაც ვერ მივა. რაც მეტს კითხულობდა, მით მეტად რწმუნდებოდა, რომ პორნოქსელში ცხვირსაც არ შეაყოფინებდნენ; რას იზამ, კუტუნამ არ გაუმართლა.

ისე, ჩვენში დარჩეს და საკუთარ ფიზიკურ შესაძლებლობებს არ ემდუროდა. საქმის მცოდნე ექიმის მიერ გაკეთებული კაპილარული გადანერგვა ორგანიზმს კარგად მოერგო. ტანვარჯიშის დარბაზში ყოველდღე დადიოდა და ორმოცდაორი წლის კაცის პირობაზე არცთუ ისე ცუდად გამოიყურებოდა. ბრუნომ მეორე ქიქაც გადაყლურნა, ჟურნალზე გაასხა და უდრტვინველად ჩაიძინა.

ფრენის ცამეტი საათი

სულ მალე "ცვლილებათა მხარეს" სიბერე შეეპარა: 80-იანი წლების თაობას მისი ფუძემდებლური იდეალები ყავლგასული ეჩვენებოდა. "სპონტანური თეატრის" პავილიონებსა და კალიფორნიული მასახის კაბინეტებს თუ არ ჩავთვლით, "მხარე", არსებითად, ერთი უბრალო დასასვენებელი ბანაკი იყო, რომელიც, საბინაო კომფორტისა და კვების ხარისხის თვალსაზრისით, ვერავითარ მეტოქეობას ვერ უწევდა სახელმწიფოს კუთვნილ დასასვენებელ ადგილებს. მართვის სისტემისთვის დამახასიათებელი ანარქიზმი, დამსვენებელთა რიცხვისა და საფასურის გადახდის ზუსტ აღრიცხვას საგრძნობლად ართულებდა. ამიტომ, რაც დრო გადიოდა, მით უფრო ძნელი ხდებოდა იმთავითვე დარღვეული ფინანსური ნონასწორობის შენარჩუნება.

ყოველივე ამის შემხედვარე, დამფუძნებლებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, ახალგაზრდებისთვის შეღავათიანი ფასები შემოეღოთ, მაგრამ ეს ზომა საკმარისი არ აღმოჩნდა. 1984-ში, საბიუჯეტო წლის დასაწყისის საერთო სხდომაზე, ფრედერიკ ლე დანტეკმა, მდგომარეობის გამოსასწორებლად, რამდენიმე ახალი დებულება წამოაყენა. 80-იანი წლების საზოგადოებაში, ამტკიცებდა დანტეკი, კერძო მენარმეობა წამყვანი საქმიანობა გახდა. სხდომის უკლებლივ ყველა მონაწილე ზედმინევენით ფლობდა ჰუმანიტარულ ფსიქოლოგიაზე დაფუძნებული თერაპიის ტექნიკას (გეშტალტფსიქოლოგია, რედენკარნაცია, გავარვარებულ ნახშირ-

ზე ფეხშიშველა სიარული, თვითანალიზი, ძენი და მედიტაცია, პარანორმალური მოვლენების კვლევა...). ახლა ისლა რჩება, წლების განმავლობაში შექმნილ ცოდნას პრაქტიკული გამოყენება მოუძებნონ და საკუთარი გამოცდილება ბანაკში მონვეულ სტაჟიორებს გადასცენ. ცხარე კამათის შემდეგ გეგმა მოიწონეს და მიიღეს. სწორედ მაშინ დაიწყო პირამიდის აგება. ამასთან ერთად, სტუმრებისთვის ორმოცდაათამდე მცირეკომფორტული ბუნგალო გამართეს. საგანგებოდ შერჩეული დიდი ფირმების კადრების განყოფილების ხელმძღვანელებს სარეკლამო ბროშურები დაუგზავნეს. ზოგიერთ უკიდურესად მემარცხენე დამფუძნებელს ეს სიახლეები ჭკუაში არ დაუჯდა. ხანმოკლე საშინაო ომის შედეგად, "1901 წლის კანონის მხარდამჭერ ასოციაციას" შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შეენაცვლა, რომლის მთავარი აქციონერი ფრედერიკ ლე დანტიეკი გახდა. სხვა თუ არაფერი, მამული მის მშობლებს ეკუთვნოდა და შარანტი-მარიტიმის საოლქო ბანკიც მზად იყო, მხარი დაეჭირა ახალი გეგმისთვის.

ხუთი წელი გავიდა და "მხარის" ღირსეული პარტნიორები გამოუჩნდა (პარიზის ეროვნული ბანკი; ბიუჯეტის სამინისტრო; პარიზის სატრანსპორტო სამმართველო; ბუიგის სამშენებლო ფირმა). სტაჟიორები მთელი წლის განმავლობაში ჩამოდიოდნენ, ხოლო რაც შეეხება ცენტრის, როგორც "დასასვენებელი ადგილის" საქმიანობას, რასაც მხოლოდ გარდასული დღეების ნოსტალგიით ედგა სული, ის მთელი წლიური შემოსავლის 5%-ს თუ შეადგენდა.

დილით ბრუნომ საშინელი თავის ტკივილით და ჭარბი ილუზიების გარეშე გაიღვიძა. "ცენტრის" არსებობა მან ერთი მდივანი ქალისგან შეიტყო, რომელიც ის იყო სტაჟირებიდან ("პიროვნული განვითარება - პოზიტიური განწყობა") დაბრუნდა. ეს სიამოვნება ქალს დღეში ხუთი ათასი ფრანკი უჯდებოდა. ბრუნო საზაფხულო დასვენების სარეკლამო ბროშურას გაეცნო და ცენტრი ერთობ სიმპათიური, თავისუფალი და მოანარქისტო ეჩვენა. განსაკუთრებით, ფურცლის ბოლოში, ერთმა შენიშვნამ მიიქცია მისი ყურადღება: გასულ ზაფხულს, "ცენტრის" დამსვენებელთა 63%-ს ქალები შეადგენდნენ. ამრიგად, ერთ მამაკაცზე ორი ქალი მოდიო-

და. უკეთეს თანაფარდობას კაცი ვერ ინატრებდა! საფიქრელი აღარაფერი იყო და ბრუნომაც გადაწყვიტა, ივლისში, ერთი კვირა მაინც, ცენტრის დასაზვერად მოეცალა, მით უფრო, რომ, როგორც აღმოჩნდა, კემპინგი "ხმელთაშუა ზღვის კლუბის" ან, თუნდაც, სტუდენტური ბანაკის საგზურზე იაფი დაუჯდებოდა. ისიც კარგად იცოდა, რა ჯურის ქალებთან ექნებოდა საქმე: დაჩამიჩებული ყოფილი მემარცხენეები... შეიძლება, შიდასიც აიკიდო. მაგრამ, ორი ერთზე, მისთვის, მართლაც რომ ზედგამოჭრილია. კარგად თუ გაჩალიჩდა, შეიძლება, ორთავეს გამოკრას ხელი.

ისე, სექსის მხრივ, წლევეანდელ წელთან სასაყვედურო არაფერი ჰქონდა. აღმოსავლეთ ევროპიდან მოზღვავებულმა მეძავეებმა ფასები საგრძნობლად დასცეს და სიამოვნება, რომელიც რამდენიმე თვის წინ 400 ფრანკი ღირდა, დღეს, დიდი-დიდი, 200 ჯდებოდა. საუბედუროდ, აპრილში მანქანის გვარიანი შეკეთება მოუხდა, თანაც, ავარიაში დამნაშავე თვითონ იყო. ბანკმა ფეხი აითრია და ბრუნოც იძულებული გახდა, ხარჯები შეეზღუდა.

სანოლს იდაყვით დაეყრდნო და პირველი ჭიქა ვისკი დაისხა. გადაშლილი "Swing Magazine" სანოლთან ეგდო: თეთრწინდებიანი ტიპი უზომოდ გაბრიქინებულ ასოს ობიექტივს უღერებდა. ეტყობა, დიდი ჯაფა დაადგა. ტიპს ერვე ერქვა.

"ჩემი ჩხირი ამასთან რა მოსატანია", - ამოიოხრა ბრუნომ და ტრუსებში ფეხები გაუყარა; საპირფარეშოსკენ მიდიოდა და თავს იმხნევებდა: "ეგ არაფერი, აი, მაგალითად, გუშინდელი squaw მაგარი გასაჟიმია". მოფანფალებული ძუძუები ესპანური წუნწისთვის ზედგამოჭრილია... სამი წელია, აღარ უგემია... არადა, როგორ უყვარს! აი, ბოზებს კი დიდად არ ეპიტნავენათ. შეიძლება, სახეში მისხმული თესლი აღიზიანებთ? განა მინეტს გაცილებით მეტი დრო და ნვალება არ სჭირდება? ყველაფერი ჩვევის საქმეა. ესპანური წუნწა ნიხრში გათვალისწინებული არ არის, არც ფასი ადევს, მეძავების დაყოლიებაც ამიტომ ჭირს. ინტიმურ საქმედ მიაჩნიათ, მხოლოდ მუდმივი მუშტრისთვის თუ გამოიღებენ ხელს. რამდენჯერ მომხდარა, რომ ესპანურ წუნწას დანატრებულ ბრუნოს ხელი ჩაუქნევია და უბრალო მინეტს დათანხმებულა. ზოგჯერ უმართლებდა. ასე თუ ისე, ესპანური წუნწა იშვიათობას წარმოადგენდა... ასე თვლიდა ბრუნო...

ფიქრებში წასული ბრუნო მერვე კორპუსს მიუახლოვდა. იმთავითვე იმ აზრს შეგუებული, რომ ბებრუხანების გარდა, სხვას ვერვის მოიხელთებდა, რაოდენ გაოცდა, როდესაც ყმანვილქალებს ჰკიდა თვალი. ოთხნი იყვნენ, თხუთმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე; პირსაბანების ახლოს, საშხაპესთან იდგნენ. ორს საცურაო ტრუსები ეცვა; დანარჩენი ორი ლალობდა: ენას ატარტალებდნენ, ერთმანეთს წუნავდნენ და ნივილ-კივილით იქაურობას იკლებდნენ. ... თანაც, დედიშობილა... მომხიბვლელი და წარმოუდგენლად სექსუალური სანახაობა იყო; ბრუნო ამას ნამდვილად არ იმსახურებდა. ტრუსები წამსვე გამოებერა, პატარა მეგობარი დაადრო და სხეულით პირსაბანის ნიჟარას აეკრა, თანაც კბილების საწმენდ ჩხირს პირში იტრიალებდა. ცოტა მეტი მოუვიდა, ღრძილში იტაკა და სისხლიანი ჩხირი პირიდან გამოიღო. გაბერილი, გახურებული, აკანკალებული ასოს თავიდან წვეთმა გამოჟონა.

ერთ-ერთი გოგონა, კენარი, შავგვრემანი, საშხაპედან გამოვიდა და ფართე პირსახოცს წაეტანა. შხაპით გალაღებული, მკერდზე ხელს იტყაპუნებდა. ტანლაბალმა წითურმა ტრუსები გაიხადა და შხაპის ქვეშ შედგა. საშოს ოქროსფერი ღინლი უფარავდა. ბრუნოს კვნესა აღმოხდა და თავბრუ დაეხვა. წარმოიდგინა, რომ ადგილიდან დაიძრა და საშხაპესთან მივიდა; ბოლოს და ბოლოს, მასაც ჰქონდა უფლება, ტრუსები გაეხადა და თავის რიგს დალოდებოდა. ისიც წარმოიდგინა, როგორ დაანძრევდა გოგონების ცხვირწინ. "წყალი თბილია?", - იკითხავდა ცალყბად. საშხაპეებს ერთმანეთს ორმოცდაათი სანტიმეტრი აშორებდა. იმ წითურის გვერდით რომ დადგეს, შეიძლება, საშოსაც გაეხაზუნოს. ამის გაფიქრებაზე თავბრუსხვევამ უმატა და პირსაბანს მიეყრდნო. ამ დროს, საიდან იყო, ხორხოცით მომავალი ორი ბიჭი გამოჩნდა; თეთრზოლებიანი შავი შორტები ეცვათ. ბრუნო წამსვე მოირღვა, ასო ტრუსებში ჩაიჩხირა და, ვითომც არაფერი, ისევ კბილებს დაუნყო წვალბა.

მოგვიანებით, იმ შეხვედრით ჯერ კიდევ დარეხვილი ბრუნო, სასაუზმოდ განყობილი მაგიდებისკენ გაემართა. განცალკევებით იჯდა და ხმას არ იღებდა. ვიტამინებით გაჯერებულ ფაფას ლოლნიდა და სექსუალური ძიების ვამპირულ და ფაუსტურ ხასიათზე ფიქრობდა. ჰომოსექსუალისტებზე რასაც ლაყობენ, ყველაფერი

ჭორი და სიცრუეა, უმტკიცებდა საკუთარ თავს. აი, მაგალითად, მას ჰომოსექსუალისტი არასოდეს, ან თითქმის არასოდეს შეხვედრია. სამაგიეროდ, ბევრ პედერასტს იცნობდა; ზოგიერთს, საბედნიეროდ არცთუ ისე ბევრს, მხოლოდ პატარა ბიჭები იზიდავდა; ასეთები, ჩვეულებრივ, ციხეში ამოყოფენ თავს, სასჯელსაც ბოლომდე იხდიან და ისინი აღარავის ახსოვს. პედერასტების უმრავლესობა თხუთმეტიდან ოცდახუთ წლამდე ახალგაზრდებს ეტანება, ამ ასაკზე მაღლა, მათი აზრით, მხოლოდ ხორკლიანი, მოფამფალეული ტრაკებია. აბა, ორ პედერასტს დააკვირდით, - ხშირად უთქვამს ბრუნოს, - ყურადღებით დააკვირდით და ნახავთ, რა რიგ გულიანად ეკურკურებიან ერთმანეთს. გგონიათ, ერთმანეთის გადაჟიმვა სურთ? ნურას უკაცრავად! გამონკეპილტაკუნებიანი ბიჭი ჩაივლის და ლამისაა ბებერი, უძალოვნო ვეფხვებივით ერთმანეთს ყელში წვდნენ, ეს ტაკუნა, გინდა თუ არა, ჩემიანო. ასე ფიქრობდა ბრუნო.

ბევრ შემთხვევაში, ეს ეგრეთ წოდებული ჰომოსექსუალისტები მაგალითის მიმცემნიც კი არიან დანარჩენი საზოგადოებისთვის, აგრძელებდა ფიქრს ბრუნო. მაგალითად, თვითონ აგერ ორმოცდაორს მიუკაკუნა, მაგრამ თავისი ასაკის ქალებს ზედაც არ უყურებს. ის კი არა და მზადაა, მინი-ქვედატანში მიმალულ ფუჩუნას ჯანდაბაშიც გაყვეს. ყოველ შემთხვევაში, ბანგოკამდე მაინც. ცამეტი საათი ფრენა ხუმრობა არ გეგონოთ!

3

სექსუალური სწრაფვა, უპირველეს ყოვლისა, ნორჩ სხეულს ალაგზნებს და ის, რომ ცდუნებათა სივრცეს სულ მეტი და მეტი ქორფა გოგონები ავსებენ, ჩვეულებრივ მოვლენად, ან, თუ გნებავთ, ნორმასთან დაბრუნებად უნდა მივიჩნიოთ, მსგავსად იმისა, როდესაც მოულოდნელი საბირჟო ციებ-ცხელების დაცემას ფასების ძველ დონეზე დაშვება მოყვება. მაგრამ ეს ვერაფერი შეღავათია ორმოც წელს მიღწეული ქალბატონებისთვის, რომლებიც "68-იანი წლების" დამდეგისას მხოლოდ ოცი წლის იყვნენ. როგორც წესი, ქმარგაცილებულთ, მათ მომავალი, უანგარო თუ ანგარებიანი ქორწინების იმედიც გადაეწურათ. არადა, ოჯახის თანდათანობითი ქრობა სწორედ მათი ძალისხმევის შედეგი იყო. ეს ის თაობა გახლავთ, რომელმაც პირველმა, ესოდენ აშკარად, მწიფობის ხანას სიყმანვილე ამჯობინა და რა გასაკვირია, თუკი ახლა, ამის შედეგად, მომდევნო თაობის ზიზლსა და სიძულვილს იძვის. დაბოლოს, სხეულის კერპად ქცევამ, რომელსაც თვითვე შეუნყვეს ხელი, სიბერისა და ხორცის თანდათანობითი ჭკნობის მოძალეებისას, მათ საკუთარი თავიც შეაძულა. სხვათა შორის, მსგავს სიძულვილს ისინი აქამდე სხვების თვალეში ჭვრეტდნენ.

მათი ასაკის მამაკაცებიც, *grosso modo*, მათზე უკეთეს დღეში არ იყვნენ, თუმცა, ნუ იფიქრებთ, რომ ბედის ერთობამ ისინი დააახლოვა. ორმოცი წლის მამაკაცები მაინც გულს არ იტებენ, ახალგაზრდა გოგონებს ეკიდებიან და ასე განსაჯეთ, შიგადაშიგ უმართლებთ კიდევ, განსაკუთრებით მათ, ვინც სხვადასხვა ხრიკით ცხოვრებაში გარკვეული წარმატება მოიპოვა; ეს ერთნაირად ეხება ინტელექტუალურ თუ ფინანსურ საქმიანობას და კიდევ ტე-

ლექსიონზე ხშირ გამოჩენას. ქალების უმრავლესობისთვის კი, რაც არ უნდა სამწუხაროდ გვეჩვენოს, სიმნიფის ხანას, უმეტეს შემთხვევაში, იმედგაცრუება, მარცხი, მასტურბაცია და სირცხვილი მოყვება.

"ცვლილებათა მხარე", სექსუალური თავისუფლებისა და ვნების სამეუფო, უეჭველად, დეპრესიისა და სევდის გამორჩეულ სავანედ უნდა ქცეულიყო. ვილას ახსოვს მთვარის შუქზე, ტყის პირას ხვევნა-კოცნა ან შუბის ტარზე შემდგარი მზის ქვეშ გადახლართული გაზეთილი სხეულების შმაგი ალერსი - მოთქვამდნენ მოფლაშული სირისა და ქონშემდგარი თეძოების მხილველი ბრონნი ორმოცნლიანები.

1987 წელს "მხარეში" თითქმის რელიგიური სულისკვეთების პირველმა დაჯგუფებებმა წამოყო თავი. არა, ქრისტიანულ რწმენას არვინ ახსენებდა. მაგრამ ბურუსით მოცული ეგზოტიკური მისტიკის ნაირსახეობა, ამ ჭკუათხელ არსებათა თვალში, საცხებიტ ამართლებდა და ესადაგებოდა მათ მიერ ნაქადაგებ სხეულის კულტს. სენსიტიური მასაჟის და ხორციელი საწყისის გათავისუფლების კაბინეტების რიცხვმა საგრძნობლად იმატა. განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა ასტროლოგიით, ეგვიპტური ტაროთი, ინდურ ჩაკრებთან დაკავშირებული მედიტაციებით და ფარული ენერჯიებით საყოველთაო გატაცება. "ანგელოზთან შეხვედრებიც" გახშირდა; მავანმა და მავანმა კრისტალების ვიბრაციის ამოკითხვაც ისწავლა. 1991 წელს ციმბირული შამანიზმის ჯერიც დადგა და ერთ-ერთი ზომაზე მეტად გახანგრძლივებული სეანსის დროს, გახურებულ ნაღვერდლებზე მისნობისას, ერთ "განხილულს" გულმა უმტყუნა და საბრალომ ადგილზევე განუტევა სული. მაგრამ ვერაფერი შეეძრებოდა ტანტრას, ანუ სექსუალური ვარჯიშის, ბუნდოვანი სულიერებისა და უძირო ეგოიზმის ნაზავის კულტს. ამრიგად, რამდენიმე წელიწადში, "მხარე", ევროპისა და ამერიკის მსგავსი ადგილების კვალდაკვალ, New age-ის აღიარებული ცენტრი გახდა, რომელიც ამავდროულად ჰედონისტურ-ანარქისტული ხასიათის შენარჩუნებასაც ახერხებდა, რაც "70-იან წლებში", საერთაშორისო ბაზარზე მის პრესტიჟს საგრძნობლად ზრდიდა.

ნასაუზმევს ბრუნო კარავში დაბრუნდა, ერთი ხომ არ დამენ-
ძრიაო, გაიფიქრა (დილანდელი შეხვედრის შთაბეჭდილება ჯერ-
აც არ განელეობდა), შეყოყმანდა და საბოლოოდ, თავის შეკავე-
ბა არჩია. ეს ტვინისჩამკეტი გოგოები იმ "68-იანი წლების" ქალ-
ბატონების შთამომავლები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც კემ-
პინგში ჯგუფ-ჯგუფად დასეირნობდნენ და წამდაუნუმ ფეხებში
ებლანდებოდნენ. გამოდის, ზოგ-ზოგმა ბებერმა ბოზმა, მიუხე-
დავად ყველაფრისა, შვილიც გააჩალიჩა. ბუნდოვან, ერთობ უს-
იამოვნო ფიქრებში ჩაძირულმა ბრუნომ უხეში მოძრაობით კარ-
ვის ელვა-საკეტი ჩახსნა... ცა ლურჯად კამკამებდა. სპერმის
შხეფების მსგავსი ღრუბლის ქულები ფიჭვების კენწეროებს შო-
რის მიიწნეოდა. დღეს კარგი პირი უჩანდა. ბრუნომ კვირის
პროგრამას გადახედა და №1 პუნქტი, "შემოქმედება და განტ-
ვირთვა" შეარჩია. დილისთვის სამი სახელოსნოდან ერთ-ერთს
სთავაზობდნენ: პანტომიმა და ფსიქოდრამა, აკვარელი, კომპო-
ზიცია. ფსიქოდრამაზე უკაცრავად: ერთ შაბათ-კვირას, შანტიი-
სთან ახლოს, ძველ ციხე-დარბაზში სეანსს დაესწრო და გახსე-
ნებაზე ახლაც გული ერევა, - ორმოცდაათ წელს მიტანებული
ქალები, ე.წ. "სოციოლოგიური დახმარების მუშაკები", სპორტუ-
ლი დარბაზის ხალიჩაზე კოტრიალობდნენ და გინდა თუ არა,
სათამაშო დათვები მოგვეცითო, გაჰკიოდნენ. არა, ბრუნო ამას
ვეღარ აიტანდა. აკვარელი უფრო მიმზიდველი იყო, მაგრამ მა-
შინ ღია ცის ქვეშ ყოფნას უნდა შეგუებოდა: ფიჭვის წინვებზე
ჯდომა, მწერების მოგერიება და ვინ იცის კიდეც, რამდენი უსი-
ამოვნება. თანაც რისთვის? რაღაც ნაჯღაბნისთვის. არა, არ
ღირს!

კომპოზიციის მასწავლებელ ქალს გრძელი შავი თმა და ჭიაფ-
რით გათხუნილი, რომ იტყვიან, "მინეტისთვის გამზადებული"
პირი ჰქონდა. ტუნიკა და წვივებზე შემოჭერილი შავი სპორტუ-
ლი შარვალი ეცვა. ვერაფერს იტყოდი, მაგარი ქალი იყო. გასწი,
გამოსწი, მაინც ბებერი ჩათლახიაო, გაიფიქრა ბრუნომ და სად-
აც მოუხერხდა, იქ ჩამოჯდა. ხელმარჯვნივ, ვილაც ჭალარა, სათ-
ვალიანი სქელი ქალი, ამაზრზენად მინისფერი სახით, ხმამალლა
გაბმით ხვნეშოდა. ღვინის სუნით ყარდა. არადა, დილის ათი სა-
ათი იყო.

"ჩვენი თავშეყრის აღსანიშნავად, - წამოიწყო მასწავლებელმა, - ამასთან, დედამიწისა და ხუთი გზისთვის პატივის მისაგებად, მეცადინეობას ჰათხა-იოგას ერთი ვარჯიშით, "სალამი მზეს", დავინყებთ". ამას ენით აუნერული პოზის ახსნა მოყვა. ბრუნოს გვერდით, იმ ლოთმა ქალმა პირველი ბოყინი ამოუშვა. "ეტყობა, დაილაღე, უაკლინ, - სიტყვა შეაშველა იოგას მოტრფიალე მასწავლებელმა, - თუ ვერაფერს გრძნობ, ვარჯიშს აზრი არა აქვს. წამოწეჟი, მალე ჯგუფიც შემოგიერთდება".

მართლაც, ყველა პირალმა გაიშხლართა, მასწავლებელი კი გულისგამანვრილებელ და უაზრო საუბარს აგრძელებდა: "სასწავლებრივად კამკამა წყალში შედიხართ. წყალი კიდურებს და სხეულს გაგბანთ. მადლობას უძღვნით დედამიწას და ჩვილი ბავშვივით მკერდს ეკვრით. შეიგრძენით სურვილი, რომელსაც მხოლოდ საკუთარ თავს უნდა უმადლოდეთ", და ა.შ. ჭუჭყიან ჭილოფზე გამოტილი ბრუნო ბრაზისგან კბილებს აკრაჭუნებდა. ის ლოთი ქალი, გიყვარდეს, აბოყინებდა, ბოყინიდან ბოყინამდე კი ორთქლმავალივით ხვნიშოდა და დროდადრო, აქაოდა, ყველაფერი რიგზეაო, ააჰო, ამოიკნავლებდა. კარმას თაყვანისმცემელი ნაბოზარი ისევ თავისას უბერავდა და მუცლისა და სასქესო ორგანოების "გასასხივოსნებლად" ქვესკნელის ძალებს უხმობდა. ოთხივე ელემენტი რომ გაიხსენა, საკუთარი მონაჩმახით კმაყოფილმა ასე დაასრულა: "თქვენ უკვე გადაკვეთეთ რაციონალური ცნობიერების საზღვარი და საკუთარ სიღრმეებში ჩაიძირეთ. მაშ, გაეხსენით შემოქმედების უსაზღვრობას!" "ნადი შენი..!" - გულში შეუკურთხა ბრუნომ და ჭილობიდან წელი აითრია. ყოველივე ამას წერის სენი მოყვა, რასაც მასწავლებლის შესავალი სიტყვა და ტექსტების კითხვა შეენაცვლა. სახელოსნოში, ერთი წაკლას გარდა, გასაჟიმი სხვა არვინ იყო. ჯინსებში და მაისურში გამოწკეპილ წითურ გოგოს ემა ერქვა და რალაც აბურდულ-დაბურდული პოემის ავტორი იყო, რომელიც, როგორც გაირკვა, მთვარის ბატკნებს ეძღვნებოდა. უკლებლივ ყველას გამოთაყვანებულ სახეზე მადლიერება და შტერული ნეტარება ეხატა: ხომ წარმოგიდგენიათ, აქეთ, მშობელი დედა - მინა, იქით, არანაკლებ მშობელი მამა - მზე! ერთი სიტყვით, მიდი და იკაიფე! მალე ბრუნოს რიგი დადგა და მანაც უღიმღამო ხმით დაიწყო:

პედერასტი მძლოლები ყურს არავის უგდებენ,
თუნდაც, გასკდი ყვირილით, ერთს არ გაგიჩერებენ.

"აკვიატებული განცდაა, - შენიშნა იოვას მოტრფიალემ, - თავის დაღწევა გიჭირს, რადგან ბოროტ ენერგიას ჯერ კიდევ ვერ სძლიე. რალაც სიღრმისეული განვალეხს. დაგეხმარებით, აქვე და ახლავე. ნამოვდგეთ და წრე შეეკრათ!"

ყველა ფეხზე ნამოდგა, ხელი ხელს ჩაკიდეს და წრეც შეიკრა. რა ძალა იყო, ბრუნომ მარჯვენა ხელი გაღეშილ ქალს ნაატანა, მარცხენა კი გულისამრევი გარეგნობის, ნვერებიან მოხუცს გაუნოდა. ზედგამოჭრილი კავანა* იყო. ყურადღებადაძაბულმა იოვას მასწავლებელმა, რომელიც გარეგნულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა, მჭახე ხმით შესძახა: "ომ!" შეძახილს ყველა აყვა, ისე იმეორებდნენ "ომ!", იფიქრებდით, მთელი ცხოვრება ამის მეტი არაფერი უკეთებიათო. ბრუნომ მხნეობა მოიკრიბა; ის იყო პირი დაალო, რომ მარჯვნიდან რალაცამ შეაბარბაცა და ჰიპნოზით გათიშულმა ლოთმა ქალმა იატაკზე მოადინა ზღართანი. ბრუნომ ხელი უშვა, მაგრამ ცოტა გვიან მოუვიდა და ტატამზე აწრიალებული ნაჩათლახარის წინ ჩაიჩოქა. იოვას მოტრფიალეს წამით სიტყვა გაუწყდა, მაგრამ გონს სწრაფად მოეგო და მშვიდად წარმოთქვა: "დიახ, ჟაკლინ, სწორად იქცევი, თუ წამოწოლა გსურს, უნდა წამოწვე". ჩანდა, ერთმანეთს კარგად იცნობდნენ.

მეორე განყოფილებამ პირველს აჯობა; ბრუნოს ისევე იმდილადნელი გაახსენდა და კარგა გრძელი ლექსიც მოარტყა:

გასარუჯად კუტუნა
(ზედ ხეშეში ჯაგარი)
წყლის ნაპირზე დავაძრე
(ჯოხი, მართლაც მაგარი).

მერე სოლარიუმში
მამა ღმერთი ვიხილე,
მწიფე ვაშლი მაჩუქა
"იგემე და იხილე!"

* ფრანსუა კავანა - ფრანგი მწერალი, ეროტიკული ნაწარმოებების ავტორი.

მაცოდინა, სად ცხოვრობს
(ჩემს ლურსმანზე ჯვარად)
რა თქმა უნდა, ზეცაში
(ტოტი, ხეზე მაგარი).

“ზედმეტი იუმორია...” - უსაყვედურა იოვას მოტრფიალემ. “იუმორი კი არა, ფუსყ მისტიკაა”, - ამოაბოყინა ბრუნოს მეზობელმა. როგორ მოიქცეს, ამდენ სისულელეს როგორ გაუძლოს? სანამდე ითმინოს? ღირს კი? კითხვების კორიანტელი ბრუნოს ტვინს უბურღავდა. სენასი დასრულდა თუ არა, კარვისკენ გაუტია; სიჩქარეში წითურ გოგოს სიტყვაც კი არ აღირსა. სული ელეოდა, სანამ ერთ ჭიქა ვისკის გადაკრავდა. კარვის სიახლოვეს სწორედ იმ გოგოს გადაეყარა, დილით საშხაპეში თვალებით რომ ჭამდა. გოგო მსუბუქი მოძრაობით წინადლით გაფენილ მაქმანიან ტრუსებს ხსნიდა. ბრუნოს ისეთი გრძნობა ჰქონდა, სადაცაა ჰაერში ავარდებოდა, ბუშტივით გასკდებოდა და კემპინგს ქონის ნაჭრებად დაენარცხებოდა. სიყმანვილე წარსულს ჩაბარდა, მერედა რა შეიცვალა? სურვილები ისევ იმდროინდელი შერჩა; ახალი ის იყო, რომ ამ სურვილებს აღსრულება არ ენერა. სამყარო, რომელიც მხოლოდ სიყმანვილეს მიაგებს პატივს, ადამიანებს თანდათანობით ნთქავს. საუზმისას ერთ კათოლიკე ქალს დაადგა თვალი. დიდი მისახვედრი არ იყო: კისერზე ვეებერთელა რკინის ჯვარი და შემუშებული ქვედა ქუთუთოები, რაც მის გამოხედვას კათოლიკე ქალებისთვის (ზოგჯერ, ლოთებისთვისაც) დამახასიათებელ განსაკუთრებულ სიღრმეს სძენდა. გრძელი შავი თმები და მიტკალივით თეთრი კანი ჰქონდა, ცოტა სიმსუქნეც არ აწყენდა, მაგრამ ასეც არ დაინუნებოდა. ქალის პირისპირ შვეიცარიულ-კალიფორნიული იერის, მოქერო-მონითურო ქალიშვილი იჯდა, არანაკლებ მეტრი და ოთხმოცი სანტიმეტრის სიმაღლისა, აღნაგი, ტანდამშვენებული, შესაშური ჯან-ლონით სავსე. ქალიშვილს ტანტრას სახელოსნო ებარა. სიმართლე თუ გნებავთ, კრეტიდიან იყო და ბრიჟიტ მარტენი ერქვა. კალიფორნიაში მკერდი გაიდიდა და აღმოსავლურ მისტიკას ეზიარა, თან სახელიც შეიცვალა; სამშობლოში დაბრუნებულმა შანტი მარტენმა ფლანდში ტანტრას ცენტრი გახსნა. კათოლიკე ქალი შანტის თვალებში მისჩერებოდა და

აღტაცებას ვერ მალავდა. თავდაპირველად ბრუნომ ერთი-ორი სიტყვა ჩაურთო საუბარს, რომელიც ბუნებრივი ნაწარმის დიეტას უტრიალებდა, - ხორბლის სიკეთეზე რაღაც-რაღაცები ნაკითხული ჰქონდა. მერე ქალები რელიგიაზე გადავიდნენ და ბრუნომაც მოკეტა. შეიძლება ქრისტეს გაიგივება კრიშნასთან? თუ არა, სხვასთან ვისთან? კათოლიკე ქალს, მთელი მისი კათოლიკობის მიუხედავად, რომის პაპი გულზე დიდად არ ეხატა. მისთვის რომ გეკითხათ, შუასაუკუნებრივად მოაზროვნე იოანე-პავლე მეორე, დასავლეთის სულიერ განვითარებას ამუხრუჭებდა. "სწორს ბრძანებთ, - კვერი დაუკრა ბრუნომ, - გამოქლიავებული ვინმეა". ნაკლებად ცნობილი სიტყვის გაგონებაზე ქალებმა ყური ცქვიტეს და ბრუნოს მიაჩრდნენ. "აი, დალაი ლამა კი გულხელდაკრეფილი არ ზის...", - ნაღვლიანად დასძინა ბრუნომ და სოიოს ბიფშტექისი ბოლო ლუქმა კუჭში გადაუძახა.

კათოლიკე ქალი ყავას აღარ დაელოდა და სხარტად წამოხტა სკამიდან. "პიროვნული განვითარების სახელოსნოში", "დიახ-დიახ წესების" სეანსზე მიეჩქარებოდა. "დიახ-დიახ" მართლაც მაგარი რამაა", - აღტაცება ვერ დამალა შვეიცარიელ-კალიფორნიელმა და ისიც წამოდგა. კათოლიკე ქალმა ბრუნოსკენ იბრუნა პირი და კეთილად გაუღიმა: "საუბრისთვის მადლობას ვიხდით..." ოჰო, გამოდის არ ჩაფლავებულა! "გინდ ამ ჩათლახებთან გისაუბრია, გინდ, ნაკვით ან ჰიგიენური ქალღმერთი გამოტენილ უნიტაზში ჩაგიფსია ან მოგისაქმებია, - გაიფიქრა ბრუნომ, - ყველაფერი მალღა რჩება და საშინლად ყარს". სივრცე სხეულებს ამორიშორებს, სიტყვა კი სივრცეს არად დაგიდევს, ნებაზე მოძრაობს, არვის ყურამდე არ მიდის, არც არვის ეპასუხება, ჰაერში ბრიყვულად გამოეკიდება, ნელ-ნელა იხრნება და ყროლდება. ამას წყალი არ გაუვა. სიტყვა ადამიანებს აახლოებს, თუმცა, დაშორებაც ძალუძს.

აუზის პირას, შეზღონგში მოყუჩდა. გოგონები ერთმანეთს ელლაბუცებოდნენ და ბიჭებს აგულიანებდნენ, აბა, რომელი გადაგვაგდებთ წყალშიო. მზე შუბის ტარზე იდგა; ცისფერი აუზის გარშემო, პრიალა სხეულები აქეთ-იქით დანრიალებდნენ. ბრუნომ დაუფიქრებლად გადაშალა "ექვსი მამაკაცი და ხელთათმნიანი კაცი", - პოლ ჟაკ ბონზონის ეს ბოლო შედეგრი სულ ახლახან ხელმეორედ გამოსცა "საყმანვილო ბიბლიოთეკამ". მცხუნვარე ხვატი,

ერთბამად, ლიონის ნისლმა შეცვალა. ერთგული ძალი კაპი ფეხებთან ეწვა და თავს უსაფრთხოდ გრძნობდა. სასიამოვნო განცდა იყო...

ნაშუადღევის პროგრამა არჩევანს სთავაზობდა: *სენსიტიური გეშტალტმასაჟი*, სახმო სიმების დანმენდა, ცხელ წყალში *rebirth**-ი. ერთი შეხედვით, მასაჟი უფრო *hot*** ეჩვენა. სახელოსნოსკენ მიმავალმა, საკუთარი თვალთ იხილა, თუ რას ნიშნავდა სახმო სიმების დანმენდა: ერთობ აღგზნებული თორმეტიოდე შეგირდი ტანტრას მასწავლებლის ნიშანზე ადგილზე ხტოდა და დაფეთებული დედალივით კრიახობდა.

გორაკის თავზე, წრედ განლაგებულ საყრდენებზე ჩამოდებულ ფიცრებს საბანაო პირსახოცები ეფარა. მონანილენი შიშვლები იყვნენ. წრის შუაში ჩამდგარმა, ჩია და ელამმა მასწავლებელმა, ორიოდ სიტყვით *სენსიტიური გეშტალტმასაჟის* ისტორია მოხაზა: იგი ე.წ. "კალიფორნიული მასაჟის" გამომგონებლის, ფრიც პერლსის ნაშრომებიდან იშვა, გზადაგზა სენსიტიური კვლევის სხვა მიღწევებიც შეისისხლხორცა და, მისი აზრით, მასაჟის სრულყოფილ მეთოდად იქცა. მასწავლებელმა კარგად უწყოდა, რომ "მხარეში" ბევრს დიდად არ ეჭაშნიკებოდა მისი თეორია, მაგრამ პაექრობას თავს არიდებდა. "ასეა თუ ისე, მასაჟს გააჩნია; შეიძლება ითქვას, არ არსებობს ორი ზუსტად ერთმანეთის მსგავსი მასაჟი" - სიტყვა დაასრულა. თეორიული წანამძღვრები რომ მოილია, ერთი ახალგაზრდა ქალი იატაკზე ნამოანვინა და ვარჯიშების ჩვენებას შეუდგა. "მთავარია შეიტყოთ, რა უჭირს პარტნიორს", - ამბობდა და ქალიშვილს მხრებზე ეფათურებოდა, მისი სირი კი შეგირდის გრძელ ქერა თმებთან ირწეოდა. "იფიქრეთ ჰარმონიაზე", - ამ სიტყვებთან ერთად, ძუძუებზე ზეთი დაასხა. "პატივი ეცით სხეულის სტრუქტურის ხელშეუხებლობას...": ხელები მუცელზე ჩამოუცურა; ქალიშვილმა თვალები მილულა და აშკარა სიამოვნებით გადაშალა ფეხები.

"ესეც ასე, ახლა წყვილ-წყვილად გააგრძელეთ. იმოძრავეთ, სივრცეში შეხვდით ერთმანეთს; ნუ იჩქარებთ!" - არიგებდა შეგირდებს. ნანახით გაოგნებული ბრუნო გონს გვიან მოეგო; არადა,

* rebirth - გარდაქმნა.

** hot - ცხელი. აქ, "მაგარი".

სწორედ ახლა უნდა ეყოჩაღა: თვალში ამოღებულ პარტნიორს ნელა უნდა მიახლოვებოდა, ღიმილით წინ უნდა აყუდებოდა და მშვიდად ეკითხა: "გინდა, ერთად ვიმუშაოთ?" სხვები, ეტყობა, ყველაფრის აზრზე იყვნენ და თვალის დახამხამებაში დაწყვილდნენ. ბრუნომ მიიხედ-მოიხედა და ხელში დაბალი, ჩასხმული და უხვბალნიანი მამაკაცი შერჩა. პარტნიორს უზარმაზარი პენისი უკონწიალებდა. რას იზამ, შეცდა, ვერ გათვალა, რომ შვიდ მამრზე მხოლოდ ხუთი მდედრი მოდიოდა.

მადლობა ღმერთს, პარტნიორს პედერასტისა არაფერი ეტყობოდა; გაცოფებული, უსიტყვოდ პირდაღმა დანვა, თავი გადაჯვარედინებულ მკლავებში ჩარგო და დაელოდა. "მენყვილეს გაუგეთ... პატივი ეცით სხეულის სტრუქტურას..." ბრუნო ზეთს არ იმურებდა, მაგრამ მენყვილეს მუხლებს ვერ გაცდა: ტიპი კუნძივით ეგდო. ბალანი დუნდულებზეც ამოსვლოდა. ზეთი პირსახოცს ეწვეთებოდა, ეტყობა, ნაკუთალები გაეჟლინთა. ბრუნომ თავი ასწია. იქვე, ახლოს, ორი ტიპი იატაკზე მოყუჩებულიყო. ხელმარცხნივ წამონოლილ მამაკაცს ახალგაზრდა ქალი ტანს უზელდა. ქალის ძუძუები ნელა ირწეოდა, საშო ზედ მამაკაცის ცხვირთან მიეტანა. მასწავლებლის მაგნიტოფონიდან ხმამალალი მუსიკა იღვრებოდა. ცა ლურჯად ხასხასებდა. ბრუნოს გარშემო გაზეთილი, მზის შუქზე აპრიალებული ფალოსები ყელყელობდნენ. ყველაფერი თავბრუდამხვევად ნამდვილი იყო. ბრუნო გრძნობდა, რომ მეტს ველარ გაუძლებდა. მოშორებით, მასწავლებელი ერთ წყვილს რაღაცას უხსნიდა. ჩანთას ხელი დაავლო და აუზისკენ დაემშვა. სწორედ რომ ცურვისთვის შესაფერისი დრო იყო და აუზთან ხალხი ირწეოდა. მდელოზე ნებივრად წამონოლილი ტიტლიკანა ქალები ერთმანეთს ეჭორაევებოდნენ, კითხულობდნენ, ან, უბრალოდ, მზეს ეფიცებოდნენ. ნემსის ჩასავარდნი ადგილიც არ იყო, არადა სადღაც ხომ უნდა ჩამომჯდარიყო? პირსახოცით ხელში, მდელოს წრე დაარტყა. ამდენი საშოს შემყურეს, ფეხი ეშლებოდა და გზას ველარ იკვლევდა. ის იყო, გაიფიქრა, ბოლო-ბოლო რაღაც უნდა ვილონოო, რომ კათოლიკე ქალს მოჰკრა თვალი. ვიღაც დაბალ, ჯირკვივით კაცს ელაპარაკებოდა. კაცს გრუზა, ხუჭუჭი თმა და მოლიმარი თვალები ჰქონდა. ბრუნომ ხელი დაუქნია, თუმცა ქალს არაფერი დაუნახავს და იქვე მინაზე დაემშვა. ვიღაც ტიპმა წყვილს

ჩაუარა და შავგვრემანს მიესალმა; "გაუ, ქარიმ!" ისე, რომ საუბარი არ შეუწყვეტია, ქარიმმა პასუხად ხელი დაუქნია. პირაღმა მწოლიარე ქალი ხმაგაკმენდილი უსმენდა. ხუჭუჭა შავი ღინღლით დაფარული გორაკი ლამაზად ამობურცვოდა გაფშკინებულ ბარძაყებს შორის. ქარიმი ლაპარაკობდა და თან სათუთად ეფერებოდა ყვერებს. ბრუნომ თავი მიწაზე დადო და კათოლიკეს საზარდულს მიაშტერდა: ორიოდ ნაბიჯზე სიმშვიდით და სინაზით სავსე სამყარო იშლებოდა. ბრუნოს ქუთუთოები დაუმძიმდა და ერთბაშად ძიღმა დარია ხელი.

1967 წლის 14 დეკემბერს ეროვნულმა საკრებულომ პირველი ნაკითხვით მიიღო ნევერსის მიერ შემოთავაზებული კანონი, რომელიც ჩასახვის სანინაალმდეგო საშუალებების ლეგალიზაციას ითვალისწინებდა. აბები აფთიაქების დახლებზე გამოიყარა და ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა. ის დღე იყო და ის დღე, მოსახლეობის ფართო ფენები, როგორც იქნა, *სექსუალურ თავისუფლებას* ეზიარნენ, რომლითაც აქამდე მაღალი მოხელენი, თავისუფალი პროფესიების მიმდევარნი, მსახიობები და, ზოგჯერ, მცირე და მეზღუდული პასუხისმგებლობის სანარმოთა მფლობელები სარგებლობდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ *სექსუალურ თავისუფლებას*, რომელიც, სინამდვილეში სხვა არაფერი იყო, თუ არა ინდივიდუალიზმის ისტორიული განვითარების ახალი საფეხური, ვიღაც-ვიღაცები კოლექტიურ ოცნებად სახავდნენ. როგორც თვით ცნება "ერთობლივი მეურნეობა" მიანიშნებს, ცოლქმრული წყვილი და ოჯახი, ლიბერალურ საზოგადოებას პირველყოფილი კომუნიზმის კუნძულად შემორჩა. *სექსუალურმა* თავისუფლებამ ინდივიდისა და ბაზრის გამყოფ ამ შუალედურ ერთობასაც მოუთავა ხელი. ნგრევის პროცესი დღესაც გრძელდება.

ვასშობის შემდეგ, "ცვლილებათა მხარის" მმართველი კომიტეტი, ჩვეულებრივ, *საცეკვაო საღამოებს* მართავდა. ერთი შეხედვით, სულიერ სიახლეებს ესოდენ დანაფებულ ადგილებზე, მსგავსი საღამოები ვინმეს უადგილოდ მოეჩვენება, მაგრამ ეს არჩევანი კიდევ ერთხელ ადასტურებს არაკომუნისტურ საზოგადოებებში *საცეკვაო საღამოების*, როგორც *სექსუალური შეხვედრების* ერთ-ერთი შესაძლებლობის დიდ მნიშვნელობას. ფრედერიკ ლე დანტეკი აღნიშნავს, რომ პირველყოფილი საზოგადოებების ზეი-

მების ღერძს ცეკვა, ანუ ტრანსი წარმოადგენდა. ასე და ამრიგად, მთავარ მდებარეობაზე ბარი და ხმის გამაძლიერებლები განალაგეს. დამსვენებლები, მთვარის შუქზე, დილაამდე დაკუნტრუშებდნენ. ბრუნოს მეორე შანსი მიეცა. მართალი რომ ითქვას, ყმანვილქა-ლები არცთუ ძალიან წყალობდნენ ასეთ საღამოებს და ახლომდებარე საცეკვაო დარბაზებს უფრო ეტანებოდნენ (*ბილბოკე, დინასტიკა, 2001*), რომლებიც მათ მამაკაცების სტრიპტიზს, ლუდით ჭარბად გაჯერებულ თემატურ საღამოებს და პოპმუსიკის პირველი ათეულის ვარსკვლავებს სთავაზობდნენ. საღამოობით "მხარეში" ის ორი თუ სამი მეოცნებე ბიჭი რჩებოდა, ვინც საკუთარი პენისის ზომით ვერაფრის დიდებით ვერ დაიკვებინდა. კარავში შეყუჟული ბიჭები აუწყობელ გიტარას აჩხაკუნებდნენ და მოთმინებით იტანდნენ თანატოლების ზიზლს. ბრუნო ამ ყმანვილებთან სულიერ ნათესაობას გრძნობდა, თუმცა, მისთვის ისედაც მოუხელთებელი გოგონების არყოფნისას, შეეძლო, ჟურნალ "Newlook"-ის იმ მკითხველისა არ იყოს, რომელსაც ერთ დღეს კაფეში გადაეყარა, "შუბი ქონის ნაჭერში ჩაერჭო". სწორედ ამ იმედით, მეზღვაურის კოსტიუმში გამონყობილი, ზუსტად ოცდასამ საათზე, ხმაურის ეპიცენტრისკენ დაიძრა.

მოცეკვავეებს მზერა რომ მოაველო, პირველად ქარიმი მოხვდა თვალში: კათოლიკე ქალი მიეტოვებინა და ახლა როზენკრეიცელ ლამაზმანს უყუჟუნებდა თვალებს. ცოლ-ქმარი ნაშუადღევს ჩამოვიდა: ერთნაირად ტანმაღალნი, მოხდენილნი და სერიოზულები, წარმოშობით ელზასიდან უნდა ყოფილიყვნენ. ვეებერთელა, ჩახლართულ კარავში დაიდეს ბინა. ჩარდახიან-მოქლონიან კარავს ქმარი ოთხი საათი ეცოდვილა, საღამოს კი, საქმე რომ მოითავა, ბრუნოს მიდგა და ვარდისა და ჯვრის ფარულ ღირსებებზე ლაყბობით თავი გამოუტენა. თვალებიდან ცეცხლს აკვესებდა, გეგონებოდა, მხურვალეება სათვალის შუშებს აელვარებსო, - ნაღდი ფანატიკოსი იყო. ბრუნო ცალი ყურით უსმენდა. იმ ტიპის სიტყვებით, მოძრაობა გერმანიაში ჩაისახა. რა თქმა უნდა, საფუძველი ალქიმიურმა ნაშრომებმა დაუდო, მაგრამ რეინელი მისტიკოსების ღვანლიც დასაფასებელია. "პედერასტების და ნაცისტების მონაჩმახი იქნება, ტრაკში შეითხარე შენი ჯვარი..." - გაიფიქრა ბრუნომ და იქვე წახრილი ქალის მოხდენილი გავისკენ გააპარა თვალი.

"ჰოდა, ვარდიც თან მიაყოლე..." - დაამატა გონებაში. მკერდმოში-შვლებული ქალი წელში გაიმართა და ქმარს შეუღრინა, მიდი, ბავშვს საფენები გამოუცვალეო.

ასეა თუ ისე, ახლა ქარიშთან ცეკვავდა. უცნაური წყვილი იყო, ღმერთმანი: კაცი, - ქალზე ერთი თავით დაბალი, პუტკუნა, ეშმაკუნა. ქალი, - ზორბა გერმანული ფაშატი. ქარიში იღიმებოდა, ენას ატარტალებდა და ერთხანობა ისე გაერთო, სულ გადაავინყდა, რომ ქალის დაბმას აპირებდა. თუმცა, საქმეს ცუდი პირი არ უჩანდა: ქალი უცინოდა, სმენადქცეული, მოჯადოებული თვალებით შესცქეროდა და წარმოიდგინეთ, ერთხელ გულიანად გადაიკისკისა კიდევ. მდელოს შორეულ კიდეში, ქმარი საძმოს მომავალ წევრს უხსნიდა, საიდან მოვიდნენ როზენკრეიცერები 1530 წელს, ქვემო საქსონიაში. დროდადრო სამი წლის ვაჟი, წვინტილიანი ლანირაკი, ჩხავილით ითხოვდა სახლში წაყვანას. ერთი სიტყვით, ნამდვილი ცხოვრება თუ გინდა, ეს იყო. ბრუნოს გვერდით, ორი გაღეული ტიპი, გარეგნობით მღვდელმსახურები, ბრძნული იერით მექალთანე ქარიშის ოინებზე მსჯელობდა. "სისხლი უდულს... - თქვა ერთმა, - ჯიბეში ფული არ უჭყავის, ქალზე უშნოა და დაბალი. მაგრამ, ვნებიანი ნაბიჭვარია და ამით ქაჩავს". მეორე კუშტად თავს უქიციანებდა და თითებში კრიალოსანს ათამაშებდა. ბრუნო ფორთოხლის არყის ბოლო ჭიქას წრუპავდა, როცა დაინახა, როგორ ნააცუნცულა ქარიშმა როზენკრაიცელი ბუჩქებით შეფენილი ფერდობისკენ. ენას არ აჩერებდა, ერთი ხელი ქალს კისერზე შემოხვია, მეორეთი კი, ფერებ-ფერებით, ქვედაბოლოში უძვრებოდა. "ეგე, ბავყებიც ხომ გადაუშალა... ჩათლახი ნაცისტი..." - გაიფიქრა ბრუნომ და საცეკვაო მოედანს გაეცალა. სანამ სინათლიდან ბნელში გავიდოდა, ისევ იმ კათოლიკეს ჰკიდა თვალი: ვიღაც ახვარი, სათხილამურო სპორტის ინსტრუქტორს რომ ჩამოჰგავდა, ქალს დუნდულებს უსრესდა... ბრუნოს ისლა დარჩენოდა, კარავში დაბრუნებულიყო, სადაც ერთი ქილა რავიოლი ეგულებოდა.

თავდაპირველად, ავტომობასუხე შეამონმა, თუმცა არავისგან არაფერს ელოდა. არადა, ერთი შეტყობინება მაინც დახვდა: "ეტყობა არდადეგებზე ხარ, - გაისმა მიშელის მშვიდი ხმა, - დაბრუნებისას დამირეკე. მეც არდადეგებზე წავედი და კარგა ხნითაც".

4

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, საზღვართან მივიდა. მტაცებელი ფრინველების გუნდი ჰაერში ირეოდა, ეტყობა, იქვე ახლოს მძორი ეგულეობდათ. ოღროზოღრო გზაზე ფეხის კუნთები ზამბარასავით ეჭიმებოდა. გორაკებს მოყვითალო ბალახი მოდებოდა. აღმოსავლეთით თვალუნწვენელი სივრცე გადაჭიმულიყო. გუშინდელი დღიდან პირში ლუკმა არ ჩასვლია; აღარაფრის ეშინოდა.

აი, უკვე რამდენიმე წელია, მიშელი წმინდა ინტელექტუალურ ცხოვრებას ეწეოდა. ადამიანის ცხოვრების განმსაზღვრელ გრძნობებში არცთუ ისე კარგად ერკვეოდა და მათზე ფიქრით თავსაც არ იტკივებდა. ჩვენს დროში ადამიანს ძალუძს თვითვე მოანესრიგოს საკუთარი არსებობა და ზუსტად გათვალოს ყოველი ნაბიჯი. სუპერმარკეტების მოღარეები გულიანად უბრუნებდნენ სალამს. ათი წლის განმავლობაში ბევრი მეზობელი გამოიცვალა. ვიღაცა ვიღაცაზე ქორწინდებოდა და საცხოვრებლად სხვაგან გადადიოდა; მეგობრებს კიბეზე ბარგი-ბარხანა ჩაჰქონდათ და ხმამაღლა ხორხოცებდნენ. ისეც ხდებოდა, რომ ქორწინებას გაყრა მოყვებოდა და ხშირ შემთხვევაში (თუმც ყოველთვის არა), ყოფილი ცოლ-ქმარი ერთდროულად გადაწყვეტდა გადაბარგებას. ბინა თავისუფლდებოდა. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება? რით ავხსნათ ყველა ეს ქმედება? რთული კითხვებია...

მას კი ერთი სურვილი ამოძრავებდა, - ვინმეს ყვარებოდა; სხვას არაფერს ისეთს არ ითხოვდა. ცხოვრება არ უნდა გაირთულო, ფიქრობდა მიშელი, უბრალოდ პატარ-პატარა რიტუალებს

უნდა აყვე, რომელიც ხშირად მეორდება. რა თქმა უნდა, რიტუალი, თავისთავად, სისულელეა, მაგრამ ხომ შეიძლება სისულელეც იწამო?! შორს ჩვენგან შემთხვევითობა, შორს ჩვენგან ცხოვრებისეული დრამა! მაგრამ, ვაი, რომ ცხოვრება ჩვენს ნება-სურვილს არად დაგიდევს. ზოგჯერ სახლიდან გამოდიოდა, ახალგაზრდებს და შენობებს აკვირდებოდა. ერთი რამ აშკარა იყო: აღარაფერი იცოდა, როგორ ეცხოვრა. არა, სულ ასეც არ იყო: მავანი და მავანი მონქსრიგებულის და მიზანსწრაფულის ჩანდა და ეს მათ ცხოვრებას რალაც აზრს სძენდა. ასე მაგალითად, "Act Up"-ის ("გულმოდგინე ქმედება") მიმდევრები ისწრაფოდნენ, ტელევიზიისთვის საკუთარი რეკლამები, ანუ ფირზე მსხვილი პლანით გადაღებული პომოსექსუალური სცენები მოეხვიათ თავს, რომლებსაც ბევრი, წარმოიდგინეთ და, პორნოგრაფიად მიიჩნევდა. საერთოდ, ამ ადამიანების ლალი და მხიარული ცხოვრება სავესე იყო სხვადასხვა მოვლენით. სექსუალურ მენყვილებს ხშირად იცვლიდნენ და ნებისმიერ "backroom"-ში წერაობდნენ. ხანდახან პრეზერვატივი ჩამოუცურდებოდათ ან ზედვე ასკდებოდათ. ჰოდა, მაშინ შიდასი და მისი ჯანი! მაგრამ ასეთ სიკვდილს პენი და ღირსება პქონდა. ტელევიზიის პირველი არხი ხშირად იმეორებდა სამაგალითო ღირსების გაკვეთილებს. ყმანვილობისას, მიშელს სჯეროდა, რომ ტანჯვა კიდევ უფრო აკეთილშობილებდა ადამიანის არსებობას. ახლა, ისლა დარჩენოდა, რომ საკუთარი შეცდომა ეღიარებინა: ადამიანს მეტ ღირსებას მხოლოდ და მხოლოდ ტელევიზია შესძენს.

რა თქმა უნდა, მიშელს ტელევიზია წმინდა სიხარულს გვრიდა, მაგრამ ისიც კარგად ესმოდა, რომ სახლში გამოკეტვა არ ივარგებდა. სხვა თუ არაფერი, საყიდლებზე ხომ უნდა გასულიყო. მყარ საყრდენებს მოკლებული ადამიანი საგნებსა და მოვლენებში იფანტება, ლობე-ყორეს ედება და მისგან დიდს არაფერს აღარ უნდა ელოდე.

9 ივლისს დილით (წმინდა ამანდინის დღესასწაულზე) შეამჩნია, რომ ერთიანი ფასების მაღაზიის დახლებზე რვეულები, საქალაქდეები და კარტოთეკის ყუთები გამოყარეს. გაზეთები "ახალი სასწავლო წელი ზედმეტი თავის ტკივილის გარეშე" კამპანიის დაწყებას იუნყებოდნენ, თუმც მიშელი ხმაურიან რეკლამას დიდად

არ ენდობოდა. აბა, ერთი მიბრძანეთ, რა არის განათლება და ცოდნა, თუ არა გაუთავებელი თავის ტკივილი?!

მეორე დღეს, საფოსტო ყუთში, ფირმის "სამი შვეიცარიელი" შემოდგომა-ზამთრის კატალოგი აღმოაჩინა. მუყაოს კონვერტზე მისამართი არ ეწერა. იქნებ, ვინმე კარდაკარ მოსიარულე დამტარებელმა ჩაასრიალა ყუთში? მიშელი ბინაში მიმტანი იაფი მალაზიების ჩვეული მუშტარი იყო და ეს პატარა ყურადღება საპასუხო ერთგულების დასტურად ჩათვალა. ზაფხული იწურებოდა და კომერციულმა სტრატეგიამაც შემოდგომისკენ იბრუნა პირი. ვაჭრობა ვაჭრობად, ცა კი ისევ ისე ლურჯად კრიალებდა. ივლისი ის-ის იყო დადგა.

ახალგაზრდობაში მიშელს ბევრი რომანი წაუკითხავს აბსურდზე, ეგზისტენციალურ უიმედობაზე და ყოფიერების უძირო სიცარიელეზე, თუმცა ამ ექსტრემისტულმა ლიტერატურამ ბევრში ვერაფერში დაარწმუნა. იმ დროს ხშირად ხვდებოდა ბრუნოს, რომელსაც მწერლობა ოცნებად ექცა; ფურცელს ფურცელზე ჯღაბნიდა და ბევრს ანძრევდა. პირველად სწორედ ბრუნომ წააკითხა ბეკეტი, რომელიც, რომ იტყვიან, მართლაც დიდი მწერალი იყო. მაგრამ მიშელმა ვერც ერთი მისი წიგნი ბოლომდე ვერ ჩაათავა. 70-იანი წლები იწურებოდა; ოცი წლის მიშელი და ბრუნო თავს მოხუცებად გრძნობდნენ. ამიერიდან სულ ასე იქნება: წლების სიმძიმე მოქალებათ და სიბერე სულ უფრო მეტად სამარცხვინოდ მოეჩვენებათ. დრო იყო ასეთი; აქამდე გაუგონარი რამ ხდებოდა: თანდათანობით, სიკვდილის ტრაგიკულ განცდას, ზანტი ყოველდღიურობიდან მომდინარე, ყოვლისმომცველი სიბერის შიში სძლევდა. ბრუნო ოცი წლის შემდეგაც რეალურად ვერ აღიქვამდა სიკვდილს. ის კი არა, იმასაც ვერ იხსენებდა, უფიქრია თუ არა ოდესმე სიკვდილზე. ბოლო წუთამდე ინატრებს სიცოცხლეს, ბოლო წუთამდე გაძლებს, ბოლო წუთამდე არ შეეპუება პირადი ცხოვრების ჭირ-ვარამსა და სხეულის სიძაბუნეს. ბოლო წუთამდე შეევედრება გამჩენს სიცოცხლის მცირე ხნით მაინც გახანგრძლივებას, ცოტა ხნით კიდევ არსებობას და, რაც მთავარია, ბოლომდე არ მოიშლის ამქვეყნიური სიტკბოების ძიებას, მის წილ ტკბილ ლუკმას არვის დაუთმობს, ტყნაურის წუთები მარადისობასთან, აბა, რა მოსატანია, მაგრამ საქმეს კარგად

თუ მიუდგები, ამქვეყნად ამაზე ნეტარი არაფერია. "ჰოდა, - ფიქრობდა დღეს მიშელი და თან კატალოგში საცვლების რეკლამას ათვალიერებდა (ვნებისალმძვრელი წელის სარტყელი!), - ამ ქემ-მარიტებას ვერვინ უარყოფს".

მიშელს ონანიზმი არც იმდენად იზიდავდა. სექსუალური ფანტაზიები, რომელსაც ხშირად გაუნვალებია ახალგაზრდა მკვლევარი "მინიტელის" მენიუს ან სისხლხორციელი ქალიშვილების ხილვისას (ესენი, მეტნილად, ფარმაცევტული ლაბორატორიების კომერციული წარმომადგენლები იყვნენ), წლების განმავლობაში მიინავლა. ახლა იგი უვნებელი ნძრევით კმაყოფილდებოდა და ამაში "სამი შვეიცარიელის" კატალოგი, რომელიც ერთობ სასიამოვნო სანახავი იყო და 79-ფრანკიანი CD-ROM ემატებოდა, დიდ შემწეობას უწევდა. ბრუნო კი, მიშელმა ეს კარგად იცოდა, წლებს ისევე ფუქსავატი, მკერდსავსე, ტრაკაბაზეკილი და მაცდუნებელი ტუჩების მქონე ლოლიტების დევნაში ფლანგავდა. ღვთის წყალობით, ბრუნოს სახელმწიფო სამსახურში ედგა ფეხი. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ აბსურდულ სამყაროში უხდებოდა ცხოვრება; რაღაც მელოდრამატული გარემო უფრო იყო, რომლის მთელ სიმდიდრეს ჭიქა სასმელი, ძხვების ნაჭერი, ეროტიკული ხილვები და საეჭვო ტიპები შეადგენდა. ასეთი გახლდათ ბრუნოს სასიცოცხლო არე. მიშელი კი ზუსტად განსაზღვრულ, თუმც ისტორიულად მყიფე სივრცეში არსებობდა და მისი ცხოვრების წესს, მეტნილად, კომერციული ხასიათის რიტუალები განკარგავდა, - როლან-გაროს ტურნირი, შობა, ახალი წელი და, სამ თვეში ერთხელ, "სამი შვეიცარიელის" კატალოგი. ჰომოსექსუალისტი რომ ყოფილიყო, "მიდსითონში", ან Gay Pride-ში მიიღებდა მონაწილეობას. გარყვნილი რომ ყოფილიყო, ეროტიკული სალონითაც დაკმაყოფილდებოდა. სპორტი რომ ყვარებოდა, ახლა "ტურ დე ფრანსის" პირენეულ ეტაპს მიადევნებდა თვალს. მაგრამ მიშელი ერთი მოკრძალებული მომხმარებელი იყო: იტალიური ნაწარმის ორკვირეული გულს უხარებდა და მთელი დღეები მალაზიის დახლებს შორის დაყიალობდა. ყოველივე წესისა და რიგის მიხედვით იყო აწყობილი; ყოველივე ბედნიერებას მოასწავებდა და რაც არ უნდა ტვინი ეჭყლიტა, უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდა.

15 ივლისის დილას, მიშელმა შემოსასვლელის სანაგვე ყუთში რელიგიური შინაარსის პროსპექტი იპოვა, რომელიც, სხვადასხვა ადამიანის ცხოვრების მაგალითზე, ამტკიცებდა, რომ ნებისმიერი ამქვეყნიური არსებობა ერთსა და იმავე ბედნიერ დასასრულს, მკვდრებით აღმდგარ ქრისტესთან შეხვედრას უსწრაფვის. განსაკუთრებით, ერთი ახალგაზრდა ქალის ამბავმა მიიქცია მისი ყურადღება ("იზაბელი შიშმა შეიპყრო, რადგან კურსზე დარჩენა ემუქრებოდა"), თუმცა პავლეს შემთხვევა უფრო საცნაური ეჩვენა ("პავლესთვის, ჩეხოსლოვაკიის არმიის ოფიცრისთვის, ანტისარაკეტო დანადგარის მეთაურობა სამხედრო კარიერის აპოგეა გახლდათ"). ავტორის შენიშვნაც ზუსტად მოერგო: "სახელგანთქმული აკადემიის კურსდამთავრებული, ამჟამად გამოცდილი ტექნიკოსი, საკუთარი მდგომარეობით კმაყოფილი უნდა ყოფილიყო. ამის მიუხედავად, უბედობას უჩიოდა და გამუდმებით ცხოვრების აზრს ეძებდა".

"სამი შვეიცარიელის" კატალოგი თანამედროვე ევროპის სიძაბუნეს ისტორიის ფონზე განიხილავდა. პირველივე გვერდიდან ამკარად მინიშნებული, მომავალი ცივილიზაციის ძირფესვიანი სახეცვლა მეჩვიდმეტე გვერდზე უეჭველი ფორმულის სახეს იღებდა. მიშელი დიდხანს ატრიალებდა თავში ორ დასკვნით წინადადებას: "ოპტიმიზმი, სიკეთე, თანაგრძნობა და ჰარმონია სამყაროს წინსვლის საფუძველია. ხვალინდელი დღე ქალური იქნება".

ახალი ამბების სატელევიზიო გამოშვებაში ბრუნო მაზურმა მაყურებლებს ამცნო, რომ ამერიკულმა ზონდმა, მარსზე, ადრეული სიცოცხლის გაქვავებული კვალი აღმოაჩინა. საქმე ბაქტერიების ფორმებს, უფრო ზუსტად, მეთანურ არქეობაქტერიებს ეხებოდა. ამრიგად, დედამიწის ახლო პლანეტაზე ოდესღაც წარმოქმნილმა ბიოლოგიურმა მაკრომოლეკულებმა დასაბამი მისცეს თვითნარმოების უნარის მქონე, პრიმიტიული ბირთვისა და ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი მემბრანისაგან შედგენილ გაურკვეველ სტრუქტურებს. მოგვიანებით, ჰაეის ცვალებადობასთან დაკავშირებით, შემდგომი განვითარება შეფერხდა: კვლავწარმოება სულ უფრო გაძნელდა და მალე შეწყდა. მავანს მარსზე სიცოცხლის არსებობის ისტორია, ერთი შეხედვით, მარტივი და ადვილად გასაგები მოეჩვენებოდა. მაგრამ (ეტყობა, ამაზე ბრუნო მაზურსაც არ უფიქრია), მარცხით დამთავრებული მცდელობის ზანტად და

გულსგარეთ მოყოლილი ამბავი სრულიად ეწინააღმდეგებოდა რელიგიურ თუ მითოლოგიურ წარმოდგენებს, რომელიც აქამდე კაცობრიობის ყურთასმენას ესოდენ ელამუნებოდა. გამოდის, ერთადერთი, უზარმაზარი და ყოვლისშემომქმედი აქტი არც არასოდეს მომხდარა; არასოდეს არსებულა რჩეული ხალხი, რჩეული რასა ან რჩეული პლანეტა. სამყაროში აქა-იქ მხოლოდ წერილმანი, სუსტი და ნაკლებ სარწმუნო მცდელობები იყო. მერე კიდევ, ყოველივე გულისგამანვრილებლად მდორედ მიედინებოდა. მარსისა და დედამიწის ბაქტერიების ღწმ-ი ერთგვაროვანი აღმოჩნდა. ამ აღმოჩენით მოგვრილი მსუბუქი მწუხარება, მიშელისთვის, დეპრესიის მაუწყებელი იყო. წესით, ნორმალურ და საღად მოაზროვნე მკვლევარს ეს თანხვდომა სიხარულს მოგვრიდა და ზოგადი დასკვნების საშუალებას მისცემდა. თუკი ღწმ-ი ყველგან ერთნაირია, ამის საკმაო მიზეზებიც უნდა არსებობდეს და ისინი პეპტიდების მოლეკულურ სტრუქტურას ან თვითწარმოების ტიპოლოგიურ პირობებს უნდა უკავშირდებოდეს. ამ მიზეზების აღმოჩენა ადვილი შესაძლებელია. უფრო ახალგაზრდა რომ ვიყო, ამაზე კარგ სამუშაოს ვერც ვინატრებდიო, გაიფიქრა მიშელმა.

1982 წელს მიშელმა ორსვეს უნივერსიტეტში პირველი საფეხურის სამეცნიერო ხარისხი დაიცვა. სწორედ მაშინ შეხვდა დეპლესენს. მიშელს მონანილეობა უნდა მიეღო ალენ ასპეს შესანიშნავ ცდებში, რომელიც კალციუმის ერთი და იმავე ატომისგან ნაწარმოები ორი ფოტონის ერთურთისგან განუყოფელი ქცევის მოდულების კვლევას ისახავდა მიზნად. მიშელი ჯგუფში ყველაზე ახალგაზრდა იყო.

ასპეს ზედმინევენით დასაბუთებულ, მკაცრად განსაზღვრულ ცდებს სამეცნიერო წრეებში დიდი გამოხმაურება მოყოლოდა: საერთო აზრით, ეს, 1935 წელს, ეინშტეინის, პოდოლსკისა და როზენის მიერ კვანტური ფორმალიზმის მიმართ გამოთქმული შენიშვნების პირველი სრული უარყოფა იქნებოდა. ეინშტეინის ჰიპოთეზებზე დაფუძნებული ბელის უთანაბრობანი ხელის ერთი მოსმით გაცამტვერდა, ამასთან ერთად, ცდების შედეგები ზუსტად ემთხვეოდა კვანტური თეორიის წინასწარმეტყველებას. ამიერიდან, ორად-ორი ჰიპოთეზა რჩებოდა: პირველის მიხედვით, ნაწილა-

კების ქცევის განმსაზღვრელი ფარული თვისებები ლოკალიზაციას არ ექვემდებარებოდა, ანუ, ნებისმიერი მანძილით დაშორებული ორი ნაწილაკი ერთმანეთზე ზემოქმედებას არ წყვეტდა. მეორე კი, ელემენტარული ნაწილაკის შინაგანი მდგომარეობის განსაზღვრის შესაძლებლობიდან გამომდინარე, თვით ამ ცნების უარყოფას ითხოვდა; ამ შემთხვევაში მეცნიერი ღრმა ონტოლოგიური სიცარიელის წინაშე აღმოჩნდებოდა, თუკი, რა თქმა უნდა, რადიკალურ პოზიტივიზმამდე არ დაეშვებოდა და მოვლენათა ფიზიკურ ახსნას მათემატიკურს არ შეუნაცვლებდა. ბუნებრივია, მკვლევართა უმრავლესობა სწორედ ამ ჰიპოთეზისკენ იხრებოდა.

ასპეს ცდების პირველი ანგარიში "ეინშტეინ-პოდოლსკი-როზენის აზრობრივი ექსპერიმენტის ცდისმიერი დადასტურება: ბელის არაექვივალენტობის პრინციპის ახალი უარყოფა" "Physical Review"-ს ორმოცდამეორე ნომერში გამოქვეყნდა. წერილს ჯერუინსკიც აწერდა ხელს. რამდენიმე დღეში მას დეპლემენი ესტუმრა. ორმოცდასამი წლის მეცნიერი, რომელიც იმ ხანებში ჟიფ-სიურ-ივეტის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა, სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა იმაში, რომ გენის მუტაციის მექანიზმის კვლევისას რაღაც მთავარი ხელიდან უსხლტებოდათ და ეს რაღაც იმ ღრმა ფენომენებს უკავშირდებოდა, რომლებიც ატომის დონეზე იჩენდნენ თავს.

მათი პირველი საუბარი სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში შედგა. დეპლემენს არ გაკვირვებია მიშელის ოთახის მკაცრი სისადავე, სხვას არც ელოდა. საუბარს გვიან ღამემდე შეყვნენ. დეპლემენმა მიშელს შეახსენა, რომ საუკუნის დასაწყისში, სწორედ საბაზო ქიმიური ელემენტების დასრულებული სიის არსებობამ უბიძგა ნილს ბორს უფრო ღრმად ჩაძიებოდა საკითხს. გრავიტაციულ და ელექტრონულ ველებზე დაფუძნებული ატომის პლანეტური თეორია აშკარად ადასტურებდა ურიცხვი ქიმიური ნივთიერებების არსებობის შესაძლებლობას. მიღებული აზრით, სამყაროს საძირკველს მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული და მარად უცვლელი ასიოდე ელემენტი შეადგენს, რაც სავსებით ეწინააღმდეგება კლასიკური ელექტრომაგნეტიზმისა და მაქსველის თეორიებს და კვანტური მექანიკის შემდგომი განვითარებისკენ მოუწოდებს მეცნიერებს, - კიდევ ერთხელ შეახსენა დეპლემენმა. მისი

აზრით, არც ბიოლოგიას ადგა კარგი დღე: ცხოველურ და მცენარეულ სამყაროში იდენტური მაკრომოლეკულებისა და უჯრედოვანი სტრუქტურების არსებობა მხოლოდ კლასიკური ქიმიის კანონებით ვერ აიხსნებოდა. კვანტური თეორია ასე თუ ისე (მომავალი გვაჩვენებს, როგორ და რა გზით) უშუალოდ უნდა ჩაერიოს ბიოლოგიური ფენომენების მონესრიგების საქმეში. მეცნიერების წინაშე კვლევა-ძიებისა და ახალი აღმოჩენების უკიდვანო სივრცე იშლებაოდა.

იმ პირველ საღამოს, ახალგაზრდა თანამოსაუბრის ღრმა გონიერებითა და სიდინჯით გაოცებულმა დეპლემენმა მიშელი მომდევნო შაბათს სახლში, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუჩაზე მიიპატიჟა სადილად, რომლის დროს მიშელს კიდევ ერთ ბიოქიმიკოსთან, რნმ-ის ტრანსკრიფციაზე შრომების ავტორთან შეხვედრა ელოდა.

დეპლემენის ბინაში მისულმა მიშელმა თითქოს კინოფილმის დეკორაციებში ამოყო თავი: ღია ფერის ხის ავეჯი, ფერადი ფილებით დაგებული იატაკი, ავლანური ხალიჩები, მატისის რეპროდუქციები... აქამდე ასეთი ფუფუნებისა და დახვეწილი გემოვნების მქონე ადამიანების ცხოვრების ყაიდაზე მიშელს ბევრი სმენია, მაგრამ მსგავსი სიმდიდრე თვალთ არასოდეს უნახავს; დანარჩენი ადვილი წარმოსადგენი იყო: მამაპაპისეული სამფლობელო ბრეტანში და, ვინ იცის, იქნებ ერთი კომპნია სოფლური სახლი ლუბერონში. "ბარტოკის კვინტეტი და ეგეთი რაღაცები..." - ვაიფიქრა მიშელმა და პირველ კერძს ეძგერა. სუფრას შამპანური ამშვენებდა. ჩაროზად მორთმეულ მარწყვისა და ყოლოს "შარლოტს" ჩინებული ნახევრად მშრალი ვარდისფერი ღვინო მოყვა. დეპლემენმაც სწორედ ამ დროს გაანდო მიშელს საკუთარი გეგმა: მას შეუძლია მიშელს ხელშეკრულება დაუდოს და ჟიფში სამუშაოდ მიიწვიოს. მიშელმა კიდევ რაღაც-რაღაცებს უნდა ჩახედოს ბიოქიმიის სახელმძღვანელოში, მაგრამ ამ საქმეს ადვილად მოევლება და დიდი დროც არ დასჭირდება. ერთდროულად, დეპლემენი სადოქტორო ნაშრომის მომზადებაში შეეშველება. დაცვის შემდეგ მიშელი შტატში ჩაირიცხება და ჯგუფის სრულუფლებიანი წევრი გახდება.

მიშელმა ბუხრის თავზე შემოდებულ, მქადაგებელი ბუდას ნატიფ ქმერულ ქანდაკებას გახედა, ყელის ჩასანმენდად ჩაახველა და დეპლემენის წინადადებას დასთანხმდა.

რადიოაქტიური იზოტოპების მეშვეობით ხელსაწყოთმშენებლობაში მოპოვებულმა წარმატებებმა მეცნიერებს უამრავი ახალი მონაცემის დაგროვების საშუალება მისცა. მაგრამ, ჯერზინსკის აზრით, იმ პირველი შეხვედრის დროს დეპლეშენის მიერ წამოყენებულ თეორიულ საკითხებს ყოველივე ეს დიდად ვერაფრად წაადგა.

შუალამისას, მარსის ბაქტერიებმა ისევ შეახსენა თავი; ცნობისმოყვარეობამ სძლია და ინტერნეტში ამერიკული უნივერსიტეტის თხუთმეტიოდე შეტყობინება მოძებნა: ადენინი, გუანინი, ტიმინი და ციტოზინი ბაქტერიებში პროპორციულად იყო განაწილებული. საქმე მანც არაფერი ჰქონდა და ენ არბორის საიტში ჩაიხედა. ცნობა სიბერის პრობლემებს ეხებოდა. ალისია მარსია-კოელი გლუვი კუნთების ქსოვილებიდან ფიბროპლასტების განმეორებითი რეპლიკაციისას მაკოდირებელი სეგმენტების საგრძნობ შემცირებაზე ამახვილებდა მკითხველის ყურადღებას. დიდი სიახლეაო, ვერ იტყოდი. ალისიას კარგად იცნობდა; უფრო მეტიც, სწორედ ამ ქალმა დააკარგვინა უბინოება გენეტიკოსთა ბალტიმორის კონგრესზე, ღვინით უხვად გაჯერებული ერთ-ერთი წვეულების დროს; ისე გაიღემა, რომ მიშელს, რომელიც ლიფს ეძიძგილავებოდა, ხელიც ვერ შეაშველა. მძიმე, მართლაც რომ მტანჯველი წუთები იყო. ქმარს სულ ახლახან გავეყარეო, ამცნო ქალმა ლიფის ლილ-კილოებთან მებრძოლ მიშელს. მერე კი მოსახდენი მოხდა. მიშელი არც ელოდა, რომ ასო აუბრიქინდებოდა; ის კი არა და, მკვლევარ ქალს გაუთავა კიდეც, თუმც, არავითარი სიამოვნება არ განუცდია.

"ცვლილებათა მხარის" ბევრი დამსვენებელი, ბრუნოსავით, ორმოც წელს უკაკუნებდა. ბევრსაც, ვინც მასსავით საზოგადოებრივ სექტორში იყო დასაქმებული, ან განათლების სფეროში მოღვაწეობდა, სახელმწიფო მოხელის ხელფასით გაჰქონდა თავი და სიღარიბეს არ უჩიოდა. არსებითად ყველა *მემარცხენე* იყო და, უმეტესწილად, გაყრის შედეგად, სიმარტოვეში უხდებოდათ ცხოვრება. ერთი სიტყვით, ბრუნო მიხვდა, რომ გამონაკლისი არ იყო და რამდენიმე დღეში ჩვეულებრივზე კარგი განწყობა დაეუფლა. დილის საუზმისას ესოდენ აუტანელი მისტიკოსი ჩათლახები, აპერიტივის დრო რომ მოაღწევდა, მათზე უფრო ახალგაზრდა ქალებს ამოდ ექიშებოდნენ. სიკვდილის წინაშე ყველა თანასწორია. და აი, ოთხშაბათს, ნაშუადღევს, ბრუნომ ორმოცდაათი წლის ყოფილი ფემინისტი, "არც ისე უკარება" კატრინი გაიცნო. ხუჭუჭა, შავგვრემანი და ფერმიხდილი ქალი, ოცი წლის ასაკში გემრიელი ლუკმა იქნებოდა; ძუძუებს ახლაც წუნს ვერ დასდებდი, მაგრამ დუნდულებს ქონი ზედ ასკდებოდა. ბრუნომ ეს ჯერ კიდევ აუზთან შეამჩნია. კატრინს ეგვიპტურ სიმბოლიზმზე, ტაროს ბანქოზე და სხვა ასეთ რალაცებზე ჭკუა ეკეტებოდა. როდესაც ქალმა ღვთაება ანუბისზე ჩამოაგდო სიტყვა, ბრუნომ ტრუსის გახდა დაიწყო. გრძნობდა, რომ ერექციის ხარისხზე ქალი ვაი-უმელებს არ ატეხდა და, ვინ იცის, იქნებ დამეგობრებულებს კიდევ საუბედუროდ, ბრუნოს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა: ერექციას ვერა და ვერ ეღირსა. ქალს ბარძაყებზე ქონის ნაკეციები ედო და ფეხების გაშლა არც უფიქრია. ერთმანეთს ცივად დაპორდნენ.

იმავე საღამოს, ვახშმობის წინ, ბრუნოს ვილაც ტიპი, სახელად პიერ-ლუი, გამოელაპარაკა. მათემატიკას ვასწავლიო, უთხრა

ბრუნოს. ერთი შეხედვითაც მიხვდებოდით, რომ მასწავლებელი იყო. ბრუნომ იგი პირველად ორი დღის წინ, კრეატივისტული თეორიებისადმი მიძღვნილ სემინარზე ნახა. რომელიღაც მათემატიკურ თეორიაზე ლაქლაქებდა, ერთსა და იმავეს იმეორებდა და კომიკური აბსურდის შთაბეჭდილებას ახდენდა, თუმცა სასაცილო არაფერი იყო. დაფაზე რაღაცას გამალებით წერდა; დროდადრო ხელი უშეშდებოდა, დაძაბული ფიქრისგან ვეებერთელა მელოტ თავის ქალაზე ნაოჭები უჩნდებოდა და ვითომდა მსმენელების გასამხიარულებლად საზიზღრად იმანჭებოდა. ცოტას აყოვნებდა, მერე ისევ ჯღაბნას იწყებდა და ბურტყუნს აგრძელებდა. სიტყვა რომ დაასრულა, ერთი-ორმა, ისიც ზრდილობის გამო, ტაში დაუკრა. მომხსენებელმა დაიმორცხვა, სინითლე მოერია... ყველაფერი ამით დასრულდა.

მომდევნო დღეებში ბრუნო მასთან შეხვედრას ჭირივით გაუბოდა; ერთი-ორჯერ მოახერხა და საუბრისგან თავი დაიძვრინა. ტიპი ტილოს შლაპას არ იშორებდა; გამხდარს და კარგა მაღალს, ასე, მეტრი და ოთხმოცდაათისას, პატარა ღიპიც ედო და სახტუნაო კოშკურაზე შემდგარი მეტად სასაცილო სანახავი იყო. ორმოცდახუთი წლის იქნებოდა.

ბრუნომ იმ საღამოსაც იმარჯვა: იმ დროს, როდესაც ჭკუათხელი აყლაყუდა, სხვებთან ერთად, აფრიკულ რიტმებზე როკავდა, იქაურობას გაერიდა და სასადილოსკენ მიმავალ აღმართს შეუყვავა. ყოფილი ფემინისტი სიმბოლისტი დაქალის პირდაპირ იჯდა; ბრუნო ფემინისტის გვერდით, თავისუფალ სკამზე ჩამოჯდა და ის იყო კბილები რაგუში ჩაასო, რომ მაგიდებს შორის, ბილიკის ბოლოში, მაღალი სილუეტი დაღანდა. პიერ-ლუიმ ბრუნოს პირისპირ ცარიელ სკამს დაადგა თვალი და სახეზე ღიმილი გადაეფინა. სანამ ბრუნო გონს მოვიდოდა, პიერ-ლუიმ საუბარი გაუბა. ენას კარგა მაგრად უკიდებდა, გვერდით მჯდომი ის ორი ნაჩათლახარი კი ყურისწამლებად კაკანებდა. ოსირისის რეინკარნაცია რომ მოითავეს, ქალები ეგვიპტურ მარიონეტებზე ალაპარაკდნენ... მამაკაცებისკენ ერთხელაც არ გამოუხედავთ. ერთბაშად ბრუნომ იაზრა, რომ მის წინ მჯდომი ტაკიმასხარა მისი პროფესიული საქმიანობით დაინტერესდა. "დიდი არაფერი..." - ჩაიბურტყუნა ბრუნომ. ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდაც ეროვნული განათლების სა-

კითხვებზე არ ელაპარაკა. გრძნობდა, რომ ვახშამი ჩაუმწარდებოდა. წამოდგა და სიგარეტის მოსაწვად, გვერდზე მიდგა. საუბედუროდ, იმ ორმა ნაბოზარმაც სწორედ იმ დროს აითრიეს სქელი ტრაკები, ისე, რომ მამაკაცებს ერთი მზერაც არ აღირსეს. ეტყობა, მთელი ეს უბედურებაც აქედან დაიწყო.

ბრუნომ ათიოდე ნაბიჯი გადადგა, როდესაც უკნიდან ყურის-წამლები სტვენა, არა, სტვენა კი არა, არაადამიანური, გაბმული ნივლილი შემოესმა. ბრუნომ თავი იბრუნა: აჭარხალებულ პიერ-ლუის ხელები მუშტად შეეკრა. უცებ, ისე, რომ არც გამოქანებული, შეტყუებული ფეხებით მაგიდაზე შეხტა, სული მოიბრუნა და სტვენა შეწყვიტა. მერე მაგიდაზე აქეთ-იქით სიარულს მოყვა, თან თავში ხელებს იცემდა. მის ფეხებთან აცეკვებულ თეფშებსა და ჭიქებს ზრიალი გაუდიოდა. პიერ-ლუი წიხლებს იქნევდა და წყალ-წალბუღივით ღრიალებდა: "ვერ გაბედავთ!.. ასეთ მოქცევას ვერვინ გამიბედავს!" შოი, საოცრებავ, ენა სულ აღარ ებმოდა. ხუთმა კაცმა ძლივს დააშოშმინა. იმავე საღამოს ანგულემის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უკრეს თავი.

ლამის სამი საათი იქნებოდა, როდესაც ბრუნომ თვალები დააჭყიტა, წამოდგა და კარვიდან გამოვიდა. ოფლი ღვარად სდიოდა. ძილს მინებებულ კემპინგს ბადრი მთვარე დანათოდა. ლამის მდუმარებას ბაყაყების ყიყინი არღვევდა. ბრუნომ გადანყვიტა, საუზმეს ტბასთან დალოდებოდა. განთიადმა რომ მოაწია, ცოტა შესცივდა. სახელოსნოები მუშაობას ათი საათიდან იწყებდნენ. თერთმეტის თხუთმეტ წუთზე პირამიდისკენ აიღო გეზი. წერის სახელოსნოს კარებთან ფეხი აითრია, მერე კიბეს ქვედა სართულისკენ ჩაუყვა. ოციოდ წამში აკვარელის სახელოსნოს პროგრამას გახედავდა, მერე საფეხურებს ისევ მაღლა აუყვა. კიბის სწორ მოაჯირს, ალაგ-ალაგ, მოჩუქურთმებული სეგმენტები ყოფდა, მოსახვევში, სწორი და მოხრილი ფიცრების შეყრის ადგილას, სხვებზე ფართე საფეხური იყო გადებული. ბრუნო ჩამოჯდა და ზურგით კედელს მიეყრდნო. თავს გადასარევედ გრძნობდა.

ლიცეუმის წლების ყველაზე ბედნიერი წუთები სწორედ ასე გაატარა: ვაკვეთილის ზარი რომ დაირეკებოდა, კიბის ორ მოედანს შორის, საფეხურზე ჯდებოდა, ზურგით კედელს მიეყრდნობოდა

და თვალბმილული გაინაბებოდა. ვიდაც აუცილებლად გამოივლიდა. მაშინ, რაღა ჩარა იყო, წამოიზლაზნებოდა, ჩანთას ამოილლიავებდა და სწრაფი ნაბიჯით საკლასო ოთახისკენ გაუტევედა. უფრო ხშირად, დერეფანში კაცის ჭაჭანება არ იყო, ირგვლივ სინყნარე სუფევდა. აი, მაშინ კი, ნელ-ნელა, თითქოს ფეხაკრეფით, ქურდულად, ნაცრისფერი ქაშანურით განყობილი საფეხურებიდან (ისტორია გააცდინა, ფიზიკა ჯერ არ დაწყებულყო) მისი სული ნეტარების მწვერვალებისკენ მიილტვოდა.

დღეს, რა თქმა უნდა, ყველაფერი სხვაგვარადაა: ბრუნო საკუთარი ნებით ჩამოვიდა აქ და ბანაკის ფერხულში ჩაება. ზემო სართულზე, წერის ხელოვნების შემსწავლელი ჯგუფი; ზუსტად მის ქვემოთ, აკვარელის სახელოსნო; უფრო ქვემოთ, მასაჟის, ანუ ჰელიოტროპული სუნთქვის ოთახები; კიდევ უფრო ქვემოთ, აფრიკული ცეკვების მოყვარულები იკრიბებოდნენ. ადამიანები ცხოვრობდნენ, სუნთქავდნენ, სიამოვნებას ეძებდნენ და პირადი შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე ოცნებობდნენ. ყველა სართულზე, ადამიანები სოციალურ, სექსუალურ, პროფესიულ თუ კოსმიურ ინტეგრაციას ესწრაფოდნენ. მოარულ გამოთქმას თუ ვიხმართ, "საკუთარ თავზე მუშაობდნენ". ბრუნოს თვლენა მოერია; არაფერი სურდა, არაფერს ეძებდა, არაფერი აღევლებდა; სამყაროში განფენილი, არყოფნის ზღურბლზე მდგომი სული წმინდა ექსტაზს უხმობდა და სამყაროდან გასვლას ლამობდა. ცამეტი წლის ასაკიდან მოყოლებული, მსგავსი ბედნიერება არასოდეს უგრძნია.

ხომ ვერ მიმასწავლით, სად ყიდიან ტკბილეულს?

ბრუნო კარავში დაბრუნდა და სამი საათი იძინა. გაღვიძებულს კარგი გუნება-განწყობა აყვა, ასოც გაბრიქინებოდა. სექსუალური ფრუსტრაცია მამაკაცებში კაემანს ბადებს, რაც კუჭის ძლიერ სპაზმებს იწვევს. სპერმა საზარდულს აწვება და რვაფეხას საცეცებით მკერდს ებჯინება. მტკივნეულად გაბერილი მთავარი ორგანო ხურდება და სველდება. მთელი კვირაა, აღარ დაუნძრევია. ეტყობა, მიქარა. დასავლეთის უკანასკნელი მითის მიხედვით, სექსს არ უნდა გაუძალიანდე, გასაკეთებელი უნდა გააკეთო. მით უმეტეს, რომ სექსი არცთუ ისე რთული რამაა... ბრუნომ საბანაო

ტრუსები ჩაიცვა. ჩანთაში პრეზერვატივებს რომ დებდა, უნებურად, ხელის მოძრაობას დააკვირდა და ჩაიცინა: რამდენი წელია თან დაათრევს და ერთხელაც არ უხმარია. ბოზებს პრეზერვატივს რა გამოუღევს!

მეშერის პლაჟი შორტებიანი ახვრებით და სტრინგიანი ნაკლებით იყო გადაჭედილი. ამაზე იტყვიან, ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო; ოღონდ სურვილი იყოს და გემოზე გაიღალებ... ბრუნომ შემწვარი კარტოფილის ჩხირები იყიდა და დამსვენებელთა შორის მანამდე იყილა, სანამ ერთ ოციოდე წლის ქალიშვილს არ დაადგა თვალი. გოგოს მრგვალი, მკვრივი, დათქვირული ძუძუები და შოკოლადისფერი ძუძუსთავები ჰქონდა. "გამარჯობათ..." - თქვა ბრუნომ და გაყუჩდა. გოგოს სახე მოელრიცა. "გამარჯობათ... - გაიმეორა ბრუნომ, - ხომ ვერ მიმასწავლით, სად იყიდება ტკბილეული?" "რაო?" - გოგო წამოინია და იდაყვებს დაეყრდნო. ბრუნომ მხოლოდ ახლა დაინახა, რომ გოგოს ყურსასმენები ეკეთა, ზურგი იბრუნა და ხელების ქნევით, გეგონებოდა, პიტერ ფალკია ლეიტენანტ კოლომბოს როლშიო, ქალიშვილს გაეცალა... ჩიტი ბრდღენად არ ღირდა.

ზღვისკენ მიმავალს, იმ ქალიშვილის ძუძუები თვალწინ ედგა. უცებ, ტალღებიდან, ზედ მის ცხვირწინ, სამი გოგონა გამოვიდა. თოთხმეტზე მეტს ვერ მისცემდი... ქვიშაზე მათი პირსახოცი შეამჩნია და თავისიც იქვე, გვერდზე გაშალა. გოგონები ზედაც არ უყურებდნენ. მაისური ფაცაფუცით გაიხადა, თეძოებზე შემოიხვია, გვერდზე გადაბრუნდა და სირი დააძრო. გოგონებმა ლიფები ქვემოთ ჩააცურეს და მკერდი მზეს მიუფიცხეს. ბრუნომ ყლზე ხელის ნატანებაც ვერ მოასწრო, ისე გაასხა მაისურში, მერე ერთი ღრმად ამოიხვნეშა და გულაღმა ამოტრიალდა. მოსახდენი მოხდა.

პრიმიტიული რიტუალები აპერიტივის დროს

"ცვლილებათა მხარის" ყველაზე თბილი ნუთები აპერიტივის უკავშირდებოდა. ჩვეულებრივ, სმას მუსიკაც თან ახლდა. იმ საღამოს სამი ტიპი დოლს აბრახუნებდა, ორმოცდაათამდე დამსვენებელი ერთ ადგილს ტკეპნიდა და ხელებს აქეთ-იქით უაზროდ

იქნევდა. მოსავლის ადების რიტუალური ცეკვა იყო, რომელსაც აფრიკული ხელოვნების სახელოსნოში ასწავლიდნენ. რამდენიმე საათში ზოგიერთი მოცეკვავე ნამდვილ ან, ვინ იცის, მოჩვენებით ტრანსში შევიდა. პირდაპირი და მოძველებული გაგებით, ტრანსი გარდაუვალი ხიფათის განცდით გამოწვეული უკიდურესი ნუხილის გამოხატულებაა. "კიდევ ერთხელ მსგავსი ტრანსის გადატანას მიჯობს აქაურობას გავეცალო" (ემილ ზოლა). ბრუნომ კათოლიკე ქალი შარანტულ პინოზე მიიპატიჟა. "რა გქვია?" - ჰკითხა ქალს. "სოფი", - უპასუხა ქალმა. "არ ცეკვავ?" "არა, აფრიკული ცეკვები არც ისე მიზიდავს... ძალიან..." ძალიან რა? ბრუნო ხვდებოდა, რა აცბუნებდა ქალს. ძალიან პრიმიტიულია? რა თქმა უნდა, არა. ძალიან რიტმულია? ეს ცეკვა რასიზმს წააგავს. ამ სულელურ აფრიკულ ცეკვებზე ჭკვიანურს ვერაფერს იტყვი. სოფიც ამაოდ იტყვებდა ტვინს. ლამაზი სახე, შავი თმები, თეთრი კანი, ლურჯი თვალები და პანია, მაგრამ მგრძნობიარე ძუძუები... ბრეტანელი უნდა ყოფილიყო. "ბრეტანიდან ხარ?" - ჩაეძია ბრუნო. "ღიახ, სენ-ბრიოკიდან..." - სიხარულით ამცნო სოფიმ და თითქოს აფრიკული ცეკვების აუგად მოხსენიებისთვის ბოდიშს იხდისო, მყისვე დაამატა: "ბრაზილიურ ცეკვებზე ვგიჟდები..." ბრუნოს გაღიზიანებას მეტიც არ უნდოდა. ეს საძაგელი პრო-ბრაზილიური მანია ყელში ამოუვიდა. რატომ მაინცდამაინც ბრაზილია? ბრაზილიის შესახებ მხოლოდ ის იცოდა, რომ ერთი დაბრედილი, ფეხბურთზე და ავტორბოლაზე შერეკილი ხალხით დასახლებული ქვეყანა იყო, სადაც ძალადობა, კორუფცია და სიღარიბე ყვაოდა. ასეთი საზიზღარი ქვეყანა მეორე არ ეგულებოდა. "სოფი! - გზნებით ნამოიძახა ბრუნომ, - შემიძლია, არდადეგებზე ბრაზილიაში გავემგზავრო. ფაველებს მოვინახულებ. შეჯავშნული მინიავტობუსით ვიმგზავრებ. ძველბიჭობაზე მეოცნებე რვა წლის მკვლელებს შევხვდები; კიდევ, მცირენლოვან მეძავებს, შიდსით რომ იხოცებიან. შიშს არად დაგიდევ, ჯავშანი დამიცავს. ეს ყველაფერი დილით, საღამოს კი პლაჟზე, ფულით გატენილ ნარკოტიკებით მოვაჭრეებში ან სუტენიორებში გავერევი და ამ არეულ-დარეულ, აღვირახსნილ ცხოვრებაში დასავლეთ ევროპელის მელანქოლიას ჩავანშობ. მართალი ხარ, სოფი: რანამს სახლში დავბრუნდები, სამოგზაურო სააგენტოს მივაკითხავ."

სოფი ბრუნოს მიაცქერდა, შუბლი შექმუნხა, ჩაფიქრდა და სევდანარევი ხმით წარმოთქვა: "გეტყობა, ბევრი გიტანჯია..."

"სოფი, - კიდევ ერთხელ შესძახა ბრუნომ, - იცი რა დაწერა ნიცემე შექსპირზე? "რამდენი ტანჯვა უნდა გადაეტანა ამ კაცს, რომ ბოლოს მასხარას ნილაბი აეფარებინა!" შექსპირის ქება-დიდება მუდამ გაზვიადებული მეჩვენებოდა, მაგრამ მასხრობას რაც შეეხება, წუნს ვერ დასდებ." უცებ, ბრუნომ მართლაც იგრძნო ტკივილი და გაცოცებულმა სიტყვა განყვიტა. ქალი, ზოგჯერ, ისე დაგიტკებდა... უხეშობას გაგებით ეკიდება, ცინიზმს კი სინაზით პასუხობს. რომელი ერთი მამაკაცი მოიქცევა ასე? "სოფი, მინდა ფისუნა მოგწუნო..." - გრძნობით თქვა ბრუნომ. ქალს არაფერი გაუგონია, რადგან სწორედ იმ დროს თხილამურების მასწავლებლისკენ შებრუნდა, რომელიც ამ სამი დღის წინ დუნდულებს უსრესდა და საუბარი გაუბა. ბრუნო რამდენიმე წუთი პირდაღებული დარჩა, მერე მდელი გადაიარა და პარკინგისკენ წავიდა. ლეკლერკის ცენტრი საღამოს ათ საათამდე მუშაობდა. ბრუნო დახლებს შორის დაყალიბდა და არისტოტელეს იხსენებდა, რომლის აზრით, ტანდაბალ ქალს დანარჩენ კაცობრიობასთან საერთო არაფერი აქვს. "კაცი, გინდაც ჩია იყოს, მანაც კაცად მეჩვენება, - წერს ბერძენი ფილოსოფოსი, - ტანდაბალი ქალი კი სრულიად ახალი არსების ნაირსახეობაა". როგორ უნდა აიხსნას ეს უცნაური დებულება, რომელიც ესოდენ ენინააღმდეგება სტაგირიტისთვის* ((* სტაგირიტი.)) ჩვეულ საღ აზროვნებას? ბრუნომ ვისკი, ერთი ყუთი რავიოლი და ჯანჯაფილის ორცხობილა იყიდა. კარავში რომ ბრუნდებოდა, ღამე ჩამოწვა. უცებ, ჯაკუზიდან, ჩურჩული და მოგუდული ხითხითი შემოესმა. მაღაზიის ჩანთით ხელში შეჩერდა და ბუჩქები გადაწია. ორი თუ სამი წყვილი იქნებოდა... ერთბაშად სიჩუმე ჩამოწვა, მხოლოდ წყალი ბუყბუყებდა აქაფებულ აბაზანაში. ის იყო ღრუბლებიდან მთვარემ გამოანათა, რომ კიდევ ერთი წყვილი გამოჩნდა. ახალმოსულები წამსვე გაშიშვლდნენ და ჩურჩული და ფუსფუსი განახლდა. ბრუნომ ჩანთა მიწაზე დადო, სირი ამოიღო და ნძრევას მოყვა. ქალმა ცხელ წყალში ჩაყო ფეხი და ბრუნოც დაინრიტა... დღეს უკვე პარასკევია, ერთი კვირით კიდევ გაიგრძელებს დასვენებას; თავს მიხედავს, ვინმე გოგოს დაიადებს და სხვა მობანაკებებსაც დაუახლოვდება.

6

პარასკევ ღამეს ცუდად ეძინა, საშინელი სიზმრები ნახა. ვითომ მსუქანი, გაზულუქებული გოჭი იყო და წყლის ნაკადი, სხვა თანამოდმეებთან ერთად, ბნელ გვირაბში მიერეკებოდა. უზარმაზარი, მიხვეულ-მოხვეული გვირაბის კედლებს ჟანგი მოსდებოდა. ნაკადი არცთუ ისე ძლიერი იყო და დროდადრო ფეხებით მიწას წვდებოდა. მერე უფრო ძლიერი ტალღა დაარტყამდა და რამდენიმე ნაბიჯით უკან ჩაასრიალებდა. უფსკრულისკენ გატაცებული გოჭების მოთეთრო სხეულის მეტს ვერაფერს ხედავდა... გოჭები უხმოდ ფაფხურობდნენ სიბნელეში. სიჩუმეს რკინის კედლებზე ჩლიქების ხრჭიალი არღვევდა. რაც უფრო ქვემოთ ეშვებოდა, მით უფრო მკაფიოდ ესმოდა გვირაბის ბოლოს რაღაც მექანიზმების ხმაური. მალე მიხვდა, რომ მორევი ვეებერთელა, მჭრელკალაპოტებიანი ტურბინებისკენ მიაქანებდა.

ცოტაც და მისი მოკვეთილი თავი გვირაბის ხვრელთან, მდელოზე დაეცა. თავის ქალა, ზემოდან ქვემოთ, ორად ჰქონდა გაპოზილი, თუმცა, ბალახში ობლად მიგდებულ, უვნებლად დარჩენილ ნაწილს ჯერ კიდევ შერჩენოდა აზროვნების უნარი. იცოდა, რომ სადაცაა ჭიანჭველების ლაშქარი გაშიშვლებულ ტვინს შეესეოდა, ნეირონებს დაულრღნიდა და ცნობიერების უკანასკნელ ნაპერწკალს ჩაუქრობდა. იქამდე კი, ერთადერთი სალი თვალით ჰორიზონტს გასცქეროდა. ბალახოვან მდელოს ბოლო არ უჩანდა. პლატინისფერი ცის ქვეშ უზარმაზარი, დაკბილული ლაპოტები უკულმა ტრიალებდა. დროის დასასრულს მოვესწარიო, გაიფიქრა. ასე იყო თუ ისე, ნაცნობი სამყარო უკვალოდ გაქრა.

საუზმისას, სამოცდარვაწლიანელის* მსგავსი ბრეტონელი ტიპი გაიცნო, რომელიც აკვარელის სახელოსნოს განაგებდა. ივ ლე დანტეკი, "მხარის" ამჟამინდელი დირექტორის ძმა, ბანაკის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. ჭრელაჭრულა კურტაკში გამოწყობილი, ჭაღარაშერეული გრძელი წვერით და ურიცხვი მძივით, უხსოვარი დროის პიპის მოგაგონებდა. ორმოცდათხუთმეტს გადაცილებული, კარგა გვარიანად შელანძლული და დაბეჩავებული, ძველებურად ველარ ბოგინობდა და მშვიდად მიყვებოდა დღეთა დინებას. უთენია დგებოდა, გორაკებს შეუყვებოდა და გზადაგზა ჩიტების გალობით ტკებოდა. მერე, ხალხით გაჭედნილ დარბაზში, ფინჯან ყავას მიუჯდებოდა და სიგარეტს ახვევდა. სახელოსნო ათ საათზე იღებოდა, ასე რომ, ენის მოსაფხანად დრო თავზე საყრელად ჰქონდა.

"როგორც 'მხარის' ძველ ბინადარს... (ბრუნომ ჩაიხიბითხითა, აქ-აოდა, იმედი მაქვს, ერთმანეთს გავუგებთო), ბანაკის დაბადება კარგად უნდა გახსოვდეს... სამოცდაათიანი წლები... სექსუალური თავისუფლება..."

- თავისუფლება კი არა, ჩემი ფეხები... - ჩაიბურტყუნა პიპების წინაპარმა, - გოგოები ბაყვებს შლიან, ბიჭები ყვერებს ათამაშებენ. ასე იყო და ასე იქნება, ჩემო კარგო...

- მე კი მითხრეს, რომ შიდსმა ბევრი რამ შეცვალა...

- კაცებისთვის ყველაფერი უფრო ადვილი იყო, რაც მართალია მართალია, - თქვა აკვარელისტმა და ხმა ჩაინმინდა, - ზოგჯერ მისალმებასაც არ გაცლიდნენ, შეგეძლო პირდაპირ გეგლიჯა, ან პირში გადაუძახებდი ან ქვემოთ, ბაყვებსშუა... მერე ჯგუფური სექსის დრო დადგა; აქ უკვე შერჩევა ხდებოდა; წყვილადაც მოდიოდნენ. რამდენჯერ მინახავს ფეხებაფშეკილი, უკვე მითავებული ქალი, არის თავისთვის და მთელი საღამო თითებით საკუთარ ფისუნას ეთამაშება. ერთ კაცსაც არ მოუვა თავში, მივიდეს და მიატყნას, ცოტა მაინც ასიამოვნოს. არა... იჯექი და ანძრიე... ეგრე იყო...

- ერთი სიტყვით, - ფიქრიანად თქვა ბრუნომ, - სექსუალური კომუნიზმი კი არა, უბრალოდ, გარყვნის გაფართოებული სისტემა ყოფილა...

- ზუსტად მოარტყი... - დაეთანხმა ბებერი ჩათლახი, - გარყვნით კი ადრეც რყვნიდნენ... რალა გუშინ და რალა დღეს..."

* იგულისხმება პარიზის 1968 წლის მასიური გამოსვლების მონაწილეები.

მიუხედავად იმისა, რომ შაბათი იყო და ბანაკი ახალი ნაკადის მისაღებად ემზადებოდა, ბრუნოს ბევრის იმედი აღარ ჰქონდა; ამ-იტომ გადანყვიტა, ზედმეტი ფიქრით თავი არ აეტკივებინა, მო-დუნებულიყო და მოვლენებს დალოდებოდა, რაც იქნება, იქნება, ზუსტად როკ-ენ-როლივით; დღემ მშვიდად ჩაიარა, მართალი თუ გნებავთ, არც არაფერი მომხდარა. საღამოს თერთმეტ საათზე ჯაკუზის ჩაუარა. მობუყბუყე წყლის ოხშივარს ბადრი მთვარის შუქი ეღვრებოდა. ბრუნო ფეხაკრეფით მიუახლოვდა სამმეტრიან აუზს. მოპირდაპირე კედესთან წყვილი ერთმანეთს ეხვეოდა. ჩან-და, რომ ქალი ზემოდან აჯდა კაცს. "ვერვინ დამიშლის..." - ბრა-ზი მოერია ბრუნოს, თვალის დახამხამებაში გაშიშვლდა და ჯაკუ-ზიში ჩახტა. ღამის სიგრილის მიუხედავად, წყალი საამოდ თბილი ეჩვენა. აუზის თავზე, ფიჭვის გადახლართულ ტოტებში ვარსკვ-ლაკები ციმციმებდნენ. ბრუნომ მღელვარება დაიოკა. მოაღერსე წყვილს ყურიც არ გაუბარტყუნებია, ისევე თავისას მიყვებოდა. ამ-ხედრებული ქალი აქეთ-იქით ირწეოდა და კვნესოდა. სახე არ უჩ-ანდა. მალე მამაკაცი ახვნიშდა. ქალმა კიდევ უფრო გაუტია, გა-დაიზნიქა და მთვარემ, წამით, ძუძუები გაუნათა. სახეს შავი თმა უფარავდა. მერე მამაკაცს ხელები მოხვია და ჩაეკონა. კაცმა ერ-თი მაგრად ამოიხვნეშა, რალაც ნაიბურტყუნა და გაყუჩდა.

ორიოდ წუთი ასე დარჩნენ, მერე კაცი ადგა და აუზიდან ამო-ვიდა. სანამ ჩაიცვამდა, პრეზერვატივი მოიხსნა. ბრუნომ გაოცებ-ით შეამჩნია, რომ ქალი არ ინძრეოდა. კაცის ნაბიჯების ხმა მიყუ-ჩდა და სიჩუმემ დაისადგურა. ქალმა წყალში ფეხები გამართა. ბრუნომაც მიბაძა. ქალმა ფეხი ბარძაყზე დაადო და თითები თ ასოს ნაეთამაშა. მერე, წამიერად აქაფებულ წყალში, აუზის კიდ-ეს მოსცილდა და ბრუნოს მიუჩოჩდა. მთვარე ღრუბლებს ამოეფა-რა. გვერდიგვერდ ისხდნენ, მაგრამ ბრუნოს ქალის სახის ნაკვეთ-ბის გარჩევა მაინც უჭირდა. ქალმა ერთი ხელი თეძოზე დაადო, მეორე კი მხრებზე მოხვია. ბრუნო ქალს მიეყრდნო და სახე პატა-რა მკვრივ ძუძუებში ჩარგო; ხვევნა-აღერსს მინდობილმა, იგრძ-ნო, რომ ქალმა კიდეს მოაცილა და აუზის შუაში გაიყვანა, მერე კი ადგილზე ტრიალს მოყვა. ერთბაშად კისრის ძარღვები მოუდუ-ნდა, თავი კი დაუძძიმდა. სუსტ ხმაურს, წყლის ზედაპირზე ძლივს რომ ისმოდა, აუზის სიღრმეში ყრუ გუგუნი ენაცვლებოდა. ბრუნ-

ოს თავზემით ვარსკვლავები ნელა ტრიალებდნენ. ბრუნო სულ მთლად მოეშვა; წყლიდან აბრიქინებულმა სირმა ამოყვინთა. ბურანში მყოფი ბრუნო გრძნობდა, რომ ქალი ეალერსებოდა და ნელ-ნელა უნონადობის სასიამოვნო განცდა ეუფლებოდა. გრძელი თმები მუცელზე უღიტინებდა; ყლის თავზე ენის შეხება იგრძნო და ბედნიერებისგან მთელი სხეული აუთრთოლდა. ქალმა ფრთხილად და ნაზად შეკრა ტუჩები და ბრუნოს მთელი სიმდიდრე პირში მოიქცია. ბრუნომ თვალები მილულა და ნეტარების ჟრჟოლამ ტანში დაუარა. წყლის სიღრმიდან წამოსული ხმაური ახლა შვეებისმომგვრელი ეჩვენა. ტუჩები ყვერებამდე ჩავიდა და ბრუნომ ქალის ყელის მოძრაობა იგრძნო. აზვირთებული სიამოვნება ტალღებად ასკდებოდა, წყალქვეშა დინება აკვანივით არწევდა; უცებ, სხეულზე სიმხურვალე შემოენთო: ქალმა ყელის კედლები ნაზად მოუჭირა და ბრუნოს მთელმა ძალამ, ერთბაშად, ასოსკენ იხუვლა. ბრუნომ ღრიალით გაათავა... მსგავსი სიამოვნება არასოდეს ღირსებია.

საუბარი ტრაილერში

კრისტიანის ტრაილერი ბრუნოს კარვიდან ორმოცდაათი მეტრის დაშორებით იდგა. შესვლისას ქალმა სინათლე აანთო, "ბუშ-მილსის" ბოთლი გადმოიღო და ორი ჭიქა შეავსო. გამხდარი და ბრუნოზე დაბალი, ოდესღაც ძალიან ლამაზი უნდა ყოფილიყო. ერთ დროს ნატიფი სახის დამჭკნარ ნაკვთებზე ნითელი ძარღვები ამოპურცვოდა. მხოლოდ შავ, აბრეშუმივით რბილ თმას შერჩენოდა ძველი ბრწყინვალეობა. ლურჯი თვალები და სათნო, ცოტაოდენ სევდიანი გამოხედვა ჰქონდა. ორმოცი წლის იქნებოდა.

"ხანდახან წამომივლის და ყველას ვაძლევ, თუ ვინმეს შეყოფა უნდა, ოღონდ, მარტო პრეზერვატივით" - თქვა ქალმა.

ტუჩები ენით გაისველა და ერთი ყლუპი მოსვა. ბრუნო თვალს არ აცილებდა. ქალს მხოლოდ ნაცრისფერი მაისური ეცვა, წელს-ქვემოთ შიშველი იყო. ლამაზი მოხაზულობის "ვენერას ბორცვს" წუნს ვერ დადებდი; საუბედუროდ, დიდი ბაგეები ცოტათი ჩამოშვებოდა.

"სიამოვნებით გაგათავებინებდი", - თქვა ბრუნომ.

- ნუ ჩქარობ. ჭიქა დაცალე. შეგიძლია აქ დაიძინო, ადგილი ორთავეს გვეყოფა... - ქალმა ორადგილიანი სანოლისკენ გაიშვირა ხელი.

ცოტა ხნით ტრაილერის სადგომის ფასზე ილაპარაკეს. კრისტიანი ბანაკის პირობებს ვერ იგუებდა, რადგან ზურგი ტკიოდა. "თანაც მაგრად", - თქვა და დაამატა: "მამაკაცებს რომ ჰკითხო, მინე-

ტი ურჩევნიათ. უბრალო სექსი ყელში ამოუვიდათ, ხახუნი არ მოსწონთ. პირში აიღებ თუ არა, ბავშვივით გახალისდებიან. გამხელა უჭირთ, მაგრამ, ეტყობა, ფემინიზმმა ბევრს გაუფუჭა გუნება".

"ფემინიზმზე უარესიც არსებობს..." - ჩაიბურტყუნა ბრუნომ, ნახევარი ჭიქა მოსვა და გააგრძელა: "მხარეში" დიდი ხანია ჩამოდიხარ?" "არსებითად, გახსნიდანვე. გათხოვების შემდეგ აღარ ჩამოვსულვარ, ახლა კი, ყოველ წელს, ორ-სამ კვირას მაინც აქ ვატარებ. დასაწყისში, ამ ადგილს, ალტერნატიული უფრო ეთქმოდა, მეტწილად ახალი მემარცხენეების თავშესაფარი იყო. ახლა New Age-ის თაყვანისმცემლები ქარბობენ. ისე, დიდი არაფერი შეცვლილა. სამოცდაათიან წლებში ადამიანებს აღმოსავლური მისტიკა იტაცებდა, იმ დროიდან ჯაკუზი და მასაჟი შემორჩა. სასიამოვნო, თუმცა ოდნავ მოსაწყენი ადგილია. ძალადობა გაცილებით იშვიათია, ვინემ გარეთ. ქალებს კუდში დასდევენ, მაგრამ რელიგიურ ატმოსფეროს მაინც თავისი გააქვს, თუმცა, ზოგიერთი ქალი მართლაც საშინელ დღეშია. მარტოხელა მამაკაცს კიდეც რა უშავს, აი, ქალის სიმარტოვე კი სულ სხვაა. კაცები მთხლე ღვინოს ეტანებიან, იძინებენ და პირი უყართ. მერე იღვიძებენ და თავიდან იწყებენ. სიკვდილიც არ იგვიანებს. ქალები დამანყნარებელ ნამლებს სვამენ, იოგას მისდევენ, ფსიქოლოგებთან დადიან, ღრმა სიბერეს მიატანენ და იტანჯებიან. მახინჯი და დამჭკნარი სხეულით ვაჭრობენ; მათი უბედურების თავი და თავიც ეს არის, მაგრამ არა და არ ეშვებიან, უსიყვარულოდ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენიათ; სიკვდილამდე ამ ილუზიის ტყვეობაში რჩებიან. სიყვარულის რა მოგახსენო, მაგრამ სექსი ნებისმიერ ასაკში შეიძლება... მამაკაცები ასეთები არიან; ვერაფერს გაანყობ".

"კრისტიან, - ჩუმად თქვა ბრუნომ, - ხომ არ აზვიადებ?.. აი, მაგალითად, ახლა, ერთი სული მაქვს, გასიამოვნო..."

"მჯერა. გულკეთილი კაცი ჩანხარ. ეგოისტი და კეთილი".

მაისური გადაიძრო, სანოლზე გადაწვა, ბალიში დუნდულების ქვეშ ამოიძო და ბაყეები გადაშალა. ბრუნო კარგა ხანს ლოკავდა ქალის საზარდულს, მერე ენის სწრაფ-სწრაფი მოძრაობით კლიტორი გაუღიზიანა. კრისტიანი მძიმედ ქშინავდა. "თითი შეყავი..." ბრუნომ თხოვნა შეუსრულა, მერე თავი მიაბრუნა და საზარდულის ლოკვა გააგრძელა; ძუძუებს უსრესდა და გრძნობდა, როგორ

უმკვრივდებოდა ქალს ძუძუსთავეები. ბრუნომ თავი წამოსწია. "გა-
აგრძელე... გევედრები", - წაიჩურჩულა კრისტიანმა. ბრუნო მოხე-
რხებულად მოუნყო და საჩვენებელი თითით კლიტორს წაეთამაშა.
პატარა ბაგეები მყისვე დაიბერა. გაღალატებული ბრუნო ზედ დაე-
კონა და ლოკვას მოყვა. კრისტიანმა წამოიკვილა. ერთი წამით
ბრუნოს დედის გამომშრალი, დანაოჭებული საშო დაუდგა თვალ-
წინ, მერე მოგონება გაქრა და ბრუნომ თავისი გააგრძელა: კლი-
ტორის ალერსს მოუჩქარა და ბაგეებს ენა ძალუმად გაუსვ-გამო-
უსვა. ქალმა ხვნეშას უმატა, მუცელი წითლად დაუფორეჯდა.
სულ მთლად სველი იყო; ოფლს მარილის სასიამოვნო გემო დაჰკ-
რავდა. ბრუნომ წამით შეისვენა, მერე ერთი თითი უკანალში შეუ-
ყო, მეორე საშოში და მოუსვენარი ენის წვერით კლიტორი აულო-
კა. ქალს ცახცახმა დაუარა, წამიც და მშვიდად გაათავა. ბრუნოს
განძრევის თავი არ ჰქონდა, სახე სველ საშოზე დაადო, ხელები
წინ გაიწვინა და ქალის თითების შეხება იგრძნო. "გმადლობთ", -
თქვა ქალმა, მერე წამოდგა, მაისური გადაიცვა და ჭიქები შეავსო.

"მაგარი იყო... აი, სულ ახლახან, ჯაკუზოში... - თქვა ბრუნომ, -
სიტყვაც არ დაგვიძრავს. მხოლოდ შენ პირს ვგრძნობდი, სახეს
ვერ ვარჩევდი... იმდენად წმინდა რამ იყო, რომ ცდუნებას ვერ
დაარქმევ".

"ყველაფერი კრაუზეს კორპუსკულებს უკავშირდება... მაპატიე,
ბუნებისმეტყველების მასწავლებლისგან სხვას რას უნდა მოელო-
დე!" - ჩაიცინა კრისტიანმა და ღვინო მოსვა. "კლიტორსა და ას-
ოს თავზე ნერვული დაბოლოებებით სავსე კრაუზეს კორპუსკუ-
ლებია განფენილი. ერთი შეხება და გათავისუფლებული ენდორ-
ფინები ტვინში ამოინთხევა. ამრიგად, მამაკაცის ასო და ქალის
კლიტორი ერთნაირადაა დატენილი კრაუზეს კორპუსკულებით.
ამაში ორთავე თანასწორნი არიან. მაგრამ არის სხვა რაღაც, შენც
კარგად მოგეხსენება... ქმარი ძალიან მიყვარდა. რა გზნებით ვე-
ფერებოდი და ვულოკავდი ასოს! ვგიჟდებოდი, როდესაც ვგრძნო-
ბდი, როგორ შემოდებოდა ჩემში. მის ერექციაზე ხომ სული მელე-
ოდა. მისი გაბრიქინებული ასოს სურათს, ხატივით, მუდამ თან
ვატარებდი. თავს ვევლებოდი, ველოლიავებოდი, მისთვის სიამოვნ-
ების მინიჭება განუზომელ სიხარულს მგვრიდა. ერთ მშვენიერ
დღეს მიმატოვა და ვიღაც კახპას აეკიდა. აი, ახლაც ვიგრძენი,

რომ ჩემს ფისუნაზე არც შენ გაგიუებულხარ. ასეა, ბებრუხანას ნახვრეტს ვინ დახარბდება! ასაკთან ერთად, მიტოვების დროს წარმოშობილი ელასტინის ფრაგმენტაციის გამო კუნთი მოქნილობას და სიმკვრივეს კარგავს. აბა, ერთი, ოცი წლის რომ ვიყავი, მაშინ გენახა, იცი, რა ლამაზი იყო?! დღეს მეც კარგად ვხედავ, რომ დიდი და პატარა ბაგეები ერთიანად მომეფლაშა."

ბრუნომ უხმოდ დაცალა ჭიქა. ან კი რა უნდა ეთქვა? ცოტა ხანში სანოლზე წამოწვნიენ. ბრუნომ წელზე მოხვია ხელი. ასე ჩაიძინეს.

პირველად ბრუნომ გაიღვიძა. მალლა, ტოტებში ჩიტი მღეროდა. კრისტიანს საბანი გადაეძრო და ლამაზად მოყვანილი, მრგვალი, ვნებისაღმძვრელი დუნდულები გაეშიშვლებინა. ბრუნოს "პატარა სირინოზის" ერთი ფრაზა ამოუტივტივდა მეხსიერებაში. ფირფიტის მეორე მხარეს ძმები ჟაკების "მეზღვაურთა სიმღერა" იყო ჩანერილი. სირინოზს უამრავი განსაცდელი დაატყდა თავს. ბოლოს და ბოლოს, სიმღერაც, სამშობლოც და სირინოზის კუდიც ერთად მოიძულა. სხვა რა ექნა: პრინცი შეუყვარდა და ჩვეულებრივ ქალად გახდომა ენადა. ერთხელ, შუალამისას, ქარიშხალმა ქვიშიან ნაპირზე გამოორიყა. სწორედ მაშინ იგემა ჯადოქრის სამსალა: თითქოს ორად გაიპო, გაუსაძლისმა ტკივილმა გონი წაართვა. ამას ერთმანეთისგან განსხვავებული მუსიკალური აკორდები მოყვება და მსმენელს ახალი ხელი ეხსნება. მეურე კი, მომღერალი სწორედ იმ ფრაზას წარმოთქვამს, რომელმაც, პირველი მოსმენისას, გააოცა ბრუნო: "როდესაც სირინოზმა გაიღვიძა, მზე ანათებდა, პრინცი კი თავით ედგა".

ბრუნოს კრისტიანთან წინა დღის საუბარი გაახსენდა. ისიც გაიფიქრა, იქნებ, ბოლოს და ბოლოს, მისი ჩამოშვებული, მაგრამ ნაზი ბაგეებიც შევიყვაროო. ისე, როგორც ნებისმიერ მამაკაცს სჩვევია ყოველ დილით, მასაც გაბრიქინებოდა სირი. განთიადის ნათელ-ბნელში, ხშირ, ანწილ თმაში გახვეული კრისტიანის სახე კიდევ უფრო ფერმკრთალი ჩანდა. ის იყო შეყო, რომ ქალმაც თვალეზი გაახილა, ერთი გაცეცხა, გაიოცა, მაგრამ მერე მორჩილად გადაუხსნა ფეხები. ბრუნო ტანის რხევას მოყვა, მაგრამ სწრაფად იაზრა, რომ ქალი მოდუნდა. ბრუნომ ერთდროულად სევდა, წუხილი და სირცხვილი იგრძნო. "პრეზერვატივით ხომ არ გირჩევენია?"

ლი საცხის" ხმარების წესს ეცნობოდა. მუყაოს შესაფუთის მოკლე რეკლამა მხოლოდ ნანარმის სიახლეს წარმოაჩენდა, უფრო სიტყვა-უხვი თანმხლები ინსტრუქცია სამმაგ ეფექტზე ამახვილებდა ყურადღებას: მზის მავნე გამოსხივების ფილტრაცია, მთელი დღის განმავლობაში სხეულისთვის სიგრილის შენარჩუნება და თავისუფალი რადიკალების მოსპობა. შუა კითხვაში იყო, როდესაც კატრინი, ეგვიპტური ტაროთი გატაცებული ექს-ფემინისტი წამოადგა თავს. პიროვნული განვითარების სახელოსნოდან მოვდივარო, გაენდო ბრუნოს. "ცეკვა-ცეკვით აკეთეთ თქვენი საქმე" - ასე ეწოდებოდა სენასს, რომლის დროს თითოეულ მონაწილეს, სიმბოლური თამაშების წყალობით, საკუთარი მოწოდებისთვის უნდა მიეგნო. თამაში მონაწილეთა "შინაგანი გმირის" წარმოჩენას უწყობდა ხელს. პირველი დღის ბოლოს კატრინმა აღმოაჩინა, რომ ერთდროულად, ჯადოქარიც ყოფილა და ლომიც და ახლა ისღა რჩებოდა, მთელი ძალისხმევა ვაჭრობის სფეროში პასუხსაგები თანამდებობის ძიებისკენ მიემართა.

"ჰმმმ..." - ჩაიბურღლუნა ბრუნომ.

ამ დროს კრისტიანიც დაბრუნდა; წელზე პირსახოცი ჰქონდა შემოხვეული. კატრინს სიტყვა ყელში გაეჩხირა; აშკარად გაღიზიანებულმა, წამსვე ძენის მედიტაცია და არგენტინული ტანგო მოიმიზეზა და იქაურობას გაეცალა.

"აქამდე ტანტრისა და ბულალტერიის მოყვარული მეგონე..." - კარებთან მისულს, მიაძახა კრისტიანმა.

"შენ რა, იცნობ?!"

"ამ ჩერჩეტს ოცი წელია ვიცნობ. ჩემი არ იყოს, "მხარის" დაარსების დღიდან აქ არის".

თმა შეარხია და თავზე პირსახოცი დოლბანდევით შემოიკრა. ოთახიდან ერთად გამოვიდნენ. უცებ, ბრუნოს მოუნდა ქალისთვის ხელი ჩაეკიდა. ასეც მოიქცა.

"ფემინისტებს ვერასოდეს ვიტანდი... - გააგრძელა კრისტიანმა, როდესაც აღმართი თითქმის აათავეს, - ეს უტვირთები სულ ჭურჭლის რეცხვასა და ოჯახური საქმეების გადანაწილებაზე ლაქლაქებენ. ტვინში მხოლოდ ჭურჭელი უტრიალებთ. სამზარეულოსა და მტვერსასარუტზე იშვიათად თუ გადმოისვრიან ორიოდ სიტყვას, ჭუჭყიანი ჭურჭელი კი მუდამ ენაზე ადგათ. იმდენს ახერხებენ, რომ რამდენიმე წელიწადში, ახლობელ მამაკაცებს უძლურ, მობუზლუნე

ნევროტიკებად აქცევენ, მერე, სულ ცოტა ხანში, როგორც წესი, ნა-
ლდი მამაკაცის ნოსტალგია უჩნდებათ, თავიანთ არშეყვებს პირში ჩა-
ლაგამოვლებულებს ტოვებენ და პირველსავე დამპალ ლათინოამე-
რიკელ მაჩოს ქვეშ გაეგებიან. დღესაც ვერ გამიგია, რითი იზიდა-
ვენ ინტელექტუალურ ქალებს ყველა ჯურის ნაძირალები, ხეპრეები
და ბრიყვები. ერთი სიტყვით, ორს თუ სამს დაიადებენ, შეიძლება
მეტსაც, თუკი სექსზე ჭკუა ეკეთებათ, მერე ბავშვებს დაყრიან და
"მარი-კლერის" რეცეპტების მიხედვით მურაბების მზადებას იწყებ-
ენ. ამის მეტი რა მინახავს..."

- მუდამ ასე იყო, - შემრიგებლური ტონით შენიშნა ბრუნომ.

ნაშუადღევი აუზის პირას გაატარეს. აუზის მეორე მხარეს გო-
გონები ანცობდნენ, ადგილზე ხტოდნენ და ერთმანეთს ფლეიერებს
ხელიდან სტაცებდნენ. "ლამაზები არიან; განსაკუთრებით კი, აი, ის,
პატარა მკერდი რომ აქვს... - თქვა კრისტიანმა და პირსახოცზე ნა-
მოწვა, - საცხი წამისვი..."

კრისტიანი არც ერთ სახელოსნოს არ წყალობდა. უფრო მეტიც,
ყოველივე, რაც მათ საქმიანობას უკავშირდებოდა, წმინდა წყლის
სიგიჟედ მიაჩნდა და, ამიტომაც, ეზიზღებოდა. "შეიძლება მეტისმე-
ტად მკაცრი ვარ, - ამბობდა კრისტიანი, - მაგრამ ორმოც წელს გა-
დაბიჯებული სამოცდარვიანელთა თაობის ქალებისა არაფერი მეს-
ნავლება, თვითონაც ერთი იმათგანი ვარ. სიმარტოვეში ლაფავენ
სულს და საშოც აღარაფრად უვარგათ. ხუთი წუთი გაესაუბრე და
მიხვდები, რომ ჩაკრას ზღაპრებისა არაფერი სჯერათ, ხოლო კრი-
სტალები და ელვარე ვიბრაციები სულაც ფეხებზე კიდათ. ძალიან
უნდათ, გულით იწამონ, ორ საათს, ჰა და ჰა, კიდეც ძლებენ, ანგე-
ლოზის ხმა ესმით და მუცელში შინაგანი ვარდის გაფურჩქვნას ელ-
იან. მერე სახელოსნოდან გამოდიან და, როდესაც აღმოაჩენენ, რომ
არაფერი შეცვლილა, და ისევ ის ბებრუხანა მახინჯები არიან, ცრე-
მლად იღვრებიან. ნუთუ არ შეგიმჩნევია? აქ ცრემლს რა გამოლ-
ევს, განსაკუთრებით, ძენის გაკვეთილების შემდეგ?! ჩვენში დარჩ-
ეს და სხვა გამოსავალი არცა აქვთ; უფულობაც თავისას შვრება:
რაც რამ ებადათ, ფსიქოანალიზის სეანსებს მიახარჯეს. ამან ხომ
სულ მთლად ხელი მოუთავა საწყლებს. მანტრა და ტარო სიაბან-
დობაა, მაგრამ, რა შედარებაა, ფსიქოანალიტიკოსები გაცილებით
მეტი უჯდებათ.

- სტომატოლოგებიც... - ჩაილაპარაკა ბრუნომ, თავი მუხლებზე დაადო და იგრძნო, სადაცაა რული მოეკიდებოდა.

ლამე რომ ჩამონვა, ჯაკუზისკენ გაემართნენ. იქნებ თავი შეიკავო და აბაზანაში არ გამანვალოო, სთხოვა ბრუნომ. უკან დაბრუნებულები, კარგა მაგრად გამოძნენ სექსით. "არ გინდა..." - თქვა კრისტიანმა, როდესაც ბრუნომ პრეზერვატივისკენ გაიწვინა ხელი. სხეულში შეაღწია თუ არა, წამსვე იგრძნო, რაოდენი შვება მოგვარა ქალს. ხორციელი სიყვარულის ერთი დიდი თვისება სწორედ ასეთი სიახლოვის განცდაა, მით უმეტეს, თუ მას ორმხრივი, მცირედი მაინც, ლტოლვა ახლავს თან. პირველი წუთიდანვე "თქვენ" "შენ"-ით იცვლება და პარტნიორ ქალს, რომელიც აგერ ახლა გაიცანი, ისეთი საიდუმლოს განდობის ღირსად თვლი, ძველ ნაცნობს არაფრის დიდებით რომ არ გაუმხელდი. ჰოდა, იმ ღამით, ბრუნო ისეთ რალაცებს მოუყვა კრისტიანს, რაც აქამდე არავისთან დასცდენია, თვით მიშელთანაც კი, ფსიქიატრზე რომ არაფერი ვთქვათ. ჯერ ბავშვობაზე, ბებიას სიკვდილზე და ინტერნატში გადატანილ დამცირებაზე ილაპარაკა, სიყმანვილეც გაიხსენა და ისიც, როგორ ანძრევდა მატარებელში, გოგონების თვალწინ; მერე მამისეულ სახლში გატარებულ არდადეგებზე მოუყვა. კრისტიანი უსმენდა და თან თმაზე ეფერებოდა.

მთელი კვირა ერთად გაატარეს და ბრუნოს გამგზავრების წინა დღით სენ-ჟორჟ-დე-დიდონის ზღვის ნობათის რესტორანში ივახშმეს. მშვიდი, თბილი ამინდი იდგა; სანთლების ალს, რომელიც მაგიდას შუქს ფენდა, მცირე სიოც არ არხევდა. ჟირონდის შესართავს გადაჰყურებდნენ; შორეთში გრავის კონცხი მოჩანდა. "მთვარის ნათელს რომ ვუყურებ, უჩრევლო სიცხადით ვხვდები, რომ ამქვეყნად არაფერი გვესაქმება", - თქვა ბრუნომ.

- გამგზავრებას მართლა აპირებ?

- ჰო, რამდენიმე დღეს შვილთან გავატარებ. წინა კვირას უნდა ნავსულიყავი, მეტს ვეღარ გადავდებ. დედამისი ზედ მიფრინავს, შვებულებისთვის ყველაფერი წინასწარ გათვალა.

- რამდენი წლისაა?

- თორმეტი.

კრისტიანმა ყლოუბი მოსვა და ჩაფიქრდა. გრძელი კაბა ეცვა; მაკიაჟი ახალგაზრდულ იერს სძენდა. მაქმანების ხვეულები მკერდს უჩენდა და სანთლის შუქზე თვალები უბრწყინავდა. "მგონი, ცოტა-

თი შემეყვარდი..." - თქვა მან. ბრუნო სუნთქვაშეკრული ელოდებოდა სიტყვის გაგრძელებას. "ნუაიონში ვცხოვრობ; სანამ ცამეტის შესრულდებოდა, მე და ჩემი შვილი ერთმანეთს კარგად ვეგუებოდით. შეიძლება მამა აკლდა, ვერ გეტყვი... ნუთუ ბავშვებს მართლა სჭირდებათ მამა? აი, მამამისს რომ სრულიად არ სჭირდებოდა, ამაში დარწმუნებული ვარ. ადრე კინოში ან "მაკდონალდსში" მაინც დაჰყავდა, მაგრამ დიდხანს ვერ ძლებდა და სახლში ადრიანად აბრუნებდა. მერე და მერე სტუმრობას უკლო, ხოლო როცა ახალ ნაშასთან ერთად სამხრეთში დასახლდა, ფეხი ერთხელაც არ მოუდგამს. ბავშვი სიმარტოვეში აღვზარდე, იქნებ სიმკაცრე დავაკელი... ორი წლის წინ სახლიდან გასვლა იწყო, საეჭვო ტიპებს დაუძმაკაცდა... ეს ბევრს აოცებს, მაგრამ ნუაიონზე, მშვიდი ქალაქიაო, ვერ იტყვი. ზანგებს და არაბებს ხომ თვლა არა აქვთ, ბოლო არჩევნებზე კი ეროვნულმა ფრონტმა 40% დააგროვა. ჩვენი სახლი გარეუბანშია; ჯერ საფოსტო ყუთის კარი ჩამომიგლიჯეს, მერე სარდაფს შემოეჩვივნენ, ვერაფერს შეინახავ... ხანდახან შიში მზარავს... ქუჩებში ისვრიან და სახლში რომ ვბრუნდები, კარებს ვამაგრებ, საღამოს კი გარეთ ცხვირს ვერ ვყოფ... მინიტელით ვერთობი, ეს არის და ეს. ბიჭი გვიან ბრუნდება, ზოგჯერ, დილამდე გარეთ რჩება... საყვედურს როგორ შევბედავ, მეშინია, არ მიმტყუპოს"...

- პარიზიდან შორს ცხოვრობ?

ქალმა გაიღიმა. "არა, უაზის დეპარტამენტში, პარიზიდან, ჰა და ჰა, ოთხმოცი კილომეტრია..." გაჩუმდა და ისევ გაიღიმა. თვალებში სინაზისა და იმედის სხივი ჩაუდგა. "სიცოცხლე მიყვარდა, დიახ, მიყვარდა; მგრძნობიარე და ალერსიანი ხასიათი მაქვს. მამაკაცებთან ურთიერთობა მუდამ სიამოვნებას მგვრიდა, სიყვარულზე უარი არასოდეს მითქვამს. მერე რალაც მოიშალა... ახლაც არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ცხოვრება ამერია..."

ბრუნოს კარვის დაკეცვა მოესწრო და ახლა ბარგს მანქანაში ალაგებდა. უკანასკნელი ღამე ტრაილერში გაატარა. დილით ქალს გადააწვა, მაგრამ ამჯერად ვერ ივარგა. ამან გაანაწყენა და გააღიზიანა. "ტანზე გაათავე" - შესთავაზა ქალმა. სპერმა ძუძუებზე და სახეზე მოისვა. "შემომიარე" - გასძახა ზღურბლთან მისულ ბრუნოს. ბრუნომ თავი დაუქნია. 1 აგვისტო იყო, შაბათი.

ჩვეულების საწინააღმდეგოდ, ბრუნომ მოკლეზე სიარული ირჩია და პარტენესთან შეჩერდა. უნდა დაფიქრებულიყო, რალაც უნდა აენონ-დაენონა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა რა... წყნარი და მოსაწყენი ადგილი იყო, იქვე გამავალ არხში წყალი არ იძვროდა. წყალმცენარეებზეც ზუსტად ვერ იტყოდი, იზრდებოდნენ თუ, პირიქით, ფეხვებიანად ლპებოდნენ. სიჩუმეს მწერების მოგუდული გნიასი არღვევდა. ბრუნო ბალახზე წამონვა და სახეზე სიოს ლამუნი იგრძნო. არხის წყალი სამხრეთისკენ მიიზღაზნებოდა; ბაყაყებიც უგზო-უკვლოდ გადაკარგულიყვნენ.

1975 წლის ოქტომბერში, უნივერსიტეტში შესვლამდე, ბრუნო მამის მიერ ნაყიდ ერთოთახიან ბინაში შესახლდა. ახალ ცხოვრებას დავიწყებო, ფიქრობდა, მაგრამ იმედი უმალვე გაუცრუვდა. გოგოები თავზესაყრელად იყვნენ, ვერც აუხვიდოდი, უმეტესწილად, ფილოლოგები, მაგრამ, როგორც ჩანს, ან ყველას თავ-თავისი პატრონი ჰყავდა, ან, მაინცდამაინც, ბრუნოს არ წყალობდნენ. ბრუნო, იქნებ ვინმე დავაბაო, ყველა ლექციას ესწრებოდა, დამატებით მეცადინეობასაც არ აცდენდა და სულ მალე ბეჯითი სტუდენტის სახელი დაიგდო. გოგონებს მხოლოდ კაფეში ხედავდა: ენას ატარტალებდნენ, გადი-გამოდიოდნენ და მეგობარ ბიჭებს სალამოს სათუხთუხოდ ეპატიჟებოდნენ. ბრუნო თეფშს აშტერდებოდა და უგემურად ილუკმებოდა. მალე სასადილო ადგილად სენ-მიშელის ბულვარი შეიგულა; გეი-ლუსაკის ქუჩის კუთხეში ჰოტ-დოგით იწყებდა, მერე, ცოტა ქვემოთ, პიცაზე ან ბერძნულ სენდვიჩზე გადადიოდა. "მაკდონალდსში", სენ-ჟერმენის ბულვარის გადაკვეთაზე, რამდენიმე ჩისბურგერს ხელს მოუთავებდა, თან კო-

კა-კოლას ან ბანანის კოქტიელს აყოლებდა. მერე, ფეხარეული, ლა არპის ქუჩას გაუყვებოდა და ტუნისურ საშაქარლამოში ტკბილელულს მიირთმევდა. უკანა გზაზე, კინოთეატრ "ლატენტან" შეყვონდებოდა, რომელიც მაყურებელს, ერთმანეთის მიყოლებით, ორ პორნოფილმს სთავაზობდა. ბრუნო ფეხს ითრევდა, ვითომდა ტროლეიბუსების განრიგს ათვალეიერებდა, სინამდვილეში კი ამჟამად ელოდებოდა ფილმის სანახავად მოსულ წყვილს ან მარტოხელა ქალს. ბოლოს და ბოლოს, დარბაზში შედიოდა. სავარძელში მიყუჩებული მშვიდდებოდა, თავს ახლა გაცილებით უკეთ გრძნობდა. დარბაზის მეთვალყურე ქალი, მეტისმეტად თავაზიანი და მოკრძალებული, არაფერს იმჩნევდა. კაცები რამდენიმე სკამის დაცილებით, შორიშორ სხდებოდნენ, ეკრანს მიაშტერდებოდნენ, "გარყვნილი მოწყალების დები"-ს, "ავტოსტოპით მოგზაურ ქალს ტრუსები არ აცვია"-ს, "მასწავლებელი ქალი ბაყვებს შლის" ან "ნუნნიების" სცენებს თვალს ადევნებდნენ და მშვიდად ანძრევდნენ. ბრუნოს ყველაზე მეტად კინოთეატრიდან გამოსვლა ეძნელებოდა, დარბაზიდან პირდაპირ სენ-მიშელის ბულვარზე უნდა გამოედგა ფეხი და სავარაუდო იყო, შემთხვევით, რომელიმე თანაკურსელ გოგონას პირისპირ შეეკროდა. ამიტომ, კარებთან, ვინმე ტიპს აეტმასნებოდა და დარბაზიდან გამოიძურნებოდა. პორნოფილმებზე ძმაკაცებთან ერთად სიარული ნაკლებად სამარცხვინოდ ეჩვენებოდა. ჩვეულებრივ, სახლში შუალამისას ბრუნდებოდა და შატობრიანს ან რუსოს ჩაუჯდებოდა.

კვირაში ერთხელ ან ორჯერ, ბრუნო გადანყვეტილებას იღებდა, ძირფესვიანად შეეცვალა საკუთარი ცხოვრება და ამისთვის ასეთ ხერხს მიმართავდა: თავდაპირველად, დედიშობილა სარკესთან დგებოდა და, თვითდამცირების უკიდურეს ზღვართან მისული, გამობერილი მუცლის, ფლაშუნა ლოყებისა და მობოშებული დუნდულების ხილვით ბოლომდე ტკბებოდა. მერე სინათლეს აქრობდა, ფეხებს მიატყუებდა, ხელებს მკერდზე დაიკრეფდა და მეტი თვითჩაღრმავებისთვის, თავს მხრებში რგავდა. ჰაერს ნელა და ღრმად ისუნთქავდა, რათა ისედაც ამაზრზენი მუცელი კიდევ უფრო გამობეროდა. მერე ამოისუნთქავდა და გონებაში თვლას იწყებდა. ყოველი რიცხვი მნიშვნელოვანი იყო, ამიტომ ყურადღება ნუთითაც არ უნდა მოედუნებინა. განსაკუთრებით სამ რიცხვს წყალობ-

და: ოთხს, რვას და, რა თქმა უნდა, უკანასკნელს, თექვსმეტს. აი, ახლა თექვსმეტამდე დაითვლის, წელში გაიმართება, ერთს მაგრად ამოიხვნეშებს და სულ სხვა კაცი იქნება, სწორედ ისეთი, ახალ ცხოვრებას რომ სჭირდება და რომელიც ყოფიერების ორომტრიალს აღარასდროს შეუშინდება! ძირს სილაჩრე და სირცხვილი! მთავარია ზომიერად კვება და გოგონებთან სწორი ურთიერთობის დამყარება. "ეს დღე ახალი ცხოვრების პირველი დღეა".

ეს პატარა რიტუალი მის სიმორცხვეს ვერაფერს შველოდა, სამაგიეროდ, სასიკეთოდ მოქმედებდა ღორმუცელობაზე და ზოგჯერ, ორი დღე მარხულობდა. მეტს ველარ ძღვებდა, მაგრამ მარცხს უყურადღებობას აბრალებდა და სჯეროდა, რომ საბოლოოდ თავისას გაიტანდა. ჯერ ხომ კიდევ ახალგაზრდაა, ასე რომ, წინ მთელი ცხოვრებაა!

ერთ საღამოს, "სამხრეთ ტუნისული სამაქარლამოდან" გამოსული, ანიკს შეეჩება. ქალი, რომელიც 1974 წლის ზაფხულის ხანმოკლე შეხვედრის შემდეგ არ უნახავს, ახლა უფრო მახინჯი და სქელი ეჩვენა. ოთხკუთხა შავჩარჩოიანი სათვალე თვალებს უპატარავებდა და სახის ავადმყოფურ სითეთრეს აშკარად აჩენდა. ყავა შესვეს, თუმცა უხერხულობა ვერა და ვერ გაფანტეს. ქალიშვილიც სორბონში, ფილოლოგიურზე სწავლობდა და იქვე, სენ-მიშელის ბულვარზე ცხოვრობდა. წასვლისას, ტელეფონის ნომერი დაუტოვა.

მომდევნო კვირას ბრუნომ რამდენჯერმე მიაკითხა. ანიკს საკუთარი სხეულის რცხვენოდა და ცოცხალი თავით ტანსაცმელს არ იხდიდა. პირველივე საღამოს მინეტი შესთავაზა. ფიზიკურ ნაკლზე არაფერი უთქვამს, აბებს არ ვიღებო, მოიმიზეზა. "გეფიცები, ასე მიჩვენია..." გარეთ გასვლას ერიდებოდა, მთელ საღამოებს სახლში ატარებდა. ნაყენს საკუთარი ხელით იმზადებდა და შეძლებისდაგვარად, დიეტასაც იცავდა, მაგრამ არაფერი შველოდა. ბრუნომ ერთი-ორჯერ შარვლის გახდა მოუნდომა. ქალიშვილი იკუნტებოდა და პირგამეხებული, მედგრად უძალიანდებოდა. ბოლოს და ბოლოს, ბრუნო ნებდებოდა და ასოს აძრობდა. ანიკი სწრაფად, ცოტა უხეშად ნუნნიდა და პირში ათავებინებდა. ზოგჯერ, არცთუ ისე ხშირად, სწავლაზე ლაპარაკობდნენ. ჩვეულებრივ, ბრუნო დიდხანს არ ყოვნდებოდა. არც გაემტყუნებოდა: ქალი ის-

ეთი მაიმახი იყო, რომ ძნელად წარმოედგინა მასთან ერთად ქუჩაში გავლა; რესტორანსა და კინოთეატრზე ფიქრი ხომ ზედმეტი იყო! ტუნისური ტკბილეულით მუცელს ამოიყორავდა, ლამის რწყევამდე მისული, ანიკთან აირბენდა, ერთს პირში გადაუგდებდა და უკანმოუხედავად ითვისებოდა. ვინ იცის, იქნებ ასე სჯობდა.

ანიკის გარდაცვალების დღეს თბილი ამინდი იდგა. მარტი ჯერ კიდევ მარტობდა, მაგრამ იფიქრებდი, გაგანია გაზაფხულიაო. ჩვეულ საშაქარლამოში ბრუნომ ნუშის მოგრძო ნამცხვარი იყიდა და სენის სანაპიროს ჩაუყვა. სასეირნო კატარლის გემბანიდან ყურისნამღები მუსიკა იღვრებოდა, ღვთისმშობლის ტაძრის კედლებს ეხლებოდა და, ექოდ ასხლეტილი, ჰაერს აზანზარებდა. ბრუნომ განებილი თავლის ნამცხვარი შესანსლა და, ვინ იცის, მერამდენედ, საკუთარი თავი შეზიზღდა. "იქნებ, აქვე, პარიზის შუაგულში, ყველას დასანახად მეცადა, - გაიფიქრა მან, - საძრახისი არაფერია". თვალები დახუჭა, ქუსლები შეატყუბა, გულხელი დაიკრიფა, ყურადღება დაძაბა და წელა იწყო თვლა. მაგიური თექვსმეტი რომ ასხენა, თვალები გაახილა და წელი გამართა. სასეირნო კატარლა არსად ჩანდა, სანაპიროზეც არვინ ქაჭანებდა. კვლავინდებურად თბილოდა.

ანიკის სახლთან შეჯგუფებულ მცირერიცხოვან ბრბოს ორი პოლიციელი აკაევებდა. ბრუნო მიუახლოვდა. ქალიშვილის უცნაურად დაგრეხილი სხეული მიწაზე ეგდო. დამსხვრეული მკლავები საცეცებივით შემოხვეოდა თავს, სახის ნარჩენს სისხლი ფარავდა. ეტყობა, ვარდნისას, თავდაცვის ინსტინქტით, ხელები თავზე შემოიძო. "მეშვიდედან გადმოხტა; წამსვე გათავდა..." - უცნაური კმაყოფილებით თქვა ვიღაც ქალმა ბრუნოს გვერდით. ამასობაში სასწრაფო დახმარების მანქანაც მოვიდა. ორმა კაცმა საკაცე გადმოიტანა. სხეული რომ ასნიეს, ბრუნომ ორად გაპობილ კეფას მოჰკრა თვალი და თავი იბრუნა. მანქანა წივილით მოწყდა ადგილს... ასე დასრულდა ბრუნოს პირველი სიყვარული.

1976-ში ბრუნოს ოცი წელი შეუსრულდა. ის ზაფხული, ამჟამინდელი გადასახედიდან, ყველაზე საშინელი აღმოჩნდა მის ცხოვრებაში. აუტანელი ხვატი იდგა. ლამის სივრილე ნეტარ მოგონებ-

ად იქცა. ამ მხრივ, იმ წელიწადს, შეიძლება, ისტორიული ენოდოს. მოკლე, გამჭვირვალე კაბები გაოფლილ გოგოებს ტანზე ეკეროდა. მთელი დღე ქუჩებში მოხეტიალე, ვნებისგან გააღმასებულ ბრუნოს თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა. ღამით სახლიდან გამოდიოდა, ქალაქში უმისამართოდ დაყიალობდა, კაფეების ტერასებთან ნაბიჯს ანელებდა და დისკოთეკების კარებთან ნაბულზე დგებოდა. ცეკვა არ იცოდა. ასო მუდამ გაბრიქინებული ჰქონდა. ასე ეგონა, ფეხებს შორის ჭიებისგან დახრული, ჩირქიანი ხორცის ნაგლეჯისგან სითხე წვეთ-წვეთად სდიოდა. რამდენჯერაც სცადა ქუჩაში გოგონებს გამოლაპარაკებოდა, იმდენჯერ გაბითურდა. ღამით სარკეში იხედებოდა, ოფლისგან თავის ქალაზე მიწებებული თმა შუბლსზემით შესამჩნევად შეთხელებოდა. პერანგი ღიპის ნაკეცებს ვერ უფარავდა. სექს-შოპებსა და პიპ-შოუზე სიარულს მოუხშირა, მაგრამ საკუთარ ტანჯვა-წამებას ამითაც ვერ უწამლა. სწორედ მაშინ, პირველად მიაკითხა მეძავეებს.

"1974-1975 წლებში, დასავლურ საზოგადოებაში ფარული, მაგრამ ძირფესვიანი გარდატეხა მოხდა", - დაასკვნა ისევ ისე არხის ზემოთ, ბალახიან ფერდობზე წამოწოლილმა ბრუნომ. თავქვეშ დაგორგლილი კურტაკი ჰქონდა ამოდებული. ერთი ბლუჯა ბალახი მოგლიჯა და ღეროების სველი სიმქისე იგრძნო. იმ წლებში, როდესაც ბრუნო საკუთარი ცხოვრების ახლებურად აწყობას ღამობდა, დასავლეთის ქვეყნები ბნელეთისკენ მიმავალ გზას დაადგნენ. 1976 წლის იმ ზაფხულს ცხადი გახდა, რომ ამას კეთილი ბოლო არ ეწერა. დასავლურ სამყაროში, სექსუალურ სწრაფვას, ინდივიდუალობის უკიდურესი გამოხატულება, ფიზიკური ძალადობა შეენაცვლა.

ჯულიანი და ოლდოსი

"როდესაც აუცილებელი ხდება ქვაკუთხედი დოქტრინის შეცვლა ან განახლება, დასაღუპად განწირული თაობები, რომელთა წიაღშიც უნდა განხორციელდეს ეს სახეცვლა, მას მყისვე გაუუცხოვდებიან, ან მტრად მოეკიდებიან."

ოგიუსტ კონტი

"მოწოდება კონსერვატორებისადმი"

შუადღისკენ, ბრუნო მანქანაში ჩაჯდა, პარტენეს ცენტრი გადაკვეთა და, ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ, მოკლე გზებს ისევ ავტოსტრადა ამჯობინა. ტელეფონის ჯიხურიდან ძმას დაურეკა და ისიც მყისვე გამოეპასუხა. პარიზში ვბრუნდები, კარგი იქნება, თუკი ამ საღამოსვე გნახავ, ხვალ ველარ მოვიცლი, შვილი მელოდებაო. დიახ, სწორედ ამ საღამოს... აუცილებლად... მიშელს აღფრთოვანება არ გამოუხატავს; დიდი ხნის დუმილის შემდეგ, როგორც იქნა, აღირსა: "თუ შენსას არ იშლი..." ადამიანთა უმრავლესობის მსგავსად, მასაც სძაგდა საზოგადოების აშკარა სწრაფვა სოციალური გათიშულობისაკენ, რომელსაც ზედმინევებით კარგად აღწერენ სოციოლოგები და სხვადასხვა ჯურის კომენტატორები. ადამიანთა უმრავლესობის მსგავსად, მასაც აუცილებლად ეჩვენებოდა, თუნდაც მსუბუქი მონყენილობის ფასად, გარკვეული ოჯახური კავშირ-ურთიერთობების შენარჩუნება, ამიტომაც, თავს აიძულებდა, ყოველი აღდგომა დეიდა მარი-ტერეზთან გაეტარებინა, რომელიც სიბერის მოახლოებისას, სანდომიან და

თითქმის ყოველ ქმართან ერთად, ნანსიში განმარტოვდა. ბიძამისი კომუნისტებს აძლევდა ხმას და შუალამის წირვა ფეხებზე ეკიდა, რაც გამუდმებული ოჯახური აყალმაყალის საბაზი ხდებოდა. მოხუცი მშრომელთა ემანსიპაციაზე ახურებდა. მიშელი სასმელს წრუპავდა, ცალი ყურით უსმენდა და დროდადრო რაღაც გაცვეთილ შენიშენას ჩაურთავდა. მერე სხვებიც მოდიოდნენ, მათ შორის ბიძაშვილი ბრიჟიტიც. მიშელს ბრიჟიტი უყვარდა და გულით სურდა, ბედნიერი ყოფილიყო, რაც მისი ქლიავი ქმრის ხელში შეუძლებლად ეჩვენებოდა. კაცი ბაიერის ფირმაში მორიგე ექიმად მუშაობდა და ცოლს ნამდაუნუმ ღალატობდა. სილამაზე არ აკლდა, ბევრს მოძრაობდა და ქალს თუ გადაეყრებოდა, შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა. ბრიჟიტს კი, რაც დრო გადიოდა, სახეზე ნაოჭები ემატებოდა.

1990 წელს მიშელმა ჩვეულებას უღალატა. ახლა მხოლოდ ბრუნო შემორჩა. ოჯახური ურთიერთობები რამდენიმე წელი გრძელდება, ზოგჯერ ათეულობით წელიც; ერთი სიტყვით, ყველა სხვა ურთიერთობაზე გამძლე და ხანგრძლივია, თუმცა, მარადიული არსებობა არც მათ უწერია.

ბრუნო ცხრა საათზე მოვიდა, ნასვამი იყო და ენა ექავებოდა: თეორიულ საკითხებზე კამათს აპირებდა. "მე მუდამ მაოცებდა ოლდოს ჰაქსლის "საუცხოო ახალ სამყაროში" წინასწარმეტყველებათა სიზუსტე, - სკამზე არც დამჯდარა, ისე დაიწყო ბრუნომ, - მით უმეტეს, თუკი იცი, რომ ნიგნი 1932 წელს დაიწერა. იქიდან მოყოლებული, სამყარო ცდილობს, როგორმე ჰაქსლის მოდელს მოერგოს. შობადობის სულ უფრო მკაცრი და ზუსტი კონტროლი იქამდე მიგვიყვანს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ის სრულიად ჩამოშორდება სექსუალობას, ადამიანის მოდემის კვლავწარმოება კი, გენეტიკური დაცვისა და სრული უსაფრთხოების პირობებში, სამეცნიერო ლაბორატორიებში გადაინაცვლებს. ოჯახური კავშირები, დედამამიშვილობა და ნათესაობა, თანდათანობით, დავიწყებას მიეცემა, ფარმაკოლოგიის პროგრესი ასაკობრივ განსხვავებასაც ბოლოს მოუღებს. ჰაქსლის სამყაროში სამოცი წლის კაცს ოცი წლის ყმანვილის გარეგნობა, ქცევა და სურვილები მოსდგამს. ბოლოს, როცა სიბერე მაინც დაგჯაბნის, საკუთარი სურვილით და

ევთანასიის დახმარებით, მშვიდად განუტევებ სულს. ისე ჩუმად და სწრაფად გაიპარები, კაციშვილი ვერაფერს გაიგებს. წიგნის "საუცხოო ახალი სამყაროს" პერსონაჟები ტრაგედიებს გარიდებულ, მძაფრი გრძნობებისგან დაცლილ, უსასრულოდ ბედნიერ საზოგადოებაში ცხოვრობენ - ტოტალური სექსუალური თავისუფლება, უკიდევანო ნეტარება და განცხრომა. რა თქმა უნდა, დეპრესია, სევდა და ეჭვები იქაც მოგწვდება, მაგრამ წამლებით ყველაფერს მოეწლება; სხვაგვარად, ქიმიის პროგრესი რისი მაქნისია?! "წამალი ათი გზობა, ესეც შენი ჯანმრთელობა!" ჩვენც სწორედ ასეთ სამყაროში ცხოვრებას ვნატრობთ და ვესწრაფვით".

"ვიცი, რომ ჰაქსლის სამყაროს, ხშირად, ტოტალიტარულ კომმარად სახავენ, ცდილობენ, წიგნი გესლიან მხილებად წარმოადგინონ, - განაგრძო ბრუნომ და ხელი ისე აიქნია, იფიქრებდით, მიშელის შენიშვნას იშორებდით, თუმცა მიშელს კრინტიც არ დაუძრავს, - წმინდა წყლის ფარისეველობაა! ნებისმიერი კუთხით დანახული, - გენეტიკური კონტროლი, სექსუალური თავისუფლება, სიბერესთან ბრძოლა, გართობათა ცივილიზაცია, - ჰაქსლის "საუცხოო ახალი სამყარო" ჩვენთვის სწორედ ის სამოთხეა, რომლის კარის შეღებას ამოდ ვცდილობთ. დღეს, თანასწორობის პრინციპზე აგებული ღირებულებების სისტემის მიღმა მხოლოდ საზოგადოების კასტებად დაყოფა რჩება, რომლებიც, თავ-თავიანთი გენეტიკური ბუნებიდან გამომდინარე, ამა თუ იმ საქმიანობას მისდევენ. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ჰაქსლის წინასწარმეტყველებამ ვერ ივარგა, თუმცა რობოტიზაციისა და მექანიზაციის განვითარების წყალობით ეს სხვაობაც მალე გაქრება. ცხადია, ოლდოს ჰაქსლი დიდი ვერაფერი მწერალია: გაურანდავი წინადადებები, მოუხეშავი გამოთქმები, უსახური და ყალბი პერსონაჟები... მაგრამ ინტუიტიური განხილვის უნარს ვერ წაართმევ! განა მან არ იწინასწარმეტყველა, რომ ადამიანური საზოგადოების ბედს, წარსულშიც და ახლაც, მეცნიერული და ტექნოლოგიური ევოლუცია განაპირობებს?! შეიძლება დახვეწილობა, სინატიფე და ფსიქოლოგია აკლია, იმასაც ვერ იტყვი, სტილის დიდოსტატიანო, მაგრამ მისთვის დამახასიათებელ ინტუიტიურ განხილვებთან ყოველივე ეს რა მოსატანია! ჰოდა, იმას ვამბობ, მწერლებიდან პირველი სწორედ ის მიხვდა, რომ ფიზიკის შემდეგ, მთავარ

მამოძრავებელ ძალად ბიოლოგია იქცევა. მსგავს მტკიცებას სამეცნიერო-ფანტასტიკურ ლიტერატურაშიც ვერ შეხვდები”.

ბრუნო გაჩუმდა, მიშელს მიაჩერდა და მაშინლა შეამჩნია მისი სიგამბდრე. ძმა დაღლილი, შეფიქრიანებული და გონებადაფანტული ეჩვენა. მართლაც, აი, უკვე რამდენიმე დღეა, საყიდლებზე არ გასულა. წინა წლებისგან განსხვავებით, “მონოპრის” მალაზიის წინ, უამრავი მანანნალა და გაზეთების გამყიდველი იყრიდა თავს, თუმც კი, შუა ზაფხულში, რატომღაც, სიღარიბე ისეთი დამთრგუნველი არ გეჩვენება. “ახლა რომ ასეა, ომი თუ დაიწყოს, აბა, მაშინ ნახე!” - ფიქრობდა მიშელი და ზანტად მონრიალე მათხოვრებს ფანჯრიდან აყოლებდა თვალს. ომი თუ დაიწყოს, პირველმა სექტემბერმაც ჭირი მოგჭამა! ბრუნომ ღვინო დაისხა. შიმშილისგან კუჭი ეწვოდა და მოულოდნელობისგან გაოცდა კიდევ, როდესაც მიშელი დაღლილი ხმით გაეპასუხა:

“ჰაქსლი ცნობილი ინგლისელი ბიოლოგების ოჯახიდან იყო. ბაბუა დარვინის მეგობარი და ევოლუციონისტური თეორიის თავგამოდებული მეხოტბე იყო. მამა და ძმა ჯულიანი საყოველთაოდ ცნობილი ბიოლოგები არიან. ინგლისური ტრადიციის თანახმად, პრავმატული, ლიბერალური, სკეპტიკური ინტელექტუალები იყვნენ და, ფრანგი განმანათლებლებისგან განსხვავებით, დაკვირვებასა და ექსპერიმენტულ მეთოდს ანიჭებდნენ უპირატესობას. მთელი ახალგაზრდობა ჰაქსლიმ ეკონომისტების, იურისტების, განსაკუთრებით კი, მეცნიერების გვერდით გაატარა. ოჯახს სტუმარი არ ელევოდა. მისი თაობის მწერლებს შორის ერთადერთმა მან შეძლო, განეჭვრიტა ბიოლოგიის მომავალი მიღწევები. ნაციზმი რომ არა, ამდენი დრო არც დაგვჭირდებოდა. ნაციზმმა იდეოლოგიამ საგრძნობლად შერყვნა ევტენიკისა და რასობრივი გაკეთილშობილების იდეები. ნდობის აღდგენას ათობით წელი დასჭირდა”. მიშელი წამოდგა და წიგნების თაროდან “რაზეც ფიქრს ვბედავ” გადმოიღო. “ეს წიგნი ოლდოსის უფროსმა ძმამ, ჯულიანმა დაწერა და 1931 წელს, “საუცხოო ახალ სამყაროზე” ერთი წლით ადრე გამოაქვეყნა. აქ საუბარია გენეტიკურ კონტროლსა და განსხვავებულ სახეობათა, მათ შორის თვით ადამიანური მოდგმის გაუმჯობესებაზე, ერთი სიტყვით, ყოველივე იმაზე, რაც შემდეგ ოლდოსმა თავის რომანებში გადმოიტანა. ჯულიანი არაფ-

ერს მალავს, ის კი არა და, იმას, რასაც ამტკიცებს, თანამოძმეთ სასურველ მიზნად უსახავს".

მიშელი დაჯდა და შუბლი მოინმინდა. "ომის შემდეგ ჯულიანი ახლად შექმნილი "იუნესკოს" გენერალურ დირექტორად დაინიშნა. იმავე წელს გამოქვეყნდა მისი ძმის "საუცხოო ახალი სამყარო", რომელშიც ის შეეცადა პირველი წიგნი სატირად, ანუ ნიღბის ახდად წარმოესახა. რამდენიმე წლის შემდეგ, ოლდოსი ჰიპების აზრთა მპყრობელი და თეორეტიკოსი ხდება. ის მუდამ სრულ სექსუალურ თავისუფლებას ქადაგებდა და პირველი ალაპარაკდა ფსიქოდელიკური ნარკოტიკების გამოყენებაზე. იზალენის ყველა დამფუძნებელი მასთან დაახლოებული იყო და მისი ნააზრევის გავლენას განიცდიდა. მერე კი, იზალენის ფუძემდებლური იდეები New Age-მა აიტაცა. ასე და ამრიგად, ოლდოს ჰაქსლი ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოაზროვნეა".

სასადილოდ ქუჩის კუთხეში მდებარე რესტორანში წავიდნენ, სადაც ორი კერძი ჩინური ფონდიუ 270 ფრანკი ჯდება. მიშელს, სამი დღე იყო, სახლიდან ფეხი არ გაუდგამს. "დღეს პირში ლუკმა არ ჩამსვლია", - თქვა მან ცოტაოდენი გაოცებით. წიგნი ისევ ხელში ეკავა.

"ჰაქსლიმ "კუნძული" 1962 წელს გამოაქვეყნა; ეს მისი უკანასკნელი წიგნია, - წამოიწყო მიშელმა და ნებოვან ბრინჯს მოურია, - მოქმედება სამოთხის მსგავს ტროპიკულ კუნძულზე ხდება - მცენარეულობა და პეიზაჟები, ეტყობა, შრი ლანკამ შთააგონა. მეოცე საუკუნის მნიშვნელოვან სავაჭრო გზებს დაშორებულ კუნძულზე თვითმყოფადი, განვითარებული და, ამავედროულად, ბუნების დამფასებელი, მშვიდობიანი, ოჯახური ნევროზებისა და იუდეო-ქრისტიანული აკრძალვებისაგან სრულიად თავისუფალი ცივილიზაცია აღმოცენდა. იქ სიშიშვლე ბუნებრივად მიაჩნიათ; სიყვარულსა და განცხრომას წინ არაფერი უდგას. ამ უმნიშვნელო, მაგრამ ადვილად საკითხავმა წიგნმა დიდი გავლენა იქონია ჯერ ჰიპებზე, შემდეგ კი, New Age-ის მიმდევრებზე. კარგად თუ ჩაუკვირდები, "კუნძულში" აღწერილი ჰარმონიული საზოგადოება "საუცხოო ახალ სამყაროს" გაგახსენებს. ვინ იცის, სინამდვილეში, იქნებ, უკვე მიხრწნილმა ჰაქსლიმ, ეს თანხვდომა ვერც შეამჩ-

ნია, მაგრამ მის მიერ ერთ ნიგნში აღწერილი საზოგადოება ისე ჰგავს მეორისას, როგორც ჰიპების ანარქისტული თანაცხოვრება ლიბერალურ-ბურჟუაზიულ საზოგადოებას, უფრო ზუსტად, მის შვედურ სოციალ-დემოკრატიულ ნაირსახეობას".

მიშელი გაჩუმდა, კრევეტი ცხარე სანებელში ამოუსვა და ჩხირები გვერდზე გადადო. "ჯულიანის მსგავსად, ოლდოსიცი ოპტიმისტი იყო... - თითქმის ზიზლით წარმოთქვა ბოლოს, - მეტაფიზიკურ მუტაციას, რომელმაც დასაბამი მისცა მატერიალიზმსა და თანამედროვე მეცნიერებას, ორი მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა: რაციონალიზმი და ინდივიდუალიზმი. ჰაქსლის შეცდომაც ის არის, რომ მან ზუსტად ვერ გათვალა ამ ორი მოვლენის ძალთა თანაფარდობა. განსაკუთრებით საცნაურია, რომ მან სათანადოდ ვერ შეაფასა ინდივიდუალიზმის საყოველთაო განვრცობა, რომელიც სიკვდილის სულ უფრო მზარდ გაცნობიერებას მოჰყვა. ინდივიდუალიზმიდან იშვა თავისუფლება, საკუთარი "მე"-ს მძაფრი შეგრძნება, გამორჩეულობისკენ სწრაფვა და სხვებზე აღმატებულობის სურვილი. "საუცხოო ახალ სამყაროში" წარმოჩენილ რაციონალურ საზოგადოებაში ბრძოლა ისეთ სიმძაფრეს ჯერ კიდევ ვერ აღწევს. ეკონომიკური შეჯიბრი, რომელიც სასიცოცხლო სივრცის დაპყრობის მეტაფორაა, უცხოა მდიდარი საზოგადოებისთვის, სადაც ეკონომიკური მერყეობის დამორჩილება სავსებით შესაძლებელია. სექსუალური შეჯიბრება, რომელიც კვლავწარმოების მეშვეობით დროის დამორჩილების მეტაფორად გვევლინება, სრულიად უცხოა იმ საზოგადოებისათვის, სადაც სექსი და კვლავწარმოება ერთმანეთისგან განმხობლოებულია. მაგრამ ჰაქსლი ივინყებს ინდივიდუალიზმს. მან ვერ გაიგო, რომ კვლავწარმოებას დაცილებული სექსი არსებობას აგრძელებს არა როგორც სიამოვნების, არამედ ნარცისიზმის პრინციპი. იგივე ითქმის სიმდიდრის მოხვეჭისკენ სწრაფვაზე. რატომ არის, რომ შვედური სოციალ-დემოკრატია ვერა და ვერ ჯაბნის ლიბერალიზმს? რატომ ერთხელაც კი არ გამოსცადეს ეს მოდელი სექსუალური დაკმაყოფილების სფეროში? სწორედ იმიტომ, რომ თანამედროვე მეცნიერების მიერ განხორციელებულ მეტაფიზიკურ მუტაციას თან მოაქვს ინდივიდუალიზმი, ამპარტავნება, სიძულვილი და სურვილი. სურვილი კი, სიამოვნებისგან განსხვავებით, ტანჯვისა და უბედურების

თავი და თავია. ამას ყველა ფილოსოფოსი, არა მხოლოდ ბუდისტი თუ ქრისტიანი, არამედ, ამ სახელის ტარების ღირსი ნებისმიერი მოაზროვნე აღიარებს და ქადაგებს. უტოპისტებისთვის, პლატონიდან ჰაქსლიმდე, ფურიეს ჩათვლით, სურვილის და მასთან დაკავშირებული ტანჯვა-წამების ძლევა მისი მყისიერი დაკმაყოფილებით მიიღწევა. ამის სანაცვლოდ, ეროტიკულ-სარეკლამო საზოგადოება, რომელშიც ცხოვრება გვიხდება, სურვილის ორგანიზაციაზე და მის უზომოდ განვრცობაზე ზრუნავს, დაკმაყოფილებას კი ინტიმურ სფეროში კეტავს. იმისთვის, რომ საზოგადოებამ იმოქმედოს და შეჯიბრება გაგრძელდეს, საჭიროა, სურვილი რაც შეიძლება მეტად გამძაფრდეს, განივრცოს და ადამიანების სიცოცხლე შთანთქას". ქანცვანყვეტილმა მიშელმა შუბლი შეიმშრალა. კერძისთვის პირიც არ დაუკარებია.

"თუმცა არსებობს პატარა ჰუმანისტური შესწორებები... - ნყნარად წარმოთქვა ბრუნომ, - ერთი სიტყვით, ის, რაც საშუალებას გვაძლევს, დავივიწყოთ სიკვდილი. "საუცხოო ახალ სამყაროში" ლაპარაკია ანქსიოლიტიკებსა და ანტიდეპრესანტებზე; "კუნძულში" ყურადღება ეთმობა მედიტაციას, ფსიქოდელიკურ ნარკოტიკებსა და ინდური რელიგიის ზოგ-ზოგ ბუნდოვან დებულებას. ადამიანები, დღეს, ორთავეს ნაზავს ამჯობინებენ".

- ნიგნში "რაზეც ფიქრს ვბედავ", ჯულიან ჰაქსლი ბევრს საუბრობს რელიგიაზე და მას თხზულების მეორე ნაწილს უთმობს, - შეეპასუხა კიდევ მეტად გაღიზიანებული მიშელი, - მას კარგად ესმის, რომ მეცნიერებისა და მატერიალიზმის პროგრესმა ძირი გამოუთხარა ტრადიციულ რელიგიებს. მან იცის, რომ რელიგიის გარეშე საზოგადოებას გადაშენება უწერია. ასი გვერდის მანძილზე, ის ცდილობს მეცნიერების დონის შესაბამისი რელიგია დააფუძნოს. შედეგებისა რა მოგახსენო, არცთუ ისე დამაჯერებელია... ჩვენი საზოგადოებაც ამისთვის ჯერ მზად არ გახლავს. მართალი თუ გინდა, ფიზიკური სიკვდილის გარდუვალობა ძირშივე სპობს სინთეზის ყოველგვარ მცდელობას და კიდევ მეტ გაქანებას შესძენს ამპარტავნებასა და ძალადობას, - დაასკვნა მიშელმა და უცნაური ღიმილით დაამატა: "თუმცა, თითქოსდა საზღაურად, სიყვარულზეც იგივე ითქმის."

ბრუნოს სტუმრობის შემდეგ მიშელმა მთელი ორი კვირა სანო-
ლში გაატარა. მართლაცდა, სად გაგონილა, რელიგიის გარეშე, სა-
ზოგადოების არსებობა? საზოგადოება იქით იყოს და რწმენის გა-
რეშე, ნებისმიერი პიროვნების არსებობაც ძნელად წარმოსადგე-
ნია... სანოლში იწვა და ხელმარჯვნივ, კედელზე დამაგრებულ რა-
დიატორს მიშტერებოდა. გათბობის სეზონის დადგომისას რადია-
ტორის ღარები ცხელი წყლით ივსება... ვერაფერს იტყვი, ჭკუამა-
ხვილი და საქმის მცოდნე კაცის გამოგონებაა! და მაინც, რამდენ
ხანს გაძლებს დასავლური საზოგადოება რელიგიის გარეშე? ბავ-
შვობისას ბოსტინის მორწყვა უყვარდა. ახლაც ინახავს შავ-თეთრ
ფოტოსურათს: ხელში სარწყავი უკავია, ბებია თავზე ადვას. ექვ-
სი წლის თუ იქნება. მოგვიანებით საყიდლებზე სიარული შეუყვა-
რდა; პურისგან მორჩენილი ხურდა ფულით კარამელებს ყიდულო-
ბდა. მერე, რძის მოსატანად, ფერმაში მიდიოდა; თბილი რძით სა-
ვსე ალუმინის მათარას რწვევა-რწვევით მოარბენინებდა და როდე-
საც ეკალბარდებით შემოჯარულ, ოღროჩოღრო შარაგზაზე შემო-
ალამდებოდა, გულში შიში ეპარებოდა. ახლა კი, სუპერმარკეტის-
კენ მიმავალი გზა გოლგოთად ეჩვენებოდა, თუმცა, მაღაზიებში
ძველ სურსათს ახალი ემატებოდა და დახლებზე მარტოხელა კა-
ცისტვის განკუთვნილი გაყინული საკვების ტევა არ იყო. სულ ახ-
ლახან, მეზობელი უნივერსიტეტის საყასბოს თაროზე პირველად იხ-
ილა სირაქლემას ბიფშტექსი.

კვლავწარმოებისთვის, ღწმ-ის მოლექულის შემადგენელი ორი
ტოტი ერთმანეთს შორდება და თითოეული დამატებით ნუკლეო-
ტიდებს მიიზიდავს. ყველაზე საგანგაშო განშორების წუთია, რად-

გან გაუთვალისწინებელმა, უმეტეს შემთხვევაში, ზიანის მომტან-
მა მუტაციებმა სწორედ ამ დროს შეიძლება იჩინოს თავი. დიდი
ფიცი-მტკიცე არ უნდა იმას, რომ მარხვა გონებას აწრთობს და
აკაჟებს: ერთი კვირის ნაშიმშილევი მიშელი გუმანით მიხვდა, რომ
სანამ ღმმ-ის მოლეკულა სპირალის ფორმას ინარჩუნებს, სრულ-
ყოფილ კვლავნარმოებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. უჯრედების და-
უსრულებელ თაობათა უზადო რეპლიკაციის მისაღწევად, ინფორ-
მაციის მატარებელი სტრუქტურა, მებიუსისთვის, ან ტორისთვის
დამახასიათებელ კომპაქტურ ტოპოლოგიას უნდა ფლობდეს.

ბავშვობაში მიშელი ვერ იტანდა საგნების ბუნებრივ ნგრევას,
მსხვრევას, მტვრევას და ცვეთას. ამიტომაც, მრავალი წლის მან-
ძილზე სათუთად ინახავდა ორად გადატეხილ და მერე ათასგზის
დანებებულ-გადანებებულ, სკოჩით გადახვეულ პატარა თეთრ
პლასტმასის სახაზავს. ნახვევით შესქელებული სახაზავი სწორს
კი არა, საერთოდ ვერავითარ ხაზს ველარ ავლებდა და აღარაფრ-
ად ვარგოდა. მიშელი კი მაინც თვალისჩინივით უფრთხილდებო-
და. სახაზავი ტყდებოდა, მიშელი თავისას არ იშლიდა, ნახვევს
უმატებდა და ფრთხილად დებდა აბგაში.

"ჯერზინსკის გენიის ერთი დიდი დამსახურება ის იყო, რომ მან
გადაასწრო საკუთარ პირველ აღმოჩენას, რომლის თანახმად, სექ-
სუალური გზით კვლავნარმოება თვითვე იყო ზიანის მომტანი მუ-
ტაციების სათავე", - დანერს წლების შემდეგ ფრედერიკ ჰუბჩეია-
კი. "საუკუნეების მანძილზე, - ხაზგასმით აღნიშნავდა ჰუბჩეიაკი, -
ნებისმიერი ადამიანური კულტურა დალდასმული იყო ამ მეტ-ნაკ-
ლებად აშკარად გამოთქმული და აღიარებული ინტუიტიური მიგნე-
ბით, რომელიც სექსს სიკვდილთან აკავშირებდა. მეცნიერს, რომე-
ლიც თანამედროვე მოლეკულური ბიოლოგიის მიღწევების საფუძ-
ველზე უცილობელი ჭეშმარიტების სახეს შესძენდა ამ დებულებას,
შეეძლო საქმე დამთავრებულად ჩაეთვალა და ამის იქით აღარ წა-
სულიყო. ჯერზინსკიმ კი, ნურას უკაცრავად, შუა გზაზე გაჩერება
არ ისურვა და გადანყვიტა, სექსუალური კვლავნარმოების ჩარჩო-
ებს გაცილებოდა, რათა ძირფესვიანად გამოეკვლია და შეესწავლა
უჯრედების გაყოფის ტიპოლოგიური პირობები".

შარნის დაწყებითი სკოლის პირველი კლასიდანვე მიშელს თავ-

ზარს სცემდა იქაური ბიჭების სისასტიკე. გასაგებიცაა: გლეხების შვილები იყვნენ, პატარა მხეცუნები, ბუნებისგან ჯერ კიდევ განუყოფელნი. მაგრამ რაოდენ საოცრად მოგეჩვენებოდა მათი ბუნებრივი სიხალისე და სიხარული, როდესაც ფარგლის ან კალმისტრის წვერზე ბაყაყს წამოაგებდნენ! ვარდისფერი მელანი საბრალო მსხვერპლის კანქვეშ დიდ ლაქად იშლებოდა, გომბემო ფართხალებდა, სული ეხუთებოდა. თვალბდაქაჩული ბიჭები წრეს კრავდნენ და გომბემოს სულთაბრძოლას აკვირდებოდნენ. მაკრატლით ლოკოკინებს რქებს აჭრიდნენ და ამითაც კარგა მაგრად ერთობოდნენ. ლოკოკინას მთელი მგრძნობელობა ამ პანანა რქებშია... თვალებიც რქებზე ასხია. ამრიგად, ურქო ლოკოკინა ერთი გაუბედურებული, ტანჯული და თავგზაარეული ლორწოს მასაა და სხვა არაფერი. მიშელი იმთავითვე მიხვდა, რომ ამ უნლოვანი ტყიურებისგან თავი შორს უნდა დაეჭირა. სამაგიეროდ, გაცილებით სათნო და უვნებელ გოგონებს სულაც არ უფრთხობდა. სამყაროს წესზე ეს პირველი შეხედულება კიდევ უფრო განუმტკიცა ტელეგადაცემამ "ცხოველთა სამყარო", რომელსაც ოთხშაბათობით უყურებდა. ცხოველური ბუნებისათვის დამახასიათებელ არამქვეყნიურ საშინელებასა და მარადიულ სისხლისღვრაში, სისასტიკესა და სიმდაბლეში, ერთადერთი ნათელი გრძნობა დედაშვილობა, უფრო ზუსტად, ნაშიერის დაცვის ინსტინქტი იყო, ერთი სიტყვით, რაღაც ისეთი, რაც, თანდათანობით, თუმც კი შეუცნობლად, დედობრივ სიყვარულად გარდაიხსება. კალმარის მდედრი, სულ ოციოდე სანტიმეტრი სიგრძის გულისამაჩუყებელი არსება, გამეხებით უტევს ახლად დაყრილი ქვირითის შორიახლოს მოცურავე მყვინთავს.

ოცდაათი წელი გამოხდა, მაგრამ მიშელს აზრი არ შეუცვლია: ვისაც რა უნდა ის თქვას, ერთი რამ კი ცხადზე უცხადესია - მამაკაცები ქალებთან ახლოსაც ვერ მივლენ. ქალი უფრო მოალერსე, უფრო მოსიყვარულე, უფრო თანამგრძნობი და სათნოა. ნაკლებად მოძალადე, ნაკლებად თავკერძა და ნაკლებად ამპარტავანი, სისასტიკეს არასოდეს ჩაიდენს. გარდა ამისა, უფრო გონიერია, ჭკუაც უჭრის და დაუზარებლად მუშაკობს.

"ისე, ჩვენში დარჩეს და, რისი მაქნისი არიან მამაკაცები?" - გაიფიქრა მიშელმა და ფარდაზე მოფარფატი მზის ათინათს თვალი

ააყოლა. ოდესღაც, როდესაც დათვები ადამიანებს გასაქანს არ აძლევდნენ, ვაჟკაცობა რალაცად ფასობდა, აუცილებელიც კი იყო. მაგრამ, აი, უკვე რამდენიმე საუკუნეა, მამაკაცები აღარაფრად ვარგიან და ისინი აღარავის სჭირდება. ზოგჯერ, მონყენილობის გასაქარვებლად, ჩოგბურთს თამაშობენ; ამას კიდეც არა უშავს... უბედურება ის არის, რომ ხანდახან, "ისტორიის წინსვლაზე" ზრუნვა მოეხუშტურებათ, ჰოდა, მაშინ რევოლუციებსა და ომებს ველარსად წაუხვალ... უაზრო ტანჯვა-წამებაზე რომ არაფერი ვთქვათ, რევოლუცია და ომი ერთნაირად ანადგურებს იმას, რაც კი საუკეთესო შექმნილა წარსულში და ესწრაფვის ყოველივე მიწასთან გაასწოროს, რათა მერე, ყამირზე, ხელახლა შენებას მიჰყოს ხელი. თანდათანობითი, მდორე და მშვიდი განვითარების შარავზას აცდენილი ადამიანური სამყაროს ევოლუცია ქაოტურ, მოუნესრიგებელ, არეულ და შმაგ ხასიათს იძენს. ყოველივე ეს მამაკაცების დამსახურებაა (რისკისა და თამაშის სიყვარულის, სასაცილო ამპარტავნობის, უპასუხისმგებლობის, უხეშობისა და ძალადობისკენ სწრაფვის გამო). რაოდენ მშვენიერი და აღმატებული იქნებოდა მხოლოდ ქალებით დასახლებული სამყარო: ოდნავ შენელებული, მაგრამ განუზრელი, უკან დახევისა და საბედისწერო ჩავარდნებისგან დაზღვეული სვლა საყოველთაო ბედნიერებისაკენ...

15 აგვისტოს განთიადზე წამოდგა და ბინიდან გამოვიდა, იმ იმედით, რომ ქუჩები უკაცრიელი დახვდებოდა. ასეც იყო. რვეულში რალაც ჩაინიშნა. ამ შენიშვნებს მხოლოდ ათიოდე წლის შემდეგ, თავის ყველაზე მნიშვნელოვან თხზულებაზე, "სრულყოფილი რეპლიკაციის პროლეგომენებზე" მუშაობისას მიუბრუნდება.

ამასობაში, არაქათავაცლილ, ყველაფერზე ხელჩაქნეულ ბრუნოს ვაჟიშვილი ყოფილ ცოლთან მიჰყავდა. ანი "ახალი საზღვრების" მიერ დაგეგმილი მოგზაურობიდან უნდა დაბრუნებულიყო; ბრუნოს ზუსტად არ ახსოვდა, აღდგომის კუნძულები იყო თუ ბენინი. რალა თქმა უნდა, ვილაც-ვილაცებს დაუახლოვდებოდა, მისამართებსაც გაცვლიდნენ, ერთი-ორჯერ შეხვდებოდა კიდეც, სანამ ახალი ნაცნობები ყელში არ ამოუვიდოდა. მამაკაცებს არ აეტორღილებოდა, ბრუნო თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ანი ამ საქმეს შეეშვა, - მამაკაცებს კუდში აღარ სდევდა. ერთი-ორი წუ-

თით გვერდზე გაიხმობს, ყველაფერმა ხომ კარგად ჩაიარაო, ჰკითხავს. კარგადო, უპასუხებს ბრუნო დაჯერებული და მშვიდი ხმით, ქალებს რომ უყვართ ისე. მერე კი, იუმორსაც შეურევს: "ვიქტორმა ტელევიზორით, ლამის იყო, თვალები ამოიღამა". უცებ გუნება გაუფუჭდება: ანი თვითონაც შეეშვა მონევას და სხვა-საც არ აწევენებს. ბინას დახვეწილი გემოვნება ეტყობა. ნასვლისას გული მოეწურება, ცოტას დაინანებს და მერამდენედ დაეკითხება თავს, ერთი ისეთი რა გავაჩალიჩო, ყველაფერი რომ შევცვალოო. ვიქტორს ნაჩქარევად გადაკოცნის და კარს გაიხურავს. ესეც ასე: შვილთან გატარებული არდადეგები დასრულდა.

სინამდვილეში ის ორი კვირა ნამდვილ ჯოჯოხეთად ექცა. ვისკის ბოთლით ხელში ლეიბზე ნამონოლილი ბრუნო მეზობელ ოთახში შვილის ფაციფუცს აყურადებდა: შარდის ჩასანმენდად ტუალეტში ჩაშვებული წყალი, ტელევიზორის დისტანციური გადართველის ჩხაკუნი. ნახევარძმის მსგავსად, ზუსტად იმავე დროს, ისიც მთელი საათობით სულელურად ამტერდებოდა რადიატორის ღარებს. ვიქტორი სასტუმრო ოთახის გასაშლელ ტახტზე იწვა და დღეში თხუთმეტი საათი ტელევიზორს თვალს არ ამორებდა. დილით, ახალგამოღვიძებულ ბრუნოს ტელევიზორი ჩართული ხვდებოდა. ვიქტორი ხმას უდაბლებდა და ყურსაცემებს იკეთებდა. ბიჭს უტიფრობას ვერ დასწამებდი, ცდილობდა არვინ გაენაწყენებინა, მაგრამ მამა და შვილი ერთმანეთისთვის სათქმელს ვერაფერს პოულობდნენ. დღეში ორჯერ ბრუნო მზა კერძებს აცხელებდა. სადილობისას პირისპირ ისხდნენ, მაგრამ კრინტს არ ძრავდნენ.

როგორ მოვიდნენ აქამდე? რამდენიმე თვის წინ ვიქტორს თორმეტი შეუსრულდა. აგერ ახლა იყო: რალაცას დახატავდა და წამსვე მამას მოურბენინებდა. უფრო "მარველ კომიქსის" გმირებს ეტანებოდა: ფატალისი, ფანტასტიკუსი, მომავლის ფარაონი, და თითოეულს არაჩვეულებრივ თავგადასავლებს უგონებდა. ზოგჯერ, მამა და შვილი "ათას გეზს" თამაშობდნენ, კვირა დილით კი ლუვრში მიდიოდნენ. ბრუნოს დაბადების დღეზე, ათი წლის ვიქტორმა მუყაოს დიდ ქალაღზე ფერადი ფანქრებით, დიდი ასობით გამოიყვანა: "მამიკო, მიყვარხარ!" ახლა, ერთხელ და სამუდამოდ, ყოველივე წარსულს ჩაბარდა. ბრუნომ იცოდა, რომ მთავარი უბედურება წინ იყო: ორმხრივი გულგრილობა თანდათანობით სი-

ძღველიში გადაიზრდებოდა. ორი წელიც და ვაჟიშვილი გოგონებთან სიარულს დაიწყებს. თხუთმეტი წლის ყმანვილქალებზე ბრუნოც არ იტყოდა უარს. ასე რომ, მამა-შვილს, სადაცაა, ქიშპობის ჟამი დაუდგება. მამაკაცებს ასეთი რამეები არ ესწავლებათ! ერთ გალიაში გამომწყვდეული ორი მხეცი ერთმანეთს ერკინება... გალია კი დროა.

უკანა გზაზე ბრუნომ არაბი ბაყლისგან ერთი ბოთლი ანისულის ნაყენი იყიდა. სანამ კარგად გამოთვრებოდა, ძმას დაურეკა, ხვალ გნახავო. მიშელს იმ დროს წაადგა თავს, როდესაც მარხვით გატანჯული ძმა იტალიურ სოსისებს მუსრს ავლებდა და ზედ ღვინოს ჭიქა-ჭიქაზე აყოლებდა. "გადაილე..." - უგულოდ მიიპატიჟა მიშელმა. ბრუნო ხედავდა, რომ ძმა ცალი ყურით უსმენდა. გინდ ფსიქიატრთან გილაპარაკია, გინდ კედლისკენ გიქნია პირი. მაგრამ ბრუნოს სიტყვა არ შეუნყვეტია.

"რამდენიმე წელი ვიქტორი ცდილობდა ჩემი ყურადღება მიექცია, სიყვარულს მთხოვდა. დათრგუნვილი ვიყავი, ცხოვრებაზე ხელი ჩავიქნე და არაფრის თავი არ მქონდა. ვიქტორისთვის როგორღა მოვიცლიდი? სამერმისოდ გადავდე, იქამდე გამოვკეთდები-მეთქი. არ მეგონა, დრო თუ ასე სწრაფად გაირბენდა. შეიდიდან ათ წლამდე ბავშვი ნამდვილი სასწაულია: თავაზიანი, გონიერი და მოსიყვარულე. ყველაფერს ხვდება და ყველაფერი ახარებს. სიყვარულით ყელამდე სავსეა და სხვისგანაც სიყვარულს ელოდება. მერე, ერთბაშად, ყველაფერი უსაშველოდ ფუჭდება".

მიშელმა უკანასკნელი ორი ლუკმა გადაყლაპა და ღვინო დააყოლა. ხელები საშინლად უკანკალებდა. ბრუნომ განაგრძო: "ყმანვილკაცობაში ფეხშედგმულ ბიჭზე უარესი, აუტანელი, საზიზღარი და აგრესიული სხვა არვინ მეგულება, მით უმეტეს, თუკი თანატოლებიც გვერდით ჰყავს. წარმოუდგენლად კონფორმისტი და ჭკუათხელი ურჩხული, მამაკაცური სიმახინჯის უცაბედი და ავისმომასწავებელი (ბავშვთან შედარებით, გაუთვალისწინებელიც) ამოფრქვევაა. ამის შემდეგ, მოდი და ნუ დაიჯერებ, რომ სექსუალობა თავიდან ბოლომდე ბოროტი ძალაა! ან კი, როგორ იტანენ ადამიანები ახალნაპოჩინულ ყმანვილებთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას?! ჩემი აზრით, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ცხოვრება უში-

ნაარსო და ფუყეა. ჩემი ცხოვრებაც დიდად არ განსხვავდება, მაგრამ შვილთან ერთად ცხოვრება ვერა და ვერ შევძელი. ერთი სიტყვით, ყველა ცრუობს, თანაც ვირეშმაკულად. გაიყრებიან და, ვითომც არაფერი, კეთილ მეგობრებად რჩებიან, შვილებს ყოველ მეორე შაბათ-კვირას ხვდებიან. საზიზღრობა... საზიზღრობა და სხვა არაფერი... სინამდვილეში კი საკუთარი ბავშვის ბედი არავის აინტერესებს, უფრო მეტი, შვილი არც არასოდეს ყვარებიან, ეგ კი არა და, ჭეშმარიტ სიყვარულზე წარმოდგენაც არა აქვთ, არც კი განუცდიან. ერთი, რაც იციან, ნდობა და სურვილია, უხეში, ცხოველური სექსუალური ლტოლვა და მამრთა პაექრობა. მოგვიანებით, როდესაც იქორწინებენ, შეიძლება ცოლის მიმართ მადლიერების მსგავსი რაღაც გრძნობა გაუჩნდეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ცოლი ბავშვს ჩუქნის, ოჯახს უვლის, არა უშავს მზარეული და კარგი საყვარელია. ერთადერთი სიამოვნება საწოლია. ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ არის ის, რაზეც ქალები ოცნებობენ, აშკარად რაღაც გაუგებრობაა, მაგრამ ვნებამორეული მამაკაცი ამას არად დაგიდევს, გრძნობა გადასძლევს და, თუკი, დროის განმავლობაში, ცოლთან გართობა ძველებურად აღარ აღაგზნებს, მის გარეშე არსებობა ძნელად წარმოუდგენია. ღმერთმა დაიფაროს და ცოლი თუ მოუკვდა, სასმელს მიეძალება და რამდენიმე თვეში უკან დაედევნება. ადრე, შვილები, გვარის გასაგრძელებლად, ოჯახის სიმდიდრისა და ტრადიციების მემკვიდრეებად სჭირდებოდათ. ასე თვლიდნენ ფეოდალები, ვაჭრები, გლეხები, ხელოსნები, ერთი სიტყვით, მთელი საზოგადოება. დღეს ამის მსგავსს ვერაფერს ნახავ: მე ჩემი ხელფასით გამაქვს თავი და ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ, ისეთი არაფერი მბაბია, რომ შვილს დავუტოვო. ხელობასაც ვერ შევასწავლი, წარმოდგენაც არა მაქვს, თავს რითი ირჩენს. ჩემი ცხოვრების წესს, ვიცი, ვერ იგუებს, არც არაფერში გამოადგება, სხვა სამყაროში მოუწევს ცხოვრება. მარადიული ცვალებადობის იდეოლოგიის აღიარება ადამიანის ცხოვრების მხოლოდ პირად არსებობაზე დაყვანის ტოლფასია, როდესაც წარსულ და მომავალ თაობებსაც, ერთნაირად, ფეხებზე იკიდებ. აი, ასე ვცხოვრობთ, ამიტომაც, ბავშვის ყოლა, მამაკაცისთვის, ყოველგვარ აზრს კარგავს. ქალი სხვაგვარად ფიქრობს და საყვარელი არსების ყოლის სურვილი არასოდეს გაუწელდება. მამაკაცი ამას

ვერასოდეს გაიგებს. ვინც რა უნდა თქვას, არ დაიჯერო, რომ მა-
მაკაცს ახარებს ბავშვთან ენის ჩლექა, თამაში და ალერსი. ცოლს
გაეყრები თუ არა, ოჯახი ინგრევა და ბავშვის დარდი აღარ გაქვს.
ბავშვი დახურული ხაფანგია, მარადიული მტერი, რომელიც, იძუ-
ლებული ხარ, არჩინო და რომელიც, შენს შემდეგ, კიდევ დიდხანს
იარსებებს”.

მიშელი წამოდგა და წყლის დასაღევად სამზარეულოში გავი-
და. ცხვირწინ ფერად-ფერადი რგოლები უტრიალებდა და გული
ერეოდა. უპირველეს ყოვლისა, ხელების ცახცახისთვის უნდა მიე-
ხედა. ბრუნო მართალია: მშობლიური სიყვარული ვიღაცის მოგო-
ნილი სიცრუეა. "სიცრუე კი მაშინ ამართლებს, თუკი სინამდვილ-
ის შესაცვლელადაა მოგონილი", - გაუელვა თავში. მაგრამ ხელი
თუ მოგეცარა, მხოლოდ სიცრუე, განზილება და სირცხვილი შეგ-
რჩება.

მიშელი ოთახში შებრუნდა. მკვდარივით გახევებული ბრუნო
სავარძელში მოკუნტულიყო. ეძინა. მრავალსართულიან სახლებს
შორის ღამე ჩამოწვა, დღის ხვატი საღამოს სიგრილემ შეცვალა.
უცებ, მიშელმა ცარიელ გალიას დაადგა თვალი, სადაც მისმა ჩი-
ტმა ამდენი წელი გაატარა... გადასაგდებია... ჩიტსაც აღარასოდ-
ეს გაიჩენს. ანაზდეულად, მოპირდაპირე სახლში მცხოვრები ჟურ-
ნალისტი ქალი გაახსენდა. საუკუნეა, არ უნახავს, იქნებ გადასახ-
ლდა კიდევ. შეეცადა, ყურადღება ხელებზე გადაეტანა: ცახცახი
ცოტაოდენ დაუცხრა. ბრუნო ისევ ისევ გუდურასავით ეგდო. ძმე-
ბის დუმილი კიდევ რამდენიმე წუთს გაგრძელდა.

"ანი 1981 წელს გავიცანი, - განაგრძო ბრუნომ და ამოიოხრა, - სილამაზის ბევრი არაფერი ეცხო, მაგრამ ნძრევა ყელში ამომივიდა. მთავარი ის იყო, რომ ფაშფაშა ძუძუები ჰქონდა, მე რომ მიყვარს, სწორედ ისეთი..." სიტყვებს კიდევ ერთი ოხვრა მოაყოლა, ამჯერად უფრო ღრმა და ხანგრძლივი. "ჩემი დიდჯიქნიანი პროტესტანტი მწარმოებელი ძროხა..." მიშელის გასაოცრად, ბრუნოს თვალები აუნწყლიანდა. "მერე ძუძუები ჩამოუვარდა, ჰოდა, ჩვენი სიყვარულიც ნაცარტუტად იქცა. ცხოვრება კი გავუფუჭე. ამას ვერასოდეს დავივინყებ: ამ ქალის უბედურება ჩემს კისერზეა. ღვინო დაგრჩა?"

მიშელი ბოთლის მოსატანად სამზარეულოში გავიდა. ცოცხალი იყო: იცოდა, რომ ერთხანობა ბრუნო ფსიქიატრთან დადიოდა, მერე შეეშვა. ადამიანი მუდამ ცდილობს ჭირის შემსუბუქებას და, რადგან აღსარება ნაკლებ მტკივნეული ეჩვენება, გუდას პირს უხსნის. მერე ჩუმდება, ბედს ნებდება და მარტო რჩება. თუკი ბრუნო საკუთარ უბედობაზე ანუნუნდა, გამოდის, იმედის ნატამალი მაინც შერჩა, ყველაფრის თავიდან დაწყება სურს. ეს უკვე კარგის ნიშანია.

"არა, უშნო არ ეთქმოდა, - გააგრძელა ბრუნომ, - მაგრამ, აი, სახე რალაცნაირად უტყვი და უმარილო ჰქონდა, ხიბლზე რომ აღარაფერი ვთქვა. იცი, სწორედ ის აკლდა, რაც ზოგჯერ ახალგაზრდა ქალის სახეს ცისარტყელად დაედება და ასხივოსნებს. მისი ფეხების პატრონი, მინი-ქვედაბოლოს ვერც ინატრებდა. სამაგიეროდ, მოკლე ბლუზების ტარება ვასწავლე, თანაც ულიფოდ. გამჭვირვალე ქსოვილში გახვეული ძუძუები მაგარი სანახავია. თავი-

დან მორცხვობდა, მაგრამ, ბოლოს შეეგუა. ეროტიკის ბაიბურში არ იყო, საცვლებიც დიდად არ ადარდებდა. თუმცა, რა ენად გა-
ვიკრიფე, თავადაც კარგად იცნობ".

- ქორნილში ხომ ვიყავი...

- მართალი ხარ... - დაეთანხმა გონებადაფანტული ბრუნო, -
მასხოვს, რარიც გამაოცა შენმა სტუმრობამ. მეგონა, ჩემს ნახევას
ალარასოდეს მოისურვებდი.

- ჰო, ასეც ვაპირებდი.

მიშელს ის დრო გაახსენდა; ახლაც ვერ მიმხვდარიყო, რა ძალ-
ამ აიძულა იმ მოსაწყენ თავშეყრას დასწრებოდა. თვალწინ დაუდ-
გა ნიის ტაძრის დამთრგუნველი შიშველი კედლები და ვითომდა
მოკრძალებული მდიდარი სტუმრებით ნახევრად შევსებული დარ-
ბაზი. პატარძლის მამა ფინანსისტი იყო. "ანის მშობლები მემარ-
ცხენეები იყვნენ, - თქვა ბრუნომ, - თუმცა, მაშინ, ყველა მემარ-
ცხენეობას იჩემებდა. დედ-მამას არაფრად ენაღვლებოდა, რომ
მათი ქალიშვილი ქორწინებამდე ჩავინვინე სანოლში, დავაორსუ-
ლე და ახლა ცოლად მომყავდა. არაჩვეულებრივი არაფერი მომხ-
დარა." მიშელს ახლაც ყურში ედგა პასტორის სიტყვები, რომლე-
ბსაც ტაძრის ცივი თალები ყრუდ ეხმაურებოდა. პასტორი ქრის-
ტეზე, ჭეშმარიტ ღმერთკაცზე და მარადიული მამაზეციერის მის
რჩეულ ხალხთან ახალ ერთობაზე ქადაგებდა... თუმცა, შეიძლება,
მიშელმა კარგად ვერც გაიგო, რაზე იყო საუბარი: ნახევარი საა-
თი ფეხზე იდგა და რული მოერია, მაგრამ როდესაც ყურს პასტო-
რის ერთი დებულება მისწვდა, მყისვე გამოფხიზლდა: "დე, გფარ-
ვიდეთ მაღლი ისრაელთა ღმერთისა, რომელმაც მოწყალე ხელი
გაუწოდა ორ მარტოსულ ბავშვს". მიშელს ვერაფერი გაეგო: ნუ-
თუ ყველანი ებრაელები არიან? ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ, რო-
გორც იქნა, მიხვდა, რომ საქმე ერთსა და იმავე ღმერთს ეხებოდა.
პასტორმა მარჯვედ გადააბა სათქმელი და ხმაც გაიმტკიცა: "ცო-
ლის სიყვარული საკუთარი თავის სიყვარულის ტოლფასია. ადა-
მიანი საკუთარ სხეულს ვერ მოიძულებს, პირიქით, კვებავს და
თავს ევლებს, მსგავსად ქრისტესი, რომელიც ნიადაგ ზრუნავს ეკ-
ლესიაზე, რამეთუ ვართ ნაწილი ერთი სხეულისა, ხორცი და ძვა-
ლი ქრისტესი. ამიტომაც დაუტყვებს კაცი მამასა და დედასა თვი-

სსა, რათა ეახლოს საკუთარ მეუღლეს და იქცევინან ერთავენი ერთ არსებად. და ვამტკიცებ წინაშე თქვენდა: ესე არს ქრისტესა და ეკლესიის მიმართ ქმნილი უღიადესი იღუმალება". მართლაც რომ ზუსტად მოარტყა: *ორნი იქცევიან ერთ ხორც*. მიშელი წამით ჩაფიქრდა და ანის გახედა, რომელიც სუნთქვაშეკრული, გულისყურით უსმენდა პასტორს. სახეზე განფენილი სიმშვიდე ქალს ლამის სილამაზეს სძენდა. წმინდა პავლეს შეგონების მოხსენიებით გამხნეებულმა პასტორმა ახალი ძალით გაუტია: "უფალო, მონყალე თვალთ გადმოხედე მხევალსა შენსა; შეუღლების ჟამს თანადგომას და შემწეობას გვედრის. ქმენ ისერიგად, რომ მოიქცეს იგი ქრისტესა შინა ერთგულ მეუღლედ და მაგალითად ჰყოს ცხოვრება და ღვანლი დიაცთა წმინდათა: დე, იყოს ზრდილ ქმრისა მიმართ, ვითარც რაქელ, გონიერ, ვითარც რებეკა, ერთგულ, ვითარც სარა, დე, მიემართოს რწმენასა და მცნებებს შენსა; მეუღლესთან შერწყმულმა, არა იცდუნოს თავი თვისი; დე, კდემამ თვისმა მოუპოვოს პატივი, მოკრძალებამ კი ღირსება და იქნეს განსწავლული შენგან. დე, იქნეს ნაყოფიერ და იხილონ ერთავემ შვილები და შვილთაშვილნი თვისი მეოთხე თაობამდის. ბედნიერად შეაბერდნენ ერთურთს და მოიხვეჭონ სამუდამო ნეტარება რჩეულთა განსასვენებელსა შინა. და იქმნეს ესე სახელითა მეუფისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ამინ!". მიშელმა ბრბო გააპო, რათა საკურთხეველს მიახლოვებოდა. გარშემო მყოფნი გაღიზიანებულ მზერას აგებებდნენ. მიშელი მესამე რიგთან გაჩერდა. ახალშეუღლებულნი ბეჭდებს ცვლიდნენ. პასტორმა შთამბეჭდავად შთაგონებული სახე დახარა და მეუღლეებს ხელი ჩაჰკიდა. ტაძარში ბუზის გაფრენას გაიგონებდი. პასტორმა თავი აღმართა და ერთდროულად ომახიანი და განწირული ხმით, მთელი ძალისხმევით დასძახა: "ღმერთმა შეგყარათ, კაცმა ვერ გაგყართ!"

მოგვიანებით, მიშელი პასტორთან მივიდა, რომელიც საკურთხეველს ალაგებდა. "იმან, რაც ეს-ეს არის ბრძანეთ, ერთობ დამანტერესა..." ღვთისმსახურმა თავაზიანად გაუღიმა. მიშელმა ასპეს ცდებდა და ელემენტარული ნაწილაკების ურთიერთმიმართებებზე ჩამოაგდო სიტყვა: *ორი ერთმანეთს შერწყმული ნაწილაკი ერთ განუყოფელ მთელს ქმნის*. "ეს ზედმიწევნით ესადაგება ერთი სხეულის იდეას". პასტორს ღიმილი ჩაუქრა. "ამით იმის

თქმა მსურს, - გააგრძელა მიშელმა კიდევ მეტი გატაცებით, - რომ ონტოლოგიური თვალსაზრისით, შეგვიძლია, ყოველივე ამას ჰილბერტის ველის ახალი ვექტორი მივუსადაგოთ. ხომ გესმით, რას ვგულისხმობ?" "რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა..." - წაილულ-ლულა ქრისტეს მორჩილმა და ქურდულად მიმოიხედა. მერე, ერთი ეს თქვა, მაპატიეთო, და პატარძლის მამას მიუბრუნდა. მამაკაცები დიდხანს ეხვეოდნენ და ლოშინდნენ ერთმანეთს. "დაუვინყარი, დიდებული ჯვრისწერა იყო..." - მღელვარებას და აღტაცებას ვერ მალავდა ფინანსისტი.

- ბოლომდე არ დარჩენილხარ, - იხსენებდა ბრუნო, - თავს უხერხულად ვგრძნობდი, ირგვლივ უცნობი ადამიანები მეხვია და ასე მეგონა, სხვის ქორწილში ვიყავი. მამაჩემი მოსვლით კი მოვიდა, მაგრამ ძალიან გვიან. გაუპარსავი იყო, ჰალსტუხი გვერდზე მოქცეოდა, ყავლგასული ჩაჩანაკი ანარქისტი გეგონებოდა. დარწმუნებული ვარ, ანის მშობლები სულ სხვა სიძეზე ოცნებობდნენ, მაგრამ, როგორც მემარცხენე პროტესტანტებს შეშვენით, განათლებას პატივს სცემდნენ: მე ლექციების წაკითხვის უფლება მქონდა, მაშინ, როცა ანი საშუალო სკოლის მასწავლებლობას ვერ გაცდა. ერთი უბედურება კიდევ ის იყო, რომ ლამაზი უმცროსი და ჰყავდა. ანისავით დიდი ძუძუები ჰქონდა, მაგრამ სახით სულ სხვა იყო. შეხედავდი და სული გაგინათდებოდა. თითქოს დიდი არაფერი, ნაკვთების მცირე სხვაობა, შეუმჩნეველი წვრილმანი და, აჰა, საოცარი შედეგი... გაუგებარია..." ბრუნომ კიდევ ერთხელ ამოიოხრა და ჩიქა შეივსო.

"პედაგოგიური ნათლობა 1984 წელს, დიუონში, კარნოს კოლეჯში მივიღე. ანი ექვსი თვის ფეხმძიმე იყო. ასე შეიქმნა მასწავლებელთა კიდევ ერთი ოჯახი; ახლა ისლა დაგვრჩენოდა, მშვიდად და ღირსეულად გვეცხოვრა.

ვანრის ქუჩაზე, ლიცეუმიდან ორიოდ ნაბიჯზე, ბინა ვიქირავეთ. "პარიზულ ფასებზე გაცილებით იაფია, - გვიმტკიცებდა სააგენტოს თანამშრომელი ქალი, - ისე, უბანიც სულ მთლად პარიზული არ არის, მაგრამ მოწყენით, იქაც არ მოიწყენთ. ზაფხულობით ტურისტებს ვერ აუხვალთ. ბაროკოს მუსიკის ფესტივალი კი უამრავ ახალგაზრდას იზიდავს". ბაროკოს მუსიკა?..

მყისვე მივხვდი, რომ ვილაცამ დამწყევლა. არა, საქმე "პარიზულ ცხოვრებაში" არ იყო, ეს სულ ფეხებზე მეკიდა: პარიზში ბედნიერება არასოდეს მღირსებია. უბრალოდ, ყველა ქალის გადაჟიმვა მინდოდა, საკუთარი ცოლის გარდა. პარიზს კიდევ რა უშავს, შენ დიჟონი უნდა ნახო! როგორც ყველა პროვინციულ ქალაქში, ლამაზმანებს აქაც ვერ მოთვლი. იმ წლებში მოდა სულ უფრო სექსუალური ხდებოდა. ამ პრანჭია, მოკლექაბიანი და მუდამ მოლიმარე გოგონების შემხედვარეს, სული ყელში მებჯინებოდა. აუტანელი ტანჯვა იყო! დღისით ლექციებზე ვხვდებოდი, შუადღისას, კოლეჯის გვერდით, კაფე "Penalty"-ში. სხვა რა საქმე ჰქონდათ, ბიჭებს ელლაბუცებოდნენ. საუზმისას, ცოლთან ვბრუნდებოდი. შაბათობით, ნაშუადღევს, სავაჭრო ქუჩებში ტევა არ იყო, გოგონები მალაზიებში დაძრწოდნენ, ზიზილ-პიპილა ტანსაცმელს და ფირფიტებს ყიდულობდნენ. ანი ბავშვის ტანსაცმელს ათვალეირებდა. ფეხმძიმობა კარგად მიდიოდა და ანის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. ბევრი ეძინა და საქმელს არ იკლებდა. დიდი ხანია, ერთად აღარ ვინეჭით, მაგრამ არაფერს იმჩნევდა. ფეხმძიმე ქალების კურსებზე ვილაც-ვილაცებს დაუახლოვდა. გულლიასა და ხალისიანს, ადამიანებთან ურთიერთობა არ უჭირდა... ერთი სიტყვით, ცხოვრება დღესასწაულად ეჩვენებოდა. როდესაც შევიტყვე, რომ ბიჭს ელოდებოდა, თავზარი დამეცა. ამაზე უარესი რა უნდა მომსვლოდა! წესით და რიგით, სიხარულით მეცხრე ცაზე უნდა მეფრინა, მე კი, ოცი წლის ასაკში, თითქოს ცოცხლებში აღარც ვენერე.

ვიქტორი დეკემბერში დაიბადა. ახლაც მახსოვს მისი ნათლობა სენ-მიშელის ეკლესიაში. მერწმუნე, ამალეღვებელი სანახაობა იყო. "მირონცხებულნი ქვანი ცხოველნი არიან საყდრისა და წმინდა საკურთხეველის აღსაშენებლად," - წარმოსთქვა მღვდელმსახურმა. სულ მთლად წითელი და დანაოჭებული ვიქტორი მაქმანთან თეთრ კაბაში გამოვანყვეთ. ჯგუფური ნათლობის დღე იყო და ეკლესიაში ათიოდე ოჯახს მოეყარა თავი. ადრექრისტიანული წესჩვეულება გამახსენდა. "ნათლობა ეკლესიას გვაზიარებს და ქრისტეს სხეულის ნაწილად გვაქცევს", - გვმოძღვრავდა მღვდელი. ანის მკლავებში მწოლიარე ვიქტორი, რომელიც ოთხ კილოს იწონიდა, ჭკვიანად იყო და ბოლომდე ხმა არ გაუღია. "ამიერიდან, ერთურთის ნაწილებიც ვხდებით", - გამოგვიცხადა მღვდელმა. მმო-

ბლებმა ერთმანეთს ეჭვით გადავხედეთ. შემდეგ მღვდელმა სამგზის გადაასხა ნათლობის წყალი თავზე ჩემს ვაჟიშვილს და მირონი სცხო. ეპისკოპოსის მიერ ნაკურთხი სურნელოვანი ზეთი წმინდა სულის ძღვენაო, აგვიხსნა მღვდელმა და ჩვილისკენ მიბრუნდა: "ვიქტორ, შენ უკვე ქრისტიანი ხარ. წმინდა სულის მიერ მირონცხებული, ქრისტეს სხეულის ნაწილად იქეც და ამიერიდან, მისი მონამებრივი, საღვთო და მეფუფრი ღვანლის თანაზიარი ხდები". ყოველივე ამან ისე დამზაფრა, რომ "ცხოვრება და რწმენა"-ს ჯგუფის წევრი გავხდი, რომელიც ოთხშაბათობით იკრიბებოდა. იქ ერთი კორეელი ქალიშვილი დამხვდა. დავინახე თუ არა, წამსვე მისი გაჟიფვა მომინდა. არცთუ ისე ადვილი საქმე იყო, იცოდა, რომ ცოლიანი ვიყავი. ერთ შაბათ დღეს ანიმ მთელი ჯგუფი სახლში დაპატიჟა. კორეელი ტახტზე იჯდა; მოკლე კაბა ეცვა; მთელი საღამო მისი ფეხებისთვის თვალი არ მომიშორებია, თუმცა არავის არაფერი შეუნიშნავს.

თებერვლის არდადეგებზე ანი, ვიქტორთან ერთად, მშობლებთან გაემგზავრა. დიჟონში მარტო დავრჩი და კიდევ ერთხელ შევეცადე თავი მომეთოკა. "ეპედას" ლეიბზე წამოწოლილი "უმნიკვლო წმინდანთა მისტერიას" ვკითხულობდი და არაყს სვენებ-სვენებით ვწრუპავდი. ეს პეგი* მართლაც რომ დიდებულია, ბევრი რომ არ გავახურო, მაგარი ვინმეა, მაგრამ მანაც ვერ მიშველა, ის კი არა და, გუნება სულ მთლად მომიშხამა. აბა, რა ჩემი საქმეა სხვისი ცოდვა ან ცოდვის პატიება; მერე კიდევ ეს ღმერთი, რომელსაც ათასი მორწმუნეს სულის ხსნაზე მეტად ერთი ცოდვილის მონანიება ახარებს... ძალიანაც მინდა შევცოდო, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის, არ გამომდის. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ახალგაზრდობა მომპარეს; მე მხოლოდ ის მსურდა, რომ ტუჩებდაბერილ გოგონებს ჩემი მამალო მოენუნნათ... სხვა არც არაფერი მინატრია. დისკოთეკებში ასეთ გოგონებს რა გამოლევს, ამიტომ ანის არყოფნაში, "Slow Rock"-ის და "ჯოჯოხეთის" საცეკვაო დარბაზებში სიარულს მოგუხშირე. მაგრამ კახპები სხვა ბიჭებს ეტმასნებოდნენ და სხვა მამალოებს წუნნიდნენ. ეს უკვე მეტისმეტი იყო. სწორედ იმ დროს "ვარდისფერი მინიტელის" ბუმბა იფეთქა და ატყდა ერთი გნიასი; ღამეებს თეთრად ვათენებდი. სა-

* შარლ პეგი - ფრანგი კათოლიკე პოეტი.

ნოლ ოთახში გადაბარგებულ ვიქტორს ძილს ზარბაზანიც ვერ და-
უფრთხობდა და მეც არ ვერიდებოდი. პირველი სატელეფონო
უწყისი რომ მივიღე, ლამის თავზარი დამეცა: ლიცეუმში მიმავალ-
მა საფოსტო ყუთიდან ამოვიღე და გზაში გადავიკითხე... თოთხ-
მეტი ათასი ფრანკი... ბედი კიდეც, რომ სტუდენტობის დროიდან
შემნახველი სალაროს წიგნაკი შემომრჩა, მთელი თანხა ჩვენს სა-
ერთო ანგარიშზე გადავირიცხე, ასე რომ, ანის არაფერი უგუმანია.

საკუთარი სიცოცხლის გამართლებას ადამიანი სხვის ცქერაში
პოულობს. რაც დრო გადიოდა, მით უფრო აშკარად ვხედავდი,
რომ ჩემი კოლეგები, კარნოს ლიცეუმის მასწავლებლები, ძველე-
ბური ზიზღით აღარ მიყურებდნენ და ტუჩებს არ იზზუებდნენ.
ეტყობა, მეტოქედ არ მთვლიდნენ, ბოლოს და ბოლოს, ერთ საქმ-
ეს ვემსახურებოდით და მეც ერთ-ერთი ჩვენიანი ვიყავი. სწორედ
მათ წარმომიჩინეს ჩვეულ საგანთა არსი. მართვის მონმობა ავიღე
და ავტოსალონების კატალოგებს დავეხარბე. გაზაფხულის დად-
გომისას, ნაშუადღევს გილმარების მდელივთე ვატარებდით. ფონ-
ტენ-დე-დიჟონში ერთი აკონილ-დაკონილი სახლი ედგათ, მაგრამ
ხეებით შემოჯარული მყუდრო მდელი ავ თვალს არ ენახებოდა.
გილმარი ჩემს კლასებში მათემატიკას ასწავლიდა... მაღალი, გამ-
ხდარი, მხრებში მოხრილი, ღია წითური თმით და ჩამოცვენილი
ულვაშებით გერმანელ ბუხჰალტერს მოგაგონებდა. ცოლთან ერ-
თად, მაყალთან ჩირთიფითობდა. საღამოვდებოდა, ჩვენ არდადე-
გებზე ვსაუბრობდით და ნელ-ნელა ღლაბუცის გუნებაზე ვდგებო-
დით. ჩვეულებრივ, ოთხი თუ ხუთი წყვილი ვგროვდებოდით. გიი-
ომის ცოლი ექთანს იყო და ხელიდან გავარდნილი კახპას სახელი
ჰქონდა დაგდებული. მართლაც, მდელივთე დაჯდებოდა თუ არა,
წამსვე მიხვდებოდი, რომ კაბის ქვეშ არაფერი ეცვა. ცოლ-ქმარი
არდადეგებს აგდის კონცხზე, ნუდისტების ბანაკში ატარებდა.
ვფიქრობ, ბოსუეს მოედანზე, წყვილთა საუნაში დაიარებოდნენ;
ყოველ შემთხვევაში, ყური მქონდა მოკრული. ანისთან ამაზე ლა-
პარაკს როგორ ვაგებდავდი, მაგრამ ჩემთვის რომ გეკითხათ, სა-
ნდომიანი წყვილი იყო. სოციალ-დემოკრატიკობისაკენ იყვნენ მიდ-
რეკილი, მაგრამ დედაჩემის კალთას ჩაფრენილ სამოცდაათიანი
წლების ჰიპებს სულაც არ ჰგავდნენ. გილმარი გონიერი და კეთი-
ლი მასწავლებელი იყო, ჩამორჩენილ მოსწავლეებს გაკვეთილების

შემდეგ იტოვებდა და ამოცანების ამოხსნაში ეხმარებოდა. მგონი, ხეობრებსაც ხელსა უმართავდა”.

ბრუნო უცებ გაჩუმდა. წუთის შემდეგ მიშელი ნამოდგა, შემინული კარი გამოაღო და საღამოს გრილი ჰაერის ჩასასუნთქად აივანზე გავიდა. უამრავი მისი ნაცნობი ბრუნოს მსგავს ცხოვრებას ეწევა. თუ ძალიან მაღალი დონის სფეროებს, რეკლამას ან მოდას არ ჩავთვლით, ყველა სხვა წრეში ფიზიკური შეღწევა შედარებით ადვილია: საკმარისია, ერთი-ორი აუცილებელი "პირობითი რეფლექსი" შეითვისო. რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ სექსუალური სურვილი ქრება და ადამიანები მხოლოდ გასტრონომიასა და ღვინოზე ამახვილებენ ყურადღებას. ზოგიერთმა მისმა კოლეგამ, მასზე გაცილებით ახალგაზრდამ, სახლში ღვინის სარდაფიც მოიწყო. ბრუნოს კი, ნურას უკაცრავად, ღვინოზე სიტყვაც არ დაცდენია. არადა, მართლაც ჩინებული სასმელი იყო - 11 ფრანკად და 95 სანტიმად ღირებული "პაპების ძველი ღვინო". მიშელმა ნამით დაივიწყა ძმა, მოაჯირს დაეყრდნო და შენობებს გახედა. ღამე იდგა; ფანჯრებში სინათლე ენთო. 15 აგვისტოს კვირა დღე ილეოდა. მიშელი ბრუნოსთან მივიდა და გვერდით მიუჯდა. მუხლებით ერთმანეთს ეხებოდნენ. შეიძლება თუ არა, ბრუნო პიროვნებად ჩათვალო? მისი ხრწნადი სხეული, რა თქმა უნდა, მისი საკუთრებაა, დრო მოვა და სიცოცხლის დასასრულს და სიკვდილსაც პიროვნულად განიცდის. მეორე მხრივ, სიცოცხლის ჰედონისტური ხედვა და "ძალთა ველი", რომელიც მის ცნობიერებას და სურვილებს აყალიბებს, მთელი თაობის კუთვნილებაა. ფიზიკაშიც ხომ ასეა: იმისდა მიხედვით, თუ რა ნივთიერებას შეარჩევ ცდისას, შეგიძლია ატომურ სისტემას შენთვის სასურველი, კორპუსკულური ან ტალღისებური მოძრაობა შესძინო. მსგავსად ამისა, ბრუნო, ერთი მხრივ პიროვნებაა, მეორე მხრივ კი, მხოლოდ ისტორიული პროცესის პასიური ელემენტი. მოტივაციებით, ღირებულებებით და სურვილებით ის დიდად არ განსხვავდება თანამედროვეებისაგან. ფრუსტრირებული ცხოველის პირველი რეაქცია ძალ-ღონის მოკრება და, რადაც არ უნდა დაუჯდეს, მიზნის მიღწევაა. ასე მაგალითად, მშიერი ქათამი (*Gallus domesticus*), რომელსაც მავთულის ღობე საკენკთან მისვლას უშლის, ღობეში გასაძრომად თავს არ

დაზოგავს. თანდათანობით ამ ქცევას სხვა, ამჯერად უმიზნო და გაუგებარი ქცევა შეენაცვლება. მტრედებიც (Columba Livia), საკვები რომ მოაკლდებათ, გამეტებით უნისკარტებენ მინას, თუმცა ახლომახლო პურის ნამცეციც არ გდია. მტრედები კი თავისას არ იშლიან, ამოდ ირჯებიან და შიგადაშიგ, ნისკარტით ბუმბულსაც ისწორებენ. მსგავს უმიზნო და უადგილო ქცევას, რომელიც, ჩვეულებრივ, ფრუსტრაციის ან კონფლიქტის შედეგია, შენაცვლების აქტივობას უწოდებენ. 1986-ის დამდეგს, ოცდაათ წელს მიტანებულმა ბრუნომ წერას მიჰყო ხელი.

"არც ერთი მეტაფიზიკური მუტაცია, - დანერს წლების შემდეგ ჯერზინსკი, - არ ხდება წინასწარი მცირე მუტაციების გარეშე, რომლებიც მას ამზადებენ და ხელს უწყობენ. მათ ისტორიულ შემთხვევითობად მიიჩნევენ და ყურადღების ღირსად არ თვლიან. პირადად მე საკუთარი თავი ერთ-ერთ ასეთ მცირე მუტაციად მესახება".

ევროპელმა თანამედროვეებმა ჯერზინსკის ვერ გაუგეს. "აზრი, რომელიც თანამოსაუბრის გამოძახილს ვერ პოულობს, - ხაზგასმით აღნიშნავს ჰუბჩეიაკი "კლიფდენურ ჩანაწერებში", - ზოგჯერ ახერხებს, თავი დააღწიოს იდიოსინკრაზიისა და ბოდვის ხაფანგებს; მაგრამ ერთხელაც არ მომხდარა, რომ მას, საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად, უტყუარი საბუთები მოეხმოს". მე მხოლოდ იმას დავამატებ, რომ ჯერზინსკის სიცოცხლის ბოლომდე თავი, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერად მიაჩნდა და თვლიდა, რომ კლასიკურად თვითკმარი და ძნელად უარსაყოფი არგუმენტებით გამაგრებული ბიოფიზიკური ნაშრომებით გარკვეული ამაგი დასდო ადამიანის მოდგმის წინსვლას. უკანასკნელი შრომების ფილოსოფიური ნიაღვრეები, თვით მიშელისთვის, მხოლოდ თამამი გამონათქვამები იყო, შეიძლება, ცოტაოდენ გიჟურიც, არა იმდენად ლოგიკური, რამდენადაც წმინდად პიროვნული.

მიშელს რული მოერია. მთვარე მიძინებული ქალაქის თავზე მიცურავდა. მიშელმა კარგად იცოდა, ერთი სიტყვა და ბრუნო წამოხტებოდა, ქურთუკს მოისხამდა და ლიფტში გაუჩინარდებოდა; მოტ-პიკეზე ტაქსებს რა გამოლევს! საკუთარ ცხოვრებას ვაკვირდებით და ვერა და ვერ გადაგვიწყვეტია, შემთხვევითობის რწმენას მივენდოთ თუ წინასწარგანსაზღვრულობის სიცხადეს. მაგრამ

ნარსულზე რომ მიდგება საქმე, ეჭვის ნასახიც აღარ რჩება: ყოველივე ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო. ეს ილუზია, რომელიც საგნისა და მისი მფლობელის ურთიერთობის ონტოლოგიურ ობიექტურობას ემყარება, ჯერზინსკიმ კარგა ხანია უკან მოიტოვა. ამიტომაც იყო, რომ ერთი უბრალო სიტყვაც არ დასცდენია, ვაითუ, ძმას სიტყვა გაუნყდეს და აღსარება ბოლომდე ვერ მიიყვანოსო. უბრად იჯდა და უსმენდა ამ თვალცრემლიან, ბოლომდე ჩაშვებულ ტიპს, რომელთანაც მხოლოდ სანახევრო გენეტიკური ერთიანობა აკავშირებდა და რომელიც, აგერ მის წინ, სავარძელში ღრმად ჩაფლული, დიდი ხანია გასცდა თავაზიანი ადამიანური საუბრის საზღვრებს. მიშელის მხრიდან, თანაგრძნობაზე თუ პატივისცემაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, მხოლოდ ერთი ბუნდოვანი, თუმცა უეჭველი განცდა შემორჩა: იმედოვნებდა, რომ ბრუნოს პათეტიკური, მიკიბულ-მოკიბული საუბრიდან, ამჯერად მაინც, რაღაც აზრის გამოტანას შეძლებდა. სიტყვას სიტყვა მოყვებოდა და იქნებ, ავად თუ კარგად, ბრუნოს სათქმელი ეთქვა. მიშელი წამოდგა, ტუალეტში შევიდა, კარი ჩარაზა და შეეცადა, რაც შეიძლება უხმაუროდ ერწყია. მერე სახეზე წყალი შეისხურა და სასტუმრო ოთახში დაბრუნდა.

"ჭუმანურობას ვერვინ დაგნამებს, - წყნარად წარმოთქვა ბრუნომ და ძმას ამოხედა, - ეს იმთავითვე შევამჩნიე, როდესაც ვხედავდი, როგორ ეპყრობოდი ანაბელს. რას იზამ, ბედმა ჩემთვის მხოლოდ შენისთანა თანამოსაუბრე გამოიმეტა. ვფიქრობ, ძალიან არ გოცებულხარ, როდესაც იოანე-პავლე მეორეზე ჩემი ჩანანერები გამოგიგზავნე.

- ნებისმიერი ცივილიზაცია... - სევდიანი ხმით წამოიწყო მიშელმა, - დიახ, ნებისმიერი ცივილიზაცია იძულებულია, როგორმე გაამართლოს მშობლების თავგანწირვა. ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე, არჩევანი არ გრჩებოდა.

- მაგრამ მე ხომ მართლაც აღფრთოვანებული ვიყავი იოანე-პავლე მეორეთი! - შეეპასუხა ბრუნო, - მახსოვს 1986 წელი... სწორედ იმ წელს დაარსდა "კანალ +"-სი, M6 და "გლობუსი", "სიყვარულის რესტორნებიც" მაშინ გაიხსნა. იოანე-პავლე მეორე ერთადერთი იყო, ვინც მიხვდა, თუ რა ხდებოდა დასავლეთში. მართალი გითხრა, გოცებულები დავრჩი, როდესაც დიჟონში, დაჯგუფებ-

ამ "რწმენა და სიცოცხლე" ასე გულცივად მიიღო ჩემი ნაშრომი. ჯგუფის წევრები აკრიტიკებდნენ პაპის პოზიციას აბორტის, პრე-ზერვატივებისა და მთელი ამ სისულელეების მიმართ. თუმცა, უნდა ითქვას, არც მე მიცდია მათი გაგება. მახსოვს, ოჯახებში ვიკრიბებოდით... რიგის მიხედვით... სალათი, ვინეგრეტი, ნამცხვარი... მთელი სალამო ბრიყვივით ვიღიმებოდი, თავს ვაქინცირებდი და ჭიქას ჭიქაზე ვცლიდი; საუბარს ყურს არ ვუგდებდი, სიტყვაც არ მახსოვს... ან კი, პირიქით, აღფრთოვანებას ვერ მალავდა, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაშიც კი განევრიანდა. წვეულებაზე წასვლამდე, ვიქტორს რძეში ძილის წამალს ვუყრიდი, მერე ცოტა ხნით, "ვარდისფერ მინიტელს" მიუჯდებოდი და ვანძრევდი, თუმცა "მინიტელით" არავის შევხვედრივარ.

აპრილში, დაბადების დღეზე, ანის ეერცხლის ძაფით ნაკერი, წინდების სამაგრებიანი კორსეტი ვაჩუქე. ერთი გაიპრანჭა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ხათრი ვერ გამიტეხა და ჩაიცვა. სანამ ღილებს იკრავდა, ერთ ბოთლ შამპანურს ხელი მოვუთავე. მერე მისი განვრილებული და თრთოლაშეპარული ხმა გავიგონე: "მზად ვარ..." სანოლ ოთახში შევედი და მყისვე მივხვდი, რომ გაფუჭებულ საქმეს არაფერი ეშველებოდა: სამაგრების შეჭყლეტილი დუნდულები ქვემოთ ჩამოსვლოდა, ჩვილის ნანოვი ძუძუები უშნოდ დაბერვოდა. ზედმეტი ქონის მოშორება, სილიკონის შეყვანა და ეშმაკმა იცის, კიდეც რა უშველიდა... ვიცოდი, ასეთ რამეებს არ დასთანხმდებოდა. სტრინგში თითი შევუყავი, მაგრამ არაფერი გამოვიდა, - ბამბასავით მოშვებული ვიყავი. იმავე წუთს, მეზობელ ოთახში ვიქტორი აყვირდა; გაბმით, აუტანლად წიოდა. ანიმ საბანაო ხალათი მოიცვა და ბავშვისკენ გაქანდა. როდესაც დაბრუნდა, მინეტის გაკეთება ვთხოვე. ცუდად მწუნნიდა, კბილების შეხებას ვგრძნობდი; თვალეები დავხუჭე და ჩემი კლასელი, განელი გოგოს პირი წარმოვიდგინე. მისი ვარდისფერი, ცოტა ხორკლიანი ენა გამახსენდა და ჩემს ცოლს პირში გაუთავე. კიდეც ერთი ბავშვი არაფრად მჭირდებოდა. მეორე დღეს რალაც დავწერე ოჯახზე და გამოვაქვეყნე კიდეც". "იმ წერილს დღემდე ვინახავ..." - სიტყვა გაანწყვტინა მიშელმა, წამოდგა და ბიბლიოთეკიდან ჟურნალი გამოიტანა. ოდნავ გაოცებულმა ბრუნომ ჟურნალი გადაფურცლა და საჭირო გვერდი მოძებნა.

გარკვეული აზრით, ჯერ კიდევ შემორჩა ოჯახები
(ნაპერწკლები რწმენისა ურწმუნოთა გარემოცვაში,
ნაპერწკლები სიყვარულისა ნარწყვეის შუაგულში),
და არვინ იცის, საიდან მოდის მათი ნათება.
გამოუცნობ დაწესებულებებში ვშრომობთ და
სიცოცხლისა და გადარჩენის ძალას სექსი შეგვძენს.
(თანაც მხოლოდ იმათ, ვისთვისაც სექსი ნებადართულია,
ვისაც მასზე ხელი მიუწვდება).

ქორწინება და ერთგულება, დღესდღეობით, არსებობის
საშუალებას გვისძობს,
სამუშაო ოთახში ან აუდიტორიაში ვერ მოვიპოვებთ იმ ძალას,
რომელიც
თამაშის, სინათლისა და გართობისკენ გვიხმობს.
ამრიგად, თითქმის შეუძლებელ სიყვარულს ველტვით, რათა
მოვიხელოთ

საკუთარი ბედი,
ვესწრაფვით, გავყიდოთ დაუძღურებელი, ურჩი,
ვნებადაცემული სხეული
და ვინავლებით
კაეშნის ბურუსში
საბოლოო გაუჩინარებამდე.

დაღმართს მივუყვებით, მარტოსულნი, მიუსაფარნი, იმ
ადგილამდე,
სადაც ყოველივე შავდება,
და კუნაპეტ ლამით
ტბაში შევდივართ,
(ო, რა ცივი ეჩვენება წყალი ბებერ სხეულს).

როდესაც ტექსტს ბოლო წერტილი დაუსვა, ბრუნო მყისვე ეთი-
ლურ კომაში ჩავარდა. ორი საათის შემდეგ ბავშვის ყვირილმა გა-
მოაფხიზლა. ორიდან ოთხ წლამდე, ბავშვებს საკუთარი მე-ს მძაფ-
რი განცდა უჩნდებათ, რაც მათში ეგოცენტრული მეგალომანიის

შეტევებს იწვევს. მათი მიზანია, სოციალური გარემო (რომელსაც, მეტწილად, მშობლები შეადგენენ) საკუთარი სურვილების უმცირეს გამოვლინებას დაუმორჩილონ. მათ ეგოიზმს საზღვარი არ უჩანს. ყოველივე ეს ინდივიდუალური არსებობის შედეგია. ბრუნო იატაკიდან წამოდგა. გიჟური რისხვით სავსე ღრიალი სულ უფრო ძლიერდებოდა. ბრუნომ "ლექსომენის" ორი აბი მურაბის წვენიში გააზავა და ვიქტორის ოთახისკენ გაემართა. ჩვილს ჩაუსვრია. ნეტავ, ანი სად დაეთრევა? ზანგებისთვის გამიზნული წერა-კითხვის გაკვეთილები უფრო და უფრო გვიან მთავრდება. ბრუნომ ჭუჭყიანი, მყრალი საფენები დაითრია და იატაკზე მოისროლა. ბავშვმა უდრტინველად გადაყლურნა წამალი და ტყვიანაკრავივით გახევდა. ბრუნომ ქურთუკი გადაიცვა და შოდრონის ქუჩაზე მდებარე ლამის კაფე "მედისონისკენ" გაუტია. ლურჯი წიგნაკის წყალობით, სამი ათას ფრანკად ერთი ბოთლი "დომ პერინიონი" იყიდა და ქერა ლამაზმანთან ერთად გამოცალა. მერე, მეორე სართულის ოთახში, ქალი დიდხანს ეწვალებოდა მის ასოს, დროდადრო ისვენებდა და ვნებას უხანგრძლივებდა. ქალს ელენი ერქვა, პარიზელი იყო და ტურისტულ ბიზნესს სწავლობდა. ცხრამეტი წლის იყო. შედეგისას, სირზე მოუჭირა და ბრუნოს სამწუთიანი სრული ნეტარების განცდა მოჰგვარა. ნასვლისას ბრუნომ ტუჩებში აკოცა და დაიჟინა, გინდა თუ არა, ფული აიღეო. სამასი ფრანკი ნაღდი ფული კიდევ რჩებოდა.

მომდევნო კვირას საკუთარი ნაწერები ერთ თავის კოლეგას, ორმოცდაათი წლის, დახვეწილი გემოვნების მქონე ლიტერატურის მასწავლებელს, მარქსისტსა და, როგორც ამბობდნენ, ჰომოსექსუალისტს წააკითხა. ფაჟარდი სასიამოვნოდ გაცეცხული დარჩა. "კლოდელის გავლენა იგრძნობა... ან, უფრო ზუსტად, პეგის და მისი თავისუფალი ლექსის... თუმცა, მაინც თვითმყოფადია, ასეთს დღეს ვეღარ შეხვდები". ტექსტების მომავალიც მოხაზა: "ჟურნალი "უსასრულობა", - აი, ჩემო ძვირფასო, სად იქმნება, დღესდღეობით, ჭეშმარიტი ლიტერატურა. თქვენი წერილები სოლერსს უნდა გაუგზავნოთ". ცოტაოდენ შეცბუნებულმა ბრუნომ გვარის გამოკრება სთხოვა, ლეიბების ფირმის სახელს წააგავსო, გაიფიქრა და წერილების გაგზავნა გადაწყვიტა. სამი კვირის შემდეგ გამომცემლობა "დენოელს" დაურეკა. მისდა გასაოცრად, თვით სოლერსი გამოეპასუხა და შეხვედრაზე შეუთანხმდა. ოთხშაბათს ლექცი-

ები არ ჰქონდა: მისვლა-მოსვლისთვის ამაზე ხელსაყრელ დღეს ვერ გამონახავდა. მატარებელში გადაწყვიტა, თავი "უცნაური სიმარტოვის" კითხვით გაერთო, მაგრამ გული ვერ დაუდო, თუმცა "ქალების" რამდენიმე გვერდს თვალი მაინც გადაავლო, განსაკუთრებით იმ ადგილებს, სადაც სექსზე იყო საუბარი. პაემანი უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე კაფეში დანიშნეს. გამომცემელმა ათი წუთით დაიგვიანა. პირში განუყრელი მუნდმტუკი ჰქონდა გარჭობილი. "პროვინციაში ცხოვრობთ? ცუდია. სასწრაფოდ პარიზში უნდა გადმოხვიდეთ. უდავოდ, ნიჭიერი ბრძანდებით. წერილს იოანე-პავლე მეორეზე "უსასრულობის" უახლოეს ნომერში დაებეჭდავთ". ბრუნო გაცდა, არ უწყოდა, რომ სოლერსი "კათოლიკური კონტრეფორმაციის პერიოდში" იმყოფებოდა და პაპის სახობო განცხადებებს სანთლით ეძებდა. "პეგიზე ჭკუა მეკეტება; მარკიზ დე სადზე ალარაფერს ვამბობ! - ალგზნებით წამოიძახა გამომცემელმა, - რაც მთავარია, იკითხეთ სადი!.."

- ოჯახების შესახებ წერილი...

- ისიც ძალიან მომეწონა. კარგია, რომ რეაქციონერი ბრძანდებით. ყველა დიდი მწერალი რეაქციონერია. ბალზაკი, ფლობერი, ბოდლერი, დოსტოვესკი, აი, რამდენი არიან. მაგრამ სექსსაც უნდა მივხედოთ, ხომ ასეა? ჯგუფური სექსი აუცილებელია. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

სოლერსი ხუთ წუთში წავიდა, ბრუნოს კი მსუბუქი ნარცისული ტკბობის შეგრძნება დაეუფლა. უკანა გზაზე ცოტათი დამშვიდდა და გონს მოეგო. ფილიპ სოლერსი, ეტყობა, ცნობილი მწერალი იყო, მაგრამ მისი "ქალებით" თუ ვიმსჯელებთ, მხოლოდ ინტელექტუალურ ბებერ კახპებზე მიუწვდებოდა ხელი. ლამაზმანები მომღერლებს უფრო ეტანებიან. თუ ასეა, რომელიღაც ტრანაკა ჟურნალში ტუტუცი ლექსების გამოქვეყნებას რა აზრი აქვს?!

"ჟურნალის მომდევნო ნომერი რომ გამოვიდა, ხუთი ცალი მაინც ვიყიდე, - გააგრძელა ბრუნომ, - საბედნიეროდ, წერილი იოანე-პავლე მეორეზე არ დაუბეჭდავთ, - ბრუნომ ამოიოხრა, - მართლაც, დიდი ვერაფერი ტექსტი იყო... ღვინო დაგრჩა?"

- მხოლოდ ერთი ბოთლი.

მიშელი სამზარეულოში გავიდა და ბოლო, მეშვიდე ბოთლი შემოიტანა. დაღლილობა მოეძალა. "ხვალ, მგონი, მუშაობ?" - ჰკვი-

თხა ძმას. ბრუნო ჩუმად იყო, იჯდა და იატაკს ჩასჩერებოდა. ვერ მიხვდებოდი, რამ დააინტერესა: იატაკზე ტალახის რამდენიმე კოშტი ეგდო. საცობის ტკაცუნზე გამოერკვა და ჭიქა გაინვდინა. ღვინოს ნელ-ნელა ყლაპავდა. იატაკს თვალი მოაცილა და ახლა რადიატორს მიაშტერდა. ჩანდა, საუბრის გაგრძელების სურვილმა გადაუარა. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ, მიშელმა ტელევიზორი ჩართო: გადაცემაში ბოცვრებზე ლაპარაკობდნენ. მიშელმა ხმა გათიშა. ვინ იცის, იქნებ საქმე კურდღლებს ეხებოდა, მიშელი ერთს მეორესგან ვერ არჩევდა. უცებ, ბრუნოს ხმა გაიგონა და გაუკვირდა:

"იმას ვიხსენებდი, რამდენი წელი დაგყავი დიჟონში. ოთხი? ხუთი? საქმეს რომ აყვები, ყველა წელი ერთმანეთს ემსგავსება. წინ კი მხოლოდ ავადმყოფობაა და შვილები, რომლებიც თვალსა და ხელს შუა იზრდებიან. ვიქტორიც წამოიზარდა და "მამას" მეძახდა.

უცებ ბრუნოს ტირილი წასკდა. სავარძელში მოკუნტული, გულამოსკენილი ქვითინებდა. მიშელმა საათს დახედა: ხუთის წუთები იყო. ტელევიზორის ეკრანზე, გარეულ კატას კბილებით მკვდარი ბოცვერი თუ კურდღელი ეკავა.

ბრუნომ ქალაღის ცხვირსახოცი ამოიღო და თვალების კიდეები შეიმშრალა. ცრემლები ისევ სდიოდა. შვილზე ფიქრობდა. საბრალო პატარა ვიქტორი!.. "სტრენჯიდან" სურათებს იხატავდა და მამა უყვარდა, მან კი სულ მცირე ბედნიერება და სიყვარული ვერ უწილადა. ახლა, როდესაც ბიჭი თხუთმეტი წლის გახდა, ბედნიერებაზე ფიქრი გვიანაა.

"ანი სხვა შვილებზეც არ იტყოდა უარს, ოჯახის დედობა მისთვის ზედგამოჭრილი იყო. მე ვაიძულე, პარიზში დაბრუნებულიყო და საქმეს დადგომოდა. რა თქმა უნდა, უარი ვერ გამოიბედა, - ქალი ხომ პროფესიულ საქმიანობაში იფურჩქნება. იმ დროს ყველანი ასე ფიქრობდნენ ან, შეიძლება, თავს იკატუნებდნენ. ანი კი ბრმად ენდობოდა სხვების აზრს. მე კარგად ვიცოდი, რომ პარიზში დაბრუნება უშფოთველ განქორწინებას მოასწავებდა. პროვინციაში, ასე თუ ისე, ყველა ერთმანეთს ხვდება, ყველამ ყველაფერი იცის, მე კი არაფრად მეპიტნავებოდა, რომ ვინმეს ჩემს განქორწინებაზე ელაპარაკა, თუნდაც, გავემართლებინე. 89-ის ზაფხულში უკანასკნელი არდადეგები მოვინყვეთ. კარგად მახსოვს საზი-

ზღარი აპერიტივი და პლაჟზე გოგოების თვალთვალი. ანი მეოჯახე ქალებთან ჭორაობით იქცევდა თავს. პირაღმა რომ ამოტრიალდებოდა, ცელულიტის გამონაყრები უჩანდა, პირდაღმა დანოლილს, ზურგზე წითელი ზოლები ემჩნეოდა. მაროკოში ვიყავით, იქაური არაბები თავხედურად იქცეოდნენ, მცხუნვარე მზე ტვინს გვიბურღავდა. საღამოობით კარავში ნძრევა კანის კიბოს აკიდებდა არ ღირდა. აი, ვიქტორი კი ერთობოდა, მაგარ დროს ატარებდა..." ბრუნოს კიდევ ერთხელ ჩაუნყდა ხმა.

"ნაძირალასავით ვიქცეოდი! ვიცოდი, რა ხვითოც ვიყავი. ჩვეულებრივ, მშობლებს თავი სამსხვერპლოზე მიაქვთ და ასეც უნდა იყოს. ახალგაზრდობასთან განშორებას ვერაფრით შევეგუე; იმის ფიქრიც კი მზარავდა, რომ ჩემი შვილი გაიზრდებოდა და ჩემს მაგივრად ის იქნებოდა ახალგაზრდა. იქნებ წარმატებისთვისაც მიეღწია, მაშინ როცა მე საკუთარი ცხოვრება ტალახში ამოვსვარე. ჰოდა, ისევ დამოუკიდებელ პიროვნებად ქცევა მოვისურვე".

- მონადად, - წყნარად წარმოსთქვა მიშელმა.

ბრუნომ გამოწვევა არ მიიღო, ჭიქა დაცალა და ბოთლი შეათვალა: "წვეთიც აღარ დარჩა..." დაბნეული ჩანდა; წამოდგა და ქურთუკი ჩაიცვა. მიშელმა კარებამდე მიაცილა. "შვილი მიყვარს, - თქვა ბრუნომ, - რამე რომ შეემთხვეს და უბედურებას გადაეყაროს, ვერ გადავიტან. ყველაზე მეტად მიყვარს, მაგრამ მის არსებობას ვერა და ვერ შევეჩვიე". მიშელმა თავი დაუქნია, შენი მესმისო. ბრუნო ლიფტისკენ წავიდა.

მიშელი სანერ მაგიდასთან მივიდა და ფურცელზე დაწერა: "უნდა ვიფიქრო სისხლზე". მერე წამოწვა, იქნებ რამე აზრი მომივიდესო, მაგრამ უმალ ჩაეძინა. რამდენიმე დღის შემდეგ ის ფურცელი მოძებნა, ქვემოთ მიაწერა: "სისხლის ყვილი" და ათიოდე წუთი შეფიქრიაწებული დაჰყურებდა ნაწერს.

პირველ სექტემბერს, დილით, ჩრდილოეთის სადგურზე, ბრუნო კრისტიანს ელოდებოდა. ქალი ნუაიონიდან ამიენში ავტობუსით ჩავიდა, იქ კი პარიზის მატარებელში ჩაჯდა. მშვენიერი დღე იდგა. მატარებელი 11 საათსა და 37 წუთზე ჩამოდგა. კრისტიანს ყვავილებით მოხატული, მაქმანებით განწყობილი გრძელი კაბა ეცვა; ბრუნომ ქალი მკერდზე მიიკრა, გული ორთავეს ამოვარდნაზე ჰქონდა.

ჯერ ინდურ რესტორანში ისადილეს, მერე სანერაოდ ბრუნოსთან წავიდნენ. სადგურში წასვლამდე ბრუნომ იატაკი მოაპრიალა და ლარნაკებში ყვავილების ჩადებაც მოასწრო. სუფთა ზენრებს სასიამოვნო სუნი ასდიოდა. ბრუნო გათავებას არ ჩქარობდა: ქალის ორგაზმს ელოდებოდა. ფარდების ღიობიდან მზე იჭყიტებოდა და ქალის შავ, აქა-იქ ჭალარანარევ თმებს ელამუნებოდა. კრისტიანმა ერთიმეორეს მიყოლებით, ორჯერ გაათავა, აცახცახდა, საშო შეუვინროვდა და ბრუნომაც აღარ დააყოვნა. მერე ქალის მკლავებში მოიყუჟა და ორთავემ ჩაიძინა.

როდესაც გაიღვიძეს, მზე მაღალსართულიან სახლებს ეფარებოდა. შვიდი საათი იქნებოდა. ბრუნომ თეთრი ღვინის ბოთლი გახსნა. დიუნიდან ჩამოსვლის შემდეგ გატარებულ წლებზე აქამდე სიტყვა არავისთან დასცდენია. ახლა, სწორედ ამაზე ლაპარაკს აპირებდა.

"1989-ში, სასწავლო წლის დაწყებისას, ანიმ სამსახური იშოვა კონდორსეს ლიცეუმში. როდიეს ქუჩაზე საკმაოდ ბნელი, მოცუტქნული სამოთახიანი ბინა ვიქირავეთ. ვიქტორი საბავშვო ბაღში მივაბარეთ; მე თავისუფალი დრო გამიჩნდა და კახპეში სიარული

დავინყე. უბანში ტაიტური მასაჟის სალონებს გვერდს ვერ აუქცევდი, - "ახალი ბანგოკი", "ოქროს ლოტოსი", "მაი ლინი" და ვინ იცის, კიდევ რამდენი... ქალიშვილები თავაზიანად იქცეოდნენ და ღიმილს არ იშორებდნენ... ასე რომ, საქმე კარგად აენყო. ფსიქიატრთანაც დავდიოდი. ზუსტად ვერ გეტყვი, მაგრამ, მგონი, წვერიანი იყო, ან, იქნებ, რომელიმე ფილმის გმირში მერევა... ჩემს სიყმანვილეზე ვესაუბრებოდი, მასაჟის სალონებზეც გადავუკარი სიტყვა... ვხედავდი, რომ ვძულდი, მე კი ვკაიფობდი... ასე იყო თუ ისე, იანვარში მივატოვე და სხვასთან მივედი. ახალი ფსიქიატრი კარგი ვინმე იყო, თანაც კლიენტებს სტრასბურ-სენ-დენისთან იღებდა, ასე რომ, სეანსების შემდეგ, პიპ-შოუში შევლა შემეძლო. დოქტორ აზულეს მისაღებში, პატარა მაგიდაზე, ხროვად ეყარა "პარი-მატრის" ნომრები. ერთი სიტყვით, საქმის მცოდნე ექიმის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ჩემი ამბით არცთუ ისე დაინტერესდა, მაგრამ ამას არად დაგიდევდი; მართალი თუ გინდა, ერთი ჩვეულებრივი პაციენტი ვიყავი, სხვებისგან არაფრით გამორჩეული, გასაცოდავებული და გამოქლიავებული ბებერი, რომელსაც ცოლზე აღარ უდგება. სწორედ იმ ხანებში, ჩემი ფსიქიატრი ექსპერტად მიიწვიეს ყმანვილი სატანისტების პროცესზე, რომლებმაც ვილაც გონებაჩლუნგი ხეიბარი ქალი ჯერ გულდაგულ აქნეს, მერე კი თავიან-ფეხიანად შექამეს. მაგარი ამბავია, სად ეს და სად ჩემისთანა ტუტუცების გაუთავებელი პრუტუნი! ყოველ შეხვედრაზე მირჩევდა, ვარჯიში დაიწყეო. არა და არ იშლიდა, მუდამ ამას მიჩიჩინებდა. ისე კი, ბოლო ხანებში, ღიპი მასაც დაეტყო. საკაიფო, თუმცა ცოტა ერთფეროვან სეანსებს მიტარებდა. ერთადერთი, რაც ახალისებდა, მშობლებთან ჩემს ურთიერთობაზე საუბარი იყო. თებერვალში ერთი მაგარი რალაც ვუამბე. ამბავი "მაი ლინის" მოსაცდელში მოხდა. ვილაც, ბუნდოვნად ნაცნობი სახის ტიპს გვერდით მივუჯექი. მომკალი და ვერ ვისხენებდი, ვის მაგონებდა. ჯერ მისი რიგი მოვიდა, მერე, წუთიც არ გასულა, მეც მივყევი. ორად ორ კაბინას ერთმანეთისგან პოლიეთილენის თხელი ფარდა ჰყოფდა, ასე რომ, იმ ტიპის გვერდით აღმოვჩნდი. როდესაც გოგომ გასაპნული მკერდით საზარდული დამიზილა, გონება გამინათდა: ეს ტიპი, აგერ ახლა "სხეული სხეულზე" რომ შეუკვეთა, მამაჩემი იყო. დაბერებული, ნაღდი პენსიონერი... მაგრამ, მაინც მა-

მაჩემი... ამას წყალი არ გაუვიდოდა... გავიგონე, როგორ ამოიხვ-
ნეშა გათავებისას, ის კი არა, მესმოდა, როგორ ეცლებოდა სათე-
სლე პარკუჭები. მეც გავათავე, მაგრამ ჩაცმას არ ვჩქარობდი. მა-
მაჩემთან შეხვედრა გულზე არ მეხატებოდა. თუმცა იმ საღამოს,
როდესაც ეს ამბავი ფსიქიატრს ვუამბე, შინ მობრუნებულმა, მო-
ხუცს დავურეკე. ჩემი ხმა რომ გაიგონა, გაცივებით გაიოცა, მაგ-
რამ ძალიანაც გაიხარა. მართლა პენსიაზე გასულა. კლინიკის წი-
ლი გაუყიდა და ამ ბოლო დროს, ფულიც ბევრი დაუკარგავს, მა-
გრამ ჯერ კიდევ არა უშავდა, სხვებივით არ დაქცეულა. შეხვედ-
რაზე შევთანხმდით, თუმცა ორთავეს კარგად გვესმოდა, რომ ეს
ორ-სამ დღეში არ მოხდებოდა.

მარტის დასაწყისში, აკადემიის ინსპექციიდან დამირეკეს: მოს-
ლიცეუმის მასწავლებელმა დროზე ადრე ითხოვა დეკრეტული შვე-
ბულება, ამგვარად, სასწავლო წლის ბოლომდე ვილაცას უნდა შე-
ეცვალა. შევფიქრიანიდი, მოში დაბრუნება არცთუ ისე მეპიტნავე-
ბოდა, ლიცეუმიდან ცუდი მოგონებები გამომყვა. სამი საათი ვყო-
ყმანობდი, მერე კი მივხვდი, რომ ყველაფერი ფეხებზე მეკიდა. სი-
ბერეც ეს არის: ემოციური რეაქციები ცვდება, ცოტა რამ თუ გა-
დარდებს, ცოტა რამ თუ გახარებს. საკუთარი ორგანოების მოქმე-
დებას და მათ მყიფე წონასწორობას აყურადებ, სხვა არაფერი გა-
ინტერესებს. მატარებლიდან რომ გადმოვედი და ქუჩას შევუყევი,
ქალაქის სიმცირემ და ულაზათობამ გამაოცა... იქაურობა უსახუ-
რი და უფერული მეჩვენა. ბავშვობაში, კვირაობით მოში რომ ჩა-
მოვდიოდი, ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს უზარმაზარ
ჯოჯოხეთში ამოვყავი თავი. არადა, სულ პატარა ჯოჯოხეთი ყო-
ფილა, არაფრით გამორჩეული, ერთფეროვანი. მხოლოდ სახლები
და ქუჩები... მათთან არაფერი მაკავშირებდა... ლიცეუმსაც სახე
უცვლია. ინტერნატის კორპუსში ქალაქის ისტორიის მუზეუმმა
დაიდო ბინა. ამ დარბაზებში, ერთ დროს, ბიჭები უწყალოდ მიბრა-
ხუნებდნენ, თავზე მაფსამდნენ, მამცილებდნენ, მაფურთხებდნენ
და უნიტაზში მახრჩობდნენ. მაგრამ ახლა, ცოტაოდენი სევდის გა-
რდა, არაფერს განვიცდიდი. "ნარსულს ღმერთიც ვერ შეცვლის,
მოსახდენი მოხდა", ამტკიცებს რომელიღაც, გვარი აღარ მახსოვს,
კათოლიკე მწერალი. ახლა, როდესაც ვიხსენებ, რა შემრჩა საკუ-
თარი ბავშვობიდან, ვხვდები, რომ ამაში შეუძლებელი არაფერია.

რამდენიმე საათი ქალაქის ქუჩებში დავეხეტებოდი, მერე "პლახის ბარისკენ" გავუხვიე. კაროლინ იესაიანი და პატრიცია ჰოპვეიელი გამახსენდა... მართალი რომ ითქვას, ისინი არც არასოდეს დამიწყებია, ამიტომ, ნუ იფიქრებთ, რომ მოგონებები მინცდამაინც ამ ქუჩებმა აღმიძრა. ქუჩები ახალგაზრდებით და შავკანიანი ემიგრანტებით იყო გადაჭედილი. ამდენი ემიგრანტი ჩემს სიყმანვილეში არასოდეს მინახავს: ქალაქი ნამდვილად გადასხვაფერდა. ბოლოს, ლიცეუმში მივედი. დირექტორი გამხიარულდა, როდესაც შეიტყო, რომ მე ლიცეუმის ყოფილი მოსწავლე ვიყავი, ჩემი პირადი საქმის მოძიებაც მოინდომა, მაგრამ სიტყვა ბანზე ავუგდე და უსიამოვნება თავიდან ავიცილე. სამი კლასი მერგო: მეორე, პირველი "ა" და პირველი "გ". ნამსვე ვიაზრე, რომ ყველაზე მეტად პირველ "ა"-ში გამიჭირდებოდა, სამი ბიჭი იყო და ოცდაათამდე გოგო. თექვსმეტი წლის გოგოები... ქერთმიანები, შავგვრემანები, წითურები... ფრანგები, არაბები, აზიელები... გადასარეგები, ვნებისმომგვრელები... ჩანდა, სიყვარულში გამოცდილები იყვნენ, ბიჭებს იცვლიდნენ, საკუთარ სიყმანვილეს არ ზოგავდნენ... ყოველ დილით, პრეზერვატივების ავტომატს გვერდს რომ ჩაუვლიდი, ვხედავდი, რა მოურიდებლად აძრობდნენ გოგონები ერთ ან ორ ცალს. მე აინუნშიც არ მაგვებდნენ.

ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც პირველად გავიფიქრე, რომ ბედმა მეც გამიღიმა: მშობლებგაყრილ რომელიმე გოგოს, მამის ძიებაში, იქნებ მონყალების თვალით გადმოეხედა. აბა, ამას წინ რა ედგა? ვგრძნობდი, რომ საქმე გაიჩარებოდა. მაგრამ ამისთვის ვაუკაცი, ბეჭებგანიერი, საკუთარ ძალებში დარწმუნებული მამა იყო საჭირო. წვერი მოვუშვი და ტანვარჯიშის კლუბში ჩავეწერე. წვერი დიდად ვერაფერში წამადგა, მეჩხერ-მეჩხერ იზრდებოდა და ქლესა იერს მძენდა - სალმან რუშდის ვგავდი. აი, კუნთები კი გვარიანად დამებერა და მკერდიც ამოიბურცა. მაგრამ თავი და თავი ჩემი ჩხირი გახლდათ. ახლა, შეიძლება, სიგიჟედაც გეჩვენოთ, მაგრამ სამოცდაათიან წლებში მამაკაცის ასოს ზომა არვის ანალვლებდა. სიყმანვილეში, ჩემს ფიზიკურ კომპლექსებს ვინ მოთვლიდა, სირზე კი სამდურავი არასოდეს დამცდენია. არ ვიცი, ვინ დაიწყო ამაზე ლაპარაკი. ეტყობა, პედერასტებმა. ისე, ამაში ამერიკული დეტექტიური რომანებიც ბევრს სცოდავენ. სარტრთან კი

ამის ხსენებაც არ არის. ასეა თუ ისე, ტანვარჯიშის კლუბის საშხაპეში ერთხელ და სამუდამოდ დავრწმუნდი, რომ ბარძაყებს შორის პანანკინტელა ლერნი მეკიდა. სახლში მაინც გადავამოწმე: 12 სანტიმეტრი, ჰა, დიდი-დიდი, 13 ან 14, ისიც თუ სანტიმეტრს ასოს ძირამდე მივიტანდი. ესეც ახალი თავის ტკივილი და სატანჯველი! ამას აღარაფერი ეშველება, რაც არის, არის, მორჩა და გათავდა. სწორედ მაშინ ავითვალწუნე ზანგები. ლიცეუმში არცთუ ისე ბევრნი იყვნენ, სამაგიეროდ, პიერ-დე-კუბერტენის ტექნიკურ სკოლაში, გიყვარდეს! ეს ის სკოლაა, სადაც ცნობილი დეფრანსი ფილოსოფიურ სტრიპტიზს ახურებდა და ახალგაზრდებს ტრაკში უძვრებოდა. ერთი ზანგი პირველ "ა"-ში მეც მყავდა, მოტევებული ტიპი, სახელად ბენი. ქუდს თავიდან არ იშორებდა და მუდამ "ნაიკის" შორტებით დადიოდა. ეტყობა, პალოც ვეებერთელა ჰქონდა. რა გასაკვირია, რომ გოგოები კისერზე ეკიდებოდნენ ამ ტყიურს! მე კი მათ მალარმეს ლექსებს ვაზუთხინებდი. ტყუილი წყლის ნაყვად იყო! ევროპული ცივილიზაციის დასასრულის წარმოდგენაზე გული მეთანაღრებოდა: ბაბუინ hamadryas მსგავსად, ისევ წინ გავეგებით უზარმაზარ ასოს. გაკვეთილებზე საცვლების გარეშე სიარული ჩვევად ვაქციე. ზანგი, გინდა თუ არა, ჩემს რჩეულს დაეჯახა. ლამაზი გოგო იყო, ძალიან ქერა, ბავშვური სახით და ვაშლივით მკვრივი ძუძუებით. გაკვეთილზე ხელჩაკიდებული მოდიოდნენ. წერიტი სამუშაოს დროს ფანჯრებს ვხურავდი. გოგონებს ცხელოდათ, პულოვერებს იხდიდნენ და გაოფლილ ძუძუებს ამზეურებდნენ. მე კი მაგიდის უკან ჩემთვის ვანძრევდი. მახსოვს, ერთხელ "გერმანტების მხარეს" ნანყვეტის ახსნა-განმარტება ვთხოვე:

"სისხლის სიწმინდემ, რომელშიც მხოლოდ ის აირეკლა, რაც კი რამ დიადი იყო საფრანგეთის ისტორიაში, მისი ყოფიერების ყაიდას მოაცილა ყოველივე, რასაც მდაბიონი "პრანჭკვას" უწოდებენ და, ამის სანაცვლოდ, სრულყოფილი უბრალოება შესძინა".

ბენს ვუთვალთვალებდი: ხან თავს იფხანდა, ხან ყვერებს ეთამაშებოდა, თან საღეჭ რეზინს ცოხნიდა. ეს მაიმუნი პრუსტის გამონათქვამს თავსა და ბოლოს როგორ გაუგებდა? ჩვენში დარჩეს და სხვებიც ამაოდ იჭყლეტდნენ ტვინს. ის კი არა, მეც მიჭირდა იმის გაგება, თუ რის თქმა სურდა სინამდვილეში პრუსტს. ეს ათობით გვერდი სისხლის სინმინდებზე, გენიოსის ღირსებასთან შე-

დარებით წარმომავლობის გაკეთილშობილების სიმცირეზე, მედი-
ცინის ვარსკვლავთა გამორჩეულობაზე მხოლოდ სიტყვიერ ფაღა-
რათად მიმაჩნდა. დღეს სამყარო საგრძნობლად გამარტივდა. ჰე-
რცოგინია გერმანტს ნაკლები მაყუთი ჰქონდა, ვიდრე სნუპ დოგი
დოგს. დოგი დოგს ნაკლები მაყუთი ჰქონდა, ვიდრე ბილ გეიტსს,
მაგრამ მასზე მეტი ქალი იხმარა. ორად-ორი პარამეტრი, მეტი რა
საჭიროა? რა თქმა უნდა, შეგიძლია განიზრახო, შექმნა პრუსტის
მსგავსი რომანი-მდინარე, ერთმანეთს დაუპირისპირო სახელი და
სიმდიდრე, სამზეოზე გამოიტანო, ერთი მხრივ, სახელი, რომელიც
მასის აღიარებით მოიხვეჭება, მეორე მხრივ კი ის, რომელსაც
რჩეულთა ვინრო წრე, ე.წ. happy few აღიარებს. მერწმუნეთ, არ-
აფერი გამოგივთ, ამით ვერავის გულს ვერ მოიგებთ. კულტურის
მოღვაწეთა წრეში მოხვეჭილი სახელი მხოლოდ საცოდავი ერზა-
ცია ჭეშმარიტი დიდებისა, რომელსაც მხოლოდ "მასმედია" თუ
შეგძენს და რომელიც, გართობის ინდუსტრიის დახმარებით, გა-
ცილებით მეტ ფულს მოგიტანს, ვიდრე სხვა რომელიმე ადამიანუ-
რი ღვანლი. ვინ ბანკირი, მინისტრი, გინდაც, საწარმოს პატრონი
და ვინ კინომსახიობი ან rock star-ი? საიდანაც არ უნდა მიუდგე,
გნებავთ ფინანსურად, გნებავთ სექსუალურად, ბანკირი და მის-
თანანი სრული არარაობაა. პრუსტის მიერ ესოდენი სიზუსტით და
სინატიფით აღწერილმა გამორჩეული პიროვნების ცნებამ დღეს
ყოველგვარი აზრი დაკარგა. თუკი ადამიანი მხოლოდ იერარქიუ-
ლი ცხოველია, თავად იერარქიის შემოქმედი, მაშინ რადიონაძას-
აც იგივე ღირებულება ჰქონია, რაც პატარა ტრიანონს! პრუსტი
ბოლომდე, თავით ფეხამდე ევროპელი დარჩა; თომას მანთან ერ-
თად, ის, შეიძლება, ერთ-ერთი უკანასკნელი ევროპელია. მისი შე-
მოქმედება არავითარ რეალობას არ უკავშირდება. ის, რაც ქალ-
ბატონ გერმანტზე ითქვა, უეჭველია, დღესაც ინარჩუნებს თავის
ხიბლს. მიუხედავად ამისა, პრუსტი მაინც თავიან-ფეხებიანად,
მოსაბეზრებელია და მეც, ბოლოს და ბოლოს, ბოდლერს მივუბ-
რუნდი. კაეშანი, სიკვდილი, სირცხვილი, თრობა, მონატრება, ერ-
თხელ და სამუდამოდ დაკარგული ბავშვობა... მხოლოდ მყარი,
ცხადზე უცხადესი თემები და სიუჟეტები, რომელთაც ვერ შეედა-
ვები. უცნაურია, ღმერთმანი... გაზაფხული, სიცხე, ვნებისმომგვ-
რელი გოგოშკები... მე კი ვზივარ და ვუკითხავ:

ო, იქმენ დინჯი, ტკივილო ჩემო,
ინატრე ღამე და ისიც მოვა,
ქალაქს შემოსავს ბნელი სუდარა,
ერთისთვის შვება და სხვისთვის გლოვა.

და მაშინ, როცა მდაბიო მონა
ცრუ ალტყინების სიმწარით ტკებდა,
მომეცი ხელი, ტკივილო ჩემო,
მომიჯექ გვერდით, დამიცხრე ვნება.*

სული მოვითქვი. ვგრძნობდი, ლექსმა თავისი გაიტანა; ისეთი სიჩუმე იდგა, ბუზის გაფრენას გაიგონებდი. გაკვეთილი მთავრდებოდა. ნახევარ საათში მატარებელში ჩავჯდები და მალე ცოლსაც ვნახავ. უცებ, ოთახის ბოლოდან, ბენის ხმა მომწვდა: "თავში სიკვდილის აზრი გიტრიალებს, ეჭვი, ბებერო!.." ხმამალლა თქვა, მაგრამ უხეშობაში ვერ ჩაუთვლიდი, პირიქით, ხმაში ცოტაოდენი ალტაცებაც გაურია. ახლაც არ ვიცი, ვის მიმართავდა, მე თუ ბოდლერს. გინდ ისე, გინდ ასე, ლექსის კომენტარისთვის არცთუ ისე ურიგო იყო. ბენს უნდა შევხმინებოდი, მაგრამ მხოლოდ ესლა მოვახერხე: "გართ!" წარბიც არ შეუხრია. ოცდაათი წამი ვაცაღე, შიშის ოფლი მომასკდა, კრინტს ვერ ვძრავდი, მაგრამ იმდენი ძალა მაინც მოვიკრიბე, რომ კიდევ ერთხელ გავუმეორე: "გაეთრით!" ბენი წამოიმართა, დინჯად ამოიღლიავა ნივთები და ჩემკენ წამოვიდა. ყოველ შერკინებაში არის კურთხეული, სასწაულებრივი წამი, როდესაც მოწინააღმდეგეთა ძალა და აგრესია ყოვნდება და წონასწორდება. ბენი მომიახლოვდა; ჩემზე მთელი თავით მაღალი იყო, ვიფიქრე, ახლა კი მომდებს-მეთქი, მაგრამ არა, შებრუნდა და კარებისკენ წავიდა. გავიმარჯვე... თუმცა რა გამარჯვებაზეა ლაპარაკი: მეორე დღეს, ვითომც არაფერიო, ისევ გამოემეცხადა. ჩანდა, რალაცას მიხვდა: ეტყობა, ერთხელ, ჩემს მზერას ჩაავლო, ამიტომ, თავის ნაშას პირდაპირ გაკვეთილზე დაუწყო ხელის ფათური. ქვედაბოლო წამოხადა; ხელს ბარძაყებში უსრიალებდა და მალლა და მალლა მიიწევდა. მერე თავხედური ღიმილით გამომხედა. იმ გოგოზე სული მიმდიოდა. მთელი შაბათი და კვირა

შარლ ბოდლერი, "ფიქრი"

რასისტული პამფლეტის წერას მოვანდომე. ასო გაბრიქინებული მქონდა. ორშაბათს "უსასრულობის" რედაქციაში დავრეკე. ამჯერად, სოლერსმა სამუშაო ოთახში მიმიღო. მხიარული და ცუღღუტი მერჩენა, ისე, როგორც ტელევიზორში, არა, კიდევ უფრო მეტად. "აშკარაა, რასიზმი ძვალ-რბილში გაქვთ გამჯდარი... ბახ-ბახ". ხელის გრაციოზული მოძრაობით, ალაღბედზე ფურცელი დაადრო და ერთი წინადადება შემოხაზა: "ზანგები ჩვენს შურს და აღფრთოვანებას იწვევენ: ჩვენც გვსურს მათსავით პირუტყვებად ვიქცეთ, ვფლობდეთ უზარმაზარ ასოს და ქეეწარმავლის პაწაწა ტვინს, რომელიც ასოს მონა-მორჩილი იქნება." სოლერსმა ფურცელი ჰაერში ააფრიალა. "რაც მაგარი, მაგარია... თამამად და კოხტადაა ნათქვამი... ნიჭი გაქვთ... ზოგჯერ გაკვალული გზით მიდიხართ. მაგალითად, არცთუ ისე მომწონს ქვესათაური: "რასისტებად არ ვიბადებით, რასისტები ვხდებით". იცით, ეს წამოცდენები, სათქმელის გადასხვაფერება, როგორ გითხრათ, ჰმ-ჰმ..." სახე შეეჭმუნხნა, მერე მუნდმტუკით ჰაერში წრე შემოხაზა და ღიმილი დაიბრუნა. კარგი ვინმე ჯამბაზია, თანაც თავაზიანი... "სხვისი გავლენა არც ისე საგრძნობია, არც ვინმეს შეურაცხყოფთ ზედმეტად. მაგალითად, ანტისემიტობას ვერვინ დაგნამებთ!" სხვა ფურცელი ამოიღო და წაიკითხა: "მხოლოდ ებრაელები არ ნანობენ, რომ ზანგებად არ დაიბადნენ, რადგან იმთავითვე ვონების, ცოდვილიანობისა და სირცხვილის გზით სიარული ირჩიეს. დასავლურ კულტურაში ისეთს ვერაფერს ნახავ, რაც შეიძლება გვერდით ამოუყენო იმას, რაც ებრაელებმა ცოდვილიანობისა და სირცხვილის შეგრძნების წყალობით შექმნეს. ამიტომაცაა, რომ ზანგებს განსაკუთრებით ებრაელები ეზიზღებათ." ბედნიერი სახით სავარძლის საზურგეს გადაანვა და ხელები კეფაზე შემოიღო. ერთი წუთით მეგონა, ფეხებსაც მაგიდაზე შემოაწყობდა, მაგრამ არა, შევცდი. ისევ წინ გადმოიხარა, წრიალებდა, ადგილზე ვერ ისვენებდა.

"აბა, როგორ მოვიქცეთ?"

- რა გითხრათ. იქნებ გამოაქვეყნოთ?

- ჰაჰაჰა... - ისე გადაიხარხარა, თითქოს მაგრად ვიშაყირე, - გსურთ "უსასრულობაში" დავბეჭდოთ? რას მიედ-მოედებით, ჯიგარო?.. სელინის დრო რა ხანია დავინწყებას მიეცა... დღეს, რაღაც-რაღაც თემებზე, რაც გსურს იმას ველარ დანერ... ეს რომ და-

ვბეჭდო, კარგი დღე არც მე დამადგება. ისედაც ყელამდე ნეხვში ვარ! რადგან "გალიმარში" ვმუშაობ, ყოვლისშემძლე ხომ არ გგონივართ? იცით, რომ მითვალთვალევენ? ერთი სული აქვთ, ცხვირს როდის წავიტყხ. არა, ნამდვილად გამიჭირდება. იქნებ კიდევ გაქვთ რამე?"

სხვა არაფერი მომიტანია-მეთქი. გაუკვირდა. გული მეტიკნა, იმედი რომ გავუცრუე, ძალიან მინდოდა ბოლომდე "ჯიგარი" დავრჩენილიყავი, ერთად გვეცეკვა ან კოკა-კოლა დაგველია პონრუაიალში. ქვაფენილს ფეხი რომ დავადგი, წამით მწარე უიმედობა ვიგრძენი. სენ-ჟერმენის ბულვარზე ქალები დაცუნცულებდნენ, ცხელი ნაშუადღევით იყო და მივხვდი, რომ ჩემგან მწერალი არ დადგებოდა. იმასაც მივხვდი, რომ ესეც ფეხებზე მეკიდა. რალა მრჩებოდა? სექსი ნახევარი ჯამაგირი მიჯდებოდა, მაღლობა ღმერთს, ანი არაფრის ბაიბურში არ იყო. შემეძლო ეროვნული ფრონტის წევრი გავმხდარიყავი, მაგრამ ვილაც გამოსირებულებთან ერთად მუჟვე კომბოსტოს ჭამით თავი რატომ უნდა მომეკლა? ყოველ შემთხვევაში, მემარჯვენეებში ქალებს სანთლით ვერ იპოვი, ისინი, უფრო დიდი სიამოვნებით, პარაშუტისტებს აძლევენ. ჩემი წერილიც სისულელე იყო, ავიღე და პირველსავე ნაგვის ყუთში გადავუძახე. უპრიანია, ისევ "ჰუმანისტ მემარცხენედ" დავრჩე, შინაგანი ხმა მეუბნება, რომ ასე უფრო გამოვრჩები რამეს. "ესკურიალის" ტერასაზე ჩამოვჯექი. ასო მიხურდა, სულ უფრო იბერებოდა და მენვოდა. ორი კათხა ლუდი დავაყუდე და სახლში ფეხით დავბრუნდი. ხიდზე გავლისას, მეორეკლასელი ავილა, წვრილწვრილი, ლამაზი არაბი გოგონა გამახსენდა. დინჯი, მუყაითი მოსწავლე თანაკლასელებზე ერთი წლით უფროსი იყო. ჭკვიანი, ნაზი სახე ჰქონდა და თვალეებში ეშმაკუნები არ დაურბოდა. ჩანდა, რომ სწავლაზე იყო გადაგებული. ასეთი გოგოებისთვის, რომლებსაც ხშირად ნაძირალებისა და მკვლელების გვერდით უხდებათ ცხოვრება, ორი ღერი ტკბილი სიტყვაც ძვირად ფასობს. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა. ორი კვირის განმავლობაში გაკვეთილებზე ბევრს ვეკითხებოდი, დაფასთანაც ხშირად გამომყავდა. ჩემს მზერას არ გაურბოდა; ვხვდებოდი, რომ ჩემს ქცევაში უცნაურს ვერაფერს ხედავდა. უნდა მეჩქარა, სადაცა ივნისიც დადგებოდა. მერხთან რომ ბრუნდებოდა, ჯინსებში გამონკეპილ

ტაკუნას თვალს ვერ ვაცილებდი. ძალიან გამიტაცა, კახპები სულ მთლად გადამავიწყდა. წარმოვიდგენდი, როგორ შევაცურებდი ჩემს ღეროს გრძელი, შავი თმების სინაზეში. ერთხელ, მისი ნაწერის გასწორებისას, დავანძრიე კიდეც.

პარასკევს, 11 ივნისს მოკლე შავი ქვედაბოლოთი გამომეცხადა. გაკვეთილები ექვს საათზე მთავრდებოდა. პირველ რიგში იჯდა. მერხის ქვეშ ფეხი ფეხს რომ გადაადო, გულის წასვლას ცოტა დამაკლდა. სქელი ქერა გოგო, რომელიც გვერდით ეჯდა, ზარის დარეკვისთანავე დაითესა. წამოვდექი და ხელი მის რვეულზე დავდე. გოგონა არ განძრეულა, ეტყობა, არსად ეჩქარებოდა. მოსწავლეები ნელ-ნელა გაიკრიფნენ, კლასში სიჩუმემ დაისადგურა. რვეული ხელში მეკავა, რამდენიმე სიტყვა კიდეც გავარჩიე: "remember... ჯოჯოხეთი..." გვერდით მივუჯექი, რვეული მარხზე დავდე, მაგრამ სიტყვაც ვერ დავძარი. ერთი წუთით ორთავე გავყურდით. რამდენჯერმე უძირო შავ თვალეებში ჩაეხედე, მის უმცირეს მოძრაობას ვაკვირდებოდი და ვხედავდი, როგორ უთრთოდა ძუძუები. ჩემკენ შემობრუნდა და ფეხები ოდნავ გაშალა. არ მახსოვს, ეს როგორ გავაკეთე, უნებური მოძრაობა თუ იყო, მაგრამ მარცხენა ხელისგულით მისი ბაყვის სიმხურვალე ვიგრძენი. ტვინი ამერია, სურათი სურათს მიყვავ, წამით კაროლინ იესაიანი დამიდგა თვალწინ და სირცხვილი მეხად დამატყდა. იგივე შეცდომა... ოცი წლის წინანდელ შეცდომას ვიმეორებ... კაროლინ იესაიანის მსგავსად, ესეც გაიტრუნა, მხოლოდ ლოყები შეეფაკლა. მერე, წყნარად მოიშორა ჩემი ხელი, მაგრამ წამოდგომა და წასვლა არ უცდია. გისოსებიანი ფანჯრიდან სადგურისკენ მიმავალ გოგოს მოვკარი თვალი. მარჯვენა ხელით შარვლის ელვა-შესაკრავი შევიხსენი. თვალეები გადმოქაჩა და ჩემს ასოს მიაშტერდა. მისი თვალეებიდან ცხელი ტალღა იღვრებოდა, გათავებისთვის ესეც კმაროდა, მაგრამ თავს ვიკავებდი: მსურდა ხელით შემხებოდა და თამაშში ჩართულიყო. მარჯვენა ხელი მისკენ მივნიე, მაგრამ ღონე გამომეცალა და ბოლომდე ველარ გავედი: ასოს წავეტანე და მავედრებელი სახით გოგოსკენ მივქაჩე. სიცილი წასკდა; მგონი, მეც გავიცინე და დანძრევა დავიწყე. ვიცინოდი და ვანძრევდი, გოგომ კი ამასობაში თავისი ნივთები აკრიფა და წასასვლელად გაემზადა. ზღურბლთან შეყოვნდა და ბოლო მზერა მესროლა. გა-

სხმა და რეტის დასხმა ერთი იყო, თვალთ დამიბნელდა, ველარა-ფერს ვხედავდი. მხოლოდ კარის ჯახუნი და ფეხების ბაკუნი გავიგონე. გავითიშე, გეგონებოდა თავში ურო მგლიჯესო, მაგრამ იმდენი კი შევძელი, რომ სადგურიდან აზულეს დავურეკე. არც მატარებელი მასხოვს და არც მეტროში მგზავრობა. რვა საათზე მიმიღო; თავით ფეხამდე ვკანკალებდი. მყისვე დამამშვიდებელი ნემსი გამირჭო.

სამი დღე წმინდა ანას საავადმყოფოში გავატარე, მერე ვერი-ერ-ლე ბუისონში, განათლების სამინისტროს ფსიქიატრიულ კლინიკაში გადამიყვანეს. აზულე შემოფოთებული ჩანდა. იმ წელს უურნალისტებმა პედოფილიაზე ლაპარაკს მოუხშირეს, იფიქრებდი, პირი შეკრეს, მოდი, ერთი, პედოფილებს დავურხიოთო. მერე და რისთვის? თავი და თავი ის იყო, რომ ბებრებისა და სიბერის სიძულვილი ლამის საერთო ეროვნულ იდეად იქცა. გოგო თოთხმეტი წლის იყო; მე მასწავლებელი ვიყავი, რომელმაც საკუთარი ავტორიტეტი ბოროტად გამოიყენა. ამას ისიც ემატებოდა, რომ გოგო არაბი იყო. ერთი სიტყვით, ლინჩისთვის ზედგამოჭრილი წმინდა წყლის ბოროტმოქმედი ვიყავი. ორიოდ კვირაში, მღელვარება ცოტათი ჩაცხრა; სასწავლო წელი იწურებოდა; აჯილასაც, ეტყობა, სიტყვა არავისთან დასცდენია. საქმე შეტრიალდა და უფრო ტრადიციული ხასიათი მიიღო: დეპრესიაში მყოფი, თვითმკვლელობისკენ მიდრეკილი მასწავლებელი მოშლილი ფსიქიკის გამრთელებას ესწრაფვის... საინტერესო ის იყო, რომ მოსკოლელი არასოდეს ითვლებოდა "სასტიკ" სასწავლო დაწესებულებად; ხელმძღვანელობამ ყველაფერი ადრეულ ბავშვობისდროინდელ ფსიქოლოგიურ ტრავმებს დააბრალა, რომლებმაც ჩემი კოლეჯში დაბრუნებისას იჩინა თავი; ერთი სიტყვით, საქმე მიაჩუმათეს.

კლინიკაში ექვს თვეზე ცოტა მეტხანს დავრჩი; მამაჩემმა რამდენჯერმე მომინახულა, ყოველ მოსვლაზე უფრო და უფრო გულღია და დაღლილი მეჩვენებოდა. წამლებით ისე გამჭყიპეს, რომ სექსის სურვილიც კი ჩამიკლეს. ზოგჯერ, რომელიმე ექთანს ხელებს შემომხვევდა, მეც მთელი ტანით ავეკვრებოდი, წამით გავყუჩდებოდი და მერე ისევ ბალიშზე მივესვენებოდი. ამის შემდეგ, თავს ისე კარგად ვგრძნობდი, რომ მთავარმა ფსიქიატრმა ექთნებს სთხოვა, თუ ძალიან არ გეხამუშებათ, მკურნალობის ეს მე-

თოდი ხშირ-ხშირად გამოიყენეთო. ექიმი ეჭვობდა, რომ აზულემ სათქმელი ბოლომდე არ უთხრა, მაგრამ ამდენ შიზოიდ და დასაბმელ გიჟს ძლივს აუდიოდა და მარტო ჩემთვის ვერ მოიცლიდა. რამე იყოს, მკურნალი ექიმიც კარგად მიხედავსო, ფიქრობდა.

მასწავლებლობაზე ფიქრი თავიდან უნდა ამომეგდო, მაგრამ 1991 წელს განათლების სამინისტრომ ფრანგული ენის პროგრამების შემდგენელ კომისიაში განმანესა. საათობრივმა ანაზღაურებამ და სასკოლო არდადეგებმა ჭირი მოგჭამა, მაგრამ ხელფასი იგივე დამრჩა. ცოტა ხანში ანის გავეყარე. ჩვეულ დინებას მივეყვით და აურზაური არ აგვიტყია: ალიმენტზე და ბავშვის მონაცვლეობით მოვლა-პატრონობაზე უკამათოდ შევთანხმდით. ადვოკატები არჩევანს არ გიტოვებენ, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ წესს მოგახვევენ თავს. რიგში პირველები ვიყავით, მოსამართლემ სულმოუთქმელად ჩაიკითხა განაჩენი და საქმე თხუთმეტ წუთში მოვითავეთ. სასამართლოს კიბეებზე ერთად გამოვედით, შუადღე გადასული იყო. მარტის თვე იდგა, მე ოცდათხუთმეტი წლის ვიყავი და კარგად ვხვდებოდი, რომ ჩემი ცხოვრების პირველი ნახევარი დასრულდა."

ბრუნო გაჩუმდა. კარგა ხნის შედამებული იყო, მაგრამ არც ბრუნოს და არც კრისტიანს ჩაცმაზე არ უფიქრიათ. ბრუნომ ქალს შეხედა და სწორედ ამ დროს კრისტიანმა საოცარი რამ გააკეთა: ბრუნოს მიუახლოვდა, კისერზე მოეხვია და ლოყები დაუკოცა.

"მომდევნო წლებშიც არაფერი შეცვლილა, - წყნარად გააგრძელა ბრუნომ, - მე კი ამასობაში თმა გადავინერგე, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ქირურგი მამაჩემის მეგობარი იყო. ტანვარჯიშის კლუბშიც დავდიოდი. შევბუღებზე, "ახალ საზღვრებს", "ხმელთაშუა ზღვის კლუბს" ან მასწავლებელთა პროფკავშირს ვაკითხავდი. რამდენიმე სასიყვარულო თავგადასავალი მქონდა, თუმც არც ისე ბევრი. ჩემი ასაკის ქალებს სექსი დიდად არ ევასებათ, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ იმჩნევენ. ზოგჯერ, მართლაც აყვებიან სურვილს და ვნებას, მე კი ასეთი რამეებისთვის აღარ ვარგვიარ. შენისთანა ქალი აქამდე არ შემხვედრია. არც კი მეგონა, ასეთი ქალები საერთოდ თუ არსებობდნენ.

- იცი... - ქალს ხმა აუკანკალდა, - ცოტათი მაინც კეთილი უნ-

და იყო, ვილაცამ უნდა დაინყოს. იმ მეტიის გოგონას ადგილზე, არ ვიცი, როგორ მოვიქცეოდი. დარწმუნებული ვარ, შენში მაშინაც ვნახავდი რაღაც გულისამაჩუყებელს. ვფიქრობ, ყოველ შემთხვევაში, მეჩვენება მაინც, რომ სიამოვნების მონიჭებაზე უარს არ გეტყვოდი." ქალი სანოლზე განვა, თავი ბარძაყებში ჩაუდო და სირის თავს ენა აუსვ-დაუსვა. "რამეს შევჭამდი, - თქვა უცებ, - დილის ორი საათია, მაგრამ პარიზში რამე სასუსნავს ამ დროსაც იშოვი, ხომ ასეა?"

- რა თქმა უნდა.

- ახლავე გასიამოვნო, თუ ტაქსში დაგინძრიო?

- არა, ახლავე.

მაკვილანის ჰიპოთეზა

ცენტრალური ბაზრისკენ მიმავალი ტაქსი გააჩერეს და ღამის ღუდხანაში ივახშმეს. ბრუნომ ხემსად მუავე კიტრის ნაჭრებში ჩადებული ქაშაყი შეუკვეთა. ახლა უკვე ველარაფერი მავნებსო, გაიფიქრა, მაგრამ ნამსვე მიხვდა, რომ აჭარბებდა. ტვინს რაც შეეხება, ყველაფერი რიგზე ჰქონდა: შეეძლო თავი წარმოედგინა მინდვრის ვირთხად, სამარილედ ან თუნდ, ენერგიას ველად. სინამდვილეში კი, დაუძღვრებულ სხეულს აღარაფერი ეშველებოდა. კრისტიანზეც ეს ითქმოდა. ღამეს ღამე შეენაცვლება, მაგრამ მათი დაშორიშორებული სხეულები ბოლომდე შეინარჩუნებს ინდივიდუალურ ცნობიერებას. ქაშაყისა და კიტრის მონელება რომ შეგიძლია, ეს ვერაფერი შელავათია. კამით განყოფილი ქორჭილაც ვერაფრით ნაადგება საქმეს. კრისტიანი ხმას არ იღებდა, შეწუხებული, უფრო კი იღუმალი ჩანდა. მართლაც რომ მეფური წვნიანი მიირთვეს, მონბელიარის ოჯახური სოსისებით. ბრუნო ისეთმა ნეტარებამ მოიცვა, მამაკაცი საყვარელ ქალთან ვნებიანი სექსის შემდეგ რომ განიცდის; აღარაფერი ანალვლებდა და არაფერზე ფიქრობდა. უცებ, საკუთარი პროფესიული საქმიანობა გაახსენდა და ერთი კითხვა დაებადა: რა გავლენა იქონია პოლ ვალერიმ ფრანგ მეცნიერთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე? წვნიანი მოითავა და სანამ ჩაროზად მიუნსტერს შეუკვეთავდა, პასუხიც მზად ჰქონდა: "არავითარი".

"არაფრის მაქნისი ვარ, - ბედს შეგუებული კაცივით აღიარა ბრუნომ, - ღორების მოვლა არ მეხერხება. სოსისების, ჩანგლებისა

და მობილურების არაფერი გამეგება. ვერაფერს, რაც გარს მარტყია, რასაც ვხმარობ ან ვსანსლავ, რამდენიც არ უნდა ვეცადო, საკუთარი ხელებით ვერ შევექმნი. იმასაც ვერასოდეს გავიგებ, რას როგორ ამზადებენ. ერთ დღეს წარმოება რომ გაჩერდეს და ინჟინრებიც ერთთავად გადაშენდნენ, დავილუპები და ეს იქნება: ვერც კი წარმომიდგენია, თავს როგორ გავიტან, ან რას შევჭამ, ან რას ჩავიცვამ, ან კი უამინდობას როგორ გადავურჩები. ნეანდერტალელზე მწირი ტექნიკური ცოდნა მაქვს, მთლიანად საზოგადოებაზე ვარ ჩამოკიდებული, მას კი არაფერში ვადგივარ. ერთი ეს შემოძლია, მოძველებული კულტურული ღირებულებების მეტ-ნაკლებად საეჭვო კომენტარები ვაკეთო. მიუხედავად ამისა, გვარიან ხელფასს ვიღებ, საშუალოზე მაღალიცაა. ადამიანთა უმრავლესობაც ასეთ დღეშია. კარგად რომ ჩავუკვირდე, ერთადერთი ჩემი ძმია, ვისაც რაღაც სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისთვის.

- ასეთი რა გააკეთა?

ბრუნო ჩაფიქრდა; თეფშზე ყველის ნაჭერს აწვალედა და შთამბეჭდავ პასუხს ეძებდა.

"ძროხის ახალი სახეობა გამოიყვანა. ეს ისე, მაგალითისთვის, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ სწორედ მისი ნაშრომების წყალობით შეიქმნა გენეტიკურად გაუმჯობესებული ძროხები, რომლებიც ჩვეულებრივზე მეტს ინველიან და რძეც უფრო ნოყიერი აქვთ. მან სამყაროს სახე უცვალა, მე კი ვერაფერში გამოვდექი, სამყაროს მისხალიც ვერაფერი შევმატე.

- სამაგიეროდ ვნება არავისთვის მიგიყენებია..." კრისტიანი მოიქუფრა და ჭიქა ძირამდე დაიყვანა. 1976 წლის ივლისში მან ორი კვირა ვანტუს კალთებს შეფენილ დი მეოლას მამულში გაატარა, იქ, სადაც ერთი წლით ადრე ბრუნომ ანაბელი და მიშელი ჩაიყვანა. როდესაც ქალი ბრუნოს იმ ზაფხულის ამბებს მოუყვა, უცნაურმა დამთხვევამ ორთავე სასიამოვნოდ გააოცა, თუმც კრისტიანს მყისვე მწვავე სინანული შემოაწვა: ერთმანეთს 1976-ში რომ შევხვედროდით, როდესაც ბრუნო ოცის, მე კი თექვსმეტი წლის ვიყავი, ჩვენი ცხოვრება სხვაგვარად აენწყობოდაო, - გაიფიქრა. ჰოდა, სწორედ მაშინ მიხვდა, რომ ეს სინანული სიყვარულის პირველი მაცნე იყო.

"არსებითად, - გააგრძელა კრისტიანმა, - ეს, რა თქმა უნდა, დამთხვევაა, მაგრამ ამაში გასაოცარი არაფერია. 50-იან წლებში, ჩემი

დამთხვეული მშობლები და დედაშენი ერთსა და იმავე ანარქისტულ, ცოტა ბიტნიკურ წრეებში ტრიალებდნენ. შეიძლება, კიდეც იცნობდნენ ერთმანეთს, მაგრამ არ ვიცი და არც მაინტერესებს. ყველა მძულს, უფრო მეტიც, მეზიზღება. ისინი ბოროტებას განასახიერებენ, ბოროტებას სჩადიან, შეგიძლია მენდო. 76 წლის ზაფხული არ დამვიწყებია. დი მეოლამ ჩემი ჩასვლიდან ორი კვირის შემდეგ გააცხო სული; კიბო მთელს სხეულს მოსდებოდა და ყველაფერი ფეხზე ეკიდა, თუმცა ჩემს დაბმას მაინც შეეცადა. იმ დროს არა უშავს გოგო ვიყავი. ისე, თავი მაინცდამაინც არ გამოუდია, ეტყობა, ტკივილს ველარ უძალიანდებოდა. მთელი ოცი წელი, გოგოების გამოსაჭერად, სულის იდუმალებათა ზედმიწევნით მცოდნე მოხუც მოძღვრად მოჰქონდა თავი. უნდა ითქვას, კარგადაც გამოსდიოდა და ჩანაფიქრი ბოლომდე მიიყვანა. ჩემი ჩამოსვლიდან ორი კვირის თავზე რალაც მოტკბო სანამლავი დალია, რომელსაც რამდენიმე საათში უნდა ემოქმედა. მერე, იმ დროს იქ მყოფი ყველა სტუმარი მიიღო, თითოეულს რამდენიმე წუთი დაუთმო; ერთი სიტყვით, "სოკრატეს სიკვდილი" გაითამაშა, ხო აზრზე ხარ?! სხვათა შორის, პლატონზე, უპანიშადებზე და ლაო-ძიზე ილაპარაკა, მოკლედ, კარგი ცირკი მოაწყო. ოლდოს ჰაქსლიზეც საკმაოდ ბევრი ისაუბრა, პირადად ვიცნობდით და მასთან შეხვედრები გაიხსენა. ეტყობა, ცოტა გადაამლავა, მაგრამ რას იზამ, მომაკვდავს ყველაფერი ეპატიება. ჩემი რიგი რომ მოვიდა, დავფრთხი, მან კი მხოლოდ პერანგის შეხსნა მთხოვა. ძუძუებს მიაშტერდა, რალაცის თქმას შეეცადა, მაგრამ ვერაფერი გავიგე, ენას ველარ აბრუნებდა. უცებ, სავარძლიდან წამოიმართა და მკერდზე წამეტანა. ნებაზე მივუშვი. წამით სახე ძუძუებში ჩამირგო და ისევ სავარძელში ჩაესვენა. ხელები საშინლად უკანკალებდა. თავით მანიშნა, გადიო. მის თვალეებში სულიერი ამაღლება და სიბრძნე ვერ ამოვიკითხე. მხოლოდ და მხოლოდ შიში...

შებინდებისას მიიცვალა. დაიბარა, სამგლოვიარო კოცონი გორაკის თავზე დაენთოთ. ფიჩხი მოვაქუჩეთ და რიტუალის აღსრულებას შევუდექით. ცეცხლი დავიდმა შეუთხო; თვალეები უცნაურად უელავდა. დავიდზე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ როკს უკრავდა და თავზეხელალებულ, დასვირინგებულ, თავით ფეხამდე ტყავებში გამონყობილ ამერიკელ მოტოციკლისტებს ეტორლიალებოდა. მე დაქალი მახლდა და როცა შელამდა, ორთავე შიშით კარგა მაგრად დაზაფრულები ვიყავით.

ტამ-ტამზე დამკვრელები ცეცხლის წინ გამწკრივდნენ და ნელა, გაბმულ რიტმზე აახმიანეს დოლები. დამსწრენი აცეკვდნენ, აუტანელი სიმხურვალე იდგა და, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება, ყველა გაშიშვლდა. წესიერი კრემაციისთვის საკმეველი და სანდალოზი აუცილებელია. ახლომახლო მიყრილ ტოტებს ადგილობრივი ბალახი - კვლიავი, როზმარინი და ქონდარი შეეჯურეთ. ასე რომ, ნახევარ საათში ირგვლივ მწვადის სუნი იდგა. ეს პირველად დავიდის ტყაპუჭიანმა, სქელუა, გრძელთმიანმა და მეჩხერკბილებიანმა ძმაკაცმა შეამჩნია. მეორემ, რალაც ჰიპის რომ წააგავდა, აგვიხსნა, რომ პირველყოფილ ტომებში, ბელადის შეჭმა ტომის წევრების ერთობას კიდევ მეტ სიმტკიცეს მატებდა. სქელუამ თავი დაუქნია და ახორხოცდა. დავიდი მათთან მივიდა და კამათი დაუნყო. დედიშობილა იყო, ცეცხლი ლამაზად ჩამოქნილ ტანს ულაპლაპებდა, ეტყობა, კუნთებს მაგრად ავარჯიშებდა. ვიგრძენი, რომ საქმეს ცუდი პირი უჩანდა და უკანმოუხედავად სანოლი-სკენ გავქანდი.

ცოტა ხანში წვიმამ დასცხო. არ ვიცი, რა ძალამ წამომავდო სანოლიდან და კოცონთან დამაბრუნა. ოცდაათამდე შემორჩენილი დედიშობილა მოცეკვავე, წვიმის ქვეშ, წრეს უვლიდა. ვილაც ტიპმა მხარზე უხეშად მომქაჩა და ცეცხლთან მიმათრია, რათა მეხილა, რა დარჩა ცხედრისგან. თავის ქალა და თვალის ფოსოები მოჩანდა. სხეული ბოლომდე არ დამწვარა, ნახევარი მიწას შეერია და ტალახის გროვად იქცა. ყვირილი ავტეხე. ტიპმა ხელი მიშვა და მეც მოვქუსლე. მე და ჩემი დაქალი ერთად მეორე დღესვე გამოვემგზავრეთ. ამის შემდეგ მათზე არაფერი მსმენია.

- "პარი-მატი"-ის წერილი არ წაგიკითხავს?

- არა...

კრისტიანს გაოცება დაეტყო. ბრუნომ ორი ყავა შეუკვეთა და სიტყვა გაავრძელა. აი, უკვე რამდენი წელია, ცხოვრების უხეში და ცინიკური, წმინდად მამაკაცური სტილი გამოიმუშავა: სამყარო ცოცხალი არსებებით აფორიაქებული დახშული სივრცეა. ყოველივე მკაცრი, გადაულახავი ჰორიზონტის ჩარჩოებშია მოქცეული, რომელსაც მკაფიოდ ხედავ, მაგრამ ვერა და ვერ აღწევ. ეს ჰორიზონტი ზნეობრივი კანონია. აკი ამბობენ, სიყვარულიც საკუთარ კანონს ემორჩილებაო. კრისტიანი ყურადღებით უსმენდა და მინაზებულ მზერას არ ამორებდა. თვალეებში ცოტაოდენი დაღლა ედგა.

"იმდენად საზიზლარი ამბავია, - ყვებოდა ბრუნო მისუსტებული ხმით, - რომ მიკვირს, რა უცებ მიაჩუმათეს ჟურნალისტებმა. ხუთი წლის წინანდელია, სასამართლო პროცესი ლოს ანჯელესში გაიმართა; სატანისტური სექტები ევროპისთვის ჯერ კიდევ უცხო ხილი იყო. თორმეტ ბრალდებულთან ერთად, საქმეში დავიდ დი მეოლაც გადიოდა, მისი გვარი მყისვე თვალში მომხვდა. მხოლოდ ორმა მოახერხა, პოლიციას ხელიდან დასხლტომოდა. ერთი მათგანი მეოლა იყო, რომელმაც, წერილს თუ ვენდობით, ბრაზილიას შეაფარა თავი. მართლაც საშინელი ბრალდება წაუყენეს. მის ბინაში მკვლელობისა და ძალადობის სცენებით სავსე, წესისა და რიგის მიხედვით აღწუსებული და დანომრილი ასობით ვიდეოკასეტა აღმოაჩინეს. ზოგიერთზე მეოლას ნიღაბიც არ ეკეთა. პროცესზე წარმოდგენილ ერთ კასეტაზე გადაღებული იყო, როგორ აწამეს მოხუცი ქალი, ვინმე მერი მაკ ნალაჰანი და მისი პატარა შვილიშვილი. დი მეოლამ ბებიას თვალწინ გალესილი მარწუხებით ხელ-ფეხი მოაჭრა ბავშვს, მერე თითებით ერთი თვალი ამოთხარა მოხუცს და დასისხლიანებულ ფოსოებში ჩაათესლა. ამავე დროს, ვიდეოკამერით, საკუთარ სახეს მსხვილი ხედით იღებდა. ჩაცუცქული ქალი ლითონის საყელურით კედელზე იყო მიჯაჭვული. შენობა ავტოსადგომს მიაგავდა. ფილმის დასასრულს მოხუცი საკუთარ განავალში იწვა. ფილმი, რომელიც ორმოცდახუთ წუთს გრძელდებოდა, ბოლომდე მხოლოდ პოლიციელებმა ნახეს. ნაფიცმა მსაჯულებმა ათი წუთიც ვერ გაუძღეს.

"მატჩში" გამოქვეყნებული წერილი, უმეტესწილად, კალიფორნიის შტატის პროკურორის დანიელ მაკმილანის "ნიუსუიკისთვის" მიცემული ინტერვიუს თარგმანი იყო. მისი აზრით, სასჯელს არა მხოლოდ ადამიანთა ერთი ჯგუფი, არამედ მთელი საზოგადოება იმსახურებდა. მისი ღრმა რწმენით, ამ მრავლისმეტყველ შემთხვევას სააშკარაოზე გამოჰქონდა ორმოცდაათიანი წლების შემდეგდროინდელი ამერიკული საზოგადოების სოციალური და ზნეობრივი დაცემა. პროცესზე მოსამართლემ რამდენჯერმე სიტყვაც კი გაანყვეტინა და სთხოვა, მხოლოდ დანაშაულის ფაქტებზე ელაპარაკა. მენსონთან პარალელი მას უადგილო ეჩვენა, მით უმეტეს, რომ დი მეოლა ერთადერთი ბრალდებული იყო, რომელსაც რაღაც ბუნდოვანი კავშირი ჰქონდა ბიტნიკებთან და ჰიპებთან.

მომდევნო წელს მაკმილანმა გამოაქვეყნა წიგნი: "From Lust to Murder: a Generation" ("წადილიდან მკვლელობამდე"), რომელიც "მკვლელთა თაობის" სათაურით საკმაოდ ბრყვეულად ითარგმნა ფრანგულად. წიგნმა გამოაცა. მართალი ვითხრათ, რელიგიური ფუნდამენტალისტების ჩვეულ მონაჩმბახს, ანტიქრისტეს დაბრუნებასა და სკოლებში წირვა-ლოცვის აღდგენაზე ლაყაფს ველოდებოდი. ამის სანაცვლოდ კი დასაბუთებულ, ზუსტ მსჯელობებს და უამრავი სასამართლო პროცესის გულდასმით და დანვრილებით განხილვას წავანყდი. მაკმილანი, განსაკუთრებით, დავიდის საქმით დაინტერესდა და მისი ბიოგრაფია წვრილად წარმოაჩინა. ჩანდა, კვლევა-ძიებაში ბევრი ოფლი დაღვარა.

1976 წლის სექტემბერში, მამის სიკვდილის შემდეგ, დავიდმა ადგილ-მამული გაყიდა, ოცდაათი ჰექტარიც ზედ მიაყოლა და პარიზში, ძველი სახლებით გაშენებული მიწის ნაკვეთი იყიდა. ვისკონტის ქუჩაზე დიდი ერთოთახიანი ბინა დაიტოვა, დანარჩენი კი გადააკეთა და გასაქირავებლად გაამზადა. ზოგან ბინები გატიხრა, ზოგან შინამოსამსახურეთა ოთახები გააერთიანა, სამზარეულო და სააბაზანო მოანყო. ამრიგად, საქმეს რომ მორჩა, ოციოდე პატარა ბინის მფლობელი გახდა, რაც გვარიან შემოსავალს მოუტანდა. როკზე ფიქრი თავიდან არ ამოუგდია და ახლა პარიზის იმედი ჰქონდა, იქნებ აქ გამიმართლოსო. მაგრამ სადაცაა ოცდაექვს წელს მიუკაკუნებდა და სანამ ხმის ჩამწერ სტუდიებს შემოივლიდა, გადანყვიტა, ორი წელი ჩამოეკლო. ადვილი საქმე გამოდგა: ასაკს რომ ეკითხებოდნენ, "ოცდაოთხიო", მიუგებდა. რა თქმა უნდა, გადამონმებით კაციშვილი თავს არ ინუხებდა. მასზე ადრე ასეთ ხრიკს ბრაიან ჯონსი იყენებდა. მაკმილანი ირწმუნებოდა, რომ კანში, ერთ-ერთ მიღებაზე, დავიდი მოულოდნელად მიკ ჯაგერს პირისპირ შეეჩეხა და გველნაკბენივით ორ მეტრზე ისკუპა. მსოფლიოს საუკეთესო როკ-ვარსკვლავი, მდიდარი, ყველასგან ნალოლიავეები და თან ცინიკოსი... დავიდიც ხომ ამაზე ოცნებობდა? ჯაგერი ბოროტების სრულყოფილი განსახიერება იყო და "ფანატებს" სწორედ ამით ხიბლავდა: დაუსჯელი ბოროტების ხატებას ბრბო ჭკუიდან გადაჰყავს. ერთ მშვენიერ დღეს, მიკს ძალაუფლების ყინმა შემოუტია, ჯგუფში საკუთარი "ეგოს" დამტკიცება მოუნდა და სწორედ ბრაიან ჯონსს წაეკიდა. ყველაფერი სწრაფად მოგვარდა, რადგან,

ბედად, აუზი იქვე იყო. ეს ოფიციალური ვერსია არ გახლდათ, მაგრამ დავიღმა დანამდვილებით იცოდა, რომ მიკ ჯაგერმა ჯონსი წყალში გადაუძახა. ეს სცენა ცოცხლად თვალწინ ედგა. აი, ასე, ამ პირველსაწყისი მკვლელობის გამოისობით, მიკ ჯაგერი ყველაზე გამორჩეული ჯგუფის ლიდერი გახდა. ყოველივე დიადის, რაც კი მსოფლიოში ხდებოდა, თავი და თავი, დავიდის რწმენით, მკვლელობა იყო და ისიც, ამ 1976 წლის დასასრულს, უკან არ დაიხვედა, რათა აუზის ფსკერზე იმდენი ადამიანი გაესტუმრებინა, რამდენიც საქმეს დასჭირდებოდა. მაგრამ ერთადერთი, რასაც წლების მანძილზე მიაღწია, ის იყო, რომ როგორც ჯგუფის მეორე ბასისტმა, რამდენიმე ფირფიტა ჩაწერა, თუმცა არც ერთს წარმატება არ ღირსებია. სამაგიეროდ, წარმატება ქალებში ერგო; ეროტიკული ამბიციები გაუძლიერდა და ახლა უკვე ერთდროულად ორ გოგოს, ერთს - ქერას და მეორეს - შავგვრემანს, იწვენდა გვერდით. ბევრი თანხმდებოდა, რადგან დავიდი მართლაც რომ ლამაზი იყო - ძლიერი, ვაჟკაცური, ლამის მხეცური. გრძელი, მსხვილი სირი და დიდრონი ბალნიანი ყვერები სიამაყეს მატებდა. შედება იმდენად არ აღელვებდა; სიამოვნებას მაშინ გრძნობდა, როდესაც მის წინ ჩაჩოქილი გოგოები უწუნწინდნენ.

1981 წლის დასაწყისში, პარიზში გავლით მყოფმა ერთმა კალიფორნიელმა შეატყობინა, რომ ჩარლზ მენსონისადმი მიძღვნილი heavy-metal-ის ჩასაწერად, მუსიკალურ ჯგუფებს ეძებდნენ. დავიღმა გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ ეცადა ბედი. ყველა ბინა, რომელთა ფასი იმ დროისთვის ოთხჯერ გაძვირდა, ერთიანად მიაყიდა და ლოს ანჯელესში გადასახლდა. ახლა უკვე, სინამდვილეში, ოცდათერთმეტი წლის იყო, ოფიციალური საბუთებით კი ოცდაცხრის. ამასაც არ დასჯერდა და გადაწყვიტა, ამერიკელი პროდიუსერების წინაშე წარდგომამდე, კიდევ სამი წელი ჩამოეკლო. ისე, ერთი შეხედვით, ოცდაექვსზე მეტს არც მისცემდი.

ჩაწერა უსასრულოდ გაიწელა, მენსონი ზღაპრულ ჰონორარს ითხოვდა. დავიღმა დილაობით სირბილს მიყო ხელი და სატანისტების წრეებს დაუახლოვდა. კალიფორნია მუდამ სატანის კულტის მქადაგებელი სექტების რჩეული ადგილი იყო, დაწყებული სულ პირველით, ანტონ ლა ვეიეს მიერ 1966 წელს ლოს ანჯელესში დაარსებული First church of Satan, დამთავრებული Process church of the Final judgment, რომელიც 1967 წელს სან ფრანცისკოში, ჰაიტ

ემბერის ოლქში დაფუძნდა. ეს დაჯგუფებები ჯერ კიდევ აგრძელებდნენ არსებობას და დავიდიც სწორედ მათ დაუკავშირდა. სექტების წევრები მხოლოდ რიტუალური ორგანიზაციებითა და შიგადაშიგ ცხოველების მსხვერპლად შეწირვით ირთობდნენ თავს, მაგრამ მათი მეშვეობით დავიდი გაცილებით ჩაკეტილ და საშიშელ სექტებს დაუახლოვდა. სწორედ აქ გაიცნო აბორტის საღამოების სულისჩამდგმელი ქირურგი ჯონ დი ჯორნო. ოპერაციის შემდეგ, ნაყოფს ძვლებს უმტვრევდნენ, ფეხქვეშ თელავდნენ, ცომში ამოზელდნენ და ლუმელში პურივით გამომცხვარს ნაჭერ-ნაჭერ ირიგებდნენ. დავიდი მალე მიხვდა, რომ ყველაზე თავგამოდებული სატანისტებიც კი სატანას არად დაგიდევდნენ. მისი არ იყოს, ისინიც თავით ფეხამდე მატერიალისტები იყვნენ და სულ ცოტა ხანში, მართლაც რომ კიტჩური ხუთქიმიანი ვარსკვლავები, გრძელი სანთლები და კოჭებამდე დაშვებული შავი მოსასხამები, გვერდზე მოისროლეს. მთელი ეს დეკორაცია, სინამდვილეში, სექტის ახალი წევრების ზნეობრივი მუხრუჭების ერთხელ და სამუდამოდ მოშლას ემსახურებოდა. 1983 წელს დავიდი პუერტო-რიკოელი ჩვილის მსხვერპლშენირვის მონაწილე გახდა. სანამ დაკბილული დანით ჩვილს ასაჭურისებდა, ჯონ დი ჯორნომ მსხვერპლს თვალები დათხარა, პირისკენ გააქანა და დაღეჭა.

იმ დროისთვის, დავიდმა როკ-ვარსკვლავობაზე ფიქრი თავიდან ამოიგდო, თუმცა კი MTV-ზე მიკ ჯაგერის ყოველი გამოჩენა გულს უჩქროლებდა. "Tribut to Charles Manson"-ის გეგმა ჩაიშალა; დავიდი ყველას უმტკიცებდა, ოცდარვა წლის ვარო, თუმცა კი, სინამდვილეში ხუთი წლით უფროსი, თავს მიხრწნილ მოხუცად თვლიდა. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ ყოვლისშემძლეობისა და ძალაუფლების ვნებას აყოლილი, თავს ნაპოლეონს უტოლებდა. დავიდი აღმერთებდა პიროვნებას, რომელმაც სისხლსა და ცეცხლს მისცა ევროპა და ასი ათასობით ადამიანი სასიკვდილოდ განირა, ისე, რომ არც იდეოლოგიური, არც რელიგიური და არც პიროვნული გამართლება არ უძებნია. ჰიტლერისა და სტალინისგან განსხვავებით, ნაპოლეონს საკუთარი თავის გარდა, სხვა არაფერი სწამდა, მან საკუთარი პიროვნება ერთხელ და სამუდამოდ დააშორა დანარჩენ სამყაროს და სხვა ადამიანები პატივმოყვარე, ძალაუფლებისაკენ მიმართული ნების იარაღებად დასახა. როდესაც საკუთარ იტალიურ წარმომავლობას იხსენებდა, დავიდი წარმოსახვაში ნათესაურ კავ-

შირებს ამყარებდა დიქტატორთან, რომელიც დილით, ბრძოლის ველის მონახულებისას, ათასობით ნანამები და დამახინჯებული სხეულის შემყურე, ისე, სხვათა შორის, იტყოდა: "დიდი არაფერი... ამ დანაკლისის შევსებას ერთი პარიზული ლამეც ეყოფა".

თვეები გადიოდა და დავიდი, სექტის ზოგიერთი სხვა წევრის მსგავსად, სულ უფრო მეტად იძირებოდა სიმხეცისა და საშინელების მორევში. ზოგჯერ, ნიღბებს იკეთებდნენ და სისასტიკის სცენებს ფირზე იღებდნენ; ერთ-ერთ მათგანს, ვიდეოფილმების პროდიუსერს, ფილმების გამრავლება ევალეობდა. სულისშემძვრელი snuff movie-ს ასლი ოცი ათას დოლარად ფასობდა. ერთ საღამოს, ნაცნობ ვექილთან ღრეობაზე მიწვეულმა დავიდმა, სანოლ ოთახში, ტელევიზორის ეკრანზე საკუთარი ფილმი იცნო. ერთი თვით ადრე გადაღებულ კასეტაზე დავიდი, მექანიკური ხერხით ვილაც ტიპს ასოს ძირში აჭრიდა. ნანახით ალგზნებულმა დავიდმა მასპინძლის ქალიშვილის თორმეტიოდე წლის მეგობარი ოთახში შეიტყუა და სკამის წინ დააჩოქა. გოგონა ცოტა გაუძალიანდა, მერე კი მორჩილად მოჰყვა წუნნას. ეკრანზე, დავიდი ნელ-ნელა უახლოვდებოდა ორმოციოდე წლის მამაკაცს და ხერხს ბარძაყებზე უხახუნებდა. თავიდან ფეხებამდე გათოკილი ტიპი ჯვარცმულივით იწვა და შიშისგან ღრიალებდა. სანამ ხერხი ასოს ჭრიდა, დავიდმა გოგონას პირში გაუთავა, მერე თმებში წვდა, ეკრანისკენ მიაბრუნა და აიძულა, ეყურებინა, როგორ აფსამდა სისხლს ასოს გადანაჭერი.

დავიდის სამხილები სულ ეს იყო. პოლიციას, შემთხვევით, ხელში ჩაუვარდა წამების ვიდეოფილმის დედანი, მაგრამ, ეტყობა, დავიდი ვილაცამ გააფრთხილა და ისიც დროზე დაითესა. აი, სწორედ ამ ადგილას, დანიელ მაკმილანი მთავარ სათქმელზე გადადიოდა. თავის წიგნში ის აშკარად ადასტურებდა, რომ თვითმარქვია სატანისტებს არც ღმერთი სწამდათ, არც სატანა და არც რაიმე სხვა არაამქვეყნიური ძალა. მკრეხელობა და ღვთის გმობა წამების ცერემონიალის მეორეხარისხოვანი ეროტიკული დანამატი იყო, რომელიც მალე ყველას ყელში ამოუვიდა. თავიანთი სულიერი მოძღვრის, მარკიზ დე სადის მსგავსად, ისინი აბსოლუტური მატერიალისტები და რაც შეიძლება მძაფრი და ამალეღვებელი განცდების მოტრფიალენი იყვნენ. დანიელ მაკმილანის მტკიცებით, 60-იან, 70-იან, 80-იან, შემდეგ კი 90-იან წლებში ზნეობრივი ღირებულებების

დაცემა ლოგიკური და გარდაუვალი მოვლენა იყო. სექსუალური სიაბოვნებით მოყიჩქებული ზნეობრივი არტახებისგან თავისუფალი ინდივიდები ახალ, გაცილებით სასტიკ გართობებს ესწრაფვიან. ორი საუკუნით ადრე ეს გზა მარკიზ დე სადმაც გაიარა. ამ თვალსაზრისით, 90-იანი წლების *serial killers* 60-იანელი *hippies* ღვიძლი შვილები არიან, მათ საერთო წინაპრებად კი 50-იანი წლების "ვენეული აქციონისტები" უნდა ვიგულოთ. მხატვრული პერფორმანსის ნილაბქვეშ, აქციონისტები ნიჩი, მიუელი და შვარცკოგლერი ცხოველების საჯარო ხოცვა-ჟლეტის სეანსებს ატარებდნენ. კრეტილების ბრბოს წინაშე ცხოველებს გლეჯდნენ და ფლითავდნენ, შიგნეულობას აცლიდნენ და ასო-ასო ჭრიდნენ, ხელებს გასისხლიანებულ სხეულში უფათურებდნენ და ისედაც განამებული ცხოველების ტანჯვას გაუსაძლისს ხდიდნენ. ამასობაში კი მათი თანამზრახველი მთელ ამ სიმხეცეს ფოტოფირზე იღებდა, რათა შემდეგ ფოტოები ხელოვნების რომელიმე გალერეაში გამოეფინა. სისასტიკისა და ბოროტების ამ დიონისურ თავაშვებულობას, რომელსაც "ვენელმა აქციონისტებმა" დაუდეს სათავე, შემდეგ ათწლეულებშიც გამუდმებით ვაწყდებით. დანიელ მაკმილანის აზრით, დასავლური ცივილიზაციის ეს უცაბედი გარდაქმნა, რომელიც 1945 წელს მოჰყვა, ერთი მხრივ, პირუტყვული ძალადობის კულტისკენ მიბრუნება, მეორე მხრივ კი, ზნეობისა და სამართლიანობის მოთხოვნილებებზე დაფუძნებული საუკუნოვანი წესების ტოტალური უარყოფა იყო და სხვა არაფერი. ვენელ აქციონისტებს, ბიტნიკებს, ჰიპებსა და სერიულ მკვლელებს ერთმანეთთან ის აახლოებდა, რომ ყველანი თავგადაკლული ანარქისტები იყვნენ, რომლებიც ნებისმიერ საზოგადოებრივ ნორმებს და მათი რწმენით, ფარისევლურ კატეგორიებს - ზნეობას, გრძნობას, სამართლიანობასა და გულმონყალებას, ინდივიდის უფლებათა უსაზღვრო თავისუფლების მოთხოვნას უპირისპირებდნენ. და თუ ასეა, მაშინ ჩარლზ მენსონი ჰიპების გზას აცდენილ, მახინჯ და საშინელ ურჩხულად კი არა, პირიქით, მათი სულიერი გამოცდილების ლოგიკურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. დავიდ დი მეოლამაც ერთადერთი ის შესცოდა, რომ მამის მიერ გაკვალულ გზას გაყვა და მის მიერ ნაქადაგები ინდივიდუალური თავისუფლების ღირებულებათა ხორცშესხმა დაისახა მიზნად. მაკმილანი კონსერვატიული პარტიის წევრი გახლდათ და ინდივიდუალური თავისუფლების წინააღმდეგ თანაპარტიელის გამოხტომებს პარტი-

ის წიაღში კბილების ხრჭილით შეხვდნენ. მაგრამ თავად წიგნს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. საავტორო უფლებებით გამდიდრებული მაკმილანი პოლიტიკაში გადაეშვა და ერთი წლის თავზე წარმომადგენელთა პალატის წევრი გახდა."

ბრუნო დადუმდა. ყავას კარგა ხნის წინ გამოუყვანა წირვა, საათი დილის ოთხს უჩვენებდა, დარბაზში კი ერთი ვენელი აქციონისტიც არ ჭაჭანებდა. სხვაგვარად ვერც იქნებოდა: ჰერმან ნიჩი, არასრულწლოვანის გაუპატიურებისთვის, ავსტრიულ ციხეში ყურყურებდა. სამოც წელს გადაცილებული კაცის სიკვდილს დღე-დღეზე ელოდნენ, იმის იმედით, რომ ამქვეყნად ბოროტების კიდევ ერთი სათავე დაშრებოდა, თუმცა მოლოდინი ამდენ მღელვარებად არ ღირდა. ამჟამად, ირგვლივ სიმშვიდე და სიმყუდროვე სუფევდა, მხოლოდ ერთი მიმტანი ობლად დაბორიანებდა მაგიდებს შორის. მუშტრებიდან ეს ორი შემორჩა, მაგრამ, ვიტრინაში გამოკრული განცხადებაც და მენიუც იუნწყებოდა, რომ კონტრაქტის თანახმად, ლუდხანა დილაზე მუშაობდა. "ეს პედერასტები მოსასაქმებლადაც არ გადიან", - უნებურად გაიფიქრა ბრუნომ. თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანს ერთი ან რამდენიმე კრიზისის დაძლევა უხდება, როდესაც შექმნილი ვითარება აიძულებს კითხვები დაუსვას საკუთარ თავს, ამიტომ, სავსებით გასაგებია, რომ ნებისმიერი ევროპული დედაქალაქის ცენტრში უნდა იყოს ერთი დაწესებულება მაინც, რომლის კარი დღედაღამ ღია იქნება. ბრუნომ მაყვლის ჟელე და ალუბლის არაყი შეუკვთა. კრისტიანს მისი ნაამბობიდან სიტყვაც არ გამოჰარვია, შეიძლება ამიტომაც, ქალის დუმილი მტკივნეულ განცდას მალავდა... ახლა კი დრო დადგა, უბრალო ადამიანურ სიამტკბილობებს დაბრუნებოდნენ.

კეთილმოსურნეობის ესთეტიკა

"რა წამს ირიყრაუებს, ყმანვილი ქალები ვარდების კრე-
ვას ეშურებიან. მაცოცხლებელი სული ველ-მინდვრებს და
დედაქალაქებს გადაეცლება, უზომოდ აღზნებული პოეტებ-
ის შთაგონებას კიდევ მეტად აღანთებს, აკვნებს საჩრდილო-
ბელ ფარდებს ჩამოგლეჯს, ახალგაზრდებს გვირგვინებს წა-
რსტაცებს, ბებრებს უკვდავების რწმენას გაუცამტვერებს".

ლოტრეამონი, "ლექსები" II

უმრავლესობა იმ ადამიანებისა, რომლებსაც, ცხოვრების მან-
ძილზე, ბრუნო გადაეყარა, მხოლოდ სიამოვნებას ესწრაფოდა,
თუკი, რა თქმა უნდა, სიამოვნებაში საკუთარი თავით ნარცისულ
ტკბობას ვიგულისხმებთ, რომელიც გარემომცველთა მხრიდან
დაფასებასა და აღფრთოვანებას უკავშირდება. ასე ხდება განსხ-
ვავებული სტრატეგიების გამომუშავება, რომლებსაც ჩვენ ადამი-
ანის ცხოვრებას ვუნოდებთ.

ამ წესიდან ერთადერთი გამონაკლისი მისი ნახევარძმა იყო.
მასთან დაკავშირებით ცნება "სიამოვნების" ხმარებაც უხერხული
მოგეჩვენებოდა. საერთოდ, აღელვებდა კი რაიმე? გარეშე საგან-
თან შეხება და ხახუნი რომ არა, ერთფეროვან, სწორხაზოვან მო-
ძრაობას ბოლო არ ექნებოდა. მიშელის მოწესრიგებული, რაციო-
ნალური, მაღალ საზოგადოებრივ ღირებულებათა იერარქიაში სა-
შუალო დონეზე მდებარე ცხოვრება აქამდე ერთობ მდორედ, ყო-
ველგვარი რხევის გარეშე მიედინებოდა. თუმც, ვინ იცის, იქნებ

მოლექულური ბიოლოგიის მკვლევართა დახშულ წრეში, მეტი გავლენის მოსახვეჭად, ფარული და გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს. ბრუნოს ამაში, ცოტა არ იყოს, ეჭვი ეპარებოდა.

"ცხოვრებას შავ ფერებში ხედავ..." - დაარღვია მძიმე დუმილი კრისტიანმა. "ნიცშეანური ხედვაა, - დაახუსტა ბრუნომ და იქვე საჭირო განმარტებაც დაურთო, - უფრო დაბალი ხარისხის, რაღა თქმა უნდა. ახლა ერთ ლექსს წაგიკითხავ". ჯიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო და კითხვა დაიწყო:

*მარადიული დაბრუნება და ა.შ. -
არ დაიჯერო, მხოლოდ ბინდია,
ნაყინს მივირთმევ "ზარატუსტრასთან",
სხვა ყოველივე ყლებზე მკიდია.*

- ვიცი, როგორც უნდა მოვიქცეთ, - თქვა ქალმა ცოტაოდენი დუმილის შემდეგ, - მოდი ერთი, აგდის კონცხზე, ნუდისტების პლაჟზე, ჰოლანდიელ ექთნებთან და გერმანელ მოხელეებთან ერთად ვიგრიანოთ. შენც იცი, ჩრდილოეთის ან "ბენილუქსის" ქვეყნებიდან ჩამოსულებს ვერაფერს დაუნუნებ; გადასარევი ხალხია - წესიერი, თავაზიანი ბურჟუები არიან და არავის არაფერს უშავებენ. თუ მოგვინდა, ლუქსემბურგელ პოლიციელებსაც გავეთომარებით.

- შვებულება დამიმთავრდა.

- სამშაბათს მეც სწავლა მეწყება; შვებულება არ მეყო; ეს გაკვეთილებიც ყელში ამომივიდა; ახლა მოსწავლეებს აღარ იკითხავ? ერთი მეორეზე გამოსაყვანებულები არიან. დასვენება და მაგარ ქალებთან კაიფი არც შენ განწყენდა. წინ რა გიდგას? გგონია, გაგვიჭირდება? სულაც არა, ნაცნობ ექიმთან ავადმყოფობის ცნობას გავაჩალიჩებ.

აგდის სადგურზე ორშაბათ დილას ჩავიდნენ, ტაქსი დაიჭირეს და ნუდისტების პლაჟისკენ დაიძრნენ. კრისტიანს ბარგი არ ამძიმებდა: ნუაიონში შევლა ვერ მოასწრო და ხელს ის გამოაყოლა, რაც თან ჰქონდა. "შვილს მაცუთი უნდა გავუგზავნო, - თქვა ქალ-

მა, - ვძულვარ, მაგრამ რამდენიმე წელს კიდევ მოვუთმენ; მეპინია, სულ არ გაცოფდეს. მყრალ ტიპებს ეტორლიალება: აქეთ მუსლიმანები, იქით ნაცისტები... იცი, მოტოციკლით თუ რამეს შეასკდა, წყენით მენყინება, მაგრამ გულზე მომეშვება..."

სექტემბერი იდგა და ოთახის დაქირავება არ გაჭირვებიათ. 70-იან წლებში აშენებული აგდის კონცხის სასტუმრო კომპლექსის ხუთი კორპუსი ათი ათას საწოლზე იყო გათვლილი: 22 კვადრატული მეტრის ბინა, სასტუმრო ოთახი, პატარა სამზარეულო, მოცუცქნული საწოლი ოთახი, სააბაზანო, ტუალეტი და აივანი. მისაღებში გასაშლელი ტახტი იდგა, საწოლი ოთახის ორი საწოლი სართულებად იყო განლაგებული. ბინა, დიდი-დიდი, ოთხ კაცს თუ დაიტევდა და მას, უმეტესად, ორშვილიანი ოჯახები ეტანებოდნენ. ბინას მყისვე გაუშინაურდნენ. დასავლეთისკენ მიმართული აივანი სასეირნო კატარლების სადგომს გადაჰყურებდა. შეგეძლო, აპერიტივი გენრუჰა და ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივებით დამტკბარიყავი.

აგდის კონცხის ნუდისტური სექტორის მესვეურები დამსვენებლებს სამ სავაჭრო ცენტრს, მინი გოლფის მოედანს და ველოსიპედების გამქირავებელ ჯახურს სთავაზობდნენ, მაგრამ სტუმრების მოსაზიდად, მთელ იმედს, მაინც, პლაჟზე და სექსუალურ გართობებზე ამყარებდნენ. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ეს კომპლექსი განსაკუთრებული სოციალური წარმონაქმნია, თუნდაც იმიტომ, რომ ის წინასწარ შემუშავებული გეგმის კი არა, არამედ რამდენიმე ადამიანის პირადი ინტერესების თანხვდომის შედეგია. დაახლოებით ამ სიტყვებით იწყებოდა ბრუნოს წერილი "მარსეან-პლაჟის გორაკები: კეთილმოსურნეობის ესთეტიკა", რომელშიც ავტორი ორკვირიანი დასვენების საკუთარ გამოცდილებაზე საუბრობდა. ჟურნალ "Esprit"-ის რედაქციას გამჭრიახობა ეყო და წერილი ბრუნოს ცივი უარით უკან დაუბრუნა, მკითხველს კი ბევრი არც არაფერი დაჰკლებია.

"პირველი, რაც უმაღლეს თვალში გეცემა აგდის კონცხზე, - წერდა ბრუნო, - ევროპის ნებისმიერი აგარაკისთვის ჩვეული სამსახურებისა და სექსსა და გარყვნილებაზე არაორაზროვნად ორიენტირებული სავაჭრო დაწესებულებების მშვიდობიანი თანაარსებობაა. მაგალითად, ნამდვილად გოცდები, როდესაც საფუნთუშ-

ეს ან სასაუზმეს გვერდით შეხვედები ჯიხურებს, სადაც გამჭვირვალე მინი ქვედატანებს, ლატექსის საცვლებს და ძუძუებსა და დუნდულებს რომ აჩენს, ისეთ კაბებს ყიდიან. გასაოცარი ისიც არის, რომ ქალები და წყვილები, ხშირად ბავშვებთან ერთად, ჯიხურ-ჯიხურ უსირცხვილოდ დაყიალობენ და ამ ნაირნაირ საქონელს თვალებით ჭამენ. დაბოლოს, ისიც სათქმელია, რომ აგარაკებზე, პრესის გამსაღებლები უურნალ-გაზეთებთან ერთად, "სასიამოვნო დასასვენებელი ადგილების", პორნოგრაფიული გამოცემებისა და ეროტიკული გულსაბნევეების ფართო არჩევანს გთავაზობენ. საკვირველი ის არის, რომ ამის შემყურე დამსვენებლები წარბსაც არ არხევენ და ყოველივეს, რაც მათ ირგვლივ ხდება, ჩვეულებრივ ამბად თვლიან.

კოლექტიური დასვენების ცენტრები მრავალგვარია, დაწყებული "ოჯახურიდან" ("Mini Club", Kid's Club", სადაც სარძევეს გასაცხელებელ დანადგარებსა და ჩვილის საფენების გამოსაცვლელ სპეციალურ მაგიდებსაც ნახავთ), "ახალგაზრდულით" დამთავრებული (სერფინგი, თორმეტ წლამდე მოზარდებისთვის აკრძალული, მხოლოდ "დამურებისთვის" განკუთვნილი ხმაურიანი საღამოები). აგდის კონცხის ნუდისტური ცენტრი, რომელსაც, მეტწილად, ოჯახები სტუმრობენ, თავისი ადვილად მისაწვდომი სექსუალური გართობებით, წინასწარი შემზადების, "გამოჭერისა" და სხვა ამგვარების გარეშე, სხვა ცენტრებისგან სრულიად განსხვავებულია. სტუმრებს ყველაზე მეტად ის აოცებთ, რომ აგდის კონცხი გამორჩევა სხვა მონათესავე ტრადიციული ნუდისტური ცხოვრებისგან, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ე.წ. "ჯანსაღ" სიშიშვლეს და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ უშუალოდ სექსუალურ მხარეს. მათთვის ჩვეული მენიუ გადატვირთულია "ბიოლოგიური" კერძებით, თამბაქოს მონევა კი სასტიკად იკრძალება. მსგავსი ცენტრების ეკოლოგიური სულისკვეთებიდან გამომდინარე, აქაური დამსვენებლები იოგას, აბრეშუმზე ქარგვის ან აღმოსავლური ტანვარჯიშის წრეებში ერთიანდებიან და ველური ბუნების ნიაღში პირველყოფილი ადამიანების ცხოვრების წესს ეზიარებიან. მათგან განსხვავებით, აგდის კონცხის დამსვენებლები სტანდარტული, კომფორტული ბინების სიკეთით ტკებებიან; ბუნებას რაც შეეხება, ირგვლივ მხოლოდ გაკრეჭილი გაზონები და ყვავილ-

ნარები. კვებას თუ იკითხავთ, კლასიკური ტიპის რესტორნები და ჯიხურები მომხმარებლებს პიცას, ზღვის ნობათს, შემწვარ კარტოფილსა და ნაყინს სთავაზობენ. აქ სიშიშვლევ, მაჰატივით და, ცოტაოდენ განსხვავებულ ხასიათს იძენს. ტრადიციულ ცენტრებში, კარგ ამინდში დედიშობილა სიარული აუცილებელია, ამასთან ერთად, მუდმივი მეთვალყურეობა "არაჯანსაღი ცნობისმოყვარეობის" ყოველგვარ მცდელობას ძირშივე აღმოფხვრის. აგდის კონცხზე კი ამინდს და მასთან დაკავშირებულ განანესს არად დაგიდევენ: სუპერმარკეტებში და ბარებში გვერდიგვერდ სხედან ნაირნაირად გამონყობილებიც და სულ მთლად შიშვლებიც; ტანსაცმელი (ბადისებრი მინი ქვედაბოლოები, ფერადი საცვალი, ტანს შემოტმასნილი მოკლე კაბები) თვალშისაცემად ეროტიკულია. თვალების აქეთ-იქით ცეცება არავის გულისწყრომას არ იწვევს: პლაჟზე ხშირად შვხვდებით ქვიშაზე წამოწოლილი ქალის ყველას დასანახად გამოფენილი სამოს ნინ თავმოყრილ მამაკაცებს. ამ სანახაობისთვის მეტი პენის მისაცემად, ბევრი ქალი საზარდულზე თმებსაც იპარსავს, რაც კლიტორისა და დიდი ბაგეების გულისყურით თვალყურებას უფრო აადვილებს. ყოველივე ეს, მიუხედავად იმისა, მონანილებ თუ არა ცენტრის თავისებურ გართობებში, ერთობ უცნაურ განწყობას ბადებს, რომელიც ერთნაირად დაშორებულია იტალიური დისკოთეკების ეროტიკულ-ნარცისულ ატმოსფეროს და დიდი ქალაქების "ცხელი" უბნების ძალზე "ორაზროვან" კლიმატს. მოკლედ, ასეა თუ ისე, საქმე ეხება ერთი კლასიკური სტილის აგარაკს, მეტწილად, უწყინარს და სტუმართმოყვარეს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ სექსუალურ სიამტკიბილობებს, სხვებთან შედარებით, გამორჩეული ადგილი უკავია. ძნელია, თავი შეიკავო და არ ახსენო "სოციალ-დემოკრატიების" სექსუალური ნიაღსვლები და განმარტებანი, მით უმეტეს, რომ უცხოელ სტუმრებში გერმანელები სჭარბობენ, რომლებსაც ჰოლანდიელები და სკანდინავიელები ემატებიან."

მეორე დღეს, პლაჟზე, ბრუნომ და კრისტინამა რუდისა და ჰანელორის წყვილი გაიცნეს, რომელთა წყალობით უკეთ გაიგეს ბანაკის სოციოლოგიური დანიშნულების არსი. რუდი სატილორტური მართვის ცენტრის ინჟინერი იყო და ტელეკომუნიკაციური თანა-

მგზავრის "ასტრა" გეოსტაციონარული ადგილმდებარეობის მეთვალყურეობა ევალებოდა. ჰანელორი ჰამბურგის ერთ-ერთ დიდ წიგნის მაღაზიაში მუშაობდა. თორმეტი წელია, შვილებთან ერთად აგდის კონცხზე ჩამოდიოდნენ, წელს კი გადანყვიტეს, ბავშვები ჰანელორის მშობლებთან დაეტოვებინათ და ზაფხული მათ გარეშე გაეტარებინათ. იმავე საღამოს, ოთხეულმა ერთად ივახშმა თევზის რესტორანში, სადაც ჩინებულ წვნიანს, "ბუიაბესს" ამზადებენ, მერე კი გერმანელების ბინაში წავიდნენ. ბრუნო და რუდი მორიგეობით ტყნავდნენ ჰანელორს, რომელიც, ამასობაში, კრისტიანს საშოს ულოკავდა. მერე, ქალებმა ადგილი შეინაცვლეს. ჰანელორმა ბრუნოს მინეტი გაუკეთა. ქალს მოხდენილი სხეული ჰქონდა, პუტუნა, მაგრამ მკვრივი; ეტყობა, ვარჯიშმა თავისი კვალი დაამჩნია. გარდა ამისა, მთელი გზნებით წოვდა. საუბედუროდ, სიტუაციით მეტისმეტად აღვზნებულ ბრუნოს, გათავება ცოტა ადრე მოუვიდა. უფრო გამოცდილმა რუდიმ, გასხმა ოცი წუთით შეიკავა, სანამ კრისტიანი და ჰანელორი ერთად წუნნიდნენ და სირის თავზე ენებს მეგობრულად უხახუნებდნენ. დასასრულს, ჰანელორი სტუმრებს ალუბლის არყით გაუმასპინძლდა.

პანსიონატის შუაში განლაგებულ, წყვილებისთვის განკუთვნილ დისკოთეკას აღვირახსნილი გერმანელი ცოლ-ქმარი დიდად არ წყალობდა. "კლეოპატრა" და "აბსოლუტი" ნუდისტური პერიმეტრის გარეთ, მარსეიანის კომუნის ტერიტორიაზე მდებარე "ექსტაზიას" კონკურენციას ვერ უძლებდნენ. მომხიბვლელი პეიზაჟით გარემოცული და თვალის გასახარი მოწყობილობებით აღჭურვილი "ექსტაზია" (black room, peep room, შემთბარი აუზი, ჯაკუზი და სულ ახლახან მიმატებული ულამაზესი mirror or room) 70-იანი წლების დასაწყისში მოპოვებულ სახელს არ სჯერდებოდა და "მითიური ზარდახშის" რეპუტაციას დღესაც ხელუხლებლად ინარჩუნებდა. და მაინც, ჰანელორმა და რუდიმ, მომდევნო საღამოს გასატარებლად სტუმრებს "კლეოპატრა" შესთავაზეს. მათი აზრით, უფრო პატარა, მაგრამ სტუმართმოყვარე და გულთბილი ატმოსფეროთი გამორჩეული "კლეოპატრა" აქაურობას ჯერ კიდევ შეუჩვეველი წყვილისთვის ზედგამოჭრილი იყო. დისკოთეკა პანსიონატის ცენტრში იდგა და, სადილის შემდეგ, შეგეძლო მეგობრულ წრეში შინაურულად ერთი ჭიქა დაგეგლია. ქალებს საშუალე-

ბა ეძლეოდათ, ერთმანეთს დაახლოებოდნენ და ახალშეძენილი ეროტიკული ტანსაცმელი სამზეოზე გამოეტანათ.

რუდიმ კიდევ ერთხელ ჩამოასხა ალუბლის არაყი. ოთხივენი შიშვლები იყვნენ. ბრუნოს უზომოდ გაუხარდა, როდესაც შეამჩნია, რომ ჰანელორის ტუჩებში გათავებიდან ერთი საათის შემდეგ, ასო ისევ წამოუბრძედა და საკუთარი აღმოჩენა სხვებსაც გულუბრყვილო აღტყინებით გაანდო. აღღვებულმა კრისტიანმა ნძრევა დაუწყო. გულაჩუყებული ახალი მეგობრები საქმით გართულ წყვილს თვალს არ აცილებდნენ. ბოლოს, სანამ კრისტიანი თავისას აგრძელებდა, ჰანელორი ბრუნოს ბარძაყებს შორის ჩაიმუხლა და სირს პირით წაეტანა. შემთვრალი რუდი მექანიკურად იმეორებდა: "გუტ... გუტ..." ბოლოს და ბოლოს, კარგა გვარიანად შეზარხოშებულნი, ერთმანეთს მხიარულად დაშორდნენ. ბრუნომ "ხუთთა კლუბი" გაიხსენა და მსგავსებაც კი აღმოაჩინა კრისტიანსა და კლოდს შორის, რომლის ხატებას ბავშვობიდან სათუთად ინახავდა. მისი აზრით, სურათის სრულყოფილებას მხოლოდ ერთგული ქოფაკი დაგო აკლდა.

მესამე დღეს, შუადღისას, წყვილები ერთად წავიდნენ პლაჟზე. კარგი ამინდი იდგა; სექტემბრის პირობაზე ძალიან ცხელოდა. "აბა, რა სჯობს წყლის პირას, აი, ასე, შიშველ-ტიტველა ერთად სიარულს, - ფიქრობდა ბრუნო, - არავინ არავის ეკინკლავება, სექსუალური პრობლემები კი, ერთხელ და სამუდამოდ, გარკვეულია. ისიც კარგია, რომ თითოეული მზადაა სხვებს რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მიანიჭოს".

სამ კილომეტრზე გადაჭიმული ნუდისტური პლაჟი დამრეცად ეშვებოდა ზღვისკენ, ასე რომ, ზღვაში შესვლას მცირეწლოვანი ბავშვებიც არ უფრთხოდნენ. სანაპიროს უდიდესი ნაწილი ე.წ. "ოჯახურ ბანაობას" და სპორტულ თამაშებს ეთმობოდა (სერფინგი, ბადმინტონი, ფრანები). "ერთხმად მიღებული, დაუნერელი წესის თანახმად, წრეგადასული გართობის მოყვარული წყვილები პლაჟის აღმოსავლეთ მხარეს, სასადილო ჯიხურის სიახლოვეს იკრიბებიან", - აუხსნა რუდიმ ახალწვეულებს. იმ ადგილას, ლობეებით შემოზღუდული ქვიშის გორაკების გრეხილი მთელ პლაჟს ზემოდან დასცქეროდა. გორაკიდან, ერთ მხარეს ზღვისკენ ჩამავალი პლაჟი მოჩანდა, მეორე მხარეს - ოღროჩოღრო მინის ნაკვეთი, სა-

დაც გორაკებისა და მომცრო ხრიოკი მინდვრის გარდა, თვალს ვერაფერს ჰკიდებდი. მეგობრები პლაჟის მხარეს, ზედ გორაკების ძირში მოყუჩდნენ. მათ გარშემო, მოციცქნულ ადგილზე, ორასამდე წყვილს მოეყარა თავი. ერთი-ორი მარტოხელა მამაკაცი ბრბოს შეერია, კიდევ რამდენიმე გორაკების გასწვრივ ბოლთას სცემდა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

"მთელი ორი კვირა, რაც იქ გავატარეთ, ყოველ ნაშუადღევს იმ პლაჟზე მივდიოდით, - წერდა ბრუნო თავის საგაზეთო წერილში. - როდესაც იცი, რომ მოკვდავი ხარ და სიკვდილს ელოდები, ბუნებრივია, ამქვეყნიურ სიამტკბილობას მკაცრი თვალთ აფასებ. მაგრამ თუკი ამ უკიდურეს დასკვნას თავიდან ამოიგდებ, ადვილად მიხვდები, რომ მარსეიანის პლაჟის გორაკებთან წმინდა ჰუმანურობა სუფევს, რომლის მიზანია, უშურველად გაზიაროს ადამიანურ სიამოვნებებს, ისე, რომ სხვას ამით არავითარი ზიანი არ მიადგეს. ჩემს წერილში სწორედ ამის დამტკიცებას ვაპირებ. სექსუალური სიამოვნება (ადამიანურ განცდათა შორის ყველაზე მძაფრი), ძირითადად "შეხებით შეგრძნებებს", განსაკუთრებით კრაუზეს გაღიზიანებას ემყარება, თვით ეს კორპუსკულები მჭიდროდ უკავშირდებიან ნეირონებს, რომლებიც, თავის მხრივ, ჰიპოთალამუსში ენდორფინების მძლავრ შემოჭრას უწყობენ ხელს. კულტურას ნაზიარები თაობების ურთიერთმონაცვლეობის წყალობით, ამ, ერთი შეხედვით, მარტივ სისტემას, ადამიანის ტვინის ქერქში თან ერწყმის გაცილებით მდიდარი მენტალური სტრუქტურა, რომელიც ბადებს ფანტაზმებსა და (ეს უფრო ქალებს ეხება) სიყვარულს. ჩემი ღრმა რწმენით, მარსეიანის გორაკები არ უნდა მივიჩინოთ უგონო და ზღვარდაუდები ფანტაზმების ბუდედ; პირიქით, სწორედ ეს გახლავთ ის გეოგრაფიული საყრდენი, რომლის საშუალებით, მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობით, შესაძლებელი ხდება სექსუალური მიზნების განონასწორება და ჩვეული მდგომარეობის მოხვეჭა. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, ზღვისა და ხმელის გასაყარზე თავმოყრილი წყვილებიდან ნებისმიერს შეუძლია, ყველას დასანახად, მიეცეს სექსუალურ ალერსს. ზოგჯერ, ქალი უნძრევს ან ნუნნის მენყვილე მამაკაცს, ზოგჯერ, პირიქით. იქვე მყოფნი გაფაციცებით შესცქერიან მოალერსე წყვილს, უკეთ დასანახად, ვინრო წრეს კრავენ და, სულ მალე, მხარს უბამენ. პირ-

ველი წყვილიდან მომდინარე ალერსისა და ვნების წარმოუდგენლად გამაღიზიანებელი ტალღა მყისვე მთელ პლასს გადაეველება. სექსუალური აღგზნება იზრდება, ბევრი წყვილი ერთმანეთს უახლოვდება და ჯგუფურ განცხრომებს ეძლევა. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ მენწყილეს შერჩევა წინასწარი და ყველასთვის აშკარა შეთანხმებით ხდება. თუკი ქალს სურს, თავი აარიდოს მისთვის უსიამოვნო ალერსს, ამისთვის ბევრ დროს არ კარგავს: თავის ერთი გადაქნევა და მამაკაცი ზედმეტად ზრდილობიანი და ამიტომ, ცოტა არ იყოს, სასაცილო მობოდიშებით, უკან იხევს.

თავშეყრის მონაწილე მამაკაცთა თავაზიანობა მაშინ უნდა ნახო, როდესაც გორაკების გადაღმა აღმოჩნდები. არსებითად, ეს ადგილი gang bang-ის* მოყვარულებს ეთმობა, რომელთა უმრავლესობას მამაკაცები შეადგენენ. პირველი ბიძგი აქაც წყვილთა ინტიმური ალერსია, მეტწილად, მინეტი. თვალის დახამხამებაში, წყვილის გარშემო ათიოდე, ხშირად უფრო მეტიც, ოცამდე მამაკაცი იყრის თავს. ფეხზე მდგარნი, მიწაზე მსხდომნი, თუ ქუსლებზე ჩაცუცქულნი, ყველანი მოალერსე წყვილს მისჩერებიან და ერთდროულად ანძრევენ. ზოგჯერ ყოველივე აქ მთავრდება, წყვილი თავისას აგრძელებს, მამაკაცები კი ნელ-ნელა გაიკრიფებიან. ზოგჯერ, ქალი ხელით ანიშნებს, მზად ვერ ნებისმიერი დავაკმაყოფილო, დაგუნძრიო, მოვუნუნო, ან თავი გადავაჟიმინო. მაშინ რიგში ჩამდგარი მამაკაცები ზედმეტი ფაციფუცის გარეშე ერთმანეთს ენაცვლებიან. როდესაც ქალს მეტი აღარ სურს, ისევ ხელის მოძრაობით ანიშნებს, კმარაო. ხმა-კრინტს არავინ სძრავს, მხოლოდ ქარის სისინი ისმის, რომელიც გორაკებს შორის დანავარდობს და ბალახს მიწისკენ ხრის. ხანდახან, ქარი ჩადგება და სრული სიჩუმე ჩამოწვება, რომელსაც, შიგადაშიგ, ვნებიანი ზვნიშა თუ არღვევს.

მე სრულიადაც არ ვაპირებ, აგდის კონცხის პანსიონატს ფურიეს ფალანსტერის** მსგავსი იდილიური სახე შევძინო. აქაც, სხვა დასასვენებელი ადგილების მსგავსად, მოხდენილი და ქორფა ტანის ქალი, ისევე, როგორც მიმზიდველი და ვაჟკაცური გარეგ-

* ხმაურიანი თავყრილობები.

** ფრანგი ფილოსოფოსისა და ეკონომისტის, შარლ ფურიეს მოძღვრებაში, მშრომელთა იდილიური კომუნა.

ნობის მამაკაცი, განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს და მაცდუნებელი შემოთავაზებების ნაკლებობას არ განიცდის. აქაც, მოუხეშავი, ზონზროხა, ხანში შესული და შეუხედავი ტიპი მასტურბაციის იმედზეა რჩება, იმ განსხვავებით, რომ სხვაგან საძრახის ამ საქმიანობას აქ შემწყნარებლურად უყურებენ. ყველაზე გასაოცარი მაინც ის არის, რომ ეს ნაირნაირი, ყველა პორნოგრაფიულ ფილმზე უფრო აღმგზნები სექსუალური ქმედებანი, ყოველგვარი აგრესიის გარეშე, შეიძლება ითქვას, თავაზიან გარემოში მიმდინარეობს. კიდევ ერთხელ ვიხსენებ რა ცნებას "სოციალ-დემოკრატიული სექსუალურობა", მე ვგულისხმობ დისციპლინისა და ნებისმიერი ურთიერთშეთანხმებისთვის ესოდენ აუცილებელი პატივისცემის ერთობ უცნაურ, აქამდე არნახულ გამოყენებას. ეს სწორედ ის თვისებებია, რომელთა წყალობით გერმანელებმა ორი თაობის მანძილზე ორი მომაკვდინებელი, სისხლისგან დამცლელი მსოფლიო ომი გადაიტანეს და ნანგრევებად ქცეულ ქვეყანაში მძლავრი, ექსპორტის უნარის მქონე ეკონომიკა ააღორძინეს. ამ თვალსაზრისით, საინტერესო იქნებოდა, გაგვეგო, როგორ შეაფასებდნენ აგდის კონცხზე მოქმედ სოციოლოგიურ პრაქტიკას იმ ქვეყნების (იაპონია, კორეა) მკვიდრნი, სადაც ზემოხსენებული კულტურული ღირებულებანი ესოდენ დიდი პატივით სარგებლობს. ქცევის ეს თავაზიანი და ლოიალური ყაიდა, რომელიც ყველას, ვინც კი პატიოსნად ასრულებს შეთანხმების დაუნერეულ წესებს, ორგანიზმის უშფოთველად მიღწევის ნუთებს სთავაზობს, იშვიათი დამაჯერებლობით გამოირჩევა, რადგან, ყოველგვარი დამატებითი ახსნა-განმარტების გარეშე, ძალდაუტანებლად მიესადაგება ნებისმიერი ეროვნების დამსვენებელს (ლანგედოკელ წვრილფეხა ბურჟუას, არაბ დამნაშავეს, მაკარონების მოტრფიალე რიმინელ იტალიელს)".

პანსიონატში გატარებული პირველი კვირის ბოლოს, ბრუნომ სწორედ ამ ადგილას შეწყვიტა სტატიის წერა. ამგვარად, უფრო სათუთი, ნაზი და ბუნდოვანი უთქმელი დარჩა. ჩვეულებისამებრ, პლაჟზე გატარებული ნაშუადღევის შემდეგ, შვიდი საათისთვის, ბრუნო და კრისტიანი აპერიტივის დასალევად მიდიოდნენ. ბრუნო კამპარის გეახლებოდათ, კრისტიანს თეთრი მარტინი ერჩივნა.

ბრუნო მოთეთრო-მოვარდისფრო ბათქაშზე მზის სხივის სრიალს ადევნებდა თვალს, მერე მზერა ოთახში მოფუსფუსე კრისტიანზე გადაჰქონდა, რომელიც, დედიშობილა, ყინულის და ზეთისხილის შემოსატანად ოთახიდან სამზარეულოში გადი-გამოდოდა. უცნაური, ძალზე უცნაური განცდა ჰქონდა: თავისუფლად სუნთქავდა, არაფერზე ფიქრობდა და ძველებურად აღარ ეშინოდა. ერთხელ, ჩამოსვლიდან ერთი კვირის თავზე, კრისტიანს უთხრა: "მგონი, ბედნიერი ვარ". კრისტიანი ადგილზე გაქვავდა, ყინულის ნატეხებით სავსე ჯამს თითები მოუჭირა და ერთი ძალუმად ამოიხვნეშა. ბრუნომ გააგრძელა:

"შენთან ცხოვრება მინდა. კმარა... ისედაც დიდხანს გავუძელით უბედურებას. ცოტაც და დაიწყება ავადმყოფობა, უძლურება... ბოლოს, სიკვდილიც კარს მოგვადგება. მაგრამ ვფიქრობ, იქამდე შეგვიძლია, ერთმანეთის გვერდით ბედნიერებას ვენიოთ. ვცადოთ მაინც. მგონი, მიყვარხარ".

კრისტიანს ცრემლები წასკდა. მოგვიანებით "ნეპტუნში", თევზეულის მაგიდასთან, შეეცადნენ საკითხს პრაქტიკულად მიდგომოდნენ. კრისტიანი მზად იყო, ყოველ შაბათ-კვირას სტუმრად წვეოდა, მაგრამ პარიზში გადმოსვლა და სამსახურის შოვნა გაუჭირდებოდა. მერე კიდევ, ვაჟიშვილზეც უნდა ეფიქრა. ასე რომ, ლოდინი მოუხდებოდათ. მაგრამ იმედის გადანურვა არ ღირდა: პირველად, ამდენი წლის მანძილზე, რალაც მაინც გახდა შესაძლებელი.

მეორე დღეს, ბრუნომ მოკლე, ამაღელვებელი წერილი მისწერა მიშელს. წერდა, ბედნიერი ვარ და ახლა იმას ვწუხვარ, აქამდე ერთმანეთს რომ ვერ ვუგებდითო. ძმას მთელი გულით უსურვებდა, შეძლებისდაგვარად, მასაც ბედნიერებისთვის მიეღწია. "შენი ძმა ბრუნო", - მიაწერა წერილს.

წერილის მიღება მიშელის ღრმა თეორიული უძღურების კრიზისის დაემთხვა. მარგენაუს ჰიპოთეზის მიხედვით, ინდივიდუალური ცხოვრება შეიძლება შევადაროთ შესაძლებლობათა ველს ფოკის სივრცეში, რომელიც განისაზღვრება, როგორც ჰილბერტის სივრცეთა უშუალო ჯამი. არსებითად, ეს სივრცე შეიძლება აიგოს სინაპტიკურ სივრცეზე ელემენტარული ელექტრონული მოვლენების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, ნორმალური ქცევა ველის მკვეთრ დეფორმაციებს ეთანხმება, მაშინ, როდესაც თავისუფალი ქმედება ველის წყვეტის შედეგია. მაგრამ უცნობია, კონკრეტულად რომელ ტოპოლოგიაში? არავითარი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ ჰილბერტის სივრცეთა ბუნებრივი ტოპოლოგიით შევძლოთ თავისუფალ ქმედებათა წარმოჩენის მიზეზების დადგენა. დღეს დარწმუნებით ვერვინ იტყვის, შესაძლებელია კი ამ საკითხის განხილვა სხვაგვარად, თუ არა მხოლოდ მეტაფორულ ქრილში. მიუხედავად ამისა, მიშელს მტკიცედ სწამდა, რომ ახალი კონცეპტუალური ბაზის შექმნის აუცილებლობა დიდი ხანია მომწიფდა. ყოველ საღამოს, კომპიუტერის გამორთვამდე, მიშელი ინტერნეტით ექსპერიმენტების შედეგებს უკვთავდა, მეორე დილით თვალს შეავლებდა და კიდევ ერთხელ რწმუნდებოდა, რომ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, უაზრო ემპირიზმში ჩაძირული სამეცნიერო ლაბორატორიები ამაოდ შვრებოდნენ. ვერც ერთი შედეგი მეტ-ნაკლებად მიახლოებულ პასუხს ვერ იძლეოდა, რაიმე ჰიპოთეზაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტი იყო. როგორც ცნობილია, ინდივიდუალური ცნობიერება ცოცხალ სამყაროში ერთბაშად და უმიზეზოდ გაჩნდა და, როგორც ეტყობა, დიდი ხნით წინ უსწრებდა მეტყვე-

ლების წარმოშობას. საბოლოო არაცნობიერი მიზნის თეორიის ერთგული დარვინისტები წინ წამოსწევენ ბუნებრივი შერჩევის უპირატესობებს, რომლებსაც მეტყველების განვითარებას უკავშირებენ, რაც, თავის მხრივ, არაფერს ხსნის და ერთი უბრალო, თითქოს ზრდილობის გამო შექმნილი მითოლოგიური კონსტრუქციაა. ამ შემთხვევაში, ანთროპოგენური პრინციპი ყოველგვარ დამაჯერებლობას კარგავს. სამყარომ გვიბოძა თვალები და ტვინი, რათა განვჭვრიტოთ და გავიაზროთ იგი; მერე და რა? ამით ფენომენს ვერ ავხსნით. თვითშემეცნება, რომელიც არ გვხვდება ნემატოდებთან, შეიძლება აღმოვაჩინოთ უმარტივეს ხვლიკებში, თუნდაც *Lacerta agilis*-ში; დასაშვებია, ვილაპარაკოთ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და კიდევ რაღაცაზე, რომელიც ჩვენთვის აბსოლუტური იდეალებითაა მოცული. როგორც ეტყობა, ცნობიერების გაჩენა არ უკავშირდება ანატომიურ, ბიოქიმიურ, ან უჯრედოვან მონაცემებს. ამის შემდეგ, მოდი და ყურებს ნუ ჩამოყრი!

ჰეიზენბერგი რას იზამდა? ნილს ბორი რას მოიმოქმედებდა?.. მხოლოდ ამას: განმარტოება და ფიქრი, ქალაქგარეთ სეირნობა და მუხიკის მოსმენა. ახალი ძველის უბრალო გადამღერებით არ იქმნება. ინფორმაცია ინფორმაციას ემატება, როგორც ერთი მუჭა ქვიშა მეორეს. საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, ეს პროცესი თვით ექსპერიმენტის ველის კონცეპტუალური ჩარჩოებითაა განპირობებული. დღეს კი, ისე, როგორც არასოდეს, საჭიროა მოვლენების ახლებური ხედვა.

ცხელი, სწრაფწარმავალი და სევდიანი დღეები ერთმანეთს კუდში მიყვებოდა. 15 სექტემბრის ღამეს, მიშელმა არაჩვეულებრივად ბედნიერი სიზმარი იხილა. ტყეში იყო, პატარა გოგონასთან ერთად, რომელიც, პეპლებით გარშემორტყემული, ხტუნვა-ხტუნვით მიუყვებოდა ყვავილოვან ბილიკს (როდესაც გაიღვიძა, მიხვდა, რომ ეს ოცდაათი წლის წინანდელი გახსენება, ტელესერიალის, "უფლისწული საფირი"-ს გამოძახილი იყო, რომელსაც ბებიას ბინაში, ყოველ ნაშუადღევს უყურებდა და რომლის გმირს, უფლისწულ საფირს მთელი გულით თანაუგრძნობდა). წამიც და ახლა მარტო მიაბიჯებდა ხევებით დასერილ ვეებერთელა ველზე. სივრცეს კიდე-ბოლო არ უჩანდა, მწვანე გორაკები უსასრულოდ ენაცვ-

ლებოდა ერთმანეთს. და მაინც, მიშელი აუჩქარებლად, მაგრამ ჯიუტად მიიწეოდა წინ. მან იცოდა, რომ მის ფეხქვეშ მინისქვეშა მდინარე მიედინებოდა, ის კი, შეუმცდარი ინსტიქტით, მდინარის კალაპოტს მიუყვებოდა. გარშემო ქარი ბალახს აბიბინებდა.

ხალისიანი დილა გაუთენდა; მთელი ამ ორი თვის მანძილზე, რაც სამსახურიდან დაითხოვეს, ასე გაყოჩალებული და გულმხიარული არასოდეს ყოფილა. სახლიდან გამოვიდა, ემილ ზოლას გამზირზე გაუხვია და ცაცხვების ხეივანს გაუყვა. სიმარტოვეს არაფრად დაგიდევდა. ანტიერენიორების ქუჩის კუთხეში ნაბიჯი შეანელა. მაღაზია "ზოლაკოლორი" ის-ის იყო გაიღო და აზიელმა მოლარეებმა თავთავის სალაროებს მიაშურეს. სადაცაა, ცხრა გახდებოდა. ბოგრენელის კომკურებს შორის უცნაურად მოელვარე ცა მოჩანდა. ირგვლივ ყოველივეს გამოუვალი უსასოობის ელფერი ედო. იქნებ, ღირდეს, ერთხელ მაინც, კარის მეზობელი ქალისთვის ორი ღერი ტკბილი სიტყვა გაიმეტოს? ბოლო-ბოლო, არასპეციალიზირებული გაზეთის რედაქციაში მუშაობს და საზოგადოებრივი ცხოვრების ავან-ჩავანი კარგად უნდა ესმოდეს. ვინ იცის, იქნებ, მისგან მაინც ისწავლოს, როგორ მოურიგდეს და შეენყოს ამ მტრულ სამყაროს? ქალისთვის არც ფსიქოლოგიური ფაქტორები იქნება უცხო ხილი. ასეა, თუ ისე, მისგან ბევრის სწავლა შეუძლია. სახლში აჩქარებული ნაბიჯით დაბრუნდა, კიბე აირბინა და გულამოვარდნილი შეჩერდა მეზობლის კართან, დიდხანს რეკავდა ზარს, ბინაში ჩამიჩუმე არ ისმოდა. შეცბუნებული მიშელი უკან გამობრუნდა, ლიფტთან შეჩერდა და შეფიქრიანდა. იქნებ, დეპრესიული პიროვნებაა და ძაღლის თავი სწორედ აქ იმალება? რამდენიმე წელია, უბანში მომრავლებული აფიშები მოქალაქეებს სიფრთხილისა და ნაციონალური ფრონტის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ. უკვე ის, რომ მიშელს ერთიც და მეორეც ფეხზე ეკიდა, ცუდის ნიშანი იყო. დეპრესიით შეპყრობილთა ტრადიციული "ნათელი ხილვა", რომელიც, ხშირად, ადამიანთა საზრუნავისადმი სრული გულგრილობის სახეს იღებს, უპირველეს ყოვლისა, იმ მოვლენებისადმი უყურადღებობაში გამოიხატება, რომლებიც, მართლაც, ჩვენგან ნაკლებ ყურადღებას იმსახურებს. ამრიგად, უკიდურეს შემთხვევაში, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დეპრესიული შეყვარებული, დეპრესიული პატრიოტი კი ბუნებაში არ არსებობს.

სამზარეულოში რომ მიბრუნდა, გაიფიქრა, რომ დემოკრატიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი, ადამიანის მიერ საკუთარი ქმედებების თავისუფალი და გაცნობიერებული არჩევანის, კერძოდ, პირადი პოლიტიკური არჩევანის რწმენა, თავისუფლებისა და წინასწარგანუსაზღვრელობის ცნებათა აღრევის სავალალო შედეგია. ხიდის საყრდენ ბოძთან წარმოქმნილი მორევის ტრიალის სტრუქტურას წინასწარ ვერვინ განსაზღვრავს, მაგრამ ამის საფუძველზე მტკიცებასაც არვინ დაიწყებს, რომ ეს მოძრაობა თავისუფალია. მიშელმა თეთრი ღვინო ჩამოისხა, ფარდები დაუშვა და წამოწვა, რათა უკეთ ეფიქრა. ქაოსის თეორიის განტოლებებს არავითარი კავშირი არა აქვს ფიზიკის იმ სფეროს თვისებებთან, რომელშიც მათი შედეგები აშკარად იჩენს თავს. ეს საყოველთაოება ნებას გვრთავს, გამოვიყენოთ მოცემული განტოლებები როგორც ჰიდროდინამიკაში, ასევე პოპულაციის გენეტიკაში, მეტეოროლოგიაში და სოციო-ფსიქოლოგიურ ჯგუფებში. მათი მორფოლოგიური მოდელირება არცთუ ისე ძნელია, მაგრამ მათზე დაყრდნობით, ამა თუ იმ მოვლენის ხასიათის წინასწარ განჭვრეტა თითქმის შეუძლებელია. კვანტური მექანიკის განტოლებები კი, პირიქით, საშუალებას იძლევა იმთავითვე სრული სიზუსტით წარმოვიდგინოთ მიკროფიზიკური სისტემების ხასიათი, ხოლო თუკი უკუვაგდებთ მატერიალური სამყაროს ონთოლოგიისკენ მიბრუნების იმედს, ეს სიზუსტე აბსოლუტურ ხასიათს შეიძენს. ასე რომ, ამ ორ თეორიას შორის მათემატიკური თანაფარდობის ძიება ჯერ ნაადრევია, იქნებ საერთოდ, შეუძლებელიც. მიუხედავად ამისა, მიშელი დარწმუნებული იყო, რომ ადამიანთა ქმედებებისა და შეხედულებების ახსნა ნეირონებისა და სინაპსების ევოლუციის დროს წარმოქმნილ ატრაქტორებში უნდა ეძებნა.

ახლახან გამოქვეყნებული მასალების ფოტოასლების ძებნას შეუდგა და გაახსენდა, რომ ერთი კვირა იყო, საფოსტო ყუთში არ ჩაუხედავს. ჩვეულებისამებრ, ყუთში უამრავი სარეკლამო ბუკლეტი დახვდა: ტურისტული ფირმა "TMR" მდიდრული საზღვაო მოგზაურობების ორგანიზაციის ახალი ინსტიტუციური ნორმის დაფუძნების პრეტენზიას აცხადებდა და ახალი ხომალდის "Costa

Romantica"-ს წყალში ჩაშვებას იუნწყებოდა. რეკლამას თუ ენდობოდი, გემი "ნამდვილი მოცურავე სამოთხე" უნდა ყოფილიყო. თქვენ მხოლოდ ისურვეთ და... "თავდაპირველად, მინის უზარმაზარი ჭერის ქვეშ, მზით გაჩახჩახებულ ჰოლში აღმოჩნდებით, საიდანაც პანორამული ლიფტი გემბანზე აგიყვანთ. გემის კიჩოზე მოთავსებული ვეებერთელა ფანჯრიდან ზღვა ისე მოჩანს, როგორც გიგანტურ ეკრანზე". იმ იმედით, მოგვიანებით უფრო გულდასმით გავეცნობიო, მიშელმა ბუკლეტი გვერდზე გადადო. გემბანზე სეირნობა, გამჭვირვალე კედლებიდან ზღვის ცქერა, რამდენიმე კვირა ერთფეროვანი ცის ქვეშ ცურვა... რატომაც არა? ამასობაში კი, დასავლეთ ევროპას ჯანდაბამდის გზა ჰქონია, თუნდაც, ომის ქართვეხილს წაუღია... გარუჯული, დასვენებული და გატკიცინებული გადმოვა ნაპირზე და აჰა შენ, ახალი კონტინენტი...

იქამდე კი, უნდა ეცადო, მხიარულად და ჭკვიანურად იცხოვრო, მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობაც არ უნდა დაკარგო. "მონოპრის მალაზიების სიახლეების" უკანასკნელი გამოცემები სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ სამოქალაქო ინიციატივას. კიდევ ერთხელ და ვინ იცის მერამდენედ, სარედაქციო წერილის ავტორი ხმალამოლებული თავს ესხმოდა ადამიანის ფიზიკურ ფორმაზე გასტრონომიულ სიამტკიბილობათა მავნე გავლენის შესახებ საყოველთაოდ მიღებულ აზრს. საკვები ნაწარმის რეკლამა, ცნობილი ფირმების მოხსენიება, სარწმუნო წყაროების მოხმობა, ერთი სიტყვით, ამ მალაზიების მთელი საქმიანობა, დაარსების დღიდანვე, სწორედ ამ შეხედულების წინააღმდეგ იყო მიმართული. "წონასწორობის დაცვა თქვენზე დამოკიდებული; რაც უფრო ადრე დაინყებთ, მით უკეთესი," - მოუწოდებდა მკითხველებს რედაქტორი. ამ მკაცრ, შეიძლება ითქვას, "ანგაჟირებულ" შეტევას ეშმაკური რჩევები, ტვინის გამახალისებელი თამაშები და რუბრიკა "რა უნდა იცოდეთ" მოყვებოდა. ასე, მაგალითად, მიშელს, თავის გასართობად, შესაძლებლობა ეძლეოდა, გამოეთვალა რამდენ კალორიას ნთქავდა დღეში. ეს ბოლო კვირები, სიზარმაცემ დარია ხელი, - არც ცოცხი, არც უთო, არც ცურვა, არც ჩოგბურთი, არც სექსი. მოქმედების არე ერთობ შეიზღუდა: ჯდომა, წოლა, ძილი, გასანი-გამოსნი, 1750 კილოკალორია ყოველდღიურად. ბრუნოს წერილით

თუ იმსჯელებდა, ის ცურვასა და სექსს არ იკლებდა. მიშელმა კიდევ ერთხელ იანგარიშა; გამოდიოდა, რომ ბრუნოს დღეში 2700 კილოკალორია სჭირდებოდა.

ყუთში კრესი-ან-ბრის მერიიდან გამოგზავნილი წერილიც იდო. სატვირთო მანქანების სადგომის გასაფართოებლად აუცილებელი გახდა მუნიციპალური სასაფლაოს შევიწროება და ზოგიერთი საფლავის, მათ შორის ბეზისაც, გადაადგილება. წესის მიხედვით, ნეშტის გადატანას ვინმე ახლობელი უნდა დასწრებოდა. მიშელს შეეძლო, თერთმეტის ნახევრიდან შუადღემდე, სასაფლაოს "საზედამხედველო სამსახურის" რომელიმე წარმომადგენელს დაკავშირებოდა.

შეხვედრები განშორების შემდეგ

კრესი-ლა-შაპელში პატარა მატარებლის ნაცვლად ახლა საგარეუბნო დადიოდა. სოფელმაც ძლიერ იცვალა სახე. სადგურის მოედანზე შეყოვნდა და გაოცებით მიმოიხედა. სუპერმარკეტი "კაზინო" კრესის გასასვლელთან, გენერალ ლეკლერკის გამზირზე გადაეტანათ, გარშემო კი ახალი ჯიხურები და შენობები აეგოთ.

მერიის თანამშრომელმა აუხსნა, რომ ყველაფერი "ევროდისნის" გახსნას, განსაკუთრებით კი ჩქარი მეტროს ხაზის მარნ-ლა-ვალემდე გაგრძელებას მოჰყვა. ბევრმა პარიზელმა აქ დასახლება არჩია; მინა თითქმის სამჯერ გაძვირდა; ბოლო დრომდე შემორჩენილმა ფერმერებმაც გაყიდეს საკუთარი ნაკვეთები; ამ ადგილზე ახლა გიმნაზია და ორაუზიანი სპორტული დარბაზი იდგა. დამნაშავეობა აქაც იყო, მაგრამ იმაზე მეტი არა, რაც სხვაგან.

ძველი სახლებისა და ხელუხლებელი არხების გასწვრივ, სასაფლაოსკენ მიმავალმა იგრძნო, როგორ შემოაწვა გულისშემკუმშველი სევდა, რომელსაც ბავშვობის ადგილებთან მიბრუნებისას განვიცდით. გზა გადაკვეთა და წისქვილის წინ შეჩერდა. სკამი, რომელზეც, გაკვეთილების შემდეგ, ანაბელთან ერთად ისვენებდა, ძველ ადგილზე დახვდა. მუქ წყალში დიდი თევზები აღმა-დაღმა დაცურავდნენ; ღრუბლებიდან მზე იცქირებოდა.

ვილაც ტიპი მიშელს სასაფლაოს შესასვლელთან ელოდებოდა. "თუ არ ვცდები, თქვენ..." "დიახ": ნეტავ, რა ახალი სიტყვა მოი-

გონეს "მესაფლავის" ნაცვლად? კაცს ხელში ნიჩაბი და ნაგვის ჩა-საყრელი ცელოფანის დიდი შავი პარკი ეკავა. მიშელმა ნაბიჯი შე-უნყო. "შეხედვას არვინ გაძალებთ..." - ნაიბუზღუნა კაცმა და ღია საფლავისკენ წაუძღვა.

სიკვდილი ძნელად ასახსნელია და მისთვის თვალის გასწორე-ბა ადამიანს მუდამ უჭირს. ბებიას ცხედარს მიშელი ოცი წლის წინ ეამბორა და, მაინც, იმან, რაც საფლავში იხილა, უზომოდ გა-ნაცვიფრა. ბებია კუბოში დაკრძალეს, ახლად ამოყრილ მიწის გროვას კი, აქა-იქ, მხოლოდ ხის ნაფოტები, დამპალი ფიცარი და თეთრად მოელვარე რაღაც საგნები ერია. როდესაც მიხვდა, თუ რას დაადგა თვალი, მყისვე თავი იბრუნა და სხვა მხარეს გაიხე-და, მაგრამ მოსახდენი უკვე მოხდა. მიშელმა ტალახით დაფარუ-ლი, ცარიელფოსობიანი თავის ქალა დაინახა, რომელსაც ქალარა თმის ბლუჯა შერჩენოდა. იქვე მიწაში არეული ხერხემლის მალეები ეყარა. მიშელი ყველაფერს მიხვდა.

კაცი ნეშტის ნარჩენებს პარკში ტენიდა და, შიგადაშიგ, მის გვერდით გახვეებული მიშელისკენ აპარებდა მზერას. "მუდამ ასეა... - ნაიბუზღუნა მან, - თავს ვერ ერევიან, გინდა თუ არა, უნ-და ჩაიხედონ. სად გაგონილა, კუბოს ოცი წელი გაეძლოს!" მესა-ფლავეს ხმაში ბრაზი შეეპარა. მიშელი ორიოდ ნაბიჯის მოშორე-ბით იდგა. კაცმა საქმე მოითავა, წელი გამართა და მიშელთან მი-ვიდა. "მოვრჩით?" მიშელმა თავი დაუქნია. "საფლავის ქვას ხვალ გადმოვიტანთ. ახლა ამ უწყისს მოაწერეთ ხელი".

აი, თურმე რა რჩება ოცი წლის შემდეგ: მიწით მოსვრილი ძვლები და საოცრად ხშირი, საოცრად ცოცხალი თმა. მიშელს თვალწინ ბებია წარმოუდგა - საქსოვით ხელში, ტელევიზორთან ზის, ახლა კი სამზარეულოში გადის. დიახ, ასე იყო. "სპორტსმე-ნების ბართან" ჩავლისას, შეამჩნია, რომ კანკალებდა. შევიდა და ანისულის არაყი მოითხოვა. მაგიდას რომ მიუჯდა, მაშინლა მიხვ-და, რომ იქაურობას ძველებური იერი აღარ ედო: ამერიკული ბი-ლიარდი, ვიდეოთამაშები, MTV-ს არხს მიერთებული ტელევიზო-რი, რომელიც კლიპებს აჩვენებდა. "Newlook"-ის ყდა, სარეკლამო დაფასავით, ზარა უაითისის კომმარულ ზმანებებსა და უზარმაზარ ავსტრალიურ თეთრ ზვიგენს ასხამდა ხოტბას. ცოტაც და მიშელს თვლელმა მოერია.

პირველად ანაბელმა იცნო. ის-ის იყო სიგარეტი იყიდა და კარებისკენ გაეშურა, რომ სკამზე მოკუნტულ მიშელს მოჰკრა თვალი. წუთით შეეყოყმანდა, მერე მაგიდას მიუახლოვდა. მიშელმა თვალები ასწია. "მოულოდნელობაც ამას ჰქვია..." - თქვა ქალმა და მოლესკინის სკამზე დაეშვა. თითქმის სულ არ შეეცვლილა. ნარმოუდენლად სუფთა და ტკიცინა სახე ჰქონდა, ქერა თმებსაც ძველებური ელვარება შერჩენოდა. ვერც იფიქრებდი, რომ ორმოცი წლის იყო, ჰა-ჰა, ოცდაშვიდს ან ოცდარვას თუ მისცემდი.

კრესიში ისიც იმავე საქმემ ჩამოიყვანა. "ერთი კვირის წინ, მამა გარდამეცვალა, - თქვა მან, - ნაწლავის კიბოთი... ტკივილებით დიდხანს იტანჯა... დედაჩემის დასახმარებლად შემოვრჩი. ისე, შენსავით, მეც პარიზში ვცხოვრობ".

მიშელმა თვალები დახარა; ცოტა ხანი, ჩუმად იყვნენ. მეზობელ მაგიდასთან, ორი ბიჭი კარატეს ორთაბრძოლას არჩევდა.

"სამი წლის წინ, რომელიღაც აეროპორტში, ბრუნოს გადავეყარე. მითხრა, რომ მეცნიერი გახდი, თანაც შენს დარგში ცნობილი მეცნიერი. ისიც მითხრა, ცოლი არ მოუყვანიაო. მე სატრაბახო ბევრი არაფერი მაქვს, მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში ვმუშაობ. გაუთხოვარი დავრჩი. ხშირად გიხსენებდი. წერილებზე რომ არ მიპასუხებ, შეგიზიზღე. ოცდასამი წელი გავიდა, მე კი ისევ მახსოვხარ".

მერე მიშელი სადგურამდე მიაცილა. საღამოვდებოდა, ექვსს აღარაფერი უკლდა. ხიდზე შეჩერდნენ. ნაპირზე ნესტის მოყვარული ხეები - ნაბლი და ტირიფი ხარობდა. მწვანე წყალი მშვიდად მიედინებოდა. კოროს უყვარდა ეს ადგილი და რამდენჯერმე დახატა კიდეც. საკუთარი ბალის შუაში უძრავად მდგარი მოხუცი კაცი საფრთხობელა გეგონებოდა. "ახლა ისევ ძველ ადგილს და ვუბრუნდით და სიკვდილს ერთნაირი მანძილი გვაშორებს" - თქვა ანაბელმა.

სანამ მატარებელი დაიძრებოდა, საფეხურზე შედგა და ლოყაზე აკოცა. "შევხვდებით", - უთხრა მიშელმა. "ჰო", - უპასუხა ქალმა.

მომდევნო შაბათს ანაბელმა მიშელი სადილად დაპატიჟა. ლეჟანდრის ქუჩაზე ერთოთახიანი ბინა ეკავა. სივინროვის მიუხედა-

ვად, ოთახში შინაურულად იგრძნობდი თავს - მუქი ფიცრებით აკრული ჭერი და კედლები ბინას გემის კაიუტას ამგვანებდა. "რვა წელია აქ ვცხოვრობ, - აუხსნა ქალმა, - კონკურსი რომ გავიარე, მაშინ ვადმოვედი. იქამდე, ტელევიზიის პირველ არხზე, "ერთობ-ლივი წარმოების" განყოფილებაში ვმუშაობდი. ყელში მქონდა ამოსული, იქაური არაფერი მომწონდა. ახალმა სამსახურმა ხელფასის მესამედი დამაკარგვინა, მაგრამ ასე მირჩევნია. ახლა მე-17 არონდისმანის მუნიციპალური ბიბლიოთეკის საბავშვო წიგნების განყოფილებაში ვმუშაობ".

ანაბელმა ცხვრის ხორცის და ინდური ოსპის კერძი მოამზადა. მაგიდასთან მიშელი ცოტას ლაპარაკობდა. ანაბელს ოჯახის ამბები გამოჰკითხა; უფროსი ძმა მამის სანარმოს ედგა სათავეში, დაოჯახდა და სამი შვილი ეყოლა - ერთი ბიჭი და ორი გოგო. საუბედუროდ, სანარმოს უჭირდა, ზუსტი ოპტიკური ხელსაწყოების წარმოების სფეროში კონკურენცია დღითი დღე სულ უფრო ძლიერდებოდა, ერთი-ორჯერ გაკოტრებას ძლივს გადაურჩა. ნუგემის საპოვნელად, ძმა არაყს ეძალემა და არჩევნებზე ლე პენის პარტიას უჭერს მხარს. უმცროსი ძმა "ლ'ორეალის" ფირმის მარკეტინგის განყოფილებაში მუშაობს. სულ ახლახან, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფირმის მარკეტინგის სამსახურის უფროსად გადაიყვანეს და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნები ჩააბარეს. ახლა ერთმანეთს იშვიათად ხვდებიან. ცოლს გაეყარა, შვილები არ ჰყავს. ასე რომ, ორი განსხვავებული, მაგრამ ერთნაირად ბევრის მანიშნებელი ბედია.

"დალხინებული ცხოვრება არც მე მაქვს - ეტყობა, სიყვარულს ზედმეტ ყურადღებას ვანიჭებდი, - თქვა ანაბელმა, - მამაკაცებს ადვილად ვენდობოდი, ისინი კი, რაწამს თავისას გაინაღლებდნენ, მტოვებდნენ. მარტო ვრჩებოდი და ვიტანჯებოდი. მამაკაცები სიყვარულით არ წვებიან ჩემთან, უბრალოდ, ვნების დაცხრომა სურთ. ამ მარტივი ჭეშმარიტების გაგებას წლები მოვანდომე. ჩემს გარშემო ყველა ასე ცხოვრობდა, მეც მათი ზნე გადამედო, მაგრამ მამაკაცების დაბნელებაში და გამონწვევაში ვერავითარ სიამოვნებას ვერ ვპოულობდი. ბოლოს და ბოლოს, სექსმაც თავი მომაბეზრა. ველარ ვიტანდი, კაბის გახდისას, მამაკაცების ავხორცულ ღიმილს, გათავებისას მათ ბრიყვულ სიფათებს და, რაც მთავარია, ბრიყვულ საუბრებს საქმის მოთავეების შემდეგ. ყველა ერთ-

თავად არასმაქნისი, დონდლო და ცრუ ამპარტავანია. ძნელია, როდესაც ვიღაცას პირუტყვად მიაჩნხარ, თუმცა, ლამაზი ვარ, ესთეტიკური თვალსაზრისით წუნს ვერვინ დამდებს და მამაკაცებისთვის რომ გეკითხა, ჩემს გვერდით რესტორანში ყოფნა ეამაყებოდათ. მხოლოდ ერთხელ იყო, ვიფიქრე, როგორც იქნა, რალაც სერიოზული ხდება-მეთქი და საცხოვრებლად იმ ტიპთან გადავედი. მსახიობი იყო, გარეგნობით მიმზიდველი, მაგრამ ვერაფერს მიაღწია... ბინის ქირას და დანარჩენსაც მე ვიხდიდი. ორი წელი ერთად გავატარეთ... დავორსულდი... ნაყოფი მოიშორეო, მაძალებდა... ასეც მოვიქეცი, მაგრამ საავადმყოფოდან რომ გამოვედი, მივხვდი, ჩვენს შორის ყველაფერი დასრულდა. იმ საღამოსვე სასტუმროში გადავბარგდი. ოცდაათი წლის ვიყავი, ეს ჩემი მეორე აბორტი იყო და მეტის თავი აღარ მქონდა. 1988 წელი იდგა, შიდსის საფრთხემ ყველა დააშინა, მე კი... ბედის საჩუქრად ვიგულე. ათობით კაცთან ვინეჭი, მაგრამ გასახსენებლად არც ერთი არ ღირს. დღეს ყველას ჰგონია, რომ ცხოვრებაში არის უზრუნველი გართობის ხანა, მერე სიკვდილის აჩრდილი წამოგენევა. ყველა მამაკაცს, ვისაც კი ვიცნობდი, სიბერის შიში ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, მუდამ საკუთარ ასაკზე ფიქრობდნენ. ეს აკვირება ადრე იწყება. ოცდახუთი წლის ახალგაზრდებშიც შევხვედრივარ და, რაც დრო გადის, მით უფრო მძაფრდება. გადავწყვიტე, ყველაფერს შევშვებოდი და თამაშიდან გავსულიყავი. ახლა, მშვიდად და უსიხარულოდ ვცხოვრობ. საღამოობით ვკითხულობ, სხვადასხვა ნაყენს, ჩაის ან ყავას ვიმზადებ. შაბათ-კვირას მშობლებთან ჩავდივარ და თითქმის მთელ დროს ძმისშვილების მოვლას ვანდომებ. რა დასამალია და, ხანდახან, მამაკაცი მჭირდება, განსაკუთრებით, ღამით, როდესაც შიში არ მაძინებს. დამაწყნარებელი და ძილის წამალი სასთუმალთან მიდევს, მაგრამ ბოლომდე ესეც ვერ მშველის. სინამდვილეში, ერთი სული მაქვს, ცხოვრება დასრულდეს”.

მიშელი ჩუმად იყო. ქალის სიტყვები არ უკვირდა. ქალების უმრავლესობას აფორიაქებული სიყმანვილე აქვს, თავში ბიჭები და სექსი უტრიალებთ. მერე, თანდათანობით იღლებიან, ბარძაყების გადაშლა და უკნიდან სახმარად პოზის დაჭერა სულ უფრო და უფრო ეზარებათ. სათუთ ურთიერთობებს ეძებენ, მაგრამ ვერ

პოულობენ, ისეთ გრძნობას ელტვიან, რომლის განცდა თვითონაც აღარ ძალუძს და ინყება გაუსაძლისი წლები.

ვაშლილმა ტახტმა მთელი თავისუფალი სივრცე შეავსო. "დღეს პირველად დამჭირდა", - თქვა ანაბელმა. გვერდიგვერდ დაწვნენ და ერთმანეთს ჩაეკონნენ.

- ჩასახვის საწინააღმდეგო აბებს დიდი ხანია შევეშვი, პრეზერვატივებსაც აღარ ვინახავ. შენ ხომ არ გაქვს?

- არა, - გაეცინა მიშელს.

- თუ გინდა, პირში ავიღებ.

მიშელი წუთით დაფიქრდა, მერე თქვა: "მინდა". სასიამოვნო იყო, მაგრამ ვნება აკლდა (სინამდვილეში, მიშელს ტკბობის სიმძაფრე არც არასოდეს განუცდია; სექსუალური სიამოვნება ზოგს უკიდურესად ალაგზნებს, ზოგს კი ისე რა... ხშირად უგრძნობლადაც ტოვებს. რისი ბრალია? აღზრდის, ნეირონების თუ კიდევ რა-ღაცის? მიდი და გაიგე). და მაინც, მინეტმა ააღელვა: ეს ხომ ერთმანეთის ხელმეორედ მოპოვების და ოდესღაც გატეხილი ბედის გამთელების სიმბოლო იყო? ან ის წუთი რად ღირდა, როდესაც მიძინებულ ანაბელს მკლავები მოხვია და ქალის თბილ, ნაზ, მოქნილ და გატკიცინებულ სხეულს აეკრა? ანაბელს ვინრო წელი, ფართო თეძოები და პატარა, მკვრივი ძუძუები ჰქონდა. ფეხები ქალის ფეხებს შემოხვია, ხელისგულები მუცელზე და მკერდზე დაადო. ერთი კი გაიფიქრა, სამყაროს პირველი დღეც ასეთი თბილი და ნაზი უნდა ყოფილიყო და წამსვე ჩაიძინა.

თავდაპირველად, ვიღაც კაცი, უფრო ზუსტად, ტანსაცმელში გამოწყობილი სივრცის ნაწილი დაინახა. მხოლოდ სახე უჩანდა... მოელვარე თვალების გამომეტყველებას ვერაფრით ახსნიდი... სარკის წინ იდგა... კაცმა სარკეში ჩაიხედა და მიხვდა, რომ სიცარიელეში ვარდებოდა, მაგრამ უკანასკნელ წუთს თავი შეიკავა და იატაკზე დაემვა... ახლა სარკეში საკუთარ ორეულს შესცქეროდა, როგორც რაღაც თავისთავადობას, მისგან დამოუკიდებელ, სხვებისთვის კი ადვილად მისაწვდომ მენტალურ ხატს. წუთიც და კაცსა და ორეულს შორის გულგრილობამ დაისადგურა. მაგრამ წამით მოაშორებდა მზერას თუ არა, ყველაფერი თავიდან იწყებოდა. კაცი იძულებული ხდებოდა, მტანჯველი ძალისხმევით, რომე-

ლსაც ერთობ დაახლოებულ საგანთან თვალის მიჩვევა ინვეცს, სა-
კუთარ ორეულთან გაიგივების დამორგუნველი შეგარძნება მოეს-
პო. ეს მტანჯველი განცდა "მე"-ს შენაცვლებადი ნევროზის შედე-
გი იყო, - ესე იგი, კაცს განკურნებამდე ბევრი აკლდა.

თეთრი კედელი იხილა, რომლის ზედაპირზე ბუნდოვანი ასოე-
ბი იხატებოდა. თანდათან, ასოებმა მეტი სიმკვეთრე შეიძინეს და
გულისამრევად მოლივლივე ბარელიეფად დალაგდნენ. ჯერ სიტყ-
ვა "მშვიდობა" დაიწერა, შემდეგ, "ომი"; მერე ისევ "მშვიდო-
ბა" და, ბოლოს, ყველაფერი ერთბაშად ნაიშალა. სუფთა კედელ-
ზე ასოც აღარ შერჩა. საიდანღაც მოვარდნილმა ტალღამ ჰაერში
გაიქროლა და სინოტივე დატოვა... მზე იყო ვეებერთელა და ყვი-
თელი... ის ადგილი დაინახა, სადაც დროის ფესვები იზრდებოდა.
ფესვები მთელ სამყაროს ედებოდა: უფრო ძლიერი და დაკორძი-
ლი ცენტრისკენ ინევდა, სუსტი და ნებოვანი კიდისკენ. დაკორძი-
ლი ფესვები დანანევრებულ სივრცეს მარნუხებივით ეხვეოდნენ,
გრეხდნენ, კრავდნენ...

მკვდარი კაცის ტვინი დაინახა, სივრცის ერთი ნაწილი, რომე-
ლიც თვით შეიცავდა სივრცეს.

უკანასკნელ ზმანებაში წარმოუდგა სივრცის მენტალური და-
ნადგარი და მისი ანტიპოდი. იხილა მენტალური კონფლიქტი, ერ-
თდროულად სივრცის შემოქმედიც და მომშთენიც. დაინახა სივრ-
ცე, ვითარც ორი სფეროს გამყოფი ვიწრო ზოლი. პირველ სფერო-
ში იყო ყოფიერება და განშორება; მეორეში - არყოფნა და ინდი-
ვიდუალური გაარაფრება... მშვიდად, წამიერი ყოყმანის გარეშე
იცვალა გვერდი და მეორე სფეროსკენ წარდგა ნაბიჯი.

მიშელი გამოფხიზლდა და წამოჯდა. ანაბელი წყნარად სუნთ-
ქავდა. მაგიდაზე, კუბის ფორმის "სონის" მალევიძარა 03.37 აჩვენე-
ბდა. იქნებ ცოტაც ნაუძინოს? ასე აჯობებს. ძილის წამალი თან
ჰქონდა.

დილით, ანაბელმა ყავა მოუმზადა, თვითონ კი ჩაი დალია და
გახუხული პური მიაყოლა. მშვენიერი დარი იდგა, თუმცა ჰაერს
სიცივე შეპარვოდა. ქალმა თვალი შეავლო კაცის სხეულს, რომე-
ლსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა ყმანვილური მოქნილობა. მოდი და
დაიჯერე, რომ ორმოცი წლისანი არიან. და მაინც, მძიმე გენეტი-

კური ცვლილებების შიშით, ბავშვს ვერ იყოლიებს. მიშელსაც სადაცაა უღალატებდა მამაკაცური ფხა და ძალა. სახეობის გამრავლების თვალსაზრისით, ორთავენი კარგად მობერდნენ და გენეტიკურად დაუძღურდნენ. ქალმა თავისი იცხოვრა: კოკაინი, ორგიები, მდიდრული სასტუმროები... არაფერი დაუკლია... ახალგაზრდობისას, სილამაზის წყალობით, ზნე-ჩვევათა გათავისუფლების პროცესის ეპიცენტრში ამოყო თავი და კიდეც დაისაჯა, - მთელი ცხოვრება ხელში შემოაძნა. მიშელს, რომელიც, საკუთარი გულგრილობით, ამ მოვლენისა და თვით ადამიანური არსებობის პერიფერიაზე აღმოჩნდა, პროცესმა გვერდით ჩაუარა და მხოლოდ მსუბუქად შეეხო. საკუთარი უბნის მონოპრის მალაზიის ხშირი სტუმრობისა და მიკრობიოლოგთა გუნდში მუშაობის გარდა სხვა არც არაფერი აინტერესებდა. ესოდენ განსხვავებულ წარსულს ამ ორ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებულ სხეულზე აშკარა კვალი არ დაუტოვებია, მაგრამ ცხოვრებამ, როგორც სჩვევია, ფარულად და დამანგრეველად მათზეც იმოქმედა და უჯრედებისა და ორგანოების კვლავწარმოების უნარი დაუქვეითა. სიყვარულის ნიჭით დაჯილდოებული ორი გონიერი ძუძუმწოვარა ამ შემოდგომის დილის ნათელში ერთმანეთს შესცქეროდა. "ვიცი, გვიანაა, - თქვა ბოლოს ქალმა, - მაგრამ მინდა ერთხელაც ვცადო. ლიცეუმში ჩვენი ერთად ყოფნის უკანასკნელი, 74-75 სასკოლო წლის მატარებლის სამგზავრო ბილეთს დღემდე ვინახავ. ყოველთვის, როდესაც ხელში მომხვდება, ტირილი მინდება. ვერ გამიგია, ყველაფერი ასე როგორ გათახსირდა. ამას ვერაფრით შევეგუები".

ცხადი იყო, რომ დასავლური სამყაროს თვითმკვლელობის უამს, მათ არავითარი შანსი არ რჩებოდათ, მაგრამ, კვირაში ორჯერ, ერთმანეთს მაინც ხვდებოდნენ. გინეკოლოგის რჩევით, ანაბელმა აბების მიღება განაახლა. მიშელი მამაკაცურ ვალს იხდიდა, მაგრამ მის გვერდით ძილი და მისი სხეულის სითბოს შეგრძნება ყველაფერს ერჩივნა. ერთ ღამეს, რუანში, სენის მარცხენა სანაპიროზე მდებარე პარკი ესიზმრა. ფერმიხდილ ცაში, მდინარის ნაპირზე უპატრონოდ მიტოვებული, უანგმოვებული ნავების თავზე, თითქმის ცარიელი, ვეებერთელა ბორბალი ტრიალებდა. მიშელი ერთდროულად მკრთალი და მყვირალა საღებავებით შეღებილ ბარაკებს შორის მიდიოდა. სუსხიანი ქარი და წვიმა სახეში სცემდა. გასასვლელს რომ მიუახლოვდა, ტყავის ქურთუკებში გამოწყობილი, სამართებლებით შეიარაღებული ბიჭბუჭები დაესხნენ თავს. სანამ მოუშვებოდნენ, ერთი კარგა მაგრად უთაქეს. თვალებიდან სისხლი სდიოდა; მიხვდა, რომ თვალის ჩინი სამუდამოდ დაკარგა, ისევე როგორც მარჯვენა ხელის ნახევარი. მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ სისხლისა და ტკივილის ჯიბრზე, ანაბელი მუდამ მის გვერდით იქნებოდა და მარადიული სიყვარულით დაიფარავდა.

შაბათ-კვირას, ყოვლადწმინდობაზე, სულაკში, ანაბელის ძმის აგარაკზე გაემგზავრნენ. მეორე დილას, პლაჟისკენ გაემართნენ. გზაში მიშელმა დაღლილობა იგრძნო და სკამზე ჩამოჯდა, ანაბელმა კი გზა გააგრძელა. ზღვა მონაცრისფრო ვერცხლისფერ ტალღებს მოაქანებდა, სანაპიროსთან მეჩერებს ახეთქებდა და ჰორიზონტზე ლამაზად მოელვარე ნისლად ფანტავდა. ანაბელის სილუეტი გრძელ, თეთრ კაბაში თითქმის შეუმჩნეველი, ნარნარი რწევ-

ით მიუყვებოდა ნაპირს. პლაჟის კაფეს თეთრ პლასტიკის მაგიდებს შორის ბებერი გერმანული ნაგაზი დასუნსულედა, ისიც თვალისთვის ძნელად გასარჩევი, თითქოსდა წყლის შხეფებით და მზის სხივებით გაჯერებულ ნისლში ითქვიფებო.

სადილად ანაბელმა შემწვარი ქორჭილა შეუკვეთა. კვებას რაც შეეხება, საზოგადოება, რომელშიც ცხოვრება უხდებოდათ, ორთავეს იმაზე ცოტა მეტს სთავაზობდა, რაც მათი აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იყო საჭირო. ასე რომ, შეეძლოთ ეცხოვრათ, თუმცა ამის დიდი სურვილი არ ჰქონდათ. მიშელი თანაუგრძნობდა ანაბელს სიყვარულის იმ უზარმაზარი მარაგისთვის, რომელიც, აშკარა იყო, ქალის არსების სიღრმეში ფეთქავდა და რომელიც ცხოვრებამ გულცივად გათელა. ეს თანაგრძნობა იყო ერთადერთი ადამიანური განცდა, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩა. სხვებს ყინულოვანი სიმკაცრით ხვდებოდა და გულის კარებს უხშობდა. სიყვარულიც აღარ შეეძლო.

პარიზში დაბრუნებულები, რამდენჯერმე ბედნიერებას ეზიარნენ, აი, ისეთს, სუნამოს სარეკლამო დაფაზე რომ ხატავენ (მონმარტრის კიბიდან ხელიხელჩაკიდებული ჩამორბენა, ხელოვნების ხიდზე წუთიერი შეყოვნება და სენაზე აღმა-დაღმა მოსრიალე ტურისტული გემების პროექტორების შუქზე ხვევნა-აღერსი). კვირა დღეების მსუბუქი კამათი და მდუმარების წუთებიც გამოსცადეს, როდესაც საბანქვემ მოკუნტული სხეული გრძნობებისგან იცლება. ანაბელის ბინა ბნელი იყო, ამიტომ დღის ოთხ საათზე შუქს ანთებდნენ. ზოგჯერ სევდა შემოანვებოდათ, მაგრამ, მეტწილად, სერიოზულები იყვნენ. ორთავემ კარგად უწყოდა, რომ ჭეშმარიტად ადამიანურ სიახლოვეს უკანასკნელად განიცდიდნენ და ეს შეგრძნება ყოველ წუთს სულისშემძვრელი ტკივილის ელფერს სძენდა. ახლა ერთმანეთისადმი ვეებერთელა პატივისცემას და სიბრალულს გრძნობდნენ. და მაინც, დროდადრო, ცხოვრება მოულოდნელ წყალობად მათთვისაც გამოიმეტებდა გრილი ნიავით და მოელვარე მზით შეზავებულ წუთებს. მაგრამ, უფრო ხშირად, ისეთი გრძნობა ეუფლებოდათ, თითქოს მათ არსებაში დაბუდებული მრუმე ჩრდილი მთლიანად დედამიწას გადაეფარა, საშველი აღარსად იყო და მათ ირგვლივ ყოველივე უცილობელ დასასრულს მოასწავებდა.

ბრუნო და კრისტიანი პარიზში დაბრუნდნენ. სხვაგვარად ვერც მოხდებოდა. დილით, სამსახურში წასვლამდე, ბრუნოს ის უცნობი ექიმი გაახსენდა, რომელმაც ორთავეს არნახული საჩუქარი გაუკეთა და, ვითომდა სამკურნალოდ, უსაფუძვლო ორკვირიანი შვებულება გამოუწერა. ბრუნო გრენელის ქუჩაზე მდებარე ოფისისკენ გაემართა. თავის სართულზე რომ ავიდა, ერთბაშად გაიაზრა, რომ გარუჯული იყო და თავს მხნედ გრძნობდა. ისიც გაიფიქრა, ცოტა სასაცილოდ ხომ არ გამოვიყურებო, მაგრამ ეს აზრი წამსვე თავიდან ამოიგდო. კოლეგები, ახსნა-განმარტებითი სემინარები, მოზარდების ჰუმანიტარული განათლება, უცხო კულტურებთან ზიარება, - ახლა ეს ყველაფერი ფხეებზე ეკიდა. კრისტიანი ნუნნიდა და ავადმყოფობისას ზრუნვას არ აკლებდა. მთავარი კრისტიანი იყო. იმ წამს იმასაც მიხვდა, რომ შვილს ველარასოდეს ნახავდა.

პატრისმა, კრისტიანის შვილმა, ბინა ნამდვილ ბორდელს დაამსგავსა: პიცას ნარჩენები, კოკა-კოლას ცარიელი ქილები, იატაკზე დასრესილი სიგარეტის ნამწვები. კრისტიანი შეფიქრიანდა, სასტუმროში ხომ არ წავიდეო, მერე გადაწყვიტა, ბინა დაესუფთავე-ბინა და წესრიგში მოეყვანა. ნუაიონი ერთი უბადრუკი, ქუჭყიანი და საშიში ქალაქი იყო. კრისტიანს ყოველ შაბათ-კვირას პარიზში ჩამოსვლა ჩვევად ექცა. თითქმის ყოველ შაბათს შეყვარებულ წყვილთათვის განკუთვნილ რომელიმე ბარში დადიოდნენ: "2+2", "კრისი და მანიუ", "სანთლები". "კრისი და მანიუში" გატარებულმა პირველმა საღამომ ბრუნოს დაუფინყარი მოგონება დაუტოვა. საცეკვაო მოედნის გარშემო განლაგებული რამდენიმე დარბაზი

იასამნის მიმქრალ ფერში იძირებოდა; სანოლები გვერდიგვერდ იდგა. ირგვლივ, საითაც არ უნდა გაგეხედა, წყვილები წერაობდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ ან ლოკავდნენ. ქალების უმრავლესობა შიშველი იყო. ზოგს ბლუზა ან მაისური ეცვა, ზოგს კი, უბრალოდ, ქვედაბოლო ჰქონდა ანეული. ყველაზე დიდ დარბაზში ოცამდე წყვილს მოეყარა თავი. ჩამიჩუმი არ ისმოდა. მხოლოდ გამაგრილებლის ზუზუნი და ორგაზმამდე მისული ქალების კრუტუნის ისმოდა. ბრუნო სანოლზე დაჯდა. იქვე, გვერდით, ორმოცდაათიოდენ წლის, პერანგისა და ჰალსტუხის ამარა ტიპი შავგვრემან, ძუძუებდაბერილ ქალს ლოკავდა. კრისტიანმა შარვალი შეუხსნა და დაინძრევა დაუნყო, თან თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ვილაც კაცი მიუახლოვდა და კაბის ქვეშ ხელი შეუცურა. კრისტიანმა სამაგრი შეიხსნა და ქვედაბოლო იატაკზე ჩაცურდა. კაბის ქვეშ არაფერი ეცვა. კაცმა ჩაიჩოქა და სანამ კრისტიანი ბრუნოს უნძრევდა, ფერება დაუნყო. გვერდით სანოლზე შავგვრემანმა კვნესას უმატა. ბრუნო ქალის ძუძუებს წაეტანა. როდესაც აუდგა, კრისტიანმა ასოსთან პირი მიიტანა და ენის წვერით სირის თავს წაეთამაშა. ერთი წყვილი მათ გვერდით ჩამოჯდა. ოციოდენ წლის წითურ გოგოს ხელოვნური ტყავის მინი ქვედატანი ეცვა. გოგო უყურებდა, როგორ ლოკავდა კრისტიანი ბრუნოს. კრისტიანმა გაუღიმა, მაისური აიწია და ძუძუები დაანახა. გოგომ ქვედაბოლო ნელზე აიტანა და წითურბალნიანის საზარდული გამოაჩინა. კრისტიანმა გოგოს ხელი აიღო და ბრუნოს სირზე წაავლებინა. გოგო ანძრევდა, კრისტიანი კი ენას ზევით-ქვევით უსვამდა. რამდენიმე წუთიც და შეუკავებელ ორგაზმში, ბრუნომ კრისტიანს სახეში შეათესლა, წამსვე ფეხზე წამოხტა და ხელები მოხვია: "მაპატიე, ძალიან ვწუხვარ". ქალმა აკოცა, მიიზიდა და ბრუნომ ლოყებზე საკუთარი სპერმა იგრძნო. "არაფერიც არ მომხდარა," - ნაზად უთხრა ქალმა და ცოტა ხნის შემდეგ დაამატა: "თუ გინდა, წავიდეთ". ბრუნომ ნაღვლიანად დაუქნია თავი: ვნებისგან სრულიად დაცლილი, ვერაფერს გრძნობდა. სწრაფად ჩაიცვეს და დარბაზიდან გავიდნენ.

მომდევნო რამდენიმე კვირა, ბრუნომ თავის მოთოკვა შეძლო - ასე დაიწყო სიმშვიდისა და ბედნიერების ხანა. ახლა ერთადერთი, რაც მის არსებობას აზრს სძენდა, კრისტიანთან გატარებული შა-

ბათ-კვირა იყო. ერთხელ, წიგნის მალაზიის სამედიცინო განყოფილების თაროზე, ამერიკელი სექსოლოგის ნაშრომს გადაანყდა. ავტორი ამტკიცებდა, რომ მარტივიდან რთულისკენ აღმავალი ვარჯიშების წყალობით, შეეძლო მამაკაცებისთვის ეაკულაციის მართვა ესწავლებინა. საქმე ეხებოდა ყვერების ქვეშ მდებარე, საზარდულ-კუდუსუნის პატარა რკალისებური კუნთის გამაგრებას. ზუსტად ორგაზმის წინ კუნთის შეკუმშვა და, ამავდროულად, ღრმა ჩასუნთქვა, ეაკულაციის შეკავებას შესაძლებელს ხდიდა. ჩიტი ბრდღენად არ ღირდა და ბრუნოც ვარჯიშს შეუდგა. ყველასთვის ცნობილი დანესებულებების სტუმრობისას, ბრუნოს გაოცებას ინვევდნენ ის მამაკაცები, ხშირად მასზე ხნიერები, რომლებსაც შეეძლოთ, ერთიმეორის მიყოლებით, საათების განმავლობაში, რამდენიმე ქალი გადაეტყნათ, ეწუნნათ, დანძრევა ეთხოვათ და მთელი ამ ხნის განმავლობაში, გათავებაზე არც ეფიქრათ. ისიც გულს ტკენდა, რომ უმრავლესობას მასზე გრძელი და მსხვილი ასო ჰქონდა. კრისტიანი ხშირად უმეორებდა, ეს არაფერი, შენ ამაზე ნუ იდარდებ, ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. ბრუნოს სჯეროდა, აშკარად ხედავდა, რომ ქალს უყვარდა, თუმცა ისიც ადარდებდა, რომ როდესაც ღამის კლუბში სირს დააძრობდა, იქ მყოფ ქალებს იმედი უცრუვდებოდათ. არავინ არაფერს ამბობდა, ზრდილობას არვინ ღალატობდა, ყველა მეგობრულად და თავაზიანად ექცეოდა. მაგრამ თვალებს ვერაფერს უხერხებდნენ და მალე, ბრუნო მიხვდა, რომ სექსშიც მთლად მაგარი ვერ იყო, თუმცა მასაც ჰქონდა ენითაუნერელი, გიჟური, ღამის გულყრამდე მიმყვანი სიამოვნების წუთები, როდესაც დაჭრილი ნადირივით ბლაოდა და რაც, სიმართლე თუ გნებავთ, მის მამაკაცურ ძალაზე მეტად, ორგანოების მგრძნობელობაზე მეტყველებდა. სხვათა შორის, ალერსი კარგად ეხერხებოდა, ამას კრისტიანიც აღიარებდა და ბრუნომაც იცოდა: იშვიათად, რომ ქალი ორგაზმამდე არ მიეყვანა... შუა დეკემბერში შეამჩნია, რომ კრისტიანი ცოტათი შეიფერთხა და სახეზე წითელმა ლაქებმა გამოაყარა. ზურგის ტკივილი არა და არ მემშვება, იძულებული ვარ წამლების დოზა გაეზარდო, ეს სიგამხდრე და ეს ლაქებიც წამლების ბრალიაო, გაენდო ერთხელ ბრუნოს და მყისვე საუბრის თემა შეცვალა. ბრუნო მიხვდა, რომ ქალი თავს უხერხულად გრძნობდა და ამან

შეაფიქრიანა: სათნო და ყურადღებიანი კრისტიანი მზად იყო ეც-
რუა, ოღონდ კი ბრუნოს გული არ სტკენოდა. ჩვეულებრივ, შაბათ
სალამოს, კრისტიანი სადილს თვითონ ამზადებდა და კარგადაც
გამოუდიოდა. მერე ღამის კლუბში მიდიოდნენ. ქალს გვერდებზე
ან ფეხებს შორის ჩახსნილი ქვედაბოლო, მოკლე ბლუზა და წვივ-
საკრავიანი წინდები ეცვა. ლბილი და აღმგზნები საშო მყისვე უს-
ველდებოდა. ასეთ შესანიშნავ სალამოებს ბრუნო ოცნებაშიც ვერ
წარმოიდგენდა. ზოგჯერ, ზედიზედ რამდენიმე მამაკაცის ხელში
გამოვლილ კრისტიანს, გული ძალუმად აუძგერდებოდა და წამში
უხვი ოფლი დაასხამდა. ბრუნოს შიშის ურუანტელი უვლიდა. ისი-
ნი ჩერდებოდნენ, ქალი მკერდზე აეკვრებოდა, კოცნიდა და თმა-
ზე ეფერებოდა.

გამოსავალი, რა თქმა უნდა, არც ეს იყო. წყვილებისთვის განკუთვნილი კლუბების სტუმრები, მამაკაცებიც და ქალებიც, ადრე თუ გვიან, უარს ამბობენ სიამოვნების მოპოვებაზე (რაც დახვეწილობას, მგრძობელობას და სიდინჯეს ითხოვს) და ამის სანაცვლოდ, არსებითად ყალბ, "Canal+"-ის პორნოფილმებიდან გადმოღებული სექსუალური ფანტაზმებით ერთობიან. ერთობ მაცდუნებელია, კარლ მარქსის საპატივცემულოდ, - რომელმაც საკუთარი მოძღვრების შუაგულში, მომაკვდინებელი ენტელექსიასავით*, "მოგების პროცენტის მიზანმიმართული ვარდნა" მოათავსა, - იმ ანარქისტული სისტემის საფუძვლად მივიჩნიოთ, რომელსაც ბრუნო და კრისტიანი ეზიარნენ და რომელსაც შეიძლება "სიამოვნების პროცენტის მიზანმიმართული ვარდნა" შეიძლება ვუნოდოთ. მაგრამ ეს ნაჩქარევი და არასწორი დასკვნა იქნება. როგორც კულტურული, ანთროპოლოგიური და მეორადი ფენომენები, სიამოვნება და სურვილი, საბოლოო ჯამში, სექსზე ბევრს არაფერს გვეუბნება. მათ განმსაზღვრელ ფაქტორებად ვერ მივიჩნევთ, რადგან თვითვე არიან სოციოლოგიურად განსაზღვრულები. მონოგამიურ, რომანტიკულ და სასიყვარულო სისტემაში, ისინი საყვარელი არსების დახმარებით მიიღწევა. ლიბერალურ საზოგადოებაში კი, რომელშიც ბრუნოსა და კრისტიანს უხდებოდათ ცხოვრება, ოფიციალური კულტურის მიერ შემოთავაზებული სექსუალური მოდეელი (რეკლამა, ჟურნალები, სოციალური თუ ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციები) თავისი შინაარსით ავანტიურისტული იყო: ასეთი სისტემის წიაღში, სურვილი და სიამოვნება მხოლოდ "ცდუნების" პროცესის შედეგია,

*აქტიური საწყისი, მამოძრავებელი ძალა (ძვ. ბერძ.).

რომელსაც მთელი ყურადღება სიახლეზე, ვნებაზე და ინდივიდუალურ ძალისხმევაზე გადააქვს (ეს ის თვისებებია, რომელიც, პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, ნებისმიერ მოსამსახურეს მოეთხოვება). წმინდა ფიზიკური კრიტერიუმების სასარგებლოდ ცდუნების ინტელექტუალური და ზნეობრივი კრიტერიუმების დაკნინებამ წყვილთათვის განკუთვნილი კლუბების ჩვეული მუშტრები აიძულა, ცოტაოდენ განსხვავებული, ე.წ. "სადის სისტემა" აერჩიათ, რომელსაც "ოფიციალური კულტურის ფანტაზმა" შეიძლება ეწოდოს. ამ სისტემის წიაღში მამაკაცის ასო მუდამ მკვრივი და უზარმაზარი ზომისაა, ქალის ძუძუები სილიკონითაა გამოტენილი, საშო კი გაპარსული და ნერწყვიანი. წყვილთა კლუბებს ნაჩვევი, "Connexion" და "Hot Video"-ს მკითხველი ქალები, კლუბებში მხოლოდ იმ მიზნით მიდიოდნენ, რომ რაც შეიძლება მეტ სირზე წამოგებოდნენ. შემდგომ ეტაპს მათ "მბ"-ს (მამაკაცის ასო) კლუბები სთავაზობდნენ. საერთოდ, ტკობა, ჩვევის ამბავია, იტყოდა პასკალი, ოდესმე ასეთი რაღაცებით რომ დაინტერესებულყო.

ბრუნოს, თავისი ცამეტსანტიმეტრიანი ასოთი და არცთუ ისე ხშირი ერექციებით (ადრეულ სიყმაწვილეს თუ არ ჩავთვლით, დიდხანს ვერ ძლებდა და ერექციებს შორის ლატენტური პერიოდიც, მას შემდეგ, საგრძნობლად გაუხანგრძლივდა. ასეც უნდა ყოფილიყო: ახალგაზრდობა უკან დარჩა), ღამის კლუბებში არაფერი ესაქმებოდა, თუმცა ბედს სულაც არ უჩიოდა: ამდენ საშოს და პირს ოცნებაშიც ვერ ინატრებდა. იმასაც გრძნობდა, რომ ყოველივე ამისთვის კრისტიანის მადლიერი უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებულ სიამოვნებას იმ დროს განიცდიდა, როდესაც კრისტიანი სხვა ქალებს ეალერსებოდა. მენწყვილები აღფრთოვანებული იყვნენ კრისტიანის ენის მოქნილობით, მისი თითებით, რომლებიც ასე მარჯვედ პოულობდნენ და ალაგზნებდნენ კლიტორს. საუბედუროდ, ბრუნოსა და კრისტიანისთვის სამაგიეროს მიზღვის მცდელობა მუდამ იმედის გაცრუებით მთავრდებოდა. კონვეირული სექსითა და უხეში თითებით გაფართოებული საშო (ზოგჯერ, რამდენიმე თითს ან მთლიანად ხელს ხმარობდნენ), ქონის ნაჭერივით უგრძნობი უხდებოდათ. ჯგუფური პორნოფილმების მსახიობების გიჟური რიტმის მიბაძვით, ბრუნოს სირს კლარნეტისტის სასაცილო მოძრაობებით წუნნიდნენ და თან უხეშად ეწვალეობდნენ (ტექნო მუსიკაც, რომელსაც ამ საქმისთვის უფრო შესაფერისი, დახვეწილი მუსიკის სანა-

ცვლოდ უკრავდნენ გაუთავებლად, თავისას აკეთებდა და მათ შესტებს კიდევ მეტ მექანიკურობას სძენდა). ბრუნო სწრაფად ათავებდა და ვერავითარ სიამოვნებას ვერ იღებდა. მისთვის საღამოც ამით მთავრდებოდა. კლუბში კიდევ ნახევარ, დიდი-დიდი ერთ საათს რჩებოდნენ. კრისტიანი ჟიმაობდა და თან ბრუნოს გამოცოცხლებას ცდილობდა, თუმცა ამაოდ. მხოლოდ დილით წაიჟიმავედნენ, ძილ-ღვიძილში ბრუნოს წინა ღამის სურათები ეზმანებოდა, ამჯერად, მისთვის უფრო სასიამოვნო ფერებში; ბრუნოსა და კრისტიანისთვის არაჩვეულებრივი სინაზის წუთები დგებოდა.

რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, წინასწარ შერჩეული რამდენიმე წყვილი შინ მოეწვიათ და საღამო ალერსსა და ლაყბობაში გაეტარებინათ. გულის სიღრმეში ბრუნო დარწმუნებული იყო, რომ ბოლოს და ბოლოს ასეც მოიქცეოდნენ. მერე კიდევ, კუნთების იმ ვარჯიშისთვისაც უნდა მიეხედა, ამერიკელი სექსოლოგი რომ ურჩევდა; კრისტიანთან კავშირი, რომელიც აქამდე განუცდელ სიხარულს ანიჭებდა, მისთვის განუზომლად მნიშვნელოვანი და სერიოზული იყო. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ფიქრობდა, როდესაც უყურებდა, როგორ იცვამდა ან როგორ ფუსფუსებდა სამზარეულოში კრისტიანი. უფრო ხშირად კი, როდესაც კრისტიანი შორს ეგულებოდა, ისეთი წინათგრძნობა უჩნდებოდა, თითქოს ყოველივე უშნო ფარსი, არსებობის უკანასკნელი და უხამსი ხუმრობა იყო. ჩვენი უბედურება მწვერვალს მაშინ აღწევს, როდესაც სიბნელები ბედნიერების ნაპერწკალი აკიაფდება.

უბედურება თებერვლის იმ ღამეს დატრიალდა, როდესაც "კრისსა და მანიუში" ერთობოდნენ. მთავარ დარბაზში, კრისტიანი ლეიბზე წამოწოლილ, ბალიშებზე მისვენებულ ბრუნოს წუნნიდა. ბრუნოს ქალის ხელი ხელში ეკავა. კრისტიანი მუხლებზე იდგა, ფეხები ფართოდ გაეშალა, გავა კი მამაკაცებისთვის მიეშვირა, რომლებიც უკნიდან მოადგებოდნენ, პრეზერვატივს წამოიცვამდნენ და რიგრიგობით ხმარობდნენ. ხუთი მამაკაცი ისე მოითავა, ერთიც არ მოუხედავს; თვალმილულული, თითქოს ბურანშიაო, ენას ბრუნოს ასოზე ასრიალებდა, მისხალ-მისხალ ზომავდა. უცებ მოკლე და მკვეთრი ყვირილი აღმოხდა. ვიღაც ხუჭუჭთმიანი ახმახი, უკნიდან, თეძოების მძლავრი მოძრაობით, კეთილსინდისიერად აგრძელებდა "შედი-გამოდი"-ს, თან გამოცარიელებული თვალებით სივრცეს მი-

მტერებოდა. ბრუნოს ეგონა, ვყვირივარო, სინამდვილეში კი ძლივს გასაგონად ამოიხრიალა: "გეყოთ!", ფეხზე წამოდგა და უხეშად ჰკრა ხელი ტიპს, რომელიც გაოგნებული, გაბრიქინებული სირით და ულონოდ ჩამოცვენილი მკლავებით, ადგილზე გაშეშდა. კრისტიანი გვერდზე გადაესვენა, ტკივილისგან სახე დაემანჯა. "განძრევა გიჭირს?" - დაეკითხა ბრუნო. ქალმა უარის ნიშნად თავი გადააქნია. ბრუნო ბარისკენ გაეარდა და ტელეფონი მოიკითხა. სასწრაფო დახმარება ათ ნუთში მოვიდა. კლუბის სტუმრები ფაცაფუცით იცვამდნენ და თან უხმოდ ადევნებდნენ თვალს სანიტრებს, რომლებმაც კრისტიანი ასწიეს და მანქანაში დააწვინეს. ბრუნო თავით მიუჯდა. ცენტრალური საავადმყოფო ორ ნაბიჯზე იყო. ბრუნომ რამდენიმე საათი ლინოლეუმით განყობილ დერეფანში იყურეყუტა, სანამ მორიგე ინტერნმა არ შეატყობინა, რომ კრისტიანს ჩაეძინა და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

კვირას ძვლის ტვინის პუნქცია გაუკეთეს. ბრუნო ექვს საათზე მივიდა საავადმყოფოში. ბნელოდა, წვრილი და ცივი წვიმა სენის ზვირთებს ერთვოდა. საწოლში წამომჯდარმა კრისტიანმა, რომელსაც ზურგს უკან ბალიშების გროვა ჰქონდა ამოდებული, ბრუნოს ღიმილი შეაგება. დიაგნოზი მარტივად და ცალსახად ასკვნიდა: კუდუსუნის მალეების ნეკროზის უკუჩრებელი სტადია. კრისტიანი ამას რამდენიმე თვე, წამი-წამზე ელოდებოდა. წამლებს დროებითი შვება მოჰქონდა, - სნეულების დამარცხება შეუძლებელი იყო. ახლა, როდესაც ავადმყოფობის განვითარება შეჩერდა, გართულებების შიში აღარ უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ფეხების დამბლას აღარაფერი ეშველებოდა.

კრისტიანი ათ დღეში გამოენერა. ბრუნომ საავადმყოფოში მიაკითხა. ახლა ყოველივე სხვაგვარად დატრიალდა; ხშირად ხდება ასე: ერთბაშად, ცხოვრებას გაურკვეველი ნალველი შეეპარება და ყველაფერი უფერული და მოსაწყენი ხდება. მერე, უცებ, გზაჯვარედინი გამოჩნდება და ხვდები, რომ ეს უკანასკნელი გზაჯვარედინია. კრისტიანს სამსახური უნდა დაევიწყებინა; ხეიბრის პენსიასთან ერთად, უფასო შინამოსამსახურის აყვანის უფლებაც ჰქონდა. ეტლი ბრუნოსკენ მიმართა; მოძრაობა ჯერ კიდევ უჭირდა: ძალა უნდა დაეტანებინა, მაგრამ მკლავებში ღონე აღარ ერჩოდა. ბრუნომ ლოყები და ტუჩები დაუკოცნა: "ახლა შეგიძლია საცხოვრებლ-

ად ჩემთან გადმოხვიდე". კრისტიანმა თავი ასწია და თვალებში შე-
აცქერდა. ბრუნომ ქალის მზერას ვერ გაუძლო. "დარწმუნებული
ხარ? - ჰკითხა ქალმა ნაზი ხმით, - მართლა გინდა?" ბრუნომ არა-
ფერი უპასუხა. ყოველ შემთხვევაში, პასუხი მოუგვიანდა. ქალმა
წუთით იყუჩა, მერე დაამატა: "ვალდებული არ ხარ. დიდი დრო არც
შენ გიდევეს წინ და არც არაფერი გაიძულეხს, დარჩენილი ცხოვრე-
ბა ხეიბარს შესწირო". თანამედროვე ცხოვრების კატეგორიები
სრულიად არ შეესაბამება ჩვენი სასრული არსებობის პირობებს.
არასოდეს, არც ერთ ეპოქაში, არც ერთ ცივილიზაციაში, ადამიანე-
ბი ამდენს არ ფიქრობდნენ და ასე არ წუხდნენ საკუთარ ასაკზე.
დღესდღეობით, თითოეული ჩვენგანისთვის მომავალი მარტივი და
ნათელია: მოვა დრო და მოსალოდნელი ტკივილების ჯამი გადააჭა-
რებს დარჩენილი ფიზიკური სიამოვნებების ჯამს (ჩვენ ვგრძნობთ,
რომ ჩვენს შიგნით, სიღრმეში, მრიცხველი ერთი და იმავე მიმარ-
თულებით ტრიალებს). სიამოვნებებისა და ტკივილების რაციონა-
ლური გაანგარიშება, რომლის დრო, ადრე თუ გვიან, ყველას დაგ-
ვიდგება, გარკვეულ ასაკში თვითმკვლევლობისკენ გვიბიძგებს. ამ
მხრივ, საინტერესოა, რომ ჩვენი საუკუნის მინურულის ორმა პატი-
ვსაცემმა ინტელექტუალმა, დელიოზმა და დებორმა, ერთი შეხედვ-
ით, ყოველგვარი მიზეზის გარეშე მოისწრაფეს სიცოცხლე; ერთა-
დერთი ის იყო, რომ უცილობელი ფიზიკური მიხრწნილობის პერს-
პექტივას ვერაფრით ვერ შეეგუენ. ამ თვითმკვლევლობებს არვის
გაუოცებია და არც არვის მოსვლია აზრად, რაიმე მაინც აეხსნა.
ჩვენში დარჩეს და ასაკში შესული ადამიანების ესოდენ მოხშირე-
ბული თვითმკვლევობა სავსებით ლოგიკურიც კი გვეჩვენება. ამა-
სთან დაკავშირებით, უპრაიანი იქნება, გავიხსენოთ მოსალოდნელ
ტერორისტულ თავდასხმაზე საზოგადოების მრავლისმეტყველი
რეაქცია: უმრავლეს შემთხვევაში, ტკივილსა და ხეიბრობას, ადამი-
ანს უჯობს ადგილზევე მოუთავონ ხელი. ერთი მხრივ, სიცოცხლე,
ცოტა არ იყოს, ყელში ამოუვიდა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის,
რომ არაფერი, თვით სიკვდილიც კი, ისე არ აშინებს და არ ეზი-
ზლება, როგორც მიხრწნილი და დაუძლურებული სხეულით არსე-
ბობის გაგრძელება.

ბრუნომ შაპელ-ან-სერვანთან ჩაუხვია. ყველაზე ადვილი იყო,
კომპიენის ტყეზე გავლისას, ხეს შეჯახებოდა. საავადმყოფოში რა-

მდენიმე წუთით დაყოვნება საბედისწერო აღმოჩნდა; სანყალი კრისტინიანი. მეტიც, რამდენიმე დღე იყოყმანა, სანამ კრისტინას დაურეკავდა. კარგად იცოდა, რომ ქალი, ვაჟიშვილთან ერთად, იაფფასიან ბინაში იყო გამოკეტილი. ხშირად წარმოიდგენდა, ტელეფონის წინ, ეტლში მჯდომარეს. დიახ, სრულიადაც არ იყო ვალდებული, ხეიბარს თავს შემოვლებოდა, განა ქალმაც ეს არ უთხრა? ბრუნო დარწმუნებული იყო, რომ კრისტინას არავის სიძულვილი არ გაჰყოლია იმქვეყნად. დამსხვრეული გორგოლაჭებიანი ეტლი ქვემოთ, საფოსტო ყუთებთან იპოვეს. ქალს სახე შესიებოდა, ეტყობა კისრის მალეები გადაუტყვდა. კრისტინამა თადარიგი ადრე დაიჭირა და ბრუნო იმ ახლობელთა სიაში შეიყვანა, რომლებიც უბედურების შემთხვევაში უნდა გაეფრთხილებინათ. ქალი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

დამკრძალავი ბიურო ნუაიონის გარეთ, შონის გზაზე მდებარეობდა. ბაბეფთან უნდა გადაგეხვია. სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილი ორი მოსამსახურე ბრუნოს რადიატორებით გადახურებულ თეთრ შენობაში ელოდებოდა. ტექნიკური ლიცეუმის აუდიტორია გეგონებოდა. დიდი ფანჯრებიდან თანამედროვე, დაბალი სახლები მოჩანდა. ჯერ კიდევ თავლია კუბო გასაშლელ მაგიდაზე იდგა. ბრუნო მიუახლოვდა, სხეულს დახედა და თითქოს ვილაცამ უბიძგაო, თავით იატაკს დაეხეთქა. მოსამსახურეები მიცვივდნენ და ფრთხილად წამოაყენეს. "იტირეთ! უნდა იტიროთ!.." - დაჟინებით უმეორებდა მათ შორის ყველაზე ხნიერი. ბრუნომ თავი გააქნია. გრძნობდა, რომ ცრემლი არ დასცდებოდა. ამიერიდან, კრისტინის სხეული ვერც იმოდრავებდა, ვერც ისუნთქებდა და ვერც ილაპარაკებდა. აღარც სიყვარული, აღარც ბედი... ყოველივე უკვალოდ გაქრა და ამაში მხოლოდ ბრუნო იყო დამნაშავე. ყველა კარტი გაიჭრა და ბოლო ხელი მარცხით დასრულდა. მშობლების არ იყოს, არც მას შეძლებია სიყვარული. გრძნობებისგან დაცლილმა, თითქოსდა ჰაერში მოფარფატემ, დაინახა, როგორ მოარგეს და მიახრახნეს კუბოს სახურავი. კუბო სამი მეტრი სიმაღლის, ნაცრისფერი ბეტონით ნაგებ და უჯრედებად დაყოფილ "დუმილის კედლამდე" მიაცილა. ხნიერმა მოსამსახურემ ფურცელს დახედა და №632 უჯრედისკენ წავიდა. მეორე მოსამსახურე ურიკაზე შედგმულ კუბოს მიახრიალებდა. ჰაერი ნოტიო და ცივი იყო, წვიმა იწყებოდა. №632 კედლის შუაში, იატაკიდან მეტრნახევრის სიმაღლეზე გამოეჭრათ.

რამდენიმე წამიც და მარჯვე, გაჩვეული მოძრაობით, მოსამსახურეებმა კუბო ასნიეს და უჯრედში შეაცურეს; პნევმატური პისტოლეტით ღრმულში ბეტონი შეასხურეს. ბრუნომ დავთარში ხელი მოაწერა. "თუ გსურთ, შეგიძლიათ, ცოტა ხნით დარჩეთ," - უთხრა ხნიერმა მოსამსახურემ.

ბრუნომ A1 ავტოსტრადა აირჩია და თერთმეტ საათზე ქალაქის გარეუბანს მიაღწია. მთელი დღე წინ ედო, არ ეგონა, თუკი ყველაფერი ასე სწრაფად დასრულდებოდა. ქალაქში შატიონის კარიბჭით შევიდა და მანქანა ალბერ სორელის ქუჩაზე, ყოფილი ცოლის სახლის წინ გააჩერა. დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია: ათი წუთი და ერნესტ რეიერის გამზირიდან მისკენ მომავალი შვილი დაინახა. ბიჭს ჩანთა მხარზე ჰქონდა მოგდებული. შეწუხებული ჩანდა და საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. ნეტავ, რაზე ფიქრობდა? "მარტოსულია, - უთხრა ერთხელ ანიმ, - იმის ნაცვლად, რომ კოლეჯში ამხანაგებთან ერთად ისადილოს, სახლში მოდის და საუზმის ნარჩენებს აცხელებს". იქნებ მამა აკლია? ასეცაა, მაგრამ არასოდეს არაფერი უთქვამს. ბავშვები იძულებულნი არიან, აიტანონ უფროსების მიერ მათთვის შექმნილი სამყარო და ცდილობენ, რაც შეიძლება უკეთ შეეგუონ მას. დრო გავა და თვითვე ააშენებენ ზუსტად ისეთივე სამყაროს. ვიქტორი კარებთან მივიდა და კოდი აკრიფა. მანქანასთან სულ ახლოს იდგა, მაგრამ ბრუნოს ვერ ხედავდა. ბრუნო ფანჯრის სახელურს დაეყრდნო და წამოინია. კარი ბიჭის ზურგსუკან მიიხურა. ბრუნო ცოტა ხანი უძრავად იყო, მერე მძიმედ დაეშვა მანქანის საჯდომზე. ან კი რას ეტყოდა შვილს? სათქმელი არაფერი ჰქონდა. არაფერი. იცოდა, რომ ცხოვრება დასრულდა, მაგრამ ამ დასასრულისა ვერაფერი გაეგო. ყოველივე ბნელი, მტკივნეული და გაურკვეველი იყო.

მანქანა დაძრა და სამხრეთის გზას გაუყვა. ანტონისთან ვოლანისკენ გადაუხვია. განათლების სამინისტროს ფსიქიატრიული კლინიკა ვერიერ-ლა-ბუისონთან, ზედ ვერიერის ტყის პირას მდებარეობდა. ეს პარკი კარგად ახსოვდა. მანქანა ვიქტორ კონსიდერანის ქუჩაზე გააჩერა, რამდენიმე მეტრი გაიარა და რკინის მესერთან მივიდა. მორიგე სანიტარი იცნო. "მოვედი," - თქვა ბრუნომ.

ბოლო ბაჩირება - საორჟი

"სარეკლამო სამსახურები, რომლებიც ყოველნაირად ესწრაფვიან, დაიპყრონ ახალგაზრდული ბაზარი, ხშირად მაცდურ სტრატეგიას ირჩევენ, რომელიც შემწყნარებლობას კარიკატურასა და განქიქებას უპირისპირებს. ჩვენი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი მოსმენის უუნარობის გამო აუცილებელია, რომ გამყიდველების არმიის ყველა წევრი იქცეს "ელჩად" უფროსების სამყაროში."

კორინ მეუი, "უფროსების ქემპარიტი სახე"

შეიძლება, ყოველივე სწორედ ასე უნდა დასრულებულიყო; და სხვა საშუალება და გამოსავალი არც არსებობდა; ვინ იცის, იქნებ აუცილებელი იყო ნასკვის გახსნა და ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანა. ამრიგად, ჯერზინსკი სწორედ აქ, საორჟოში უნდა ჩამოსულიყო (ჩრდილოეთ განედის 44/0 და სამხრეთ გრძედის 7/0/30; ზღვის დონიდან 500 მეტრი). ნიცაში სასტუმრო "უინძორში" გაჩერდა. აქოთებული სასტუმროს ერთი ოთახი ხელმოცარული მხატვრის, ფილიპ პერენის მიერ იყო მოხატული. მეორე დილით, ნიციდან სილამაზით განთქმულ ტანდისკენ მიმავალ მატარებელში ჩაჯდა. მატარებელმა ნიცის ჩრდილოეთის გარეუბნები გაიარა: არბული უბნები იაფფასიანი სახლებით, "მინიტელის" რეკლამები, "სახალხო ფრონტის" აფიშები. მატარებელმა პეიონ-სენ-ტეკლი უკან მოიტოვა და გვირაბში შევიდა. გვირაბიდან გამოსვლისას, ხელმარჯვნივ, თვალისმომჭრელ სინათლეში ჯერზინსკის თითქოსდა ჰაერ-

ში გამოკიდული პეიონის ფანტასტიკური სილუეტი წარმოუდგა თვალწინ. მერე ე.წ. "ნიცის შემოგარენს" ჩაუარეს. აქაურობის სანახავად ადამიანები ჩიკაგოდან და დენვერიდან ჩამოდიოდნენ. მატარებელი რუაიას ხეობისკენ დაეშვა. ჯერზინსკი ფანტონ-საორუის სადგურზე ჩამოვიდა. ბარგი არ ჰქონდა. მისი ინურებოდა. ნახევარი საათი ფეხით იარა. შუა გზაზე გვირაბი გაიარა. ამ ხნის მანძილზე ერთი მანქანაც არ შეხვედრია.

ბრუნოს მიერ ორლის აეროპორტში შექმნილი "მოხეტიალე მგზავრის გზამკვლევის" მიხედვით, სოფელი საორუი, სართულებად განლაგებული სახლებით, რომლებიც თავბრუდამხვევი სიმაღლიდან გადმოყურებდნენ დაბლობს, "რალაც ტიბეტურის" შთაბეჭდილებას ახდენდა. შეიძლება, ასეც იყო! ასეა თუ ისე, დედამისმა, რომელმაც საკუთარი სახელი უანინი ჯეინად გადაიკეთა, ინდოეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში მდებარე გოამი გატარებული ხუთი წლის შემდეგ, სწორედ აქ ირჩია სიკვდილი.

"არა, უბრალოდ, აქ ჩამოსვლა გადანყვიტა, სიკვდილზე არც უფიქრია, - შეუსწორა ბრუნომ, - როგორც ჩანს, ძველმა კახბამ, სუფიური მისტიციზმის, ან რალაც ამის მსგავსის გავლენით, ისლამი მიიღო და თანამზრახველთა ბანდას შეუერთდა, რომლებიც სოფლიდან მოშორებით, ერთ მიტოვებულ სახლში ცხოვრობენ. რადგან გაზეთებში მათზე აღარაფერს წერენ, ყველას ჰგონია, რომ ჰიპებმა და მისთანებმა თავისი დრო მოჭამეს. პირიქით, უმუშევრობამ მათი რიცხვი კიდევ უფრო გაზარდა, ქვა რომ ისროლო, ჰიპის მოხვდება. ამაში მე თვითონ დავრწმუნდი..." ბრუნომ ხმას დაუნია. "საქმე ის არის, რომ ახლა ნეო-სოფლები დაირქვეს, მაგრამ სინამდვილეში ხელს არ ანძრევენ და მთაში სოფლის მეურნეობის წამახალისებელი მწირი მუნიციპალური დახმარების იმედად არიან". ბრუნომ ეშმაკურად გადააქნია თავი, ჭიქა გადაკრა და კიდევ შეუკვეთა. მიშელს სოფლის ერთადერთ კაფეში "ჟილუსთან" დაუნიშნა პაემანი. კედლებზე გამოკრული ღია ბარათები, ჩარჩოში ჩასმული კალმახების ფოტოსურათები და "საორუის ფუნთუშების" აფიშა (არანაკლებ თოთხმეტი წევრისგან შემდგარი დამფუძნებელი საბჭო), ბრუნოსთვის ესოდენ საძულველი "ნიუ-ვუდსტოკის" სტილის სრულიად საწინააღმდეგო "ნადირობა-თევ-

ზაობა-ბუნება-ტრადიციის" ატმოსფეროს ქმნიდა. ბრუნომ ფრთხილად ამოიღო ჩანთიდან პროკლამაცია სათაურით "სასიკ-ვდილოდ განწირულ ბატკანთა მხარდასაჭერად". "ამ ღამით დავბეჭდე... - თქვა მან ხმადაბლა, - გუშინ მეცხვარეებს გავესაუბრე. გამოუვალ მდგომარეობაში არიან, მოთმინების ფიალა აევსოთ, ღამის უკანასკნელი ბატკანიც გამოეცალოთ ხელიდან. ყველაფერი ეკოლოგებისა და მერკანტურის ეროვნული პარკის ბრალისა: უამრავი მგელი დააბრუნეს, მგლები კი ცხვრებს დაერივნენ..." ხმა დაუნვრილდა და ქვითინი ამოუშვა. ბრუნომ მიშელს მისწერა, რომ ისევ ვერიერ-ლე-ბუისონის ფსიქიატრიულ კლინიკაში ცხოვრობდა და ეტყობა, იქიდან "ფეხს აღარ მოიცვლიდა". როგორც ჩანს, განსაკუთრებული შემთხვევის გათვალისწინებით კლინიკის დატოვების ნება მისცეს.

"ასე რომ, დედა გვიკვდება... - მთავარ სათქმელს დაუბრუნდა მიშელი.

- სწორედაც!.. აგდის კონცხზეც იგივე ხდება: გორაკების ზონაში ცხვირს ვერ შეყოფ. ეს გადანყვეტილება სანაპირო ზოლის დაცვის საზოგადოების ზეწოლით მიიღეს. ისიც ეკოლოგების ხელშია. დამსვენებლები არაფერს აშავებდნენ, თავისთვის ჯგუფურად წერაობდნენ, სულ ეს იყო. მაგრამ, ეტყობა, პატიოსანი "ბელურები" დაიბოლმნენ. აგერ დამასკდნენ, ეგ "ბელურები!.." ბრუნოს გაცხარება დაეტყო. "წერაობას და ცხვრის ყველის ჭამას გვიკრძალავენ. ნაცისტებივით იქცევიან. ცხვრებს მემარჯვენეობას უწუნებენ, მგლებს კი მემარცხენეობას უქებენ. მაგრამ მგლები გერმანულ ნაგაზებს გვანან, ისინი კი კიდურესი მემარჯვენეები არიან. ვის უნდა ენდო?" თქვა ბრუნომ და მწუხარედ ჩაქინდრა თავი.

- ნიცაში რომელ სასტუმროში გაჩერდი? - ჰკითხა უცებ მიშელს.

- "უინძორში".

- რატომ მაინცდამაინც იქ?

ბრუნო ისევ აღელდა. "დიდი ხანია ფუფუნებას გემო გაუგე? რა ბზიკმა გიკბინა? პირადად მე (ბრუნოს ხმა ლითონივით უღერდა, მოკლე-მოკლე ფრაზებს ისროდა) "მერკურის" სასტუმროებს არასოდეს ვლაღატობ. წინასწარ მაინც გაგეკითხა! იცი, რომ "ანგელოზების ყურეში" შეღავათიანი სეზონური ტარიფებია?

მკვდარ სეზონში ოთახი 330 ფრანკი ღირს. ორვარსკვლავიანი სასტუმროს ფასია! კომფორტი კი სამვარსკვლავიანისაა! დიდებული ხედი "ინგლისელების ბულვარზე" და ოცდაოთხსაათიანი მომსახურება!"

ბრუნო ღრიალზე გადავიდა. კლიენტის უცნაური ქცევის მიუხედავად, კაფეს პატრონი (ვინ იცის, იქნებ, მართლაც ჟილუ ერქვა), ყურადღებით უსმენდა. როდესაც სიტყვა ფულსა და მოგებაზე ჩამოვარდება, კაცები სმენად იქცევიან; რას იზამ, ასე მოსდგამთ...

"აი, ჩვენი ბითურიც მოვიდა!" - წამოიძახა ბრუნომ სრულიად სხვა, ამჯერად უკვე მხიარული ხმით და კაფეში ის-ის იყო შემოსული კაცისკენ გაიშვირა ხელი. კაცი ოცდაორი წლის იქნებოდა, სავლელ ფორმა და "გრინფისის" მაისური ეცვა. ფერმკრთალი იყო; შავი თმა ნაწნავებად ჰქონდა დაწნული. ერთი სიტყვით, "ანტილის კუნძულების" სტილს ბაძავდა. "ბითურს გაუმარჯოს, - ხალისიანად მიესალმა ბრუნო, - გაიცანი, ჩემი ძმაა. ბებერი ხომ არ გვენახა?" - ახალგაზრდა კაცმა თავი დაიქნია. ეტყობა, მხოლოდ მისთვის ცნობილი მიზეზებისა გამო, გადანყვეტილი ჰქონდა პროვოკაციებს არ წამოგებოდა და გამომწვევი კითხვები ყურს გარეთ გაეტარებინა.

სოფლის ბოლოდან, მთის ციცაბო ფერდობს შუეყვნენ, იტალიის საზღვრისკენ. მალალი გორაკი გადაიარეს და აქა-იქ ტყით დაფარულ დიდ ველზე გაივაკეს. საზღვრამდე ათიოდე კილომეტრი იყო. აღმოსავლეთით, თოვლიანი მწვერვალები მოჩანდა. უკაცრიელი სივრცის სიმშვიდეს არაფერი არღვევდა. "ექიმმა მოინახულა, - თქვა "შავმა ჰიპიმ", - განძრევა არ შეიძლება, მაინც არაფერი ეშველება." "ბუნების ნებაა..." - დაამატა მერე მწუხარე სახით.

- გაიგონე? - ჩაიცინა ბრუნომ, - გაიგონე, რა თქვა ამ ბითურმა? "ბუნებაო", პირზე მხოლოდ ეს აკერიათ. ქალი ავად გახდა და ახლა ერთი სული აქვთ, სანამ ჩაძაღღდება". "დედაჩემია, ქლიავო, - ზარ-ზეიმით წამოიძახა ბრუნომ, - ხედავ, ვითომც არაფერიო, ფეხებზე ჰკიდია. შენ სხვები უნდა ნახო! ამაზე უარესები არიან, რწყევა მოგინდება!"

- ლამაზი პეიზაჟია... - თქვა ფიქრში ნასულმა მიშელმა.

ქვით ნაგები, კრამიტით გადახურული დაბალი სახლი საკმაოდ ვრცელი იყო. გვერდით ღელე ჩაუდიოდა. სახლში შესვლამდე, მიშელმა ჯიბიდან Canon Prima Mini-ს ფოტოაპარატი (38-105 მმ ცვალებადფოკუსიანი ობიექტივი, 1290 ფრანკი) ამოიღო, მიიხედ-მოიხედა, კარგა ხანი უმიზნა, მერე ღილაკს თითი დააჭირა და წინ ნასულებს წამოენია.

"შავი ჰიპის" გარდა, მთავარ როლში კიდევ ორი უცნობი დაუ-ხვდათ: ვილაც ქერა, შეუხედავი არსება, ეტყობა, ჰოლანდიელი, რომელიც ბუხართან პონჩოს ქსოვდა და უფრო ხნიერი, გრძელთ-მიანი ჭალარა ჰიპი, ასეთივე ჭალარა წვერით და ბებერი ვაცის ბრძნული გამომეტყველებით. "იქ არის..." - თქვა "შავმა ჰიპიმ", კედელზე მიღურსმული ზენარი გადასწია და ძმებს მეზობელ ოთ-ახში შეუძღვა.

მიშელი სანოლში მოკუნტულ შავგვრემან, თითივით გაღეულ არსებას მიაჩერდა, რომელიც, თავის მხრივ, ყურადღებით აკვირ-დებოდა თითოეულ მოძრაობას. სხვა თუ არაფერი, მიშელი მეორ-ედ და როგორც ყველაფერი მიანიშნებდა, უკანასკნელად ხედავდა დედას. მიშელი, თავდაპირველად, მისმა სიგამხდრემ, გამონეულ-მა ყვრიმალეგმა და გახჩიკინებულმა მკლავებმა გააოცა. სახეზე მინისფერი ედო და მძიმედ სუნთქავდა; ამკარა იყო, დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა, მაგრამ კეხიანი ცხვირის ზემოთ, ვეებერთე-ლა თვალები სიბნელეში თეთრად უელავდა. მიშელი ფრთხილად მიუახლოვდა სანოლში გართხმულ ლანდს. "ამოდ ირჯები, - თქვა ბრუნომ, - ენას ველარ ატრიალებს". შეიძლება ასეც იყო, მაგრამ ჩანდა, რომ გონება ჯერ კიდევ შერჩენოდა. იცნო კი? რა თქმა უნ-და, ვერა. იქნებ, ქმარში აერია? ადვილი დასაშვებია. მიშელმა იც-ოდა, რომ ამ ასაკში, მამის თითქმის ზუსტი ასლი გახდა. ვისაც რა სურს, ის თქვას, მაგრამ, მერნმუნეთ, ზოგიერთი პიროვნება გადა-მწყვეტ გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე და მას ახალ მიმარ-თულებას შესძენს. ისინი ჩვენს არსებობას ორად ჰყოფენ. აი, ჟა-ნინისთვისაც, რომელმაც ჯეინი დაირქვა, ცხოვრება ორად გაიყო: მიშელის მამამდე და შემდეგ. მასთან შეხვედრამდე, ის ერთი მდი-დარი და მრუში ქალბატონი იყო. შეხვედრის შემდეგ კი სხვა არ-სებად იქცა და კიდევ მეტად გაუბედურდა. "შეხვედრა" სულ

მთლად ზუსტი ცნება არ გახლავთ, უბრალოდ, სიტყვას მოყვა, რადგან, შეხვედრა, როგორც ასეთი, ჩათვალეთ, არც ყოფილა. ინერავეს, ახალი სიცოცხლე ჩასახეს და... აჰა, სულ ეს იყო, რაც იყო... ქალმა მარკ ჯერზინსკის ცნობიერებაში ჩაბუდებული საიდუმლო ვერ ამოხსნა, მიახლოებაც კი არ უცდია. შეიძლება, ახლა, გაცამტვერებული სიცოცხლის ბოლო ზღვართან მისული, სწორედ ამაზე ფიქრობს? მიდი და გაიგე. ბრუნო მძიმედ დაეშვა სანოლთან მიდგომულ სკამზე და დამრიგებლური ტონით დაიწყო: "ბებერო კახპავ, ახია, ასე რომ იბრძები..." მიშელი სანოლის თავით, ძმის პირისპირ ჩამოჯდა და სიგარეტი გააბოლა. "კრემაცია მოგინდა, არა? - ხმას აუწია ბრუნომ, - ნება შენია, ღმერთმა შეგარგოს! რაც დარჩება, ქილაში ჩაყერი და, ყოველ დილით, ახალ გამოღვიძებულზე, შენს ფერფლს დავაფსამ". კმაყოფილი კაცის იერი ჰქონდა. ჯეინმა ამოიხრიალა. ოთახში "შავი ჰიპი" შემოვიდა და ცივად იკითხა, რამეს ხომ არ დალევთო. "აბა, რას ვიზამთ, ჯიგარო, - იღრიალა ბრუნომ, - ამას რა კითხვა უნდა? მიდი, ტრაკი გაანძრიე, ბითურო!" ახალგაზრდა კაცი გავიდა და ერთი ბოთლი ვისკი და ორი ჭიქა შემოიტანა. ბრუნომ კარგა ბლომად დაისხა და პირველი ყლუპი მოსვა. "უნდა აპატიოთ... ლელავს..." - ნაიჭურჩულა მიშელმა. "ზედა ხარ, - კვერი დაუკრა ნახევარძმამ, - გლოვა გვაცალე, ქლიავო!". ჭიქა გამოცალა, ენა გაანკლაპუნა და ხელმეორედ შეივსო. "ამ პედერასტებისთვის უმჯობესია, ფრთხილად იყვნენ, - თქვა მან, - ყველაფერი მათ დაუტოვა, მაგრამ, თავადაც კარგად მოგეხსენებათ, შვილებს მემკვიდრეობის უფლება აქვთ. ანდერძი თუ გავასაჩივრეთ, საქმეს მოვიგებთ." მიშელმა გაჩუმება ამჯობინა, ამ საკითხზე კამათი გულზე არ ეხატებოდა. სიჩუმემ დაისადგურა. მეზობელი ოთახიდანაც ჩამიჩუმი არ გამოდიოდა. მხოლოდ მომაკვდავის მძიმე და ხშირი ქშენა ისმოდა.

"სურდა, მარად ახალგაზრდა დარჩენილიყო, ეს არის და ეს... - თქვა მიშელმა დაღლილი და შემწყნარებელი ხმით, - ახალგაზრდებს ეტორღიალებოდა, საკუთარ შვილებს კი, რომლებიც ასაკს ახსენებდნენ, გაურბოდა. ამას რა დიდი მიხვედრა უნდა! ერთი სული მაქვს, სანამ აქაურობას გავეცლები. თუ იცი, მალე მოკვდება?"

ბრუნომ მხრები აიჩიქა. მიშელი წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა. მარტო დარჩენილი "ჭალარა ჰიპი" ბიოლოგიურად სუფთა სტაფილოს ფცქვნიდა. მიშელმა სცადა გამოეკითხა, სურდა, ბოლოს და ბოლოს, ზუსტად გაერკვია, რა თქვა ექიმმა, მაგრამ ძველმა მარგინალმა, რომელმაც ბევრი არაფერი იცოდა, უთავბოლოდ იბოდილა, მიედ-მოედო, წესიერად კი ვერაფერი გააგებინა. "ნათელს ასხივებდა... - ჰიპის სტაფილო ისევ ხელში ეკავა, - ჩვენი აზრით, სულიერი რეალიზაციის საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია და ახლა სიკვდილისთვის მზად არის." ამით რის თქმა სურდა? წვრილმანებში ჩაძიება ამო იყო: ბებერი ყეყეჩი აზრიანს არაფერს ამბობდა, მხოლოდ ბგერებს გამოსცემდა და ჰაერს არხევდა. მიშელმა ზურგი აქცია და ბრუნოსთან მიბრუნდა. "ჩერჩეტი ჰიპები... - თქვა მიშელმა და სკამზე ჩამოჯდა, - ჯერაც სწამთ, რომ რელიგია მხოლოდ მედიტაციაზე, სულიერ ძიებებზე და მსგავს რაღაცებზე დაფუძნებული ინდივიდუალური ქმედებაა. აზრზეც არ არიან, რომ ეს წმინდად საზოგადოებრივი მოღვაწეობაა, რომლის საძირკველი რიტუალები, წესები და ცერემონიებია. ოგიუსტ კონტის აზრით, რელიგიის დანიშნულება ადამიანთა სრული ერთიანობაა."

- თვითონ ხარ ოგიუსტ კონტი! - ბრაზით ჩაერთო ბრუნო, - მას შემდეგ, რაც მარადიული ცხოვრების არავის სჯერა, რელიგია ამაც ჭირი მოგჭამა. თუკი, როგორც შენ ფიქრობ, საზოგადოება რელიგიის გარეშე წარმოუდგენელია, გამოდის, არც საზოგადოება არსებობს. შენ იმ სოციოლოგებს მახსენებ, რომლებიც ფიქრობენ, რომ ახალგაზრდობის კულტი წარმავალი მოდაა, რომელიც 50-იან წლებში დაიბადა და 80-იანებში მიაღწია აპოგეას; სინამდვილეში კი, ადამიანს მუდამ თავზარს სცემდა სიკვდილი, ის ვერა და ვერ შეეგუა იმ აზრს, რომ ერთხელაც დაუძღურდება და საბოლოოდ გაქრება. ამქვეყნიურ სიმდიდრეთაგან, ყველაზე ძვირად მხოლოდ ფიზიკური სიჯანსაღე და ახალგაზრდობა ფასობს, ჩვენ კი, დღეს, ყველაფერს ერთი საზომით ვზომავთ. ქრისტე მკვდრეთით რომ არ აღმდგარიყო, მთელი გულწრფელობით ამბობს წმინდა პავლე, ჩვენი რწმენა ამო იქნებოდა. ქრისტე არ აღსდგა; მან სიკვდილთან ბრძოლა წააგო; ახალ იერუსალიმზე შესანიშნავი სცენარი დაწერე. მოქმედება შიშველი ქალებით და ფინიებით

დასახლებულ კუნძულზე მიმდინარეობს. მამაკაცები და თითქმის ყველა ჯურის ცხოველი ბიოლოგიურ კატასტროფას ემსხვერპლნენ... შეჩერებული დრო, ზომიერად თბილი ჰავა, მთელი წლის განმავლობაში მსხმოიარე ხეები, მუდამ გაფურჩქნილი ქორფა ქალები, ცოცხალი, მოალერსე ცუგები... ქალები ბანაობენ და ერთმანეთს ეალერსებიან, ირგვლივ გიჟმაჟი ფინიები დაცუნცულებენ. რა ფერი და რა ჯიში გინდა, სულო და გულო: პუდელები, ფოქსტერიერები, ბელგიური გრიფონები, ჩინური ჩი-ცუები, იორქშირის ტერიერები, "მეფე ჩარლზის მეძებრები", ხუჭუჭა გომიები, მოპსები, ფეხმოკლე მწევრები. ერთადერთი ტანადი ლაბრადორია, გონიერი და დინჯი, რომელსაც დანარჩენები ჭკუას ეკითხებიან. მამაკაცების არსებობის ერთადერთ დასტურად ედუარდ ბალადიურის* სატელევიზიო გამოსვლების ვიდეოჩანაწერები აქვთ... ზოგიერთ ქალბატონზე და ძაღლების უმრავლესობაზე დამამშვიდებლად მოქმედებს. "ცხოველთა სამყაროს" ერთი კასეტაც შემორჩათ, მაგრამ არ უყურებენ, უბრალოდ, გარდასული ჟამის ბარბაროსობის გასახსნელებლად შემოინახეს.

- გამოდის, წერას არ გიშლიდნენ... - ჩაილაპარაკა მიშელმა. არც გაჰკვირვებია. ხშირად, ფსიქიატრები მოწყალე თვალით უყურებენ მჯღაბნელ ავადმყოფს; იმიტომ კი არა, რომ რაიმე სიკეთეს გამოელიან; უწყინარი გასართობია, სხვა თუ არაფერი, სამართლებლით ძარღვების გადაჭრას მაინც სჯობსო, ფიქრობენ.

"მაგრამ ამ პატარა კუნძულზე, პატარა ტრაგედიებიც ხდება, - გააგრძელა ბრუნომ აღელვებული ხმით, - მაგალითად, ერთ დღეს ერთმა ფინიამ საკმაოდ შორს შესცურა ზღვაში. საბედნიეროდ, პატრონმა დროზე იყნოსა ხიფათი, ნავში ჩახტა, ნიჩბებს გამეტეებით მოუსვა და სულზე მიუსწრო საცოდავად მოფართხალე ძაღლს. საბრალომ კარგა ბლომად წყალი ყლაპა, ნაპირზე გონი დაკარგა და ყველას იმედი გადაეწურა. პატრონი არ დაიბნა, ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა და ყველაფერი კეთილად დასრულდა. მალე ფინია მხიარულად დაცუნცულებდა პლაჟზე." უცებ ბრუნო გაჩუმდა. ახლა მშვიდი, ლამის ექსტაზში მყოფი კაცის სახე ჰქონდა. მიშელმა საათს დახედა, მერე ირგვლივ მიმოიხედა. მომაკვდავის სანოლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, სრული სიმშვიდე

*ბალადიური, ედუარდ - საფრანგეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი.

სუფევდა. მიშელი წამოდგა, მეზობელ ოთახში გავიდა და ლუდი დაისხა. მერე ფანჯარასთან მივიდა და კილომეტრებზე გადაჭიმულ, ნაძვებით დაფარულ მინდორს გახედა. შორს, თოვლიან მწვერვალებს შორის, პატარა ტბის ზედაპირი ლურჯად ირეკლებოდა. თბილი ჰაერი სხვადასხვა სურნელით იყო გაჟღენთილი. ზაფხულის ჩინებული დილა იყო.

კარგა ხანი იდგა ფანჯარასთან. სხეულს განშორებული ყურადღება სადღაც მალლა, მწვერვალებს შორის დაფრინავდა. ერთბაშად, რაღაც ხმაურმა გამოაფხიზლა; ღრიალი ეგონა. ცოტა ხანში გონს მოეგო, ყურადღება მოიკრიბა და დედის ოთახისკენ გაეშურა. სანოლთან მჯდარი ბრუნო მთელი ხმით მღეროდა:

*ყველა აქ არის, ყველა ფეხზე დგება,
რაწაშს შეიტყობენ, რომ დედა კვდებააააა...*

აი, ასეთები არიან ადამიანები: ფუქსავატები, ქარახვეტიები, ერთი სიტყვით, ჯამბაზები. ბრუნო ფეხზე წამოდგა, რათა კიდევ უფრო მძლავრად დაეჭქეა მომდევნო კუპლეტი:

*ყველა აქ არის, ყველა ჩამოვიდა,
იტალიიდან ჯორჯო, - "თავში ქარი",
დიახ, ჩამოვიდნენ, თავი მოიყარეს,
თან ჩამოიტანეს ურიცხვი საჩუქარიიიი...*

ამ ხმოვანი გამოხდომის შემდეგ ჩამონოლილ სიჩუმეში ბუზის ბუზილი გაისმა. ბუზმა ოთახი გადაკვეთა და ჯეინს სახეზე დააჯდა. დიპტერები იმით გამოირჩევიან, რომ მკერდის მეორე სეგმენტზე წყვილი სიფრიფანა ფრთა, მესამეზე კი ფრენის გამანონასნორებელი საცეცები ეზრდებათ. პირის ნახვრეტს საკბენად ან სანუნნად იყენებენ. იმ წუთს, როდესაც ბუზი ჯეინის თვალზე მოკალათდა, მიშელს გულმა რეჩხი უყო. სანოლთან მივიდა, ჯეინს ყურადღებით დააკვირდა, მაგრამ არ შეხებია და თქვა: "მგონი მოკვდა".

ექიმმა უყოყმანოდ დაადასტურა მიშელის დიაგნოზი. ექიმს მუნიციპალიტეტის მოხელე ახლდა და მთელი დავიდარაბაც მის გამო ატყდა: გვამის გადატანას სად აპირებენ? იქნებ, ოჯახურ აკლ-

დამაში? მიშელს ამაზე ფიქრის ძალა არ შესწევდა, არაქათგაცილი, თავს უხერხულად გრძნობდა. ცოტაოდენი ოჯახური სიტბო და სიყვარული რომ ჰქონოდათ, ახლა, მერიის თანამშრომლის წინაშე, ასეთ სასაცილო მდგომარეობაში არ ჩავარდებოდნენ, თუმცა მოხელე არაფერს იმჩნევდა. ბრუნოს ყურიც არ გაუბარტყუნებია; მოშორებით იჯდა და ჯიბის "მინიტელით" ერთობოდა. "მამ ასე, - წამოიწყო მერიის მოხელემ, - შემიძლია, საორჟის სასაფლაოზე ერთი ადგილი გაგიხერხოთ. ცოტა მოშორებითაა, მით უმეტეს, თუ აქაურები არ ბრძანდებით, მაგრამ, ტრანსპორტის მხრივ, ერთბო მოსახერხებელია. შეგვიძლია ნაშუადღევს დავკრძალოთ, დღეს არცთუ ისე ბევრი საქმე გვაქვს. ნებართვის აღება, ვგონებ, არ უნდა გაგვიჭირდეს..." "ადვილი საქმეა! სუფთა ბლანკები თან მაქვს," - ფიცხლად გამოეხმაურა ექიმი და ეშმაკური ლიმილით, ფურცლების პატარა დასტა ააფრიალა. "მეყო, ამის დედაც..." - ჩაილაპარაკა ბრუნომ. "მინიტელზე" მხიარული მუსიკა ისმოდა. "გვეთანხმებით, ბატონო კლემან?" - ხმას აუმაღლა მერიის მოხელემ. "არა და არა! - ბრუნო ფეხზე წამოხტა, - დედაჩემს კრემაცია სურდა, ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა." მოხელემ პირი გაიმეხა. საორჟის კომუნას კრემაციასზე ხელი არ მიუწვდებოდა: ამას სპეციალური მონყობილობა სჭირდებოდა; ბევრი მთხოვნელი არ ეგულებოდათ, ამიტომ ზედმეტი ხარჯის გაღებას აზრი არ ჰქონდა. ერთი სიტყვით, გინდ ასე, გინდ ისე, ძნელი, თითქმის შეუძლებელი საქმე იყო. "ეს დედაჩემის უკანასკნელი ნებაა..." - მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა ბრუნომ. სიჩუმე ჩამონვა. მერიის მოხელე, გამოსავლის ძებნაში, ტვინს იჭყლეტდა. "იციოთ, კრემატორიუმი ნიცაშია... - რიდით თქვა ბოლოს, - კომუნაში დაკრძალვაზე თუ თანახმა ხართ, შეიძლება, იქით-აქეთობას მანქანა შევუკვეთოთ. ბუნებრივია, ხარჯებს თქვენ კისრულობთ..." სიტყვები ჰაერში გამოეკიდა. "დავრეკავ... - გააგრძელა მერიის მოხელემ, - კრემაციის დრო უნდა შევარჩიოთ." ჯიბის წიგნაკში ჩაიხედა, ტელეფონი ამოიღო და ის იყო ნომრის აკრეფას შეუდგა, რომ საქმეში ბრუნო ჩაერია. "შეეშვით, - თქვა მან და ხელი ჩაიქნია, - აქ დავკრძალოთ. მისი უკანასკნელი ნება ფეხებზე მკიდია. გადაიხადე!" - მბრძანებლური ტონით მიმართა მიშელს. მიშელმა მორჩილად ამოიღო ქვითრის წიგნაკი და საფლავის ოც-

დაათი წლით დაქირავება რა დაჯდებაო, იკითხა. "კარგი არჩევანია, - გული გაუკეთა მერიის მოხელემ, - ჯერ ოცდაათი იყოს, მერე, ვნახოთ..."

სასაფლაო სოფლიდან ასი მეტრის სიმაღლეზე მდებარეობდა. კუბო ორ კაცს მიჰქონდა. სამუშაო ხალათები ეცვათ. მერიის სანყოფინი, ჩვეულებრივი, თეთრი ფიჭვის ფიცრებისგან შეკრული კუბო შეარჩიეს. ეტყობა, საორჟუმი სამგლოვიარო ცერემონიალი ჩინებულად იყო აწყობილი. საღამოვდებოდა, მაგრამ მზე ისევ აცხუნებდა. ბრუნო და მიშელი, გვერდიგვერდ, ორი ნაბიჯის დაშორებით მიყვებოდნენ კუბოს. ჭალარა ჰიპიც იქვე იყო, როგორც ჩანს, გადანყვიტა, უკანასკნელ განსასვენებლამდე მიეცილებინა ჯენი. ქვა-ლორლიან, ხრიოკ გზაზე მიაბიჯებდნენ და ეჩვენებოდნათ, რომ ყველაფერ ამაში იყო მათთვის უცნობი რალაც აზრი. რომელიღაც მტაცებელი ფრინველი - შეიძლება, კაკაჩა - მათ თავზემთ წრეებს ურტყამდა. "ამ ადგილებში გველები ეცოდინება..." - თქვა ბრუნომ და მიწაზე წვეტიან ქვას წაეტანა. სასაფლაოსკენ რომ გადაუხვიეს, ბრუნოს სიტყვების დასტურად, ღობის ძირში, ბუჩქებიდან გველხოკერა გამოსრიალდა. ბრუნომ დაუმიზნა და მთელი ძალით ესროლა. ქვენარმავლის თავს მცირედ ამცდარი ქვა კედელს შეასკდა და ნატეხებად დაიშალა.

"გველებს ბუნებაში თავისი ადგილი აქვთ..." - მკაცრად შენიშნა ჭალარა ჰიპიმ.

- მიმიფურთხებია შენი ბუნებისთვის, ძმაკაც! სულაც აგერ მკიდა!..

ბრუნო გაცეცხლდა: "ბუნების ჩათლახი დედაც..." მისი ბურღლუნო კიდევ დიდხანს ისმოდა. მაგრამ კუბოს ჩასვენებისას წესიერად იქცეოდა, სამარესთან იდგა, მხოლოდ ენას აწკლაპუნებდა და თავს აქეთ-იქით აქნევდა, თითქოს ამ სანახაობამ ახალი, აქამდე უცნობი აზრები გაუჩინა, რომელშიც ჯერ თვითონაც ვერ გარკვეულიყო და ამიტომ, სხვებსაც ვერ გაუზიარებდა. საქმე რომ გაასრულეს, მიშელმა, ასეა მიღებულიო, მუშებს კარგა ბლომად ფეხის ქირა ჩაუჯიბა. მატარებლის გასვლამდე თხუთმეტი წუთი რჩებოდა. ბრუნომ გადანყვიტა, მიშელს დამგზავრებოდა.

ნიცის სადგურში ერთმანეთს დაშორდნენ. არც ერთს აზრადაც არ გაუვლია, რომ ერთმანეთს ველარასდროს ნახავდნენ.

"კლინიკაში რა ხდება?" - იკითხა მიშელმა.

- სინყნარე, სიმშვიდე და ყოველდღიური ლითიუმი.

ბრუნომ ეშმაკურად ჩაიცინა. "აქედან კლინიკაში არ მივდივარ. მაგარი ღამე მელოდება. ქალებში წავალ, ნიცაში ბოზებს რა გამოლევს". მერე შუბლი შეიჭმუნა და მოიღუშა: "ლითიუმის გადამკიდეს, ხეირიანად აღარ მიდგება, მაგრამ რას იზამ, მაინც მევასება, ვერა და ვერ ვეშვები".

მიშელმა უყურადღებოდ დაუქნია თავი და ვაგონში ავიდა. დასანოლი ადგილი ადრევე ჰქონდა დაჯავშნული.

ნაწილი მეხამე

ემოციური უსაზღვროება

პარიზში ჩამოსულ მიშელს დეპლეშენის წერილი დახვდა. სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის შიდა განაწესის 66-ე მუხლის მიხედვით, მას შვებულების გასვლამდე ორი თვით ადრე უნდა ეცნობებინა, რას აპირებდა, დასვენებას გააგრძელებდა, თუ სამსახურში დაბრუნდებოდა. თავაზიან, იუმორით გაჯერებულ წერილში დეპლეშენი მასხრად იგდებდა ადმინისტრაციულ არტახებს, მაგრამ, ასე თუ ისე, ვადა სამი კვირით მართლაც დაირღვა. მიშელმა წერილი სანერ მაგიდაზე დადო. არ იცოდა, რა ეფიქრა, ან რა გზას დადგომოდა. ბოლო ერთი წელი საკუთარი თავის ბატონ-პატრონი იყო და კვლევის საგანს სხვების დაუკითხავად ირჩევდა. მერედა, რას გამოიჩინა? კაცმა რომ თქვას, თითქმის არაფერს. ნოუთბუქი ჩართო: მის არყოფნაში ორმოცდარვა e-mail-ი მოსულიყო, არადა, მხოლოდ ორი დღით წავიდა. ლამის გული აერია; ერთი შეტყობინება პალეზოს ბიოლოგიის ინსტიტუტიდან იყო. მის შემცვლელ კოლეგა ქალს მიტოქონდრიის ღწმ-ის კვლევის პროგრამა აუთოქმედებია. ატომურისგან განსხვავებით, ეს ღწმ თავისუფალი რადიკალების შემოტევით დაზიანებული გენის კოდის კორექციის მექანიზმებს არ შეიცავდა, თუმცა ამაში გასაოცარი არაფერი იყო. ოჰაიოდან გამოგზავნილი წერილი გაცილებით საინტერესო ეჩვენა: სახარომიცეტებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ სექსუალური გზით კვლავნარმოებისას, ისინი, კლონირების მეთოდით გამრავლებისგან განსხვავებით, სწრაფ ევოლუციას არ განიცდიან. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში, ალელატორული მუტაციები უფრო პროდუქტიულია, ვინემ ბუნებრივი შერჩევისას. საინტერესო ექსპერიმენტული სქემა ამკარად უპირისპირდებოდა

კლასიკურ პიპოთეზას, რომელიც ევოლუციის პირველწყაროდ სექსუალურ კვლავნარმოებას მიიჩნევს. მაგრამ, საბოლოო ჯამში, არც ამას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. რანაშს გენეტიკური კოდი ბოლომდე გაიშიფრება (ამისთვის რამდენიმე თვეა საჭირო), საკუთარი ბიოლოგიური ევოლუციის საკითხს კაცობრიობა თავად მოაგვარებს. და მაშინ, სექსუალობა თავის ჭეშმარიტ სახეს წარმოაჩენს, როგორც უსარგებლო, სახიფათო და რეგრესიული ფუნქცია. მაგრამ თუკი მუტაციების აღმოჩენა სირთულეს არ წარმოადგენს, ე.ი. თუკი ძესაძლებელია მათი მავნე შედეგიანობის წინასწარ განჭვრეტა, არავის ძალუძს თქვას, რამდენად არიან ისინი დეტერმინირებული. თუ ასეა, მათ ჯერჯერობით ვერც განვსაზღვრავთ და ვერც გამოვიყენებთ. შემდგომი კვლევა-ძიება სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს.

ნიგნებისა და საქალაქდებისგან დაცლილი დეპლეშენის სამუშაო ოთახი უზარმაზარი ჩანდა. "დიახ, დიახ, - თქვა მან მორცხვი ღიმილით, - თვის ბოლოს პენსიაში გავდივარ". ჯერზინსკიმ გაცემისგან პირი დაალო. როდესაც წლების, ზოგჯერ ათწლეულების მანძილზე ადამიანს ხვდები, პირად ან მართლაც მნიშვნელოვან საკითხებზე საუბრისთვის თავის არიდება თანდათანობით ჩვევად გექცევა, მაგრამ იმედს იტოვებ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ხელსაყრელ პირობებში, ამაზე ლაპარაკის დროც მოვა. უფრო თბილი და სრულყოფილი ურთიერთობების იმედი არასოდეს იწურება, უბრალოდ იმიტომ, რომ ეს შეუძლებელია, რადგან ადამიანური ურთიერთობები ვინრო, გაქვავებულ ჩარჩოებს ვერ ეგუება. ამრიგად, გაცილებით "ავთენტიკური და სიღრმისეული" ურთიერთკავშირების იმედი მუდამ რჩება; წლები, ათწლეულები გადის და მოულოდნელი და უღმობელი შემთხვევა (სიკვდილი, ან უკუნებელი სენი) აშკარად დაგანახვებს, რომ გვიანაა, "ავთენტიკური და სიღრმისეული" კავშირები, რომლის იმედს ამდენი ხანი ელოლიავებოდი, ისეთივე ილუზია ყოფილა, როგორც ყველა დანარჩენი. პროფესიული ცხოვრების თხუთმეტი წლის მანძილზე დეპლეშენი ერთადერთი იყო, ვისთანაც მიშელი ისურვებდა, დაემყარებინა ისეთი კავშირი, რომელიც გასცდებოდა ნებისმიერი სამსახურისთვის დამახასიათებელ შემთხვევით, ურთიერთსასარგებლო და, სა-

ბოლოო ჯამში, მომაბეზრებელ საქმიან ურთიერთობებს. მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის, რაც არ გამოვიდა, არ გამოვიდა! გავიგნებულმა მიშელმა იატაკზე ჩამწკრივებულ მუყაოს ყუთებს შეავლო თვალი. "ერთი ქიქის დაღევა არ გვანწყენდა..." - დეპლემენის შეთავაზება ამ შემთხვევისთვის ზედგამოჭრილი იყო.

ორსეს მუზეუმს გაუყვინენ და მე-19 საუკუნის ყაიდის ტერასაზე მოკალათდნენ. მეზობელ მაგიდასთან, ნახევარი დუჟინი იტალიელი ტურისტი ჩიტებივით ჟღურტულებდა. ჯერზინსკიმ ლუდი შეუკვეთა. დეპლემენმა ვისკი მოითხოვა.

- ახლა რას აპირებთ?

- "არ ვიცი... - სახეზე ეტყობოდა, რომ მართალს ამბობდა, - ვიმოგზაურებ... შეიძლება სექსუალური ტურიზმი ვცადო." გაიღიმა. ღიმილი სახეს ხიბლს მატებდა; რა თქმა უნდა, იმედგადასურული ადამიანის ხიბლი იყო, მაგრამ ახლაც ნაღდი და მიმზიდველი. "ვხუმრობ... საქმე ის არის, რომ ასეთები აღარ მაინტერესებს. რაც შეეხება ცოდნას, კი ბატონო, ამის სურვილი ჯერ კიდევ არ გამნელებია. უცნაური რამ არის ცოდნის ნადილი... ცოტას თუ აქვს... თვით მეცნიერებშიც იშვიათობაა... უმრავლესობა მხოლოდ კარიერაზე ზრუნავს და ამიტომ, ადმინისტრაციულ სამსახურს ირჩევს. კაცობრიობის ისტორიაში ცოდნისკენ სწრაფვას განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება. აბა, წარმოიდგინეთ: ადამიანების მცირე ჯგუფი, დიდი-დიდი, ასიოდე კაცი, თავგამოდებით იღვწის და ყველაფრის მიუხედავად, არა და არ ეშვება ერთობ ძნელ, ერთობ აბსტრაქტულ, უვიცთათვის გაუგებარ საქმიანობას. დანარჩენი კაცობრიობისთვის ამ ადამიანების სახელები სამუდამადად უცნობი რჩება. მათთვის უცხოა ძალაუფლება, სიმდიდრე, პატივი და დიდება. ვერვინ წარმოიდგენს, რა სიამოვნებას ანიჭებთ საქმე, რომელსაც ემსახურებიან. და მაინც, ნამდვილი ძალაუფლება მათ ხელთაა, ერთი უბრალო და მცირე მიზეზის გამო: ისინი რაციონალური ქეშმარიტების გასაღებს ფლობენ. იმას, რასაც ისინი დღეს ცხადად მიიჩნევენ, ადრე თუ გვიან, ყველანი ერთხმად აღიარებენ. რაციონალური ქეშმარიტების სიცხადეს ვერავითარი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური თუ რელიგიური ძალაუფლება წინ ვერ აღუდგება. შეიძლება ითქვას, დასავლელი უზომოდ გაი-

ტაცა ფილოსოფიამ და პოლიტიკამ, დამთხვეულივით იჭყლეტს ტვინს ფილოსოფიური და პოლიტიკური პრობლემების გადასაწყვეტად. იმის თქმაც შეიძლება, რომ დასავლეთმა უზომოდ შეიყვარა ლიტერატურა და ხელოვნება; მაგრამ, სინამდვილეში, მის ისტორიაში, რაციონალური ქეშმარიტების მსგავსი წონა არაფერს შეუძენია. საბოლოო ჯამში, ამ ქეშმარიტების დაუფლების მოთხოვნილებას ყველაფერი შესწირა: საკუთარი რელიგია, საკუთარი ბედნიერება, საკუთარი იმედები, დაბოლოს, საკუთარი სიცოცხლე. როდესაც დასავლეთის ცივილიზაციის განსჯას შევეცდებით, ნურც ამ სწრაფვას დავივიწყებთ." დეპლეშენი ჩაფიქრდა, თვალები მეზობელ მაგიდებს მოავლო და მერე ჭიქას მიაშტერდა.

"გუშინდელივით მახსოვს: თექვსმეტი წლის ვიყავი, როდესაც ლიცეუმის პირველ კლასში ერთი ბიჭი გავიცანი. რთული, მოუსვენარი ვინმე იყო. ტრადიციების მცველი მდიდარი ოჯახის შვილი, თვითონაც საკუთარი წრის ღირებულებების ერთგული გახლდათ. ერთხელ, კამათისას, მითხრა: "რელიგიის აკარგიანობას მისგან ნაქადაგები ზნეობა განსაზღვრავს." აღტაცებისგან გაოგნებული, პირდაღებული დავრჩი. არ ვიცი და ვერც ვერასდროს შევიტყობ, თვითონ მივიდა ამ დასკვნამდე, თუ წიგნში ამოიკითხა. ასეა თუ ისე, მისმა სიტყვებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; ორმოცი წელია, სულ ამაზე ვფიქრობ. ახლა მგონია, რომ ცდებოდა: რელიგიაზე მხოლოდ და მხოლოდ ზნეობის თვალთახედვით არ უნდა იმსჯელო. თუმცა, კანტი მართალია, როდესაც ამტკიცებს, რომ თვით კაცობრიობის მხსნელიც კი ეთიკის უნივერსალური კრიტერიუმებით უნდა განისაჯოს. მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ რელიგიები, პირველ ყოვლისა, სამყაროს ახსნა-გაგების მცდელობაა, მაგრამ ნებისმიერი მსგავსი მცდელობა განწირულია, თუკი ის რაციონალური ქეშმარიტების მოთხოვნას არად დაგიდევს. მათემატიკური დასაბუთება და მეცნიერული ძალისხმევა ადამიანური ცნობიერების საბოლოო და უმაღლესი მონაპოვარია. კარგად ვიცი, რომ ფაქტები, თითქოსდა, ჩემს წინააღმდეგაა, ისიც ვიცი, რომ ისლამი, - ყველა სხვა რელიგიებს შორის ყველაზე ბრიყვეული, ყალბი და ბნელი, - ფეხს იმაგრებს და ძალას იკრებს, მაგრამ ეს ზედაპირული და წარმავალი მოვლენაა: ქრისტიანობისგან განსხვავებით, ისლამს დიდი დრო არ უწერია, ის საბოლოოდ განწირულია."

ჯერზინსკიმ თავი ასწია; ყურადღებით უსმენდა; არასოდეს უფიქრია, რომ დეპლეშენს ყოველივე ეს ასე აღეღვებდა. დეპლეშენი შეეყოყმანდა, მერე გააგრძელა: "ბაკალავრიის შემდეგ, ფილიპის კვალი დავკარგე, მერე შევიტყვე, რომ თავი მოიკლა. ვფიქრობ, ყოველივე ერთმანეთთან კავშირშია: იცი, ძნელია, იყო ერთდროულად ჰომოსექსუალისტი, ფუნდამენტალისტი კათოლიკე და რუაილისტი."

ჯერზინსკი მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ გულის სიღრმეში, რელიგიურ საკითხებზე არც არასოდეს უფიქრია, თუმცა კი დიდი ხანია იცოდა, რომ მატერიალისტური მეტაფიზიკა, რომელმაც საყრდენი გამოაცალა წინა საუკუნეების რელიგიურ რწმენას, ფიზიკის უახლესმა მონაპოვრებმა საბოლოოდ დაასამარა. უცნაური ის იყო, რომ აქამდე არც მას და არც ერთ მის ნაცნობ ფიზიკოსს, ამასთან დაკავშირებით, არავითარი ეჭვი არ გასჩენია და არც სულიერი ტკივილი უგრძნია.

"პირადად მე, - თქვა მიშელმა, რანამს ეს აზრი საბოლოოდ ჩამოუყალიბდა, - პრაგმატული პოზიტივიზმი ავირჩიე, რომელიც, არსებითად, მეცნიერული კვლევა-ძიების საძირკველია. არსებობს ფაქტები, რომლებიც ერთმანეთს კანონზომიერებით უკავშირდება. მიზეზის ცნება არამეცნიერულია. სამყარო ტოლია იმ ცოდნის ჯამისა, რომელიც ჩვენ მის შესახებ გავვაჩნია."

- მე მეცნიერი აღარ მეთქმის, - გულწრფელი უბრალოებით შეეპასუხა დეპლეშენი, - ამიტომაა, რომ სიბერის უამს მეტაფიზიკური საკითხებით ვიჭყლეტ ტვინს. მაგრამ, თქმა არ უნდა, თქვენ მართალი ხართ. მეცნიერული კვლევა უნდა გააგრძელოთ, ახალი კანონების აღმოსაჩენად ცდები უნდა ჩაატაროთ, სხვა დანარჩენს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. პასკალი გაიხსენეთ: "ზოგადად, უნდა ითქვას: ის, რაც ფორმისა და მოძრაობის მეშვეობით შეიქმნა, ჭეშმარიტია. მაგრამ ძიება იმისა, როგორია ფორმა და მოძრაობა და ამის საფუძველზე მანქანის შექმნის ცდა სასაცილო, უშედეგო და, ამასთან ერთად, ურთულესი საქმეა." ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სიმართლე პასკალის მხარესაა, დეკარტი კი ცდება. ჰო, სიტყვამ მოიტანა და თქვენ რა გზას დაადგებით? იცით... - მობოდიშებით დასძინა დეპლეშენმა, - ამას ვადის გასვლასთან დაკავშირებით გეკითხებით."

"მესმის... ირლანდიაში, გოლუეის გენეტიკურ ცენტრში მსურს მუშაობის დაწყება. რადიოაქტიური მარკირებისა და ერთგვაროვანი ტემპერატურის და წნევის პირობებში, მარტივი ცდებისთვის აუცილებელი სამზადისი დახანებას არ ითმენს. ჩემი უპირველესი საზრუნავი მძლავრი გამოთვლითი ბაზის შექმნაა. იქ კი, რამდენადაც ვიცი, ამისთვის ყველა საჭირო ხელსაწყოს და მოწყობილობას ადვილად მოვიპოვებ.

- კვლევის ახალ მეთოდს გულისხმობთ? - დეპლემენს ალელევა დაეტყო, თვითონაც შეამჩნია და მორცხვად გაიღიმა, თითქოს საკუთარ თავს დასცინისო. "ცოდნის ნყურვილი..." - ოცნებაში ნასულივით ჩაილაპარაკა ბოლოს.

- ჩემი აზრით, შეცდომა იქნება, თუკი მუშაობაში მხოლოდ ბუნებრივ ღწმ-ს დავეყრდნობით. ღწმ რთული მოლეკულაა, რომლის ევოლუცია, რაღაც მხრივ, შემთხვევითობაზეა დამოკიდებული: ძნელად ასახსნელი გადახრები, არაკოდირებული მონაცემების გრძელი ჯაჭვი და კიდევ, არვინ უწყის რა... მუტაციის ჭეშმარიტი პირობების ასახსნელად, უფრო მარტივი, თვითნარმოების უნარის მქონე მოლეკულები უნდა მოვიშველიოთ, რომლებშიც კავშირების რიცხვი რამდენიმე ასეულს არ აღემატება.

დეპლემენმა თავი დააქნია; თვალეში სხივი ჩაუდგა, თუმცა, ამჯერად, ალელევის დაფარვა აღარ უცდია.

- ხანგრძლივი სამუშაო მელის, - განაგრძო მიშელმა, - სტრუქტურებს, რომლებიც მუტაციას განიცდიან, აპრიორულად ერთმანეთისგან ვერ გამოარჩევ. მაგრამ სუბატომურ დონეზე განსხვავებანი მაინც შესამჩნევი იქნება. თუკი სტაბილური სტრუქტურის გამოთვლას შევძლებთ, თუნდაც რამდენიმე ასეულ ატომზე, შემდეგ უკვე ყოველივე ზემოქმედების ძალაზე იქნება დამოკიდებული. ვფიქრობ, ცოტა შორს შევტოპე...

- სულაც არა... - დეპლემენს შორი მომავლის, ფანტასტიკური და აქამდე უხილავი სხეულების მჭვრეტელი კაცის დინჯი, გაბმული ხმა ჰქონდა;

- დამოუკიდებელი მუშაობის საშუალება უნდა მომცენ, ცენტრის მბრძანებლურ ჩარევას ვერ მოვითმენ. ჯერჯერობით, ყოველივე ჰიპოთეზების დონეზეა და ძნელი ასახსნელია. ამისთვის დროა საჭირო.

- გეთანხმებით, უოლკოტს მივწერ; ცენტრის ხელმძღვანელია. მერწმუნეთ, კარგი ვინმეა, ფეხებში არ გაგებლანდებათ, ნებაზე მიგიშვებთ. თუ არ ვცდები, მათთან ადრეც გიმუშავიათ? მასსოვს, საქმე ძროხებს ეხებოდა...

- დიდი არაფერი...

- მომავალ სამუშაოზე ნუ იდარდებთ. პენსიაში გავდივარ, - დეპლეშენს ხმაში წყენა შეეპარა, - მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი შემიძლია. ადმინისტრაციულ მხარეს რაც შეეხება, დროებით მივლინებულად ჩაითვლებით, ყოველწლიურად განახლებული კონტრაქტით, იქამდე, სანამდეც მოინდომებთ. ვინც არ უნდა შემცვალოს, თვითნებურად თქვენს დათხოვნას ვერ შეძლებს.

პონ-რუაიალთან ერთმანეთს დაემშვიდობნენ. დეპლეშენმა ხელი გაუნოდა. შვილი არ ჰყავდა, სექსუალური ორიენტაცია ამის საშუალებას არ აძლევდა, მეგობრული ქორწინება კი სიცილს გვრიდა. სანამ ხელს ართმევდა, თავში გაუელვა, რომ შეიძლება ცხოვრების საუკეთესო წუთებს განიცდიდა. მერე ისიც გაიფიქრა, საშინლად დავიქანცეო, ზურგი იბრუნა და ბუკინისტების ყუთების გასწვრივ, სანაპიროს გაუყვა. ჯერზინსკიმ, ერთი-ორი წუთი, მზერა გააყოლა კაცს, რომელიც სადამოუჟამის მიმქრალ ნათელში თანდათანობით თვალს ეფარებოდა.

2

მეორე დღეს, საღამოს, ანაბელთან ივანეშვი და წერილმანი სი-
ზუსტით, თანაც დამაჯერებლად აუხსნა, თუ რამ გადაწყვეტინა
ირლანდიაში გამგზავრება. სამუშაო პროგრამა მოხაზული ჰქონ-
და, ყველა რგოლი ერთმანეთს კარგად იყო მორგებული. ასე რომ,
ეჭვი არაფერში ეპარებოდა. ახლა, მთავარი იყო, მთელი ყურა-
დღება ღწმ-ზე არ გადაეტანა და ცოცხალი არსება, როგორც
თვითნარმოებადი სისტემა, მთლიანობაში განეხილა.

ანაბელმა ჯერ სიჩუმე არჩია, მაგრამ თავის მოთოკვა უჭირდა
და ტუჩები უტოკავდა. მერე ღვინო დაუსხა. ვახშმისთვის თევზის
კერძი მოამზადა. მისი ოთახი, ახლა უფრო მეტად, ვიდრე სხვა
დროს, გემის კაიუტას მოგაგონებდა.

"ჩემს წაყვანას არ აპირებ..." - სიჩუმე წამით დაირღვა. "ამაზე
არც გიფიქრია..." - თქვა ქალმა ბუტია ბავშვის ხმით და აქვითინ-
და. მიშელს წარბიც არ შეუხრია, გრძნობდა, ხელის განძრევა და
ქალი იფეთქებდა. ადამიანს ტირილი უნდა აცალო, ხშირად, ესეც
საშველია. "არადა, თორმეტი წლისა, ერთმანეთს კარგად ვუგებდ-
ით..." - წაიჩურჩულა ცრემლად დაღვრილმა ქალმა.

ბოლოს, როგორც იქნა, ანაბელმა თავი ასწია და თვალი გაუხ-
ნორა. იშვიათი სილამაზის სახე ჰქონდა. დაუფიქრებლად ალაპა-
რაკდა: "ბავშვი გამიჩინე. მინდა, ვილაც მყავდეს გვერდით. აღზრ-
დას და მოვლას არ გთხოვ, შეგიძლია მამობაც არ აღიარო. ჩვენს
სიყვარულს არ გთხოვ. შენ მხოლოდ ბავშვი მაჩუქე. დიახ, ორმო-
ცი წლის ვარ; მაინც გავბედავ, რაც იქნება, იქნება. უკანასკნელი
შანსი მეძლევა. ზოგჯერ მუცლის მოშლას ვნანობ, თუმცა, პირვე-
ლი მამაკაცი, ვისგანაც დავორსულდი, ნამდვილი ნაგავი აღმოჩნ-

და, მეორე კი - უპასუხისმგებლო. ჩვიდმეტი წლის ასაკში, ვერც წარმოვიდგენდი, რომ ცხოვრება ასეთი მოკლეა, შესაძლებლობანი კი ასეთი მწირი და სწრაფწარმავალი."

მიშელმა, დროის მოსაგებად, სიგარეტი გააბოლა. "უცნაური აზრია, - კბილებში გამოსცრა, - უცნაურია, სიცოცხლე არ გიყვარდეს და მის გამრავლებაზე ზრუნავდე." ანაბელი წამოდგა და ტანსაცმელი გაიხადა. "რაც არის, არის, სექსს ნინ რა უდგას? ერთი თვეა თავს ვიკავებთ. ორი კვირაა, აბებს მოვემევი. ასე რომ, განაყოფიერების ჟამი დამიდგა." ხელები მუცელზე დაიწყო, მკერდისკენ ამოატარა და ბარძაყები ოდნავ გაშალა... მიშელის წინ ლამაზი, სასურველი, მოსიყვარულე ქალი იდგა, მაგრამ კაცი ვერაფერს გრძნობდა და საკუთარ უნიათობას ახსნას ვერ უძებნიდა. სიგარეტს მოუკიდა, მაგრამ მიხვდა, რომ ფიქრი და განსჯა ამოიყო. ბავშვს ან აკეთებ, ან არა. რაციონალური გადაწყვეტილებით, აქ ფონს ვერ გახვალ, გონების ძალისხმევას ფუჭად გახარჯავ. ნამწვი საფერფლეში ჩასრისა და ჩუმად თქვა: "მოსულა!"

ანაბელი ტანსაცმლის გახდაში დაეხმარა და გუნებაზე მოსაყვანად, ასოზე წაუთათუნა. მიშელი ქალის საშოს სიმხურვალისა და სილბილის გარდა, სხვას არაფერს გრძნობდა. შეწყვილების გეომეტრიული სიზუსტისა და ლორწოვანი გარსის სიმკვრივით და მოქნილობით მოხიბლული, საერთოდ აღარ ინძრეოდა. ანაბელი ტუჩებზე დაენება და ხელები მოხვია. მიშელმა თვალები დახუჭა, კიდევ უფრო მძაფრად შეიგრძნო საკუთარი ასოს არსებობა და აქეთ-იქით რხევას მოყვა. გათავებამდე, თვალწინ მკვეთრ ზმანებასავით წარმოუდგა გამეტების შერწყმისა და იქვე, უჯრედების პირველი გაყოფის სურათი... ხილვა წინსწრებას და ცოტაოდენ თვითმკვლელობას ჰგავდა. ცნობიერებიდან წამოსული ტალღა ასოს ზემოთ აუყვა და სპერმად იხუვლა. ანაბელმაც იგრძნო და გრძლად ამოიხვნეშა. ორივენი ერთდროულად გახევდნენ.

"ნაცხი ჯერ კიდევ ერთი თვის წინ უნდა მოგეტანათ, - დაღლილი ხმით თქვა გინეკოლოგმა, - ამის ნაცვლად კი, დაუკითხავად, აბების მიღება შეწყვიტეთ და დაორსულება გადაწყვიტეთ. რა ბავშვობაა?" ნესტიან ოთახში ისე ციოდა, რომ გარეთ გამოსული ანაბელი ივნისის მზის ნათებამ გააოცა.

მეორე დღეს ექიმს დაურეკა: უჯრედების ანალიზმა "სერიოზული ანომალიები" გამოავლინა. საჭირო იყო ბიოპსია და საშოს ლორწოვანი გარსის გამოფხეკა. "ორსულობაზე ფიქრი, დროებით, თავიდან ამოვიდეთ. უმჯობესი იქნება, გამოჯანმრთელებას დაელოდოთ." ექიმი შეწუხებული არ ჩანდა, უბრალოდ, თავგაბებრებული კაცის ხმა ჰქონდა.

ანაბელმა მესამე აბორტი გადაიტანა. ორკვირიანი ნაყოფის მოსაშორებლად დიდი ჯაფა არ დადგომია, ერთი ასპირაციაც საკმარისი აღმოჩნდა. უკანასკნელი ოპერაციის შემდეგ, მედიცინა წინ წავიდა და მისდა გასაოცრად, ყველაფერი სულ რაღაც ათ წუთში დასრულდა. გამოკვლევის შედეგები სამ დღეში მოვიდა. "მაშ ასე, - ექიმს საშინლად მობერებული, საქმის მცოდნე და მწუხარე კაცის იერი ჰქონდა, - საუბედუროდ, დარწმუნებით შემოძლია ვთქვა, რომ საშვილოსნოს კიბოს წინაინვაზიური სტადიაა." ცხვირზე სათვალე შეისწორა და კიდევ ერთხელ დახედა ფურცლებს. ამათ თითქოს მის კომპეტენტურობას მეტი დამაჯერებლობა შესძინა. გაოცებული არ ჩანდა: ქალებს საშვილოსნოს კიბო ჩვეულებრივ, მენოპაუზის წინა წლებში ემართებათ, ხოლო უშვილობა ხიფათს კიდევ უფრო აძლიერებს. მკურნალობის პირობები და საშუალებები ცნობილია, ამაში ექიმს ეჭვი არ ეპარებოდა. "მუცლის გისტერექტომიას და ბილატერალურ სალპინგო-ოფორიექტომიას უნდა მივმართოთ. გამოცდილი და დღეისთვის კარგად შეთვისებული მეთოდია. გართულებების რისკიც თითქმის ნულამდეა დაყვანილი". ექიმმა ანაბელს გადახედა. ცუდად ენიშნა, რომ ქალი უგულოდ უსმენდა, არაფერს იმჩნევდა და გაოგნებული, ერთ წერტილს მიშტერებოდა. მსგავსი ქცევა, ჩვეულებრივ, კრიზისის მომასწავებელია. საერთოდ, ასეთ შემთხვევაში, პაციენტებს ურჩევენ, ფსიქოთერაპევტს მიმართონ, - ექიმმა თადარიგი ადრევე დაიჭირა და მისამართების მცირე სია შეადგინა, - განსაკუთრებით, "დამრტყმელ იდეას" აწვებიან: ნაყოფიერების მოშლა სიცოცხლის დასასრულს სულაც არ მოასწავებს, ის კი არა და ზოგიერთ ქალს სექსუალური სურვილი საგრძნობლად უმძაფრდება.

"ესე იგი, საშვილოსნოს ამომაჭრიან..." - უნდობელი ხმით თქვა ანაბელმა.

"საშვილოსნოს, საკვერცხეებს და ფალოპის მილებს; მეტასტა-

ზების გავრცელების უმცირესი საშიშროებაც კი უნდა გამოვრიცხოთ. პორმონალურ მკურნალობას გამოვიჩინოთ, სხვათა შორის, ერთობ გავრცელებული პრაქტიკაა, რომელსაც მარტივი მენოპაუზის შემთხვევაშიც ხშირად იყენებენ.”

ანაბელი კრესი-ან-ბრიში, მშობლების სახლში დაბრუნდა; ოპერაცია 17 ივლისისთვის დანიშნეს. მოს საავადმყოფოში დედამისმა და მიშელმა მიაცილეს. ანაბელს შიში აღარ ემჩნეოდა. ოპერაცია ორ საათზე ცოტა მეტ ხანს გაგრძელდა. ქალმა მეორე დღეს გაიღვიძა. ოთახის ფანჯრიდან ლურჯი ცა მოჩანდა, ქარი ხეების კენწეროებს არხევდა. ანაბელი თითქმის ვერაფერს გრძნობდა. ერთი სული ჰქონდა, მუცლის ქვემოთ ნაკერი ენახა, მაგრამ ექთანს თხოვნა ვერ შეებდა. საოცარი შეგრძნება ჰქონდა: თითქოს არაფერი შეცვლილა, ისეთივეა, როგორც გუშინ, მხოლოდ ეს არის, რომ საკვერცხეები ამოაცალეს. რამდენიმე ხანი, ტვინში სიტყვა "ამპუტაცია" უტრიალებდა, მერე უფრო მწარე ფიქრი ეახლა: "დამაცარიელეს, ქათამივით გამომშიგნეს”.

საავადმყოფოში ერთი კვირა დაჰყო. მიშელმა უოლკოტს აცნობა, რომ დაავიანდებოდა და ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ დათანხმდა, საცხოვრებლად ანაბელთან გადასულიყო. დედამ ვაჟიშვილის ოთახი დაუთმო. ანაბელმა შეამჩნია, რომ მისი ავადმყოფობისას, დედა და მიშელი ერთმანეთს შეეწყვნენ. მიშელის გადმობარგების შემდეგ, უფროსმა ძმამ ოჯახში სტუმრობას მოუხშირა. ერთმანეთისთვის სათქმელი ბევრი არაფერი ჰქონდათ: მიშელს მცირე სანარმოების ინჩიბინჩი არ ესმოდა, ჟან-პიერი კი მოლეკულურ ბიოლოგიაში ტყემალზე იჯდა, მაგრამ საღამოს, აპერიტივზე, მათ შორის, თუმც კი ცოტაოდენ ხელოვნური, მაინც მამაკაცური სიახლოვე მყარდებოდა. ანაბელს სიმშვიდე და დასვენება სჭირდებოდა, განსაკუთრებით, სიმძიმეების აწევას უნდა მორიდებოდა, მაგრამ წამოდგომას და ჭამას სხვის დაუხმარებლად ახერხებდა. ნაშუადღევს ბაღში ატარებდა. დედა და მიშელი მარწყვს და ქლიავს კრეფდნენ. ანაბელს ბავშვობა და არდადეგები აგონდებოდა. სახესა და მკლავებზე მზის ალერსს გრძნობდა. მეტ დროს უსაქმოდ იყო. ზოგჯერ ქსოვდა ან ძმისშვილებისთვის ხაოიანი ქსოვილისგან სათამაშოებს კერავდა. ერთმა ფსიქიატრმა საძინებელი და და-

მანყნარებელი წამლები დიდი დოზა გამოუწერა. ასე მეტ-ნაკლებად, გემოზე ეძინა და სასიამოვნო სიზმრებსაც ხედავდა. საკუთარ სამფლობელოში დავანებული სულის შესაძლებლობანი მართლაც რომ უსაზღვროა. სანოლში მიშელი გვერდით ეწვა. ხელი ქალის წელზე ედო და მის მშვიდ სუნთქვას გრძნობდა. ფსიქიატრი ხშირად მოდიოდა, ფუსფუსებდა და "რეალობასთან შეუთავსებლობაზე" რალაც გაუგებარს ბურტყუნებდა. ანაბელი განაზბდა, ცოტა უცნაური გახდა და ხშირად უმიზეზოდ იცინოდა. ზოგჯერ ისიც ხდებოდა, რომ უცებ, თვალები ცრემლით ევსებოდა. მაშინ, "ტერციანის" დოზას ზრდიდა.

მესამე კვირას, სახლიდან გასვლა და მდინარის პირას ან ტყეში სეირნობა იწყო. გამორჩეულად ლამაზი აგვისტო იდგა. ერთნაირად ხალისიანი დღეები ერთმანეთს ენაცვლებოდა, უბედურებას ან დასასრულს არაფერი მოასწავებდა. მიშელი მუდამ თან ახლდა. ხელჩაკიდებულნი, სვენებ-სვენებით მიუყვებოდნენ გზას. ხშირად, გრან მარენის ნაპირზე, სკამზე ჩამოსხდებოდნენ. გადახრუკული ბალახი თითქმის თეთრი იყო. წიფლების ჩრდილში, მდინარე აუჩქარებლად მიაგორებდა მუქ მწვანედ მოლივლივე ზვირთებს. გარე სამყარო საკუთარი წესითა და რიგით აგრძელებდა ცხოვრებას; ამ წესრიგს ადამიანურობის არაფერი ეცხო.

3

25 აგვისტოს, მორიგმა გამოკვლევამ მუცლის ღრუში მეტასტაზების არსებობა დაადასტურა. დაზიანებული უჯრედები ვითარდებოდა და სულ უფრო მეტ სივრცეს იკავებდა. სულ მალე, კიბო მთელს სხეულს მოედებოდა. შეიძლებოდა, რადიოთერაპია ეცადათ, მართალი რომ ითქვას, მეტი საშველი არც იყო, მაგრამ თავის მოტყუება არ ღირდა; მკურნალობა მეტად მძიმედ გადასატანი იქნებოდა. განკურნებულთა რიცხვი 50%-ს არ აჭარბებდა.

სადილმა დუმილში ჩაიარა, "გიმკურნალებთ, ძვირფასო..." - მთრთოლვარე ხმით წარმოსთქვა დედამ. ანაბელმა კისერზე მოხვია ხელი და მკერდზე მიიზიდა. ერთი წუთი ასე დარჩნენ. დედა დასაძინებლად წავიდა, ანაბელი სასტუმრო ოთახში შეყოვნდა და წიგნების ფურცვლას მოყვა. "სხვა ექიმი ხომ არ გვენახა..." - დაარღვია გრძელი დუმილი მიშელმა. სავარძელში იჯდა და ანაბელს თვალს არ აცილებდა. "რატომაც არა," - უდარდელად გაეპასუხა ქალი.

სექსი არ შეეძლო: ჯერ კიდევ სტკიოდა ახალი ნაიარევი. მიშელს დიდხანს გამეტებით ეხვეოდა და სიჩუმეში მისი კბილების ხრჭიალი ესმოდა. სახეზე ხელი გადაუსვა და მიხვდა, რომ მიშელი ტიროდა. ერთდროულად აღმგზნები და დამამშვიდებელი მოფერებით, ფრთხილად გაეთათუნა ასოს. მიშელმა მეპრონოზინის ორი აბი გადაყლაპა და, როგორც იქნა, ჩაიძინა.

ღამის სამ საათზე, ანაბელი წამოდგა, ხალათი გადაიცვა და სამზარეულოში ჩავიდა. კარადაში ხელი მოაფათურა და ფიალა გამოიღო, რომელზედაც მისი სახელი იყო ამოტვიფრული და რომელიც, ათი წლისას, ნათლიამ უსახსოვრა. ფიალაში "როიპნოლის"

აბები ჩაფშენა და ცოტა წყალი და შაქარი დაამატა. რაღაც ზოგადადამიანური, თითქმის მეტაფიზიკური კაემნის გარდა, სხვას ვერაფერს გრძნობდა. "ცხოვრება ასეა მოწყობილი", - ფიქრობდა ქალი. მის სხეულში, ერთბაშად, რაღაც მოიშალა, ეს გაუთვალისწინებელი და გაუმართლებელი რღვევა იყო. ამიერიდან, მისი სხეული ბედნიერებას და სიხარულს ვერავის მიანიჭებს. პირიქით. თანდათანობით და, უნდა ითქვას, საკმაოდ სწრაფადაც, მისთვის და სხვებისთვის უბედურების მომტანი გახდება. გამოდის, სხეულის მოშობის გარდა, სხვა არაფერი დარჩენია. მასიური ხის კედლის საათი წამებს ხმაურით ითვლიდა. ეს საათი, ოჯახის უძველესი ნივთი, ბებიას საქორწილო საჩუქარი იყო, მან კი დედას უანდერძა. ნაზავს შაქარი ჩაუმატა. არა, სიკვდილს არ მონებდა, უბრალოდ, სიცოცხლე უხამს, მიუღებელ ხუმრობად ეჩვენებოდა. თუმცა, მისაღები თუ მიუღებელი, ასე იყო და ამას აღარაფერი ეშველებოდა. რამდენიმე კვირის ავადმყოფობა და საოცრად სწრაფად, ანაბელს სისხლსა და ხორცში გაუფდა ბებრებისთვის დამახასიათებელი უსუსურობისა და განწირულების განცდა. არავითარი სურვილი არ ჰქონდა, სხვებს ტვირთად დასწოლოდა. ყმანვილობის ხანა რომ გამოიარა, ცხოვრებამ სვლას უჩქარა. ამას მონყენილობის ხანგრძლივი უამი მოჰყვა. დაბოლოს, ცხოვრების ჩარხი ისევ სწრაფად დატრიალდა.

განთიადისას, როდესაც მიშელმა გვერდი იცვალა, იგრძნო, რომ მარტო იწვა; მყისვე ჩაიცვა, ქვემოთ ჩავიდა და სასტუმრო ოთახის ტახტზე ანაბელის უსიცოცხლო სხეული დაინახა. იქვე, პატარა მაგიდაზე შემოდებული წერილი ამ სიტყვებით იწყებოდა: "საყვარელი ადამიანების გარემოცვაში სიკვდილი მირჩენია".

მოს საავადმყოფოს სასწრაფო დახმარების განყოფილების გამგეს, ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა კაცს შავი, ხუჭუჭა თმა და გახსნილი სახე ჰქონდა. ოჯახზე მყისვე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. "სწრაფი გამოფხიზლების იმედი ნუ გექნებათ", - გააფრთხილა ახლობლები და ანაბელთან დარჩენის ნება დართო. კომა უცნაური, ჯერაც ამოუხსნელი მდგომარეობაა. აშკარა იყო, რომ ანაბელი მათ იქ ყოფნას ვერ გრძნობდა, თუმც, ტვინი საბოლოოდ არ გათიშულა. ასეთ ვითარებაში, ცნობიერების სულ მცირე აქტი-

ურობაც კი იდუმალებითაა მოცული. ექიმების დიაგნოზიც, ჩვეულებრივ, ორაზროვანია: რამდენჯერ ყოფილა, რომ კვირების თუ თვეების მანძილზე ღრმა კომაში ჩაძირული ავადმყოფი, ერთბაშად, სიცოცხლეს დაბრუნებია?! მაგრამ, საუბედუროდ, უმრავლეს შემთხვევაში, კომა, ასევე მოულოდნელად, სიკვდილით მთავრდება. "ანაბელი ორმოცზე მეტის არ არის, ვინ იცის, იქნებ გულმა გაუძლოს". სულ ეს იყო, რის თქმაც, იმ წუთს, შეიძლებოდა.

ქალაქში დღე დგებოდა. ანაბელის ძმა მიშელის გვერდით იჯდა, თავს მწუხარედ არწევდა და ჩურჩულებდა. "შეუძლებელია... შეუძლებელია..." - გაუთავებლად იმეორებდა, თითქოსდა ამ სიტყვებს შვების მოტანა შეეძლოთ. მაგრამ, ამქვეყნად, შეუძლებელი არაფერია. ყველაფერი შესაძლებელია. დერეფანში, სამედიცინო და შრატის ბოთლებით სავსე ურიკას მიაგორებდა. ერთმანეთს მიხეთქებულ ბოთლებს წკრიალი გაუდიოდა.

მოგვიანებით, მზემ ღრუბლები გაარღვია და ლურჯი ცა გამოჩნდა. წინა დღეების მსგავსად, ამინდს კარგი პირი უჩანდა. ანაბელის დედა გაჭირვებით წამოდგა. "ცოტას დავისვენებ..." - თავის შეკავებას ცდილობდა, მაგრამ ხმა მაინც უკანკალებდა. ვაჟიშვილიც ადგა და მკლავებჩამოყრილი, უნდილად აედევნა დედას. მიშელმა თავი გადააქნია, ვერ გამოგყვებითო. დალლას სრულიად არ გრძნობდა. უბრალოდ, გარესამყაროს არსებობას ახლა უფრო აშკარად განიცდიდა. მარტო დარჩენილი, მზით განათებულ დერეფანში, პლასტმასის წნულ სკამზე იჯდა. საავადმყოფოს ეს მხარე განსაკუთრებით მშვიდი იყო. დროდადრო, მოშორებით, კარი იღებოდა, ექთანი გამოდიოდა და მეორე დერეფნისკენ გაუყვებოდა. რამდენიმე სართულით ქვემოთ, ქალაქის მოგუდული ხმაური ისმოდა. ფიქრისგან დაცლილი მიშელი წარსულ მოვლენებს იხსენებდა, რომლებმაც მათი სიცოცხლე ნაცარტუტად აქცია. ახლა ყოველივე წინასწარ გათვლილი, საბოლოო და აუცილებლად მოსახდენი ეჩვენებოდა. წარსულმა დასრულებული სახე მიიღო და მის შუქზე, ყოველივე უფრო თვალსაჩინოდ წარმოჩნდა. დღეს ძნელად თუ ვინმე დაიჯერებს ჩვიდმეტი წლის ქალიშვილის მიამიტობას. იმას ხომ ვერვინ წარმოიდგენს, რომ ამ ასაკის გოგონა ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სიყვარულს. ანაბელის ყმანვილობი-

დან ოცდახუთი წელი გამოხდა; გაზეთებს და სოციოლოგიურ გამოკითხვებს თუ ვენდობით, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. დღევანდელი გოგონები უფრო გამოცდილები და წინდახედულები არიან. მათთვის მთავარია სკოლა და პროფესიულ მომავალზე ზრუნვა. ბიჭებთან გავლა უბრალო დროსტარებაა, გართობა, რომელშიც სექსუალურ სიაშოვნებას და ნარცისულ ტკბობას თანაბრად უდევთ წილი. მოგვიანებით კი, სოციალური თუ პროფესიული ინტერესებისა და გემოვნებათა თანხვედომის გათვალისწინებით, გონებაში წინასწარ გათვლილი, სარფიანი ქორწინების დროც დგება. რა თქმა უნდა, ამით ისინი ბედნიერებისკენ მიმავალ ყველა გზას იხშობენ, - ბედნიერება ხომ სულის სპონტანური სწრაფვაა, რომელსაც გონების პრაქტიკულ საქმიანობასთან არაფერი აკავშირებს, - მაგრამ იმედოვნებენ, რომ მხოლოდ ასე თუ შეძლებენ დააღწიონ თავი სენტიმენტალურ და მორალურ წამებას, რომელმაც მათ წინამორბედებს ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია. მაგრამ ამ იმედსაც დიდი ხნის არსებობა არ უწერია. მართლაც, სულ მალე, მტანჯველ ვნებათა ადგილს მოწყენილობა, სიცარიელის შეგრძნება და სიბერისა და სიკვდილის სევდიანი მოლოდინი იკავებს. ასე და ამრიგად, ანაბელის ცხოვრების მეორე ნახევარი, რომლისგანაც, სიცოცხლის ბოლოს, ერთი მოგონებაც არ შემორჩა, პირველზე გაცილებით სევდიანი და უფერული აღმოჩნდა.

შუადღისას, მიშელმა ანაბელის ოთახის კარი შეაღო. ქალი ძლივს სუნთქავდა, ზეწარი არც კი ირხეოდა, თუმცა, ექიმის აზრით, სხეულისთვის უანგბადის მისანოდებლად, ესეც კმაროდა. უარეს შემთხვევაში, ხელოვნურ სუნთქვაზე გადაიყვანენ. ახლა, იდაყვის ზემოთ, წვეთოვანის ნემსი ჰქონდა გაყრილი; საფეთქელთან ელექტროდი დაემარებინათ... სულ ეს იყო, მზის სხივი ტკიცინა თეთრ ზეწარზე ირეკლებოდა და ღია ფერის ლამაზ თმაში იხლართებოდა. თვალები დახუჭული ჰქონდა, ფერმიხდილ სახეზე სიმშვიდე ეფინა, თითქოსდა, ყველა შიში ერთბაშად გაუქრა. ასეთი ბედნიერი ანაბელი მიშელს არასოდეს უნახავს, თუმცა კი, სიმაართლე თუ გნებავთ, კომას და ბედნიერებას ერთმანეთისგან ვერასდროს არჩევდა. მიუხედავად ამისა, ანაბელი უზომოდ ბედნიერი ეჩვენა; თმაზე მიეფერა და შუბლი და თბილი ტუჩები დაუკოცნა. რა თქმა უნდა, გვიან მოუვიდა, მაგრამ მაინც კარგი იყო. ანაბელ-

თან საღამომდე დარჩა. დერეფანში რომ გამოვიდა, დოქტორ ევანს-ვენცის მიერ შედგენილი ბუდისტური მედიტაციების კრებული გადაშალა (ამ წიგნის დასაწყისში ნიგნაკს, რამდენიმე კვირაა, ჯიბით დაატარებდა):

დე, ბინადარნი აღმოსავლეთისანი,
დე, ბინადარნი დასავლეთისანი,
დე, ბინადარნი ჩრდილოეთისანი,
იყვნენ მარადის ბედნიერნი
და არა უმუხბოლნი ერთურთს.

"ამას მხოლოდ ადამიანებს ნუ დავაბრალებთ," - გაიფიქრა მიშელმა. ჯიბრისა და ბრძოლის, ამოუბრისა და ძალადობის უღმობელ სამყაროში მოუხდათ ცხოვრება. სხვანაირად ვერც ნარმოედგინათ. მეორე მხრივ, სამყაროს გამოსასწორებლად თითოც არ გაუნძრევიათ, საქმის სასიკეთოდ თავიც არ შეუწუხებიათ. მერე, ის იყო გაიფიქრა, ანაბელთან შვილი უნდა გამეჩინაო და წამსვე გაახსენდა, რომ ეცადა, ყოველ შემთხვევაში, დაიწყო მანც; სხვა თუ არაფერი, თავპატიუი არ დაუდია და ანაბელის ნებას დაჰყვა. გაახსენებამ დიდი სიხარული მოჰგვარა და იმასაც მიხვდა, თუ საიდან მოეგვინა ბოლოდროინდელი სულიერი სიმშვიდე და სინაზე. ვაი, რომ ახლა, ამ ვითარებაში, ვეღარაფერს შეცვლიდა. სწეულუბასთან და სიკვდილთან, აბა, ვის რა გასვლია?! თუმცა, ანაბელმა ბოლო კვირებში მაინც ირწმუნა, რომ ვიღაცას მართლა უყვარდა.

თუკი მავანის ფიქრი სიყვარულს მიეღვტვის
და მრუშობას განერიდება,
თუკი გასწყვეტს ვნებათა ბოროკილებს,
და მზერას გზას უსწორებს

საზღაურად იმისა, რომ მიემართა ოდენ სიყვარულს,
კაცი იგი აღორძინდება ბრაჰმას ზეცაში,
მიეახლება უმაღლეს შვებას და თავისუფლებას
და სამარადუამოდ დაივანებს ზღვარდაუდებლის
სამეუფოში.

თუკი არა ჰკლა და არა ავნო,
თუკი არა ამაღლდა
სხვათა დამცირებით
თუკი შეიყვარა სახე ყოველი,
უშფოთველ ექმნას ბოლო წუთი მიწიერი
არსებობისა.

სალამოს ანაბელის დედა მოვიდა ამბის გასაგებად, მაგრამ ყველაფერი ძველებურად დახვდა, ახალი არაფერი მომხდარა. "ღრმა კომას, სჭირად, სტაბილურობა ახასიათებს, - მოთმინებით აუხსნა მედდამ, - პროგნოზს, ზოგჯერ, თვეები სჭირდება". მოხუცი ოთახში შევიდა, მაგრამ, მყისვე, აქვითინებული გამობრუნდა. "არაფერი მესმის... - იმეორებდა და თავს აქეთ-იქით აქნევდა, - ამ ცხოვრებას ვერაფერი გავუგე; იცით, რა ჭკვიანი გოგო იყო? დინჯი და დამჯერი, ცუდს არასოდეს გადაყრია. ერთხელაც არ დაუჩივლია, მაგრამ კარგად ვხედავდი, რომ ბედნიერი არ იყო. ასეთ ცხოვრებას ნამდვილად არ იმსახურებდა."

აშკარად იმედგადაწურული მოხუცი საავადმყოფოში დიდხანს არ დარჩენილა. საკვირველია, მაგრამ მიშელს არც შიოდა და არც ეძინებოდა. ჯერ დერეფანს დაარტყა ერთი-ორი წრე, მერე ჰოლში ჩავიდა. ანტილიელი კარისკაცი კროსვორდს ავსებდა. მიშელმა თავი დაუქნია, კაკაო ჩამოისხა და ფანჯარასთან მივიდა. მთვარე კოშკურებს შორის მიცურავდა. მანქანები კანტიკუნტად მიმოდიოდნენ შალონის გამზირზე. მიშელი იმდენად მაინც ერკვეოდა მედიცინაში, რომ მიმხვდარიყო, ანაბელის სიცოცხლე ბენჯზე ეკიდა. ძნელია, არ დაეთანხმო ანაბელის დედას: ცხოვრება მუდრეგი რამაა; ადამიანი ვერასოდეს შეურიგდება სიკვდილს, გინდ საკუთარს, გინდ სხვისას. მიშელი კარისკაცს მიუახლოვდა და ფურცელი სთხოვა. ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა კარისკაცმა საავადმყოფოს საფირმო ფურცლების დასტა გაუწოდა (მოგვიანებით, სწორედ ამ საფირმო ფურცლების წყალობით, ჰუბჩეიაკმა ტექსტის იდენტიფიცირება და კლიფდენში ნაპოვნი ჩანაწერების მასიდან გამოცალკეება შეძლო). მავანი ძალუმად ებლაუჭება სიცოცხლეს და, ჟან-ჟაკ რუსოს თუ დავესესხებით, გულღვარძლიანი მიდის ამ ქვეყნიდან. მიშელი კარგად გრძნობდა, რომ ანაბელი მათ რიგს არ მიეკუთვნებოდა.

... და იშვა იგი სიხარულისთვის,
გულით კეთილი და ზნემაღალი,
სული გახსნილი მოყვასისათვის,
არცა ბოროტი, არცა მდაბალი.

ბავშვის ყიფინა, მომავლის სისხლი,
გადაასწრებდა დროსა და სივრცეს
და გადასცემდა შთამომავლობას,
დედის ოცნებას და დედის სიბრძნეს.

განიღვრებოდა წმინდა გალობა
შვილის სხეულში, მინდორში, მთაში,
ტყეთა ფოთლებში, ზვირთის შხეფებში,
ლურჯად კრიალა უღრუბლო ცაში...

ახლა აქა ვარ, სიკვდილის პირას,
(დე, გადაშენდეს მისი სახელი),
ესოდენ მშვიდი, ესოდენ ნაზი,
უბოროტო და სახენათელი.

თუკი, ანაბელ, ვიქეციტ მიწად,
ეს არ იქნება ქვეყნის დაქცევა,
მხოლოდ სიკვდილი ორი არსების
და სამყაროდან ჩუმი გაქცევა.

ტრფობის ფიალას ვერასდროს დავცლით,
ასეთი იყო განგების ნება,
წვიმამ და თოვლმა, მზემ და სიცივემ,
იქნებ, საფლავეში მოგვეგვაროს შეება.

4

ანაბელი მესამე დღეს გარდაიცვალა. იქნებ, ოჯახისთვის ასე სჯობდა. ვინმეს სიკვდილს რომ გაიგებენ, ადამიანები, ნებსით თუ უნებლიეთ, მსგავს სისულელეებს წამოროშავენ ხოლმე. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დედა და ძმა გაურკვევლობაში ყოფნას დიდხანს ვერ გაუძლებდნენ.

თეთრ რკინა-ბეტონის შენობაში, სადაც ოდესღაც ბებია გარდაიცვალა, მიშელმა ხელმეორედ იგრძნო სიცარიელის ძლევა მოსილება. ოთახი გადაკვეთა და ცხედართან მივიდა. სხეული ზუსტად ისეთი ეჩვენა, როგორიც ახსოვდა, იმ განსხვავებით, რომ ახლა, ცოცხალი სითბო ნელ-ნელა სიცივეს უთმობდა ადგილს.

ზოგიერთები სამოცდაათ, ან იქნებ, ოთხმოც წლამდეც ცოცხლობენ და გამუდმებით რაღაც ახლის მოლოდინში არიან: აი, ქუჩის კუთხეში შეუხვევ და თავგადასავალიც დაინყება. ასეთები ადგილზევე უნდა გაათავო, ან ერთი მაგრად უნდა დაასახიჩრო, რათა გონს მოეგონ. მიშელ ჯერზინსკის ქკუის სწავლება არ სჭირდებოდა - კოსმიურ სიცარიელეში, სრულიად მარტომ განვლო მამაკაცური ცხოვრების გზა და დიდი ამაგი დასდო მეცნიერების განვითარებას. ეს მისი მოწოდება და თვითდამტკიცების საშუალება იყო, სწორედ ამ გზით გამჟღავნდა მისი ბუნებრივი ნიჭი. სიყვარული კი არასოდეს განუცდია. ანაბელი ხომ ასეთი ლამაზი იყო, მაგრამ ისიც უსიყვარულოდ წავიდა ამ ქვეყნიდან. ახლა მისი სხეული, ამიერიდან სრულიად გამოუსადეგარი უსულო საგანი, დღისით-მზისით, დაბალ მაგიდაზე განისვენებს... მერე კუბო დახურეს.

წერილში ანაბელი ითხოვდა, რომ მისი ცხედარი დაენვათ. კრემაციის დაწყებამდე, ქირისუფალთა დარბაზში, ოჯახმა ყავა დალია. მეზობელ მაგიდასთან, წვეთოვანის ქვეშ მყოფი ვილაც ბოშა მის მოსანახულებლად მოსულ ორ ძმაკაცს მანქანებზე ელაპარაკებოდა. ქერის უშნო ჩუქურთმებში ჩაჭედილი, კორპის ტივტივას მსგავსი რამდენიმე ნათურა ოთახს სუსტ შუქს ჰვენდა.

ყავა რომ მოითავეს, გარეთ, მზის გულზე გამოვიდნენ. შორს წასვლა არ დასჭირვებიათ. თეთრი ბეტონისგან ნაშენებ, კუბის ფორმის კრემატორიუმს გარს გალავანი ერტყა. სინათლის ათინათები თვალს უბრმავებდათ, მხურვალე ჰაერის ქავლები კი, მათ გარშემო, გველის წინილებივით დასხმარტალებდნენ.

კუბო, ღუმელში შესატანად, საზიდარზე დადეს. გამოსათხოვარი დუმილის რამდენიმე წამიც და მოსამსახურემ მოწყობილობა აამუშავა. საზიდრის კბილანებმა ყრუდ დაიხრჩიალა; კარი მიიხურა. სათვალთვალოდ ღუმელში სიცხეგამძლე შუშის სარკმელი იყო გაჭრილი. ვეებერთელა ფრქვევანებიდან ალის ენებმა იფეთქა. მიშელმა მყისვე თავი გვერდზე იბრუნა, მაგრამ ცეცხლის სინითლე კიდევ რამდენიმე წამი თვალეში ედგა. მერე ყველაფერი დამთავრდა. მოსამსახურემ აქანდაზით ფერფლი მოხვეტა, თეთრი ფიჭვის ოთხკუთხა ყუთში ჩაყარა და ანაბელის უფროს ძმას გადასცა.

მანქანით ნელა მიუყვებოდნენ კრესის გზას. მზის სხივები მერიის ხეივნის ნაბლის ხის ფოთლებში იბლანდებოდა. ოცდახუთი წლის წინ, ანაბელი და მიშელი, გაკვეთილების შემდეგ, ამ ხეივანში საათობით სეირნობდნენ. ანაბელის სახლის ბაღში თხუთმეტამდე ადამიანს მოეყარა თავი. ოჯახის ქირის გასაზიარებლად ამერიკიდან უმცროსი ძმა ჩამოვიდა. გამხდარი, გალიზიანებული და დათრგუნვილი ჩანდა. ზედმეტად კოხტად ეცვა.

ანაბელის სურვილის თანახმად, მისი ფერფლი ბაღში უნდა მიმოეფანტათ. მზე ის იყო გადაინვერა. ფერფლი თეთრი მტვრის მსუბუქ პირბადედ დაეფინა მინას და ვარდის ბუჩქებს. შორიდან, რკინიგზის გადასასვლელის მხრიდან, მატარებლის გრუხუნო მოისმა. მიშელს წარსული გაახსენდა. მაშინ თხუთმეტი წლის იყო. ყოველ ნაშუადღევს, ანაბელი სადგურთან ელოდებოდა. ბიჭს რომ დალანდავდა, გამოქანდებოდა და გაშლილ მკლავებში უვარდებო-

და. მიშელმა მინას, მზეს, ვარდებს და ბალახის მკვრივ ხალიჩას მოავლო თვალი. არა, მართლაც, დაუჯერებელია... ჭირისუფლები დუმდნენ. ანაბელის დედამ, სულის მოსახსენებლად, ღვინო ჩამოატარა, მიშელთან მივიდა, ჭიქა გაუწოდა და თვალეში ჩახედა: "მიშელ, თუ ინებებთ, შეგიძლიათ რამდენიმე დღე ჩვენთან დაჰყოთ". არა, უნდა გაემგზავროს, უნდა იმუშაოს. სხვა არც არაფერი შეუძლია. უცებ მოეჩვენა, თითქოს ცა სხივებით დაისერა და მიხვდა, რომ ტიროდა.

როდესაც თვითმფრინავი უხილავი ცის ქვეშ უკიდევანოდ გადაჭიმული ღრუბლების ქერს მიუახლოვდა, მიშელმა გაიფიქრა, რომ მთელი მისი ცხოვრება ამ წუთისკენ მომავალი გზა იყო. რამდენიმე ხანი, ლაჟვარდოვანი თალის მეტი არაფერი ჩანდა. ქვემოთ, ვეებერთელა ლივლივა სივრცე ნელა ირნეოდა და ელვარე და მიმქრალ ფერებს ერთმანეთს უნაცვლებდა. მერე, ნაცრისფერ, მოძრავ შუალედ ზოლში შევიდნენ, სადაც თვალი ვერაფერს არჩევდა. დაბლა, ადამიანების სამყაროში, იყო მინდვრები, ცხოველები და ხეები... მწვანე, ნესტიანი, ადვილად გასარჩევი...

უოლკოტი შენონის აეროპორტში ელოდებოდა. ერთი ჯირკვივით ჩასხმული, მოუსვენარი კაცი იყო. მელოტ კინკრისხოს ქერა-წითური თმის გვირგვინი უმშვენებდა... "ტოიოტა-სტარლეტი" ნისლოვან საძოვრებსა და გორაკებს შორის მიექანებოდა. ცენტრი გოლუეის ჩრდილოეთით, როსკაპილის კომუნის ტერიტორიაზე მდებარეობდა. უოლკოტმა მოწყობილობები დაათვალიერებინა და ის ტექნიკოსები წარუდგინა, რომლებიც, მიშელის მეთვალყურეობით, ცდებს ჩაატარებდნენ და მოლეკულური სტრუქტურების გათვლის პროგრამას დაამუშავებდნენ. ულტრათანამედროვე ხელსაწყოებს და სუფთად დანკრიალებულ დარბაზებს ცენტრი CEE-ის ფინანსებს უმადლიდა. ოთახ-საყინულეში, მიშელმა ორ ვეებერთელა Cray-ს შეავლო თვალი. კოშკივით აწონილი დანადგარების ნათურები სიბნელეში კიაფობდა. მილიონობით პროცესორი მზად იყო, თუნდაც ახლავე პარალელურად დაემუშაებინა ნებისმიერი მონაცემები, ინტეგრაციები გამოეყვანა ლაგრანჟის ფუნქციებიდან, ტალღოვანი განტოლებებიდან, სპექტროსკოპიის მონაცემებიდან და ერმიტის მრავალწევრებიდან... აი, ის სამყარო, რომელშიც, ამიერიდან, მიშელს უნდა

ეცხოვრა. მიშელმა გულხელი დაიკრიფა, მკლავები მკერდზე მიიბჯინა და შეეცადა, გულს მონოლილი სევდა და შინაგანი სიცივე დაეძლია, მაგრამ არ გამოუვიდა. უოლკოტმა ყავა შესთავაზა... ფანჯრებიდან ლოპ-კორიბის ტბის ბნელი ტალღებით განბანილი მწვანე ფერდობები მოჩანდა.

როსკაპილისკენ მიმავალ გზაზე, მსუბუქად დამრეც მდელს ჩაუარეს. საშუალოზე დაბალი ტანის, ღია ყავისფერი ძროხები მშვიდად ძოვდნენ ბალახს. "იცანით? - ღიმილით ჰკითხა უოლკოტმა, - დიას... თქვენ მიერ, ათი წლის წინ გამოყვანილი პირველი ძროხების მონაგარია. იმ პერიოდში, ერთი ციცქნა, ვაი-ვაგლახათ გამართული ცენტრი გვექონდა... თქვენ მაშინ მხარში გვედექით... ჯანიანი ძროხებია, ადვილად მრავლდებიან და რძეც სანაქებო აქვთ. ახლოს ხომ არ მივიდეთ?" მანქანა გზის პირას გააჩერა. ჯერზინსკი ქვის ღობეს მიუახლოვდა, რომელიც მდელს გარს ერტყა. ძროხები მინას ჩიჩქნიდნენ და საკუთარ მენყვილებს გვერდებზე შუბლს უხახუნებდნენ. ორი თუ სამი მინაზე წამოწოლილიყო. მათი გამრავლებისთვის აუცილებელი გენეტიკური კოდის შექმნა თუ არა, გაუმჯობესება მაინც, სწორედ ჯერზინსკის დამსახურება იყო. ის მათთვის ღმერთისმაგვარი ყოვლისშემძლე არსება უნდა ყოფილიყო, თუმც კი, მის გამოჩენას არც ერთი არ აუღელვებია. გორაკიდან წისლი დაეშვა და ძროხები თვალს მიეფარნენ. ჯერზინსკი მანქანასთან მიბრუნდა.

საჭესთან მჯდომი უოლკოტი "კრავენს" ეწეოდა. წვიმის წვეთები საქარე მინას ეხლებოდა. უოლკოტმა თავი მოაბრუნა და ნაზი, მორიდებული ხმით (მაგრამ, არამც და არამც, გულგრილად) ჰკითხა: "უბედურება შეგემთხვათ?" მიშელმა ანაბელის ამბავი უკანასკნელ წუთამდე უამბო. უოლკოტი ყურადღებით უსმენდა, შიგადაშიგ, თავს მწუხარედ აქნევდა და მიიმედ ოხრავდა. ბოლომდე რომ მოისმინა, ცოტა ხანი იყუჩა, მერე ახალ სიგარეტს მოუკიდა, მაგრამ წამსვე ჩააქრო და თქვა: "წარმოშობით ირლანდიელი არ გახლავართ. კემბრიჯში დავიბადე და მეჩვენება, ბოლომდე ინგლისელი დავარჩი. ხშირად გაიგონებთ, ინგლისელები გულცივი და თავშეკავებული ხალხიაო. იმასაც ამბობენ, ცხოვრებისეულ მოვლენებს, ხშირად ყველაზე ტრაგიკულსაც, იუმორით აღიქვამენო. დაახლოებით, ასეა, მაგრამ, ამასთან ერთად, წმინდა წყლის იდიოტობაა. იუმორით ფონდს ვერ გახვალ, საბოლოო ჯამში, სიცილი არაფერს შევლის. შეიძლება,

წლების მანძილზე, მოვლენებს, მართლაც, მხიარული თვალთ შებედო, ეს კი არა და ზოგჯერ, იუმორნარევი მიდგომა, შეიძლება, კუბოს კარამდე გააყვეს. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ცხოვრებაზე გული გიტყდება და რაც არ უნდა უდრეკი, გულცივი და ჭარბი იუმორის პატრონი იყო, ერთხელ გაბზარულ გულს ველარაფერი გაგიმთელებს. ახლა უკვე სიცილისთვის აღარ გცხელა. სიმარტოვის, სიცივისა და სიჩუმის ანაბარა რჩები... ბოლოს კი კვდები."

თოვლის საწმენდები ჩართო და მანქანა დაქოქა. "აქ ბევრი კათოლიკე ცხოვრობს, - გააგრძელა მან, - მაგრამ, ნელ-ნელა, ყველაფერი იცვლება. ირლანდია სულ უფრო თანამედროვე ხდება. გადასახადების შემცირებამ უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი რამდენიმე დიდი საწარმოს დაარსებას მისცა დასაბამი, მაგალითად "როჩი" და "ლილიც" იკმარებდა. რა თქმა უნდა, "მაიკროსოფტიც" არ უნდა დაგვავინყდეს: იქ მუშაობა აქაურ ახალგაზრდებს ნატვრად ექცათ. ადამიანებმა წირვაზე გული აიცრუეს, სექსუალურ თავისუფლებას თუ იკითხავთ, წინა წლებთან შედარებაც არ შეიძლება, დისკოთეკებისა და ანტიდეპრესიული წამლების მოყვარულთ ვერვინ მოთვლის. რას იზამ, კლასიკური სცენარია..."

ისევ ტბას მიუყვებოდნენ. მზემ ნისლის ბუდე გაარღვია და წყალი აალივლივა. "და მაინც, კათოლიციზმს მძლავრად აქვს ფესვი გადგმული, ჩვენი ცენტრის ტექნიკოსთა უმრავლესობა კათოლიკეა. ეს მათთან ურთიერთობას მირთულებს. თავაზიანობასა და უფროს-უმცროსობას ვერ დაუნუნებ, მაგრამ უცხოთვით მექცევიან და საუბარში გულის გადაშლას ერიდებიან".

ღრუბლებს თავდალწეულმა მზემ თეთრად მოეღვარე სარტყელი შემოირტყა, ტბას ნისლი მოაშორა და ლურჯ წყალზე სინათლე დაღვარა. ჰორიზონტზე "Twelve Bens Mountains"—ის მთაგრებილის დაბინდული მწვანე ფერის მწვერვალები ერთმანეთს სიმაღლეში ეჯობებოდნენ... სიზმარში ნანახი ფილმი გეგონებოდა... ორთავე გაყურდა. გოლუეის მისადგომებთან, უოლკოტმა სიჩუმე დაარღვია: "მე ბოლომდე ათეისტი დავრჩი, მაგრამ ისიც კარგად მესმის, რამ გახდა აქაურები კათოლიკები... განსაკუთრებული მხარეა... ყველაფერი მოძრაობს, მინდვრის ბალახბულახი, წყლის ზედაპირი, სული ჩაუსახლდათო, იფიქრებ. მოძრავი და მინახებული სინათლე, წამდაუნუმ, სახეს იცვლის. თვითონვე დარწმუნდებით. ზეცაც კი ცოცხალ არსებად მოგეჩვენებათ".

ბინა კლიფდენტან ახლოს, Sky Road-ის ქუჩის ერთ ძველ სახლში იქირავა. ეს ტურისტული პანსიონატი, ოდესღაც, სანაპირო დაცვის საკუთრება იყო. სტუმრების გულის გასახარებლად, ოთახებს ნავთის ლამპები, სართავი ჯარები და სხვა უამრავი ძველი ნივთი ამშვენებდა. მიშელს ეს ხელს არ უშლიდა, რადგან კარგად იცოდა, ამიერიდან ამ სახლში და, საერთოდ, ცხოვრებაში თავი ისე უნდა ეგრძნო, როგორც სასტუმროში.

საფრანგეთში დაბრუნების არავითარი სურვილი არ ჰქონდა, მაგრამ, პირველ ხანებში, რამდენჯერმე მოუწია პარიზში ჩასვლა, - ბინა უნდა გაეყიდა და საბანკო ანგარიშები ირლანდიაში უნდა გადმოეტანა. 11 საათსა და 50 წუთზე შენონის აეროპორტში თვითმფრინავში ჯდებოდა. თვითმფრინავი მზით გახურებულ ზღვაზე მიფრინავდა. ტალღები უზარმაზარ სივრცეზე მოფუსფუსე, ერთმანეთში გადახლართულ ჭიებს ჰგავდნენ. მიშელმა იცოდა, რომ ჭიების თხელი ფენის ქვეშ უამრავი მოლუსკი ბინადრობდა და მრავლდებოდა. კბილბასრი თევზები მოლუსკებს ჭამდნენ, მათ კი უფრო ძლიერი თევზები ყლაპავდნენ. ზოგჯერ, მიშელს თვლემა ერეოდა და საშინელი სიზმრები ესიზმრებოდა. თვალს რომ ახელდა, ხედავდა, რომ სოფლების თავზე მიფრინავდა. ბურანში მყოფს, ველ-მინდვრების ერთფეროვნება აკვირვებდა: ზოგან ყავისფერი, ზოგან მწვანე, მაგრამ აქაც და იქაც, ერთნაირად გახუნებული. პარიზის გარეუბნები ნაცრისფერი ეჩვენა. თითქოსდა მიწიერი ცხოვრება და მილიონობით ადამიანის ფუსფუსი იზიდავსო, თვითმფრინავი სიმალლეს კარგავდა და ნელა ეშვებოდა.

შუა ოქტომბერში, კლიფდენის ნახევარკუნძული ატლანტიკიდან შემოსულმა ნისლმა დაფარა. აქა-იქ შემორჩენილმა დამსვენებლებმა თავს უშველეს და შინ დაბრუნება არჩიეს. არ ციოდა, მაგრამ ყველაფერს რუხი ელფერი ედო. ჯერზინსკი შინიდან ცხვირს არ ჰყოფდა. საფრანგეთიდან სამი 40-გიგაბაითიანი DVD ჩამოიტანა, დროდადრო მინიკომპიუტერს რთავდა და უჯრედების მოხაზულობას აკვირდებოდა; მერე ვეებერთელა ტახტზე იშხლართებოდა და თავით სიგარეტის კოლოფს იდებდა. ცენტრში დაბრუნებას არ ჩქარობდა. ნისლი ნელა ირნეოდა ფანჯრების მიღმა.

20 ნოემბერს ცამ ღრუბელი გადაიყარა და მშრალი, სუსხიანი ამინდი დადგა. მიშელმა ჩვევად იღო ყოველდღე ზღვისპირა გზაზე სეირნობა. გორტრამნავს და ნოკავალის რომ გასცდებოდა, გეზს კლადეგდაფისკენ იღებდა, ზოგჯერ აუგრუს პოინტისკენაც უხვევდა. ეს ევროპის და მთელი დასავლეთ სამყაროს უკიდურესი ნერტილი იყო. მის წინ ატლანტიკის ოკეანე იშლებოდა, ამერიკას 4000 კილომეტრი წყლის სივრცე ამორებდა.

ჰუბჩეიასკს თუ ვენდობით, ფიქრისა და განსჯის ეს ორი თუ სამი თვე, როდესაც ჯერზინსკის თითიც არ გაუნძრევია, ერთი ცდაც არ ჩაუტარებია, მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი აღმოჩნდა, რადგან გვიანდელი კონცეფციების პირველი მონახაზები სწორედ ამ დროს ემთხვევა. საერთოდ, 1999 წლის ბოლო თვეები, დასავლეთისთვის, განსაკუთრებული მოლოდინის და ჩუმი წინათგრძნობის ხანა იყო.

1999 წლის 31 დეკემბერი პარასკევს დაემთხვა. ვერიერ-ლე-ბუ-ისონის კლინიკაში, სადაც ბრუნო დარჩენილ დღეებს ატარებდა, ავადმყოფებმა და ექიმებმა პატარა საახალწლო ზეიმი მოაწყვეს; შამპანურს სვამდნენ და ჩიფსებს აყოლებდნენ. უკვე გვიან საღამოს, ბრუნომ ერთი ექთანის გამოიწვია საცეკვაოდ. თავს უბედურად სულაც არ გრძნობდა. წამლებმა ყოველგვარი სურვილი ჩაუქრო. ახლა, სადილისა და ვახშმის წინ, სხვებთან ერთად ტელევიზორის ყურება შეუწყვარდა. მომავლისგან აღარაფერს ელოდა და მეორე ათასწლეულის ამ უკანასკნელმა საღამომაც, მისთვის, წყნარად და სასიამოვნოდ ჩაიარა.

მსოფლიოს სასაფლაოებზე, ახლახან გარდაცვლილი ადამიანები საფლავებში იხრნნებოდნენ და თანდათანობით ჩონჩხებად იქცეოდნენ.

მიშელმა სალამო შინ გაატარა. სოფლის დღესასწაულის ხმაური აქამდე ვერ აღწევდა. რამდენჯერმე, ანაბელის, ახლა უკვე მშვიდი და ნაზი სახე დაუდგა თვალნინ. ზმანებაში ბებიაც გამოეცხადა.

გაახსენდა, რომ 13 თუ 14 წლის ასაკში, ჯიბის ნათურებს და მექანიკურ სათამაშოებს ყიდულობდა, შლიდა და ხელმეორედ აწყობდა. ბებიის ნაჩუქარი ძრავიანი თვითმფრინავიც გაიხსენა, რომელიც, რამდენი არ ეცადა, მინას ვერაფრით ააშორა. ხაკისფერი, კოხტა თვითმფრინავი, ბოლოს და ბოლოს, უჯრაში ჩაკეტა და დაივიწყა. მოგონებებით სავსე მის არსებობას, ეტყობა, ინდივიდუალური თვისებებიც ჭარბად მოსდგამდა. არსებობენ ადამიანები, არსებობენ აზრები. აზრები სივრცეს არ იკავებენ. ადამიანები სივრცის მხოლოდ მცირე ნაწილს ავსებენ. ჩვენ მათ ვხედავთ. სახეები თვალის ბროლზე იხატებიან, ლორწოვან გარსს კვეთენ და ბადურაზე ირეკლებიან. სახლში მარტოსულად დაყუდებული მიშელი, თითქოს, მოგონებათა ალღუმს ესწრებოდა. ერთი კი ნამდვილად იცოდა: სულ მალე საქმეს მოჰკიდებდა ხელს.

დედამინის ზედაპირზე, არაქათგაცილილი, საკუთარ თავსა და საკუთარ ისტორიაში დაეჭვებული კაცობრიობა, ვაივაგლახად, ახალ ათასწლეულში შესასვლელად ემზადებოდა.

მავანი ამბობს:

"ჩვენ მიერ ნაგები ცივილიზაცია ჯერ კიდევ სუსტია, გადავიტანეთ ღამე ცივი, ხვატი ცხოველი, ჯერ კიდევ გვტკივა ძველი ჭრილობა, იქნებ აჯობებს ჩავიმარხოთ გულში ყოველი?"

მთხრობელი დგება, გონებას დაბავს,
დინჯად, ამაყად შეგვახსენებს მეტაფიზიკურ რევოლუციას...

მსგავსად იმისა, როგორც ქრისტიანებს ხელეწიფებოდათ, ემსჯელათ გარდასული დროის ცივილიზაციებზე, შეექმნათ სრული ხატი წარსულისა, ისე, რომ წამითაც არ შეპარვოდათ ეჭვი საკუთარ რწმენაში, რამეთუ გადალახეს ზღვარი, ზღუდე, უკან მოიტოვეს გამყოფი ზოლი;

მსგავსად იმისა, როგორც მატერიალისტური ხანის ადამიანებს შეეძლოთ, ეხილათ ქრისტიანული წირვა-გალობა, ენახათ და ვერ დაენახათ, ესმინათ და ვერ გაეგოთ; შეეძლოთ, ეკითხათ ძველი ქრისტიანული კულტურის ძეგლები, ოდენ ვითარც ქვის ხანის მკვლევარ ანთროპოლოგებს, რამეთუ უძლურ იყვნენ აეხსნათ, რად აღელვებდათ ესოდენ მათ წინაპრებს ცოდვა-მადლის განსჯა-განხილვა, ჩვენც, დღეს, ვუსმენთ მატერიალისტური ხანის ამბებს, ვითარც ძველ ზღაპრებს და გარდასული ყამის ლეგენდებს.

სევდიანი ამბავია, მავრამ წუხილს არ ვიკარებთ, რადგან საერთო არა გვაქვს რა იმ ადამიანებთან, თუმც კი ვიშვით მათი სხეულიდან და სურვილებიდან. ჩვენ დავთმეთ მათი ღირებულებანი

და მათი რწმენა და არც არაფერი ვიცით მათი სიხარულისა, არცა წუხილისა...

ჩვენ გულგრილად და ადვილად
უარვყავით
მათი სამყარო,
სიკვდილის სამყარო...

გამოვტაცოთ დავიწყებას ჩვენი მემკვიდრეობა,
საუკუნეები, სავსე ტანჯვით და გლოვით,
ყველას მივაგოთ მისაგებელი
და
ვიცხოვროთ საკუთარი ცხოვრებით.

1905-1915 წლებში, არცთუ ისე მდიდარი მათემატიკური ცოდნით აღჭურვილმა ეინშტეინმა, სრულიად მარტომ, პირველსაწყისი ინტუიტიური მიგნებით, რომელმაც საფუძველი დაუდო ფარდობითობის თეორიას, შეძლო შეექმნა დროისა და სივრცის გრავიტაციის თეორია. თავის მხრივ, ამ თეორიამ გადამწყვეტი გავლენა იქონია ასტროფიზიკის განვითარებაზე. იმ დროს, როდესაც კოლექტიურ მეცნიერულ მუშაობაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, მარტოხელა კაცის ეს თამამი, სრულყოფილი, პრაქტიკულ სარგებლიანობას სავსებით მოკლებული და, ჰილბერტს თუ დავესესხებით, "ადამიანური გონების ღირსების დასტურად" აღსრულებული მცდელობა კანტორის ან გოტლობ ფრეგეს ნაშრომებს შეიძლება შევადაროთ. პირველმა ქმნადი უსასრულობის ტიპოლოგია შექმნა, მეორემ კი ძირფესვიანად გადაამუშავა ლოგიკის საფუძვლები. "Clifden Notes"-ის შესავალში ჰუბჩეიაკი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 2000-2009 წლებში ჯერზინსკის ინტელექტუალური მოღვაწეობა ეინშტეინის აღმოჩენის ტოლფასია. ეინშტეინის მსგავსად, ჯერზინსკიც არ იყო მათემატიკაში იმდენად განაფული, რომ ინტუიტიური მიგნებისთვის მყარი მეცნიერული დასაბუთება მოექძბნა.

2002 წელს გამოქვეყნებულ მის პირველ ნაშრომს "მეიოზის ტიპოლოგია" დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თერმოდინამიკის სფეროდან მოხმობილი უეჭველი მტკიცებულებების საფუძველზე, ავტორი ამტკიცებდა, რომ ქრომოსომული გაყოფა, რომელიც ჰაპლოიდური

გამეტების წარმოშობის მიზნით ხდება, საკუთარ თავში შეიცავს სტრუქტურული არასტაბილურობის მიზეზებს. სხვა სიტყვებით, სქესის მქონე ნებისმიერი ბიოლოგიური სახეობა მოკვდავია.

2004 წელს გამოცემულმა შრომამ "ჰილბერტის სივრცეებში ტოპოლოგიის სამი აღბათობა" მეცნიერები საგონებელში ჩააგდო. ნაშრომი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც კონტინუუმის დინამიკის უარყოფა და, პლატონიზმის უცნაური ობერტონების მონობით, ახალი ტოპოლოგიური აღგებრის დაფუძნების მცდელობა. პროფესიონალი მათემატიკოსები, რომლებიც აღიარებდნენ წარმოდგენილი დასკვნების მნიშვნელობას, ამავდროულად, ხაზგასმით აღნიშნავდნენ მეცნიერული სიზუსტის უკმარობას და გარკვეულ ანაქრონიზმს თვით საკითხისადმი მიმართებაში. ჰუბჩეი-აკი ეთანხმება ამ განაჩენს და იმასაც აღნიშნავს, რომ იმ დროისთვის, ჯერზინსკის ხელი არ მიუწვდებოდა უახლეს მათემატიკურ პუბლიკაციებზე, რომლებიც, სხვათა შორის, არცთუ ისე აინტერესებდა. ჩვენ ბევრს ვერას ვიტყვით მის მოღვაწეობაზე 2004-2007 წლებში. ის ხშირად სტუმრობდა გოლუეის ცენტრს, თუმცა, მთელი ამ ხნის განმავლობაში, სხვა მკვლევრებთან მისი ურთიერთობა ერთობლივი საქმიანობის საზღვრებს არ გასცილებია. ის თვით გაერკვა "Gray"-ის მუშაობაში და იშვიათად მიმართავდა დახმარებისთვის პროგრამისტებს. ასე რომ, უოლკოტი ერთადერთი იყო, ვისთანაც პირად ურთიერთობებს ინარჩუნებდა. უოლკოტი კლიფდენთან ახლოს ცხოვრობდა და ჯერზინსკის ხშირი სტუმარი იყო. მისი მტკიცებით, ჯერზინსკი საუბარში წამდაუნუმ ახსენებდა ოგიუსტ კონტს, განსაკუთრებით კლოტილდ დე ვოსადმი მინერილ წერილებს და "სუბიექტურ სინთეზს", ფილოსოფოსის უკანასკნელ, დაუმთავრებელ ნაშრომს. მეცნიერულ მეთოდოლოგიას რაც შეეხება, კონტი სამართლიანად ითვლება პოზიტივიზმის ფუძემდებლად: მას არაფრად უღირდა ნებისმიერი მეტაფიზიკა და თანამედროვეთა მიერ აღიარებული ონტოლოგია. ადვილად დასაშვებია, აღნიშნავდა ჯერზინსკი, რომ ოგიუსტ კონტი, იმავე სიტუაციაში მყოფი, რომელშიც 1924-1927 წლებში აღმოჩნდა ნილს ბორი, თავგამოდებით დაიცავდა შეურიგებელი პოზიტივიზმის პრინციპებს და "კოპენჰაგენის ჯგუფს" შეუერთდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ფრანგი ფილოსოფოსის შემართება, ინდივიდუა-

ლური ყოფიერების პირობითობასთან მიმართებაში სოციალური ფუნქციების რეალურობის დაცვა, ისტორიული პროცესებისადმი და საზოგადოებრივი აზრის განვითარებისადმი შეუნელებელი და მზარდი ინტერესები, ნებას გვრთავს, დავუშვათ, რომ ის მხარს დაუჭრდა ონტოლოგიური გარდაქმნის უახლეს გეგმას, რომელსაც საფუძველი გაუმაგრეს ზურეკის, ზეჰის და ჰარდქასთლის ნაშრომებმა. საქმე ეხება საგანთა ონტოლოგიის სოციალური ჯგუფების ონტოლოგიით შეცვლას. მხოლოდ ასეთ ონტოლოგიას ძალუძს, სახე უცვალოს ადამიანთა ურთიერთობებს და ერთხელ და სამუდამოდ ააღორძინოს მათი ხორცშესხმის შესაძლებლობა. "ეტატიზმურ" ონტოლოგიაში ნაწილაკების გარჩევა ძნელი საქმეა და ამიტომ, მათი დახასიათებისას, მხოლოდ "რიცხობრიობით" უნდა შემოვიფარგლოთ. ერთადერთი, რისი გამოყოფა და იდენტიფიკაციაც შეგვიძლია, ტალღოვანი ფუნქციები და მათი მეშვეობით განსაზღვრული მდგომარეობათა ვექტორებია. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს, ჭეშმარიტი აზრი შევძინოთ ძმობის, თანადგომის და სიყვარულის ცნებებს.

მიშელი და უოლკოტი ბალიკონილისკენ მიმავალ გზას მიუყვებოდნენ. ოკეანე მათ ფერხთით ციმციმებდა. შორს, ჰორიზონტზე, მზე ატლანტიკის ტალღებში იძირებოდა. უოლკოტი სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ აზროვნების ბუნდოვან, იდუმალ ბილიკებზე ჯერზინსკის გზა დაებნა. თავად კი, როგორც ყოველთვის, ახლაც რადიკალური ინსტრუმენტალიზმის მომხრე იყო და ანგლო-საქსონური პრაგმატიზმის ტრადიციებზე აღზრდილი, ვენის სკოლის სულისკვეთებით დაღდასმული, ეჭვის თვალთ უყურებდა კანტის მოძღვრებას, რომელიც ზედმეტად რომანტიკული ეჩვენებოდა. მატერიალიზმის სანინაალმდეგოდ, პოზიტივიზმს, რომელმაც ის შეცვალა, შეეძლო ახალი ჰუმანიზმის ფუძემდებელი გამხდარიყო (მატერიალიზმი შეუთავსებელია ჰუმანიზმთან, ამიტომ ბოლო მოუღო კიდევ). მაგრამ მატერიალიზმს ისტორიული ღირებულებაც გააჩნდა: ღმერთის უარყოფით, მან პირველი დაბრკოლება გადალახა. ადამიანებმა დაძლიეს ეს წინააღმდეგობა და განსაცდელისა და ეჭვის წინაშე აღმოჩნდნენ. დღეს მეორე დაბრკოლებაც უკან დარჩა. ეს კოპენჰაგენში მოხდა. ადამიანებს აღარც ღმერთი

სჭირდებათ და აღარც ზეგრძნობადი სინამდვილის რწმენა. "არსებობს ადამიანური აღქმა, ადამიანური სიცხადეები და ადამიანური გამოცდილება, - ამბობდა უოლკოტი, - არის გონება, რომელიც აერთიანებს ყოველივე ამას და არის გრძნობა, რომელიც ყოველივეს სულს შთაბერავს. ამაში მეტაფიზიკის და ონტოლოგიის ხელი არ ურევია. ჩვენ აღარ გვჭირდება ღმერთის, ბუნების ან სინამდვილის იდეები. ექსპერიმენტული მონაცემები გვიდასტურებენ, რომ მკვლევართა თანაარსებობაში, რაციონალური პიროვნებათშორისი თანხმობა სრულიად შესაძლებელია. ცდება შორის კავშირი მყარდება თეორიებით, რომლებიც შეძლებისდაგვარად ეკონომიური და უცილობლად საკამათო უნდა იყოს. არსებობს მხოლოდ აღქმული, განცდილი და ადამიანური სამყარო".

ჯერზინსკი კარგად აცნობიერებდა, რომ უოლკოტთან დავა გაუჭირდებოდა. მართლაც და, ონტოლოგიის აუცილებლობის მტკიცება ადამიანის გონების საყმანვილო სენია და სხვა არაფერი. 2005 წლის ბოლოს, დუბლინში, ჯერზინსკის ხელთ მოხვდა "კელტების წიგნი". ჰუბჩეიკს ეჭვი არ ეპარება, რომ ამ დასურათხატებულმა, გაუგონარი სირთულის ხელნაწერმა, რომელიც, სავარაუდოდ, VII საუკუნეში მოღვაწე ირლანდიელი ბერების შემოქმედება უნდა ყოფილიყო, ჯერზინსკის აზროვნებაში ძირეული გარდატეხა მოახდინა. ნანარმოებში ჩალრმავებამ და კირკიტმა მას საშუალება მისცა, ერთი მხრივ, მიეგნო ინტუიტიური აღმოჩენებისათვის, რომლებიც დღეს სასწაულებრივად გვეჩვენება, მეორე მხრივ, დაეძლია ბიოლოგიური მაკრომოლეკულების წიაღში ენერგეტიკული წონასწორობის გამოთვლის სირთულეები. შეიძლება, ბევრში არ დაეთანხმო ჰუბჩეიკს, მაგრამ ერთი ცხადია: "კელტების წიგნი", საუკუნეების მანძილზე, მუდამ ინვევდა კომენტატორთა ეგზალტირებულ აღტაცებას. აი, მაგალითად, რას წერდა ჯირალდუს კამბრენსისი 1185 წელს:

"ეს წიგნი, წმინდა იერონიმუსის ტექსტის მიხედვით, ადგენს და ახსნას უძებნის ოთხი სახარების შინაგან თანხვედომებს. თითოეული გვერდი დიდებული ფერადი სურათითაა შემკული. შევიძლიათ იხილოთ სასწაულებრივად გამოხატული სახე ღვთიური სიდიადისა, სახარების ავტორების წარმოსახვით შექმნილი ორი, ოთხი ან ექვსფრთიანი მისტიური ცხოველები: არწივი, ხარი, ადა-

მიანი, ლომი და კიდევ უამრავი სურათი. თვალის ერთი შეველებ-
ნით, გაუწაფავი ხელით ნაცოდვილარი მოგეჩვენებათ, მაგრამ ყუ-
რადლებით თუ დააკვირდებით და ხელოვნების საიდუმლოს ამოც-
ნობას შეეცდებით, ერთმანეთში ჩაწნულ ისეთ სიფაქიზეს, დახვე-
წილობას და სირთულეს აღმოაჩინოთ, ისეთ ელვარე და ქორფა ფე-
რებს იხილავთ, რომ წიგნი ადამიანის კი არა, ანგელოზების ნახე-
ლავი გეგონებათ."

ჰუბჩეიას იმაშიც შეიძლება დავეთანხმოთ, რომ თუნდაც წმი-
ნდა აქსიომატური ფორმით წარმოდგენილი და ლოგიკურად უზა-
დო ყოველი ახალი ფილოსოფია, აუცილებლად, სამყაროს ვიზუა-
ლური აღქმის ახალ კონცეფციას უკავშირდება. ჯერზინსკიმ კა-
ცობრიობას უკვდავება არუქა და ამით, დროის ფენომენისადმი
მიდგომა ძირფესვიანად შეცვალა. მაგრამ, და აქ კიდევ ერთხელ
დავიმონმებთ ჰუბჩეიას, მისი უდიდესი დამსახურება ის გახლ-
ავთ, რომ მან სათავე დაუდო სივრცის ახალ ფილოსოფიას. მსგა-
ვსად ტიბეტური ბუდიზმისა, რომლისთვის სამყაროს ხატი განუ-
ყოფელია მანდალას მიერ შემოთავაზებული უსასრულო წრიული
ხაზების ხანგრძლივი ჭვრეტისაგან, მსგავსად იმისა, რომ საბერძ-
ნეთის კუნძულებზე, აგვისტოს ნაშუადღევს, თეთრ ლოდებზე არ-
ეკლილი მზის სხივის ხილვისას, შეგვიძლია ჩავწვდეთ დემოკრიტ-
ეს აზრს, ჯერზინსკის მოძღვრების უფრო ადვილად გასაგებად
უნდა ჩავუღრმავდეთ ჯვრებისა და სპირალების უსასრულო არქი-
ტექტურას, რომელიც ესოდენ თვალსაჩინოდაა წარმოჩენილი "კე-
ლტების წიგნში" ან კიდევ ერთხელ გადავიკითხოთ "Clifden
Notes"-ში დაბეჭდილი, სწორედ ამ ხელნაწერის შთაგონებით შექ-
მნილი "მედიტაციები გადახლართვათა თაობაზე".

"ბუნების ფორმები, - წერს ჯერზინსკი, - ადამიანური ფორმე-
ბია. ჩვენს ტვინში იშვება სამკუთხედები და განტოლებანი. ჩვენ
მათ ვცნობთ, შეფასებას ვაძლევთ, მათ გარემოცვაში ვარსებობთ.
გარს გვარტყია ჩვენს მიერ შექმნილი ნაცნობი, გაშინაურებული
საგნები; მათ წიაღში ვარსებობთ და ვკვდებით. ადამიანურ სივრ-
ცეში ვახდენთ გამოთვლებს და შემდეგ, მათ საფუძველზე,
ვქმნით საგნებს შორის არსებულ სივრცეს.

განუვითარებელ გონებას აშინებს სივრცის ცნება. ის მისთვის არის რალაც უზარმაზარი, ლამეული, ხახადაღებული. არსებანიც ბურთულების მაგვარნი არიან, სივრცით დაშორიშორებულნი და სამი განზომილების სიმძიმით წელმოხრილნი. სივრცის ცნებით დაზაფრული ადამიანები კანკალს აუტანია, მათ სცივათ და ეშინიათ. უკეთეს შემთხვევაში, ისინი კვეთენ სივრცეს და ერთმანეთს სევდიანად ესალმებიან. მაგრამ სივრცე თვით მათშია, რადგან მათივე ცნობიერებიდან იშვა.

ამ საშიშ სივრცეში, ადამიანები სწავლობენ სიცოცხლეს და სიკვდილს. მათი ცნობიერების სივრცეში წარმოჩნდება განშორება, განკერძოება და ტკივილი. ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება: შეყვარებულს სატრფოს ხმა, დედას კი ჩვილის ძახილი, ქვეყნის ერთი ბოლოდან მეორეში ესმის. სიყვარული მარადიული კავშირია, განშორება კი ბოროტება და სიცრუე. სინამდვილეში, ზღაპრულად მშვენიერი და უზარმაზარი ურთიერთკავშირის გარდა, ამქვეყნად, სხვა არაფერი არსებობს”.

ჰუბჩეიაკი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ჯერზინსკის ყველაზე დიდი დამსახურება, მის მიერ ინდივიდუალური თავისუფლების კონცეფციის უარყოფა კი არ არის (ამ დროისთვის ეს იდეა აშკარად გაუფასურდა და ადამიანები, გულის სიღრმეში მაინც, ეთანხმებოდნენ იმ აზრს, რომ კაცობრიობის პროგრესს ის არაფრად წაადგებოდა), არამედ ის, რომ მან, კვანტური მექანიკის წანამძღვრების ერთობ თამამი ინტერპრეტაციის (ესეც აღნიშვნის ღირსია) დახმარებით, სიყვარულის შესაძლებლობის პირობების აღორძინება შეძლო. აქ, უპრიანია, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ანაბელი: სწორედ მისი წყალობით შექმნა ჯერზინსკიმ მის მიერ განუცდელი სიყვარულის ხატება. ის მიხვდა, რომ გარკვეული აზრით, ჯერ კიდევ უცნობ პირობებში, სიყვარულის არსებობა ადვილად დასაშვებია. სწორედ სიყვარულის სახელით წარმართავდა ჯერზინსკი უკანასკნელი თვეების თეორიულ კვლევა-ძიებებს, რომლებზეც ერთობ მწირი წარმოდგენა გვაქვს.

ისინი, ვისაც შესაძლებლობა ჰქონდათ, ირლანდიაში შეხვედროდნენ ჯერზინსკის, ამტკიცებენ, რომ სიცოცხლის ბოლოს მეც-

ნიერის სულს სიმშვიდე მოეფინა. მუდამ მოძრავი, მოუსვენარი სახე დაუნყარდა. საათობით უმიზნოდ დაეხეტებოდა Sky Road-ზე და ოცნებებს თავმინებებულს, ერთადერთ თანამგზავრად ზეცა ჰყავდა. დასავლეთისკენ მიმავალი გზა ხან გორაკებისკენ უხვევდა, ხან ვაკეს მიუყვებოდა. მზის გულზე მოლაპლაპე ზღვა შორეულ კლდოვან კუნძულებს ათინათებს სტყორცნიდა. ღრუბლების ელვარე გუნდს ქარი ჰორიზონტისკენ ერეკებოდა. ჯერზინსკი მუხლჩაუხრელი მიუყვებოდა გზას. სახეზე შედედებული ნისლის სისველეს გრძნობდა. იცოდა, რომ გასაკეთებელი გააკეთა, საქმე გაასრულა. სამუშაო ოთახში, რომლის ფანჯარა ერისლანანის კონცხს გაჰყურებდა, თავისი ადგილი მიუჩინა წინასწარ გადარჩეულ, ასობით სხვადასხვა ჩანანერს. მრავალწლიანი სამეცნიერო მუშაობის შედეგების აღწერამ 80 ნაბეჭდი ფურცელი შეადგინა; მკითხველისთვის ანგარიშის ჩაბარება და ამისთვის წვრილმანებზე დროის ხარჯვა არ ისურვა.

2009 წლის 27 მარტს, ნაშუადღევს, გოლუეის მთავარ ფოსტაში მივიდა და ნაშრომების კრებულის პირველი ეგზემპლარი პარიზში, მეცნიერებათა აკადემიაში, მეორე კი დიდ ბრიტანეთში, ჟურნალ "Nature"-ში გადააგზავნა. იქიდან სად წავიდა ან რა მოიმოქმედა, არვინ უწყის. ის ფაქტი, რომ მისი მანქანა ოგრუს-პოინტის სიახლოვეს იპოვეს, რა თქმა უნდა, თვითმკვლევლობის დაშვების საფუძველს იძლევა; მით უმეტეს, რომ ასეთი დასასრული არც უოლკოტს და არც სხვა თანამშრომლებს არ გაჰკვირვებიათ. "უზომო ნალველს მალავდა, - ტკივილით ყვებოდა უოლკოტი, - მგონი, მასზე სევდიანს ამქვეყნად არვის შევხვედრივარ. არა, სევდა და ნალველი, ამ შემთხვევაში, არაფერ შუაშია: მის არსებაში თითქოს რაღაც მოიშალა, დაიმსხვრა, გაცამტვერდა. მუდამ ვეჭვობდი, რომ არსებობა მძიმე ტვირთად ექცა და სიცოცხლესთან აღარაფერი აკავშირებდა. ვფიქრობ, საქმის დასრულება ეწადა და ამიტომაც აყოვნებდა. ვერც ერთი ჩვენგანი ვერ წარმოიდგენდა, რა ფასად უჯდებოდა ეს ძალისხმევა".

ასეა თუ ისე, ჯერზინსკის გაუჩინარების საიდუმლოებამ და იმან, რომ მის სხეულს თითქოს მინამ უყო პირი, დასაბამი მისცა ლეგენდას, რომლის თანახმად, მან ვითომდა აზიას, კერძოდ, ტიბეტს შეაფარა თავი, იმ მიზნით, რომ საკუთარი მეცნიერული

კვლევის შედეგების სიზუსტე ბუდიზმის ტრადიციული დებულებებით გამოეცადა. დღეს ამ აზრს არაეინ იზიარებს. ჯერ ერთი, მისი გვარი თვითმფრინავის მგზავრთა სიაში ვერ ნახეს, მეორეც, ნახაზები, რომლითაც ჯიბის ნიგნაკის ბოლო ფურცლები იყო აჭრელებული და რომლებიც, ერთხანობა, მანდალებად მიიჩნიეს, საბოლოო ჯამში, "Book of Kells"-ში თავმოყრილი სიმბოლოების გრაფიკული ჩანახატები აღმოჩნდა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩვენ იმ აზრს ვადგავართ, რომ ჯერზინსკი ირლანდიაში გარდაიცვალა, იქ, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი წლების გატარება ისურვა. იმასაც ვფიქრობთ, რომ საქმის დასრულების შემდეგ, უკანასკნელი ადამიანური კავშირებიც განწყვიტა და სიკვდილი ირჩია. ბევრი რამ მეტყველებს იმაზე, რომ პირველი ნახვისთანავე მოაჯადოვა ნაზმა, მთრთოლვარე ნათელით მუდმივად განბანილმა დასავლეთ ევროპის ამ უკიდურესმა წერტილმა, ველურმა ბუნებამ, რომლის წიაღში ხეტიალი ასე უყვარდა და სადაც, როგორც წერდა, "ცა, სინათლე და წყალი ერთურთს ერწყმის". ჩვენი ღრმა რწმენით, ჯერზინსკიმ ზღვაში შეაბიჯა...

ეპილოგი

ჩვენ ამ წიგნის გმირების ცხოვრების, გარეგნობისა და ხასიათის ბევრი წვრილმანი შევიტყვეთ. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, წიგნი მხოლოდ გამონაგონია, აქა-იქ გაბნეული მოგონებების მეტ-ნაკლებად სანდო აღწერაა და არა სინამდვილის ერთსახოვანი და ჭეშმარიტი ხატი. მართალია, "კლიფდენურმა ჩანაწერებმა" - მოგონებების, პირადი შთაბეჭდილებების და 2000-2009 წლებში თავის ცნობილ თეორიაზე მუშაობისას გაკეთებული ჩანაწერების რთულმა ნაზავმა ნათელი მოჰფინა მისი ცხოვრების მოვლენებს, ეჭვებს, წინააღმდეგობებსა და დრამას, რომლებმაც მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ხედვა განაპირობეს, მაგრამ მის ბიოგრაფიაში, ისევე, როგორც მის პიროვნებაში, ბევრი ბნელი წერტილი რჩება. რაც შემდეგ მოხდა, ისტორიის კუთვნილებაა და ის მოვლენები, რომლებიც ჯერზინსკის ნაშრომების გამოქვეყნებას მოჰყვა, იმდენჯერ იქნა ახსნილი, განმარტებული და გადამღერებული, რომ ჩვენ მოკლე მონახაზის მეტი არა დაგვრჩენია რა.

2009 წელს "Nature"-ის სპეციალურ გამოცემაში დაბეჭდილი, ოთხმოცგვერდიანი წერილი "სრულყოფილი აპლიკაციის პროლეგომენები", რომელიც ჯერზინსკის უკანასკნელ ნაშრომებს მიმოიხილავდა, მსოფლიო სამეცნიერო წრეებს მეხივით დაატყდა თავს. ჯერზინსკის ცდების გამეორებას და მისი გამოთვლების წვრილმანებში გარკვევას ასობით ბიოლოგი ცდილობდა. რამდენიმე თვის შემდეგ, პირველმა შედეგებმაც თავი იჩინა, რასაც, კვალდაკვალ, სხვა აღმოჩენებიც მოჰყვა. ისინი ზედმინვნით ადასტურებენ ამოსავალი დებულებების ჭეშმარიტებას. 2009 წლის ბოლოს, ეჭვის ნატამალიც აღარ დარჩა; ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ჯერზინსკის დასკვნე-

ბი მეცნიერულად დასაბუთებული იყო. პრაქტიკული შედეგები თავბრუდამხვევი და მოულოდნელი აღმოჩნდა: ნებისმიერი, თვით ურთულესი გენეტიკური კოდი შეიძლება გადაინეროს სტანდარტული, სტრუქტურულად განონასწორებული, მუტაციებისა და გადახრებისთვის მიუწვდომელი ფორმით. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ უსასრულო რეპლიკაციის, ანუ კვლავნარმოების უნარს, ნებისმიერი უჯრედი ფლობს. განვითარების ნებისმიერ საფეხურზე, ყოველი ცოცხალი არსება შეიძლება გარდაიქმნას თავის მსგავსად, რომელიც კლონირებით გამრავლდება და უკვდავებას შეიძენს.

ოცდაშვიდი წლის ჰუბჩეიაკი კემბრიჯის უნივერსიტეტში სადოქტორო თემას ამუშავებდა, როდესაც, პლანეტის სხვადასხვა კუთხეში გაბნეულ ამდენ ასეულ მეცნიერთა მსგავსად, ჯერზინსკის შრომები აღმოაჩინა. მუდამ ახლის მაძიებელი, მოუსვენარი გონების, დაუდგრომელი ახალგაზრდა კაცი, წლების განმავლობაში ევროპას გარდიგარდმო სერავდა, სხვადასხვა ქალაქის (პრალის, გოტინგენის, მონპელიეს, ვენის) უნივერსიტეტებში სწავლობდა და, მისი სიტყვებით, "ახალ პარადიგმას და კიდევ სხვა რალაცას ეძებდა: არა მხოლოდ ახლებურ ჭვრეტას, არამედ სამყაროსადმი ახალ მიმართებას და ახალი კავშირების დამყარებას". ასეა თუ ისე, ჯერზინსკის შრომებიდან გამომდინარე, სწორედ ის გახდა ამ უკიდურესად მწვავე შინაარსის ჰიპოთეზის პირველი და, მრავალი წლის მანძილზე, ერთადერთი ერთგული დამცველი: კაცობრიობა უნდა გაქრეს, რათა ადგილი დაუთმოს ახალ, უსქესო და უკვდავ სახეობას და ამით, ერთხელ და სამუდამოდ დაასამაროს ინდივიდუალურობის, გათიშულობის და თვით მომავლის ცნებები.

გეგმამ რელიგიური მოღვაწეების აღშფოთება გამოიწვია: იუდაიზმმა, ქრისტიანობამ და ისლამმა ანათემას გადასცეს "ადამიანის ღირსების, ანუ შემოქმედთან მისი კავშირის დასტურის" შეურაცხმყოფელი ნაშრომები. მხოლოდ ბუდისტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ საბოლოო ჯამში, ბუდას მსჯელობის ამოსავალი წერტილი სამი ბოროტების გაცნობიერებაა: სიბერე, ავადმყოფობა და სიკვდილი. შემოქმედების გვირგვინმა, რომლის მთავარი მოვალეობა აზროვნება და განსჯაა, იმთავითვე არ უნდა უკუაგდოს ამ პრობლემების ტექნიკური საშუალებებით გადაწყვეტის შესაძლებლობა. ასე

და ამრიგად, ჰუბჩიაკი ოფიციალური რელიგიური კონფესიების მხარდაჭერის იმედად ვერ დარჩებოდა. უფრო საოცარი ის იყო, რომ მას ჰუმანისტური ღირებულებების თავგადაკლულმა დამცველებმა აც უგანეს. დღეს, როდესაც ასე ძნელი გვეჩვენება ისეთი ცნებების მთელი სიგრძე-სიგანით გააზრება, როგორცაა "პიროვნების თავისუფლება", "პროგრესი", "ადამიანური ღირსება", ნუ დავივიწყებთ, რომ მატერიალისტურ ეპოქაში (ე.ი. დროის იმ მონაკვეთში, რომელიც ჯერზინსკის ნაშრომებს შუასაუკუნეობრივი ქრისტიანობის მარცხს აშორებს) ადამიანის ცნობიერებაში ამ ღირებულებებს რი-დითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ, თუმც კი თანმდევი ბუნდო-ვანება და პირობითობა მათ საშუალებას არ აძლევდა, რაიმე გავ-ლენა მოეხდინათ საზოგადოების განვითარებაზე. სწორედ ამიტომ, ადამიანის ისტორია ჩვენი წელთაღრიცხვის XV საუკუნიდან XX სა-უკუნემდე, დაცემისა და ხრწნის ეპოქად შეიძლება მივიჩნიოთ; მაგ-რამ ისიც უნდა ითქვას, რომ განსწავლული და ნაკლებად განსწავ-ლული სოციალური წრეების წარმომადგენლები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ამ ცნებების ასპარეზზე გამოსვლას, ისეთი გამორჩეული თავგამოდებით იცავდნენ მათ, რომ ფრედერიკ ჰუბჩიაკმა, პირველ წლებში მაინც, ძალისხმევის უკიდურესი დაძაბვით მიაღწია, მიენ-დინა ხმა საზოგადოების ყურთასმენამდე.

რამდენიმე წელი, მორწმუნეთა საყოველთაო სიძულვილით და-წყებული და იუნესკოსგან დაფინანსებით დამთავრებული, ჰუბჩია-კმა საზოგადოების მიერ საკუთარი ნამოღვაწარის აღიარებას შეა-ლია. ამ ბრძოლაში, ახალგაზრდა მეცნიერმა ახალი იდეების პროპა-განდისტის არაჩვეულებრივი ნიჭი და შესაშური გამჭრიახობა გამო-ავლინა. დიდი მეცნიერი არ ეთქმოდა, მაგრამ ერთობ მარჯვედ გა-მოიყენა ის ვეებერთელა ავტორიტეტი, რომლითაც ჯერზინსკის სა-ხელი და ნაშრომები სარგებლობდა მსოფლიო სამეცნიერო წრეებში. თვითმყოფადი და ღრმა ფილოსოფოსისა არაფერი ეცხო, მაგრამ ის მაინც მოახერხა, რომ "გადახლართვების მედიტაციებისა" და "კლი-ფდენური ჩანაწერების" წინასიტყვაობებში, ჯერზინსკის აზრებსა და მსჯელობებს ფართე მკითხველისთვის მისაწვდომი ახსნა-განმა-რტებანი მოუძებნა. მისი პირველი წერილი "მიშელ ჯერზინსკი და კოპენჰაგენის ჯგუფი", სათაურის მიუხედავად, პარმენიდეს დებუ-ლების "აზროვნების აქტი და საგანი ერთი და იგივეა" განმარტებას

ისახავს მიზნად. მომდევნო წერილში "კონკრეტული შეზღუდულობის შესახებ", ისევე, როგორც პრეტენზიულად დასათაურებულ, მცირე ზომის "რეალობა"-ში, ის შეეცადა ვენის წრის ლოგიკური პოზიტივიზმისთვის ოგიუსტ კონტის რელიგიური პოზიტივიზმი მოერგო, თუმცა, შიგადაშიგ, ლირიკულ გადახვევებსაც არ იშურებდა, რაზეც აშკარად მიანიშნებს ქვემოთ მოყვანილი ამონარიდი: "არ არსებობს უსასრულო სივრცეთა მარადიული დუმილი, რამეთუ, სინამდვილეში, არ არსებობს სივრცე და არ არსებობს სიცარიელე. ადამიანური სამყარო, რომელსაც შევიმცნებთ და რომელიც თვითვე შევქმენით, ქალის ძუძუსავით მრგვალი, პრიალა, ერთგვაროვანი და თბილია". მან შეძლო მკითხველთა მზარდი მასისთვის შთაეგონებინა ის აზრი, რომ კაცობრიობას, მისი განვითარების მოცემულ სტადიაზე, ხელეწიფებოდა, სურვილისამებრ წარემართა არა მხოლოდ სამყაროს, არამედ საკუთარი ბიოლოგიური ევოლუციაც. ამ ბრძოლაში, ჰუბჩეიაკს მხარში ამოუდგნენ ნეოკანტიანელები, რომლებმაც ნიცშეს იდეების გავლენის შესუსტებით ისარგებლეს და ინტელექტუალური, საუნივერსიტეტო და საგამომცემლო სფეროების მმართველ მექანიზმებს დაეპატრონენ.

საერთო აზრით, ჰუბჩეიაკის გენიის ქეშმარიტი ღირსება აშკარად წარმოჩნდა მაშინ, როდესაც მან, საკუთარი თეზისების გასამაგრებლად, შეძლო თავის სასარგებლოდ შემოეტრიალებინა XX საუკუნის ბუნდოვანი და კანონგარეშე შობილი ე.წ. New Age-ის იდეოლოგია. თანამედროვეთა შორის, მან პირველმა აღმოაჩინა, რომ ერთი შეხედვით სასაცილო, ურთიერთგამომრიცხავი და ყავლგასული ცრურწმენებით გაჯერებული "New Age" ეპასუხებოდა სინამდვილეში არსებულ შფოთსა და ნუხილს, რომელიც ადამიანების ფსიქოლოგიურ, ონტოლოგიურ და სოციალურ გაუცხოებაში იღებდა სათავეს. ტრადიციონალისტური აზროვნებისათვის მიმზიდველი, ფუნდამენტური ეკოლოგიისა და ჰიპების მოძრაობისგან ნასესხები "საკრალურის" საზიზლარი ნაზავის მიუხედავად, "New Age" დაუფარავად ამჟღავნებდა XX საუკუნის იმორალიზმთან, ინდივიდუალიზმთან, ანარქისტულ და ანტისოციალურ ასპექტებთან ყოველგვარი კავშირის განწყვეტის ნებას. "New Age"-ის კაშმანმოსილი ცნობიერება ამტკიცებდა, რომ რელიგიის გამაერთიანებელი ღვანლის გარეშე, ვერც ერთი საზოგადოება ვერ იქნება სიცოცხლისუნარიანი. სინამ-

დვილეში, ეს სხვა არა იყო, თუ არა პარადიგმის შეცვლის ჯიუტი მოთხოვნა.

ჰუბჩეიკს სხვებზე კარგად ესმოდა კომპრომიზების აუცილებლობა, ამიტომაც იყო, რომ 2011 წელს მის მიერ შექმნილ "ადამიანური პოტენციალის მოძრაობას" საფუძვლად დაედო "New Age"-გან ნასესხები რამდენიმე წანამძღვარი, "გაიას ტვინის ქერქის აგებულებიდან" დაწყებული, ცნობილ შედარებამდე: 10 მილიარდი ინდივიდი პლანეტაზე - 10 მილიარდი ნეირონი ადამიანის ტვინში", პლანეტური მთავრობის შექმნის მონოდებიდან, თითქმის სარეკლამო დევიზამდე: "ხპალინდელი დღე მდღღრობითი სქმისის იძნეპა". ეს იმდენად მარჯვედ გააკეთა, ყოველგვარი ირაციონალური თუ სექტანტური გადახრების გარეშე, რომ კომენტატორების ალტაცება გამოიწვია და მეცნიერთა გულის მოგებასთან ერთად, მათი თანადგომაც გაინაღდა.

ხშირად, კაცობრიობის ისტორიის მკვლევარნი, თვალშისაცემი ცინიზმით მოიხსენიებენ "მოხერხებულობას", როგორც წარმატების საწინდარს, თუმც, მყარი რწმენის გარეშე, ადამიანური თვისება უძლურია, მოახდინოს გადამწყვეტი ცვლილებები. ყველა, ვინც კი ჰუბჩეიკს შეხვედრია ან მასთან უკამათია, ერთხმად აღნიშნავს მის პირად მომხიბვლელობას, მოწინააღმდეგეთა დარწმუნების უნარს და ერთდროულად, ღრმა უბრალოებიდან თუ თვითდაჯერებულობიდან მომდინარე ქარიზმას. ნებისმიერ ვითარებაში ის თითქმის სიტყვასიტყვით ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა და საგრძნობლად აცბუნებდა დრომოჭმული იდეოლოგიის არტახებში გაჭედულ მეტოქეებს. ერთ-ერთი პირველი საყვედური, რომელსაც მისი გეგმა ინვევდა, იყო ის, რომ მისი განხორციელება ადამიანის იდენტურობისთვის ესოდენ აუცილებელი სექსუალური სხვაობის სრულ მოსპობას გამოიწვევდა. ამაზე ჰუბჩეიკი პასუხობდა, რომ საქმე კაცობრიობის ნიშან-თვისებების გარკვეული ნაწილის უარყოფას კი არ ეხებოდა, არამედ, ახალი გონიერი არსების შექმნას და რომ სქესის, როგორც გამრავლების წინაპირობის მოშობა სრულიად არ გულისხმობდა სექსუალურ ტკობაზე უარის თქმას. მეცნიერებმა ის-ის იყო გამოყვეს ღწმ-ს კოდირებული სეგმენტები, რომლებიც, ემბროგენეზის დროს, კრაუზეს კორპუსკულებს ქმნიან. ადამიანის განვითარების მოცემულ სტადიაზე, კლიტორზე და მამაკაცის ასოს თავზე,

კორპუსკულების მცირე რაოდენობაა განფენილი. მომავალში შესაძლებელი გახდება მათი რიცხვის ზრდა და კანზე მათი განვრცობა, რაც, სიამოვნებათა ეკონომიის პირობებში, სექსუალურ ტკობას აქამდე არნახულ, ენით აუნერელ ეროტიკულ სიმძაფრეს შესძენს.

უფრო გამჭრიახი განმქიქებელნი ამტიციებდნენ, რომ ჯერზინსკის მოდელის მიხედვით შექმნილი ახალი სახეობის ყველა ინდივიდი ერთი და იგივე გენეტიკური კოდის მატარებლად მოგვევლინება, რაც ადამიანური პიროვნების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის პირნიმინდად გაქრობის ტოლფასი იქნება. ჰუბჩეიაკი ჯიუტად იცავდა თავს და ამტიციებდა, რომ თანდაყოლილი ინდივიდუალურობა, რომლითაც, ტრაგიკული შეცდომის გამო, ესოდენ ვამაყობთ, სინამდვილეში, ჩვენი უბედურების თავი და თავია. ადამიანური პიროვნების გადაშენების საშიშროების იდეას ჰუბჩეიაკი უპირისპირებდა ერთკვერცხიანი ტყუპების კონკრეტულ და თვალსაჩინო მაგალითს, რომლებიც, იდენტური გენოტიპის მიუხედავად, საკუთარ პიროვნულობას პირადი ცხოვრების გარემოებათა კვალობაზე განავითარებენ, მაგრამ, ამასთან ერთად, ძმობის იდუმალ კავშირებსაც ინარჩუნებენ, სწორედ იმ ძმობისა, რომელიც მომავალში შერიგებული კაცობრიობის აღორძინების უპირველესი საყრდენი გახდება.

ჰუბჩეიაკი არ თვალთმაქცობდა, როდესაც ჯერზინსკის თავმდაბალ მიმდევრად და მისი ანდერძის აღმსრულებლად აცხადებდა თავს, მონაფედ, რომლის ერთადერთი მიზანი ძვირფასი მასწავლებლის ნააზრევის ხორცშესხმა იყო. ამას ადასტურებს "კლიფდენური ჩანანერების" 342-ე გვერდზე, ჯერზინსკის მიერ გამოთქმული უცნაური მოსაზრების მოკრძალებული დაცვა: ახალი სახეობის ინდივიდთა რიცხვი, წინამორბედთა რიცხვს არ უნდა აღემატებოდეს. ამრიგად, თავდაპირველად შეიქმნება ერთი არსება, მერე ორი, მერე სამი, ხუთი... და ასე შემდეგ, პირველსაწყის რაოდენობამდე. მიზანი კი იმაში მდგომარეობდა, რომ შენარჩუნებული ყოფილიყო ინდივიდთა ის რიცხობრივი რაოდენობა, რომელიც იყოფა მხოლოდ საკუთარ თავზე და ერთზე და ამით ყურადღება გამახვილებულიყო იმ საშიშროებაზე, რომელიც საზოგადოების დამოუკიდებელ ნაწილებად დაყოფაში იმალებოდა. ისიც აღნიშვნის ღირსია, რომ ჰუბჩეიაკმა ეს პირობა გლობალური ამოცანების რიგს მიაკუთვნა ისე, რომ კონკრეტული ახსნა-განმარტებისთვის თავი არ შეუწუხებია. პრობ-

ლემის უფრო ფართე განხილვისას, ცხადი ხდება, რომ ჯერზინსკის ნამოღვანარის წმინდა პოზიტივისტურმა გაგებამ ჰუმბერიაკი აიძულა, ნაკლები ყურადღება მიექცია მეტაფიზიკური გადატრიალებისთვის, რომელიც მუდამ თან ახლავს კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტო, არნახული სიღრმის ბიოლოგიურ მუტაციას.

მაგრამ გეგმის ფილოსოფიური ასპექტის და საერთოდ, ფილოსოფიური აზრის უხეშმა უგულებელყოფამ, ხელი ვერ შეუშალა და ვერც შეანელა დასახული მიზნის განხორციელება. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ დასავლურ საზოგადოებაში, ისევე, როგორც მის მენინავე ნაწილში, რომელსაც "New Age"-ის მოძრაობა მოიცავდა, მტკიცედ მოიკიდა ფეხი იმ აზრმა, რომ ფუნდამენტური მუტაცია კაცობრიობის გადარჩენის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. სწორედ ეს მუტაცია შესძენდა ახალ სიცოცხლეს ისეთ ცნებებს, როგორცაა "კოლექტივიზმი", "ერთგულება" და "სინმინდე". ამასთან ერთად, სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ ფილოსოფიური საკითხები საზოგადოებას ძველებურად აღარ აღელვებდა. ათწლეულობით გაუცნობიერებელი პატივისცემისა და საფუძველს მოკლებული აღფრთოვანების შემდეგ, ფუკოს, ლაკანის, დერიდასა და დელიოზის ნაშრომების საყოველთაო განქიქებამ არათუ შეუძლებელი გახადა ახალი ფილოსოფიური დოქტრინის დაბადება, არამედ, საბოლოოდ აყარა პატივი იმ ინტელექტუალებს, რომლებიც საკუთარ თავს "ჰუმანისტებს" უწოდებდნენ. ცხადი გახდა, რომ აზროვნების ნებისმიერ სფეროში, ზუსტ მეცნიერებათა წარმომადგენლების აღზევებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა. თვით ის წინააღმდეგობრივი, მერყევი და ცბიერი ინტერესი, რომელსაც New Age-ს მიმდევარნი დროდადრო იჩენდნენ, თითქოსდა "უძველესი სულიერების ტრადიციებიდან" მომდინარე ამა თუ იმ რწმენისადმი, სინამდვილეში, ლამის შიზოფრენიად ქცეულ მტკივნეულ ნუხილს და შფოთს მიანიშნებდა. საზოგადოების სხვა წევრების მსგავსად და შეიძლება, უფრო მეტადაც, ისინი მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს უცხადებდნენ ნდობას და ჭეშმარიტების ერთადერთ კრიტერიუმად სწორედ მათ მიიჩნევდნენ. გულის სიღრმეში, მათ სწამდათ, რომ ნებისმიერი ფსიქოლოგიური, სოციალური, ერთი სიტყვით, წმინდა ადამიანური პრობლემების გადაწყვეტის გასაღებს მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერები ფლობდნენ, ასე რომ, ჰუმბერიაკს თავი ქუდში ჰქონდა,

როდესაც 2013 წელს საჯაროდ გაახმოვანა ცნობილი დევიზი, რომელსაც საზოგადოებრივი აზრის ძირეული გარდატეხა უნდა მოეხდინა და რომელიც, თავისი მნიშვნელობით, მართლაც რომ პლანეტური გახლდათ: "ცვლილება გონებას არ შეეხება, სახეს იცვლის გენი".

იუნესკომ პირველი კრედიტები 2021 წელს გამოჰყო და მეცნიერთა ჯგუფმა, ჰუბჩეიაკის ხელმძღვანელობით, მისვე საქმეს მოჰკიდა ხელი. მართალი რომ ითქვას, ჰუბჩეიაკმა, როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელმა, თავი ვერაფრით გამოიჩინა, სამაგიეროდ, საზოგადოებრივ ურთიერთობებს რაც შეეხება, აქ ბადალი არ მოეძებნებოდა. შედეგმაც არ დაახანა; მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ ავსტრალიის, ბრაზილიის, კანადისა თუ იაპონიის ლაბორატორიებში, "ადამიანური პოტენციალის მოძრაობის" მიმდევარი ბევრი მკვლევარი არ დაელოდა იუნესკოს "მწვანე შუქს" და ჰუბჩეიაკის ჯგუფზე გაცილებით ადრე შეეხა საქმეს.

ადამიანის მიერ "ხატად თვისად" შექმნილი პირველი არსება, ახალი მოაზროვნე რასის პირველი წარმომადგენელი, 2029 წლის 27 მარტს, მიშელ ჯერზინსკის გარდაცვალებიდან ზუსტად 20 წლისთავეზე მოველინა სამყაროს. მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ჯგუფში ერთი ფრანგიც არ იყო, ჯერზინსკის ხსოვნისთვის პატივის მისაგებად, სინთეზი პალეზოს მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტში ჩატარდა. მოვლენის ადგილიდან პირდაპირმა სატელევიზიო გადაცემამ გაცილებით მეტი ხმაური გამოიწვია, ვიდრე 60 წლის წინ, მთვარის ზედაპირზე გადადგმულმა პირველმა ნაბიჯმა. ჰუბჩეიაკმა მოკლე შესავალი სიტყვა წარმოთქვა და მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით განაცხადა, რომ კაცობრიობას სიამაყის საფუძველი მიეცა, რადგან "ჩვენთვის ცნობილ ცხოველურ სამყაროში, ის გახლავთ პირველი სახეობა, რომელმაც თვითმოშობის და საკუთარი თავის სხვა სახეობით შენაცვლების პირობები შექმნა".

დღეს, ორმოცდაათი წლის შემდეგ, ცხოვრებამ დაადასტურა ჰუბჩეიაკის სიტყვების წინასწარმეტყველური ჭეშმარიტება. მსგავს შედეგებს თვით ჰუბჩეიაკიც არ ელოდა. ძველი რასის რამდენიმე არსება ღერა-ღერა თუ შემორჩა აქა-იქ, ისიც, მხოლოდ ტრადიციული რელიგიების დოქტრინების გავლენის ქვეშ მყოფ რეგიონებში, თუმცა მათი გამრავლების ტემპი, წლიდან წლამდე იკლებს და სადაცაა

მათი ჯიში საბოლოოდ გადაშენდება. პესიმისტური პროგნოზების მიუხედავად, ეს პროცესი მშვიდობიანად მიმდინარეობს, თუკი სათვალავში არ მივიღებთ ცალკეული ძალადობის ფაქტებს, რომელთა რიცხვი საზოგადოების შეშფოთებას არ უნდა იწვევდეს. უცნაურია იმის ხილვა, თუ რა მორჩილებით, მოთმინებით და წყნარად, შეიძლება ითქვას, იდუმალი შვებითაც კი შეეგუენ ადამიანები საკუთარი გადაშენების აუცილებლობას.

ჩვენ ყოველგვარი კავშირი გავწყვიტეთ კაცობრიობასთან და ადამიანური საზომით თუ ვიმსჯელებთ, ბედნიერები უნდა ვიყოთ. ჩვენ, მართლაც, საკუთარ ნებას დავუმორჩილეთ ის ძალები, რომლებიც ადამიანებს უძლეველი მიაჩნდათ: ეგოიზმი, სისასტიკე და ბრაზი. რაც არ უნდა ითქვას, ჩვენ განსხვავებული ცხოვრებით ვცხოვრობთ. მეცნიერება და ხელოვნება ისევ არსებობს ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ ძველებურად აღარ ველტვით ჭეშმარიტებასა და მშვენიერებას, რომელთა მოხვეჭისკენ პირადი ამპარტავნება გვიბიძგებდა. ძველი ყაიდის ადამიანები ჩვენს სამყაროს სამოთხეს ადარებენ. სხვათა შორის, ჩვენც ხშირად, თუმცა იუმორით, საკუთარ თავს "ლმერთებს" ვუნოდებთ. ეს სწორედ ის არის, რაზეც, თავის დროზე, ადამიანები ასეთი გატაცებით ოცნებობდნენ.

ისტორია არსებობას აგრძელებს, გვიმორჩილებს, მეფობს და მის ზეობას წინ ვერვინ აღუდგება. ჩვენ ისტორიის მსვლელობას ფეხი ავუნყევთ, მაგრამ, ამავდროულად, შევეცადეთ ამ წიგნში პატივი მიგვეგო მამაცი და ბედკრული ადამიანებისთვის, რომლებმაც ამქვეყნად მოგვავლინეს. მრავალტანჯულ, წინააღმდეგობრივ, თავკერდა და ჩხუბისთავ რასას, რომლის ეგოიზმს საზღვარი არ ედო და რომელსაც შეეძლო საკუთარი წიაღიდან, მოულოდნელად, არნახული რისხვის დემონი ამოეშვა, სილამაზე და სიყვარული სწამდა. ეს ის რასაა, რომელმაც ისტორიაში პირველმა განიზრახა თვითმოშობა და რამდენიმე წელიწადში მიაღწია კიდეც მიზანს. იმ დროს, როდესაც მისი უკანასკნელი ნაშიერები სულს ლაფავენ, ჩვენ გვსურს საბოლოო პატივი მივაგოთ კაცობრიობას, თუმცა, დრო გავა და ისიც საუკუნეთა ქვიშაში ჩაიკარგება. მაგრამ, აუცილებელია, რომ ჩვენი მათდამი პატივისცემა ერთხელ მაინც გაცხადდეს. ეს წიგნი ადამიანს ეძღვნება.

სარჩევი

პროლოგი.....	5
ნაწილი პირველი. დაკარგული სამეფო.....	11
1.....	13
2.....	17
3.....	22
4.....	25
5.....	33
6.....	35
7.....	40
8. მხეცი ომეგა.....	45
9.....	50
10. ყველაფერი კაროლინ იესეიანის ბრალია.....	53
11.....	59
12. სტანდარტულ რეჟიმში.....	70
13.....	77
14. 75 - გაზაფხული.....	81
15.....	87
ნაწილი მეორე. უცნაური წუთები.....	93
1.....	95
2. ფრენის ცამეტი საათი.....	100
3.....	105
4.....	117
5.....	126
6.....	133

7. საუბარი ტრაილერში	137
8.....	141
9.....	147
10. ჯულიანი და ოლდოსი.....	152
11.....	159
12.....	167
13.....	176
14.....	184
15. მაკმილანის ჰიპოთეზა.....	197
16. კეთილმოსურნეობის ესთეტიკა.....	208
17.....	219
18. შეხვედრები განშორების შემდეგ	225
19.....	233
20.....	235
21.....	239
22. ბოლო გაჩერება - საორჟი.....	246
ნაწილი მესამე. ემოციური უსაზღვროება.....	259
1.....	261
2.....	268
3.....	273
4.....	280
5.....	283
6.....	286
7.....	289
ეპილოგი	299

4Love.Ge



უკონსილს, როცა დიდი დეპრესია
მქონდა ხელში მიშელ უელბეკის
წიგნი მომხვდა. ერთ ლამეში
გადავყლაპე და მეორე დღეს
დეპრესიაც გაქრა.

მას შემდეგ, როცა გულს კაეშანი
შემოაწვება, ვიცი, რომ რამდენადაც
გასაოცარი არ უნდა იყოს, არაფერი
ისე არ მიშველის, როგორც
დეპრესიული დეკანდენტურობის
დიდოსტატის ტექსტები.

იშვიათია მწერალი, რომელსაც ასე
ერთი შეხედვით დაუდევარი თხრობის
სტილი აქვს, ხშირად ბანალურია,
ვნების ჩამკვლეელი, არაესთეტიური,
მაგრამ ამავე დროს ასე ჩამთრევი.

"იყავით საზიზღარი და თქვენ
ნაღდი იქნებით" - მიშელ უელბეკის
სიტყვებია და მისი

არაპოლიტიკორექტულობა, მისი
შავბნელი პესიმიზმით აღსავსე
ლიტერატურა ნაღდია და
თანამედროვე, ზეთანამედროვე.

ამიტომ არის ის 20 საუკუნის
ბოლო ათწლეულის და 21 საუკუნის
დასაწყისის ერთ-ერთი ყველაზე
საინტერესო და ამავე დროს
სკანდალური ავტორი, მისი
წინამდებარე წიგნი კი, საკულტო
წიგნი.

ეს წიგნი, ჩვენ - ადამიანებს
გვეძღვნება, მარტოობისგან დაღლილ
ელემენტარულ ნაწილაკებს,
გადაშენების გზაზე მყოფ ჯიშს.

ლაშა ბაქრაძე

ISBN 99940-81-04-7



9 789994 081004